

ეპლვება სოფლის მოძღვარს

დეკანოზი გასილი ზენკოვსკი

აღმრღვევის პრობლემები ქრისტიანული

ათოროვოლოგის შეხვე



საქალასიო გამომცემლობა  
„ახალი ივარონი“

თბილისი

2012

# საეკლესიო ბიბლიოთეკა

## XVI

დეკანოზი გასილი ზენკოვსკი

აღზრდის პროგლემები ძრისტიანული  
ანთროპოლოგის შუალე

რუსულიდან თარგმნა  
ნათია ორმოცაპებ

რედაქტორი: მარიამ გაგუა

რევენუნტ-კონსულტანტი: ლვოისმეტყველების კანდიდატი,  
დეკანოზი მაქსიმე ჭავჭავაძე

წიგნის მთლიანი ან ნაწილობრივი გადაბეჭდვა და რაიმე სახით  
აღლავ გამოცემა გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია

© “ახალი ივერიი”

ISBN 987-9940-900-0-16

## ¶ 0 6 ა ს 0 ტ ყ ვ ა რ ბ ა

ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, რომელიც ხასიათდება პედაგოგიკა-ში მიმდინარე დიდი და დაძაბული შემოქმედებით, მგზნებარე და გაბედული პედაგოგიური ძიებებით; თუმცა ეს ძიებანი, ეს შემოქმედება უკიდურესად კნინდება ჩვენს დროში არსებული პედაგოგიური აზრის თრი თავისებურებით. ერთი მხრივ, პედა-გოგიკაში სულ უფრო ზეიმობს ახლომხედველი პედაგოგიური ემპირიზმი, რომელიც ამა თუ იმ ჩანაფიქრს უშუალო გამოცდილებას მიანდობს და არ ცდილობს უფრო ღრმა ანალიზსა და თეორიულ გააზრებას იმისა, რაც წარმოიშვება უშუალო ინტუ-ციით და თავის გამართლებას პრაქტიკაში ჰქოვებს. მსგავსი წამოწყებებისას პედაგოგიური აზრი ხშირად ჩერდება ამგვარ „გამართლებებზე“ და არ ზრუნავს, რათა შეინარჩუნოს გამოცდი-ლება თუ ინტუიციით მიგნების საფუძველზე შექნილი ის უძვირფასესი მარგალიტი, რომელიც მასშია დაუნჯებული. პედა-გოგიური ემპირიზმის ზეობისას არა მხოლოდ ვერ ვამჩნევთ ამ მასალის დაფარულ მხარეს, არამედ ხშირად ვერც კი ვიგბოთ მის არსეს, რომელიც ცხადი ხდება მხოლოდ პედაგოგიკის სისტე-მაში. გამოცდილებისა და ცხოველი ინტუიციის საფუძველზე მიღებული მითითებებით ზემოქმედების გარეშე, ანუ იმის გააზრე-ბის გარეშე, რომ ეს „არსე“ ერთიან მთლიან სისტემაში უნდა გაცხადდეს, – პედაგოგიური შემოქმედების უძვირფასესი მონა-პოვარიც კი კარგავს ყველაზე მნიშვნელოვანსა და არსებითს, რაც მასში ძევს.

თუმცა თანამედროვე პედაგოგიკის თეორიული მხარის განვითარების უსუსურობის ერთადერთი მიზეზი არ არის მისი ემპირიზმისკენ სწრაფვა – აյ თავს იჩენს სხვა ნიშანიც: პედაგოგიური აზრის შებოჭილობა თანამედროვე მეცნიერული და ფილოსოფიური თეორიებით. ჩემი აზრით, თანამედროვე პედაგოგიური აზრის უსუსურობისა და დაბნეულობის მიზეზი არის ის, რომ იგი ექვემდებარება ნატურალიზმის პრინციპებს, მაშინ, როცა პედაგოგიური შემოქმედების ჯეროვანი გააზრება შესაძლებელია მხოლოდ რელიგიურ ნიადაგზე, კერძოდ – ქრისტიანული ანთროპოლოგიის სისტემაში. პედაგოგიური შთავონების რელიგიური ბუნება ვერ თავსძება ჩვენი დროის ფილოსოფიური იდეების ჩარჩოებში და ეს ქმნის იმ შინაგან ჩიხს, რომელშიცაა მომწყვდეული თანამედროვე პედაგოგიკა. აუცილებელია ქრისტიანული ანთროპოლოგიისკენ მობრუნება, რომ მისი ძირითადი ცნებების შუქზე გავიაზროთ პედაგოგიური გამოცდილების შინაარსი, რომელიც მრავალი წლის შემოქმედებითი კვლევამიების შედეგია. იმ ბორკილების მოსაცილებლად, რომლებიც ზღუდვავენ პედაგოგიურ აზრს, საჭიროა პედაგოგიური ნატურალიზმის სისტემური, გაბედული დაძლევა. ერთი მხრივ, საოცარი კონტრასტი გაბედულებასა და პედაგოგიურ კვლევა-ძიებათა ნათელი ხედვისა და, მეორე მხრივ, იმ ზოგადი იდეების სუსტად განვითარება, რომლებიც უნდა იქნას გამოყენებული მთლიანი, ორგანული სისტემის შესაკვშირებლად, – დაბეჯითებით აყენებს პედაგოგიური პრინციპების ახალი კვლევისა და დასაბუთების საკითხს.

პედაგოგიკის კვლევის გამოცდილება ქრისტიანული ანთროპოლოგიის მონაცემებზე დაყრდნობით დღეისთვის უმეტესწილად აქვს კათოლიკურ პედაგოგიკას, რომელიც ძალიან მდიდარი და, ხშირ შემთხვევაში, სიღრმისეულია. თუმცა ეს გამოცდილება უკავშირდება სწავლებათა იმ თავისებურებებს, რომელსაც ადამიანის შესწავლისას იყენებს კათოლიკური დოგმატიკა. მართლმადიდებლური ცნობიერებისათვის დამახასიათებელია ადამიანის შესახებ სწავლებისადმი სრულიად განსხვავებული მიღვიმა –

მართლმადიდებლური ცნობიერება სულ სხვაგვარად იგებს ქრისტიანული ანთროპოლოგიის ძირითად იდეალს და სხვაგვარად განმარტავს მათ. თუმცა წინამდებარე წიგნის მიზანი სულაც არ გახლავთ ქრისტიანული ანთროპოლოგიის მართლმადიდებლური განმარტების შედარება იმ განმარტებასთან, რომელსაც გვთავაზობს კათოლიციზმის, იგივე პროტესტანტიზმის დოგმატური სისტემა. ამ წიგნში მსურს ჩამოვაყალიბო პედაგოგიური სისტემის ძირითადი ცნებები მართლმადიდებლური თვალსაზრისით. და მხოლოდ ხანდახან მივუთითებ იმ პუნქტებზე, რომლებიც ეთანხმებიან ან ეწინააღმდეგებიან კათოლიკური, იგივე პროტესტანტული პედაგოგიკის იდეალს – ამ წიგნში შეხვდებით მართლმადიდებლური ანთროპოლოგიისა და პედაგოგიკის პრინციპების კათოლიკურ პრინციპებთან სისტემურ შეპირისპირებას.

ვ. ვ. ზენოვესკი  
პარიზი. 12 თებერვალი, 1934 წ.

## შ ე ს ა გ ა ლ ი

### პედაგოგიკის რელიგიური დასაბუთების საპირისო

1. წინამდებარე წიგნი ეძღვნება ქრისტიანული ანთროპოლოგიის შუქჲე განხილულ პედაგოგიკის ძირითად პრობლემებს, ადამიანის შესახებ ქრისტიანულ სწავლებას. ნაშრომს აქვს პრეტენზია იმისა, რომ მკითხველს დაანახოს ბავშვის სულიერი სამყაროსადმი იმ მიღებობის ზედაპირულობა და უკმარისობა, რომელიც თანამედროვე პედაგოგიკის ძირითად მიმართულებას განსაზღვრავდა, ამასთანავე, მიზნად ისახავს, თვალსაჩინო გახადოს ის საშუალებები, რასაც გვაძლევს ქრისტიანული ანთროპოლოგია ბავშვებთან მუშაობისა და მათზე აღმზრდე-

ლობითი ზემოქმედების თვალსაზრისით. ჩვენს დროში ჯერ კიდევ ძლიერია „დამოუკიდებელი“, „ავტონომიური“ პედაგოგიკის იდეა; აღმზრდელობით პრობლემებთან რელიგიური მიდგომა კი დასაშვებია ბავშვებთან რელიგიური მუშაობის განსაკუთრებულ საკითხებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქათ, დღეისათვის ჯერ კიდევ ძლიერია აზრი იმის შესახებ, რომ პედაგოგიკა, როგორც სისტემა, არსებობს რელიგიური წანამდლვრებისგან დამოუკიდებლად. ეს უკავშირდება, უახლესი პედაგოგიკის საკითხებს – იმას, რასაც ჩვენ ვუწოდებთ პედაგოგიურ ნატურალიზმს. თუკი რელიგიური აღზრდის საკითხში ბევრი მზად არის დაუშვას ქრისტიანული სწავლება<sup>1</sup>, სწავლება პიროვნების აღზრდისა და განვითარების შესახებ აგებულია რელიგიური იდეებისგან სრულიად დამოუკიდებლად, მთლიანად ეყრდნობა მეცნიერების მონაპოვარსა და გამოცდილებას. პედაგოგებმა კარგად იციან, რომ მოზარდის ცხოვრებასა და მისი პიროვნების განვითარებაში ბევრი საკითხი „საიდუმლოებითაა“ მოცული. ისინი გრძნობენ ამ საიდუმლოს და თავის დამშვიდების მიზნით ყველაფერს თანამედროვე ფსიქოლოგის არასრულფასოვნებას, ბავშვებთან სწორი მიდგომისა და მათი ხელმძღვანელობის არცოდნას ასახელებენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათი შეხედულების მიხედვით, ბავშვის პიროვნებაში ისეთი „საიდუმლო“ არაფერია, რაც გასცედებოდა ნატურალიზმის საზღვრებს, დაგვაუქნებდა პირისპირ უზენაეს ძალებთან და მოითხოვდა რელიგიურ გაშუქებას. სწორედ იმის მიუხედორელობა, რომ ზოგადად, პიროვნებისა და, მით უფრო, ბავშვის ცხოვრება რელიგიურ განათლებას საჭიროებს და ის ზედმეტი თავდაჯერებულობა, რომლითაც ჩვეულებრივ ცდილობებ ახსნან სულის ცხოვრება ღმერთისგან დამოუკიდებლად – არის პედაგოგიური ნატურალიზმის უმთავრესი ცოდვა. ქრისტიანული ანთროპოლოო

<sup>1</sup> სხვათა შორის, გვყავს ბევრი პედაგოგი, რომელიც ბავშვის რელიგიური აღზრდის საკითხებშიც კი უარს ამბობს ეპლესიაზე და მის უფლებაზე, რომ მანვე განსაზღვროს ბავშვის ცხოვრების გზა. რუსულ ლიტერატურაში ამ აზრის თაგამოდებული დამცველი გახლდათ ვენცელი. იხ. ჩემი ნარკვევი „XX საუკუნის რუსული პედაგოგიკა“.

გიის იდეის მოხმობა სულიერი ცხოვრების გასაგებად და მისი ძიებების შინაგანი დიალექტიკა, საჭიროა არა მხოლოდ რელიგიური ან მორალური<sup>2</sup> აღზრდისათვის, არამედ მთლიანად პედაგოგიკისათვის. თუ დავეთანხმებით იმ აზრს, რომ ადამიანში ყველაფერი „პიროვნულია“<sup>3</sup>, ანუ ყველაფერი მის სულიერ ცენტრს, მის სულიერ სამყაროს უკავშირდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ქრისტიანული ანთროპოლოგის იდეები ან სრულად უნდა უარყოთ, ან უნდა დაგუკავშიროთ ყველა სულიერ პროცესს. შეუძლებელია ადამიანის შესახებ რელიგიური სწავლების ნაწილობრივი ან შეზღუდული გამოყენება – აქ მტკიცედ უნდა გადავწყვიტოთ, მისადებია თუ მიუღებელი სულისადმი რელიგიური მიღვომა. მიგვაჩნია რომ, პედაგოგიური კრიზისის ძირითადი მიზეზი სწორედ ის არის, რომ პედაგოგიური აზრი დაშორდა ქრისტიანულ ანთროპოლოგიას, და კულტურის სხვა სფეროების მსგავსად, პედაგოგიკაც დაადგა რწმენისა და ეკლესიისგან დაშორების, სეკულარიზაციის გზას. პედაგოგიური ნატურალიზმის დაძლევა, საერთოდ, ქრისტიანული მსოფლმხედველობის ქმნება პედაგოგიკის დასაბუთება, ქრისტიანული ანთროპოლოგიის იდეის გატარება პედაგოგიკის ძირითადი პრობლემების გასაშუქრებლად – არის ის ძირითადი ამოცანები, რომლის ამოხსნაც აღზრდის სფეროში ნაყოფიერი მუშაობის საწინდარი გახდება.

2. კულტურის სხვადასხვა სფეროების სეპულარიზაციის საერთო პროცესი და მათი ჩამოშორება რწმენისა და ეკლესიისგან პირველად ევროპაში დაიწყო. პედაგოგიკაში მან გაცილებით გვიან შეაღწია. თუმცა XVIII საუკუნეში, განსაკუთრებით კი XIX საუკუნეში, „ავტონომიურობის“ იდეა წარმატებით განვითარება, პედაგოგიკაშიც. ამის მიზეზი იყო ფსიქოლოგიის განვითარება, რომელმაც გამოაციცხედა პედაგოგიური აზრი. ეს „ავტო-

<sup>2</sup> ის, რომ შეუძლებელია მორალური აღზრდა ადამიანის რელიგიურობის გარეშე კარგად დაგვანახა Fr. Foerster-მა ოვის წიგნში „Religion und Charakterbildung“ (Lurijh u. Leipzig, 1925).

<sup>3</sup> ეს ოზნისი ძალიან ხათლად და დამაჯერებლად გააშუქა კ. შტერნ-მა პერსონალიზმის სისტემაში. ის. მისი წიგნი „Die menschliche Persönlichkeit“. Leipzig, 1923.

ნომიურობა“ თავს იჩენდა მხოლოდ რელიგიასთან მიმართებაში, ფილოსოფიაზე დამოკიდებულება კი პირიქით, თავდაპირველად უფრო ძლიერად იყო გამოხატული. თუმცა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან პედაგოგიკაში შეიმჩნევა ფილოსოფიისგან თავის დაღწევის, გამოცალკევების ტენდენცია, ის უკვე ცდილობს შემოფარგლოს ბავშვის შესახებ მეცნიერებით („პედაგოგიკით“). პედაგოგიკის ფილოსოფიისგან ჩამოშორების ტენდენციამ განიცადა სრული ფიასკო და XX საუკუნეში მწვავედ დადგა პედაგოგიკაში მსოფლმხედველობის საკითხი. პედაგოგიკასა და ერთოან მსოფლმხედველობას შორის კავშირის აღდგენის სწორედ ამ მოთხოვნილებამ, ერთმანეთთან ჭირდოდ დააკავშირა პედაგოგიკა და ფილოსოფია, კერძოდ, „ფასეულობათა ფილოსოფია“ (ე.წ. Wertphilosophie), რამაც ხელი შეუწყო პედაგოგიური იდეალიზმის სისტემის ჩამოყალიბებას (ნაწილობრივ Willmann-ის,<sup>4</sup> Kerschensteineris-თან; რუსულ ლიტერატურაში კი ს.ი. გესენთან). თუმცა პედაგოგიური იდეალიზმის ამ მიმდინარეობას, რომელიც აღადგენს კავშირს პედაგოგიკასა და ფილოსოფიას შორის, არ შეეძლო პედაგოგიური აზრის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. მას სინამდვილეში სჭირდებოდა არა ფილოსოფიური, არამედ რელიგიური დასაბუთება, ანუ არა მხოლოდ ფილოსოფიური სისტემის, არამედ ცხოვრების ყველა სფეროს შეკავშირება. პედაგოგიკის მსოფლმხედველობითი ძიებანი თავისი არსით მიდიოდა უფრო შორს, ვიდრე სუფთა ფილოსოფიური სინთეზი. ის აყნებდა რელიგიური წესრიგის პრობლემასაც. ეს ძალიან ნათლად გამოიხატა პედაგოგიური უტოპიზმის აღორძინებაში. XVII – XVIII საუკუნეებში უტოპიზმის თავისებურება იყო ის, რომ იგი ცდილობდა „ადამიანის ახალი ჯიშის“ გამოყვნას და ვითარდებოდა ინდივიდუალურად. უახლესი პედაგოგიური უტოპიზმი კი თავის ოცნებებს სოციალური გარდაქმნის უტოპიას უკავშირებს. ეს არის ლევ ტოლსტოისა და მისი მიმდევრების

<sup>4</sup> Willmann-ი XIX საუკუნეში იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი მათ შორის, ვინც ცდილობდა პედაგოგიკის რელიგიური (ქათოლიკური ჯეთხით) დასაბუთებას, თუმცა სწავლებას ფასეულობათა შესახებ დიდი ადგილი უკავია მის სისტემაში.

უტოპია<sup>5</sup>. თავიანთ კვლევა-ძიებებში ამას ეთანხმება ზოგიერთი გერმანელი პედაგოგიც, განსაკუთრებით აღსანიშნავია ამერიკალი პედაგოგის კოს (G. Coe) უტოპია<sup>6</sup>. ძლიერად აისახა ეს ტენდენცია საბჭოთა პედაგოგიკაშიც, სადაც ყველა საქმე, სასკოლო თუ სკოლისგარეშე, უკავშირდებოდა ინტეგრალური კომუნიზმის უტოპიას და კაცობრიობის საბოლოო ბედს. საბჭოთა პედაგოგიკის სწორედ ამ ნიშანმა, მისი მსოფლმხედველობის მთლიანობამ, მისმა ერთობ სექტანტურმა მიდრეკილებამ<sup>7</sup> გავლენა იქონია დასავლეთ ევროპისა და ამერიკის პედაგოგიურ აზრზე. საბჭოთა პედაგოგიკა გაუდენთილია უტოპიზმით - „სკოლების კვდომის“ თავისებური თეორიის ჩათვლით, რომელიც ლოგიკურად გამომდინარეობდა საბჭოთა ფილოსოფიური წინაპირობებიდან. საბჭოთა პოლიტიკის გარკვეულ რეალიზმთან<sup>8</sup> დაბრუნების შემდეგ ეს თეორია შეირაცხა „საშიშად“, და მაინც, მის შედეგებზე ძალიან საინტერესოდ აისახა საბჭოური პედაგოგიკის დიალექტიკა.

პედაგოგიკის ავტონომიურობა ისტორიულად იყო დაკავშირებული „განათლების“ ფილოსოფიასთან, რომელიც ასე ტიპიურია XVIII და ნაწილობრივ XIX საუკუნისთვის, - რომლის მიხედვითაც, შესაძლებელია ცხოვრების რაციონალური გარდაქმნა გონების საფუძველზე და ამ გარდაქმნის სადავეები მთლიანად ადამიანის ხელთან. ავტონომიურობა პედაგოგიკაში ბუნებრივად ენათესავებოდა პედაგოგიკურ ნატურალიზმს, ანუ პიროვნების განვითარების საქმეში უარყოფდა სუპერნატურალური საწყისების მოქმედებას, - თუმცა, ამავე დროს, მკაფიოდ და დაუინებით სვამდა ბავშვის შემოქმედებითი განვითარების საკითხს. ფსიქოლოგიური ცოდნის ზრდის შესაბამისად, განსაკუთრებით საბავშვო ფსიქოლოგიის ცოდნის გაღრმავებასთან ერთად, პედაგოგიკურ ცნობიერებაში სულ უფრო აქტუალური ხდებოდა

<sup>5</sup> იხ. ჩემი ნარკვევი „XX საუკუნის რესული პედაგოგიკა“ („რესული სამეცნ. ინსტ. ჩანაწერები ბელგრადში“. გამ. 9. 1933 წ.).

<sup>6</sup> G. Coe. "Social Theory of religious Education". New-York, 1923.

<sup>7</sup> იხ. „XX საუკუნის რესული პედაგოგიკა“.

<sup>8</sup> იხ. „XX საუკუნის რესული პედაგოგიკა“.

საკითხი – ბავშვის სულიერ სამყაროზე შემოქმედებითი გავლენის შესაძლებლობისა მისთვის ცხოვრების განსაზღვრული პირობების შექმნის გზით. პედაგოგიკური ანარქიზმი, რომელიც ბავშვის ცხოვრებაში სრულ ჩაურევლობას მოითხოვდა, სრულიად უსაფუძვლო გამოდგა; უკანასკნელი ათწლეულების მთელი პედაგოგიკური შემოქმედება მიმართული იყო იმ ფაქტორების გამოკვლევისკენ, რომელიც მეტ-ნაკლებად ხელსაყრელი იქნებოდა პიროვნების ჩამოყალიბებისთვის. თუმცა სულ უფრო ნათელი ხდება, რომ ადამიანის პიროვნება არ ვითარდება დამოუკიდებლად, არ ამოდის ოდენ „საკუთარი თავიდან“, მასში ჩადებული შემოქმედებითი, ამაღლებული ძალების წყალობით იგი უკავშირდება ზეინდივიდუალურ და ზეემპირიულ ღირებულებათა სამყაროს. ასე მომზადდა ნიადაგი პედაგოგიკური იდეალიზმისათვის, რომელიც ადამიანში არსებულ უმაღლეს ძალებს ტრანსცენდენტულ ძალებთან დააკავშირებდა, თუმცა სწორედ ამგვარად ჩნდებოდა სივრცე, რათა რელიგიურად დასაბუთებულიყო ბავშვის სულიერ სამყაროსთან პედაგოგიკური მიდგომის საკითხები. ტრანსცენდენტალიზმი, რომელიც აღიარებს პიროვნების შეკავშირებას ღირებულებათა ინდივიდუალურ სფეროსთან, არ ნიშნავს რელიგიური პრობლემების უარყოფას, არამედ რელიგიური რეალიზმისგან თავშეკავებას გულისხმობს. რა თქმაუნდა, შესაძლებელია ამ „თავშეკავების“ პოზიციის<sup>9</sup> დაცვაც, თუმცა, არსობრივად, იქ, სადაც პიროვნებაში იხსნება ზეპიროვნული და ზეინდივიდუალური, აუცილებლად ვაწყდებით რელიგიურ პრობლემას. პედაგოგიკა, რომელმაც შეიგრძნო პიროვნების განვითარებაში ის იდუმალი სიღრმეები, რომლის წვდომის ძალებიც პიროვნების განკარგულებაში არ მოიაზრება, მჯიდროდ მიუახლოვდა პედაგოგიკური პრობლემების რელიგიური აღზრდის აუცილებლობას<sup>10</sup>.

<sup>9</sup> ჩემი შეხედულება, ტრანსცენდენტალიზმის ნიადაგზე დაფუძნების შეუძლებლობისა და რელიგიური რეალიზმის რელსებზე გადასვლის აუცილებლობის შესახებ იხ. სტატიაში “Philosophie d. religiösen Erfahrung” (Rus Gedanke, 1930, H.V.).

<sup>10</sup> პედაგოგიკური საკითხების რელიგიურ ჭრილში განხილვის თვალსაზრისით აღსანიშნავია ორი თანამედროვე გამოჩენილი პედაგოგის

3. პედაგოგიკაში რელიგიური მიმართულების მიზანია დიად და პირდაპირ აღიაროს ეს ფაქტი და სისტემურად შეაკავშიროს პედაგოგიკური აზრის ან პრაქტიკის უარყოფა – სასკოლო საქმეში ექსპერიმენტისა და ძიებების ფასდაუდებელი მნიშვნელობის უარყოფა, უკანა პლანზე გადაწევა ყველა იმ მონაპოვრისა, რომლითაც დღემდე ხელმძღვანელობს პედაგოგიკა ფილოსოფიური თუ სხვადასხვა სამცნიერო დისციპლინებით. მისი სურვილია, დიად აღიაროს პედაგოგიური აზრის კავშირი რელიგიური იდეების სისტემასთან, შეიმუცნოს და გააანალიზოს ეს კავშირი. ის სულ არ ცდილობს, რომ თავს მოგვახვიოს მისთვის რომელიმე ავტორიტეტული დებულება. სეკულარიზაციის პერიოდს, როგორც სხვა სფეროებში, ისევე პედაგოგიკაში, პქონდა დადგებითი მსარე – მან სააშკარაოზე გამოიტანა იმანენტური კანონზომიერება, რომელიც ნიშანდობლივი იყო კულტურის სხვადასხვა სფეროსთვის, მათ შორის, პედაგოგიკისთვისაც. პედაგოგიური აზრის განვითარებისთვის მან ის როლი შეასრულა, რომ ნათელი მოჰყინა შინაგან დიალექტიკას. შეუძლებელია უარვყოთ ან დავივიწყოთ XIX საუკუნის პედაგოგიკის ეს მონაპოვარი, თუმცა ამან თვალები არ უნდა დაგვიბრმაოს და უნდა შევძლოთ იმის დანახვაც, რომ ის საერთო მიზნები, რომლისკენაც პედაგოგს სურს მიმართოს ბავშვის სულიერი სამყარო, მის მიერ „გამოგონილი“ არ უნდა იყოს; არ უნდა იქცეს მისი შთაგონებისა და თვითნებობის წყაროდ. არც ბავშვს, ჯერ კიდევ დარიბი ცნობიერებით, და არც პედაგოგს, თავისი მსოფლმჭვრებლობით, არ შესწევთ ძალა იმ საკითხების გადასაჭრელად, რომელიც აღზრდის წინაშე დგება. როგორც ბავშვის, ასევე პედაგოგის სუბიექტივიზმი თანაბრად მერყევია და არ არის საკმარისი. აუცილებელია დაგვეუდნოთ ობიექტურ სფეროს და იმ დირებულებებს, რომლებიც პიროვნებაზე მაღლდება და მნიშვნელოვანს ხდის მას. პიროვნება არ შეიძლება იყოს აბსოლუტი-

---

ა. ფერიერისა და ფ. ფერსტერის მოსაზრებები. იხ. A. Ferriere “Le progrès spirituel”. Geneve, 1927. Fr. W. Foerster “Religion und Charakterbildung”. Zurich und Leipzig, 1925.

ზირებული, ის არ ვითარდება თავისთავად, ის მდიდრდება სამყაროს დირებულებებთან ურთიერთობით, ცოცხალი სოციალური გამოცდილებით, ღმერთთან კავშირით. თუმცა კი პიროვნება მუდამ თავისებურია, მხოლობითია და განუმეორებელი და ამ განსაკუთრებულობის საფუძველი პიროვნების სიღრმეში, მის დაუშლელ მეტაფიზიკურ ბირთვში<sup>11</sup> ძევს, ჩვენი პიროვნება მაინც ფორმირდება და საკუთარ თავს პოულობს მარტოოდენ ცოცხალ და ქმედით ურთიერთობებში ადამიანებთან, დირებულებათა სამყაროსთან, უფალთან. პიროვნება არც მეტაფიზიკურად, არც ეთიკურად არ არის თავში ჩაკეტილი – ის არის სამყაროს ნაწილი, ემორჩილება მის კანონებს, დაკავშირებულია სამყაროს ზემდგომ უზენაეს ძალასთან. ამიტომ შეუძლებელია ვალიაროთ პიროვნების იდეა პედაგოგიკის უმაღლეს და უკანასკნელ პრინციპად<sup>11</sup>, თუმცა პიროვნების განვითარება – აღზრდის უმნიშვნელოვანები ამოცანაა. მისი არსი, მიზანი და პირობები უნდა განიხილებოდეს მხოლოდ ერთიანი მსოფლმხედველობის სისტემაში. სწორედ პედაგოგიკის „ავტონომიურობის“ გამო (თუ ამ სიტყვას არ გამოვიყენებოთ პედაგოგიკის იმ მოკრძალებული უფლების აღსანიშნავად, რომელიც მოიაზრება, როგორც კრიტერიუმი აღზრდის სხვადასხვა საშუალების შესაფასებლად) ის არ საჭიროებს დაცვას. პედაგოგიკას ფესვები უნდა ჰქონდეს გადგმული ერთიან მსოფლმხედველობაში, უნდა აშუქებდეს თავის პრობლემებს იმ პრინციპებით, რომელსაც მას აძლევს ანთროპოლოგია, ფილოსოფია და რელიგია.

4. თუ ჩვენს საუბარს მეტ სერიოზულობას შევძენთ და არ ვითამაშებთ სიტყვებით პედაგოგიკის შესახებ დასაბუთებული მსჯელობისას, მას შეიძლება გავუთანაბროთ მხოლოდ და მხოლოდ სამი მსოფლმხედველობა: ნატურალიზმი, ტრანსცენდენტალიზმი და სუპერნატურალიზმი. ნატურალიზმი, როგორც

---

<sup>11</sup> ორაზროვნად უნდა ჩაითვალოს თანამედროვე ეთიკის ის მტკიცებულება, რომელიც პიროვნებაში ხედავს „თვითმიზანს“: ეს ეწინააღმდეგება პიროვნების მთელ ცხოვრებას. მხოლოდ აბსოლუტური პიროვნება - ღმერთი - შეძლება იყოს „თვითმიზანს“; ადამიანს კი, როგორც ქმნილ არსებას, არ შეუძლია აბსოლუტთან კავშირის გარეშე ცხოვრება.

უარყოფა ყველა აბსოლუტური საწყისისა, აუცილებლად აღი-  
 არებს „ბუნების“ დვთიურ თვისებებს (მარადიულობას, ამოუ-  
 წურავ შესაძლებლობებს, ყოვლადძლიერებას, კანონზომიერე-  
 ბას და ა.შ.) და ამ თვალსაზრისით ფილოსოფიურად მას ვერ  
 მივიღებთ, ვინაიდან „ბუნების“ ცნებაში ის აერთიანებს ერთ-  
 მანეთოან შორს მდგარ კატეგორიებს – წარმავალსა და მარა-  
 დიულს, პირობითსა და უპირობოს, ქმნილსა და აბსოლუტურს.  
 აქედან მომდინარეობს ფილოსოფიური ნატურალიზმის მიღწე-  
 კილება პანთეიზმისკენ, ბუნების სიღრმეში დვთაებრივი ძალის  
 მისტიკური ხედვისკენ, რელიგიური იმანებრიზმისკენ. როგორც  
 მსოფლმხედვლობა, ნატურალიზმი ავითარებს ურთიერთგამომ-  
 რიცხავ აზრებს და მისი შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ  
 იმ შემთხვევაში, თუ მას შევხედავთ ზედაპირულად. რაც შექება  
 მის მნიშვნელობას, მას არ შეუძლია დაასაბუთოს და გაიაზროს  
 ის, რასაც ემყარება პედაგოგიკა – ჩვენს რწმენას ბავშვისადმი.  
 ნატურალისტური შეხედულების თანახმად, ადამიანში შეგვიძ-  
 ლია გვწამდეს სხვადასხვა ძალის, მათი სწორად განვითარების  
 შემთხვევაში, უნდა დავეყრდნოთ მის „ხასიათს“, მაღალ ინტელექტს,  
 და არა სხვადასხვა სულიერ ფუნქციებს – და ამით ყველაფერი  
 უნდა დასრულდეს, ვინაიდან თვითონ პიროვნებაც არის ეკო-  
 ლუციის „პროდუქტი“. ფერიერი ცდილობდა ბავშვში, ადამიან-  
 ში რწმენის გადარჩენას იმით, რომ შემოიტანა თავის სისტემაში  
 ძალიან მნიშვნელოვანი ცნება elan vital spirituel; მისთვის ადამი-  
 ანი არ იყო ბუნების სუფთა ქმნილება (Le progres spirituel, P. 446),  
 სადაც იმოქმედებდა loi divine (P. 346). ეს გვაძლევს ბავშვის სულიერი  
 რწმენისთვის გარავაულ საფუძველს, აღმოაჩენს მასში შემოქმე-  
 დებით ძალებს - ფერიერის სისტემა არის ნამდვილი ნატურა-  
 ლისტური, ტყუილად კი არ აღმოაჩენს ის ადამიანში une mistere  
 (P. 346). მეტ-ნაკლები ძალით ეს წინააღმდეგობანი თავს იჩენენ  
 საბჭოთა პედაგოგიკაშიც, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი  
 პანთეისტური მისტიციზმი, მისთვის ადამიანი მთლიანად ბუნების  
 სისტემის წევრია და, ამავე დროს, ცდილობს აღზარდოს მასში  
 გმირული ნებისყოფა, რომელსაც შეეძლება სამყაროს შეცვლა  
 და ბუნების „შეუვალი“ კანონების გადალახვა. მიუხედავად იმისა,

რომ ის ცდილობს მიზნად დაისახოს პედაგოგიის გმირული ამოცანების დაძლევა, ძლიერი სულიერი ძალისხმევის აღზრდა (რომელიც აუცილებელია სამყაროს რევოლუციური ცვლილებებისთვის), ამავე დროს, საბჭოთა ფილოსოფია აღიარებს მატერიალიზმსა და ვიწრო ნატურალიზმს<sup>12</sup>.

5. ფილოსოფიური ნატურალიზმის შეცდომების დაძლევა შესაძლებელია ტრანსცენდენტალიზმისთვის, რომელიც ბუნების წესრიგიდან არ გამორიცხავს უმთავრეს პრინციპებს და, რომლის მიხედვითაც ადამიანის სულს შეუძლია ბუნებაზე, მის კანონზომიერებებზე ამაღლება. თავის მხრივ, ტრანსცენდენტალიზმი ერთობ დასაფასებელია პედაგოგიური შემუცნებისთვის, ვინაიდან ის ემარება მას, ადასტურებს აღზრდის მთავარი განზრახვის სიმართლეს: ეს განზრახვა გაჯერებულია თავისუფლების რწმენით, იმის აღიარებით, რომ იდეალის საშუალებით შესაძლებელია ცხოვრების ბუნებრივი სვლის ფერისცვალება. ტრანსცენდენტალიზმისთვის პიროვნება ბოლომდე არ ექვემდებარება მიზეზობრიობის კანონს<sup>13</sup>, რომელიც არის ოდენ შემუცნების კატეგორია; პიროვნებაში არის საწყისი, რომელიც არსებობს მიზეზობრიობისგან დამოუკიდებლად, რისი საშუალებითაც შესაძლებელი ხდება პიროვნების „საკუთარ თავზე“ ამაღლება, ანუ მისი ბუნებრივი განვითარების დაძლევა, მისი გასხივონება უმაღლესი საწყისით.

ტრანსცენდენტალიზმი პედაგოგიის დასაბუთებისას გამოდის სამყაროს ღირებულებათა უმნიშვნელოვანების სწავლებიდან<sup>14</sup>. ასეთი ძალიან ღრმა და არსობრივი სწავლება არა მხოლოდ ათავისუფლებს პედაგოგიურ ცნობიერებას ნატურალიზმის შეზღუდულობისგან და მოუხმობს პიროვნებას ფერისცვალებისკენ, არამედ ის მეტ სივრცეს იძლევა პედაგოგიური შთა-

<sup>12</sup> საბჭოური ფილოსოფიის სისტემის ერთგვარ სპირიტუალიზმს, რომელიც ადამიანს ბუნების კანონების წინააღმდეგ ამხედრებს, შესანიშნავად აღწერს Devaud: "La pedagogie scolaire en Russie Soviétique" Paris, 1932.

<sup>13</sup> ამ პოზიციის მხარდამჭერია მუშასტერბერგი (Grundriss d.Psychologie), რომელიც ნეოფიქტებანობას ემხრობა. იხ. ჩემი წიგნი „ფსიქიკური მიზეზობრიობის პრობლემა“. გვ. 196-201.

გონების, შემოქმედებისა და გამუდმებული წინსვლისთვის. თუმცა ტრანსცენდენტალიზმი უბრალო „კატეგორიად“ აქცევს არა მხოლოდ მიზეზობრიობას, არამედ ამგვარ კატეგორიადვე გვისა-სავს იგი რელიგიას. მისთვისაც მოიპოვება ადგილი სულის სისტემაში, რაც ნიშნავს ყოველგვარი რელიგიური ცხოვრების ჩაკვლას, რაც მთლიანად ეფუძნება დვთაების ტრანსცენდენტუ-ლობის ცნობიერებას. ამ ცნობიერების გარეშე შეუძლებელია დვთის წინაშე ის მოკრძალება, რომელიც R. otto-ს<sup>14</sup> სრულიად მართებული სწავლების მიხედვით, არის რელიგიის პირველ-ფენომენი (ამას გამოხატავდა ბრძენი თავის სწავლებაში, როცა ამბობდა – „შიში დვთისა - საწყისი სიბრძნისა“). გარდაუვალია ტრანსცენდენტალიზმის გადასვლა რელიგიურ იმანენტიზმში. რელიგიაზე საუბრისას ის მეტისმეტად ადვილად გადადის უბრა-ლო რიტორიკაში, საერთოდაც, უაზრობად მიიჩნევს და უმწეოდ რაცხავს მას. ამიტომ არის ტრანსცენდენტალიზმი თავისი არ-სით ურელიგიო ფილოსოფია, უფრო ზუსტად, არარელიგიურო-ბის ფილოსოფია. ის არის პოზიტივიზმის უმაღლესი და უფა-ქიზესი ფორმა. თუმცა ის რწმენა შემქნელისა, სულის სიძლიერისა, რომელიც არის საფუძველი და გამართლება ყოველგვარი აღზრდისა, ტრანსცენდენტალიზმში იძენს ფართო საზღვრებს და სწორედ ამის გამო პედაგოგიკის შესახებ მსჯელობისას უმნიშვნელო და სუსტი ხდება მისი არგუმენტები. პიროვნება იმდენად არათავისთავადია, იმდენად აშკარაა მასზე დასმული ქმნილობის ბეჭედი (გარდა მისი ბუნების კანონებისადმი დაქვე-მდებარებისა), რომ მაშინაც კი, როცა ითავისებს სამყაროს ღირე-ბულებებს, მას არ შეუძლია მათი განკარგვა. სულიერი ზრდის პროცესში სწორად აღზრდის მეშვეობით ისწავლება მორჩილე-ბა, რაც არ იძლევა ამ საიდუმლოს იმანენტურობამდე დაყვანის შესაძლებლობას. თუკი ნაბურალიზმი არ განმარტავს ადამია-ნურ ძალებს, საკუთარ თავში მათ შემოქმედებითად გადალახვას,

<sup>14</sup> ამ იდეების თავგამოდებული დამცველია Kerschensteiner. ი. მისი ბოლო წიგნი „Theorie der Bildung“ (Leipzig, 1926). ასევე ს.ი. ჰესენი - „პედაგოგიკის საფუძვლები“.

<sup>15</sup> R. Otto. Das Heilige.

ტრანსცენდენტალიზმი არ განმარტავს საწინააღმდეგოს – ადამიანის უმაღლესი პრინციპებისადმი დაქვემდებარებას, რაც იძლევა პედაგოგიკის მხოლოდ რელიგიურ დასაბუთებას. ის ერთადერთია, ვინც გვიხსნის ადამიანურ ძალასაც, „მაღლმოსილის“ აუცილებლობას, ანუ ღმერთისგან და არა უპიროვნო „ღირებულებებისგან“ მომდინარე დახმარებას. ნატურალიზმისა და ტრანსცენდენტალიზმის ამ ორმა შეცდომამ გაუხსნა გზა ადამიანის საიდუმლოს რელიგიურ განხილვას.

დავა ტრანსცენდენტალიზმსა და რელიგიურ რეალობას შორის (რომელიც ადასტურებს ტრანსცენდენტური ღვთაების რეალობას), დაიწყო უძველესი დროიდან და დღემდე არ დასრულებულა – ამის მიზეზია არა იმდენად ის, რომ ორივე პოზიცია ფილოსოფიურად თანაბრად შეიძლება იყოს დაშვებული, არამედ ის, რომ ეს დავა შეეხება ადამიანის თავისუფლებას. ადამიანს მიცემული აქვს ღმერთის აღიარების თუ უარყოფის თავისუფლება, – ვინაიდან (რელიგიასთან მიმართებაში) ტრანსცენდენტალიზმში იკვეთება ღმერთისგან დამაღვის ტენდენცია, მასთან შეხვედრის თავიდან აცილების სურვილი, ამდენად, ტრანსცენდენტალიზმთან დავა არასოდეს დასრულდება. ღმერთმებრძოლეობა და რელიგიური ჭეშმარიტების უარყოფა, უღმერთოდ ყოფნის სურვილი ყოველთვის ისევეა შესაძლებელი, როგორც ბუნტი მათ შორის, ვინც აღიარებს ღმერთის არსებობას (ივანე კარამაზოვი). საბოლოოდ, ამა თუ იმ პოზიციის არჩევა აქ ხდება არა თეორიული მოსაზრებით, არამედ გულის კარნახით. მოგვიანებით დავინახავთ, რომ ჩვენი გული გაორებულია, ამიტომაც მზადდება ნიადაგი ჩვენი მომავალი შინაგანი ბრძოლისათვის... და მაინც, რელიგიური და არარელიგიური პედაგოგიკის ფორმალური შესაძლებლობისა და „მეთოდოლოგიური“ თანასწორობის აღიარება არ ნიშნავს მათ თანასწორ დირექტულებებს, მათ თანაბარ შესაძლებლობებს პედაგოგიკის პრობლემების დაუქნებასა და გადაჭრაში, მათ თანაბარ ძალებს ამ პრობლემის ისე დასაძლევად, რომ დარჩენებ ბოლომდე ერთგული თავიანთი ამოსავალი პოზიციისა.

კრიტიკულ ანალიზს, რამდენადაც ის აქ არის შესაძლებელი, ევალება ამ ორიდან რომელიმე ერთი სისტემის ამოსავალი წერტი-

ლის ერთგულება და მასში შინაგანი მთლიანობის აღდგენა. და მაინც, შეუძლებელია თავისუფლების მომენტის ისე შესუსტება ან უკანა პლანზე გადაწევა, რომ მისთვის ადგილი აღარ დარჩეს, ვინაიდან ამ დავის სიმძიმის ცენტრი სულაც არ დევს ცხოვრებისა და სამყაროს რელიგიური ჭეშმარიტების ან მცდარობის საკითხში, არამედ იმაში, თუ რას ვემსახურებით ჩვენ ცხოვრებაში – ღმერთს, თუ მას, რასაც სურს უდმერთოდ ან სულაც მის წინააღმდეგ ცხოვრება. იმ მზაკვრულ პოზიციას, რომელიც არც-თუ იშვიათად გვხვდება ამ ბოლო დროს, და როდესაც გვიმტკიცებენ, რომ ურელიგიო მსოფლმხედველობა სულაც არ ნიშნავს ანტირელიგიურ პოზიციას, – ცხადია, შეუძლია ზოგიერთი ადამიანის ცდუნება, სინამდვილეში აქ მზაკვრობის მეტი არაფერია. ურელიგიო პოზიცია ან სრულიად უარყოფს ღმერთის არსებობას და ასეთ შემთხვევაში ის აუცილებლად იწყებს რელიგიის „გადმონაშობთან“ ბრძოლას; თუ არ უარყოფს ღმერთის არსებობას, რჩება ურელიგიო პოზიციად და უტოვებს ადამიანს იმის თავისუფლებას, რომ არ ემსახუროს ღმერთს. ანუ თავისი არსით ეს არის „ლოიალურობის“ ნიდაბს ამოფარებული ბუნტი. Tertium non datur სფერო და „ნეიტრალური“ კულტურის მთელი იდეა (მეცნიერების, ხელოვნების, ტექნიკის და ა.შ.) ისე დაუნდობლადაა განდევნილი ცხოვრებისგან, რომ არც კი ლირს მასთან დავა. „ნეიტრალური“ კულტურის მოჩვენებითობა არ უარყოფს იმას, რომ არსებობს რელიგიური და არარელიგიური მსოფლმხედველობისთვის (თუნდაც არაერთნაირად გაგებული) თანაბრად ძვირფასი საწყისები: კერძოდ, თავისუფლება. სადაც არ არის თავისუფლება და არის ფანატიზმი, ორივე პოზიციის აზრით, იქ ხდება კულტურის დამახინჯება. თანამედროვე „იდეოკრატიის“ ფანატიზმი (საბჭოთა იდეოკრატების მეთაურობით), ისევე მიუღუდებელია, როგორც ისტორიისგან ძალაგამოცლილი რელიგიური ფანატიზმი, რომელიც დღემდე გვხვდება სხვადასხვა სექტანტურ მიმდინარეობებში. მაგრამ თუ თავისუფლება ორივე კულტურისთვის ძვირფასია, მაშინ, რა თქმა უნდა, თავისუფლების არსი, მისი იმპერატივები რელიგიურ მსოფლმხედველობაში სულ სხვა-გვარად იჩენენ თავს, ვიდრე არარელიგიურ სისტემებში.

6. საჭიროა იმის ღიად აღიარება, რომ პედაგოგიკის რელიგიურად დასაბუთებას არ ეთანხმება თანამედროვე პედაგოგების უმრავლესობა, ხშირ შემთხვევაში ისინიც კი, ვინც თვითონ არის რელიგიური. ერთი მხრივ, ეს უკავშირდება შუა საუკუნეების დასასრულის ევროპის კულტურული ცნობიერების საერთო რეაქციას; პედაგოგებში ეს რეაქცია, რომელიც მიმართული იყო ავტორიტარული სისტემის წინააღმდეგ, დღემდე მკვეთრად გამოიხატება, რაც არის იმის მიზეზი, რომ თანამედროვე პედაგოგებს ეშინიათ „მსოფლმხედველობითი“ მითითებების, ეს კი, თავის მხრივ, თავისუფალ აზრზე ძალადობისთვის უხსნის გზას ფანატიზმს. მეორე მხრივ კი, პედაგოგებს აქვთ თავიანთი განსაკუთრებული მოტივი, რომ თავისუფლების პრინციპში დაინახონ რადაც წმინდა და ძვირფასი: ისინი აღიარებენ, რომ მათი პირველი მოწოდებაა, ბავშვის თავისუფლების დაცვა, მათი ინდივიდუალობის გახსნის თავისუფლება. ეს არის ბავშვისთვის იმ უფლების მინიჭება, რომ მან „იპოვნოს საკუთარი თავი“, ბავშვის პიროვნების მიმართ უყველგვარი ძალადობის ზიზღი პედაგოგებში აღძრავს თავისუფლების პრინციპის დაცვასთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ მონდომებას.

ბავშვის განვითარებაში მისივე თავისუფლების დაცვა სულაც არ ეწინააღმდეგება პედაგოგიკის რელიგიურ დასაბუთებას, პირიქით, ის სწორედ მასში იძენს მისთვის შესაფერის აზრს. უპარ დროა, თავისუფლების გაგებისას ადარ დავვერდნოთ შუა საუკუნეების ავტორიტარულ სისტემას – დღეისათვის კათოლიციზმიც კი შორს არის თავისუფლების ისეთი გაგებისგან, როგორიც შუასაუკუნეებში იყო. საკმარისია ხელში ავიდოთ ნებისმიერი თანამედროვე კათოლიკური სახელმძღვანელო, რათა დავრწმუნდეთ იმაში, რომ თავისუფლების პრინციპი აღიარებული და პატივდებულია არანაკლებ, ვიდრე ეს პედაგოგიკის რომელიმე ურელიგიო სისტემის მიერაა პატივდებული<sup>16</sup>. როცა

<sup>16</sup> იხ. მაგ. Bopp „Die erzieherischen Eigenwerte d. kathol. Kirche“. 1928, (S. 155-166) ან J. Dermine „L'éducation chretienne de la personalite“. Bruxelles, 1932. იხ. ასევე ძალიან საინტერესო წიგნი Pfligler „Die padagogiche Situation“. Wien, 1932, ასევე Lippert „Der katholische Mensch“ (1923). კათოლიკურ პედაგოგიკა-

რუსი პედაგოგები ეწინააღმდეგებიან პედაგოგიკის რელიგიურ დასაბუთებას და ამაში ხედავენ ამ „ძლევამოსილი ეპოქის“ გარევნილებას – ეს მხოლოდ გაუგებრობაა და სხვა არაფერი. სკოლის პოლიტიკურ იარაღად ქცევა სულაც არ უკავშირდება აღზრდის პრობლემებისადმი რელიგიურ მიდგომას. დღეისათვის სკოლის დამონქაბა, რაც ახასიათებდა „ძლევამოსილების ეპოქას“ სხვადასხვა იღეოკრატიული სისტემების მიერ, ყოველივეს აღემატება, - საკმარისია იმის მითითება, რაც ხდებოდა საბჭოთა სკოლებში. ასეთსავე გაუგებრობას აქვს ადგილი იმათ ცნობიერებაში, ვისაც ეშინია სკოლისა და ეკლესიის სიახლოვის და ფიქრობს, რომ არ შეიძლება სკოლის სასულიერო მოდგაწეთა ხელში ჩაგდება, რომელთა კრიტიკოთაც არასოდეს იღლებოდნენ და იღლებიან. ჩვენ არაფერში გვაძლევს ხელს სასულიერო პირთა დაცვა, თუმცა ისინი არც საჭიროებენ ამას, უბრალოდ აუცილებელია აქ ერთი არსობრივი უზუსტობის თავიდან აცილება. პედაგოგიკის რელიგიური დასაბუთება უფრო აკავშირებს სკოლას ეკლესიასთან, თუმცა, არ აექნებს მას აღმინისტრაციულად მის მორჩილებაში (იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეკლესიის ცნება არასოდეს იგივება დასის, კრებულის ცნებასთან). პედაგოგიკის რელიგიური დასაბუთება სულაც არ გულისხმობს „ძლევამოსილების ეპოქაში“ დაბრუნებას, (რომელმაც პოლიტიკური მოტივით დაამახინჯა რაჩინსკის შესანიშნავი იდეები). უკვე დროა, რომ ყოველივე აქედან გამომდინარე, უარი ვთქვათ ძველ ცრურწმენებზე, რომელთა საფუძველშიც იდო პოლიტიკური ფაქტორები და რომლებსაც დღეისათვის დაკარგული აქვთ ყოველგვარი მნიშვნელობა. პედაგოგიკის რელიგიური დასაბუთება სულაც არ ნიშნავს „დაბრუნებას“ სასკოლო საქმის რომელიმე ადრინდელ სისტემასთან. ამ მიმართულებით არაფერია სადაც, ვინაიდან თვითონ ცხოვრება გვასწავლის ამგვარ საგნებზე სხვაგვარ დამოკიდებულებას. თუ გამოვრიცხავთ ამ ზედაპირულ და

---

ში სწავლება ავტორიტეტის შესახებ ძალიან შორს დგას ავტორიტეტისა და თავისუფლების ურთიერთობის მართლმადიდებლური გაგებისგან (იხ. ამის შესახებ ჩვენი ნაშრომის მეორე ნაწილში), თუმცა ახალი კათოლიკოზმი იზიარებს თავისუფლების ცნების მართლმადიდებლურ პრინციპს.

ინერციით ჯერ კიდევ მოქმედ ეჭვებს, - პედაგოგების „უნდობლობაში „პედაგოგიკის რელიგიური დასაბუთების“ მიმართ მაინც არის ღრმა „შინაგანი სეცულარიზმი“, რომელსაც სურს სკოლისა და პედაგოგიკის სრული „ავტონომია“.

7. აქ ყველაფრის მიზეზი არ არის ისტორიული უზუსტობა და შეასაუკუნეების ეპლესის სახელით თავისუფლების ფეხ-ქვეშ გათელვის ის რეაქცია, რომელიც ყველა სახის სეცულარიზაციის მთავარი მიზეზი იყო. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ იმის შესახებ, რომ არა მხოლოდ პედაგოგიკისთვის, არამედ კულტურის ნებისმიერი სფეროსთვისაც, არ შეიძლება ჩავთვალოთ სეცულარიზება მხოლოდ უარყოფით მოვლენად, მხოლოდ რეაქციად შეასაუკუნეების მოწინავე აზრის წინააღმდეგ. რათა გავიგოთ (და არა მხოლოდ განვსაჯოთ) სეცულარიზაციის გამოვლინებანი, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ იმ დადებითი შემოქმედებითი პათოსის შესახებ, რომელიც სულს ჩაუდგამს თანამედროვე კულტურულ პროცესებს. სეცულარიზაციის ეს შემოქმედებითი და ნაყოფიერი ფესვები გაიდგმულია ადამიანისადმი რწმენაში, მისი შემოქმედებითი ძალისადმი რწმენაში, პროგრესისკენ სწრაფვაში, ისტორიის, როგორც პროგრესის გზისა და ძალისადმი რწმენაში. თავისთავად, ეს რწმენა არათუ არ უპირისპირდება ქრისტიანობას, არამედ გარკვეული დამატებების საშუალებით ის წარმოადგენს ქრისტიანობის ბირთვს, რომელიც დაფუძნებულია დავთის განხორციელებასა და გარდაცვალებით ადამიანის ცხონებაზე მაცხოვრის სიკვდილით და აღდგომით. ქრისტიანობა არა მარტო აღამაღლებს ადამიანს ბუნებაზე, არა მარტო ეხმარება მას მისი სამეუჯეო მნიშვნელობის შემეცნებაში, არამედ განღმრთობის თვალსაზრისით აფართოებს მის მეუფებას კოსმოსის საზღვრებს მიღმაც, ვინაიდან ადამიანს მიცემული აქვს „დავთის შვილებად ყოფნის მეუფება“ (იოან. 1,12). ქრისტიანობა არის არა მხოლოდ კაცობრიობის გადარჩენა, არამედ გარკვეული გამოცხადება ადამიანის, მისი მომავალი ბედის, ეკლესიის შესახებ, რომელიც ამავდროულად არის ქრისტეს სხეული, სხეული ღმერთკაცისა, „შეცურწყმელი და განუყოფელი“ ერთიანობა დავთაებრივი და კაცობრივი საწყისისა. ქრისტიანობამ მეტი იცის

ადამიანის შესახებ, მეტად სწამს, უფრო ღრმად ესმის მისი, ვიდრე ჩვენ მიერ ზემოთ მოგანილ განათლების ფილოსოფიის ფორმელას. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ქრისტიანულ ანთროპოლოგიაში, ისე, როგორც ის განვითარდა დასავლეთში (განსაკუთრებით პროტესტინიზმში), სწავლებამ პირველქმნილი ცოდვის შესახებ, რომელიც ასე მნიშვნელოვანია ადამიანის „ამოცანის“, „საიდუმლოს“ გასაგებად, რიგ შემთხვევებში დაახმო ქრისტიანული გამოცხადების სისავსე ადამიანის შესახებ. პირველყოფილი ცოდვის სწავლების გარეშე, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ადამიანის გააზრება მისი შინაგანი ცხოვრების დინამიკაში<sup>17</sup>, თუმცა ამ სწავლებამ არ უნდა გადაფაროს სხვა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი სწავლება - ადამიანზე, მასში დათის ხატების შესახებ. ქრისტიანული დასავლეთის დოგმატიკა არასოდეს ივიწყებდა ამას, თუმცა ცხოვრებისეულ და მორალურ თვითშეგნებაში ის მეტისმეტად დამძიმებულია პირველქმნილი ცოდვით. დასავლეთ ევროპის ისტორიის განსაკუთრებული დიალექტიკით, ადამიანისადმი რწმენა ნელ-ნელა აღდგა საერო კულტურაში, ფილოსოფიაში; ის აქ იქცა ურელიგიო კულტურის საყრდენად, თუმცადა, ის მაინც იყო მივიწყებულ ჭეშმარიტებასთან დაბრუნება, დაბრუნება ადამიანის შესახებ დავიწყებულ გამოცხადებასთან. სწორედ ეს რწმენა შთაგონებდა XVIII–XIX საუკუნის კულტურის მოღვაწეებს. ამ აზრმა თავის აპოგეას მიაღწია რუსოსთან, რომელმაც პირველმა შეიგრძნო ბავშვის სულიერი სამყაროს სილამაზე და ამით შეგვახსენა ბავშვებისადმი ახალ-აღთქმისეული დამოკიდებულება. ეკლესიას მუდამ ახსოვდა მაცხოვრის სიტყვები ბავშვების შესახებ, მას არასოდეს უქცევია იგი ანთროპოლოგიის ცენტრად. ბავშვობის ასაკისადმი, მისი თავისებურებებისადმი და განსაკუთრებული ფსიქიური სტრუქტურისადმი ყურადღება ჩნდება მხოლოდ XVIII საუკუნეში, და ამ საკითხს ამომწურავი პასუხი გაეცა XIX საუკუნეში, როცა

<sup>17</sup> ამის შესახებ ძალიან ბევრი ფასეული ფურცელი დაიწყრა Fr. Foerster-ის მიერ წიგნში “Religion und Charakterbildung”. ი. ასევე E. Kurz “Moderne Erziehungsziele und der Katholizismus” (1927) და Brunner-ის ეტიუდი “Die biblische Psychologie” (ხტატიების კრებულში “Gott und Mensch” (1930).

დაიბადა განსაკუთრებული მეცნიერება ბავშვის სულიერი სამყაროს შესახებ. ოუმცა, სწორედ XVIII საუკუნეს მიეწერება უზარმაზარი დამსახურება, რასაც ჰქვია ანთროპოლოგიის ახალ-აღთქმისეულ მოტივებთან დაბრუნება – აქ რუსოს სწავლებას ბავშვის სულიერი სამყაროს შესახებ უერთდება „მთლიანობის“ თეორია, რომელსაც თავის ესთეტურ თეორიებსა და ანთროპოლოგიაში ავითარებდა შილერი. მისმა იდეებმა ცოცხალი გამოხმაურება პპოვა სწორედ რუსულ რელიგიურ-ფილოსოფიურ აზროვნებაში. რა თქმა უნდა, XVIII საუკუნე ცხოვრობდა არა მხოლოდ ადამიანისა და კაცობრიობის მიმართ სიყვარულით, არამედ ის უარყოფდა ყველაფერ სუპრანატურალურს. დადებითისა და ნეგატიურის აღრევით, გარკვეული ძირეული ორაზროვნებით გამოირჩევა ნატურალიზმი ანთროპოლოგიასა და პედაგოგიკაში, – და, სამწუხაროდ, ამ ორაზროვნებაში დევს მიზეზი იმისა, რომ პედაგოგიურ აზროვნებაში ნატურალიზმი ასეთი სიცოცხლისუნარიანი და გავლენიანი აღმოჩნდა.

8. პედაგოგიკის განვითარებას თან სდევდა იმ საკითხების პირველ რიგზე წამოწევა, რაც ამართლებს მის რწმენას ბავშვის სულიერი სამყაროსადმი. სწორედ ამ რწმენას ემყარება ბავშვის ცხოვრებაში პედაგოგიური ჩარევის მთელი არსი. მაგრამ პედაგოგიური ნატურალიზმის ორაზროვნებას, რომელიც ცოტა ხნის წინათ აღვნიშნეთ, რომელიც გვხვდება განსაკუთრებით რუსოსთან, ხოლო შემდგე მის მიმდევრებთანაც, მივყავართ იქთ, რომ ბავშვის სულიერი სამყაროს მიმართ რწმენამ უნდა მიგვიყვანოს პირველქმნილი ცოდვის დავიწყებამდე ან სულაც მის აღმოფხვრამდე. ამის ასენა უნდა ვეძებოთ იმაში, თუ რატომ გამოეყო უახლეს კულტურაში აღზრდის თქმა სულის ცხონების თემას. ამ გათიშვამ თრ თემას შორის, რომლებიც არსით ძალიან ახლოა ერთმანეთთან, საბედისწეროდ იმოქმედდა პედაგოგიკის განვითარებაზე. ბავშვის აღზრდა განიხილებოდა გადარჩენის თემისგან დამოუკიდებლად, ბავშვის მომზადება ამ ცხოვრებისათვის განიხილებოდა მარადიული ცხოვრებისგან დამოუკიდებლად. თუკი კანტთან ჩვენ განსაკუთრებული სიძლიერით გვესმის ადამიანის ბუნების უკიდურესი ბოროტების

მოტივი (რუსოს საპირისპიროდ, რომელიც ავითარებს აზრს ადამიანის უკიდურესი სიკეთის შესახებ), მის ანთროპოლოგია-სა და პედაგოგიკაში ეს მოტივი საერთოდ არ ფიგურირებს. პედაგოგიკის თქმამ თავისი არსით გვერდი აუარა ცხონების შესახებ ქრისტიანულ სწავლებას, – შესაბუნების კულტურული რეაქციის გარდა, ამის მიზეზი იყო ადამიანის შესახებ ქრისტიანული გამოცხადების ნაწილობრივი გადმოცემა და ამ ქრისტიანული სისტემის ნატურალისტურ სისტემაში გააზრება. სწორედ ის, რომ ადამიანის და ბავშვის რწმენა ფორმულირდებოდა ნატურალიზმის ტონებში (თუმცა ეს რწმენა თავისი წარმოშობით არის ქრისტიანული), ნათლად გვიხატავს იმ არეულობას, რომელშიაც იყო რელიგიური თუ ანტირელიგიური მოტივები კულტურული ცნობიერების ჩამოყალიბებისას. მხოლოდ დღეისათვის, როცა სწავლება ადამიანის შესახებ უბრუნდება იმ იდეებს, რომლებიც არის საფუძველი ქრისტიანული ანთროპოლოგიისა, უფრო ნათელი ხდება ქრისტიანობის იდეა, ძირითადი პედაგოგიური ინტუიციის ქრისტიანული არსი<sup>18</sup>. ამის გარეშე შეუძლებელია „დაბრუნება“, პედაგოგიური სინდისის შინაგანი „მიმართვა“ (რაც ძალიან მნიშვნელოვანია) პედაგოგიური შემოქმედებითობისა ქრისტიანობისაკენ. ის, რომ პედაგოგიური ცნობიერება თავის თავში ინახავს, როგორც ინტუიციებს, ასევე „კატეგორიულ იმპერატივებს“, არის ის იშვიათი რამ, რომელზე უარის თქმაც ანგრევს ბავშვის ცხოვრებაში „ჩარგის“ უფლებას, შიგნიდან ანგრევს პედაგოგიურ შთაგონებას. და ყველაფერი, რაც შინაგანად არ უკავშირდება ამ შთაგონებას, არ შეიძლება იყოს პედაგოგიური აზროვნების ორგანული ნაწილი. ამიტომაც პედაგოგიკის რელიგიური დასაბუთების საკითხი, უპირველეს ყოვლისა, არის შინაგანი ნათესაობის შეცნობის, შინაგანი და ორგანული სიახლოვის, პედაგოგიური ინტუიციებისა და რელიგიური სფეროს ერთიანობის საკითხი. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პედაგოგიკისა და რელიგიური აზრების ერთმანეთში იდეური ურთიერთშედებების პრობლემა

<sup>18</sup> იხ. ჩემი ეტიუდი „ადამიანში დვთის ხატების შესახებ“. მართლმ. აზრი. II გამოცემა.

თავისთავად არის ნაწილი პირველი თემისა (პედაგოგიური ინტუიციისა და რელიგიური შემეცნების თემისა), რომ რელიგიურ იდეალებთან მიმართებაში პედაგოგიური აზროვნების დიალექტიკას არ აქვს საკუთარი კანონზომიერებანი. თუმცა, ნების-მიერი იდეური სიახლოევე პედაგოგიური და რელიგიური აზრისა, თუ ის არ არის ინტუიტიური, განწირულია იმისათვის, რომ დარჩეს მხოლოდ გარეგნულ, ხელოვნურ და ამის გამო უნაყოფო აზრად.

9. პედაგოგიკურ ინტუიციასა და რელიგიურ შემეცნებას შორის შინაგანი სიახლოებისა და ორგანული კავშირის აღმოჩენა გულისხმობს პირადი რელიგიური ცხოვრებისა და ნამდვილი პედაგოგიური შთაგონების განვითარებას. სამწუხაროდ, სულიერი „მოკვდინებით“, რომელიც პირდაპირ კავშირშია კულტურული მონაპოვრისა და ეკლესიის ერთმანეთისგან გათიშვასთან, პედაგოგთა მთელი თაობები – ისინიც კი, ვინც მორწმუნე ადამიანებად რჩებოდნენ, – დაბეჯითებით მიჯნავდნენ ერთმანეთისგან თავიანთ პედაგოგიურ ინტუიციებსა და ცხოვრების რელიგიურ აღთქმას. სწორედ ამის საფუძველზე ეთანხმებოდნენ ისინი პედაგოგიკის „ავტონომიურობის“ იდეას, მათ დრმად სჯეროდათ, რომ პედაგოგიური კატეგორიები და რელიგიური აზროვნება მყაცრად უნდა გამიჯნულიყო ერთმანეთისგან.

დღეს ჩვენ ნაკლებად ვიჩენთ სეკულარიზებული კულტურისადმი სექტანტურ ერთგულებას, ვინაიდან სულ უფრო დრმად და ფართოდ იშლება ჩვენ თვალწინ ქრისტიანობის ძალა და სიმართლე, ჩნდება ახალი ნიადაგი რელიგიური დასაბუთებისა და გაშუქებისთვის. ეს თემა ჯერ ისევ ახალია, ამიტომაც მის განხილვას ჯერ კიდევ ბევრი ეკიდება შიშითა და სიფრთხილით, ეს მომდინარეობს ჩვენი ცნობიერებიდან და არის მთელი ცხოვრების არსი. საჭიროებს კი ეს აზრი განვრცობას, რომ იმ რელიგიური სისტემებიდან, რომლითაც ცოცხლობს თანამედროვე სამყარო, მხოლოდ ქრისტიანობას ხელეწიფება ნაყოფიერი გახადოს პედაგოგიური აზრი, მხოლოდ მას შეუძლია პედაგოგიკურ ინტუიციასთან შეხორცება? კველაზე მაღალი ფორმა არაქრისტიანული რელიგიური ცნობიერებისა – არის ძველ-

ადთქმისეული იუდაიზმი, რომელიც (უძველეს დროში) თუმცა  
გრძნობდა ადამიანის საიდუმლოს<sup>19</sup>, მაინც მეტისმეტად იყო  
დამონებული კანონს, ცხოვრების შეფასებისას სარგებლობდა  
უტილიტარიზმით, წინასწარმეტყველთა გამოცხადებებში ის მაინც  
მიღიოდა იმ აზრამდე, რომ რელიგიური პრინციპით შესაძლე-  
ბელია ცხოვრების გასხივოსნება. ძველ ადთქმას მიეცა მესია-  
ნისტური მოლოდინი, მას არ მისცემია გამოცხადება დმერთ-  
კაცის შესახებ - რომელიც უმნიშვნელოვანესია პედაგოგიური  
აზრის გასაცნობიერებლად. სხვა რელიგიებს შორის ინდუ-  
იზმა ბევრი მნიშვნელოვანი და არსობრივი რამ იცოდა ადამიანის  
შესახებ, რომელიც დღეისათვის რამდენადმე მოდიფიცირებუ-  
ლი ფორმით გვხვდება თეოსოფიასა და ანთროპოსოფიაში.  
დღეისათვის ის ქრისტიანობის ერთადერთი სერიოზული მეტო-  
ქეა, რა თქმა უნდა, არა საღვთისმეტყველო ან მეტაფიზიკური  
კუთხით, არამედ ადამიანის შესახებ სწავლებით, მისი შინაგანი  
შემადგენლობის, მისი განვითარების დინამიკისა და ფაქტორე-  
ბის თვალსაზრისით. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ თეოსო-  
ფიამ, განსაკუთრებით კი ანთროპოსოფიამ, ბევრი რამ შესძინა  
პედაგოგიურ აზროვნებას, გაამდიდრა პედაგოგიური შთაგონე-  
ბა; ისინი საკმაოდ მოქნილები და უფორმონი არიან (ისევე,  
როგორც ეკლექტიზმის ნებისმიერი ფორმა) და ამდენად „მო-  
სერხებულად“ ერგებიან სხვა სწავლებებს. მათი ძირითადი „დე-  
ვაქტი“ არის არა ის, რომ ისინი რელიგიები არ არიან, არამედ  
ისინი ნამდვილი რელიგიების ხარჯზე პარაზიტულად მცხოვ-  
რები ნახევრადრელიგიური სისტემები არიან. შედარებით მოგვი-  
ანებით პედაგოგიკის პრობლემების უფრო ფართოდ განხილ-  
ვისთვის ჩვენ დეტალურად განვიხილავთ ამ თანამედროვე მიმ-  
დინარეობათა მნიშვნელობას, რომლის ერთ-ერთ თეზისს ჩვენ  
მოვიხმობთ ერთ-ერთი მომდევნო თავის დასასაბუთებლად. აქ  
შეიძლება დავამატოთ, რომ როგორც რელიგიურ-ფილოსოფიუ-  
რი, ასევე პედაგოგიური თვალსაზრისით მიუდეველია პედაგო-  
გიური სისტემის დასაბუთება თეოსოფიის ან ანთროპოსოფიის

<sup>19</sup> იხ. წიგნი სიბრძნისა იქსო ძისა ზირაქისა და სიბრძნე სო-  
ლომონისა.

მეშვეობით. რელიგიური გონიერისათვის მიუდებელია თეოსოფიისა და ანთროპოსოფიის რელიგიური იდეები; ისინი ვერ აქმაყოფილებენ პედაგოგიურ ძიებებს იმიტომ, რომ დრმად იმპერსონალისტურები არიან.

10. როცა წინასწარ კთანხმდებით იმაზე, რომ მხოლოდ ქრისტიანობას შეუძლია განმარტოს და გაისიგრძეგანოს ის, რაც გვეძლევა უშეალოდ პედაგოგიური ინტუიციით, აქვე უნდა იყოს გათვალისწინებული ქრისტიანობის სხვადასხვა აღმსარებლობის არაერთგვაროვანი პოზიციაც. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქრისტიანული აღმსარებლობების ერთმანეთთან უთანხმოება უმეტესად უკავშირდება სუფთა დოგმატურ საკითხებს, ისინი არ კმაყოფილდებიან მხოლოდ დოგმატიკის საკითხებით და აღწევენ ცხოვრების ყველა სფეროში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ადამიანის შესახებ სწავლებაში არსებული განსხვავებანი: კათოლიციზმისა და პროტესტანტიზმის ქრისტიანული ანთროპოლოგია ძირეულად განსხვავდება ადამიანის შესახებ მართლმადიდებლური სწავლებისგან. აქ აბსოლუტურად უადგილოა კრიტიკული ან პოლემიკური შედარება ადამიანის შესახებ სწავლებისა მართლმადიდებლური დასავლეთის ქრისტიანობის ანთროპოლოგიასთან. მოცემულ წიგნში მხოლოდ მართლმადიდებლური კუთხით ვუდგებით ადამიანის შესახებ სწავლებას, ბავშვის სულიერ სამყაროსთან პედაგოგიურ მუშაობას. მხოლოდ იმას ადვინიშნავთ, რომ მართლმადიდებლობა ამ საკითხებში ყველაზე ახლოს დგას სახარებასთან, ყველაზე ღრმად და ძირეულად გვასწავლის ადამიანის მიმართ ისეთ დამოკიდებულებას, როგორიც გვასწავლა ქრისტემ<sup>20</sup>. განსეთქილება ეკლესიაში, რომელმაც გახლია ქრისტიანული სამყარო, ძალიან ღრმად აისახა ქრისტეს ეკლესიის ურთიერთობაზე სამყაროსთან, კულტურასთან, ისტორიასთან. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ სხვადასხვა ქრისტიანულ აღმსარებლობაში ქრისტიანული კულტურის პრობლემები სხვადასხვაგვარად დაისვა და გადაიჭრა.

<sup>20</sup> W. R. Inge ("Christian Ethics and Modern Problems". London, 1930) სამართლიანად აღნიშნავს, რომ კათოლიციზმიც და პროტესტანტიზმიც შორს არიან ადამიანის შესახებ სახარებისეული გაგებისგან.

როგორც ადრე, ასევე დღესაც კათოლიკური კულტურა<sup>21</sup> ცდილობს ადამიანთა გონიერის დაპყრობას, - ამით საზრდოობს პროტესტანტული კულტურაც, რომელიც ისტორიული პირობებიდან გამომდინარე ნამდვილად არის ძალიან მრავალფეროვანი<sup>22</sup>. რაც შექება მართლმადიდებლური კულტურის იდეას, ის ადრე ძალიან სუსტი იყო – თუმცა მთელი XIX საუკუნის განმავლობაში (რუსეთში მაინც) მართლმადიდებლური პრობლემების გაშუქებას ცდილობდნენ იმდროისათვის ყველაზე გამოჩენილი ადამიანები – გოგოლი, დოსტოევსკი, ვლადიმერ სოლოვიოვი<sup>23</sup>. ახლა მოვიდა დრო მართლმადიდებლური კულტურის შემოქმედებითი განვითარებისათვის, რომლის საზღვრებშიცაა მოქცეული მართლმადიდებლური პედაგოგიკის მთელი სისტემა.

11. ეს ჩანაფიქრი, რომელიც მიზნად ისახავს პედაგოგიკის პრობლემების ორგანულ კავშირს სულიერ სამყაროსთან და მართლმადიდებლობის ძირითად საკითხებთან, მჭიდრო კავშირშია მართლმადიდებლური კულტურის სისტემის ჩამოყალიბების საერთო ამოცანებთან. ამ იდეით სკოლის განმსჭვალვა, მისი განხორციელება პედაგოგების მიერ, სასკოლო და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი საქმიანობის გადაყვანა მართლმადიდებლური კულტურის რელიებზე – არის გრანდიოზული და უმნიშვნელოვანები ამოცანა. თუ ამ მიმართულებით არაფრის გაკეთება არ არის შესაძლებელი, მაშინ ფუჭია ყველა თეორიული მსჯელობა და ორგანიზაციული წამოწყებები, ვინაიდან ჯერ კიდევ სასკოლო მერხიდან იწყება ბაგშვისთვის თანამედროვე „კულტურის დუალიზმის“ ჩაგონება<sup>24</sup>. რა თქმა უნდა, აქ საუბარიც არ არის

<sup>21</sup> იხ. Actia catholica ყველა მოძრაობა. ამ მხრივ საინტერესოა წიგნი “Die Wiederbedeutung d. Kirche und d. Kultur” (Mush’ა-ს პატივსაცემად გამოცემული კრებული, რედაქტორი “Hochland”).

<sup>22</sup> კულტურის საერთო პრობლემები პროტესტანტული თვალსაზრისით განიხილა ტილიხმა. მრავლისმომცველია Ad. Kelleri-ს წიგნი “Dynamic”, რომელშიც საინტერესოდა ასახული ამერიკული პროტესტანტული კულტურა.

<sup>23</sup> იხ. ჩემი წიგნი „რუსი მოაზროვნები და ეკროპა“, ასევე ჩემ მიერ გამოცემული კრებული „მართლმადიდებლობა და კულტურა“.

<sup>24</sup> იხ. ჩემი ეტიუდი „კულტურული დუალიზმის შესახებ“. თანამედროვე ჩანაწერები №37.

იმის შესახებ, რომ „მართლმადიდებლური სკოლა“, რომელიც ასევე კვლევა-ძიების თემაა, უნდა დაინგრეს სახელმწიფო დეპ-რეტების შედეგად. როცა ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ჩვენ მივისწრაფით „ახალი“ სკოლისკენ, რომელიც შინაგანად, და არა გარეგნულად, იქნება ქრისტიანობის სულით გაქცენთილი, რომლის თავიც იქნება ეკლესია, და არა მისი ხელისუფალი, ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ კერძო ინიციატივებსა და ცალკეული ჯგუფების წამოწყებებს. ჩემი მიზანია მართლმადიდებლური კულტურის ამაღლება; იმ კულტურისა, რომელიც გამსჭვალული იქნება მართლმადიდებლური სულით და რომელიც თავის ცნობიერებაში განამტკიცებს ამ კავშირს, – მართლმადიდებლური კულტურის „აუნძულებებმა“ თუ ოაზისებმა თავისი სიმართლითა და მომხიბოვლებით შინაგანად უნდა დაიპყროს ადამიანთა სულები. წარმოუდგენელია ერთიანი, რელიგიური სკოლა ისე-თი გარემოს გარეშე, სადაც „სასკოლო გარემოს“ ორგანიზაცია შინაგან კავშირშია ამ სკოლასთან. თუმცა ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ თვითონ სკოლას შეუძლია ახალი სკოლის საფუძვლის ჩაყრა, მისი სოციალური გარდაქმნა, ადგანან პედაგოგიური უტო-პიზმის გზას. სკოლა არ შეიძლება იყოს სოციალური გარდაქმნის საფუძველი, თუმცა ის საჭიროებს ცოცხალ და სულიერად ჯანსაღ სასკოლო გარემოს. ორივე ამოცანა – სოციალური გარდაქმნა და შესაფერისი სასკოლო გარემოს შექმნა – განუყოფელია ერთმანეთისგან, მაგრამ მთელი სიმძიმე ამ ამოცანისა უნდა იტვირთოს არა სკოლამ, არამედ საზოგადოებამ, უფრო სწორად, იმ სოციალურმა ჯგუფმა, რომლისთვისაც რელიგიური ფერისცვალების იდეა ემსახურება ამ იდეის სიმართლეს, იგი არ უნდა იქმნებოდეს უტილიტარული მოტივებით.

12. მინდოდა შესავალშივე ძალიან მოკლედ შევხებოდი თუ რა კავშირშია ეს წიგნი ძველ რუსულ პედაგოგიკასთან.

რუსულ პედაგოგიკას გააჩნია გარკვეული თავისებურებები, რომლებიც ჯერ კიდევ არაა საკმარისად შესწავლილი და გარკვეულ გაუგებრობასაც იწვევს (იხ. მაგალითთისთვის კაპტერევას რუსული პედაგოგიკის ისტორიის სახელმძღვანელო და სხვები) XIX საუკუნის რუსეთის სულიერი კულტურის საკითხებთან მიმართებაში. სადა-

ვო არ არის, რომ რუსული პედაგოგიკის მამამთავრად მიიჩნევა უშინსკა<sup>25</sup>, ვისი სინთეზური ნიჭის წყალობითაც შუქდებოდა ის ჩანაფიქრი, რომელსაც დღესაც იყენებენ პრაქტიკაში მოაზროვნე პედაგოგები. პირადად მე, დღემდე ვრჩები უშინსკის შემოქმედების, მისი ინტუიციურის მოზიარედ. მეორე ახლო და ძვირფასი მეგობარი ძველი რუსული პედაგოგიკიდან ჩემთვის არის რაჩინსკი, ვის სახელსაც მოწიწებით უნდა იხსენიებდეს ყველა, ვინც ეთანხმება პედაგოგიკის რელიგიური მიმართულების იდეას. ამ ორი სახელის გარდა ჩვენს პედაგოგიკას პირდაპირი წინამორბედი არ ჰყავს, თუმცა ჩემი წილი დამსახურება მეც მიმიდღვის რუსული პედაგოგიკის აღორძინების საქმეში. ჩემი მთავარი იდეა იყო – ერთიანი სინთეზისა და ორგანული სისტემის იდეა, რომელიც მართლმადიდებლობის წიაღიდან იქნებოდა აღმოცენებული და მოიცავდა ამ მიმართულების მთელ რეალობას და, ამავე დროს, ის იქნებოდა იდეის „დიალექტიკურად“ დამასრულებელი სვლა პედაგოგიკის განვითარების საქმეში. საუბარია არა იმაზე, რომ ხელოვნურად შევუკავშიროთ მართლმადიდებლური იღები თანამედროვე პედაგოგიკის პრობლემებს და მსჯელობებს, არამედ იმაზე, რომ გავაშუქოთ შინაგანი კავშირი თანამედროვე პედაგოგიკური აზრის, აღამიანის სწავლების ჭეშმარიტი და სერიოზული მიღწევებისა იმ სიღრმისეული ხედვით, რომელსაც გვთავაზობს ქრისტიანობა. ეს სინთეზი უნდა იყოს ორგანული და არა ხელოვნური; ნამდვილი და არა მხოლოდ სიტყვიერი; წინარე წიგნის მიზანიც სწორედ ის არის, რომ ჩამოვაყალიბოთ პედაგოგიკური სისტემა მართლმადიდებლობის შუქწე, ანუ გავაშუქოთ თანამედროვე პედაგოგიკის ყველა პრობლემა – აღამიანის, მისი შინაგანი სამყაროს, ბედის შესახებ იმ კუთხით, რომელსაც გვთავაზობს მართლმადიდებლური სწავლება.

<sup>25</sup> იხ. ჩემი ნარკვევი უშინსკის შესახებ წიგნში „რუსული კულტურის ხეროოთმოძვრები“. პრადა, 1926. ძალიან ვწუხვარ, რომ დღემდე ვერ მოვახერხე ეტიუდის მიძღვნა უშინსკისადმი, როგორც ფსიქოლოგისადმი.

**აღზრდის ძირითადი პროგლემები**

1. ვინაიდან დღეს უკვე თავისუფლად შეგვიძლია აღზრდის პრობლემების წამოჭრა და არ ვიზღუდებით მხოლოდ იმ საკითხებით, რასაც თავს გვახვევს სახელმწიფო და საზოგადოება, ჩვენი მოვალეობაა აღმოვაჩინოთ და განვავითაროთ ბავშვის პიროვნება, მისი თავისებურებები, გამოვავლინოთ მისი ნიჭი და ძალები. ამიტომაც პიროვნების ცნება არის პედაგოგიკის ცენტრალური ცნება, – რაც უფრო მეტად ხელმძღვანელობს პედაგოგიკა ამ ცნებით, მით უფრო ნათელი ხდება მისი მნიშვნელობა. შეიძლება დაეხმარო ბავშვს რაიმე ჩვევის განვითარებაში, გააცნო მისი ესა თუ ის მნიშვნელობა, როცა ცხოვრება აყენებს ასეთ მოთხოვნილებას, თუმცა პედაგოგიური თვალთახედვით ნათელზე ნათელი ხდება ის აზრი, რომ ნებისმიერი სააღმზრდელო პროგრამა უნდა იყოს ისეთი, რომ ეს ჩვევები არა გარეგნულად და მექანიკურად შეითვისოს პიროვნებამ, არამედ იქცეს მისი შინაგანი ბუნებისა და ცხოვრების ნაწილად. პედაგოგიურად ნაყოფიერად შეიძლება ჩაითვალოს იმ ჩვევებისა და ცოდნის შეთვისება, რომლებიც სასარგებლო იქნება პიროვნებისთვის. აღმზრდელის მიზანიც სწორედ ის არის, რომ გარედან მოსული შინაგანად განპირობებულ ძალად აქციოს. გარედან თავს მოხვეული ჩვევა აღზრდამ უნდა გადააქციოს შინაგანად აუცილებელ ჩვევად. „ინტროცეპციის“ პროცესი, როგორც მას ვ. შტერნი უწოდებს<sup>1</sup>, პიროვნებაში, მისი მოქმედებებისა და ძალების შინაგან სისტემაში ამკვიდრებს ისეთ განწყობებს, რაც ამ პიროვნებისთვის უცხოა. ამგვარად, პიროვნების უგულებელყოფა, მასში უპირობოდ რაიმე ჩვევის დანერგვა, არსებითად ნიშნავს პიროვნული საწყისის მოკვდინებას. ამ თვალსაზრისით, თანამედროვე

<sup>1</sup> W. Stern. “Menschliche Personlichkeit” (1923) S.58.

პედაგოგიკური ცნობიერება მთლიანად მიმართულია ბავშვის პიროვნებისკენ; მის კანონებში, მისი განვითარების რიგმში, მის უძლეურებაში ის ექებს სახელმძღვანელო მითითებებს ამა თუ იმ ხერხის გამოსამუშავებლად.

თუმცადა, პიროვნების ცნების მნიშვნელობა პედაგოგიკის-თვის არ ნიშნავს, რომ ის არის მისი უმთავრესი პრინციპი. არც მეტაფიზიკაში და არც ეთიკაში არ არის შესაძლებელი პიროვნების გააბსოლუტირება, ეს შეუძლებელია პედაგოგიკაშიც. პიროვნება დაკავშირებულია სოციალურ გარემოსთან, ის არის ბუნების წესრიგის ნაწილი, შინაგანი ცხოვრებით უკავშირდება დირებულებათა სამყაროს, ექებს საყრდენსა და სრულყოფილებას ღმერთში. პიროვნების ცნება აბსოლუტურ ხასიათს იღებს მხოლოდ დმერთოან მიმართებაში – პიროვნული საწყისი ადამიანში ყოველი მხრიდან არის შეზღუდული და დაკნინებული. მეტაფიზიკური ინდივიდუალიზმი<sup>2</sup>, ანუ ადამიანში პიროვნების პრინციპის აღდგენა აბსოლუტურ და თვითმყოფად საწყისად ეწინააღმდეგება სამყაროს ერთიანობასა და სისტემურობას, სადაც პიროვნებათა სიმრავლის მიუხედავად მაინც არსებობს ცოცხალი ურთიერთკავშირი და ურთიერთ დაქვემდებარებულობა. მორალურ სფეროში პიროვნება შეუძლებელია გახდეს აბსოლუტური: ღირებულებათა სფერო არ იქმნება პიროვნების მიერ, პირიქით, ის ქმნის და ასაზრდოებს პიროვნებას. ის, რომ პედაგოგიკაში პიროვნების ცნება იკავებს ცენტრალურ ადგილს, არ გვაძლევს უფლებას, რომ მას მივაწეროთ უმაღლესი მნიშვნელობა. აღზრდა, რა თქმა უნდა, მთლიანად მიმართულია პიროვნული ყოფიერებისკენ, მან არ იცის სხვა ყოფიერება, მისი მიზანი არ შეიძლება იყოს ბავშვის პიროვნების უარყოფა, მასში პიროვნული საწყისის დაკნინება. მაგრამ თუკი პიროვნების საწყისი ადამიანში არ არის აბსოლუტური, თუმცა არის თვითმყოფადი, თუკი ის არ გულისხმობს პიროვნებას, ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია ბავშვებში პიროვნების აღზრდაზე საუბარი. შეუძლებ

<sup>2</sup> ამ ფილოსოფიური მიმდინარეობის მცირერიცხვან წარმომადგენლებს შორის მე უპირატესად ფიხტე შმცროსს მივიჩნევ (იხ. მისი “antropologie”)

ბელია ვაქციოთ პიროვნების საწყისები რაღაც თვითმყოფად, ყველაფრისგან დამოუკიდებელ ძალად, გამოვაცალკევოთ პიროვნებია იმ ყველაფრისგან, რაც განსაზღვრავს მისი ცხოვრების არსეს.

2. პიროვნულ საწყისში, რომელიც თავის თავში არის აბსოლუტური, მაინც იგრძნობა აბსოლუტის ბრწყინვალება. ჩვენ ამის გარკვევას შევეცდებით ქრისტიანულიანული ანთროპოლოგიის სისტემის ჩამოყალიბებისას – თუმცა პიროვნების საწყისის თავისანისცემისას *quand même* თავს იჩენს აბსოლუტური ყოფიერების „სხივის“ შეგრძნება, რომელიც დავანებულია ადამიანში. ასე აღმოცენდა პედაგოგიკაში მიმდინარეობა, რომელიც ადამიანის ცხოვრების საზრისისგან დამოუკიდებლად აყენებს პიროვნების აღზრდის ამოცანას, – რაც წარმოადგენს პედაგოგიკის უმაღლეს თემასაც. ამ მიმდინარეობის თანახმად, აღზრდის არსს წარმოადგენს ის, რომ მიეცეს ბავშვის პიროვნებას მთელი ძალით, ბოლომდე „გახსნის“ საშუალება, მისი განსაკუთრებულობის და თავისებურების საფუძველზე დაეხმაროს და შემოქმედებითი სრულყოფილება მიანიჭოს მას, რაც მის სიღრმეშია ჩადებული. ამგვარად, პედაგოგიკის უმთავრეს პრინციპად პიროვნების ცნების ცენტრალურობა სახელდება. ამ თვალსაზრისით, აღზრდის მთელ სამუშაოს წარმოადგენს ის, რომ პიროვნებამ თავისუფლად შეძლოს თავისივე თავის შექმნა ისე, რომ მისი შემოქმედებითი ძალები არაფრით იყოს შეზღუდული. რადაც არ უნდა იქცეს პიროვნება, თუკი ის თავისუფლად ირჩევს თავის გზას და შვებას პოულობს მისსავე მიერ არჩეულ ცხოვრებაში, ეს პედაგოგების თვალში გამართლებულია, რადგან არ ირღვევა პიროვნების პრინციპის უმაღლესი მნიშვნელობა. ეს გადააქცევს აღზრდის ერთი შეხედვით უშინაარსო ამოცანას პიროვნების განვითარების ნამდვილ პრინციპად, იმისდა მიუხედავად, თუ რაში პპოვებს გამოვლინებას პიროვნების ცხოვრება. პიროვნების საწყისის ბრძა თაყვანისცემას მივყავართ პედაგოგიკური ანარქიზმისკენ, აღზრდის ობიექტური პრინციპების უარყოფისკენ – როგორც ეს ხდება სხვადასხვა მიმდინარეობების შემთხვევაში, ლ. ტოლსტიოსთან და მის სხვა მიმდევრებთან.

თანამედროვე პედაგოგების უმრავლესობა პიროვნების აღზრდის საკითხში თავისუფალია ფორმალიზმისგან. მათ სჯერათ შემოქმედებითი ძალების, რომლებიც ჩადებულია ბავშვის სულიერ სამყაროში, სულიერი ცხოვრების შინაგან ფაქტორებში. ისინი ცდილობენ, რომ უზრუნველყონ ბავშვის ჯანსაღი და ძლიერი შემოქმედებითი განვითარება გარკვეულ ფარგლებში. ერთნი ცდილობენ იმ ნიჭის განვითარებას, რომელიც კონკრეტულ ბავშვში ფსიქიკური ფუნქციების განსამტკიცებლად და გასაძლიერებლადაა ჩადებული, რომლის შედეგადაც ბავშვის პიროვნებას საკუთარი თავის ნათლად და მთელი სისრულით წარმოქნის საშუალება მიეცემა<sup>3</sup>. მეორენი უპირატესობას ანიჭებენ ბავშვში სოციალური ძალების განმტკიცებას, სოციალური ჩვევების სწავლებას, იმ ამოცანების წვდომას, რომლითაც ცხოვრობს საზოგადოება<sup>4</sup>. ამერიკაში უფრო მეტად ზრუნვავნ ბავშვის „ხასიათის“ ჩამოყალიბებაზე – იმის სწავლებაზე, თუ როგორ უნდა გაატაროს ადამიანმა ცხოვრებაში თავისი იდეები, როგორ უნდა გაინახორციელოს თავისი ჩანაფიქრი. ადამიანში შემოქმედებითობის განვითარება არის თანამედროვე პედაგოგიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იდეა, შეიძლება ითქვას, რომ ის არის უმაღლესი მიზანი, რომლისკენაც ისწრაფის თანამედროვე პედაგოგიკა. ამერიკის პედაგოგიკაში ამას ემარტება იმ კონკრეტული პირობების განმარტება, რომელ შიაც მიმდინარეობს შემოქმედებითი ძალების განვითარება – “Charakterbildung”, იმ ძალების ფორმირება, რომლებიც აუცილებელია პიროვნების შემოქმედებითი ჩანაფიქრის რეალიზებისთვის. იქ ხასიათის აღზრდა ნიშნავს იმის ცოდნას, თუ როგორ უნდა მიაღწიო<sup>5</sup> დასახულ მიზანს,

<sup>3</sup> აღზრდის კლასიკური თეორიის გარდა, რომელიც წამოაყენა სპენსერმა და რომლის ლოზუნგი იყო ჰარმონიული განვითარება, უხელესი პედაგოგიკა გარკვევით გამოხატავს „ფუნქციონალური“ აღზრდის პრინციპს (იხ. მაგ: M. Claparede “L’ education fonctionnel”).

<sup>4</sup> ნატორპისა და სოციალური პედაგოგიკის სხვა მიმდევრების სწავლებანი.

<sup>5</sup> რაოდენ ტიპიურია ამ საკითხისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი წიგნის სათაური - “King Irving’ Education for Social Efficiency”. „ხასიათის აღზრდა“ უდევს საფუძლად ფერსტერის წიგნს, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

როგორ გაითავისო ის ვითარება და ძალები, რომლებიც გვაქვს მოცემულ გარემოში.

აღზრდის ამოცანების ყველა ეს განსაზღვრება არ ითვალისწინებს „ზოგადად“ პიროვნების განვითარებაზე ან მისი ძალების „ჰარმონიულ“ აღმოჩენაზე<sup>6</sup> სუფთა ფორმალური ყურადღების კონცენტრირებას. აქ პირველ საქმედ დასახულია ესათუ ის კონკრეტული მიზანი, რომლის მიღწევაშიც ხედავენ პიროვნების კეთილდღეობას. ეჭვი არ არის, რომ ამ დროს პედაგოგიური აზრი გამსჭვალულია ბავშვებისადმი დიდი სიყვარულით, მათი მომავლის წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობით. ის ცდილობს მისცეს ბავშვს იმის მაქსიმუმი, რისი მიცემაც მას საერთოდ შეუძლია. აქ პედაგოგიური აზრი მიზნად ისახავს, რომ ბავშვში განვითარდეს ის ფუნქციები, რომლებიც გაუადვილებს მას თანამედროვე პირობებთან შეგუებას, გახდის მას ძლიერსა და შემოქმედებითს, გაათავისუფლებს მას შესაძლო კონფლიქტებისა და არასწორი მიმართულებებისგან.

ასეთ პედაგოგიკურ რეალიზმში ბეჭრი რამ არის ძალიან დირექტული. თუმცა ამ პრინციპის მიხედვით აღზრდა ბავშვს ეხმარება არა „პიროვნებად“ ჩამოყალიბებასა და თავისი თავის „გამოვლენაში“, არამედ - აქ ყურადღება ძირითადად მახვილდება ადამიანის იმ მხარეებზე, რომელთა განვითარების შედეგად პიროვნება მოიპოვებს „წარმატებას“ და „კეთილდღეობას“. აქ არ მოიაზრება უფორმო და უშინაარსო პიროვნების კულტი, რომელიც შეიძლება ადვილად დასრულდეს იმპრესიონიზმის ზეიმით, არამედ მთელი აქცენტი კეთდება - ფიზიკურ და სოციალურ განვითარებაზე, ასევე ძლიერი „ხასიათის“ გამომუშავებაზე, დისციპლინაზე, შემოქმედებითობის ტექნიკურ წინაპირობაზე, ბოლოს და ბოლოს, ბავშვში შემოქმედებითი ძალების განვითარებაზე, რაც მას გააჩნია. პიროვნების სიძლიერეზე, სიმტკი-

<sup>6</sup> სპეცისერის სერიოზულ დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს მისი მეცნიერული მიგნება იმის შესახებ, რომ აღზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს უნდა წარმოადგენდეს ფიზიკური აღზრდა, რომელიც ჩამოყალიბა თავის სწავლებაში „პიროვნების ჰარმონიული განვითარების შესახებ“.

ცეზე, შემოქმედებით შესაძლებლობებზე ყურადღების კონცენტრირება არის ძალიან რეალისტური და მისი ფასი განუსაზღვრელია იმ მრავალრიცხოვანი პიროვნეული სნეულებებისთვის, რომლითაც დაავადებულია ჩვენი დრო. ენით გამოუთქმელი კონტრასტია, ერთი მხრივ – თუ როგორი განსაკუთრებული ძალით მიიწვევს წინ პიროვნების ძალების განვითარების ამოცანა, იმის სწავლება, როგორ უნდა იპოვნოს მან „საკუთარი თავი“ და „დაიცვას იგი“ თანამედროვე ცხოვრების როულ პირობებში; და მეორე მხრივ – თუ როგორ არის ყოველი მხრიდან შევიწროებული და დაქნინებული პიროვნება ჩვენს დროში, როგორ უმწეოდ და დაგიწევებულად გრძნობს იგი თავს. თანამედროვე ფსიქოლოგია საკმაოდ კარგად ერკვევა ამგვარი ჩაგვრის ფორმებში, რომელთა რიცხვი ძალიან ბევრია; და იმ სკოლების სიმრავლე, რომლებიც სხვადასხვანაირად განგვიმარტავს ამ შევიწროების მიზეზებს, საშუალებას იძლევა უფრო ღრმად ჩავუფიქრდეთ თანამედროვე ადამიანის ტრაგედიას. ახლა მართებული იქნება გავიხსენოთ შილერის ლექსი, რომელმაც ზედმეტად ააღელვა მიტია კარამაზოვი, იმის შესახებ, რომ ცერერა „ადამიანს ყოველ-მხრივ უდიდესად დამცირებულს ხედავს“.

„ძალიან ბევრის მოთხოვნა უხდება ადამიანს, ძალიან ბევრი უბედურების“, -დასძენს კარამაზოვი. რეალიზმის იგივე მოტივი, რომელიც მკაცრად აყენებს პიროვნების სოციალურ, შემოქმედებით და უბრალოდ ძალისხმევის საკითხს, ამავე სიმძაფრით აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ ის ძალა, რომელიც ცდოლობს ბავშვების აღზრდას, არ იცავს მათ ტრაგედიებისგან, მკაცრი და დაუნდობელი წარუმატებლობისგან, გაუხარელი და ზოგჯერ უაზრო ცხოვრებისგანაც კი. ის, რაც არის თანამედროვე აღზრდის ზრუნვის საგანი, რა თქმა უნდა, საჭირო და მნიშვნელოვანია, თუმცა ის ან არ ეხება ადამიანის ძირითად საიდუმლოს და ამით გვერდს უვლის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანს, ან ეხება ძალიან ზერელედ, რამდენადაც ეს საჭირო ბავშვის „კეთილდღეობის“ უზრუნველსაყოფად. ფიზიკური ჯანმრთელობა, გონებისა და გრძნობების კულტურა, ძლიერი ხასიათი, ჯანსაღი სოციალური ჩვევები ვერაფერი ნუგეშია ადამიანის სულის ღრმა

და ტრაგიკული კონფლიქტების დროს, ეს არ ეხმარება მას მარტობის მძიმე წუთებში. თემა ადამიანის შესახებ გაცილებით ღრმა და ფართო, როგორი და ჩახლართულია, ვიდრე მას თანამედროვე აღზრდა წარმოგვიდგენს.

3. უპირველესად ანგარიში უნდა გავუწიოთ, ფერიერის გამოთქმით „არაცხობიერის უფსკრულს“, რომელსაც თავს აფარებენ სხვადასხვა კონფლიქტები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში სულიერად აავადებს ადამიანს, მიჰყავს ის მძიმე ნევრასტენიამდე ან სოციალურ აგანტიურიზმამდე, რომლიდანაც ზოგ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება მისი გადარჩენა, ისევე როგორც, ფროიდის თანახმად, ტანჯვისა და სულიერი სხეულებიდანაც შეიძლება დააღწიოს თავი ადამიანმა.

სხვადასხვა თანამედროვე თეორიებს შორის პედაგოგიკის-თვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ფასეულია აღლერის სწავლება – არა ადამიანის ბუნების განმარტების საკითხი, არამედ მისი სწავლება ფსიქოლოგიური კომპენსაციების შესახებ<sup>7</sup>. თუმცადა ფროიდისა და მისი სკოლის სწავლებაც, თუკი არ მივიღებთ მხედველობაში მათ ცალმხრივობას, მნიშვნელოვანია იმით, რომ მათ ფარდა ახადეს ჩვენი „იატაკქვეშეთის“ მთელ რეალობას, და რაც მთავარია, მთელ დინამიკურობას. ის, რომ სულიერ ცხოვრებას ცნობიერების ზღურბლს მიღმა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის განვითარებისათვის, მისი შინაგანი ცხოვრების რიტმისა თუ არითმიაში, დიდი ხანია ცნობილია, თუმცა მხოლოდ ფროიდის, აღლერის, იუნგის და სხვა ფსიქოპათოლოგების კვლევების შემდეგ მოეფინა ნათელი ფარგლი სულიერი ცხოვრების დაძაბულობას, იმ მასიურ სიმძიმეს, რომელიც „იმადლება სულის სიღრმეში“. კონფლიქტები, რომლებიც მწიფდება ჩვენს იატაკქვეშეთში, ისე „ბუნებრივად“ წამოიქმნება, რომ სულიერი პერიფერიების მთელი ქულტურა, რომლის გაკეთილმობილებასაც ცდილობენ ჩვენი აღმზრდელები, მიგვაჩნია ნამდვილი სულიერი სიძნელებისათვის მხოლოდ დაუფიქრებელ გვერდის ავლად. თუ აღლერის მიხედვით ადამიანში ცხოვრობს სოციალური თვითდამკვიდ-

<sup>7</sup> იხ. Adler „Die menschenkenntnis“, ასევე Künkel „Arbeit und Charekter“ (და სხვა წიგნები).

რების ამოუწურავი მოთხოვნილება, კომპენსაციის კანონით, ხშირი წარუმატებლობის შემთხვევაში იქადება მოთხოვნილება მათ საკომპენსაციოდ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბავშვებზე პედაგოგიური ზრუნვა სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს. ჩვენ უნდა დაგეხმაროთ ბავშვებს უპირველესად იმაში, რასაც ისინი ჩვენი დახმარების გარეშე ვერ გაუმკლავდებიან<sup>8</sup> – ამას შეიძლება დავარქვათ პედაგოგიკის აქსიომა. რა თქმა უნდა, მშობლებიც და პედაგოგებიც ხედავენ ბავშვის სულიერი სამყაროს ამა თუ იმ გამოვლინებაში დაფარულ ლოგიკას, მათი შინაგანი ცხოვრების დაფარულ დაძაბულობას, მაგრამ, როცა ჩვენ ვართ კონცენტრირებული სულის პერიფერიების განვითარებაზე, ამით თითქოს გაუურბივართ ჩვენ წინაშე მდგარ სერიოზულ ამოცანებს. ამის შესახებ შეიძლება ითქვას უფრო მეტიც. ბავშვის სულიერ სამყაროში სხვადასხვაგვარი გართულებების წყარო ხშირ შემთხვევაში თანამედროვე აღზრდა და მისი ფორმების „პერიფერიულობაა“. ბავშვის სულიერ სამყაროში მრავალი კონფლიქტი თვითონ ჩვენ მიერაა პროფოცირებული. ჩვენ ამას ვერ ვამჩნევთ, ბავშვებიც ივიწყებენ ამის შესახებ, თუმცა სულის ის ჭრილობები, ის შინაგანი უთანხმოებები, შემოქმედებითი სულის ჩახშობა და ბანალურობისა და ყოველდღიურობის რელსებზე გადასვლა, რასაც განიცდის ნორჩი სული, - ეს ყველაფერი სამუდამო და დად აჩნდება ბავშვის სულს. თანამედროვე ფსიქოპათია და, მასთან ერთად, თანამედროვე კრიმინოლოგია გვირჩევს, რომ სწორედ ბავშვების პერიოდს მივაწეროთ იმ შინაგანი დისონანსების გაჩენა, საკუთარი თავის გამანადგურებელი ძალების მოქმედება, გარევნილებისკენ მიდრევილება (რა თქმა უნდა, არა მხოლოდ სქესის სფეროში) და ის ბზარები, რომლებიც შინაგანად ანგრევენ

<sup>8</sup> ამ პრინციპიდან გამომდინარეობს უფლება და აუცილებლობა, დავეხმაროთ ბავშვებს იმ „გზის გაგალვაში“, რომლის გაგნებაც მათ დამოუკიდებლად არ შეუძლიათ. აუცილებლობა იმისა – დავეხმაროთ ბავშვებს ისე, რომ არ შევლახოთ მათი თავისუფლება, კარგადაა ჩამოვაწინავები წიგნში, რომელიც იცავს ბავშვთა უფლებებს მათ ცხოვრებაში უფროსების ზედმეტად ჩარევისგან: Th Litt “Führer” oder “Wachsenlassen” (1929). იხ. ასევე J. Cohn “Befreien und Binden” (1926). ასევე Ed Kurz “Moderne Erziehungsziele und der Katholozismus” (1927).

სულს. არ შეიძლება ამ ყველაფრის იგნორირება, არ შეიძლება პასუხი არ მოვთხოვოთ ჩვენსავე თავს იმის გამო, რომ სულის მთლიანობა, რომელიც ასე სასურველი და საჭიროა ჩვენთვის, სულაც არ მდგომარეობს სულის ჰარმონიულ განვითარებაში (ანუ მის პერიფერიულში), არამედ ის მდგომარეობს სულის განახლებასა და მისი შინაგანი წონასწორობის აღდგენაში.

4. აღზრდის უდიდესი საიდუმლო და ამავე დროს მისივე უმნიშვნელოვანესი თქმა არის თავისუფლების საწყისი ადამიანში. თავისუფლების ეს საწყისი საიდუმლო და ღრმაა – აქ ჩვენ ვგულისხმობთ ადამიანის „ცენტრალურ „საიდუმლოს“ (mysterium liberalis). ამ ცნობიერებით თანამედროვე აღზრდას სურს იყოს თავისუფალი, არ სურს ბავშვის თავისუფლების ჩახშობა. ვინაიდან ის გაბედულად უარყოფს ბავშვისთვის სხვადასხვა წესებისა და მოთხოვნების თავს მოხვევას, რომელსაც მუდამ ეწეოდა წინა პერიოდის აღზრდა. ვინაიდან თანამედროვე აღზრდას სურს იყოს ყურადღებიანი ბავშვების ინტერესებისა და მოთხოვნების, მისი შინაგანი სამყაროსა და სწრაფვების მიმართ, მისი სურვილის მიმართ – თვითონვე განსაზღვროს საკუთარი გზა, – ამით ის ამოიცნობს უდიდეს სიმართლეს ბავშვის და ზოგადად ადამიანის სულიერი სამყაროს შესახებ – ყველაფერი ნამდვილი ადამიანში შეიძლება იყოს მხოლოდ თავისუფალი, მხოლოდ ადამიანის შინაგანი სამყაროდან გამომავალი. ბავშვის ინდივიდუალიზმის პატივისცემა, მისი უფლებების აღიარება, რათა მან შეძლოს მისსავე მიერ არჩეული გზით სიარული – ჰქონდეს საკუთარი გემოვნება და ინტერესები, იმის შემეცნება, რომ სულის შინაგანი დინამიკა ეწინააღმდეგება ყოველგვარ იმულებას<sup>9</sup> – ყველაფერი ეს ისე განამტკიცებს თანამედროვე პედაგოგიკის თავისუფლების იდეას, რომ მის გარეშე შეუძლებელია

<sup>9</sup> ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა ბოდუენის სწავლება o l'effort converti, რომელიც შესანიშნავად განმარტა პროფესორმა ვიშესლავცემა თავის წიგნში „სახეცვლილი ეროსის ეთიკა“. ამ სწავლების მისაღებად აუცილებელია გავითვალისწინოთ ის პრინციპები, რომლებსაც ავითარებს ფერიერი თავის წიგნში “Le progress spirituel” (paris, 1927). იხ. Bueshet-ს ასევე ძალზედ დირებული წიგნი ”L' individualisation dans l'enseignement” Paris 1933.

ადგინდაზე ფიქრიც კი. ტოლსტოის თავისუფალი ადგინდის იდეის შემდეგ თავისუფლებაზე გულუბრყვილო, იდილიური შეხედულება ადარ არსებობს<sup>10</sup>; საერთოდაც, პედაგოგიური ანარქიზმის დროს, თავისუფლების თემა, რომელსაც მუდამ პირველი ადგილი კავა და ყოველთვის რჩებოდა შეუცვლელი, გაიხსნა მთელი თავისი იდუმალებით. რას ნიშნავს ბავშვის სულიერი სამყაროს თავისუფლება, რა პირობებს გვიყენებს ის და რა ადგილი უჭირავს მას ადამიანის ცხოვრებაში? თავისუფლების იდეა არის ადამიანში ყველაზე ღრმა, ინდივიდუალური, უხრწენელი, მასში არის არა მხოლოდ აბსოლუტურის ანარეკლი, რითაც ის არის ნამდვილი ღვთაებრივი საჩუქარი, არამედ მასში არის რაღაც სხვა, რასაც შეუძლია ადამიანს მისცეს შემართება და ფერი უცვალოს მას. თავისუფლება ანათებს ადამიანის სულს, არა როგორც რეალობა, არა როგორც მისდამი ბოძებული ძალა, არამედ, როგორც შესაძლებლობა, როგორც მისდამი მიცემული დავალება, – და სწორედ თავისუფლების იდეაში არის საწყისი ადამიანის განთავისუფლებისა ბუნების ხელმწიფებისგან, თავისი წარსულისგან, ჩვევებისგან და ვნებებისგან. თავისუფლება გვეძლევა და არც გვეძლევა. ჯერ კიდევ ჯონ სტ. მილი ადიარებდა, რომ აღზრდისთვის აუცილებელია „თავისუფლების რაღაც ცრურწმენა“, - რადგან მასში არის რაღაც მარადიული, რომ თავისუფლება არ გვაქვს დასაბამიდან ბოძებული – ის ჭეშმარიტად უნდა „მოვიპოვოთ“, ის უნდა აღმოვაჩინოთ და განვამტკიცოთ. თავისუფლება ჩვენში ამგვარად შემოდის - ჩვენი სულიერი მზერა მიპყრობილია უსასრულობისკენ<sup>11</sup>, იგი წესს ამის გამო და ამ წესიდთან ერთად თავისთავად მოდის თავისუფლების საწყისი. შემოქმედებითი გზა იწყება სწორედ თავისუფლების შემეცნებით; ამ მნიშვნელობით შეიძლება ითქვას, რომ აღზრდის ამოცანაა – სულ მი თავისუფლების იდეის ჩასახვა, მისი შთაგონება თავისუფლების იდეით, ადამიანის ამ იდეასთან მიყვანა. თავისუ-

<sup>10</sup> იხ. ჰესენის აღზრდისას თავისუფლების პრობლემის ძალიან საყურადღებო და მირფავიანი ანალიზი. „პედაგოგიის საფუძვლები“.

<sup>11</sup> იხ. ჩემი ეტიუდი „ადამიანში დავთის სატექნიკო შესახებ“. მართლმადიდებლური აზრი, II გამოცემა.

ფლება არ გვეძლევა როგორც საჩუქარი, ის არის დავალება, მხოლოდ არა მოფიქრებული ან გამოგონილი; ის ესაჭიროება სულს, როგორც ცხოველმყოფელი წყარო, რომელიც აგრძნობინებს მას სიცოცხლის მშვენიერებას და შეასხამს ფრთებს. ამიტომაცაა უაზრობა პედაგოგიური ანარქიზმი ან თუნდაც იმის მტკიცება, რომ ბავშვში თავისუფლება არსებობს ბუნებრივად. აღზრდა ემსახურება „გათავისუფლებას“<sup>12</sup>, ანუ თავისუფლებამდე ამაღლებას. თუმცა ეს მტკიცება არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ბავშვში თავისუფლება მხოლოდ პოტენციურად არსებობდეს: ის არსებობს ბავშვის სულში, ოდონდ ცნობიერებაზე უფრო ღრმად, რის გამოც მას სხვა მნიშვნელობა აქვს, ვიდრე თავისუფლებას უკვე მოწიფეულ ასაკში. აღზრდა მუშაობს მხოლოდ ემპირიულ პიროვნებაზე, ის მოქმედებს მხოლოდ იმ უბანზე, რომლითაც ბავშვი უკავშირდება ნივთიერ და სოციალურ სამყაროს; ბავშვის სულიერი ძალები, მათ შორის თავისუფლების ნიჭი, ქმნის აღზრდისთვის საჭირო საფუძველს და იძლევა აღზრდის შესაძლებლობას. ამგარად, აღზრდის ამოცანაა – დაეხმაროს ბავშვს თავისუფლების მოპოვებაში, გახადოს იგი თავისუფალი.

მაგრამ სწორედ აქ დგება მთელი სიმძაფრით ჩვენ წინაშე თანამედროვე აღზრდის მთელი ტრაგედია. თანამედროვე აღზრდას სჯერა თავისუფლების, რადგან ბოლომდე გრძნობს მის უდიდეს მნიშვნელობას ადამიანის ცხოვრებაში; ის იღვწის ბავშვის „გათავისუფლებისთვის“, ანუ ასწავლის მას, როგორ განაგოს საკუთარი თავი, ეხმარება მას, რათა დასძლიოს შემთხვევითი, პერიფერიული მოთხოვნილებები, და ბოლოს მისი სურვილია გახადოს თავისუფლება შემოქმედებითი. თავისუფლების ნიჭი უდიდესი, მაგრამ საშიში ნიჭია; მის გარეშე შეუძლებელია

<sup>12</sup> ამის შესახებ იხ. ფერიერის შესახიშნავი ფრაზები („Le progress spirituel“). ეს საკითხი მისი კონკრეტულად დასმის შემთხვევაში, ძალიან მჭიდროდ უკავშირდება აღზრდაში „ავტორიტეტის“ მნიშვნელობის საკითხს. ამ თვალსაზრისით ჩვენი და კათოლიკების აზრი ორად იყოფა, როგორც ავტორიტეტის გაგების, ასევე ბავშვის „განთავისუფლებისას“ ფუნქციების მნიშვნელობის საკითხში. ამის შესახებ იხ. ჩვენი ნაშრომის მეორე ნაწილში.

ადამიანმა თავის თავში აღმოაჩინოს პიროვნება, თუმცა თავისუფლებაშივე უნდა ვეძებოთ ყველა ტრაგედიის, ყველა განსაცდელის წყარო. თავისუფლება აუცილებლად გვაყენებს არჩევანის წინაშე – კეთილსა და ბოროტს შორის. და ხშირად ნამდვილ, ღრმა თავისუფლებას, რომელსაც თავისი ბრწყინვალებით შეუძლია ადამიანის სულის გაცისკროვნება, ასევე შეუძლია დააყენოს პიროვნება საკუთარი თავისა და სხვათა მიმართ ბოროტებისა და ნგრევის გზაზე. თუკი შეუძლებელია, რომ აღზრდის ამოცანად დაგვსახოთ პიროვნების საწყისის განვითრება აზრების სფეროსთან კავშირის გარეშე, - მაშინ კიდევ უფრო ნაკლებადაა შესაძლებელი განვაგითაროთ თავისუფლება სიკეთის გარეშე. და როგორ უნდა უზრუნველვყოთ ეს? სწორედ ეს არის თავისუფლების არსი, რომ ძნელია მისი წინასწარ განსაზღვრა: რაც უფრო ღრმაა ჩვენი სული, მით უფრო ნათლად ჩანს მასში თავისუფლების ირაციონალურობა, მისი ქაოტურობა და არითმია.

პედაგოგიურ ცნობიერებაში ეს ყველაფერი აჩენს ძალიან მტკიცნეულ და საბედისწერო კითხვას. აზრი არა აქვს აღზრდას, როცა ის არ განვითარებს თავისუფლებას – თავისუფლების განვითარების გარეშე აღზრდის შედეგად იხშობა და კნინდება ადამიანი, ასეთ შემთხვევაში ის წვრთნას უფრო ემსგავსება. თავისუფლების განვითარება ხომ არ გულისხმობს, რომ უფრო მკვეთრად უნდა დავაყენოთ „არჩევანის“ საკითხი, ანუ ბოროტის მხარეს გადახსრის შესაძლებლობა? არ არის აუცილებელი იყო კრიტიკული თანამედროვეობის მიმართ, დაინახო ის, რომ თანამედროვე ადამიანს არ შეუძლია საკუთარი სიკეთის სადარაჯოზე დგომა, რომ ის ძალიან ადვილად ჰქცევა ცდუნებების ტყვეობაში. ბოროტება გახდა ისეთი ღია, უხევი და, ხშირ შემთხვევაში, დაუსჯელი, რომ თანამედროვე ცხოვრებაში ის ძალიან ადგილად ჩაგრავს სიკეთეს. არ შეიძლება გავეჭით ამ პრობლემას იმ მიზეზით, რომ ყველა ადამიანი თვითონ აგებს პასუხს საკუთარ თავზე, რომ ჩვენი ამოცანა მხოლოდ ბავშვის ფეხზე დაყენებაა, – და რა გზას აირჩევს ის ფეხზე დადგომის შემდეგ, ეს უკვე აღარაა ჩვენი საზრუნავი. ეს არა მხოლოდ დაუშვებელი, არამედ პედაგოგის მიერ ჩადენილი დანაშაულია, როცა ის

ფიქრობს, რომ ცხოვრება ისედაც სავსეა ტრაგედიებით, ბოროტი ძალებით, რომ შეუძლებელია კიდევ ამაზე ფიქრი. იდილიურობა ამ საკითხში დაუშვებელია – ბავშვების წინაშე ხომ ძალიან ადრე შიშვლდება ცხოვრების საიდუმლოებანი, ძალიან ადრე გამოდის სააშკაროზე ცხოვრების ბნელი მხარეები.

5. კველაფერი ეს ძალიან მძაფრად აყენებს საკითხს, რომელსაც პედაგოგიკა გვერდს ვერ აუვლის. ეს არის საკითხი იმის შესახებ – როგორ უზრუნველვყოთ თავისუფლებისა და სიკუთის კავშირი. პედაგოგიკა ეჭვის ქვეშ არ აყენებს თავისუფლების სიმართლეს, თუმცა ეჭვება არეშეა ისიც, რომ ეს სიმართლე კვდება და ითელება, როცა თავისუფლებას მივუავართ ბოროტებისკენ. როგორ უნდა შევანივთოთ ერთმანეთთან თავისუფლება და სიმართლე ისე, რომ ეს კავშირი იყოს შინაგანი და ნამდვილი? როგორ ვაქციორთ თავისუფლების საწყისი შემოქმედების წყაროდ, და არა რაიმე ახირებად, არა ბოროტების მსახურებად? თავისუფლებას ადამიანები ძალიან ხშირად აღიქვამენ, როგორც ტერიტორია. არ არის მხოლოდ ჩვენი დროის პრობლემა ის, რომ ინდივიდუმი ცდილობს მასაში, კოლექტივში ჩაგარგვას და ამით უარს ამბობს თავისუფლებაზე. თავისუფლების მთელი „საიდუმლო“ უნდა ვეძებოთ მის უცნაურ ანტინომიურობაში, უნდა ვეძებოთ მის მჟიდორ კაგშირში ყველაზე მთავართან, რაც პიროვნებაში და მის „მოუწესრიგებლობასა და არეულობაშია“, რაც შეიძლება გახდეს მიზეზი მისი დაცუმისა და ვნებათა დელფისა. თავისუფლების ქონა ხელის შემშლელი პირობა უფროა, ვიდრე დამხმარე; უფრო დამამძიმებელია, ვიდრე განმათავისუფლებელი. „კეთილი ზრახვანი“ ადვილად დგება და იკარგება, და მხოლოდ ჩადენილი ცოდვის გამო მწარე სინანული გეებმარჯბა გავაცნობიეროთ, თუ რა არის თავისუფლება რეალურად, რომელიც ჩვენ მოგვეცა და რომელსაც ვერ მოვუარეთ.

ამ თვალსაზრისით სხვაგარად იკვეთება აღზრდის ის ამოცანები, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. სულიერი პერიფერიების განვითარება და ქვეცნობიერის სიღრმეში მძიმე კონფლიქტები გვიჩნის უჭვებს - გვესმის თუ არა სწორად აღზრდის პრობლემები. თავისუფლება ამოუცნობ ამოცანად რჩება მისი

სიმართლისა და უსაზღვრობის გამო; მისი მაღალდირებულება და მიუხედავად ამისა იმ შესაძლებლობის არსებობა, რომ თავისუფლების გზით შეიძლება გაღვივდეს ბოროტება, გვაყენებს უფრო სერიოზული და რთული პრობლემის წინაშე. როგორ შევანივთოთ ბავშვის სულში თავისუფლების ნიჭი სიკეთესთან? ადამიანში სხვადასხვა ძალის განვითარებას როგორ მივანიჭოთ ღრმა მნიშვნელობა, როგორ შევაკავშიროთ სული ღირებულებათა სამყაროსთან – არა თავისუფლების გარეშე, არამედ თავისუფლებასთან ერთად? ბავშვში თავისუფლების ნიჭის განვითარება არ უნდა გავიგოთ ფორმალურად. ჩვენ პასუხი უნდა ვაგოთ იმის გამო, თუ რაში გამოვლინდება მომავალში თავისუფლება – იქცევა იგი ცოდვის წყაროდ, თუ სიმართლის მეგზურად.

ეს არის ადამიანში ბოროტების არსებობის უდიდესი პრობლემა – რომელიც პედაგოგიკურ ცნობიერებაში მეტი სიმბაზრით დგება, ვიდრე ფილოსოფიასა და სუფთა ეთიკაში. ჩვენ ბავშვის წინაშე გვეკისრება არა მხოლოდ დიდი პასუხისმგებლობა - ბოროტების საკითხი უფრო იმიტომ დგას ასე მწვავედ ჩვენ წინაშე, რომ საქმე გვაქვს არა განყენებულ ადამიანთან, არამედ ცოცხალ ბავშვთან, რომლის კეთილდღეობა და ბედნიერება ჩვენთვის ყველაფერზე მაღლა უნდა იდგეს. სიკეთის პრობლემა, ამ შემთხვევაში ბავშვის სიკეთის გზაზე დაყენების პრობლემა, არის აღზრდის არა ნაწილობრივი, არამედ მთავარი და უმნიშვნელოვანესი პრობლემა. ამ საკითხის გადაწვევისას ჩვენ გვიწევს თავისუფლების ამოცანის პირისპირ დგომა; დგომა იმ შესაძლებლობის პირისპირ, რომ ბავშვს ძალადობის გარეშე ვასწავლოთ თავისუფლება; და მაინც გვტანჯავს იმის გაცნობიერება, რომ მთელი ჩვენი საქმიანობა შეიძლება წყალში ჩაიყაროს სწორედ თავისუფლების საწყისის მიზეზით, როცა ის არასწორი გზით ვითარდება. ადამიანში თავისუფლების სიდრმე აღზრდისთვის ხელის შემშლელი პირობაა, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, შეუძლებელია ბავშვის სიკეთის გზაზე დაყენება თავისუფლების გარეშე. სიკეთე უნდა იქცეს ბავშვის ცხოვრების შინაგან გზად, მისთვის საყვარელ ოქმად, – და ის, რომ სიკეთე არ შეიძლება „ჩავდოთ“ მასში, რომ არანაირი ჩვევები,

დასწავლილი წესები, დაშინება არ აქცევს სიკეთეს ცხოვრების ნამდვილ მისწრაფებად – ეს ჩვენს მიზნებს ძალიან აქნინებს და ამცრობს. არის რაღაც დაუძლეველი უმსგავსობა მასში, რომ აღზრდისას დავივიწყოთ სიკეთის თემის ცენტრალურობისა და არსებოთობის „შესახებ, გადავწიოთ ის მეორე პლანზე, ავიცილოთ ჩვენი თვითისგან ეს პასუხისმგებლობა, დავუთმოთ ბავშვის „თავისუფლებას“ თვითონ განვითარდეს და უარი ვთქვათ მისი სიკეთის გზით წაჟარაზე. თავისუფლების ამგვარი განხილვა სინამდვილეში არის მხოლოდ სიტყვებით თამაში. ადამიანის თავისუფლების მთელი გამოცანა სწორედ ის არის, რომ თავისუფლება არ უკავშირდება სიკეთეს, რომელიც არსებობს ჩვენს შიგნით<sup>13</sup>.

შეიძლებოდა გვერდი აგვერდო სიკეთის საკითხისათვის და აღზრდისთვის არ დაგვეკისრებინა ბავშვში სიკეთის განვითარების პრობლემა. ასეთ ამორალურობას პედაგოგიკაში დაერქმეოდა - ჩვენი ბავშვების მიმართ სიყვარულისა და მათზე ნამდვილი ზრუნვის უქონლობა. დავა იმის შესახებ, შედის თუ არა სიკეთე აღზრდის საკითხებში, არ გვიძევება – უფრო იმის უნდა გვეშინოდეს, რომ თვით ეს თემა არ იქნეს გაგებული თავისუფლებისგან განყენებულად და ამის გამო არ დაკმაყოფილდნენ აღმზრდელები მხოლოდ კეთილი ჩვენების დანერგვით, სულის არასწორი მოძრაობების ჩახშობით ან შესუსტებით. ე.წ. მორალური აღზრდის საკითხების დაყენება თავისუფლების ტრაგიკული თემისგან დამოკიდებულად ძალიან ხშირია თანამედროვე პედაგოგიკაში – განსაკუთრებით იქ, სადაც პედაგოგიკა მიღრეკილია პედაგოგიკური ნატურალიზმისკენ<sup>14</sup>. პედაგოგიკაში ტრანსცენდენტალიზმი თავისუფალია მსგავსი შეცდომისგან. მისთვის ნათელია, რომ მორალური აღზრდა არის თავისუფლების გზით თავისუფლებისკენ მიმავალი აღზრდა<sup>15</sup>. თუმცა საკითხის ზუს-

<sup>13</sup> იხ. ჩემი ეტიუდი „თავისუფლების ნიჭი“ (1933).

<sup>14</sup> ამის შესახებ ჩვენ შეგვიძლია ამოვიკითხოთ ფერიერის აზრებში. ძალიან ზედაპირულად აუკნებს მორალური აღზრდის საკითხებს Piajet (იხ. მისი წიგნი „Le developpement moral de l'enfant“, ასევე სტატია კრებულიდან „L'individualite“ Paris, 1933).

<sup>15</sup> იხ. პესების წიგნი, ასევე Kohn (“Befreien und Binden”), Th. Litt “Führen oder Wacshenlassen”, 1929.

ტად დასმას ჩვენ გავყავართ სულიერი პერიფერიების საზღვრებიდან, რომელიც ასე ნიშანდობლივია თანამედროვე პედაგოგიკისთვის. არა ბავშვის ცხოვრებასთან შეგუება, არამედ მასში სიკეთის განვითარება, მისი უზრუნველყოფა სიკეთითა და თავისუფლებით უნდა გახდეს აღზრდის მიზანი: ცხოვრებასთან (ფუნქციონალურ, სოციალურ და ა.შ.) შეგუებას აქვს სუფთა ინსტრუმენტალური ხასიათი. სიკეთე სულში არ იშვება არც ფიზიკური ჯანმრთელობით, არც კარგი სოციალური ჩვევებისა და არც შემოქმედებითი ძალების განვითარებით: ის არ მომდინარეობს სულის პერიფერიებიდან, როგორც ამჟამად აღიარებულია აზროვნების ფსიქოლოგიაში, რომ იდეის გაცნობიერება არ მომდინარეობს ცოდნის მგრძნობელობითი მასალიდან.

6. უკვე არაერთხელ ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ პედაგოგიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა – კარგად გავიაზროთ, დავასაბუთოთ, „გავამართლოთ“ კიდეც რწმენა ბავშვის სულიერ სამყაროში. მხოლოდ ის პედაგოგიური სისტემა აშექებს სწორად აღზრდის „არსეს“, რომელიც არის სწორად გაბმბული. თუმცა თუ გავითვალისწინებთ ზემოთ ნათქვამს და ვაღიარებთ ემპირიული ძალების დიდ მნიშვნელობას, დასაბუთება იმ რწმენისა, რომელიც არის ბავშვის სულიერ სამყაროში, აშკარად მათ არ ეხება. ბავშვს შეიძლება ვასწავლოთ ცხოვრების „ტეჭნიკა“, დავეხმაროთ შემოქმედებითი ძალების განვითარებაში, მაგრამ, როგორ გავხადოთ ეს კველაფერი სიკეთის თანაზიარი? საერთოდ, არის თუ არა ბავშვის სულიერ სამყაროში სიკეთის რაღაც ნაპერწყალი, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნება მასში სიკეთის განვითარება და შემდეგში ამ სიკეთის შენივთება თავისუფლების საწყისთან? თუკი არსებობს „სიკეთის ამგვარი მარცვალი“, (და არა უბრალო ის „სულის კატეგორია“, რომელიც ფორმალურად აყენებს მორალის საკითხებს, არამედ ცოცხალი და ნამდვილი თანაზიარება სიკეთესთან, როგორც მარადიულ საწყისთან), მაშინ რა მიმართებაშია ის ადამიანთან, როგორ ესმის ის თანამედროვეობას? ჩვენ გვჭირდება ბავშვის სულიერი სამყაროს რწმენა, თუმცა ის არ შეიძლება შევრაცხოთ „ცრუ-რწმენად“ და ამავე დროს დავეყრდნოთ მას; ჩვენ გვჭირდება

რწმენა ადამიანის მიმართ, რომელიც იქნება, როგორც ლაიბნიცი ამბობდა – „*bene fundata*“.

აღზრდის წყალობით იდგამს სულს რწმენა, მისივე წყალობით ეძლევა სულს ფერისცვალების და გაბრწყინების შესაძლებლობა, – თუმცა ეს თავის თავში უკვე ბულისხმობს „სიკუთის საწინდარს“, რომელიც ცხოვრობს სულში მისი ცხოვრების ბუნებრივი დიალექტიკისგან დამოუკიდებლად.

თანამედროვე სამყარო, რომელიც გარდაუგალად ართულებს ამ თემას, გამომწვევად აყენებს ასეთ საკითხს: შესაძლებელია ადამიანის სიცოცხლე შეწყდეს მანამდე, სანამ აღზრდა თავის შედეგს გამოიღებს. სიკვდილს შეუძლია ჰველა შორეული გეგმის გაცამტვერება, მაგრამ განსაკუთრებით ტრაგიკულია და ნამდვილი უაზრობაა მისი განხილვა იმ სულიერ მომწიფებასთან მიმართებაში, რომელიც ადამიანში მიმდინარეობს. სიკვდილი, როგორც ბუნების ზეიმი ადამიანზე, ამცირებს მას, და ფილოსოფიაც თითქოს ამართლებს ადამიანისადმი ნატურალისტურ მიდგომას. თუმცა სიკვდილის უარყოფა და იმის შესაძლებლობა, რომ ბავშვების აღზრდის მთელმა გეგმამ ერთ წამში დაკარგოს მთელი თავისი მნიშვნელობა, მაინც არ უარყოფს იმას, რომ ის აღზრდა, რაზეც ზეპიონ გვქონდა საუბარი, არის ადამიანის სულიერ სამყაროსთან ჟველაზე სწორი მიდგომა. ჩვენ ვთქვით, რომ სიკვდილი „დასცემს“ ადამიანს; თუმცა აღრმავებს მისი არსებობის საიდუმლოს იმით, რომ ახლებურ ნათელს პფენს ცხოვრების არსს და მის წინაშე აყენებს იერარქიულ საჯითხებს, რომელსაც შემდეგში თვითონ ცხოვრება გადაწყვეტს. სიკვდილის მიზეზით ხომ არ ენიჭება ადამიანს კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა, ვიდრე ჩვენ ვფიქრობთ მასზე? სიკვდილის თემა მეტი სიმძაფრით, ვიდრე სხვა რომელიმე თემა, აყენებს მარადიულობის საკითხს, – და ის რწმენა ადამიანის მიმართ, რომელიც თვით პედაგოგსაც კი ათავისუფლებს ცხოვრებისეული წვრილმანების ტყვეობისაგან, ხომ არ იძენს აქ ახალ მნიშვნელობას? სიკვდილის საიდუმლო, რომელიც შეუძლებელია უმნიშვნელო იქოს პედაგოგის ცნობიერებისთვისაც, ითხოვს ბავშვის სულთან იმგვარ მიდგომას, რომლის დროსაც უცვლე-

ლი დარჩებოდა ბავშვებთან ჩვენი ყოველდღიური მუშაობის აზრი. სიკვდილზე ფიქრით გაჯერებეული ზრუნვა ბავშვებზე, შეღწევა მათ სიღრმეში, აყენებს ერთი მხრივ, პიროვნების სიცოცხლისთვის და, მეორე მხრივ, სიცოცხლის მიღმიერი ცხოვრებისთვის აღზრდის საკითხს. ეს თემა უცვლელია პედაგოგიკური ცნობიერებისათვის. არ შეიძლება ბავშვების იმ გზით წაყვანა, რომ სიკვდილი მათვის იქცეს უაზრობად; არსებობს ძალიან დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა ბავშვებთან ჩვენი პედაგოგიური მიღობისა; მათი ყოფის ყველა საფეხურსა და ფორმაზე ჩვენი ზრუნვა და მცდელობა ძალიან საპასუხისმგებლოა; და ეს არ გვაძლევს საშუალებას რომ ამოვილოთ სიკვდილის თემა პედაგოგიკური განსჯის სფეროდან. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ სიკეთის სამსახური არის ცხოვრების კანონებით შემოფარგლული, ის არ უნდა ამოიწურებოდეს მხოლოდ ცხოვრების კანონებით, რადგან ჩვენ სიკეთის იდეით განმსჭვალულები ვეზიარებით მარადიულობის საწყისს, – ვინაიდან თვით სიცოცხლე წარდგება ჩვენ წინაშე, როგორც წარუმლელი შერწყმა მარადიულისა და გარდამავალისა. სიკვდილი ვერ წაშლის მას, რაც შერწყმულია მარადიულობასთან – ეს კი იმას ნიშნავს, რომ სიკვდილის თემით კი არ იცვლება, არამედ უფრო მნიშვნელოვანი ხდება აღზრდის პერსპექტივა. როგორც ეფინება მარადიულობის სხივის ნათელი ჩვენს ცხოვრებას და საზრისი ეძლევა მას, მსგავსად ამისა აღზრდამ უნდა შეანიჭოს ცხოვრების მოთხოვნილებები მარადიულობის კანონებს. აღზრდა უნდა იქცეს იარაღად ადამიანის მომზადებისა არა მხოლოდ დროში, არამედ მარადიული ცხოვრებისთვის.

უნდა გვესმოდეს, რომ ეს არ არის მხოლოდ რიტორიკა, არ არის პედაგოგიური აზრის განზრას მოფიქრებული გართულება, არამედ ეს არის მისი მარადიული თემა. უნდა გვესმოდეს, რომ ამქვეყნიური ცხოვრების პრობლემების მარადიულ თემებთან აღზრდის საშუალებით შეკავშირება არ გამომდინარეობს რელიგიური დასაბუთებიდან, არამედ პირიქით – ისინი მოითხოვენ მას. ამიტომაც არის აუცილებელი აღზრდის პრობლემის რელიგიურ ჰრილში გააზრება; იმის გააზრება, რომ სადაც არის

სიკვდილი, იქ გარდაუვალია განხეთქილება სულის მდგომარეობასა და მის მიზნებს შორის. როგორც ცხოვრების სწორი ფილოსოფია, ის ისე უნდა ჩამოვაყალიბოთ, რომ მასში უკვე მოცემული იყოს პასუხი კითხვაზე – რა არის სიკვდილი და საიო მივყავარო ჩვენ მას; სიკვდილის თემა კიდევ უფრო მჭიდრო კავშირშია აღზრდის ფილოსოფიასთან. თუკი სიკვდილის წინაშე ცხოვრებაში ბევრი რამ უსუსური და არარაობითია, თუკი ვხვდებით, რომ ბევრი რამ ამაო და უსარგებლო ყოფილა; მაშინ მით უფრო უსარგებლო აღმოჩნდება სიკვდილის წინაშე ბევრი ისეთი რამ, რასაც აღზრდისას ვიყენებდით<sup>16</sup>. სიკვდილის წინაშე ყველაფერი ორმაგად ცხადდება – მიწიერი თუ მარადიული ყოფიერება – თავისი ურთიერთკავშირით. ამქვეყნიური ცხოვრების პირობებში, ხომ უკვე ვცხოვრობთ მარადიულობაში – ასეთია რელიგიური ცნობიერების ძირითადი ინტუიცია. და მხოლოდ ამ ინტუიციით და ცნობიერებით - ამქვეყნიურისა და მარადიულის შეერთებით - ბოლომდე იხსნება ჩვენი ბავშვებისადმი ზრუნვის, მათთან პედაგოგიური მუშაობის ძირითადი არსი. აღზრდის არსი უფრო ნათელი ხდება ცხონების იდეის შექმნე – და ის „სიკეთე“, რომელსაც ჩვენ, პედაგოგები ვეძებთ ბავშვებისთვის, შეიძლება აღმოჩნდეს სულის ხსნის - ნაწილობრივი თუ სრული – სიკეთე ცხონებისა<sup>17</sup>.

7. აღზრდის ბოლო მიზანი უნდა იყოს ცხონება – პედაგოგია ამ პუთხით ცხონების საკითხს გაცილებით მძაფრად და სერიოზულად უნდა აყენებდეს, ვიდრე მისი სხვაგვარად დასმი-

<sup>16</sup> ამას იზიარებს ცველა პედაგოგი, რომელიც დგას რელიგიურ ნიადაგზე. პროტესტანტი Eberhard-ის მოკრძალებულ წიგნშიც კი (“Von der Arbeitsschule zur lebensschule” 1925) არის გვერდები (5-28), რომლებიც ეხება ამ თემას, ადარავერს ვამბობ კათოლიკურ პედაგოგიკაზე.

<sup>17</sup> აი, რას წერს ერთგან ფერიერი (Op. Cit. P. 160): პედაგოგმა უნდა აღიაროს, რომ გადარჩენის ძველი დოქტრინა, როგორც მას გვიქადაგებს ბუდიზმი, იუდაიზმი და განსაკუთრებით ქრისტიანობა, შორსაა ფილოსოფური მითისგან და მასში მოცემულია მარტივი, თუმცა ზუსტი მითითებული ადამიანის მორალური თუ სულიერი აღორძინებისა“. ფერიერისგან ეს სიტყვები სრულიად მოულოდნელია, თუმცა ამით არის ის უფრო მნიშვნელოვანი.

სას. მშობლები და პედაგოგები ცდილობენ, ბავშვებს აჩუქონ უოვლისმომცველი კეთილდღეობა, რომელიც მათ უფრო მეტად გააძლიერებდა და თავიდან აარიდებდა მათ შვილებს ყოველ-გვარ უძლურებას. მაგალითად, ჩვენ ბავშვებისთვის გვინდა ფიზიკური ჯანმრთელობა, რათა დავიცვათ ისინი დაავადებებისა და ფიზიკური სისუსტისაგან; ჩვენ გვინდა ფსიქოლოგიურად გავაძლიეროთ ისინი, რათა გავექცეთ იმ სულიერ ზრახვებს, იმ მდელ-გარებასა და მარცხს, რომლებიც თავს იჩენენ რაიმე ცუდი ჩვევის აღმოფხვრისას. ჩვენ ვფიქრობთ იმაზე, რასაც გვთავაზობს თანამედროვე ფსიქოპათოლოგია და კრიმინოლოგია, რათა დავიცვათ ბავშვები ჩაგრისაგან და მტანჯველი სულიერი დისონან-სისგან. გვსურს ბავშვები აღვზარდოთ თავისუფლად, რათა ვინათ ისინი იმ კატასტროფებისგან, რომლებიც შეიძლება განიცადონ სულიერი შევიწროებისას. გვსურს უზრუნველყოფ სულიერი თავისუფლება, მისი ნამდვილი შინაგანი ცხოვრების კავშირი სიკეთესთან, რათა გადავარჩინოთ ბავშვები ბოროტის ტყვეობას, ცოდვის მორევში ჩაძირვას. ჩვენივე ცოდვების სინაც-ლის შუქზე ვაცხობიერებთ ადამიანის ტრაგიზმს, თავისუფლების უძლურებასა და ცდუნების სიძლიერეს, – სიკეთეში ცხოვრების მთელ სინამდვილეს და ცხოვრების სიხარულს. ხოლო მკაცრი სიკვდილის წინაშე არ შეგვიძლია თვალი არ გავუსწოროთ ცხოვრებას, არ შევიცნოთ მისი მიზნები და გზები, რათა მივაღწიოთ მარადიულს.

როგორ ვინათ ბავშვები დაავადებებისაგან, ისტორიული, ფიზიკური, სოციალური ტვირთისგან; როგორ გავაშუქოთ ად-ზრდის ამოცანები იმ ტრაგედიების შუქზე, რომლითაც სავსეა ცხოვრება; იმ სიკვდილის შუქზე, რომელსაც შეუძლია ჩვენი ცხოვრების შეწყვეტა სწორედ მაშინ, როცა ის მხოლოდ იფურ-ჩქება? შეგვიძლია ფერიერის მსგავსად ვაღიაროთ, რომ ყველაფერი ადამიანის ცხოვრებაში დამოკიდებულია სულიერ სამ-ყაროსთან მის დასაბამიერ მიმართებაზე (élan vital spirituel), თუმცა ამგვარი ანთროპოლიგიით შეუძლებელია მისი წარუმატებლობის ახსნა, რომლითაც ასე სავსეა სულიერი ცხოვრება; ამოუც-ნობი რჩება სულის ბოროტებისკენ ის გაუგებარი სწრაფვა,

რომელიც, როგორც საწამლავი, ისე შემოდის სულში და ღუპავს მის ძალებს; გაუგებარია, რატომ არ ათავისუფლებს არავის სიკვდილისგან *élan spirituel*. აღზრდის პრობლემები, თუ ჩვენ მას მოელი თავისი სირთულით და სიღრმით მიგუდგებით, ჩვენ წინაშე დგება, როგორც ამოუხსნელი ამოცანა, რომელიც ვერ თავსდება ადამიანისა და მისი ბუნების შესახებ იმ სწავლებაში, რომლითაც ჩვენ გვიწევს სარგებლობა. ბავშვების კეთილდღეობისათვის დასმული აღზრდის საკითხები, შეუთავსებელია თანამედროვე ანთროპოლოგიის თვალთახედვასთან. თუკი ადამიანში არის *élan spirituel*, რომელიც „თვით დმერთია ჩვენში“<sup>18</sup>, მაშინ როგორ უნდა გავიგოთ ამ სულიერი ძალების შებოჭილობა, ფსიქიკური აშლილობა, ბოროტება? თუკი ადამიანში არსებობს თავისუფლების ნიჭი, თვითდამკვიდრების სურვილი, მაშ, რატომ ადარ შეანიჭთა ისინი თავისუფლებამ სიკეთესთან? საიდან არის ადამიანში სიკეთის გვერდით გამუდმებული სწრაფვა ბოროტისკენ? ყველაფერი ეს ითხოვს ადამიანის ფენომენის სხვაგვარ გააზრებას, ვიდრე ჩვენ ეს გვესმის, და ეს სხვაგვარი გააზრება ჩვენ უნდა ვეძებოთ იმ ანთროპოლოგიაში, რომელიც მოგვცა ქრისტიანობამ. ქრისტიანული ანთროპოლოგიის შუქჩე აღზრდის ძირითადი საკითხები ახლებურად შუქდება, იძენს ახალ დატვირთვასა და მნიშვნელობას, ვიდრე ეს ზედაპირულად ჩანს. თვითონ აღზრდის პრობლემა ქრისტიანული ანთროპოლოგიის შუქჩე თავისუფლდება იმ ზედაპირულობისგან, რომელიც ნიშანდობლივია თანამედროვე პედაგოგიკის საუკეთესო მიმდინარეობების-თვისაც კი, რომელიც ხშირ შემთხვევაში დაკავებულია წვრილ-მანების ძიებით და ავიწყდება ცხოვრების ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი პრობლემები. ბავშვის სულიერი სამყაროს რწმენა, როგორც მთელი აღზრდის საფუძველი და „გამართლება“ ჯეროვნად გააზრებული აქვს ადამიანის შესახებ მხოლოდ იმ სწავლებას, რომელსაც გვთავაზობს მართლმადიდებელი ქრისტიანობა.

<sup>18</sup>Feriere. Op. Cit. P. 197, 320-324.

## მ ე რ რ ე თ ა ვ ი

### ქრისტიანული ანთროპოლოგიის საფუძვლები

1. ქრისტიანული ანთროპოლოგიის საფუძვლები, და საერთოდ, ქრისტიანობა, როგორც სწავლება ადამიანის შესახებ, ცნობილი გახდა და განვითარდა ეკლესიის მამების მიერ, რომლებიც გამოდიოდნენ ბიბლიური ანთროპოლოგიიდან, ადამიანის შესახებ ახალი აღთქმისეული სწავლებიდან. თუმცა ეკლესიის მამები ყურადღებას ამახვილებდნენ ანთროპოლოგიის მხოლოდ ძირითად საკითხებზე; მათი სწავლებები სხვადასხვა უბანზე განიცდიდა ბერძნული ფილოსოფიის – განსაკუთრებით სტოციზმის<sup>1</sup> გავლენას. წმინდა მამების მთავარი საქმე ხომ დოგმატურ საკითხებზე მუშაობა იყო და მხოლოდ დოგმატურ თემებზე მუშაობისას წაიწყდებოდნენ ხოლმე ისინი ანთროპოლოგიის საკითხებს. ეს საკითხები ქრისტიანული მსოფლმხედველობისთვის იყო იმდენად მნიშვნელოვანი და არსებითი, რომ ისინი აუცილებლად ითხოვდნენ გადაწყვეტას. მაგალითისთვის საგმარისი იქნება თუ ვიტყვით, რომ ლუთერისა და კალვინის ანთროპოლოგია იდგა მათი სისტემების ცენტრში<sup>2</sup>. ევროპულ ფილოსოფიაში (განსაკუთრებით, ახალი<sup>3</sup> და უახლესი<sup>4</sup>) ანთროპოლოგიის

<sup>1</sup> იხ. ქრისტიანული ანთროპოლოგიის განვითარების განხილვა. Wh. Robinson-ის წიგნში “The Cristian Doctrine of man” (Edinburgh. 1920). ბიბლიური ანთროპოლოგიის ნარკევი მოცემულია Delitsch-ის ცნობილ წიგნში (ამქამად ხელთ მაქვს მისი ინგლისური გამოცემა “A System of Biblical Psychology”, Edinbourg, 1875) რუსულ ენაზე იხ. დავიდენკოს წიგნი „წმინდა მამათა სწავლებები სულის შესახებ“ (1909).

<sup>2</sup> იხ. Robinson (Op. Cit. 215-228).

<sup>3</sup> იხ. Dilethey-ის წიგნი. “Die Function der Antropologie in d. Kultur 16.u.17. Jahrh.”.

<sup>4</sup> იხ. Fr. Giese-ს საინტერესო წიგნი “Der Romantische Charakter”, სადაც კარგად ჩანს გერმანული რომანტიკოსების ანთროპოლოგიის ღრმა ცოდნა.

პრობლემები იმსახურებდა დიდ ყურადღებას. XIX – XX საუკუნეებში ფილოსოფიისა და ბუნებისმეტყველების განვითარებამ დიდი გავლენა იქონია ანთროპოლოგიის განვითარებაზე. ოუმცა ეკლესიის მამების მიერ ანთროპოლოგიის, როგორც მეცნიერებისთვის დაგებული საფუძველი დღეისთვისაც შეუცვლელი რჩება; ბოლო დროს ისევ ვუბრუნდებით ქრისტიანულ ანთროპოლოგიას – სხვადასხვა ავტორები ცდილობენ წარმოადგინონ თანამედროვე მეცნიერება და ფილოსოფია ერთმანეთთან ორგანულ სინთეზში, ადამიანის შესახებ ქრისტიანული ხედვის კუთხით<sup>5</sup>. ეს სამუშაო ჩვენ დავისახეთ, მაგრამ შესრულებამდე ჯერ კიდევ შორსაა – ეს, რა თქმა უნდა, უკავშირდება იმას, რომ თანამედროვე მეცნიერებაში (განსაკუთრებით ფსიქოლოგიაში) და თანამედროვე ფილოსოფიაში ჩვენ გვაქვს „რევიზიონიზმის“ პერიოდი. მომავლისთვის ჩაფიქრებული მაქს გავაკეთო ქრისტიანული ანთროპოლოგიის ნარაგევი ისე, როგორც ეს საჭიროდ მიმანია – მართლმადიდებლური ცნობიერების, თანამედროვე მეცნიერებისა და ფილოსოფიის შუქზე. მოკლე ნარკვევში, სამწუხაოდ, შეუძლებელი იქნება ამ საკითხების მთელი სიგრძესიგანით განხილვა, როგორც ეს მე ჩავიფიქრე: წიგნის მიზანი არ იძლევა საშუალებას, ჩემი ხედვის ისე სრული და საფუძვლიანი დასაბუთებისთვის, როგორც ამას მოითხოვს ასეთი რთული თქმა.

---

<sup>5</sup> აქ მივუთითებ მხრიდან ყველაზე მნიშვნელოვანი და დირექტული წიგნების შესახებ: M. Scheler, “Die Stellung des Menschen im Kosmos” (1928); P. Wust, “Dialektik des Geistes” (1928); Bainval, “Nature et surnature”; Brunner, “Gott und Mensch”. მიუხედავად იმისა, რომ საღვთისმეტყველო კუთხით არამდგრადი, მერყევი პოზიციაა დაფიქსირებული (და მიღრეკილია მისტიკური პანთეიზმისკენ), მაინც ქრისტიანულად ითვლება ჩვენ მიერ არაერთგზის დასახელებული ფერიერის წიგნი (Le progrès spirituel). რუსული ლიტერატურა მდიდარია საგულისხმო შრომებით: ნებმელოვი „მეცნიერება ადამიანის შესახებ“, წიგ. I და II; ფლორენსკი „სვეტი და ჰეშმარიტების მტკიცებულება“; ს. ბულგაკოვი „ნათელი დაუდამტებელი“, განსაკუთრებით ახალი წიგნი „საღვთო შესაწირავი“, და სხვა სადვთისმეტყველო შრომები; ბერდიავევი „ადამიანის მნიშვნელობის შესახებ“. ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალის მოპოვებაა შესაძლებელი ვიშესლავცევის წიგნში „სახეცვლილი ეროსის ეთიკა“, და ეტიუდში - „გული“.

2. ქრისტიანული ანთროპოლოგიის საფუძველში დევს სწავლება ადამიანში დავთის ხატების შესახებ, როგორც მისი ცენტრალური და მთავარი იდეა. არასწორი იქნებოდა მის საფუძველში შემოგვეტანა სწავლება ცოდვის შესახებ - ეს არის დამატებითი ქრისტიანული იდეა, მაგრამ არა ძირითადი სწავლება ადამიანის შესახებ. პირველქმნილი ცოდვის სწავლების გარეშე, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ადამიანის რეალური ცხოვრების, მისი ბეჭის გაგება. მაგრამ დავთის ხატების შესახებ განცხადება არის ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითი ქრისტიანულ ანთროპოლოგიაში. კათოლიკურ და პროტესტანტულ ანთროპოლოგიაში დაშვებულია კარდინალური შეცდომა - და ამის მიზეზია არა მხოლოდ ის, რომ სწავლება ადამიანში დავთის ხატების შესახებ არა თუ დგას ცოდვის შესახებ სწავლების გვერდით, საერთოდ ჩრდილშია მოქცეული<sup>6</sup>; არამედ ის, რომ ცოდვის შესახებ სწავლების ხაზგასასმელად, კათოლიკურ დოგმატიკაში აღმოცენდა სხვა ახალი სწავლება - სწავლება პირველქმნილი ცოდვის შესახებ, რომელიც ფაქტობრივად აგნინებს და ასუსტებს ადამიანში დავთის ხატების მნიშვნელობას. ცოდვა შეიჭრა ადამიანის მთელ სხეულში, მოიცვა მისი ყველა ფუნქცია, რის გამოც ადამიანში, მის სიღრმეში თავი იჩინა ძირეულმა გაორებამ (იხ. ქვემოთ) - სხვაგვარად რომ ვთქათ, ადამიანში სიკეთე ისე შეენიჭთა ბოროტებას, როგორც ამას მოგვითხოვთ მაცხოვარი ხორბლისა და დვარძლის იგავში (მათ. 13,24-30). ადამიანში ცოდვისადმი ასეთი დამონება (რომელმაც ვერ ჩაახშო მასში სიკეთის ძალა) კათოლიკური დოგმატიკისთვის არის ადამიანის ბუნების მთელი ჭეშმარიტება, ხოლო დასაბამად მისი უცოდველობის მიზეზად დავთის განსაკუთრებული წეალობა სახელდება, რომელიც განეშორა ადამიანს ცოდვით დაცემის შემდეგ<sup>7</sup>. პროტესტანტიზმში ადამიანის ცოდვის შესახებ სწავლება უფრო მკვეთრადაა გამოხატული, მან სრულად გადაფარა

<sup>6</sup> იხ. ბრუნერის ძალზე საინტერესო ფრაზები მისი ეტიუდიდან “Die biblische Psychologie” (Gott und Mensch).

<sup>7</sup> ამ სწავლების განხილვა იხილეთ პროტ. ს. ბულგაკოვის წიგნში „შეუწევლი მაყვალი“.

სწავლება ადამიანში ღვთის ხატების შესახებ. მართლმადიდებლურ ცნობიერებაში ცოდვით დაცემის შესახებ სწავლება ვერ ჩრდილავს ჰეშმარიტებას ადამიანის „ბუნების“ შესახებ, რაც, უპირველეს ყოვლისა, გადმოგვცა ადამიანში ღვთის ხატების შესახებ სწავლებამ. თუ როგორ უნდა დავუკავშიროთ ეს სწავლება პირველქმნილი ცოდვის შესახებ სწავლებას მართლმადიდებლური ანთროპოლოგიის შუქზე, ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ. ამჯერად მხოლოდ ერთ რამეზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას - მეტაფიზიკურობასა და ბოროტების ემპირიულობას (იხ. ქვევით) ადამიანსა და სამყაროში აქვს იმდენად დიდი მნიშვნელობა, რომ სწორედ აქედან ამოდის ძირითადი განსხვავებები უდიდეს მეტაფიზიკურ სისტემებს შორის. თანამედროვე ნატურალიზმს უჭირავს მეტ-ნაკლებად სუსტი და მოკრძალებული ადგილი სწორედ ადამიანის ძირეული (და არა საწყისი) გაორების საკითხში.

მართლმადიდებლური ცნობიერება ადამიანის განმარტებისას გამოიდის მისივე დირებულებების ძლიერი გრძნობიდან. სიხარული ადამიანის გამო, მასში ღვთის ხატების ცხოველი გრძნობა, არსებობის კურთხევა, ნათელს რომ პფენის მთელ მართლმადიდებლურ სამყაროს, რომლის მკვიდრიც ისე ძლიერად შეიგრძნობს ადგგომის სიხარულს, რომ ის გადაწონის მასში ყოველგვარ ცოდვასა და სიყალბეს. ღირსმა სერაფიმებ სულ ორი სიტყვით გამოხატა ადამიანის მიმართ (და მისი საშუალებით სამყაროს მიმართაც) მართლმადიდებლური დამოკიდებულების მწვერვალი. ეს ის სიტყვებია, რომლითაც ის ეგებებოდა ყველა ადამიანს: „სიხარულო ჩემთ!“ სწორედ ამის გამო მთელი „არსი“ სამყაროს მართლმადიდებლური შეგრძნობისა არის გარკვეული „სულიერი სიხარული“, რომელიც მომდინარეობს სამყაროს ცოცხალი, უძლეველი, ნათელი აღქმისგან, განსაკუთრებით ადამიანის ისეთი აღქმისგან, რომელიც განათებულია ღვთაებრივი ნათლის შეგრძნებით. აქედან მომდინარეობს ცოდვილი ადამიანის სიყვარულიც, ბუნებრივი შიშის არარსებობა ღვთის სამსჯავროს წინაშე, რომელიც ასე ძლიერია მაგ., პროტესტანტიზმი და ასე უცხოა ჩვენთვის. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ნაკლებად

სენტიმენტალურები ვართ, ან არ შევიგრძნობთ ცოდვის სიბილ-წეს – ცოდვის დანახვის უნარი ადამიანში არ ნიშნავს მისი სულის საიდუმლოს წვდომას. სიხარული ადამიანის გამო არის ურყევი რწმენის საფუძველი – და როგორც არ უნდა დაეცეს ადამიანი, რა საზღვრებსაც არ უნდა აღწევდეს მასში სიბილწე, არ შეიძლება გვქონდეს მის მიმართ სიძულვილი, არამედ უნდა ვწუხდეთ და ვტიროდეთ იმის გამო, რომ საკუთარი თავი წასაწყმე-დელად გაიმეტა მან, და მუდამ ვიმედოვნებდეთ, რომ ის შეიც-ვლება. ეს არის ადამიანის მიმართ დიდი რწმენის გამოხატუ-ლება, ეს არის განცდა იმისა, რომ არანაირ ცოდვას არ შეუძლია ადამიანში დათის ხატის წაშლა; ეს არის მყარი აღმსარებლობა იმისა, რომ არავის არასდროს არ ხელეწიფება იმ მარგალიტის ბოლომდე შებილწვა, რომელიც უფალმა ჩვენ სულ ში ჩადო – სწორედ ეს არის ის სასოფტა, რომლის შესახებაც მოციქულმა პავლემ დაწერა შესანიშნავი სიტყვები, რომ ის არის „რომელი ვითარცა ხარისხი გვიპყრიეს სულისა კრძალული და მტკიცე და შემაგალი შინაგანსა მას კრეგსაბმელსა“ (ებრ. 6.19). ადამი-ანის მიმართ რწმენა ჭეშმარიტად იპყრობს ადამიანის შინაგან სამყაროს, აღწევს იმ ფარდის მიღმა, რომელიც მან მოიქსოვა ცოდვითა და სიბილწით, და იქ ის ხედავს ჯერ ისევ გამოუყე-ნებელ ძალებს, რომელიც ყველას ეძლევა დათისგან, – და სწორედ ამ ხილვით საზრდოობს და ცოცხლობს ადამიანის მიმართ დიდი სიყვარული და მხოლოდ კარგი შეხედულება მასზე.

ეს არის მთავარი გამოცხადება ადამიანის შესახებ, რომე-ლიც მუდამ მყოფობს ჩვენს, ეს არის ის უმთავრესი, რასაც გვასწავლის ქრისტე. ის ცხოვრობს და მოქმედებს ჩვენს მთე-ლი თავისი ძალით სააღდგომო გამოცხადებებით გაბრწყინებუ-ლი, სწორედ ეს გამოცხადებები ჩვენ წინაშე გადაშლიან არსე-ბობის საიდუმლოს დასაზღვრულ სიღრმეს, აღდგომის შექით აშუქებს ჩვენთვის ეს სამყაროც. სამყაროში არის ცოდვაც, ბოროტებაც, საშიში და ბნელი ძალებიც, მაგრამ უფრო ძლიერია სხვა რამ – არის სინათლე, რომლის ჩახშობაც არ ძალუბს არანაირ წყვდიადს, ყველაფერს აღევს დათის ნათელი, რომე-ლიც არასოდეს ტოვებს ადამიანს, რამდენჯერაც არ უნდა დაეცეს

ის. საზღვარი არ აქვს ჩვენს სიბილწეს, თუმცა უფრო მეტად უსაზღვროა სინათლე და სიმართლე, რომელიც დავთისგან ეძლევა სამყაროში მცხოვრებ ყველა სულიერს. საშიში და იდუმალია ცხოვრების ტრაგედია, საბედისწერო ძალები იყრიან თავს მის გარშემო – თუმცა მათ არ შეუძლიათ იმის მოსპობა და წაშლა, რაც ადამიანის სიღრმეშია დაფარული. სულ „ერთი საათის“ სინანულმა განაპირობა ჯვარცმული ავაზაკის ცხონება, ვინაიდან ჰეშმარიტი სინანულით განწმენდილი სული ისევ სპეციალება და ნათდება, უბრუნდება იმ მდგომარეობას, რომლითაც ის შემოვიდა ამ სამყაროში.

ეს არის მართლმადიდებლური ცხობიერების მთავარი სიმართლე, მთავარი გამოცხადება ადამიანის შესახებ. ვინაიდან ჩვენ ადამიანს ვჭვრებთ „ქრისტეს შუქწე“, – მისი ნაკლისა და ცოდვის მიღმა, მისი დასაზღვრულობისა და სისუსტეების მიღმა ჩვენ წინაშე იშლება მთავარი სიმართლე ადამიანის შესახებ, რომელიც არასდროს არ უნდა ტოვებდეს ჩვენს ცხობიერებას, რათა შევძლოთ ადამიანის მიმართ ქრისტიანული მიღვომა. ბავშვებში დვთის ეს ბრწყინვალება, ეს სულიერი სილამაზე არ არის ისე დაფარული, როგორც უფროსებში, – და მაცხოვრის სიტყვები იმის შესახებ, რომ შეუძლებელია ცათა სასუვავლის დამკეიდრება, თუ არ ვიქნებით „როგორც ბავშვები“, აქ იძენს ახალ მნიშვნელობას: შეუძლებელია ადამიანებში ცათა სასუვავლის ანარეკლის დანახვა, თუ არ მივალთ იმ სიღრმემდე, სადაც ადამიანები იქნებიან, როგორც ბავშვები. საჭიროა ყველა სულიერი პერიფერიის უარყოფა, რომელიც ხშირად ბნელი, ბილწი და მიუღებელია, რათა ჩავწვდეთ ადამიანში დვთის ხატებას, და მაშინ დავინახავთ ადამიანს ახალი ბრწყინვალებით, ახლუბურად, ახალ შუქწე.

3. ქრისტიანობამ გვახარა ადამიანის სულის სსნის შესახებ, თუმცა მანვე გვასწავლა ადამიანების სხვაგვარად ჭვრება, მან გვასწავლა იდუმალი ქრისტიანული სიყვარულით იმ სიღრმეში შედწევა, სადაც ხელუხლებელი, მაგრამ დაფარულია დვთის ხატება და ამ სიღრმიდან იგი ანათებს. ეს ბრწყინვალება სხვა არაფერია, თუ არა სამყაროს ყველაზე დიდი ნათელი და სიკეთე,

— აქ არის გარკვეული გამოცანა, რომლის ამოხსნასაც ცდოლობს ადამიანში ღვთის ხატების სწავლები. რას ნიშნავს ადამიანთან ღვთის ხატებისა და სინათლის არსობრივი სიახლოვე, და გარკვეული ღვთის ანარეპლი მთელ დანარჩენ სამყაროში — თუკი ადამიანის ყველა დანარჩენი არსებებისგან განმასხვავებელი ნიშანი სწორედ ღვთის ხატებაა? ადამიანის შესახებ სწორმა სწავლებამ უნდა განგვიძარტოს ისიც, რომ კაცობრიობა მთლიანად მთელი თავისი არსით და ადამიანთა შორის განსხვავებულობით ერთიანდება ღვთის ხატების იდეის შექმნებანა ღვთის ხატება არ გახლავთ ინდივიდუალიზმის, თავისებურებების, ცალკეულობის უკანასკნელი სიდრმე, რომელიც შინაგანად განსაზღვრავს თითოეული ადამიანის ერთადერთობას და მნიშვნელობას? როგორ ხდება, რომ ეს ღვთის ხატებისგან მომდინარე თავისებურებათა ძალა ცვლის ყველა ადამიანს და აღვივებს მასში უკეთესობისკენ, ნამდვილობისკენ და სისპერაკისკენ სწრაფვას? სწავლებამ ღვთის ხატების შესახებ ფარდა უნდა ახადოს ადამიანისა და სამყაროს, ადამიანისა და კაცობრიობის ერთიანობის იდეას. მაგრამ, რაც განსაკუთრებით რთული და ნიშანდობლივია — ეს არის ის, რომ ადამიანის შესახებ სწავლებაში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული მთელი მისი ძალაც და ცოდვისადმი მიღრეკილებაც. უნდა შევძლოთ ადამიანის ისე აღქმა, რომ „გავამართლოთ“ იგი სიბნელის, სიცრუის, სიყალბის, ცოდვის წინაშე, რასაც ასევე დრმად აქვს გადგმული ფესვები ადამიანში. ასეთია ღვთის ხატების იდეის მთელი პრობლემატიკა.

ამ იდეის განხილვისას აუცილებელია „პიროვნების“ საწყისის — როგორც ჩვენში ღვთის ხატების ძირითადი გამოხატულების<sup>8</sup> — წინა პლანზე წამოწევა. ყველა სირთულე, რომელიც გვხვდება ადამიანის შესახებ სწავლებაში, უკავშირდება სწორედ პიროვნების ცნების გარკვეულ ბუნდოვანებას, რომლის დადასტურებაცაა ის საოცარი ფაქტი, რომ ევროპული ფილოსოფიის

<sup>8</sup> წმინდა მამების მიერ ამ სწავლების განხილვა ის. პროფ. სერგერენიკოვის წიგნში „ლოკის სწავლება ცოდნის თანდაყოლილი საწყისების შესახებ ღვთის ხატების ქრისტიანული სწავლების შექმნება“.

ისტორიაში სუსტად წარმოდგენილი პერსონალიზმის სისტემების გამო ქრისტიან ხალხთა ფილოსოფიაში ასეთი ძლიერია იმპერსონალიზმის მოტივები, და ასეთი სუსტია პიროვნების საწყისის სიღრმისა და მთელი ძალის შეგრძნება.

ვ. შტერნბა შემოგვთავაზა Person-ის ცნება (რომელიც ითარგმნება, როგორც „არსება“) განვასხვაოთ იგი Persönlichkeit-ისგან (რაც ითარგმნება, როგორც „პიროვნება“). Person-ი არის ცოცხალი არსების ცნება, რომელიც იბრძვის არსებობისთვის – გამოიყენება არა მხოლოდ ცხოველების, არამედ მცენარეების აღსანიშნავადაც. აქ არსებითია არა მარტო, შტერნის გამოთქმით, „აგტორელია“, არამედ ისიც, რასაც ყველა ცოცხალი არსება, განსაკუთრებით მისი უმაღლესი ფორმები, აღმოაჩენს – გარემო პირობებთან შეგუების უნარი, და ასევე გარემოს შეგუება ჩვენს მოთხოვნილებებთან. მაგრამ მხოლოდ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს თვითშეგნება და ეს არის ადამიანში „პიროვნების“ დამადასტურებელი ნიშანი. ადამიანი სხვა ცოცხალი არსებების მსგავსად, იბრძვის გადარჩენისთვის, ეგუება გარემოს და მასაც აგუებს თავის თავთან, აცნობიერებს მას, რაც მის ირგვლივაა, იგონებს იარაღებს და იმორჩილებს ბუნების ძალებს – ყველაფერი ეს შესაძლებელია იყოს სხვა ცოცხალ არსებებშიც. მაგრამ მხოლოდ ადამიანშია თვითშეგნება – და არა მხოლოდ იმ მნიშვნელობით, რომ ადამიანი ხედავს საკუთარ თავს, არამედ იმ მნიშვნელობითაც, რომ ის აღმოაჩენს საკუთარ თავში ჯერ გაუაგალავ სიღრმეებს, პოულობს მასში მთელ სამყაროს. თვითშეგნება გულისხმობს სწორედ ამ სიღრმეს და ადამიანის შინაგანიდან მომავალ სიცოცხლის დაუშრებელობას – და ამიტომაც თვითშეგნება არის საკუთარი ერთიანობის, საკუთარი „მეს“, საკუთარი განსხვავებულობისა და თავისებურებების შემეცნება. აქვე იჩენს თავს საკუთარი დაპირისპირულებულობა სხვა ადამიანების, სამყაროს, დმერთის მიმართაც კი. საკუთარ თავში ადამიანი პოულობს არა მხოლოდ შინაგან სამყაროს, არა მხოლოდ ერთსა და იმავე „მეს“, არამედ იმ ყველაფრის საწინააღმდეგოდ მიმართულ ძალას, რაც არ წარმოადგენს პიროვნებას, თავისუფლების ძალას. აქ იხსნება მეს აბსოლუტურობის გარკვეუ-

ლი ძალა, აბსოლუტის რადაც ანარეკლი – და სწორედ აქ უნდა დაგუპირისპიროთ ჩვენი თავი ყველაფერს, რაც არ წარმოადგენს „მეს“.

თუმცა აბსოლუტის ეს „ანარეკლი“ არის მხოლოდ „მომენტი“, ჩვენი პიროვნების რადაც განსაკუთრებული თვისება. ჩვენი სიღრმიდან იბადება თავისუფლების იდეა და „თვითდამკიდრების“ სურვილი, ხოლო ცხოვრება გვასწავლის, რომ ჩვენ ზღვარდადებულები ვართ ყოველი მხრიდან. პიროვნების საწყისი არ იშლება ჩვენში მთელი სისრულით – ის ჩვენში არასრული და დასაზღვრულია, და სწორედ აქ დგება პირველი გამოცანა პიროვნების ამოსაცნობად, რომელიც მოითხოვს შექმნილი სამყაროს სისტემაში მის მოაზრებას. როგორ არის შესაძლებელი პიროვნებისა და ქმნილების ერთმანეთთან შენივთება? ის, რომ ადამიანის „პიროვნება არის ქმნილი“, ეს უცნაური და ერთდროული კუთვნილება ადამიანისა, ქმნილი სამყაროსი აბსოლუტურ სამყაროსთან, ერთობ სადაცოდ და ბევრ კითხვას ბადებს. თავისი არსით პიროვნების ცნებას ასრულებს სწორედ აბსოლუტური პიროვნების, ანუ ღმერთის<sup>9</sup>, როგორც თვითმყოფადი არსების იდეა, რომელიც არაფრით განპირობებული და არსა-იდან გამომდინარეა. პიროვნული საწყისი ადამიანში იმდენად დაკინებული და დასაზღვრული, იმდენად უსუსური და უმწეოა, რომ იბადება კითხვა – კანონიერია თუ არა ადამიანთან მიმართებაში გამოვიყენოთ პიროვნების ცნება, ანუ შესაძლებელია თუ არა, ამ ცნების გამოყენება ქმნილ არსებებთან? ის, რომ ადამიანი ქმნილია, და არის „არსებობის“ ნაკადის ნაწილი, პლატონის ტერმინი რომ გამოვიყენოთ, ძნელად უკავშირდება ადამიანის შესახებ იმ გამოცხადებას, რომელსაც იძლევა თვითშეგნების ფაქტი. დაკ, ჩვენი ცნობიერება მოიცავდეს იმის მხოლოდ მცირე ნაწილს, რაც ადამიანის სულის სირდმეშია, თვით-

<sup>9</sup> ღმერთი, როგორც აბსოლუტი, პიროვნების საწყისს „დიალექტიკურად“ ხსნის წმინდა სამებაში. ეს რომ არ მოგვცემოდა გამოცხადებით, ჩვენ კერასოდეს გადავდახავდით იმ სირთულეებს, რასაც თავის თავში ინახავს დვოის, როგორც პიროვნების ცნება. ის. ამის შესახებ პროტ. ს. ბულგაკოვის „რამდენიმე თავი სამების შესახებ“.

შეგნების მკრთალი სინათლე მაინც არის არა მხოლოდ სასწაული, არა მხოლოდ გამოცანა, არამედ მას ქმნილების ყოფიერებისთვის აბსოლუტურად შეუფერებული, განსხვავებული ბუნება აქვს. ის არ არის ბუნების პროდუქტი, შეუძლებელია მისი „ქვევიდან“ ამოცანა, ფსიქიკის გენეტიკური უკოლუციის მიხედვით; თვითშეგნება არ იბადება ცნობიერების წიაღიდან, არამედ მოდის „ზევიდან“ – ანუ დვოისგან. არაფერი ისე არ მეტყველებს ადამიანის ზებუნებრიობის შესახებ, ბუნებისგან მისთვის ბოძებული უხილავი ხატის შესახებ, როგორც თვითშეგნების ნიჭი<sup>10</sup>.

თვითშეგნება – არისტოტელეს აზრით, რომელიც სუფთა ფორმალურად განმარტა თავის სწავლებაში დმერთის შესახებ – არის სულის ფუნქცია. სულიერების ცნება გაცილებით ფართოა, ვიდრე თვითშეგნების ცნება, თუმცა თვითშეგნება არის სულიერების მაკონსტრატირებელი მომენტი. ანტინომია, რომელზედაც ზევით გვქონდა საუბარი, ამის გამო შეიძლება იყოს გამოხატული, როგორც „ქმნილი სულის“ ცნების ანტინომია. ყველაფერი, რაც ქმნილია, არის ბუნების ნაწილი, სულის საწყისი კი არ შემოიფარგლება „ბუნების წესრიგით“, ის მისგან დამოუკიდებელი და უხილავია. სულიერი საწყისი შეუძლებელია მოიაზრებოდეს უპიროვნო არსებად<sup>11</sup>, სულიერი საწყისი გულისხმობს მხოლოდ პიროვნულ ყოფიერებას. ადამიანში პიროვნების საწყისი და ბუნების წესრიგში მისი მონაწილეობა შერწყმულია ერთმანეთთან; ანტინომია აქ იმაში მდგომარეობს, რომ ქმნილ ბუნებას არ ძალუძა „თვითგანსაზღვრა“ და „თვითმოცემულობა“. ხოლო პიროვნების საწყისში ეს „თვითმოცემულობა“ შეი-

<sup>10</sup> ვუნდტი ფართოდ იყენებდა სწავლებას იმის შესახებ, რომ ფსიქოლოგიური ყოფიერება „უშეალოდ“ ჩვენს გონებას ეძლევა. თუმცა ეს „უშეალობა“ სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის ფსიქიკაში თვითშეგნების პრიმატი (ადამიანში ცნობიერება წარმოიშვება თვითშეგნების ნიადაგზე) – თუმცა არავითარი საფუძველი არ არსებობს საიმისოდ, რომ შევითვისოთ, მაგალითად, ცხოველური ფსიქიკის ეს უშეალო ძღვენი.

<sup>11</sup> უპიროვნო არსების სულიერი ყოფიერების აღიარება იყო პლატონის შეცდომა (როგორც ეს აღნიშნა ს. ტრუბეცკოიმ). „იდეები“ ან წარმოადგენს დვოის აზრების არსებობის ან არიან სუბიექტის არსი (ლეიბნიცის აზრით მონადები).

ძლება მოიაზრებოდეს, როგორც „თვითარსის“ ყოფიერება. პიროვნების ცნება უნდა იყოს მკაცრად აბსოლუტური; ასეთ შემთხვევაში, როგორ უნდა მოთავსდეს პიროვნება ქმნილების ჩარჩოში, როცა ქმნილების შესაძლებლობები ზღვარდადებულია, როგორდაა შესაძლებელი მისთვის სულიერი ცხოვრება?

ამ ანტინომიიდან აზრი ან იქითკენ უნდა მიემართებოდეს, რაც ცდილობს პიროვნების საწყისის გამოყვანას ქმნილების ჩარჩოებიდან, ან ის უნდა ახდენდეს უბრალოდ ანტინომიის კონსტატაციას და ასეთ შემთხვევაში ის არ შეეცდება ამ საკითხის გადაწყვეტას. პირველი გზით მიდის ნატურალიზმი, მეორით ტრანსცენდენტალიზმის სხვადასხვა მიმართულებები. არის მესამე გზაც – მეტაფიზიკური ინდივიდუალიზმისა, ანუ პიროვნების საწყისის გააბსოლუტურება, თუმცა ეს სწავლება<sup>12</sup> იმდენად უსუსურია, რომ ის ნაკლებად იქცევს ყურადღებას.

რიბოს უხეში მსჯელობის თანახმად, რომელიც ტიპიურია თანამედროვე ფსიქოპათოლოგიისთვის<sup>13</sup>, ჩვენს დროში ძალიან მოდური ხდება პიროვნების განმარტებისთვის სოციალური ფსიქოლოგიის გამოყენება<sup>14</sup> - ეს რაც შეეხება ფსიქიკის ევოლუციიდან პიროვნების საწყისის გამოყვანის მცდელობებს. ამ მიმართულებით მიღწეულია საინტერესო შედეგები, თუმცა ყველა გამოდის petitio principii-დან, ანუ ამ ძიებებში იკვლევენ მას, რისი პვლევაც აუცილებელია. პიროვნების საწყისი არც „წარმოებადი“ და არც „გამომდინარეა“; თუ ემპირიული „მე“, როგორც

<sup>12</sup> მეტაფიზიკური ინდივიდუალიზმის ყველაზე საინტერესო ფორმა მოგვცა ფიხტე უმცროსმა; პლურალიზმის სხვა ფორმები ნაკლებად ფასეულია.

<sup>13</sup> ამ თეორიების კრიტიკა იხილეთ ჩემს წიგნში „ფსიქიკური მიზეზობრიობის პრობლემა“, გვ. 337-352. იხ. ასევე Ch. Blondel-ის ეტიუდი „La personnalite“ Traité de Psychologie (G. Dumas-ის რედაქციით, V. II, P.522-572). საინტერესოა ასევე ახალი წიგნი Wallon „des origines du caractere chez l'enfant“. Paris, 1934.

<sup>14</sup> პირველად ეს თეორია განიხილა ბოლდვინმა (იხ. მის შესახებ ჩემი „ბავშვობის ფსიქოლოგია“). მისი სხვადასხვა ვარიანტების მოძიება შესაძლებელია Ch. Blondel-თან, ასევე Piaget-თან (იხ. კრებული „Individualite“, Paris. 1933).

ჩვენი ემპირიული თვითშეგნების ცენტრი, უდავოდ იკვებება სოციალური გამოცდილებით, მაშინ ემპირიული „მეს“ წარმოშობას უკავშირდება კიდევ უფრო ღრმა „მე“, რომელიც თვითშეგნებას მიეცა ყოველგვარი გამოცდილების მიღებამდე. აუცილებელია ამ უფრო ძლიერი „მეს“, როგორც თვითშეგნების წიადის, როგორც სულიერი ცხოვრების ცენტრის, როგორც თვითშეგნების თავისთავადი ფაქტორის, – და ემპირიული „მეს“<sup>15</sup> ერთმანეთისგან გარჩევა. ჯეომსის აზრით, თვით ემპირიული მეს ერთიანობა არ შეიძლება იყოს მხოლოდ „ფუნქციონალური“; ემპირიული „მე“ არის არა მხოლოდ პიროვნების გამოვლინება (უფრო ღრმად გაგებული რეალობა), არამედ მასში შესაძლებელია იყოს „კრიზისი“, შესაძლებელია მისი „რღვევა“, მხოლოდ მას ახლავს ერთი უცნაურობა – განცდების ყველა სხვადასხვა ციკლის თავმოყრა ხდება საკუთარი „მეს“ ორგვლივ. ესტერჟისის აზრით<sup>16</sup>: „სულიერი მდგომარეობანი „მეს“ კატეგორიის გარეშე არ არსებობს“. ემპირიულ „მეს“ განსაზღვრული ურთიერთობა ძქვს „რეალურ“ „მესთან“, იმის მცდელობას, რომ მოვიაზროთ პიროვნების ორივე შრე, როგორც განუყოფელი და ერთიანი, მივყავართ ანთროპოსოფიის გარდასახვის სწავლების მცდარობასთან<sup>17</sup>.

4. ადამიანის პიროვნება დასაზღვრულია ბუნებაში მისი როლით, თუმცა თვითონ ადამიანში ყველაფერი პიროვნულია. ეს თუზისი შტერნის მიერ ძალიან დამაჯერებლად განხილული, გვიმტკიცებს, რომ პიროვნული საწყისი კი არ არის სადღაც ადამიანის მახლობლად, არამედ ის მოიცავს ადამიანის მოელ არსებას. ვინაიდან პიროვნული საწყისი არსებითადაა დაკაჭ-შირებული თვითშეგნებასთან, ადამიანის სულიერ სფეროსთან, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ტრიქოტომიასთან დაბრუნება, ანუ ადამიანში სამი მხარის - სხეულის, სულისა და სამშვინველის

<sup>15</sup> ამის შესახებ იხ. Johann Volkelt-ის „Das Problem Individualität“ (1928).

<sup>16</sup> Oesterreich „Phänomenologie des ich“ ეწ. დეპერსონალიზაცია არ არის ichlose Zustand. S. 23).

<sup>17</sup> ანთროპოსოფიულ სისტემაში ანთროპოლოგიის შესახებ იხ. ქვევით. იხ. ასევე YWCA გამოცემული კრებული გარდასახვის შესახებ.

- განხილვა. ტრიქოტომიისკენ იხრება მთელი თანამედროვე ფსიქოლოგიაც, ვინაიდან სულის თემა სულ უფრო მეტად აქტუალური ხდება. ოუმცა ამ სამი მხარის გარჩევისას აქტუალურია მათი ურთიერთმიმართების საკითხი. და ამ კითხვაზე ქრისტიანულ ანთროპოლოგიას აქვს მხოლოდ ერთი პასუხი, რომელიც მდგომარეობს ადამიანის იერარქიულ კონსტიტუციაში. ოუმცა აუცილებელია იმის მხედველობაში მიღება, რომ ის ტრიქოტომია, რომელზედაც აქად საუბარი, იმდენად განსხვავდება ტრიქოტომიის ტრადიციული გაგებისგან<sup>18</sup>, რომ ჩვენი მკითხველისადმი თხოვნა იქნება, რომ არ შემოიტანოს მან ჩვენს ტერმინლოგიაში წინარე ასოციაციები. სულიერი საწყისი ადამიანში არ არის ცალკე სფერო, არც განსაკუთრებული და განკერძოებული ცხოვრება, არამედ ის გახლავთ შემოქმედებითი ძალა, რომელიც ენტელექტურად განმსჭვალავს მისით მთელ ცხოვრებას (სულსა და ხორცს) და განსაზღვრავს ცხოვრების ახალ „ხარისხს“. ამიტომაც სულიერი საწყისი ადამიანში არის მთლიანობისა და ორგანული იერარქიულობის საწყისი, და თუ ეს არასაკმარისად აისახება ადამიანის რეალურ ყოფიერებაზე, ეს არის გარკვეული სულიერი შებოჭილობა, რომელსაც ჩვენ მოგვიანებით განვიხილავთ - ეს არის ის, რასაც ჩვენ რელიგიურ ენაზე ვუწოდებთ ცოდვას. ახლა მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ სულიერების საწყისი ჩვენ მიერ აღიქმება არა როგორც განსაკუთრებული ზეფსიქოფიზიკური ცხოვრება, არამედ როგორც ადამიანის ძირითადი ცხოვრება, რომლის წინამდგვარია ფსიქიკური და ფიზიკური სფერო. იმიტომაც არის ადამიანში ყველა-

<sup>18</sup> დიქოტომია და ტრიქოტომია ერთმანეთს არ გამორიცხავს. როცა განვასხვავებთ ადამიანში - „სულიერ“ და „ბუნებით“ სფეროებს, ჩვენ ვიღებთ სწორედ იმ დიქოტომიას, რომელიც შემოიღო ჯერ კიდევ პლატონმა და ამ თვალსაზრისით მისი მნიშვნელობა გაიზიარა ფილოსოფოსების დიდმა ნაწილმა. ოუმცა ადამიანის „ბუნებაში“ ფსიქიკური და ფიზიკური სფეროები აუცილებლად უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისგან. დიქოტომია სწორია იმ შემთხვევაში, თუკი ის გულისხმობს „ბუნებითი“ სულის განსხვავებას, ოუმცა ასეთ შემთხვევაში იკარგება ფსიქიკურის თავისებურება. ამ უკანასკნელის შესახებ იხ. ჩემი წიგნი „ფსიქიკური მიზეზორიობის საკითხი“.

ფერი პიროვნული, რომ ყველაფერი მთლიანი და განუმეორებელია და ამ მთლიანობით განუმეორებელი და ერთადერთია.

მაგრამ სწორედ ამ მთლიანობის, სულიერი სამყაროს ფსიქიკურ ცხოვრებასთან ამ დაურღვევლად ერთიანი კავშირის ბოლომდე გააზრება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის იერარქიული კონსტიტუციის განმარტებით. როგორც ადამიანის ორგანიზმის ცხოვრების ერთიანობა არ უარყოფს სხვადასხვა ორგანოს იერარქიულობას<sup>19</sup>, არამედ პირიქით – სწორედ მას ეყრდნობა, ასევე ადამიანში - მისი ცხოვრების მთლიანობას განაპირობებს მისივე კონსტიტუციის იერარქიულობა. ამ იერარქიულობისგან შედგება სულიერი საწყისის პრიმატი, ანუ ის შედგება მოქმედი თანაფარდობისგან ადამიანის მთელი ცხოვრებისა მის სულიერ საწყისთან<sup>20</sup>. ადამიანში ყველაფერი იმიტომაც არის პიროვნული, რომ მასში ყველაფერი სულიერ საწყისთან თანაფარდობაშია, რომ ადამიანი ყოველთვის და ყველაფერში მუდამ რჩება სულიერ არსებად. ეს სულიერება არ არის „თავისთავად არსებული“, ის უცნაურადაა შერწყმული ქმნილებასთან, და მაინც ის არის ყველაფრის თავმოყრა, ადამიანის ცოცხალი გულისგული, ჭეშმარიტი ცენტრი („რეალური მე“), ადამიანის ინდივიდუალობის საფუძველი, მისი მეტაფიზიკური ბირთვი. სულიერი საწყისის პრიმატი არ ახშობს ჩვენს ფსიქოფიზიკურ ცხოვრებას, არ აღმოფხვრის მას თავისი კანონზომიერებით. ის რომ, ფსიქიკა და სხეულებრივი სფერო წარმოადგენენ სულიერი საწყისის გამოხატულებას და გზას გვიჩვენებენ მისკენ, არ ნიშნავს, რომ მათ არ აქვთ საკუთარი ცხოვრება. მათი საკუთარი ცხოვრება არ არის სულიერ საწყისთან მუდმივ თანხმობაში, არამედ მას შეუძლია მისი დაქვემდებარებულიერება.

<sup>19</sup> იხ. ჩემი ეტიუდი „სულის იერარქიული წყობის შესახებ“.

<sup>20</sup> აქ ჩვენი გაგება სრულიად განსხვავდება კათოლიკური დოგმატიკის მიხედვით ადამიანის გაგებისგან. რომ ავიღოთ, მაგალითად, Scheelben-ის (“Lehrb. D. Kath. Dogmatik” B. II.1925) უზარმაზარი შრომა, მასშიც კი შევხვდებით სწავლებას ადამიანის მთლიანობის შესახებ, ადამიანში სულისა და „ბუნებითობის“ ურთიერთშედევადობის შესახებ (S. 227), თუმცა ეს მთლიანობა სულ სხვა რამეს გვასწავლის – ის გვასწავლის

ბაც კი, რაც გამოიხატება იმაში, რომ ის ხშირად ხდება ტყვე ფსიქოფიზიკური ხასიათის სწრაფვებისა. ეს ჯერ კიდევ არ არის ცოდვა, არამედ მისი შესაძლებლობაა; ყოველ შემთხვევაში, სულიერი ცხოვრების პრიმატის არსებობის პირობებში გარდაუ-ვალია სულის დატყვევების შესაძლებლობა დაცემული ძალების მიერ. ამგვარად იქმნება შესაძლებლობა სულიერი ცხოვრების ორი მიმართულებისა – შესაძლებელია, ჩვენში იყოს „ნათელი“ ან „ბნელი“ სულიერება. ჩვენ ცოტა მოგვიანებით შევქმნათ მათ შორის სხვაობის საკითხს, ახლა კი გვსურს ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ სულის დატყვევება ბნელი ზრახვებითა და ვნებებით შესაძლებელია ადამიანის მთლიანობის პირობებშიც, კერძოდ, მისი ქმნილების ისეთი იერარქიული წყობით, რომელიც არ აძლევს საშუალებას სულიერ მხარეს შეინარჩუნოს „სისპერაცე“, მაშინ, როცა ვითარდება ადამიანის მგრძნობელობა. როცა ვამბობთ, რომ სულს ენიჭება ადამიანში ყველაზე დიდი მნიშვნელობა, ეს არ ნიშნავს, რომ სული არის ადამიანის ცხოვრების განმკარგავი, თუმცა ამით არ უარვეოფთ ადამიანის მუდ-მივ და აუცილებელ სულიერებას. და მაშინ, როცა ჩვენი სული ექცევა ბოროტი ზრახვების ტყვეობაში, არ ირღვევა მისი მთლიანობა, თუმცა რამდენადმე მახინჯდება ადამიანის ცხოვრება. ამ მდგომარეობის პარადოქსი (რომელიც, სხვათა შორის, ნათელს ჰყენს ადამიანში სულიერების იდეის ბევრ გაურკვეველ მხარეს) ის გახლავთ, რომ ჩვენში სულიერების პრიმატი არსებობს და არც არსებობს. ის არ არსებობს იმ მნიშვნელობით, რომ ადამიანის სულიერი მხარე დაფარულია, ვერ განაგებს ემპირიულ თვითშეგნებას, რომელიც გამოიხატავს, და ხშირ შემთხვევაში,

---

ფსიქოსულიერი ბუნების პრიმატის შესახებ, რომელიც არის მიზეზი სულიერი დაფექტებისა (infirmitas mentis), ცოდვისკენ მიღრეკისა (S. 216-298). კათოლიკების აზრით, ეს არ არის ცოდვით დაცემის შედეგი, არამედ პირიქით, ის აშიშვლებს ადამიანის ბუნებას. თავისი „ბუნებით“ ადამიანი არ არის სულიერი, არამედ ის არის Homo animalis (S. 227). ქმნად არსებაში მთელი სისრულით დათვის ხატების გახსნა შეუძლებელია (S. 233): „das Bild Gottes im Menschen ist von Natur sehr unvollkommen“ – კათოლიკური პედაგოგიკა ემსრობა ამ თვალსაზრისს. იხ. ვორრი: „Die erzieherischen Eigenwerte d. kathol. Kirche“ (1928) S. 132 ff.

ვერ ახდენს გავლენას სულიერ პერიფერიებში მიმდინარე მოვლენებზე, ის ვერ აღწევს არა მხოლოდ სულიერის, არამედ მშვინვერის სიღრმეშიც კი. სულიერი ცხოვრება თითოეულმა თვითონვე უნდა აღმოაჩინოს. შესაძლოა, იცხოვრო მთელი ცხოვრება და არასდროს შეაჩერო ყურადღება სულიერ მხარეებზე, მხოლოდ ხანდახან შეიგრძნო ისევ საკუთარი სიღრმიდან, საკუთარი თავიდან მომავალი შიში. ადამიანები ისე ხშირად გაურბიან საკუთარ თავს, იმდენად არიან გადასული „მოქმედებებზე“, ფსიქიკურ პერიფერიებზე, რომ შემდეგ ძალიან უჭირთ შინაგანი ცხოვრების არსებობის მიღება, რომელიც სცდება პერიფერიების საზღვრებს. რომ აღმოაჩინო საკუთარ თავში სულიერი სამყარო, რომ იგრძნო და შეამჩნიო, გაიაზრო სულიერი ცხოვრება, აუცილებელია „მოუსმინო შენსავე თავს“, უნდა შეასუსტო გარებანი შთაბეჭდილებების ძალაუფლება, საჭიროა განმარტოება, მდუმარება, დიდი ცვლილებები ფსიქიკურ ჩვევებში და ა.შ. სულიერი სამყაროს ეს აღმოჩენა, თუკი ის (არ არის სრული) ნაწილობრივია, ანუ ყოველ ჯერზე ხდება ნაწილ-ნაწილ, რომელიც თითქოს გვიხსნის იმ „ჩიხში“ შესასვლელ გზას და, რომელიც ჩვენს შინაგანში ჩაგვახედებს, ჯერ კიდევ არასაკმარისია იმისათვის, რომ გავიგოთ ჩვენში თითქოს გაუმჯორვალე, დაბურული ფენით დაფარული სულიერი ცხოვრების უწყვეტი ნაკადის მნიშვნელობა. და მხოლოდ მათ, ვინც მორალური და ასკეტური მოტივებით, მიზანმიმართულდად თუ რადაც მიღრეკილებების გამო მუდმივად იძირებიან საკუთარ თავში, იციან, რომ ჩვეულებრივი სულიერი პერიფერიების მიღმა იშლება სულ სხვა ცხოვრება. ის სწორედაც რომ არის „სხვანაირი“, ვნაიდან ფსიქიკური პერიფერიებისგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს, - თუმცა ჩვენ ძალიან მალე ვრწმუნდებით, რომ იქ არის სწორედ იმის ფესვები, რაც ხდება სულის „ზედაპირზე“, რომ ადამიანის გასაღები, მისი გრძნობებისა და მისწრაფებების გასაღები, სწორედ იქ დევს. ჩვენში სულიერი საწყისის არსებობა, რომელიც იწყება ჩვენივე სიღრმისა და სულიერი პერიფერიების გამიჯვნით, წარმოადგენს ჩვენს რეალურ ცენტრს, რომელიც ჩვენი ცხოვრების უმთავრესი მომენტების განმსაზღვრელია. მას შემ

დეგ, რაც ფსიქოლოგიაში დაწესდა ე.წ. „არაწარმოებული“ ფსიქიკური ფუნქციები, რომლებიც განსაზღვრავენ ფსიქიკურ პროცესებს; მას შემდეგ, რაც დადგინდა არსებითი განსხვავებულობა აზროვნებისა და სახეობრივი სფეროსი, ფსიქოლოგიისთვის აუცილებელი გახდა ჩვენში სულიერების სფეროს გაგებასთან - როგორც ფუნქციათა სისტემასთან - დაბრუნება, რომლებიც არ არიან დამოკიდებულნი ფსიქიკური მიზეზობრიობის ნაკადზე და უკავშირდებიან, განსხვავებულ, უზენაეს ცხოვრებას ჩვენში.

5. სულიერი ცხოვრების ცნება გაცილებით უფრო ფართო და რთულია, ვიდრე „სულის“ ისეთი გაგება, როგორც ეს ესმის თანამედროვე ფსიქოლოგიასა და ანთროპოლოგიას. „სულის“ თავისებურება და მისი ფსიქიკური ცხოვრების ჩარჩოში მოქცევა ყველაზე მეტად დასტურდება ინტელექტუალური პროცესების შესწავლისას; განსაკუთრებით იმ დღიდან, რაც ფსიქოლოგიაში დამკვიდრდა „ცოდნის შეუგრძნობადი აქტის“ ცნება. ძალიან ნათლად ავითარებს სულის ასეთ ცალმხრივ სწავლებას M. Scheler-ი თავის ნარკვევში „Die Stellung des Menschen im Kosmos“. სულ სხვაგვარად აყენებენ სულის საკითხს ის ფსიქოლოგები, რომელთათვისაც ეწ. სამეცნიერო ფსიქოლოგია სულიერი ცხოვრების ისეთი გაგებისას, რომლის დროსაც მიზეზობრიობისგან დამოუკიდებლად ჩნდება თავისუფლად მოქმედი „სუბიექტი“, ითხოვს შევსებას და დაზუსტებას. ფსიქოლოგიის ეს მიმდინარეობა<sup>21</sup> ძალიან კარგადაა განმარტებული ნატორპთან („იგნში „Kritische Einleitung in die Psychologie“) და მიუნსტერბერგთანაც („იგნში „Gründzuge d. Psichologie“), ისინი მთელ სუფთა ფსიქოლოგიურ ცხოვრებას მიიჩნევენ სამეცნიერო ფსიქოლოგიის კუთვნილებად, რომელსაც მჟყავს იგი მიზეზობრიობის კანონამდე, თუმცა ამ მიზეზობრიობით განმარტებულ მოვლენებზე მეტად მაღლდება დამოუკიდებელი, თავისუფალი „მეს“ – სულის ცხოვრება. ამ მიმართულების საინტერესო და თავისებურ გაგრძელებას ვაწყდებით Th. Eriemann-ის წიგნში „Die Eigenart des Geistigen“, სადაც ავტორი ცდი-

<sup>21</sup> ამის შესახებ იხ. ჩემს წიგნში „ფსიქოლოგიური მიზეზობრიობის პრობლემა“ თ. II. თავი II\*9 (გვ. 196-201).

დობს დაადგინოს „სულიერი“ საწყისის არსებობა (ანუ ფსიქიური მიზეზობრიობისგან დამოუკიდებლად), ფსიქიკური ცხოვრების მწვერვალებზე, ანუ არა მხოლოდ ინტელექტის სფეროში, არამედ თავისუფლებისა და ნების სფეროებშიც<sup>22</sup>.

მთელ ამ მიმდინარეობაში ყველაზე ფასეულია იმის აღიარება, რომ არა მხოლოდ ინტელექტი, არამედ სულიერებაც აღწევს ფსიქიკის ყველა სფეროში, – თუმცა კანტის ტრანსცენდენტალიზმის პრინციპის თანახმად, რომელიც ნატორპის, მიუნსტერბერგის და სხვათა სწავლების საფუძველია, სულის სფერო არ უკავშირდება ფსიქიკურ სფეროს, მაგრამ მოიაზრებს მას, ვინაიდან აქ სულის გაგება ხელოვნურად და ცალმხრივად აღებულია მიზეზობრიობისა და დროის მნიშვნელობის გარეშე. ამის პარალელურად სწორედ ზედროული და მიზეზობრიობის მიღმა არსებული განსაზღვრავს და აკავშირებს ჩვენში, ონტოლოგიურად ამყარებს ყველა ფსიქიკურ პროცესს<sup>23</sup>. სულიერი ცხოვრება ეს ისეთი ცხოვრებაა, რომელიც სავსეა მოძრაობითა და დინამიზმით<sup>24</sup>, თავისუფლება და გონი ადამიანში, მისი გრძნობები და აქტიურობა, ცოდვის გამო სინაზული და უკეთესი მომავლის რწმენა – ყველაფერი, რაც ჩვენშია, ყორდნობა ამ ზედროულ საწყისს, რომელიც არა მხოლოდ ფსიქიკური ცხოვრების მწვერვალზე აცისკროვნებს, არამედ ანათებს მისი ელემენტარული ფორმით გამოვლინებების დროსაც კი, ის ასხივებს მთელი სულიერი განვითარების პროცესში<sup>25</sup>. ის ცდილობს არა უბრა-

<sup>22</sup> „აპერცეპტიული“ პროცესების ცნების ირგვლივ სულიერი ცხოვრების მიმართ ამგარი მიღობით ბევრი საინტერესო მოსაზრება გამოოჭა ბუნდგმა.

<sup>23</sup> ამ საკითხის საფუძვლიანი განხილვა (თუმცა სულ სხვა ტერმინებით) თავის ფსიქოლოგიურ ნარკოვებში მოგვცა ლ. ლოპატინმა. იხ. ასევე ფერიერის ძალიან მნიშვნელოვანი მოსაზრებები მის სწავლებაში elan vital spirituel.

<sup>24</sup> სულიერი ცხოვრების ამ უბანს ძალიან ღრმად და მკაფიოდ განიხილავს კათოლიკე ფილოსოფოსი P. Wust თავის წიგნში “Dialektik des Geistes” (1928).

<sup>25</sup> ამას ემსრობა Erisman-იც, მიუხედავად იმისა, რომ მისი განხილვა ცალმხრივია (“Die Eigenart des Geistigen” Kap. VI).

ლოდ ფსიქიკის დიფერენცირებასა და გამთლიანებას, არამედ „ინდივიდუალიზმის“ გამოვლენასაც; ეს უკანასკნელი, არისტოტელეს სიტყვების თანახმად, „ენტელექტურად“ განისაზღვრება თავისი „მიზნით“, რომლის განხორციელებაც შეადგენს „განვითარების“ აზრს.

რაში მდგომარეობს ჩვენი „სულიერი ცხოვრების“ მთავარი თვისება?

6. ადარ შევუდგებით სულიერი ცხოვრების დაწვრილებით ანალიზს, რომლის განხილვასაც არ ითვალისწინებს ჩვენი წინამდებარე ნაშრომი, ჩვენ სხვა კუთხით გავშლით მსჯელობებს.

უმთავრესი და არსებითი სულიერ ცხოვრებაში არის უსასრულოსა და აბსოლუტურის ძიება. ჩვენში სწორედ ამის ძიებაა ყველაზე დრმა და ძირითადი, ის არის უშრეტი და ულევი წყარო სულიერი ცხოვრებისა, რომელიც სულის თვისებაა, რომელიც ყოველთვის აქტიურია განსაკუთრებით მათვის, ვინც თავის ცნობიერებაში არ უარყოფს აბსოლუტურსა და უსასრულოს. ნეტარმა ავგუსტინემ ძალიან ზუსტად გამოხატა ეს აზრი თავის ცნობილ სიტყვებში: „შენთვის შეგვემენი ჩვენ, უფალო, და მანამ არ დამშვიდდება ჩვენი სული, სანამ არ შეგეროვება შენ“. ჩვენი სულის თვისებაა წინსვლის დაუდალავი და დაუცხომელი სურვილი, რომლისთვისაც ნიშანდობლივია, „ჭეშმარიტებისკენ“ სწრაფვა, რომელიც უნდა ეღიარებინა კანტსაც, თუმცა მან დაარქვა ყველაფერს, რაც ამ ნამდვილის (უსახელოს) ძიებიდან მომდინარეობდა „ტრანსცენდენტალური ილუზია“ (იხ. ტრანსცენდენტალიზმის დიალექტიკა „სუფთა გონის კრიტიკიდან“). აბსოლუტურისა და უსასრულოს ეს ძიება არის გამუდმებული სულიერი ძიებისა და დინამიზმის წყარო; ჩვენი სული შერწყმულია აბსოლუტურთან, ის მისით ცოცხლობს, ის მისი ძიებებისა და აღმაფრენის წყაროა<sup>26</sup>.

აბსოლუტურის ამ ძიებიდან უნდა გამოვიდეთ, რათა გავიგოთ „გონში“ „გონების“ ის ფერისცვალება, რომელიც ვლინდგ

<sup>26</sup> ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია მალპრანშის ცნობილი ფორმულა, რომ ჩვენ დმეტოში ვხედავთ, შევიმეცნებთ და გვიყვარს ნებისმიერი საგანი.

ბა ე.წ. „იდეის მომცემ“ ფუნქციებში<sup>27</sup>. მას უნდა დავეყრდნოთ მაშინაც, როცა შევეცდებით „თავისუფლების საიდუმლოს“ გაგჰბას. თავისუფლება, ონტოლოგიურად, შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ სული შეუდლებულია უსასრულობასთან, რაც ათავისუფლებს მას სხვადასხვა, დროებითი მისწრაფებებისაგან. სულის ეს ლტოლვა უსასრულოსკენ, დაუოკებელი წყურვილი მასთან თანამყოფობისა, სურვილი, რომ უარი თქვა მის რაღაც ნაწილსა და უველაფერ დროებითზე – არის საწინდარი ჩვენი თავისუფლებისა, რომლის წყალობითაც ჩვენ ვმაღლდებით მიზეზობრიობის კანონსა და ბუნების წესრიგზე. რაც უნდა ხშირად ვემონოთ ბოროტ ზრახვებს; ჩვენივე შექმნილი ყოველდღიური ერთფეროვნებით, ცოდვებმაც რომ დააბნელონ ჩვენი სული და შეაფერხონ ჩვენი სულიერი ცხოვრება, - მიუხედავად ამისა, ჩვენ ცოდვაში ჩაფლულებსაც და საკუთარი თავის ტყვეებსაც კიდევ უფრო ძლიერად გვეუფლება თავისუფლების განცდა; თუკი სინაცული, რომელიც დვორიური ძალით ანათებს სულს, შეგვაგრძნობინებს ცოდვათა მიტევების სიხარულსა და იმ დიდ წყალობას, ასე აშკარად რომ დაგვანახებს თავისუფლების სიმართლეს.

სულიერი ცხოვრება ჩვენში<sup>28</sup> არის წყარო საკუთარი თავის დანახვისა, იმ სინათლის წყარო, რომლის გამონათებებშიც შესაძლებელი ხდება საკუთარი თავის ჭრება და შეცნობა – ეს არის პიროვნების გულისგული, რომელთან კავშირსაც ეყრდნობა მთელი ჩვენი პიროვნება. სულიერი ცხოვრება, ჩვენი სულიერი საწყისი არის ის „გულისგული“, რომლის შესახებაც გამუდმებით გვიამბობს ძველი და ახალი აღთქმა – ის „უფსკრული გამოუკავლენელი“, რომელიც მთელი ჩვენი პიროვნების საფუძველში ძევს. ჩვენი „გული“ და ადამიანის პერიფერიები (მისი ფსიქო-ფიზიკური სტრუქტურა) არ არიან ერთმანეთთან ისეთ

<sup>27</sup> ეს მომენტიც აშკარად იკვეთება ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენებ შელერის ნარკვეში. იხ. ასევე ჩემი წიგნიც „ფსიქიკური მიზეზობრიობის პრობლემა“, გვ. 302-307.

<sup>28</sup> ჩვენ უნდა შეგვეძლოს სულიერი ცხოვრების, როგორც ონტოლოგიური ცნების განსხვავება, სულიერი ცხოვრების იმ ცნებისგან, რომელსაც გხვდებით ასკეტიკაში. საუბარი გვაქვს სულიერი ცხოვრების შესახებ მისი პირველადი მნიშვნელობით.

კავშირში, როგორსაც ამას აყალიბებს სწავლება გარდასახვის შესახებ – ეს კავშირი არ ირღვევა მაშინაც, როცა ჩვენზე ბატონობს ცოდვა, რომელიც აორებს ჩვენს სულიერ ცხოვრებას. იმიტომაც არის ადამიანში ყველაფერი „პიროვნული“, რომ არა-სოდეს ირღვევა მთლიანობა, როდესაც სული შებოჭილია გატაცებებითა თუ გარეშე გავლენებით. ადამიანი რჩება სულიერ არსებად ცოდვებსა თუ სიკეთეში, ჰეშმარიტებასთან ზიარებისა თუ გზაბანებულობის უამს, სილამაზის თაყვანისცემისა თუ გრძნობის აყოლისას – და ის, რომ ჩვენ ყველაზნ და ყველაფერში არ გაარგავთ სულიერებას, ეს ნიშნავს სულიერი მხარის ფსიქიური სტრუქტურის ისეთ სიმტკიცეს, ერთადერთობასა და განუმეორებლობას, რომ პიროვნების საწყისი, როგორც ვიხილეთ, რომელიც თავისი არსითაა სულიერი, ამ სულიერებითა და მადლით ავსებს ადამიანში ყველაფერს. სიარულის ტიპი და მანერა, ხმა და ინტონაცია, კალიგრაფია და სტილი, სოციალური მოქმედებები და ასეთივე გრძნობები, რეაქციისა და განწყობილების ტიპი – ეს ყველაფერი პიროვნების საწყისთან ძალიან მჭიდრო კავშირშია. ფოლკელტის გამოთქმის თანახმად (რომელიც გამოხატა თავის ესთეტიკაში), ხშირად უმნიშვნელო რამეებსა და წვრილმანებში, ხმის ტემპრსა თუ ლაპარაკის მანერაში და ა.შ. უფრო ნათლად და ღრმად ჩანს ადამიანის თავისებურებები და მისი ჰეშმარიტი სიღრმე. სულიერი საწყისის პრიმატი აღნიშნავს კიდეც სულის ასეთ მჭიდრო კავშირს თავის ემპირიასთან.

7. წავიწიოთ წინ. სულიერი ცხოვრება, რომელიც ასე ბუნებრივ კავშირშია თავის ემპირიასთან, გვეხმარება ზეციურ სამყაროსთან, სულიერ დირებულებებთან თანაზიარებაში. ჩვენ სულიერ კავშირში ვართ შექმნილ სამყაროსთან, იმავდროულად, მისგანვე გვენიჭება სულიერი თავისუფლება; ჩვენი სულიერი ცხოვრებით (პიროვნული მთლიანობის საშუალებით) ვართ სამყაროს წესრიგის ნაწილი, თუმცა იმავე სულიერი ცხოვრებით გმაღლდებით ბუნების წესრიგზე. სულიერი ცხოვრების ეს ორმხრივობა იგივე ორმხრივობაა, რომლის შესახებაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი პიროვნების განმარტებისას. სწორედ თავისუფლების ეს უფლება აბედვინებს სულს თავისი თავი დაუპირისპიროს

ღმერთს, და ამით ადასტურებს სულისთვის მინიჭებულ უსას-რულობას, თუმცა თავისი ურდგვევი კავშირით ადამიანის ემპი-რიასთან სული ამჩნევს თავის დასაზღვრულობასა და ნაკლო-ვანებებს. ეს ორმხრივობა განსაზღვრავს ადამიანის გზას, მის ამოცანას – რომელზეც ჩვენ მოგვიანებით, ცოდვის საკითხის განხილვისას, ვისაუბრებთ. ამასთან, უკვე საჭიროა აღინიშნოს, რომ ადამიანის ცხოვრება განისაზღვრება ლოგიკით და ადამი-ანის სულიერი განვითარების რიგმით. ემპირიული ცხოვრება არ არის ციხე სულისთვის, როგორც ამას ორფიკობის გავლე-ნის ქვეშ მყოფი პლატონი ფიქრობდა, ის არ არის გარდასახვის ჯაჭვის ერთ-ერთი „რგოლი“ – ის განაპირობებს სულის ცხოვ-რებას მისი კანონიერი, ერთადეგრო, განუმეორებული და შინა-განი კავშირით ემპირიულთან. სიკვდილი იმიტომ არის ბოროტება, რომ ის ანადგურებს სხეულსა და მის იმ მოთხოვნილებას, რომელიც ცოცხალია სულში სიკვდილის შემდეგაც. ხარება აღდგომის შესახებ, ადამიანის მთლიანობის აღდგენის შესახებ გვათავისუფლებს სიკვდილისგან. ადამიანს სჭირდება სრულ-ყოფილი, სრულფასოვანი ცხოვრება, მისი ძალების სრულად გამოყენება, რათა გადაწყვიტოს ის ამოცანა, რომელიც მისი პიროვნების წინაშე დგება. პიროვნების საწყისი შებორგილია ემპირით, ჩვენ ვეძებთ ღმერთს, აბსოლუტს – თუმცა არა ისე, რომ თავი დავადწიოთ ჩვენს ემპირიას; არამედ უნდა შევძლოთ მისი ფლობა, უნდა მოვათვინიეროთ ის და მასთან ერთად ვი-ცხოვროთ ღმერთში. პიროვნების საწყისი, როგორც აბსოლუ-ტურობის „მომენტი“ ჩვენში, გვიხმობს ფერისცვალებისაკენ, ანუ განდმრთობისაკენ (თეოზისისაკენ), – არა ფიქოლოგიური გარ-სის გარეშე, არამედ მასში და მასთან ერთად. ცხოვრების გზა არის სულის ფენომენოლოგია, განსახიერება სულისა, რომე-ლიც ცდილობს ემპირის „მოთვინიერებას“ და არა უბრალოდ მის მორჩილებას. სწორედ აქ იმალება იმ ენერგიის წყარო, რომელიც შიგნიდან გვაძლევს სასიცოცხლო ძალებს, რომე-ლიც დაუდალავად და შემართებით მიგვიძღვის წინ. ადამიანში უკვე ახლა არის მარადიული ცხოვრება, რომელიც გონებისთვის მიუწვდომელი მოქმედებით, მისი ზედროულობითა და მარადიუ-

ლობით არღვევს სულისა და სხეულის ყველა საზღვარს.

ადამიანის გზა განისაზღვრება არა მხოლოდ სულთან შეუღლებით, ან ფსიქიკური მხარით, არამედ მასში არის – ყველა ადამიანისთვის განსაკუთრებული – კანონზომიერება, რომელსაც „ბედი“ ჰქვია და რომელსაც ქრისტიანმა „ჯვარი“ უწოდა. პიროვნების სიღრმეში იმაღება მისი განსაკუთრებულობის, მისი განუმეორებლობის მიზეზი, თუმცა დაფარულია მისი ჯვარიც, რომელიც ფორმალურად რომ ვთქვათ, სხვა არაფერია, თუ არა მოცემული ადამიანის სულიერი განვითარების ლოგიკა. ყველა ადამიანს სამყაროში აქვს თავისი ამოცანა, რომლის გადაწყვეტაც მან თავისი სიცოცხლის განმავლობაში უნდა შეძლოს; და ეს ამოცანები, რომლებიც უკავშირდება ადამიანის სულიერ თავისებურებებს, რჩება იმავე ამოცანებად, მიუხედავად ადამიანის ცხოვრების პირობებისა; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი ადამიანმა უნდა დაძლიოს ცხოვრების ნებისმიერ პირობებში. თითოეული ჩვენგანის სულიერი ცხოვრების ეს მყარი ლოგიკა საფუძვლად დაედო „ბედის“, „ბედისწერის“ ანტიკურ განმარტებას. მაგრამ ამ განმარტების ჩვენეული გაგების შეცდომა ის არის, რომ ცხოვრების ეს ლოგიკა გარეგან მოვლენებს კი არ უკავშირდება, არამედ ცხოვრების სულიერ მხარეებს, მის შინაგან ამოცანებს.

რაც უფრო მეტად ვცდილობთ ყურადღების გადატანას ცხოვრების გარეგნულ მხარეებზე, მით უფრო მკეთრი და ოვალსაჩინო რეალურობა ჩვენი ცხოვრების შინაგანი განსაზღვრულობისა. გარეგნული კონფლიქტები და გარეგნული ტრაგიკული კოლიზიები, რომლებიც ხშირად ასე მნიშვნელოვნად მიგანია ჩვენს თუ სხვის ცხოვრებაში, არც ასუსტებენ და არც აძლიერებენ, არც გვაახლოვებენ და არც გვაშორებენ შინაგან „კანონს“, ანუ ჩვენს ჯვარს. თავისი ძირითადი შინაარსით ჩვენი ჯვარი არ იცვლება, მიუხედავად იმისა, გავლარიბდებით თუ გავმდიდრდებით, დიდ ქალაქში ვიცხოვრებოთ თუ პატარაში, დავოჯახდებით თუ მარტო ცხოვრებას ვარჩევთ და ა.შ. ყველა ეს გარეგნული მოვლენა მათი მნიშვნელობითა და არსობრიობით, ცვლის მხოლოდ გარეგნულ ფორმას, გარეგნულ გეგმას,

ამოცანა და ჯვარი კი – იგივე რჩება. ყოველი ადამიანის ცხოვრებაში – რაც უმნიშვნელოვანესია პედაგოგიური აზრის ჩამოყალიბებისათვის – ცხოვრების გარეგნული მოვლენების ჯაჭვში უნდა შეგვეძლოს იმ უკანასკნელი სიღრმის დანახვა, რომელშიაც იხსნება ადამიანის „ჯვარი“, – ეს არის მისი სულიერი ამოცანა, მისი სულიერი გზის მდინარების ლოგიკა. ის რომ თავისუფლება გვაქვს რეალურად, ეს არ გვიმსუბუქებს ამ ჯვრის სიმძიმეს, რომელიც ყველას თავისი აქვს, როგორც თავისუფლების რეალურობა არ ეძლევა იმ ყველაფერს, რაც თავისუფალი, ინდივიდუალური და განუმეორებელია ჩვენში. ჩვენ თავისუფალი ვართ იმაშიც კი, შევუდგებით თუ არა ჩვენი ამოცანის გადაჭრას, გავიგებთ თუ არა მას და განვახორციელებთ თუ არა, – თუმცა ის, რომ ჯვრის ტარება ყველასათვის აუცილებლობაა – ეს უკვე ჩვენი თავისუფლების საზღვარია, ეს არის დასტური ჩვენი დაქვემდებარებულობისა დმრთისადმი, რომელიც ყველას თავის ჯვარს ანიჭებს. ამგვარად, ჯვარი არის ძირითადი ცნება პიროვნების გასაგებად – ის მიეკუთვნება მის სულიერ სამყაროს, რომლის ამოცანასა და ლოგიკასაც თვითონ განსაზღვრავს.

ამგვარად, ჩვენი სულიერი ცხოვრება არ არის *elan spirituel*; ჩვენ არა მხოლოდ მოგვეცა ჩვენი პიროვნება, არამედ დაგვევალა, რომ აღმოვაჩინოთ მისი შემოქმედებითობა და გამოვიყენოთ სხვადასხვა ნიჭი. ჩვენი ცხოვრების შინაგანი ლოგიკურობა და წესრიგი, ჩვეულებრივ, მხოლოდ ზრდასრულ ასაკში იჩენს თავს, როცა ჩვენ მოულოდნელად დავინახავთ, რომ ჩვენს ცხოვრებაში, გარე პირობების მიუხედავად, ჩვენში ფსიქო-ფიზიკური პროცესების მიუხედავად, ცხოვრების თემა არ შეცვლილა, უცვლელია სირთულეებიც, გავდივართ ზრდის იმავე საფეხურებს. საკუთარი ჯვრის გაგება, შინაგან ცხოვრებაში გარკვევა, იმის გაგება, თუ როგორ შეიძლება იგი განსახიერდეს ადამიანის არსებობის მოცემულ პირობებში, მისი შენივთება საერთო მორალურ და რელიგიურ საწყისებთან – ამ ყველაფრის გაცნობიერება ითხოვს ნამდვილ მქონებლობით უნარს. სულიერი ცხოვრების გამოცდილი წინამდობლებიც კი, რომლებიც წლების განმავლობაში წინამდგრობებს ადამიანებს, ხშირად „ხეებ-

ის მიღმა ვერ ხედავენ ტყეს“, ვერ ხედავენ „ჯვარს“, იმ ცენტრალურ, ძირითად და, ამავე დროს, აბსოლუტურად ინდივიდუალურ თქმას, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ძიებების შინაგან ლოგიკასა და სირთულეებს. ეს ნიშნავს, რომ სულიერი ცხოვრება არის არა მხოლოდ „ლირებულებათა სამყაროსთან თანაზიარება“, ან მხოლოდ „რელიგიური ცხოვრება“, არამედ მას თითოეულ ადამიანში აქვს თავისი ინდივიდუალური ამოცანა, თავისი იმანენტური ლოგიკა, ანუ ამ ყველაფრის გარდა ის გულისხმობს „ჯვარს“<sup>29</sup>. ეს შინაგანი წესრიგი და იმანენტური ლოგიკა ადამიანის ცხოვრებაში თავისი არსით დაკავშირებულია მასში არსებულ დვოთის ხატებასთან. დვოთის ხატება ადამიანში არ უნდა იყოს გაგებული, როგორც ესა თუ ის სტრუქტურული თავისებურება, ესა თუ ის ძალა, – დვოთის ხატების აღმოჩენა არის ყველა ადამიანისათვის უმნიშვნელოვანების ამოცანა. ამიტომ უნდა ვიყოთ შემოქმედებითნი, უნდა ამოგხსნათ ეს ამოცანა და „ვიტვიროთო“ ჩვენი ჯვარი.

მთელი ჩვენი ცხოვრება – მისი დამოკიდებულებით ფიზიკური, სოციალური და სულიერი სფეროსადმი, მთელი ჩვენი რეალური თავისუფლებით, – უცვლელად და მჭიდროდ უკავშირდება ცხოვრების ცენტრალურ თქმას, ჩვენთვის მოცემულ ჯვარს, რომელსაც ჩვენ გვერდს ვერ ავუკლიოთ და ვერ გავქქვით. ძალიან ხშირად ჩვენვე, ან ჩვენი ახლობლები, მეგობრები ვცდილობთ ცხოვრების გარეგნული პირობების გაუმჯობესებას (რაც სრულიად გამართლებულია ცხოვრებისეული აზროვნებით), თუმცა ამ დროს ან გვავიწყდება, ან ვერ ვამჩნევთ, რომ ცხოვრების გაუსაძლის პირობებშიც კი ცხოვრების თემა იგივე რჩება, მიუხედავად იმისა, თუ რა პირობებში მოგვიხდება ცხოვრება.

<sup>29</sup> ამიტომაც ქრისტიანული სწავლება ჯვრის შესახებ უკავშირდება ადამიანის ცხოვრებაში არა გარეგნული მოვლენების წინასწარ განსაზღვრას (როგორც ეს არის ანტიკურ სწავლებაში „ბედის“ შესახებ ან მუსულმანთა ფატალიზმში), არამედ დავალების გარევევას, რომელიც დგას თითოეული ადამიანის წინაშე მისი ინდივიდუალობის განსაზღვრად. ვერავინ აარიდებს თავს საკუთარ ჯვარს, თუმცა ამას ვერ განმარტავ „განგების“ ტერმინებში, როგორც ეს გვხვდება, მაგ, კალვინიზმში.

8. ჯვრის საიდუმლო ჩვენში წარმოადგენს ჩვენი თავისებურებების საიდუმლოს, ცენტრალურ თემას, რომელიც დგას ჩვენი პიროვნების წინაშე. ჩვენ ის „უნდა „გავაპირადულოთ“, გავხადოთ „ჩვენი“ და ის ამოცანები, რომლებიც დგანან ჩვენ წინაშე და უკავშირდებიან მას, რომ ჩვენ მოწოდებული ვართ უფალში ცხოვრებისათვის, უნდა მოვათავსოთ ჩვენი პიროვნების ჩარჩოებში. ყოველი ადამიანის ღვთისადმი აბსოლუტურად ინდივიდუალური მიმართებიდან – რომელიც დევს პიროვნულ საწყისში და რომელიც ჩვენი გაქნის დღიდან ჩვენივე ყოფიერების ნაწილია – მოძინარებს თითოეულის ცხოვრების ამოცანა, თითოეულის ჯვარი. ამ ჯვრის ტარების სიმნელის მიზეზი, რა თქმა უნდა, არ არის ის, რომ ჩვენ არ ვცნობთ ჩვენს ჯვარს (თუმცა ესეც ძალიან მნიშვნელოვანია სულიერი წონასწორობისათვის, ჩვენი შინაგანი სიმშვიდისათვის): ამოუცნობი, უცნაური წინათვრებით, სულიერი ჰკვრეტით, რომელიც არასოდეს გვტოვებს, ჩვენ ბენდოვნად მაინც ყოველთვის ვიცით, რა უნდა ვაკეთოთ და რისი გაკეთება არ ეგების. ჯვრის სიმძიმის მიზეზი სწორედ ადამიანის შინაგანი „აფორიაქებულობაა“ – რომელიც მან შთამომავლობით მიიღო არასწორი ფიზიკური, სოციალური და სულიერი ცხოვრებით, რომელიც სხვადასხვა სულიერი კონფლიქტიდან მომდინარეობს. ყველაფერი ეს იქცევა „ცოდვად“, რომელიც ნებნელა მოიცავს ადამიანის ემპირიასა და მის სულიერ სამყაროს. სულიერ საწყისში ცოდვის ასეთი „ფესვების გადგმა“ არის საწინდარი აფორიაქებული ცხოვრებისა და ყველა წინააღმდეგობისა; შესაძლებელია ცხოვრების გარე პირობების შეცვლა, შესაძლებელია ხალხისგან, კულტურისგან, შფოთისგან განშორება, თუმცა გერსად წაუხვალ იმას, რაც ღრმად დევს ჩვენს არსებაში! ეს არის ის, რის გამოც წინა პლანზე მოიწევს ცოდვა; ეს არის არა მორალური, არამედ ონტოლოგიური ამოცანა. როგორ უნდა განვმარტოთ ჩვენში ცოდვის სულიერი საფუძველი, თუ ჩვენი სულიერი ცხოვრება ღვთისგანაა, თუ ჩვენ ვატარებთ ღვთის ხატებას?

ამის პარალელურად უნდა განვიხილოთ მეორე თემაც, რომლის განხილვაც აუცილებელია ადამიანში ღვთის ხატებისა და მსგავსების გასაგებად. თუ არსებითი მოქნეტი ამ განმარტებაში

უკავშირდება პიროვნეულ საწყისს, მაშინ გარდა იმ ანტინომიისა, რომელიც არის მიზეზი ადამიანში, როგორც შექმნილ არსებაში, ამ საწყისის დამცრობისა; გარდა იმ მკვეთრი დამახინჯებისა ადამიანში, რომელიც უკავშირდება პირველქმნილ ცოდვას და არის მიზეზი ადამიანში სულიერი ძალების შესუსტებისა – ის არის ჩვენი პიროვნეული საწყისის კიდევ ერთი საზღვარი. ის უკავშირდება მას, რომ ჩვენ ვართ ნაწილი მთელი კაცობრიობის ცხოვრებისა, მასთან გვაკავშირებს უთვალავი ძაფი. სოციალური ტრადიციით, რომლის ათვისებაც ხელს უწყობს ჩვენი პიროვნების მოწიფებას, ჩვენ კაცობრიობის ადრინდელ ცხოვრებასაც ვუკავშირდებით; მთელი ჩვენი ცხოვრებით ჩვენ ვუკავშირდებით ჩვენთვის ახლობელ თუ არც ისე ახლობელ სოციალურ ჯგუფებს. პიროვნების ეს სოციალური კავშირები ისე დრმაა, რომ მასში ბევრი ფსიქოლოგი, როგორც უკვე ითქვა, ხედავს პიროვნების ჩამოყალიბების მთავარ მაფორმირებელ ფაქტორს. პიროვნების საწყისი მისი თავისუფლებაზე პრეტენზით და მისი უფლებით ბუნებისა და ხშირად დვთის საწინააღმდეგო ქმედებისა, – იმდენად გაუდენთილია სოციალური ქმედებებით, რომ ამ ფაქტორების შექმნების პიროვნების საწყისი შეიძლება მოგვეჩნოს არა მხოლოდ მეორადი და წარმოებული, არამედ საერთოდ არარაობად წარმოჩნდეს. სწავლება დვთის ხატების შესახებ რჩება დაუსრულებელი არა მხოლოდ ადამიანის ცოდვით დაცემულობის გამო, არამედ იმიტომ, რომ ის სოციუმში ძალიან დრმადაა ჩაფლული.

ეს ორივე თემა უნდა განვიხილოთ, ვიდრე დავასრულებოთ სწავლებას ადამიანში დვთის ხატების შესახებ, ქრისტიანული ანთროპოლოგიის სისტემის შესწავლამდე. მაგრამ სანამ გადავიდოდეთ ამ ორი საკითხის განხილვაზე, აუცილებლად უნდა შევჩერდეთ ქრისტიანული ანთროპოლოგიის იმ განმარტებაზე, რომელიც ჯერ კიდევ წმინდა მაქების პერიოდში იყო დასახული, თუმცა განვითარდა (გარდა იმისა, რომ ამის პარალელურად დასავლურ ფილოსოფიაში<sup>30</sup> ისმოდა ცალკეული შემთხვევითი

<sup>30</sup> მისტიკოსების გარდა (პირველ რიგში ბეჭედ) დასავლეთის ფილოსოფოსები (მალბრანში, ჰეგელი, შელინგი, ე. გარგანი) მიუახლოვდნენ სადვთო სიბრძნისულ პრობლემებს.

გამონათქვამები) რუსული რელიგიური ფილოსოფიის განვითარების ბოლო პერიოდში. აյ მხედველობაში მაქვს საღვთო სიბრძნისეული იდეა, სოფიური ქმნილების სწავლება. მე მივეკუთვნები მათ რიცხვს, ვინც იცავს სოფიოლოგიის მთავარ იდეას, ამიტომაც მიმაჩნია საჭიროდ გადავიდე ამ თავში წამოჭრილ საკითხებზე და განვიხილო ისინი საღვთო სიბრძნისეული კუთხით.

9. ერთხელ უკვე აღვნიშნე ბუნების სოფიური<sup>31</sup> სწავლების მნიშვნელობის შესახებ და იმ ეტიუდის სიმოკლის მიუხედავად, რომელიც ამ თემას ეხებოდა, არ მიმაჩნია საჭიროდ კიდევ ერთხელ დაბრუნება ამ თემასთან. მოცემულ ნაშრომში მოკლედ შევეხბით ანთროპოლოგიური პრობლემების საღვთო სიბრძნისეულ ანალიზს.

შექმნილი სამყაროს სოფიური გაგების საფუძველი გახლავთ იმის აღიარება, რომ ხილული სამყაროს სიღრმეში, რომელიც ეჭვემდებარება მიზეზობრიობის კანონს, არის სამყაროს იდეალური საფუძველი, რომელიც აწესრიგებს სამყაროს ცოცხალ მთლიანობას, რომელიც უცვლელი და ულევი შემოქმედებითი ძალის მქონეა, რომელიც თავისუფალი და უსასრულოა დროისა და სივრცის საზღვრებისგან, რომელიც ენტელექტურად განსაზღვრავს სამყაროს სრულ განვითარებას და მის ცალკეულ ფორმებს. სამყაროს ეს იდეალური საფუძველი არის ჩვენ მიერ სამყაროს შეცნობის ბოლო ობიექტი – პლატონის სიტემების თანახმად სამყაროს შეცნობით ჩვენ შევიცნობთ მარადიულ არსე – „იდეას“. ამავე პლატონის აზრით, სამყაროს სილამაზეს განაპირობებს მასში ამ იდეალური საფუძვლის ბრწყინვალება. ამიტომაც სამყაროს სოფიური გაგება განიხილება ოთხი სხვადასხვა ასპექტით: 1. გნოსეოლოგიური, რომელიც ადასტურებს ყოფიერებაში „იდეის“ არსებობას, რომელსაც ვამჩნევთ შემცნების პროცესში 2. კოსმოლოგიური, რომელიც ამტკიცებს სამყაროს ამ იდეალური საფუძვლის ერთიანობის იდეას, რომელიც წარმოგვიდგება როგორც ერთიანი, ცოცხალი და კონკრეტული მთლი-

<sup>31</sup> იხ. ჩემი ეტიუდი „პლატონიზმის დამდევა და სამყაროს სოფიური გაგების პრობლემა“ (გზა, №24).

ანობა, არსებობის სისრულე 3. ნატურფილოსოფიური, რომელიც ადასტურებს, რომ სამყაროს შექმნის საფუძველში შემოქმედებითი ძალები ამოუწურავია, ასეთივე ამოუწურავია ბუნებაში ცოცხალი და მაცოცხლებელი მსარეები (natura naturans, რომელიც უპირისპირდება natura naturata-ს, დიდი ბუნება, რომელიც ენტელექტურად მიმართავს სამყაროს განვითარებას არსებობის უმაღლესი ფორმებისაკენ) და 4. ესთეტიკური, რომელიც ამტკიცებს სოფიური სილამაზის საფუძვლებს, ანუ წარმოადგენს სამყაროს იდეალური საფუძვლის მგრძნობელობითი ფორმით გამოფლინებას.

თუმცა არსებობს კიდევ მეტეთე – სამყაროს გაგების ანთოპოლოგიური ასპექტი. ამ ასპექტში ის ყველაზე ცოცხალი, შემოქმედებითი, სივრცესა და დროზე დაუქვემდებარებლობის გამო ყველაზე იდეალური საფუძველია სამყაროს; ატარებს დღოური ბრწყინვალების ბეჭედს და წარმოადგენს ცოცხალ უსასრულობას – ის არის კაცობრიობა სრულიად, მთელი თავისი ერთობით. კაცობრიობის ერთიანობა, რომელსაც განაპირობებს გონის ერთიანობა, სულიერი საწყისები, ჰეშმარიტი სოციალურობა, რომელიც მუდამ ისწრაფვის მცირე გაერთიანებებიდან უფრო მოზრდილისკენ და სურს მოიცვას კაცობრიობა, – ეს ერთიანობა არის შედეგი ადამიანთა ბიოლოგიური ან ფსიქოლოგიური ნათესაობისა, ის უფრო ღრმაა – ვინაიდან ეხება გონების, აზრის, დირებულებათა სფეროს. სოფიურ ანთოპოლოგიას გამოჰყავს კაცობრიობის ეს ისტორიული და არსობითი ერთიანობა კაცობრიობის მისტიური მთლიანობიდან, მისთვის ყოველი ადამიანი კაცობრიობის საერთო ხის ერთი პატარა ტოტია. მთელი კაცობრიობის დამოკიდებულება ცალკეული ადამიანის მიმართ არ შეიძლება შევადაროთ დმერთის სამი პიპოსტასის დამოკიდებულებას დმერთისავე თვითარსთან, – მთელი კაცობრიობა არ შეიძლება გავაიგოვოთ თითოეული ადამიანის „არსთან“. მიუხედავად ამისა კაცობრიობის „ერთარსებობის“ თემა მაინც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას: მთელი კაცობრიობა არის ცოცხალი ერთობა, როგორც ერთი ადამიანი. რა თქმა უნდა, „მსგავსი“; მთელი კაცობრიობა არის „უდიდე-

სი არსება“ (Grandetre O.Konta), თუმცა ის არ არის ცალკეული „პიროვნება“<sup>32</sup>. პიროვნების საწყისი არის ის, რაც განასხვავებს ერთ ადამიანს მეორისგან, რაშიც მდგომარეობს მთელი სიღრმე ინდივიდუალური თავისებურებებისა, მთელი თავისებურება ინდივიდუალური ჯვრისა. როგორც ცოცხალი და მთლიანი სხეული, კაცობრიობა არის Person, თუმცა არა Personlighet – ის არ არის სუბიექტი თავისი განსაკუთრებული თვითშეგნებით, თუმცა ცხოვრობს თითოეულ ადამიანში, როგორც სუბიექტში, დაურღვევლად და გაუყოფლად. კაცობრიობის კრებული არის ადამიანთა კრებული, და უფრო ძეტიც, ვიდრე მათი თავმოყრა - ის არის ცოცხალი ოჯახი, ერთიანი ორგანიზმი, რომელსაც ანაწევრებს სივრცე და დრო, თუმცა ის ამით არ კარგავს დრმა, ნამდვილ, ორგანულ ერთიანობას, რომლისგანაც იბადებიან ახალი პიროვნებები, დედის წიაღიდან მიაქვთ ძღვენის მთელი სისრულე, და მისი საშუალებით „სისხლით“ ნათესაურ კავშირში არიან კაცობრიობასთან. აქედან მოდის პიროვნებისა და ადამიანის ის ანტინომია, რომლის პასუხიც მხოლოდ სოფიურ ანთროპოლოგიას აქვს: გონება ყველა ადამიანს თავისი აქვს, თუმცა არსებობს კრებითი გონება, როგორც რეალური ერთიანობა გონიერი ფორმებისა, ძირითადი იდეებისა. სულიერი სამყარო თავისი ცალკეული სფეროთი მთლიანად, სრულად ცხოვრობს თითოეულ ინდივიდში, თუმცა ადამიანში არა მხოლოდ ერთგვარი („თანაარსი“) კატეგორიები და სულიერი ცხოვრების კანონებია, არამედ არსებობს სულიერი ცხოვრების კიდევ რეალური კრებითი ერთიანობა („ერთაარსი“). ღვთის ხატება ცხოვრობს ყველა ადამიანში, როგორც ღვთაების ინდივიდუალური ანარეკლი, იმავდროულად, მთელი კაცობრიობა არის მატარებელი ღვთის ხატებისა. კაცობრიობის რეალური ერთობა და პიროვნებების რეალური სიმრავლე ერთიანდება მხოლოდ კაცობრიობის მისტიკური ერთაარსებობის ცნებაში, რომელიც შეადგენს ერთ მისტიკურად შეკრულ ოჯახს: ეს არის ცოცხალი, მაგრამ მის-

<sup>32</sup> ფლორენსკის თავის ნაშრომში „სვეტი და ჭეშმარიტების მტკიცებულება“ ქმნილი სოფია „სამყაროს პიროვნებად“ მიუწნევია. ამ აზრისკენ იხრება ს. ბულგაკოვიც.

ტიკური (ანუ არაემპირიული, რაც არარეალურია; არც მეტაფიზიკური, რაც წარმოუდგენელია, ვინაიდან მაშინ იქნებოდა კაცობრიობის განყენებული ცნების, მისი განყენებული იდეის „პიპოსტაზირება“, როგორც ეს არის პლატონთან) მარადიული ერთობა, რომელსაც ვერ ანაწევრებს დრო და სივრცე.

კაცობრიობის ეს ცოცხალი მთლიანობა ვერ ასუსტებს ინდივიდუალურობის, პიროვნების განსხვავებულობის საწყისს, პირიქით, ასაზრდოებს და ქმნის მას. ამიტომაც არის პიროვნებაში ინდივიდუალური და სოციალური ასე შერწყმული ერთმანეთთან და ამიტომ ვითარდებიან ისინი პარალელურად. ასეთი მსჯელობით გამართლებულია უახლესი სოციოლოგისა და სოციალური ფსიქოლოგის დასკვნები, რომელმაც გადაჭრით უარყო სოციალური ატომიზმი და გამოდის არა „მე“-სგან, არამედ „ჩვენ“-გან, როგორც პიროვნების კაცობრიობასთან კავშირის დასაბამიერი, უხილავი, უკანასკნელი ფაქტიდან. მხოლოდ ეს „ჩვენ“ არის არა მხოლოდ „Mitmenschen“, როგორც გამოთქვამდა ამას ავენარიუსი, არამედ მთელი კაცობრიობა, მისი არა ემპირიული, არამედ მისტიკური ერთობით. სამყაროს შეცნობისას ცალკეული სუბიექტი საზრდოობს იმ „ტრანსცენდენტალური“ საწყისებით, რომლებიც „აპრიორულია“, ანუ არ იქმნება გამოცდილებით, პირიქით, ქმნიან მას. ინდივიდუმი იმეცნებს კაცობრიობასთან თავისი კავშირის<sup>33</sup> რაღაც ამოუცნობ წესრიგს და ტრანსცენდენტალიზმი (მისი სუფთა ფორმით) გამართლებულია, როცა იბრძვის „სუბიექტის გნოსეოლოგიური“ გაგების, როგორც ტრანსცენდენტალური ფუნქციის მატარებელის პიპოსტაზირების წინააღმდეგ. ამგვარი, განსაკუთრებული სუბიექტი, რა თქმა უნდა, არ არსებობს, მაგრამ არსებობს კაცობრიობის ერთიან „არსებად“ შეკრული ერთიანი მისტიკური კრებითობა – Person და არა Persönlichkeit. ეს არის ქმნილი სოფია – როგორც ბუნებისა და კაცობრიობის ცოცხალი მთლიანობის მატარებელი. ბუნების სოფია და კაცობრიობის სოფიური ერთიანობა არ უნდა იყოს გაყოფილი ერთმანეთისგან: ადამიანი არა მხოლოდ მიკროკოსმოსია,

<sup>33</sup> ეს საკითხი ღრმად განიხილა ს. ტრუბეცკოიმ თავის სტატიებში „ადამიანური ცნობიერების ბუნების შესახებ“.

არამედ ის არის რეალური თავმოყრა მთელი ბუნებისა, როგორც ეს დაადასტურა მოციქულმა პავლემ თავის სწავლებაში, რომ ადამიანის ცოდვით დაცემის გამო ბუნებაც დაზიანდა (რომ. 8,20-23). ქმნილი სოფია, როგორც ცოცხალი ერთობა მთელი სამყაროსი<sup>34</sup>, როგორც მისი იდეალური საფუძველი, თავის თავში გულისხმობს კაცობრიობასაც, მაგრამ საბოლოოდ მისი ღვთიური ასპექტი ვლინდება – მისტიკურ ერთობაში, ინდივიდუალთა ცოცხალ ერთობაში, რომლის პიროვნული საწყისით დანაწევრებაც შეუძლებელია.

10. ჩვენ ახლა ვერ ჩავუდრმავდებით სოფიური ანთროპოლოგიის პრიბლებებს, თუმცა მისი ზოგიერთი იდეის შესახებ მოგვიწევს საუბარი მომდევნო უახლოეს ორ თავში. ახლა ჩვენ ვერ დავასრულებთ ამ თავს ორი უმნიშვნელოვანესი საკითხის განხილვის გარეშე: 1. რამდენად არსებითად უკავშირდება ადამიანის სოფიური გაგება ქრისტიანულ ანთროპოლოგიას და 2. რამდენად გვეხმარება ის საერთო თვალსაზრისით ადამიანის საიდუმლოს გაგებაში?

ქმნილი სოფიას შესახებ სწავლებას, რომელიც რუსულ ღვთისმეტყველებაში ამ ბოლო დროს განვითარდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მარიოლოგიისთვის (ღვთისმეტლის თაყვანისცემის დოგმატი), როგორც ეს პირველად გამოიკვლია პ. ფლორენსკიმ თავის წიგნში „სვეტი და ჭეშმარიტების მტკიცებულება“<sup>35</sup> და ს. ბულგაკოვმა (თავის წიგნში „შეუწველი მაყვლოვანი“). თუმცა ბულგაკოვის საღვთისმეტყველო ძიებებმა და მსჯელობებმა, რომელიც საღვთო სიბრძნეს უკავშირებს ქრისტოლოგიურ დოგმატს<sup>36</sup>, გააღრმავეს და გააფართოვეს სოფიოლოგიის საღვთისმეტყველო მნიშვნელობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ბოლო წიგნი „ღვთის შესაწირი“. ის არ იზიარებს

<sup>34</sup> სწავლება სამყაროს საფუძვლის „ერთიანობის“ შესახებ შესანიშნავად განიხილა ს.ლ. ფრანკომ თავის წიგნში „შემეცნების შესახებ“.

<sup>35</sup> თავი XI. აქ მოცემულია ისტორიული ცნობები წმინდა მამების შრომებში საღვთო სიბრძნისეული თემის შესახებ. (იხ. ასევე ისტორიული ექსკურსები ბულგაკოვის წიგნებში).

<sup>36</sup> განსაკუთრებით ფასეულია ბულგაკოვის ნაშრომი ევქარისტიის დოგმატის შესახებ.

სოფიოლოგიურ მონიზმს, რომელიც საფუძვლად უდევს ამ შესანიშნავ წიგნს და ემხრობა სოციოლოგიურ დუალიზმს, რომელიც არსობრივად განასხვავებს ქმნილ სოფიას ღვთაებრივი სოფიასგან<sup>37</sup>; აუცილებლად უნდა აღინიშნოს ბულგაკოვის საღვთო სიბრძნისეული აკლევის ქრისტოლოგიის უმნიშვნელოვანების დოგმატის - ქრისტეს ერთი პიპოსტაზის ორბუნებოვნების შესახებ – იშვიათი საღვთოსმეტყველო განძის შესახებ. საღვთო სიბრძნისეული ღვთოსმეტყველება ახლა დგამს პირველ ნაბიჯებს, მასში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დაუსრულებელი და ბუნდოვანი, თუმცა მისი დიდი საღვთოსმეტყველო მნიშვნელობის გარდა, ის ახლებურად აშუქებს ქრისტიანული ანთროპოლოგიის პრობლემებს. შემიძლია ვთქვა უფრო მეტიც: მხოლოდ საღვთო სიბრძნისეულ ნიადაგზეა შესაძლებელი ქრისტიანული ანთროპოლოგიის სისტემის განვითარება. ეს საქმე ჯერ კიდევ ელოდება თვის ოსტატს; უახლოეს თავებში დავინახავთ თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქრისტიანული ანთროპოლოგიის ძირითადი იდეის - ადამიანში ღვთის ხატების გასაგებად - ადამიანის მიმართ სწორედ სოფიური მიღორმა. პირველქმნილი ცოდვის შესახებ სწავლებამ, და მის გვერდით პიროვნების შესახებ იმ არასწორმა სწავლებამ, როგორიც დღეს განვითარდა სოციალური ფსიქოლოგიის გავლენით, იმიტომ დაიკავეს მნიშვნელოვანი ადგილი დასავლეთის ქრისტიანულ ანთროპოლოგიაში (სადაც სწავლებამ პირველქმნილი ცოდვის შესახებ დაამახინჯა სწავლება ადამიანში ღვთის ხატების შესახებ) და თანამედროვე ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაში (სადაც პიროვნების საწყისის სოციალურ-ფსიქოლოგიური დედუქცია აქინებს ამ საწყისს), რომ ადამიანში ღვთის ხატების შესახებ სწავლება არ იქნა შესაბამისად შესწავლილი, და, რაც მთავარია, მან არ გაიზიარა შექმნილი სამყაროს ის გაეტა, რომელსაც ავითარებს საღვთო სიბრძნე. წინამდებარე წიგნში სოფიური ანთროპოლოგიის იდეები გამოცემულია ზედმეტად ზოგადი ფორმით და ეს იდეები არის ქრისტიანული ანთროპოლოგიის სისტემის პროლე-

<sup>37</sup> ახლო მომავალში გამოვაქვეყნებ განსაკუთრებულ ეტიუდს, რომელიც მიეძღვნება ამ ურთეულეს საღვთოსმეტყველო თემას.

გომენები. ავტორი განსაკუთრებული სიმკვეთრით მიუთითებს ამის შესახებ, და შეუძლებლად მიიჩნევს საღვთო სიბრძნისეული განმარტების გარეშე იმ მთავარი საკითხების გადაჭრას, რომელიც ამჟამად ჩვენ წინაშე დგას.

11. ამ თავის დასრულების შემდეგ ისევ დაგუბრუნდებით საწყის იდეებს. უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ ადამიანის ქრისტიანული აღზრდა არ გაივლის მის პერიფერიებს, მას არ აფრთხობს ადამიანის ცოდვები და სისუსტეები, ცდილობს დაგვანახოს ადამიანში ღვთის ხატება და ამიტომაც ადამიანს სხვა ადამიანის დანახვა უნდა ანიჭებდეს სიხარულს, სიყვარულს, რწმენასა და მოწიწებას. ჩვენ ყოველდღიურობის გარსისა და ცოდვების ბნელი საფარის ქვეშ მაინც ვგრძნობთ იმ სულიერ გულისგულს, რომელშიაც იმალება ადამიანის ინდივიდუალურობა და როცა ჩვენი აღქმა მიაღწევს მის „გულამდე“ - სულში ისაღვურებს სინათლე და სიხარული, რაგინდ ბნელიც არ უნდა იყოს ცოდვა ჩვენში. არსებობის საღვთო სიბრძნისეულ განმარტებაში ჩვენ ვნახეთ, რომ ადამიანი სამყაროსთვის არის ერთარსება და ეს ერთარსებობა ვლინდება იქ, სადაც ჩვენ გარემო სამყაროს მრავალფეროვნებაში ვმაღლდებით მის იდეალურ საწყისამდე – რომელიც არის შემოქმედი, მაგრამ მარადიული და ღვთაებრივი ძალით გაბრწყინებული. ადამიანის ამგვარი ნათელი აღქმა მართლმადიდებლურ ცნობიერებაში, რომელსაც ადამიანში ყველაზე მთავართან მივყავართ, ენათესავება მართლმადიდებლობის ნათელ კოსმიზმს, რომელიც ასე შორსაა დასავლეთის ქრისტიანული სამყაროსგან და ასე ახლოსაა სახარებისეულ სამყაროსთან და ადამიანთან. თავისი სოფური ბუნებით ადამიანი დაკავშირებულია ღვთაებრივ სინათლესთან, რომელიც აცისკროვნებს სამყაროს; სწორედ სოფიურ საფუძველზე ადამიანი მთელი კაცობრიობის ერთარსებაა. აქ იკვრება იდეების ეს წრე, რომელიც ინტეიტიურად უკვე გვინათებს, როცა ჩვენ სიხარულს განვიცდით სხვა ადამიანის გამო და გვჯერა მისი. საჭიროა შევხედოთ ბავშვებს, რომ გავიგოთ ქრისტიანული გამოცხადება ადამიანის შესახებ, რათა შევიგრძნოთ ოურა არის ადამიანში ყველაზე მთავარი და განმსაზღვრელი.

და მაინც საკითხი ადამიანის შესახებ ბოლომდე არაა გაშუქებული. რატომ ჩამოწვა დვოთის ხატებაზე ცოდვის აჩრდილი? როგორაა შესაძლებელი ცოდვით დაცემა, როდესაც ადამიანი ასე ისწრაფის დვოთისკენ, როდესაც ადამიანის სიღრმეში ცოცხლობს იგივე დვოთის ძალა, რომელიც ზეგარდმო ებობა? ბოროტება ადამიანში არ აღმოფხვრის ძირითად სიხარულს სხვა ადამიანის გამო, თუმცა მას შემოაქვს ამ აღქმაში ისეთი ტრაგიკული ამოცანა, რომ ამ მწეხარებამ შეიძლება გადაფაროს, გააუფერულოს ის ნათელი, რაც მიეცა ადამიანს. ახლა უნდა გავარკვიოთ, თუ როგორაა შესაძლებელი ის, რომ ადამიანში აღწევს ცოდვა და მაშინ ადამიანის მთავარი ამოცანაა - ის რომ პიროვნების საწყისი არის დვოთის საჩუქარი, და იმით მან დაასაჩუქრა ქმნილი ადამიანი - უფრო გართულდება, თუმცა ამასთან ერთად გაიხსნება გზა მის ფილოსოფიურად გასააზრებლად. სულის უკვდავების რწმენა გამართლებული უნდა იყოს იმ ჭეშმარიტების წინაშე, რომ ადამიანში არსებობს „რადიკალური“ ბოროტება; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბოროტების პრობლემა უნდა გავიაზროთ ისე, რომ არ დავანგრიოთ რწმენა ადამიანის მიმართ. ადამიანის შესახებ ქრისტიანული გამოცხადების მხოლოდ მართლმადიდებლურ ინტერპრეტაციას შეუძლია ამ საკითხის გადაჭრა.

## ე ძ ს პ უ რ ს 0

### ადამიანის შესახებ ანთროპოსოფული სრავლების პრიტიპა

1. ადამიანში სულიერების პრიმატის არსებობის პრინციპული მტკიცება და ადამიანის იერარქიული კონსტიტუციის შესახებ სწავლება, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ, ზედაპირულად ეხება ანთროპოსოფიის ძირითად იდეებს. ანთროპოსოფია თავის თავს უწოდებს კიდევ „სულის სწავლებას“ (მეცნიერებას სულის შესახებ) – თუმცა, სინამდვილეში, როგორც ჩვენ ამას შემდგებში ვნახავთ, ის არის სწავლება ადამიანში ბნელი ძალების შესახებ. ანთროპოსოფიამ არ იცის ადამიანის მთლიანობის საიდუმლო და მისი ღმერთოან ურთიერთობის შესახებ, არამედ ეკრდნობა მხოლოდ იმას, რასაც ჩვენ ბნელ სულიერებას დავარქმევთ მომავალში. ის რომ სულიერ საწყისში ადამიანის ცოდვით დაცემის შემდეგ თავს იჩენს არსებითი გაორება, რომელიც მოითხოვს ადამიანის ბნელი და ნათელი სულიერების ერთმანეთისგან გამიჯვნას – ამას აღიარებს ყველა, ვინც წერს სულიერი ცხოვრების შესახებ, თუმცა არასდროს არავის არ ჩამოუყალიბებია მისი კონკრეტული ფორმულირება. ანთროპოსოფიული სწავლებები კი გვიძინებენ, რომ მკვეთრად განვასხვაოთ ერთმანეთისგან ბუნებრივი და მაღლმოსილი, ბნელი და ნათელი სულიერება. ვინაიდან ანთროპოსოფია ცდილობს განსაზღვროს ადამიანის გზა, მთლიანად ეკრდნობა მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივ სულიერებას, ანუ ის ვერ ხედავს კავშირს სულიერ განვითარებასა და ღვთისგან ბოძებულ მაღლმოსილ დახმარებას შორის. ვინაიდან ანთროპოსოფიამ შექმნა თავისი განსაკუთრებული პედაგოგიკა<sup>1</sup>, რომელსაც იყენებდნენ ვალდორფის

<sup>1</sup> ანთროპოსოფიულ პედაგოგიკაში მე ვიცნობ შემდეგ თხზულებებსა და ლექციებს – რ. შტანერის 1) “antroposophie padagogik” (1931). 2) “Volkspädagogiks” (1919 წლის ლექციები); 3) “Auqs educateurs” (1921 წლის ლექციები); 4) “Gedenwartiges Geistesleben und Erziehung” 1927, 5) “Der pädagogische Wert der menschenkenntnis und der Kulturwert d. pädagogik”. 1929.

სკოლაში და ვინაიდან შტაინერის მთელი სისტემაც ეყრდნობა იმავე პრინციპს, რომელსაც ჩვენ მიერ შემოთავაზებული სისტემა, მე აუცილებლად მიმაჩნია დაგწერო მოკლე ხარკვევი, სადაც კრიტიკულ შეფასებას მივცემ ადამიანის შესახებ ანთროპოსოფიულ სწავლებას.

2. შტაინერის სწავლების ჩამოყალიბება ძალიან რთულია: მისი სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითი ნაწილები ხშირ შემთხვევაში უგულისყურდაა გადმოცემული, უმეტეს შემთხვევაში, ჩაგარგულია სხვადასხვა ნაკლებმნიშვნელოვან მსჯელობებში; განვითარების სხვადასხვა პერიოდში, შტაინერის სხვადასხვა ნაშრომში ერთი და იმავე სწავლების შესახებ სხვადასხვა განმარტებებს ვხვდებით, რომლებიც არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ანთროპოსოფია იდგწის რომ მას ერქვას მეცნიერება (თუმცა აგებულია მხოლოდ „ინტუიციაზე“, მგრძნობელობით ხედვაზე და ამის გამო ვერანაირ შემოწმებას ვერ ექვემდებარება), ის იჩენს განსაკუთრებულ მოქნილობას, რომელიც სიტყვებით თამაშს უფრო წააგავს. ამ კუთხით განსაკუთრებით მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებენ წიგნები, რომლებიც ამ სწავლებაში ფანტასტიკის სფეროს უფრო განეკუთვნებიან, ისეთი უმნიშვნელოვანესი წიგნებიც კი, როგორიცაა, მაგალითად, სახარების განმარტება (ამჯერად ხელთ მაქვს ამ ციკლის უმნიშვნელოვანესი წიგნი *Johannes Evangelium*).

შევეცდები ძალიან მოკლედ გადმოვცე ანთროპოსოფიული სწავლება ადამიანის შესახებ, განვმარტო ამ სწავლების მხოლოდ მთავარი არსი, ეს, რა თქმა უნდა, გამოიწვევს ანთროპოსოფების განრისებას, ისინი ბრალს დამდებენ უზუსტობაში, მიუხდავად ამისა, ამჯერად ამ მოკლე ექსკურსში მაინც ვერ შეგძლებ ჩემ მიერ მოტანილი სქემების მართებულობის დასაბუთებას.

3. რაც შეეხება ადამიანის „შემადგენლობას“, შტაინერი თავის სხვადასხვა წიგნში, ან სულაც ერთი და იმავე წიგნის სხვადასხვა მონაკვეთში<sup>2</sup> ადამიანის „საწყისის“ სხვადასხვა რაოდგ-

<sup>2</sup> მაგ. მთავარ წიგნში „სულის მოდგრება“ (რუს. პირ. 1927 წელს დორნახეს გამოცემა) შეად. გვ. 47, (7 დასაწ.), 49 (ასევე 7, თუმცა განსხვავებული მნიშვნელობით, გიდრე ეს 47 გვ.-ზეა).

ნობას ასახელებს. ერთ-ერთ თავის ლექციაზე ამბობს: „ახლან-დელი ადამიანი შედგება ოთხი ნაწილისგან – ფიზიკური, ეთერული, ასტრალური სხეული და „მე“. თუმცა „მესთან“ კიდევ სამი უმაღლესი ნაწილია დაკავშირებული (რომელიც შეესაბამება სამ „სხეულს“). საკუთრივ „მე“ „უკავშირდება“ სამ სხეულს მხოლოდ „ამჰეყნიურ“ ციკლში – და ეს „მე“ დედამიწაზე ქრისტეს მიერ ეძლევა ადამიანს, ქრისტეს ამ მოქმედებას ანთროპოსოფიაში ეწოდება Christus – Impuls<sup>3</sup>. ეს „მე“ ადამიანის „მარადიული მეა“. ის უნდა განვასხვაოთ „დაკნინებული“ (იგივე ემპირიული) მესგან<sup>4</sup>. განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე ჩვენ შეგვიძლია დავუპირისპიროთ ემპირიულ პიროვნებას ეს სულიერი „მე“, რომელიც ეძლევა „სულს, რათა ის აიგსოს მისით“. ეს არის ადამიანის შესახებ ანთროპოსოფიის სწავლების არსებითი განსხვავებულობა. ადამიანში სამყაროს სულიერი მხარე „მეს“ საშუალებით ფლობს მის არსებას და თვითონაც „მეს“ საშუალებით „აღბეჭდავს წარმავალი ცხოვრების ნაყოფს“. სულიერი საწყისი „მეს“ საშუალებით უკავშირდება ადამიანის ემპირიულ ცხოვრებას, თუმცა სიკვდილის შემდეგ (ანთროპოსოფიული სწავლების თანახმად), ფიზიკური და ეთერული სხეულის არარსებობის პირობებში, სულიერი საწყისი გაივლის „განწმენდის“ რამდენიმე საფეხურს, და ისევ გარდაისახება. გარდასახვის იდეა წარმოადგენს ანთროპოსოფიის ცენტრალურ იდეას, მის გამო ანთროპოსოფიაში უამრავი მიზეზი იძენება, რათა ამ მიზეზთა საფუძველზე შესაძლებელი გახდეს ადამიანის შესახებ სწავლების ჩამოყალიბება. სწორედ ასე უნდა მივუდგეთ ადამიანის შესახებ ამ სწავლებას: ის არ არის დასაბამისეული, არამედ ქმნილი; ის არ არის ანთროპოსოფიის საფუძველი, არამედ ჰიპოთეზა, რომელიც აგებულია მისი მთავარი მდგომარეობის, ანთროპოსოფიის ძირითადი იდეის – გარდასახვის შესახებ უმნიშ-

<sup>3</sup> იხ. Johannes Enavgelium-ში ადგილები ამ სწავლების შესახებ, რომელიც უკავშირდება კოსმოგონიას – განსაკუთრებით 64, 95, 120 გვერდები, სულ სხვადასხვა ადგილას. დაწვრილებით იხ. ძირითად სახელმძღვანელოში „Die Geheimwissenschaft“.

<sup>4</sup> Ibid S. 120, passim.

ვნელოვანების იდეის განმარტებისთვის, რომელიც ანთროპოსოფიამ თეოსოფიისგან შეითვისა და მას, თავის მხრივ, ინდუიზმიდან ჰქონდა ის გაზიარებული.

აღარ შევუდგები შტაინერის სწავლების გადმოცემას, რომელიც მაღალი ხარისხის ფანტასტიკის სფეროს უფრო განეპუნგება; ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმის მტკიცება, რომ ადამიანის ნამდვილი „მე“<sup>5</sup>, მისი გული, თავისი არსით არ არის დაკავშირებული მისსავე ფსიქო-ფიზიკურ „გარსთან“. ამ სწავლების დასაცავად შტაინერი მიგვითოთებს იმაზე, რომ სხეულში არის ფიზიკური, წინაპრისაგან შთამომავლობით მიღებული მემკვიდრეობა, სულს არ აქვს მშობლებთან მსგავსება და ამიტომაც – შტაინერის აზრით, ეს იმას ნიშავს, რომ სულიერი საწყისით ჩვენ არ ვგავართ მშობლებს, რომ ჩვენი სულიერი ბიოგრაფია სულ სხვა ადამიანებთან გვაკავშირებს, მხოლოდ არა დაბადების შემდეგ, არამედ გარდასახვის შემდეგ. შტაინერის აზრით, „ყოველი ადამიანი განსაკუთრებული მოდგმაა“<sup>6</sup>. ეს იმას ნიშავს, რომ ერთი და იგივე სულიერი არსება, ერთი და იგივე „მე“, რჩება ისევ იმად, რაც იყო მანამდე, თუმცა მაინც გადის გარდასახვის საფეხურებს. ეს არ არის მეტაფიზიკური ურყევი „მეს“ მტკიცება (როგორც ეს გვაქვს ფიხტე უმცროსთან), არამედ ეს არის სწავლება მისი ზედროულობის შესახებ: რომელიც თავისი ფესვებით გვაძლევს „მეს“ საწყისს და გადადის უმაღლეს სამყაროში – აქ ანთროპოგონია სავსებით გადადის კოსმოგონიის ფანტასტიკაში, რომელიც ბლავატსკაიასგანაა<sup>7</sup> აღებული, რომელმაც ინდური ოკულტური სწავლება ეკლექტურად გააერ-

<sup>5</sup> შტაინერთან გვხვდება ფრაზები, სადაც ლაპარაკია დაკნინებული (ემპირიული) „მეს“ შესახებ, თუმცა თავისი არსით ეს „მე“ უკავშირდება სულიერ არსებას, რომელიც სიკვდილის შემდეგ ექვებს (ანუ ფიზიკური და უთერული სხეულის გაქრობის შემდეგ) ახლობურ განხორციელებას.

<sup>6</sup> „ჩემს ბიოგრაფიას ვერ განმარტავს ჩემი წინაპრების ბიოგრაფია. როგორც სულიერი ადამიანები ისანი (ჩემი წინაპრები) განსხვავდებიან ჩემგან... როგორც სულიერი არსება, მე ვიმეორებ იმ არსებას, რომლის ბიოგრაფიასაც შეუძლია ჩემი ბიოგრაფიის განმარტება“ („სულის მოძღვრება“ გვ. 63-71).

<sup>7</sup> იხ. Blavatsky. Doktrines secrètes, V. III. Antropogenese.

თიანა, ასევე კაბალისტურ სწავლებასთან, „პერმეტიზმისგან“ (ექლექტური „სისტემა“ ქრისტეშობიდან I–IV საუკუნეები).

4. ჩვენი ემპირიული ცხოვრება „სჭირდება“ ჩვენსავე სულიერ არსებას, რომელიც ჩვენში კარმის კანონის დასაკმაყოფილებლად არსებობს. კარმას შესახებ სწავლება ინდუზიზმიდანაა აღებული (ჯერ კიდევ ბუდიზმამდე, ოუმცა ბუდიზმში მან პპოვა თავისი საბოლოო სახე ეწ. მიზეზობრიობის კანონის „მეორე ჭეშმარიტებაში<sup>8</sup>“). არსებობს სწავლება იმის შესახებ, რომ ყველა „საქმე“, რომელიც რაღაც დონეზე აუცილებლად უნდა განხორციელდეს, აუცილებლად რაღაც შედეგის მომტანია. ადამიანის სულიერი ცხოვრება, კარმის კანონის თანახმად, ახლებურად გარდაისახება თავისი ადრინდელი საქმეების მიხედვით – ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანის სული თვითონ, თავისი მოქმედებით, ქმნის თავისსავე ბედს: ამ მნიშვნელობით კარმას კანონი, არის სწავლება „ბედისწერის“ პირობების შესახებ, რომელსაც ადამიანი თვითონვე ქმნის.

„სულის“ გზა არის გარდასახვების შედეგად ამაღლება, საკუთარ თავზე მუშაობის შედეგი კარმას აღსასრულებლად, მთელი ჩვენი არსების ისეთი „გასულიერება“, რომლის შედეგადაც ადამიანში იქმნება სულიერების სიმრთელე. სულიერების სისრულის გზა გაივლის ადამიანის შემეცნებას – კერძოდ, სამყაროს სულიერი მხარის შემეცნებას და შესაბამისად ჩვენში ძლიერდება ადამიანის სულიერი ძალები. თავისი არსით ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს ინდუზიზმის სწავლებას (ბრაჟმანისტულ და ბუდისტურ პერიოდს), უბრალოდ შტაინერმა ის შეფუთა თანამედროვე ტერმინოლოგიებით (თუმცა ის ხშირად იშველიებს ინდუისტურ ტერმინებსაც). საკითხი იმის შესახებ, თუ „როგორ უნდა მივაღწიოთ უმაღლესი სამყაროს შემეცნებას“ (რომელიც არის აგრეთვე შტაინერის ერთ-ერთი პოპულარული ბროშურის სახელწოდება), არის ცენტრალური – და მიიღწევა „სულის შესწავლით“, უმაღლესი სამყაროს დალაშქვრით, რაც უფრო

<sup>8</sup> ამის შესახებ დაწვრილებით იხილეთ, მაგ, პროფ. ალექსეი ვედინ-სკის მასალებით მდიდარ წიგნში „წარმართობის რელიგიური ცნობიერება“ წიგ. I, ნაწ. II, ინდოეთის რელიგია.

ღრმას და საინტერესოს ხდის არსებობის უკანასკნელი მიზნის მიღწევას. ემპირიულ ყოფიერებაში, ემპირიულ შემეცნებაში ადგებული თითოეული ადამიანის ამოცანა არის ის, რომ სულის ტანჯვა, რომელიც ცხოვრობს ადამიანში და ამის გამო მასაც ხდის სულიერს, შეაჩეროს სწორი ცხოვრებით, საკუთარი თავის ზეშთაგონებით. ემპირიული ადამიანი სიკვდილისთანავე სამუდამოდ ქრება, რათა დაუთმოს ადგილი სხვა ემპირიულ პიროვნებას, რომელშიაც გარდაისახება სულიერი არსებობა, რომლითაც ცოცხლობს ადამიანი; მთელი სულიერი მუშაობა საკუთარ თავზე გულისხმობს მუშაობას სულისათვის. უდიდესი „ილუზია“, რომელსაც ჩვენ განვიცდით, რომლისგანაც ანთროპოსოფია ცდილობს ადამიანის განთავისუფლებას, არის ემპირიული პიროვნების კავშირი მის სულიერ არსოან: შტაინერის მიხედვით, ადგანმა შეუძლებელია, თუმცა შესაძლებელია გარდასახვა. ამ პუნქტში ანთროპოსოფია და ქრისტიანობა რადიკალურად ემიჯნებიან ერთმანეთს.

5. სულიერი ცხოვრების გზა - არის გზა შემეცნებისა; თუმცა უმაღლესი შემეცნების უნარი, შტაინერის მიხედვით, გულისხმობს ისეთ პირობებს, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ „მორალურს“ – აქ იგულისხმება ფიზიკური ასკეზაც, სურვილებისა და ვნებების ფლობა და სულის განთავისუფლება ბოროტებისაგან, მტრობისგან, ანტიპათიისგან. ეს „განწმენდის“ ყველა ის მომენტია, რომლის გარეშეც, შტაინერის მიხედვით, შეუძლებელია სულიერი თვალის ახელა<sup>9</sup>. თვითონ „განწმენდა“ მთლიანად დამოკიდებულია ადამიანზე, მის „ბუნებრივ“ სულიერებაზე, რომელიც ცხოვრობს ადამიანში. „გზა, რომელიც უნდა გაიარო“ არავითარ კავშირში არ არის დვთაებრივ მაღლთან – უბრალოდ იმიტომ, რომ ანთროპოსოფიის (და ასევე თეოსოფიის) მიხედვით, „მადლისთვის“ (ამ სიტყვის ყველაზე სერიოზული მნიშვნელობით), არ არის ადგილი ამ სამყაროში. ამაღლების გზა სრულიად „ბუნებრივია“, ის ხდება ადამიანის ძალისხმევითა და მასში მოქმედი სულიერი საწყისის საშუალებით. ეს

<sup>9</sup> დაწვრილებით იხ. წიგნში „როგორ შევიცნოთ უმაღლესი სამყარო“ (რუს. პირ. 1928).

ამაღლება მოითხოვს საკუთარ თავზე მუშაობას, იმ სხვადასხვა წინააღმდეგობების დაძლევას, რომელიც თვითონ ადამიანის სიღრმიდან ამოტივტივდება, მოითხოვს ასევე „სიკეთისთვის ღვაწლს“ – კეთილ გრძნობებსა და საქმეებს, მოთმინებას, სიმშვიდეს, მოწიწებას და ა.შ. თუმცა ეს კეთილი საქმეები მოქმედებენ, როგორც რადაც მაგიური ფაქტორები; ამის გაგება ძალიან მნიშვნელოვანია სულიერი ზრდის დიალექტიკასთან ანთროპოსოფიური მიდგომის შეფასებისთვის. საკუთარ თავზე მორალური მუშაობის ჩატარების მნიშვნელობა, როგორც ცოდვისგან განთავისუფლება, ქრისტიანობაში იმაში მდგომარეობს, რომ ის ხსნის უკელი წინააღმდეგობას, რომელიც არსებობს ადამიანსა და ღმერთს შორის, ის შიგნიდან განწმენდს გულს და ერთმანეთთან შეანივთებს უსასრულოს ძიებისა და ღმერთთან ზიარების სურვილს<sup>10</sup>. ადამიანის სულიერი ცხოვრების ქრისტიანულ გაგებაში მაგისტროს არა მარტო არ არის ადგილი, არამედ მთავარი, რასაც ელოდება ქრისტიანი თავისი საქმიანობისგან – არის უბრალოება და მორჩილება, რათა განვუმზადოთ გზა ჩვენში ღვთის მადლმოსილ შემოსვლას. ქრისტიანობაში სულიერი ზრდა „გულისხმობს „სულიერ სიგლახაკეს“, იმ იღუზისგან განთავისუფლებას, რომ რაღაცის ქმნა ჩვენ ჩვენივე ძალებით შეგვიძლია (ღვთის და მისი მადლმოსილი დახმარების გარეშე), „ჭეშმარიტების ზიარების გარეშე“, ლოცვის გარეშე. ანთროპოსოფიულ სწავლებაში ამ გზაზე ადამიანი ყველაფერს თვითონვე ქმნის, თავისივე სულიერი ძალებით. „თითოეულ ადამიანში ცხოვრობს დაფარული უმაღლესი ადამიანი და თითოეულ ადამიანს თავისი ძალებით შეუძლია ამ მიძინებული ადამიანის გაღვიძება“ – ამბობს შტაინერი. აქ არ არის საჭირო ლოცვა, ღვთის შემწეობის მორჩილი მოლოდინი, თუმცა აუცილებელია მორალური გრძნობები და მოქმედებები და აი, რატომ – „როდესაც მე ცვიცხდები – გვასწავლის შტაინერი, – ან აღელვებული ვარ, ჩემი სულიერი სამყაროს ირგვლივ აღვმართავ კედელს“. „სიმკაცრე აფრთხოებს, განაგდებს მოწაფისგან იმ სულიერ განათლებას,

<sup>10</sup> ქრისტიანული თვალსაზრისით, ამ ორ სულიერ მოძრაობას შორის განსხვავება იხილეთ მომდევნო თავში.

რომელმაც უნდა გააღვიძოს მისი სულიერი ხედვა, – და პირი-ქით, სიმჭიდე სტლეგს წინააღმდეგობებს და გვიხსნის სულიერ ხედვას“ განსაკუთრებული ღირებულება სულიერ სამყაროსთან მიმართებაში, ანთროპოსოფიული სწავლების მიხედვით, აქვს მოწიწების გრძნობას უმაღლესი სამყაროს მიმართ.

ანთროპოსოფიის მთელი სწავლება ამაღლების შესახებ სულიერი ცხოვრების საკითხებში სწორედაც რომ ძალიან პედა-გოგიურია. აქ არის მცდელობა ადამიანის ბუნებრივი სულიერების განწმენდისა და განმტკიცებისა, იმ სულიერი ძალების განვითარებისა, რომელიც დაფარულია ადამიანში. ბევრის სწავლა შეიძლება ანთროპოსოფიის დახმარებით, თუმცა არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმას, რომ ანთროპოსოფიული სულიერი ცხოვრების მთელი „ტექნიკა“ წარმოადგენს მაგიას, მას ასულ-დგმულებს გარკვეულ კანონზომიერებათა გამოცნობა და მართვა, რომლებსაც ემორჩილება ბუნებრივი სულიერი ცხოვრება. და სწორედ იმიტომ, რომ აქ საქმე ეხება ბუნებრივი სულიერების განვითარებას, ანუ თვითდამკვიდრებას (რა თქმა უნდა, სულიერს) ადამიანში, – ანთროპოსოფიის სისტემა კიდევ უფრო აღრმავებს სულიერი ცხოვრების მთავარ გაორებას, და ამგვარად აძლიერებს სულიერების იმ მხარეს, რომელიც ცდილობს დმერთის გარეშე ცხოვრებას, ცდილობს საკუთარ თავში, საკუთარ სიღრმეში საჭირო ძალების გამონახვას<sup>11</sup>. ამიტომაც ანთროპოსოფიული სულიერი „აღმასვლის“ გზა ნიშნავს სულიერი ნაწილის „ბნელი პოლუსის“ გაძლიერებას – ამ გზით კი არ ვუხლოვდებით დმერთს, არამედ პირიქით – კიდევ უფრო მეტად გშორდებით მას.

საკუთარ თავზე ყურადღების გამახვილება, ჩაღრმავება საკუთარ დაფარულ სულიერ ძალებში, სულის „განწმენდა“ და კეთილი საქმეების და გრძნობების მაგია – ყველაფერი ეს ძალიან შორსაა ცხონების ქრისტიანულ გაბებასთან, სულიერი ცხოვრების გზასთან. „სიმამაცე და თავდაჯერებულობა – ეს ის ორი სანთვლია, – გვარწმუნებს შტაინერი, – რომლებიც არასდროს არ უნდა ჩაგვიქრეს საიდუმლოსთან მიმავალ გზაზე“. „სულიერი

<sup>11</sup> ამის შესახებ იხ. მომდევნო თავში.

განვითარებისათვის) არ არსებობს სხვა წინააღმდეგობა დათისკენ მიმავალ გზაზე, გარდა იმ წინააღმდეგობებისა, რომელსაც თო- თოეული ადამიანი თვითონ იქმნის, და რომლისგან გაქცევაც თითოეულს თვითონვე შეუძლია, თუკი ნამდვილად მოინდომებს“.  
 „საიდუმლოსთან მიმკვანებელი ოქროს წესი ასეთია, – გვასწავ- ლის შტანერი, – თუ შენ გინდა ერთი ნაბიჯი მაინც გადადგა საიდუმლო ჰეშმარიტებათა შესაცნობად, მის პარალელურად გადადგი სამი ნაბიჯი შენი ხასიათის სრულყოფისათვის სიკეთისკენ მიმავალ გზაზე“. ეს „ოქროს წესი“ აშგარად მალავს ანთროპოსოფიის მორალის მაგიურ ხასიათს, ის გვიხმობს არა სინანულისკენ, რის გამოც უფალი წყალობას არ იშურებს ჩვენთვის, არამედ გვასწავლის ისეთ განაწენდასა და სინანულს, რომელიც კიდევ უფრო განგვამორებს დმერთს, ვინაიდან მისი სწავლების მიხედვით მთელი ძალების თავმოყრა ხდება მხო- ლოდ საკუთარ თავში.

6. ანთროპოსოფიული სწავლება ადამიანის შესახებ მიუღვ- ბელია ქრისტიანისათვის, მას არაგითარი კავშირი არ აქვს ქრის- ტიანულ სწავლებასთან, რადგან მისი სწავლების უმნიშვნელო- ვანესი მომენტია გარდასახვა მაშინ, როდესაც ქრისტიანობა გვასწავლის აღდგომის შესახებ. ქრისტიანობა მისი ზუსტი გაგუ- ბით არის პერსონალისტური, ვინაიდან არ აცალკევებს ადამი- ანში სულიერ და ემპირიულ მომენტებს, არამედ იერარქიულო- ბის აღიარების პარალელურად ის არ უარყოფს ადამიანის მთლიანობას. ანთროპოსოფიაში, ისევე როგორც ინდუიზმში<sup>12</sup>, არ არის ნამდვილი მთლიანობა, ვინაიდან ისინი არ აღიარებენ პიროვნების სულიერი ცენტრის მის ემპირიულთან კავშირის ერთადერთობასა და განუმეორებლობას. არ დავიწყებთ პერ- სონალიზმის ანალიზსა<sup>13</sup> და წვრილმანების გარკვევას, მხოლოდ

<sup>12</sup> საყურადღებოა, რომ ინდუიზმში, კურძოდ, ბუდიზმში, ორფეულ მის- ტერიებში (არცერთი სხვა მისტერია არ არის აგებული გარდასახვის იდეაზე), ყველგან იგრძნობა შიში გარდაუგვალი გარდასახვის გამო და თვით სხნა გაგებულია, როგორც ამ გარდაუგვალობისგან განთავისუფლება.

<sup>13</sup> იხ. ჩემი სტატია გარდასახვის შესახებ კრებულში, რომელიც გადის UMCA-Press.

ადგნიშნავთ მას, რომ გარდასახვის დროს ნათელი კი არ ეფინება, არამედ კიდევ უფრო მეტად იბურება ადამიანის სულიერი საწყისის საიდუმლო, რომელიც მოიცავს ადამიანის ემპირიას, აშუქებს მას, თავისებურებების ნათელი გამოვლინებებით, განუმეორებლობით, ერთადერთობით – ხოლო ამის შემდეგ ის რატომ-დაც სამუდამოდ ქრება იქიდან, რაც ასე დრმად „შეენივთა“ პიროვნების ამ საწყისს. შტაინერის მიხედვით, პიროვნების საწყისი თავისი არსით თავის თავში ჩაკეტილია. უკვე ვიცით, რომ თოთოვეული ადამიანი არის განსაკუთრებული „მოდგმა“, ანუ სულიერი პიროვნება განუმეორებულია ყოველი გარდასახვისას. როგორი არასწორი და მიუღებელიცაა ანთროპოსოფიის სწავლება პიროვნების ემპირიის მიმართ სულიერი საწყისის დამოკიდებულების შესახებ, ასევე არასწორია თვით ეს სწავლება პიროვნების სულიერი ცენტრის სხვადასხვაგარი გარდასახვის დავთაებრიობის შესახებ. პიროვნების საიდუმლო უფრო დრმად იშლება იმ სწავლებაში, რომ თითოეული ადამიანი ცხოვრობს ემპირიული ფორმით მხოლოდ ერთხელ, ვინაიდან პიროვნების სულიერი ცენტრისა და მისი ემპირიული „გარსის“ განსხვავების დროსაც კი ჩვენ მაინც უნდა ვაღიაროთ მათი ასე მნიშვნელოვანი და ღრმა ისეთი ერთიანობა, რომ გარდასახვა ფაქტიურად შეუძლებელია. გარდასახვა წარმოადგენს იმ პიროვნების გარკვეულ სიკვდილს, როგორადაც ის განსახიერდა მისი პირველი მოსვლისას – პიროვნების „ნარჩენები“ (განა ეს შესაძლებელია?), რომლებიც ისევ ერთად იყრინან თავს ახალი გარდასახვისას, ეს რაღაც უცნაური სიახლეა. ადამიანის ემპირიული მხარე არ არის „კოსტიუმი“, „ჩასაცმელი“ ან „გარსი“, არამედ ის არის პიროვნების გამოვლინება, მისი ცხოვრება, ვინაიდან ემპირიულ ნაწილში ჩვენთვის ყველაფერი პიროვნულია, ყველაფერი თავს იყრის პიროვნულ საწყისთან და ყველაფერი გამოდის მისგან.

მეორე მნიშვნელოვანი სიცრუე ადამიანის შესახებ ანთროპოსოფიული სწავლებისა არის ის, რომ ის არასწორად განსაზღვრავს ბოროტებას ადამიანში. თავისი არსით ანთროპოსოფია ბოროტებას სულის პერიფერიაში გაბატონებულს ხედავს; ამიტომ ბოროტი აზრებისა და ლტოლვების ჩახშობა, საკუთარი

თავის კეთილი გრძნობებითა და აზრებით ავსება მას დასაშვებად მიაჩნია საკუთარი ძალებითაც, რომელიც მის მიერ ასე ზედაპირულადაა გაგებული. ბოროტების არსიც და მისი დაძლევის გზებიც აქ არასწორადაა დახასიათებული: ანთროპოსოფია აიგივებს თავის საიდუმლოს, თავის სულიერ ხედვას ჭეშმარიტ სიკეთესთან, რითაც უარყოფს იმას, რომ ჩვენი სულიერება (როგორც ქმნილი) სწორედ გარკვეული სიმაღლეების დაპყრობისას, შესაძლებელია დაუცეს და გახდეს ბოროტების მეგზური. ბიბლიური სწავლება პირველი ადამიანების ცოდვით დაცემის შესახებ, რომლებიც ყველაზე ახლოს იყვნენ დმერთოან; ძველაღთქმისეული სწავლება გაღრმავდა ქრისტიანობაში, სწავლება იმის შესახებ, რომ ბოროტებამ პირველად იჩინა თავი სულიერი ცხოვრების სიმაღლეზე – მარტოოდენ ეს სხის ფარდას გაბოროტების მთელ სიღრმეს და მის საშიშ რეალობას<sup>14</sup>. ნატურალისტურ სწავლებაზე მეტად ადამიანის სულიერი ცხოვრების შესახებ სწავლებამ უნდა დაგვაყენოს ბოროტების პრობლემის წინაშე, ვინაიდან ჩვენში სულიერი საწყისის პრიმატის იდეამ ფარდა უნდა ახალოს ბოროტების მთელ სიღრმეს, მის სულიერ ბუნებას. ჩვენ უახლოეს თავებში შევეხებით ბოროტების პრობლემას და ანთროპოსოფიულ სწავლებას ბოროტების შესახებ. აქ კი მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ ანთროპოსოფია სინამდვილეში არც კი იცნობს ქრისტეს, მის ხატებას, ისეთს, როგორიც ცოცხლობდა და ცოცხლობს ქრისტიანების სულში. ანთროპოსოფია როგორც თავის მეტაფიზიკაში, ასევე ანთროპოლოგიაში მხოლოდ უმნიშვნელო კავშირშია ქრისტიანობასთან, ფაქტობრივად, ეს არის ქრისტიანობის გარეთა (ინდუისტური, ჰერმეტიკული და ო.შ.) და ნახევრად ქრისტიანული (გნოსტიკური) იდეების ეკლექტიკური სინთეზი. შტაინერის ანთროპოლოგიაში, განსა-

<sup>14</sup> ბოროტების ანთროპოსოფიული სწავლება მისხავე „ეზოთურულ“ ნაწილს შეადგენს. განსხვავება ბოროტსა და კეთილს შორის უკავშირდება სულიერი ცხოვრების საწყის საფეხურს – სულიერ სიმაღლეებზე ბოროტი სული უცებ იქცევა (თოქმის უცებ) სინათლისა და სიმართლის წყაროდ. იხ. Blavatsky, Doctrines secrètes, trad. Fr.V. III. P. 288), იხ „იგივეა, რაც ლოგოსი!“ (Jbid. 289). შტაინერი იმავე აზრი იხ. წიგნში „ოკულტური ცოდნის გავლენა მუზე“ და სხვა წიგნებში.

კუთრებით პედაგოგიკის სფეროში, არის ცალკეული საინტერესო და ღირებული იდეები, თუმცა ყველაფერი ეს გარშემორტყმულია უძმედო ფანტასტიკით და ამპარტავნული, ყალბი ბრძენების და ლენინის ფლობას, რომელიც ცდილობს ღმერთის დახმარების გარეშე იმ ძალის ფლობას, რომელიც მხოლოდ დვორისაა ნიშანდობლივი:

სწორედ აქ მალავს ის თავის ანტიქრისტიანულ არსე.

## მ ე ს ა მ ე თ ა ვ ი

### ძრისტიანული ანთროპოლოგიის საზუძღვები

(ბოროტების პრობლემა ადამიანში)

1. ბოროტების პრობლემა ადამიანში არის ანთროპოლოგიის ერთ-ერთი ურთულესი და პედაგოგიკისთვის უმნიშვნელოვანების თემა. ქრისტიანული ანთროპოლოგიისა და მისი მთავრი სწავლებისთვის - ადამიანში ღვთის ხატების შესახებ, ბოროტების თემა არის იშვიათი სირთულის პრობლემა, ვინაიდან ის საჭიროებს განმარტებას, თუ საიდან გაჩნდა ბოროტება და როგორ მოხვდა ის სულმი, როცა სულიერი საწყისი წილნაყარია ღმერთან და ადამიანი შექმნილია ხატად ღვთისა. კათოლიკური (და მასთან ერთად პროტესტანტული) დოგმატიკა იმდენად გამსჭვალულია ადამიანში ბოროტების გაცნობიერებით, რომ პრაქტიკულად უარყო მასში ღვთის ხატების არსებობა, და პირველ ქმნილი ადამიანის ცოდვით დაცემამდელი სიწმინდე ღვთის განსაკუთრებული მაღლისმოქმედებით განმარტა<sup>1</sup>. ღვთის ხატები

<sup>1</sup> იხ. მაგ. Schell. "Katholische Dogmatik" 15. 22.S. 463-479. იხ. ასევე Loofstotan პროტესტანტული სწავლებების დახასიათება "Leitfad. Z. Dogmengeschichte" S. 756\_9. 823 Ff. ქ.წ. ლიბერალურ პროტესტანტიზმში დოგმატური პრობლემები უბრალოდ მოხსნილია (იხ. წიგნი "Liberal Christianity and religious Education" – 1924),

ბის, როგორც ადამიანისადმი ბოძებული ძღვენის იდეა ადამიანისთვის ისე ძნელად გასაცნობიერებელია დღეს ამ რეალობაში, როცა ადამიანი ასე ისტრაფის ბოროტისკენ, ის მას ისეთ მტანჯველ და საშიშ ძალად წარმოუდგება, რომ ეს არის მიზეზი იმისა, რომ კათოლიკური დოგმატიკა თავის სწავლებაში დვოთს ხატებას ნაწილობრივ უარყოფს, ხოლო პროტესტანტიზმი კი – სრულად.

ქისტიანული ანთროპოლოგიის სოფიოლოგიურმა განმარტებამ, რომელიც წინა თავში განვიხილე, უნდა აღიაროს ადამიანში ბოროტების პრობლების იშვიათი სირთულე. თუ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ადამიანში ცოდვით დაცემის შემდეგ არ გაფერმკრთალებულა დვოთის ხატება, მაშინ როგორ უნდა გავიგოთ ის, რომ ბოროტებამ ისე გაიდგა ფესვები ადამიანში, რომ ის თავისი სიძლიერით არ ჩამოუვარდება სულიერ საწყისს? დვოთის ხატება ჩვენში ეს ხომ არის წყარო, საფუძველი, სულიერების ამოსავალი ძალა – და თუკი ცოდვამ იმდენად არია ჩვენი სულიერი ძალმოსილება, რომ გააბოროგა მთელი კაცობრიობა და შემდეგ ბუნება – მაშინ როგორ გავიგოთ ჩვენი სულიერი საწყისის ამგვარი გაორებულობა? გამოდის რომ, ბოროტება თავისი ფესვებით არ არის სულიერი, და მაშინ სულიერი ცხოვრება დათრგუნული და ჩახშობილიც კია სულიერი პერიფერიების გავლენით<sup>2</sup>: რაც არ ეწინააღმდეგება ადამიანში დვოთის ხატების არსებობას, თუმცა ვერ ეთანხმება იმ აზრს, რომ ბოროტების საფუძველი არის ჩვენს „გულში“, ანუ სულიერ ნაწილში. თუ დავუთნებით ამ უკანასკნელ მოსაზრებას, მაშინ როგორ უნდა მოვიაზროთ ადამიანის სულიერი მხარის ეს უცნაური გაორებულობა?

უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ ეს თემა მართლმადიდებლურ ცნობიერებაში არ დასმულა საჭირო სიღრმითა და სიმძაფრით. ერთი მხრივ, მართლმადიდებლურ ტრადიციას იმდენად გამოჰქონდა წინა პლანზე ადამიანში დვოთის ხატების პრობლემა, რომ ცოდვის პრობლემა ასკეტურ-პედაგოგიკური კუთხით უფრო დგებოდა დღის წესრიგში, ვიდრე ონტოლოგიური კუთხით.

<sup>2</sup> ეს არის ადამიანის შესახებ კათოლიკური სწავლების არსი.

მართლმადიდებლური ტრადიციით ბოროტების აჩრდილი ვერა-სოდეს დაჩრდილავს დვთის ხატებას და აქ მას ერწყმის ერთი ახალი მოსაზრება, რომელიც მუდამ გაუგებარი იყო დასავლე-თის ქრისტიანობისათვის, – ჩვენი მართლმადიდებლური დამო-კიდებულება ცოდვისა და ცოდვილთა მიმართ. ჩვენ ისე ძლი-ერად შევიგრძნობთ ცოდვილ ადამიანში დვთის ხატებას, ისე ძლიერია მისი დანახვის სურვილი, რომ ამის გამო (დასავლეთე-ლი ქრისტიანების აზრით) ჩნდება ჩვენში გარკვეული უგრძნო-ბელობა, რაც არის ცოდვა. დასავლეთის ქრისტიანობას ისეთი ძლიერი შიში აქვს ჩანერგილი ცოდვის მიმართ, საკუთარ თავს და მთელ კაცობრიობას იმდენად ცოდვილად ხედავს, რომ ავიწ-ყდება ადამიანში დვთის ხატების არსებობა (ჩვენთვის კი საკმა-რისი იქნება ნეტარი ავგუსტინეს „აღსარება“, ხოლო პროტეს-ტანტიზმიდან კ. ბარტის გენიალური სიტყვების გახსენება „Römer-brief“-დან). არა მარტო დოგმატური გადახვევების გამო გაჩნდა კათოლიკურ ქრისტიანობაში დვთისმშობლის უცოდველად ჩასახ-ვის სწავლება<sup>3</sup>, არამედ უნდა ვადიაროთ, რომ ადამიანის ბუნე-ბის ისეთი გაგებისას, როგორიც არსებობს სამყაროსა და ადა-მიანის კათოლიკურ აღქმაში, ეს სწავლება ცალსახად მნიშვნე-ლოვანია, რათა არ წაიშალოს დვთისმშობლის ის პატივისცემა, რომელშიაც ჩვენ და კათოლიკები ერთ აზრზე ვდგავართ.

მართლმადიდებლური ცნობიერებაც ძლიერად შეიგრძნობს ცოდვის ფესვებს, თუმცა არ ეშინია მისი, და არ აბრმავებს ეს შიში, და კვლავაც აღიარებს ადამიანში დვთის ხატების არსე-ბობას. თუმცა ეს ფსიქოლოგიური შეთავსებადობა დვთის წინაშე შიშის და იმ ნეტარი გრძნობისას, რომელსაც დვთის საჩუქრის გამო შევიგრძნობთ, რამდენადმე ანგინომიურად გამოიყურება, თუმცა ანთროპოლოგიურად გამართლებულია. მომდევნო ანა-ლიზებში ჩვენ დავკურდნობით იმ სადვთო სიბრძნისეულ კონ-ცეფციას, რომელიც ზემოთ აღნიშნეთ.

ქმნილების სწავლების განხილვისას, როცა ადამიანის ბუნე-ბის შესახებ სოფიოლოგიურ სწავლებას განვიხილავდით, ჩვენ

<sup>3</sup> დაწვრილებით იხ. პროტ. ს. ბულგაკოვის წიგნში „შეუწველი მაყვლოვანი“.

დიდი მნიშვნელობა მიგანიჭეთ სამყაროს „საფუძველში“ იდეალურობის მომენტს. სამყაროს მაცოცხლებელი ძალა, სამოთხის ნერგი, მარადიულობისთვის მოწოდებული „ხე ცხოვრებისა“ – „იდეალურია“. თუმცა ეს იდეალურობა ქმნილ სოფიაში, რაც არის მიზეზი დათოური სინათლისა და სამყაროში მისი ანარეკლის, მთელი თავისი სისრულით გვევლინება ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ ოთხ ასპექტში, – გარდა მორალური ასპექტისა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსი სოციოლოგები ვერ ამჩნევდნენ ამას<sup>4</sup>, ისინიც კი, რომლებიც ბერდიაევის მსგავსად, ძლიერად გრძნობდნენ ბოროტების ძალას, მიდრეკილები იყვნენ ბემეს სწავლების რეცეფციისკენ, რომელიც გვასწავლის, რომ ცოდვით დაცემის შემდეგ სოფიამ მიატოვა სამყარო<sup>5</sup>. დროულია იმის აღნიშვნაც, რომ რუსი ფილოსოფოსებიდან მხოლოდ ბერდიაევმა იგრძნო ბოროტების მთელი რეალობა, მთელი ძალა, თუმცა მან მართლმადიდებლური ანთროპოლოგიისთვის დამასხასიათებელი ბოროტისა და კეთილის ანტინომიიდან გამოსავალი იმაში იპოვნა, რომ აღიარა – რომ ბოროტებას არა აქვს „ქმნილი“ საწყისი და მისი კავშირი Usgrund-თან, რომელიც დათავაზე მეტად სიღმისეულია<sup>6</sup>.

ქმნილი სამყაროს მეტაფიზიკის კარდინალური ფაქტია ის, რომ სამყაროს მთელ ყოფიერებას ახლავს მუდმივი ბრძოლა, დაპირისპირება კეთილსა და ბოროტს შორის: სამყარო და ადამიანი, რომლებიც ონტოლოგიურად მთლიანია, მორალური კუთხით უკიდურესად გაორებულია. რა თქმა უნდა, არ უნდა გავაზვიადოთ ადამიანში და სამყაროში კეთილსა და ბოროტს შორის დაპირისპირება და ვისაუბროთ „ბოროტების მეუფებაზე“ („სიკეთის მეუფების“ პარალელურად), თუმცა უნდა ვაღია-

<sup>4</sup> გამოკვეთილად შეიძლება ამის თქმა ნ.ო. ლოსკის შესახებ (ორგანული სწავლება სამყაროს შესახებ), ასევე ვლ. სოლოვიოვის, ფლორენსკის და ნაწილობრივ პროტ. ს. ბერლგაბოვის შესახებ, თუმცა მის უკანასკნელ წიგნში „საღვთო შესაწირავი“ უკვე იგრძნობა ადამიანსა და სამყაროში ბოროტების პრობლემა.

<sup>5</sup> იხ. ნ.ა. ბერდიაევის სტატია „გზაში“, №2.

<sup>6</sup> იხ. ნ.ა. ბერდიაევის სხვადასხვა წიგნები, განსაკუთრებით „თავის-უფალი სულის ფილოსოფია“.

როთ ისიც, რომ ამ გაორების ფესვები სამყაროს სულიერ საფუძველშია, რომ სწორედ იქიდან მომდინარეობს კეთილისა და ბოროტის ჭიდოლი, აქვე უნდა ვეძებოთ ქმნილი სოფიის ნაოგლი და ბნელი მხარეები. აქ ვერ შევეხები სამყაროს სოფიური გაგების<sup>7</sup> ამ რთულ, უფრო მეტიც ურთულეს თემას, და შემოვიწარგლები მხოლოდ იმით, რაც აუცილებელია, რომ განვმარტოთ ადამიანში ბოროტების საკითხი, და განვიხილოთ თუ რა შესაძლებლობები აქვს მას (ბოროტებას) მაშინ, როცა ადამიანში მკვიდრობს დათის ხატება.

2. ბოროტებას ბუნებაში და ბოროტებას ადამიანში, უწერიგობისა და ნგრევის ობიექტურ სტიქიებს – ბოროტების სურვილს, ადამიანის მისკენ სწრაფვას, რა თქმა უნდა, ერთი და იგივე საფუძველი აქვს. ის, რაც ვლინდება ადამიანში „ნამდვილ“ ბოროტ ნებარებად, სიღრმისეული ფესვები, რა თქმა უნდა, სწვდება ადამიანის გულს. ამის შესახებ საუბარია სახარებაში – რომ გული ჩვენი არის იქ, სადაც არის ჩვენი საუნჯე. ეს ნიშნავს იმას, რაც უფრო თავისუფალი, ღრმა და დაბაბულია ჩვენი სულიერი ცხოვრება, მით უფრო აშკარაა ბოროტების სულიერი ფესვები, ჩვენი გულის სწრაფვა ბოროტებისკენ. პლატონის საპირისიროდ, რომელიც გვიმარტავს, რომ ყველა „ნამდვილი სიამოვნება“ არის სიკეთისკენ სწრაფვა; კანტის საწინააღმდეგოდაც, რომელიც აღიარებს, რომ „ნამდვილ ნებას“, ანუ ყოველგვარი გრძნობადისა და ემპირიული მოტივებისგან თავისუფალ ნებას, მიყენართ სიკეთისკენ; ქრისტიანობამ გამოცდილების საფუძველზე (რომელიც აღმოსავლეთის ასკეტებში უფრო ღრმა და ცალმხრივობისგან თავისუფალია, ვიდრე ნებარ ავგუსტინებთან) იცის, რომ ნამდვილი ნებარება შეიძლება იყოს ბოროტება, „ნამდვილი ნება“, ასევე შეიძლება იყოს ბოროტის ძიებაში. „სატანური სიღრმეები“, „სიბნელე“ ადამიანის სულში, ცოდვის და სიბილწის საშიში უფსკრული, რომელიც გითრებს თავისკენ, ნაკლებად ნაცნობია მათთვის, ვინც სულიერი ცხოვრებისთვის

<sup>7</sup> ორ გამოუქვეყნებელ ეტიუდში (ქმნილების სოფიური გაგება“ „ქმნილი სოფიას ბნელი მხარე“) დაწვრილებით განვიხილა პრობლემის მეტაფიზიკური მხარეები.

ზანტად და გულგრილად ირჯება, თუმცა სულიერი ცხოვრების ზრდასთან ერთად, როგორც სულიერ ცხოვრებაში გამოცდილი ადამიანები გვარწმუნებენ, იზრდება საცდურები და ბრძოლები. სულიერი ცხოვრება მიხვეულ-მოხვეული გზებით მიმართულია ცისქინ, სავსეა განსაცდელებით და ადვილი შესაძლებელია, სადმე ჩაინგრეს და აღმოჩნდე ქვევით. რაც უფრო მეტ სულიერ სიმაღლეს აღწევს ადამიანი, მით უფრო როულდება ეს გზა – როგორც ამას მაცხოვრის იგავმი გვითხულობთ, – სულიერი ცხოვრების ყანებში ხორბლის გვერდით იზრდება დვარძლი; ცოცხლობს სიკეთე, მაგრამ იზრდება ბოროტებაც, ესე იგი იზრდება მისი შემოტევების ძალა და უფრო ძლიერად მოქმედებს შესამიც. ბოროტისა და კეთილის ეს თანაცხოვრება, დაცემისა და ადგომის შესაძლებლობა, მეტყველებს იმის შესახებ, რომ ისინი გამოდიან ადამიანის ერთი და იმავე სულიერი საფუძვლიდან, რომ ბოროტებით ადამიანის სულიერი პერიფერია კი არ არის შებდალული, არამედ მისი სიღრმე; რომ ბოროტების წყაროს მიზეზი ემპირიის დათრგუნვაში კი არა, არამედ სულიერ ნიადაგშია. ბუნებასა და ადამიანში ბოროტების ემპირიული განმარტება ყოვლად მიუღებელია იმ მიზეზის გამო, რომ მასში არ ჩანს ბოროტების მთელი სიღრმე, მისი სულიერ საწყისზე დაქვემდებარებულობა. იმიტომ შემოვიდა ბოროტება სამყაროში ადამიანის საშუალებით, რომ სხვა გზით ვერ შემოაღწევდა, ეს შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ ბუნების სულიერი ცენტრის (რასაც წარმოადგენს ადამიანი) შებდალვით. მაგრამ ის, ვინც ემხრობა ბოროტების ხეემპირიულობას, და მიაწერს მას მეტაფიზიკურ ძალას (მეტაფიზიკური დუალიზმის სხვადასხვა მიმდინარეობაში, ირანული რელიგიით დაწყებული), ვარდება მეორე უკიდურესობაში, რაც ქმნის დაუძლეველ სირთულეს მეტაფიზიკაში (სამყაროს ორი სუბსტანციის სახით). იმ კონსტრუქციაში, რომელიც მოგვცა ბემემ, და რომელსაც იზიარებს 6. ბერდიაევი, საჭიროა გამოსავლის ძებნა – ეს არის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბოროტების წყარო უნდა ვეძებოთ საზღვრის მიღმა (Untergrund-ში), თუმცა – თუ ამ აზრს დავეთანხმებით, საჭირო გახდება დვოისმეტყველებაში ისეთი დასკვნების გაპეოება, რომლებსაც

არ უქნებათ არაფერი საერთო არც რელიგიურ გამოცდილებასთან და არც საღვთისმეტყველო შეხედულებებთან. გაცილებით უფრო ახლო დგას ჭეშმარიტებასთან სწავლება „სამყაროს ორი სულის“ შესახებ – სწავლება სამყაროს კეთილი და ბოროტი სულის შესახებ (რომელსაც ვხვდებით უძველეს სწავლებებში, მაგალითად პლუტარქესთან, კაბალას სწავლებასთან, პლატონიზმის ზოგიერთ მიმართულებებშიც). მეტაფიზიკურად ეს იმიტომ არის უფრო „კორექტული“, რომ ბოროტება მოიაზრება სამყაროს საწყისშივე და არა ქმნილების მიღმა (როგორც ეს არის ბეჭედისა და ბერდიაევთან), ეს არ არის სწავლება ორი მეტაფიზიკური სამყაროს შესახებ, არამედ თვით ცოცხალი სამყაროს საფუძველი მოაზრებულია ორი ცენტრით. თუმცა ფილოსოფიისთვის ესეც მიუღებელია – ერთადევრთი სწორი გზა არის იმ სწავლებაში, რომელიც აღიარებს, რომ სამყაროს ერთიანი (სოფიური) საფუძველი, რომელიც მოიცავს ბუნებასაც და ადამიანსაც, არის გაორებული. იმის აღსანიშნავად, რომ ამით სამყაროს ერთიანობა არ ირღვვება, მართებული იქნება ვისაუბროთ ერთიანი ქმნილი სოფიას ორი მხარის შესახებ, ქმნილი სოფიას ნათელი და ბნელი მხარეების შესახებ. ამ გაორების მიზეზის განმარტება უნდა ვეძებოთ სულიერ საწყისში – უფრო ზუსტად, ადამიანში. სწორედ ბოროტების პრობლემაში უნდა ვეძებოთ მთავარი არგუმენტი იმ სწავლების დასაცავად, რომ ადამიანი არის არა მხოლოდ „მიკროკოსმოსი“, ანუ ის კავშირშია მთელ სამყაროსთან და თავის თავში მოიცავს მის სტიქიებს, არამედ ის, რომ იგი არის სამყაროს „გული“, მისი სული, მისი სულიერი ცენტრი. ამ პუნქტში ანთროპოლოგია წარმოადგენს სამყაროს შესახებ სწავლების წეაროს.

3. რომ უკეთ გავიგოთ ადამიანში ბოროტების შესახებ სწავლება, აუცილებლად დაგვჭირდება „საღვთო სიბრძნისეული“ ჰიპოთეზა, ვინაიდან ბოროტება ადამიანში (ამის შესახებ ქვევით უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ) უკავშირდება მის სულიერ მხარეს, მის „ბუნებრივ“ სულიერებას. ჩვენი აზრით, მხოლოდ სამყაროს სოფიური გაგებისას ხდება შესაძლებელი ადამიანის შესახებ ყველა ძირითადი ჭეშმარიტების სისტემური შეკვრა,

შესაძლებელი ხდება იმის გაგება, თუ როგორ შეიძლებოდა აღმოცენებულიყო „ბნელი“ სულიერი ცხოვრება, როცა ცენტრალური ადგილი მასში დავთის მსგავსებას ეკავა.

მისი განხილვისას ჩვენ ვეყრდნობით ადამიანში დავთის ხატების შესახებ სწავლებას. დავთის ხატებით იწყება ადამიანში პიროვნული საწყისი, მისგან იქმნება Person - Personlichkeit, და მისგან ეძლევა ადამიანს საკუთარი თავის შეცნობის, ხედვის, ფიქრის უნარი (რაც ანიჭებს მას თავისუფლებას). უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ პიროვნული საწყისი მთელი თავისი სისრულით ვლინდება მხოლოდ აბსოლუტში, ხოლო ადამიანში, როგორც ქმნად არსებაში ეს საწყისი შეუძლებელია იყოს დამოკიდებლად არსებული ბუნება – ამიტომაც ის მასში შედის, როგორც უსასრულობის მძებნელი – საკუთარ თავში თუ მის გარეთ. უსასრულობის ეს ძიება არის დაუოკებელი წყურვილი იმისა, რომ ადამიანი გახდეს თავისთავად არსებული საწყისი, მაგრამ ქმნილებას თავისი თავის პოვნა მხოლოდ ღმერთში შეუძლია. სულის მიმართვა ღმერთისკენ არის უსასრულობის წყურვილის დაქმაყოფილების სურვილი, თუმცა ის არ იგივდება მასთან: აქ საქმე გვაქვს არა ერთ, არამედ ორ მომენტთან. ადამიანის სული<sup>8</sup> გერ პოულობს შვებას ვერანაირ სასრულში, თვითონ პიროვნული საწყისი არ ასვენებს მას, ის ექებს თავის უსასრულობას, თუმცა აღიარებს, რომ არის მუდამ დათრგუნული და დაკინებული. ამ ძიების „აზრი“ ნათელი ხდება, როცა ადამიანის სული შედის ღმერთთან ურთიერთობაში, მაშინ უსასრულო ცხოვრების წყურვილიც დაოკდება, მაშინ იშლება ნაძლვილი და შემოქმედებითი უსასრულობა ადამიანში, ოდონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სულიწმინდა დაიმკვიდრებს და ნათელს მოჰყენს მას. სულის ორივე მოქმედება<sup>9</sup> – უსასრუ-

<sup>8</sup> რომ არ გავართულო თხრობა, არ გავდივარ ანთროპოლოგიის საზღვრებიდან და არ განვიხილავ ანგელოზების დაცემის საკითხს, რის აღიარების გარეშეც შეუძლებელია ადამიანის ცოდვის გაგება.

<sup>9</sup> ზევით ჩვენ აღვნიშნეთ უსასრულობის ძიებასა და აბსოლუტის (ღმერთის) ძიებას შორის განსხვავების შესახებ: ახლა ჩვენ უკვე ახლოს გართ იმ პუნქტთან, სადაც ძალიან მკვეთრად უნდა აღვნიშნოთ ამ განსხვავების შესახებ.

ლობის ძიებაც და ღვთის გზაზე სიარულიც – არის რელიგიური გამოცდილების საფუძველი; ამიტომაც გვაქვს რელიგიური გამოცდილების ორი ტიპი: „ბუნებრივი“, რომელიც გადადის პანთეისტურ მისტიკიზმში, (ქმნილი სოფიის) ღვთიური საწყისის აღქმაში, და მადლმოსილი, სადაც უფალს, და არა ქმნილ სოფიას აღმოაჩენს ადამიანი. პირველი გამოცდილება იმპერსონალისტურია, მივყავართ პანთეიზმთან, „ღვთაებრივთან“ მიმართებაში, მეორე – პერსონალისტურია, უახლოვდება ღვთაებას (და არა „ღვთაებრივს“), შექმნილი სოფიიდან მაღლდება აბსოლუტამდე.

ადამიანის მიერ უსასრულობის ძიება უფრო ღრმა ცნებაა, ვიდრე elan vitale (ბერგსონი); საკუთარი არის გასაგებად ადამიანის ენტელექტური სწრაფვა – ფერერის აზრით, – არის elan vitalie spirituel, ანუ ჩვენი გულის, სულიერი საწყისის ღრმა ჩამირვა ჩვენს „საგანძურში“ (ლირებულებათა სფეროში), რომელიც აღმოაჩენს, რომ შეუძლებელია პიროვნების საწყისში საკუთარ თავში თვითარსებული ყოფიერების რეალიზაცია. ჩვენ ვეძიებთ დამკიდრებას ჩვენს გარეთ – ეს არის დაუოკებელი წყურვილი უსასრულობისა, დაუოკებელია იმიტომ, რომ მხოლოდ პიროვნების შიგნით შეუძლებელია მისი დაპურება. თუ ჩვენ მივმართავთ ღმერთს, სული პოლობს პასუხს თავისი ძიებებზე, მაგრამ თუკი გვინდა ამ წყურვილის დაოკება ღმერთის გარეშე, მაშინ, ბუნებრივია, მივმართავთ საერო ცხოვრებას, ერის იმანენტურ ძალას, მის მარადიულ (თუმცა ქმნად) ძალას, რომელიც უსასრულოა ქმნილებაში – ქმნილ სოფიაში<sup>10</sup>. თვით პიროვნების საწყისის წინაშე, რომელიც ქმნადობის გამო შეუძლებელია იყოს თვითარსი, დგას არჩევანი. თავისუფლების

<sup>10</sup> ქმნილი სოფია, როგორც იდეალური მთლიანობა, როგორც natura naturans არის მასშივე დავანებული ღვთიური სხივებით განათებული უსასრულობა. იგი (თავისი ნათელი მხარით) ცხოვრობს ღმერთით და ღმერთში, საიდანაც ის იღებს ღვთიურ ნათელს. ადამიანს შეუძლია ექცოს უსასრულობის წყურვილის დარწყელება მხოლოდ ქმნილ სოფიაში, ისე რომ არ ამაღლდეს ღმერთამდე: ეს ემსგავსება იმ დღეს, როცა ზეცა დაფარულია ღრუბლით, სინათლეა, თუმცა არ ჩანს მსე – წყარო ამ სინათლისა... ეს ქმნის „ბუნებრივ“ რელიგიურ გამოცდილებას.

საწყისი, ანუ შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენა, მუდამ დაკავშირებულია მნიშვნელოვან არჩევანთან – ღმერთში თუ მის გარეშე; დვთის გარეშე ჩვენ შეგვიძლია ვეძებოთ პასუხი მარადიულობის წყურვილით გამოწვეულ წუხილზე. ამ „არჩევანის“ მიხედვით სწორედ დვთის ხატებაში ვლინდება ჩვენი თავისუფლების ნიჭი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დვთის ხატება არ უნდა გავიგოთ „სუბსტანციურად“, როგორც რადაც „ძალა“, რომელიც „იქცა“ ადამიანის ბუნებად<sup>11</sup>: დვთის ხატება უფრო დრმად იშლება ჩვენ წინაშე, როგორც გზა (დვთისკენ), როგორც პოტენციური უსასრულობა (უსასრულობა აქტუალური შეიძლება იყოს მხოლოდ თვითარსის საწყისში, ანუ ღმერთში), როგორც შეუძლებლობა იმისა, რომ იცხოვოთ ქმნილებად, სასრულად და გარდამავალად. ცოდვა, ანუ დვთისგან განშორება, მის გარეშე ცხოვრების მცდელობა, იმიტომ ვერ კლავს და ვერ აღმოფხვრის დვთის ხატებას ადამიანში, რომ ის შესაძლებელია მხოლოდ მანამდე, ვიდრე ჩვენში არსებობს ხატება დვთისა. ეს არ არის პარადოქსი, ეს არის აღიარება, რომ დვთის ხატების გარეშე შეუძლებელია თავისუფლებაც და სწორედ ამავე მიზეზით – ცოდვაც და შესაძლებელი ყოფიერების კანონების, ცხოვრებისული მოთხოვნილებების ბუნებრივი მორჩილება (როგორც ეს არის ცხოველებში). ამგვარად, ცოდვა ვერ აფერმკრთალებს ადამიანში დვთის ხატებას, ვერ აკნინებს მას, თუმცა ის გვასუსტებს და გვაკნინებს ჩვენ: ჩვენს სულში, მის გულისგულში ჩნდება ახალი ძალა, რომელიც გამუდმებულ უხილავ ბრძოლაშია სულიერ სიკეთესთან. ამ გაორებას, რა თქმა უნდა, ადგილი აქვს არა ერთსა და იმავე სახით – ცოდვა ყოველთვის უფრო ზედაპირულია, ვიდრე დვთის ხატება, რომელიც, როგორც უპანასკნელი სიღრმე არის ყველაზე მნიშვნელოვანი, მისით ცოცხლობს და სულდგმულობს ადამიანი. ჩვენს გულებში სიკეთე და ბოროტება გვერდიგვერდაა, თუმცა ონგოლოგიურად ცოდვას არ შესწევს ძალა ძირფესვიანად დაიპყროს სული. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ დვთის ხატება არის იგივე პიროვნების საწყისი.

<sup>11</sup> იხ. ჩემი ეტიუდი „ადამიანში დვთის ხატების შესახებ“ მართლად. აზრ. II გამ.

სი, ადამიანის მთელი სულიერი სფეროს, მთელი სამყაროს სოფიური ცენტრი; ვინაიდან სამყარო არსებობს პიროვნებისთვის, ვინაიდან ის შეიქმნა, როგორც ცოცხალი, მარადიულობისკენ მოწოდებული ქმნილი ერთობა, ვინაიდან თვით სამყაროში დევს დვთის ხატება - ზედროულისა და ზესივრცულის შერწყმა დროისა და სივრცის საზღვრებთან, ერთიანის შერწყმა მრავალთან, ყოფიერების მოვლენათა მონაცელების, ცოცხალი ფორმების ამოუწურავი ძალა (Natura naturans). ამიტომაც სულიერ საწყისში ადამიანი მთელ ქმნილ სოფიასთან აღმოჩენს თავის ღრმა და ნამდვილ ერთარსობას, სწორედ ეს არის რელიგიური გამოცდილების შინაარსი, რომელსაც ადგილი აქვს ყველა ბუნებრივ რელიგიაში (ანუ რელიგიაში, რომელსაც არ აქვს პირდაპირი გამოცხადება). დვთის ძიება (როგორც ჩვენში, ასევე მთელ ქმნილ სოფიაში) არის არა ღმერთთან ერთარსებობის გზა (რაც შეუძლებელია ქმნილი სამყაროსთვის), არამედ დვთის მსგავსად არსებობისა (რაც გვიმარტავს იმ სიტყვების არსს, რომ ღმერთმა შეგვჭმნა თავის ხატად და მსგავსად).

ცოდვამ ვერ მოკლა ვერც უსასრულობის და ვერც ღმერთის ძიების სურვილი, არამედ მხოლოდ გააუკუდმართა ისინი. ცოდვა ყოველოვის იყო სულიერი წესრიგისთვის დამახასიათებელი მოვლენა, ონგოლოგიურად ის არის იმის მცდელობა, რომ „იქცეს“ უსასრულობად და ამგვარად შეძლოს უღმერთოდ ცხოვრებაც. იმის გამო, რომ ონგოლოგიურად ამის განხორციელება შეუძლებელია, ეს ხდება ადამიანის „მარადიული ტანჯვის“ მიზეზი, რომლის დასრულებაც შესაძლებელია მხოლოდ დვთის წიაღმი დაბრუნებით, მხოლოდ ღმერთთან თანაზიარებით ეძლევა მას შესაძლებლობა დაირწყელოს უსასრულობის წყურვილი. თავისი სულიერი არსით, სულიერ სფეროში მისი წარმოშობით, ცოდვა სულის სხეულებაა – და მხოლოდ სულის საშუალებით ერთვის ის სულსაც და სხეულსაც. თვით შესაძლებლობა ცდუნებებისა, რის გარეშეც ცოდვა ვერ დაიმკვიდრებს ჩვენში, უკავშირდება ადამიანის მთლიანობას, ჩვენს სულიერ მთლიანობას. ჩვენს სულიერ სფეროში (შემოქმედებითი სოფიური ნათელი და ბნელი მხარეების ანალოგიურად) ჩნდება ორი

პოლუსი – სიკეთისა და ბოროტების, სულიერი სინათლისა და სიბნელის პოლუსები<sup>12</sup>.

4. ღვთისმეტყველება გვაძლევს სწავლებას პირველქმნილი ცოდვის შესახებ და გვიმარტავს ამ სწავლებას არა მემკვიდრეობით მიღებული ტერმინებით (რითაც, რა თქმა უნდა, არ არის უარყოფილი თვითონ მემკვიდრეობითობის ფაქტი), არამედ პავლე მოციქულის სწავლებით (რომ 5,12), – ადამიანის მისტიკური ერთარსის ტერმინებით (მოც. პავლეს სიტყვების თანახმად „ჩვენ ყველამ შევცოდეთ ადამში“). ანთროპოლოგისთვის ეს სწავლება ცოდვის თანდაყოლილობის შესახებ – ანუ ამ ცოდვისადმი მიღრეკილება ბავშვის პირადი გამოცდილებიდან ან მემკვიდრეობითობიდან არ მომდინარეობს – სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველასათვის საერთო და ჩვენში „აპრიორულად“ არსებული მიღრეკილება ცოდვისადმი<sup>13</sup>, არის ძალიან მნიშვნელოვანი და მრავლისმომცველი იდეა. ის ერთადერთი გვიმარტავს ადამიანის საწყისშივე ცოდვის არსებობას, ჩვენში „რადიკალური ბოროტების“ დამოუკიდებლად და თავისთავად არსებობას. ისევე როგორც ჩვენს საწყისშივეა სიკეთისკენ მისწრაფება, ასევე ჩვენს საწყისში დევს ბოროტებისკენ სწრაფვა, – სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანში ღვთის ხატების ჭეშმარიტება ანთროპოლო-

<sup>12</sup> კიდევ ერთხელ აღვიზნავთ, რომ ორი პოლუსი (სიკეთისა და ცოდვისა) ჩვენს გულებში ერთმანეთის გვერდიგვერდ თანაცხოვრობს, თუმცა ეს არ არის ადამიანის უანასკნელი სიღრმე, სადაც დვთის ხატება, თუნდაც „ჩახშობილი“ და „დაკინიებული“, ჯერ ისევ უძლეურია, ის ჯერ ისევ იმ სახითაა, როგორიც უფალმა ადამიანს უბოძა. სიწმინდით იხსნება ადამიანის ეს სიღრმე, რომელიც ანათებს მასში და მის გარეთ; ეს თვისება გააჩნია ბავშვობას, სადაც ცოდვა და ბოროტება რეალური, თუმცა ჯერ ისევ უსუსური და უძლეურია და ამიტომაც მისი ბევრი საბურველიდან მაინც მოხანს დვთის ხატების ბრწყინვალება. ამიტომაცაა, რომ ბავშვობის ცნების გაგება ადამიანის საიდუმლოს ცოდნას მოითხოვს.

<sup>13</sup> ანთროპოლოგისა და პედაგოგიკისთვის ძალიან ღრმად და მართებულად განმარტავს პირველქმნილი ცოდვის კარდინალურ მნიშვნელობას Fr. W. Foerster თავის წიგნში “Religion und Charakterbildung” (Leipzig, 1925). ელემენტარული საღვთოსმეტყველო ცნების გასაგებად ფერსტერის ზედმეტი პათეტიკურობა აიხსნება მისი გარდატეხით, რომელიც გამოიხატა ამ საკითხთან მიმართებაში.

გიისთვის ჩვენში უკავშირდება ჰეშმარიტებას პირველქმნილი ცოდვის შესახებ. ამ ორი ჰეშმარიტების ურთიერთკავშირი აყენებს ადამიანის გამოხსნის საკითხს – ვინაიდან ადამიანში ცოდვის არსებობა ნიშნავს არა მარტო ბოროტების არსებობას ჩვენს ცხოვრებაში, არამედ სიკვდილის მეუფებას ჩვენზე. თუმცა იმავე ადამიანში დვთის ხატებისა და ცოდვისკენ მიღრეკილების შერწყმა მიმართულებას აძლევს აღზრდის თემას, რომელიც აქ წარმოგვიდგება, როგორც სულის ხსნის თემის ერთ-ერთი კონკრეტული პრობლემა. ბავშვის ცხოვრებაში პედაგოგის როლის უმნიშვნელოვანესი საკითხის შესახებ მოგვიანებით ვისაუბრებოთ.

ცოდვის წყარო ჩვენსავე სულიერ სფეროშია. ამით საწყის-შივე უარყოფილია ცოდვისადმი მიღრეკილების დაყვანა სხეულის, სოციალური პირობების, მემკვიდრეობისა თუ სხვა ფაქტორებამდე. სულიერი ფესვების ცოდვილობა, განსაკუთრებით პედაგოგიისთვის, განსაზღვრავს სულიერი პრიმატის შესახებ მართებულ სწავლებას, ვინაიდან ის ჩვენი ყურადღების კონცენტრირებას ახდენს არა ქცევაზე, ან თუნდაც ქცევის მოტივებზე, არამედ იმ სულიერ „წყვდიადზე“ (მაკარი დიდის გამოქმას რომ დავესესხოთ), რომელიც ადამიანში მკვიდრობს. არსებითად მნიშვნელოვანია არ გავაიგივოთ ერთმანეთთან სულიერება და სათონ საქმეებით ცხოვრება, ასევე მნიშვნელოვანია ნათელი და ბნელი სულიერების არსებობის დადგენა. ამ უმნიშვნელოვანესი ფაქტის ანალიზი არსებითად მნიშვნელოვანია იმ კონკრეტული პრობლემებისთვის, რომელთანაც ჩვენ, როგორც ექიმებს, მოძღვრებსა და პედაგოგებს გვექნება საქმე. თუმცა ის ძალიან მნიშვნელოვანია ანთროპოლოგიისთვისაც – იმ სწავლებათა დასაძლევად, რომლებიც მომდინარეობენ „ნატურალური“ სულიერების ფაქტიდან და ექრდნობიან მას, რათა გვერდი აუარონ მადლის მოქმედების პრობლემას. ამ ტიპის სხვადასხვა სწავლებებს შორის განსაკუთრებულად საზიანო შტაინერის ზემოთ ხსენებული სწავლება მიმაჩნია, რომელიც მომდინარეობს ნატურალური სულიერების ფაქტიდან და შეგნებულად უკეთებს იგნორირებას ნათელ და ბნელ სულიერებას შორის განსხვავებას, რითაც შეიძლება აიხსნას მისი შეპყრობილობა

ბნელი სულიერებით. ეს სწავლებები, რომლებიც ვერ ამჩნევენ ნათელსა და ბნელს სულიერ სამყაროში, ამით ადასტურებენ, რომ თვითონ მკვიდრობენ წყვდიადში...

პირველქმნილი ცოდვის გამო ჩვენს სულში არსებობს თანდაყოლილი მიღრეკილება ბოროტისკენ, სიბნელის რადაც პოლუსი, რომლის გარშემოც კრისტალიზდება ჩვენი ცხოვრების სხვადასხვაგვარი შედეგი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ჩვენი „ბნელი სულიერების“ ფორმირებაში. ამ „წყვდიადის პოლუსიდან“ ასხივებს სიბნელე, რომლითაც განისმჭვალება ადამიანი და რომელიც განსაკუთრებით ადვილად იპყრობს სქესის სფეროს, და მთლიანად სხეულის სფეროს. მაგრამ ამაზე საუბრის დაწყებამდე აუცილებლად დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ „ადამიანში „ბნელი სულიერების“ ანალიზზე.“

ზემოთ განვასხვავეთ სულიერების ორი მომენტი – უსასრულობის წყურვილი და უფლის ძიება. პირველი უკავშირდება ქმნილი სოფიის ინდივიდუალური სულის დამკვიდრებას (ანუ მთელი კაცობრიობისა და ბუნების მისტიკურ ერთობას), ხოლო მეორე – ჩვენი სულის თანაზიარებას დმერთან, აბსოლუტთან. თავისი არსით ეს ორივე მომენტი ერთმანეთისგან განუყოფელია, ვინაიდან თვითონ ქმნილი სოფიაც აღბეჭდილია დათოური სხივით, თავისი ნათელი მხარით ის მტკიცედ უკავშირდება უფალს, მას ეყრდნობა და მისით ცოცხლობს. მაგრამ, როცა სოფიაში ცოდვით დაცემის შემდეგ ბნელი პოლუსი, ბნელი მხარე წარმოიშვა, ასევე ადამიანის სული აგარებს თავის თავში – ქმნილ სოფიასთან ერთარსებობის მსგავსად – დასაბამიერ გაორებას (ცოდვისა და დათის ხატების გაორებას). მთელი ჩვენი ცხოვრება – ესაა ამ გაორების გაღრმავება ან გადალახვა. დასაბამიერი გაორების დაძლევა უნდა ხორციელდებოდეს იმავე მიმართულებით, საიდანაც ის აღმოცენდა, ანუ მორალური მიმართულებით, ქაოსის დაძლევის და ჩვენი სულიერი სამყაროს ბობოქრობის დაძლევის მიმართულებით. თუმცა ის მორალური განწმენდა, რომელიც აუცილებელია ჩვენში ძირეული გაორების აღმოსაფხვრელად, ხდება სინერგიით, ანუ სულის თავისუფალი სწრაფვით დათისკენ და დათის მადლმოსილი

დახმარებით. თუმცა შესაძლებელია ისეთი განწმენდაც, რომელიც არ ითხოვს დვოის მოწყალებას, არამედ იღვწის, რათა გაითავისუფლოს სული ემპირიისგან. თუკი პირველ შემთხვევაში დმერთან ურთიერთობაში წამყვანია მორჩილება, მეორე შემთხვევაში – მსგავს მიზანსწრაფულობას ახასიათებს მორჩილების არქონა (ვინაიდან არ არსებობს მორჩილების ობიექტი). თუ პირველ შემთხვევაში ხდება იმის შეცნობა, რომ ცოდვისგან გათავისუფლება მხოლოდ უფლის დახმარებითაა შესაძლებელი (აღსარების საიდუმლოს საშუალებით), მეორე შემთხვევაში ეს ხდება სულის ძალებით, ცდუნებებისა და სურვილებისგან საკუთარი თავის განთავისუფლების გზით. თუ პირველი თავისი არსით არის მისტიკური, ანუ ეძებს დვოაებრივ მადლს, მეორე თავისი არსით მაგიურია და ეძებს კანონზომიერ და აუცილებელ სელას სულიერი ზრდის კიბეზე. თუკი პირველი მიმართულია ტრანსცენდენტულისკენ (დვოისკენ), მეორე მიერთება იმანენტური (სოფიურ) სამყაროსკენ; პირველი პერსონალისტურია, ვინაიდან ეძებს ცოცხალ, საკუთარ ღმერთს და მის მადლმოსილ დახმარებას, მეორე – იმპერსონალისტურია, ვინაიდან ჩაფლულია სამყაროს სოფიურ „არსებობაში“, რომელიც პირსხებაზურად ცხოვრობს ადამიანთა სულებში და არა მათ გარეთ (ვინაიდან ქმნილი სოფია არის – Person, მაგრამ არა Personlichkeit).

ასე სცილდება ერთმანეთს „სულიერების მოდვაწეობის“ ეს ორი გზა; ორივე შემთხვევაში სულიერი ცხოვრება სხვადასხვაგვარად მიედინება, გარეგნული, და ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევებში, შინაგანი მსგავსების პირობებშიც კი, სულიერი ცხოვრების ორივე გზა ღრმად და არსებითად განსხვავებულია ერთმანეთისგან იმით, თუ სად მივყავართ მათ საბოლოოდ. პირველს მივყავართ დმერთან, სულიერი ცხოვრების გაორების დაძლევისკენ, ანუ ცოდვის მისტიკური საფუძვლისგან განთავისუფლებისკენ; მეორე კი – იკლავს რა უსასრულობის წვდომის წყურვილს სულიერი ცხოვრების ისეთი გადრმავებით, რომელიც არ აახლოებს დმერთან, აძლიერებს სულიერ გაორებას, ანუ აძლიერებს ცოდვის საწყისს, რომელიც აქ მოქმედებს უკვე არა

თავისი ფსიქოლოგიური გამოვლინებით (რომლისგანაც სული თავისულდება ასკეზით), არამედ თავისი სულიერი ბირთვით და გამოიხატება საგუთარი თავის გაღმერთებით (რასაც დოსტოევსკიმ უწოდა ადამიანი-დვთაება).

5. ანთროპოსოფიული სწავლება ადამიანისა და მისი სულიერი ზრდის გზების შესახებ, რომელიც შტაინერის სხვადასხვანაშრომის თემაა, არსად და არასოდეს უკავშირებს ერთმანეთს (როგორც ჩვენ ეს უკვე ვიხილეთ) „ინიცირების გზებს“ და დვთის მადლომოსილ შეწევნას. ეს უცხო არ არის მისთვის, ვინც იცნობს შტაინერის აბსოლუტურად დაულაგებელ სწავლებას ქრისტესა და „უზენაძეს სამყაროთა“ შესახებ, სადაც ღმერთი ჩანაცვლებულია პირადი დვთაებით. შტაინერის აზრით, მთელი სულიერი ცხოვრების აღმასვლა არის რაღაც „ბუნებრივი“ გზა, ანუ გზა, რომელზე სვლასაც ადამიანი ახერხებს საგუთარი ძალის-ხმევით და რომელსაც ახლავს ის სულიერი „გამობრწყინებანი“, რომლებიც ნამდვილად შესაძლებელია სულიერი ცხოვრების ბუნებრივი განვითარების დროს.

ქრისტიანობა გვიჩვენებს სულიერი განვითარების სულ სხვა გზებს. ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ სულიერი გაორება, ღმერთისკენ თუ მის საპირისპიროდ მოძრაობისა, ურთიერთდაპირისპირება მორჩილებასა და ოვითდამკვიდრებას შორის, ქმნის ინდივიდუუმში მორალური გაორების მისტიკურ (ანუ კაცობრიობასთან მიმართებაში ჩვენი მისტიკური ერთარსების) წყაროს. გულის სიღრმიდან ეს გაორება აღწევს ყველა სფეროში, და მთელი სულიერი ცხოვრების გზაზე, „ცნობიერების ცენტურის“ გამო, ჩვენ ძალიან ხშირად არც კი ვაღიარებთ გულის გაორების ამ ფაქტს. საჭიროა ვისწავლოთ „საგუთარი თავის“ მოსმენა, სულიერად შევაღწიოთ ჩვენს გრძნობებსა და მოქმედებებში, რომ დავინახოთ ამ მოქმედებებისა და გრძნობების სხვადასხვა მიმართულებით გადგმული „ფესვები“. „ცნობიერების ცენტურა“ ნიშნავს შინაგანი გაორების უარყოფას, რომლის მთელი ძალა და გავლენიანობა ვლინდება, მაშინ როცა არსებობს სულიერი ოვითშეგნება. მხოლოდ სინანულს შეუძლია ელვის მსგავსად სულის ბნელი ხვეულების განათება, - რაც უფრო

მომწიფებულია სულიერად ადამიანი, მით უფრო ნათელი და წმინდაა სინანულის საშუალებით სულის ნამდვილი ცხოვრების დასაწყისი. სინანულის უდიდესი მნიშვნელობა სულიერი ცხოვრების დინამიკაში არის ის, რომ მისი სინათლის შუქზე მთელი მისი სიყალბე და ბოროტება, რომელიც იმალებოდა „ბუნებრივ“ სულიერებაში ჩვენ მიერვე ხდება უარყოფილი და ჩვენ მას შევყავართ დმერთოან ურთიერთობაში. ასეთ მომენტებში ხდება ლმერთოან ცოცხალი კავშირის აღდგენა და გაორების დაძლევა, – და არ არის სხვა გზა სულიერი აღმასვლისა, თუ არა სინანულის საშუალებით. სწორედ ასეთ მომენტებში შეიძლება განიმარტოს სულიერი ზრდის ერთი ყველაზე უცნაური პარადოქსი, რომელსაც კარგად იცნობენ მოძღვრებიც და პედაგოგებიც. საონო ქცევების სიმრავლე სულის პერიფერიებში ხშირად სულაც არ არის სულის მთლიანობის საწინდარი, არამედ მხოლოდ აძლიერებს სულიერი ნაწილის ბნელ პოლუსს, და პირიქით, დაცემები და ცოდვები, როცა იგი იწვევს სინანულს, რომელიც რადიკალურად ცვლის ადამიანს და უხმობს დმერთოან ურთიერთობისთვის, შეიძლება იქცეს სულიერი ზრდის წინაპირობად. ამ მდგომარეობის პარადოქსი (რომელიც არ ნიშნავს იმას, რომ საჭიროა დაცემა, რათა სულიერად გავიზარდოთ. თუ დაცემა არის წინასწარგანზრახული, სინანული უკვე არასდროს არ იქნება ღრმა და ნამდვილი; ანდა თუკი წუხილით შევფუთავთ ამ „წინასწარგანზრახულობას“, მაშინ აუცილებლად საქმე გაგაქს საქუთარ სულიერ სიყალბესთან) უკავშირდება სინანულის იშვიათ და შეუდარებელ ნამდვილობას. ოდონდ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ სინანული არის თავისუფლების ფუნქცია ჩვენში, და მას მხოლოდ როგორც თავისუფალ აქტს<sup>14</sup> შეუძლია ადამიანის ფერისცვალება. სწორედ აქ ხდება თვალსაჩინო ერთი არსებითი თვისება სულიერი ცხოვრების დინამიკისა, რომელიც უმნიშვნელოვანებისა იმ პედაგოგიკისთვის, რომელიც სულიერ სფეროს იკვლევს. სულის თავისუფალი ნაბიჯები აღმოცენდება, თუმცა რჩება ცნობიერების ნათლის

<sup>14</sup> გ. ჰიუგომ შესანიშნავად აღწერა სულიერი გარდატეხის ფსიქოლოგია ქან ვალუანში.

მიღმა, ამიტომაც ისინი არ შეიძლება გამოწვეული იყოს ცნობიერების მიერ, რომელიც უძლურია სულიერი შემოქმედებისას, მას შეუძლია მხოლოდ მექანიკურად მიბაძოს მას, რაც ოდესმე დაბადებულა სულის სიღრმეში. სულზე ძალადობის ყველა მცდელობა ცნობიერების სფეროდან არა უბრალოდ არ შეიძლება, არამედ მწვავე რეაქციასაც იწვევს. სულაც არ არის საჭირო ამის განზოგადება, როგორც ამას აკეთებს ბოდუენი, რაზედაც ბ.პ. ვიშესლავცევმა სულიერი ცხოვრების<sup>15</sup> ფსიქოლოგიისთვის დაწერა თავისი ძალიან საინტერესო კომენტარები, ისევე როგორც loi de l'effort convert. გაცილებით დამაჯერებლად განიხილა ეს ფაქტი გარტმანმა: მნიშვნელოვანი ის კი არ არის, რომ ჩვენი სულიერი ქვეცნობიერი ეწინააღმდეგება ყოველივე ძალადობას, რომელიც მოდის ცნობიერებიდან, არამედ ის, რომ ცნობიერებას არ გააჩნია არავითარი ძალა სულის თავისუფალ ნაბიჯებთან მიმართებაში. მას შეუძლია ნათლით შემოსოს სული, თუმცა არ შეუძლია უბრძანოს მას; შეუძლია ირიბად უბიძგოს სულს, თუმცა არ შეუძლია პირდაპირი ზემოქმედება მასზე: თავისუფლება ცნობიერებისათვის ყოველთვის რჩება musterium-ად<sup>16</sup>.

მაგიურობის მთელ ამაოებას, ანუ ცნობიერების საშუალებით მიმართულ სულიერ ზრდას (როგორც ეს არის ანთროპოსოფიაში<sup>17</sup>), წარმოადგენს არა ის, რომ არ ხდება სულიერი ყურადღების კონცენტრირება, არამედ ის, რომ არ ხდება სულიერი გაორების დაძლევა და, პირიქით, უფრო ძლიერდება სულის ბნელი პოლუ-

<sup>15</sup> ბ.პ. ვიშესლავცევი. „სახეცვლილი ეროსის ეთიკა“, გვ. 52-60. ი.ხ. ფერიერის მართებული შენიშვნები, რომელიც მიმართულია effort konvertit-ის კანონის შეზღუდვის შესახებ (“Le progress spirituel” P. 182-185, სახასიათო სახელწოდების თავში “La volonté profonde”).

<sup>16</sup> ამგვარად იდებს სინათლეს ცნობიერების ფუნქცია – ის მწიფდება თვითშეგნების წიაღში და წარმოადგენს მის ფუნქციას (და არა პირიქით, როგორც გვიხატავენ ფსიქოლოგები). შენიშვნები ამის შესახებ ის. ჩემს ეტიუდში „სულის იერარქიული წყობის შესახებ“.

<sup>17</sup> გარკვეული თვალსაზრისით ეს ეხება „სულიერ გარჯიშსაც“, რომელიც მიღებულია კათოლიციზმში, სადაც დიდ როლს თამაშობს წარმოსახვა, უფრო მეტად შემოღის შეუფერებელი და დამაუძლურებელი გრძნობისმიერი მომენტი.

სი. მაგიური ძალა, რომელიც მეუფებს სულიერ სფეროზე, გვერდს უვლის სულიერ თავისუფლებას, სურს ჩვენი სულის მოტყუფება, იმ დროს, როცა სულს სურს გაორების დაძლევა და თავისუფლების მეშვეობით მთლიანობის აღდგენა. რა თქმა უნდა, დასაბამიერი გაორების გადალახვის თავისუფლების ნაბიჯები გამოიხატება არა მხოლოდ სინანულში, არამედ დვოთისადმი სულის მხურვალე ლოცვაში. ერთიც და მეორეც შეუძლებელია იყოს განგებ გაკეთებული, თავისუფლების საიდუმლოს მეშვეობით უნდა აინთოს სული და ფერი ეცვალოს მას. ასეთი თავისუფლების აქტების ფსიქიური წინაპირობა არის ის, რასაც ჩვენ „მორჩილებას“ ვუწოდებთ, ვინაიდან სინანულით, სულის ღმერთოსადმი მხურვალე ლოცვით ჩვენში სახლდება სულიწმინდა და ხდება სულის მადლმოსილი შთაგონება, ჰეშმარიტების მიგნება. ამიტომაც ჰეშმარიტი სულიერი ზრდა, შინაგანი გაორების დაძლევა, ბოროტზე გამარჯვება არასდროს არის დამოკიდებული მხოლოდ „მე“-ზე – აქ მოქმედებს ღმერთი: ამაში მდგომარეობს mysterium libertalis<sup>18</sup> – თავისუფლების რეალიზაცია ჩვენში შეიძლება განხორციელდეს, როგორც ღმერთკაცური პროცესი, რაც შეუძლებელია ღვთიური მადლის გარეშე. თავისუფლების პარადოქსი ის გახლავთ, რომ შეუძლებელია მისი ხელოვნური სტიმულირება: მისი საუკეთესო პირობაა სიმდაბლე, როგორც მადლის მოქმედებით სულიერი თვალის ახელის მოლოდინი, აქ, რა თქმა უნდა, საუბარია შემოქმედებით სულიერ თავისუფლებაზე. გარკვეულ საფეხურამდე მას აღწევდნენ ე.წ. პიეტიზმის დამცველებიც, თუმცა მათ სურდათ უკუმაბდოთ მთელი აქტივობა, რომელიც მოდიოდა ცნობიერებიდან, რაც სულაც არ არის აუცილებელი<sup>19</sup>. სიმდაბლე და შთაგონება სულაც არ მოდის ცნობიერებიდან, და არც არსებობს მათზე უარის თქმის საჭიროება. „ურძნობელობა“ იმდენად მძიმეა სულიერი ცხოვრებისათვის, არა იმის გამო, რომ აქ ხელის შემშლელი პირობაა ცნობიერება,

<sup>18</sup> იხ. ჩემი ეტიუდი „თავისუფლების ნიჭი“.

<sup>19</sup> ასკეტი მამები მნიშვნელობას ანიჭებდნენ „მსჯელობის ნიჭს“. უკვე სახელწოდებაში კარგადაა გამოხატული გაცნობიერების ფუნქცია სულიერი ზრდის მასტიმულირებელ ძალთა თვალსაზრისით.

თავისი ამაოქბით, არამედ – სულიერი ძილი და დასუსტება.

7. ზემოთ განვითარებული სწავლება ბუნებრივი სულიერუბის გაორებულობის შესახებ, მასში ბნელი პოლუსის შესახებ, რომელიც გვიბიძგებს, რომ დავცილდეთ ღმერთს და ამით მიგვდრებს ცოდვისკენ, იმ არასწორი სწავლებისკენ ცოდვის შესახებ, რომელსაც ადგილი აქვს კათოლიკურ და პროტესტანტულ დოგმატიკაში. დასავლეთის ქრისტიანობის ორივე ფორმაში ადამიანის ბუნება (მათ შორის დვოის მსგავსებაც), იმ მადლის გარეშე, რომელიც მას მიცემული ჰქონდა ცოდვით დაცემამდე, სულისა და ხორცის საშუალებით მიღრეკილია ცოდვისკენ. *Infirmitas carnis*, სეულის უძლურება არის მიზეზი იმისა, რომ გაძლიერდეს ცოდვით დაცემის<sup>20</sup> შესაძლებლობა და აქედან მომდინარეობს დუალიზმის ის ობერტონი, რომელიც იგრძნობა კათოლიციზმსა და პროტესტანტიზმში. მართლმადიდებლობა არ უარყოფს სეულიდან მომდინარე „მტანჯველ ძალას“ (შეად. ლირსი სერაფიმეს სიტყვები ფიზიკური შრომის შესახებ – „ვტანჯავ ჩემს მტანჯველს“), თუმცა უკავშირებს ამ მტანჯველ ძალას, სულიერი მგრძნობელობის დაჩლუნგებას, სულიერი ცხოვრების მოშლას. საერთოდ კი, სწავლება ფიზიკური მხარის შესახებ, ფიზიკური ცხოვრების შესახებ, არავითარ კავშირში არაა ცოდვის თქმასთან. ქრისტიანული სწავლება სეულის შესახებ დიამეტრულად სცილდება ფიზიკურ სეულზე ადრინდელ შეხედულებას, როგორც ადამიანში ბოროტებისა და ცოდვის წყაროს, თუმცა დუალისტური მომენტები პოულობდნენ გამოვლინებას ქრისტიანობის ამა თუ იმ მიმდინარეობაში. ყველაზე არსებითი ქრისტიანული მეტაფიზიკისათვის არის სწავლება სეულით ადგომის შესახებ, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანის ფერის-ცვალება არ ეწინააღმდეგება მის სეულებრივ საწყისს; თუმცა ადდგომისას იცვლება სეულის ზოგიერთი თვისება („დაითქსება მშვინვერი, ხოლო ადდგება სულიერი სეული“), სეულებრივი საწყისი კი არ ქრება. მარადიულ ცხოვრებას, ანუ

<sup>20</sup> კათოლიკური თვალსაზრისით *Infirmitas mentis* წარმოიშვება, ადამიანის ქმადობის კვალობაზე თუმცა, კერძოდ, *Infirmitas carnis*-ის საშუალებით. როგორც პროტესტანტიზმი კიდევ უფრო შორს მიდის (*creatura ex sese deficit*).

უფალსა და მის ნათელში ცხოვრებასა და სხეულში მყოფობას შორის არ არსებობს არსებითი ურთიერთუარყოფა. უფრო მეტიც, სხეულის მეტაფიზიკური სიმტკიცე, რომელიც იმითაა გამოხატული, რომ სხეული ხორციელად აღდგება, ნიშნავს სულსა და სხეულს შორის ისეთ შინაგან არსობრივ კავშირს, რომ სრული ცხოვრება ადამიანისთვის გულისხმობს აუცილებელ ხორციელ საწყისს. ქრისტიანობა დასაბამიდან ხედავდა მასში ადამიანის მეტაფიზიკურ „ძალას“, რომელიც მოციქული პავლეს სიტყვების თანახმად (I. კორ. 6,3) ანგელოზებზე, როგორც სუფთა სულიერ არსებებზე, მეტად მაღლდება. ღვთაებრივი ცხოვრებისთვის ადამიანს აუცილებლად სჭირდება სხეული, რომელიც პავლე მოციქულის სიტყვების თანახმად, „ოქვენი სხეული ტაძარია თქვენში დამკვიდრებული სულიწმინდისა“. „მაშ, ადიდეთ დმერთი თქვენი სხეულით და თქვენი სულით“, და მოციქული იქვე წერს: „სხეული კი არა სიძისათვის, არამედ უფლისთვის, ხოლო უფალი სხეულისთვის“ (I კორ. 6,19,10,13). მნელია რელიგიურ და ფილოსოფიურ ლიტერატურაში ხორცის შესახებ უფრო ღრმა და ამაღლებული სწავლების მოძიება, ვიდრე ის სიტყვები, რომლებიც მოციქულმა პავლემ წარმოთქვა და რომლებიც მომდინარეობს ქრისტიანული სწავლებიდან სხეულით აღდგომის შესახებ. სამშვინველი და სხეული ემორჩილებიან ადამიანის სულს; ჯერჯერობით ხორცი „მშვინვიერია“; ანუ მასში ჯერ არ მკვიდრობს ნათელი სულიერება, რომელსაც ის მიიღებს აღდგომის შემდეგ, როცა აღდგება „სულიერი სხეული“. ეს სწავლება „სხეულის მშვინვიერების“ შესახებ არ ნიშნავს იმას, რომ დღეს ჩვენი სხეული არ არის სულიერი, არამედ იმას, რომ სხეული „ხორციელი“ საწყისის ტყვეობაშია, რაც ჩვენს სულიერ ბუნებაში „ბნელი პოლუსის“ არსებობას, ანუ ღვთისებან განდგომას მოასწავებს<sup>21</sup>. ეს ბნელი სულიერება ხელმწიფებს ხორცზე და სიკვდილისთვის სწირავს მას; თვით სიკვდილის ხელმწიფება აღნიშნავს, რომ ბნელი სულიერება არის ზოგადი

<sup>21</sup> ამგვარად თვით „ხორცის“ ცნება იღებს სულიერ მნიშვნელობას. ხორცის ასეთი განსაზღვრება ძალიან მნიშვნელოვანია ხორცთან ბრძოლისთვის.

„ხვედრი“ ადამიანისა, ანუ ზოგადსაკაცობრიო ხვედრია. ჩვენ ერთარსნი ვართ სათნოებაში (დღოის ხატებაში), თუმცა ერთარსნი ვართ ბოროტებაშიც (კანტის ტერმინის მიხედვით – „რადიკალურები“) და ეს უკანასკნელი არ არის შედეგი ინდივიდუალური ცოდვისა, ამიტომაც ვერ დაიძლევა ინდივიდუალური სიწმინდით. სულიერებაში ბნელი საწყისის მისტიკური მორჩილება არის მიზეზი ახლანდელი სხეულის „მშვინვიერებისა“, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ სხეული თავის ცხოვრებაში უკავშირდება სულიერ სფეროს, ის ცალკე ერთეულია – ის არის ახალი „საფარველი“, გარსი, საპყრობილე. ამიტომ მეტაფიზიკური თვალსაზრისით უაზროა სიკვდილის შემდეგ სულის გადასახლება ახალ სხეულში. სიკვდილის შემდეგ სულს არ აქვს სხეული, თუმცა სიკვდილის შემდეგაც სხეულში ყველაფერი არ ქრება; ამ საკითხში ვლინდება გარკვეული სწორი იდეები იმ ოკულტური სწავლებებისა, რომლებიც ფიზიკური სხეულის მიღმა ხედავენ არაფიზიკურ (ასტრალურ) სხეულს. სხეული მეტაფიზიკურად და არა ემპირიულად უკავშირდება ინდივიდუალობის საწყისს, ამიტომაც ცდებიან ის მრავალრიცხოვანი სწავლებები, რომლებიც principle individuationis-ს სწორედ სხეულს უკავშირებენ. ის უკავშირდება სხეულსაც, თუმცა თვითონ ინდივიდუალობის პრინციპი არ არის მხოლოდ ემპირიული, არამედ მეტაფიზიკურიც, ამიტომაც სულის კავშირი მოცემულ სხეულთან ცალკეული, განუმეორებელი და მარადიულია.

სხეულის „მშვინვიერება“ მიწიერ ცხოვრებაში მისი მისტიკური კავშირი სულიერების სფეროსთან მისი ბნელი პოლუსის მეშვეობით, სხეულს ორივე მხრივ ხდის უფრო „სუსტსა და დაუცველს“. ერთი მხრივ, სხეულის მეშვეობით ჩვენზე მეუფებს სიკვდილი (რომლის ძალაც არ ამოიწურება, ფიზიკური სხეულის ფშვინვიერისგან მოშორებით, არამედ ადგეჭდავს მთელ ჩვენს სულიერ-მშვინვიერ ცხოვრებას). სულიერი სფეროს დაბინძურებისა და ცოდვისგან მომდინარეობს სხეულის სხეულებანი, რომლებიც თავისი მეტაფიზიკით, თავისი წარმოშობით გამოხატავს ჩვენი არსების დაქვემდებარებას ცოდვისადმი (მათ. 9, 2-7); სხეულის ბუნებრივი ცხოვრების, მისი ბუნებრივი მოთხოვნილებების მეშ-

ვეობით, მხნეობისა და დაღლილობის რიტმი, ძალის აღვსება და დაცლა, რომელიც „ტანჯავს“ სულს ისე, როგორც ზემოთ მოტანილ ღირსი სერაფიმეს სიტყვებში გადმოვვეცით. ამას უკავშირდება ადამიანის რელიგიური ცნობიერების სწრაფვა ასკეტიზმისკენ, სხეულის „დამორჩილებისკენ“. ასკეზის მეშვეობით „თვინიერდება“ სხეულის ბუნებრივი „ბობოქრობა“, უფრო მეტად ექვემდებარება ხორცი სულის ნათელ მხარეს, სული თავისუფლდება ბუნებრივი, თუმცა მტანჯველი ხორციელი ვნებებისაგან. ამიტომ აქვს ასკეზას მუდამ უდიდესი მნიშვნელობა სულიერი განვითარებისთვის, ის თავისებური „მაგია“ და „ტექნიკა“ ამარჯვებინებს სულიერ საწყისს ასკეტურ ღვაწლში. მთელი ასკეტიკა თავის ნამდვილ მიზანს აღწევს მხოლოდ მაშინ, როცა ის იმავდროულად არ აძლიერებს (თავისი სულიერი ინტუიციით მიაღწიოს სულიერ ზრდას „ლმერთის გარეშე“) სულიერების ბნელ საწყისებს. ვინაიდან სულიერების საწყისი, როცა ის თავისთავად, ანუ ღვთის მოშიშების გარეშე, თავისუფლდება სხეულისგან, კი არ თრგუნავს, არამედ აძლიერებს ჩვენში ბნელ ძალებს. სხეაგვარად რომ ვთქვათ, სხეულის ასკეზა იძენს თავის შესავერის მნიშვნელობას და ღირებულებას მხოლოდ მაშინ, როცა ის არის რელიგიური ღვაწლის ნაწილი; ასკეტიკა გამართლებულია არა როგორც მაგიური გზა სულიერი ზრდისა, არამედ როგორც რელიგიური ცხოვრების ინსტრუმენტული მომენტი.

განსაკუთრებულ, ძალზე არეულ და ბოლომდე გაუგებარ მდგომარეობას სხეულთან მიმართების საკითხში დღეისათვის ქმნის (სოციალური და ბიოლოგიური ფაქტორების შედეგად) გაძლიერებული ნერვული დაბატულობა, რომელიც სხეულებრივ აღგზნებულობას განსაკუთრებულ დინამიურობას და გავლენიანობას მატებს. თუკი ადრე, როცა ადამიანი იყო ფიზიკურად ჯანმრთელი და ნერვულად მდგრადი, ასკეტური ფუნქცია სულიერ ზრდაში მდგომარეობდა „სხეულის მოთოკვაში“; ჩვენს დროში კი ასკეტიკა ემსახურება სხეულის გაძლიერებას, ანუ იმ არითმიისგან, იმ მოშლილობისგან განთავისუფლებას, რომელიც შემოაქვს უკიდურეს ნერვულ დაბატულობას (განსაკუთრებით ძლიერს დიდ ქალაქებში). აქ ვლინდება სპორტის სული-

ერად ფასული მხარე, რომელიც თავის თავში მოიცავს როგორც სუფთა სხეულებრივ სიამოვნებას, ასევე უდიდეს სულიერად გამაჯანსაღებელ მნიშვნელობას, რომელიც გვათავისუფლებს ნერვული დაძაბულობის ტანჯვისგან. დღეს სპორტი ცვლის ფიზიკურ შრომას, რომელიც ადრე ადამიანს ჰქონდა (და რომელიც მარტოდენ სოფლებში შემორჩა) და ისინი, ვინც საერთოდ არ იციან ფიზიკური შრომა და ისინიც, ვინც მუშაობენ ნერვულად დაძაბულ ქარხნის და ფაბრიკების პირობებში, სხვადასხვაგვარად, მაგრამ მაინც პოულობენ სპორტში შვებას ნერვული დაძაბულობისგან. ამგვარად სპორტი უკიდურესად პირად კავშირშია ჩვენს სულიერ ცხოვრებასთან<sup>22</sup>.

8. არცთუ იშვიათად ცოდვის წყაროს ხედავენ სქესში, სქესობრივ ცხოვრებაში. კათოლიკური დოგმატიკა განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავს „აგხორცობას“ სქესის სფეროში<sup>23</sup>. თავისი არსით ამ აზრს ეთანხმებიან ისინიც, ვინც გამოდიან ანდროგენიზმის იდეიდან და სქესობრივი განსხვავების არსებობაში ხედავენ ადამიანის დასუსტების მიზეზს<sup>24</sup>. რა თქმა უნდა, სქესს უკავშირდება ცოდვის თემა, თუმცა მასვე უკავშირდება შემოქმედებითობის, სულიერი აღზევებისა და საკუთარ თავში ცოდვის გადაღახვის თემა, როგორც ეს შესანიშნავად გამოოქვავლადიმერ სოლოვიოვმა თავის სტატიაში: „სიყვარულის არსის შესახებ“. მან განსაკუთრებული სიღრმით დაგვიხატა ყველაფერი, რაც ჩვენში ხარობს სქესობრივი სიყვარულის წყალობით, რაც კვებაგს და ათავისუფლებს სულს, აღამაღლებს მას. თუმცა არანაკლებად ძლიერია ისევ სქესიდან გამომავალი ძალა და შესანიშნავად შეიძლება იკვებებოდეს ამავე წყაროდან ყოველივე, რაც ჩვენში ბოროტი და ბნელია, რაც ასე აშკარად გამოხატა დოსტოევსკიმ.

სქესის პრობლემა დღეისათვის იმდენადაა შესწავლილი, რომ ძირითადი უსიტყვოდ უნდა მივიღოთ, ხოლო ზოგიერთ

<sup>22</sup> იხ. Giese-ის წიგნი “Geist im Sport”.

<sup>23</sup> ამ თემის განხილვა იხ. ს.ვ. ტრიოცის წიგნში „ქორწინების ქრისტიანული ფილოსოფია“. 1932.

<sup>24</sup> იხ. ნ.ა. ბერდიავის „ადამიანის მნიშვნელობის შესახებ“ (1931), გვ.70

საკითხში ადამიანის კონსტიტუციაში სქესის ცენტრალური მნიშვნელობაც კი უნდა ვაღიაროთ. რა თქმა უნდა, ახლა არ არის იმის საჭიროება, რომ ღრმად შევიდეთ ამ პრობლემაში, თუმცა აუცილებელია უარგეოთ პანსექსუალიზმის თეორია. არსობრივად ფროიდიც, განსაკუთრებით თავისი მოღვაწეობის მეორე ნახევარში, არ ეთანხმება პანსექსუალიზმის თეორიას, ვინაიდან სქესობრივი ლტოლვის გარდა (Sexualtrieb) მან აღიარა ეგრეთ წოდებული Ichtrieb. ამ განმარტებებისას ფროიდი არაერთგზის აღნიშნავს, რომ ის არ ეთანხმება პანსექსუალიზმს<sup>25</sup>. უფრო ნაკლებად ითქმის ეს იუნგიზე (Jung); უაზრობა იქნებოდა მისი ანთროპოლოგიის ამ კუთხით განხილვა, თუმცა ამის საბაბს ის თვითონ იმით იძლევა, რომ ადამიანის ძირითად ძალას არქმევს Libido-ს. თუმცა Libido იუნგთან აღნიშნავს „ცხოვრების ნებას“ – ცხოვრების შემოქმედებით მამოძრავებელს, იმის განვითარებას, რაც დევს სულიერ საწყისში. და მაინც პანსექსუალიზმი, როგორც ფროიდიანული კულტურული ფორმა არ გამქრალა პოპულარული აზროვნებიდან.

სქესზე საუბრისას, საჭიროა უფრო ჩაუელრმავდეთ ამ ცნებას და გავარჩიოთ სქესის ემპირია სქესის მეტაფიზიკისგან. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სქესის ენერგია სულაც არ არის მხოლოდ და მხოლოდ სქესობრივი, რომ სქესის ცხოვრება არ ამოიწურება სქესობრივი ცხოვრებით. სქესობრივი ენერგია უკავშირდება სქესობრივ ცხოვრებაში ემპირიულ (ფსიქოფიზიკურ) გამოვლინებებს, ხოლო სქესის ენერგიას, რომელიც პირდაპირ კავშირშია სქესის ცხოვრებასთან, შეუძლია განიცადოს სუბლიმაცია და შესაძლოა ახალ შემოქმედებით ძალად გამოვლინდეს. თუმცა თავისი ორივე ფორმით, მეტაფიზიკურადაც და ემპირიულადაც, სქესი ფსიქოფიზიკურიც არის და სულიერიც; სწორედ ამის გამოა, რომ სქესის კველა გამოვლინება უმუალო კავშირშია სულიერ ცხოვრებასთან. უწესრიგო თუ ნორმალური სქესობრივი ცხოვრება – სქესობრივი ცხოვრების უქონლობაც კი ისე ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი სულიერი ცხოვრები-

<sup>25</sup> ამ საკითხის ირგვლივ მოძიებული მასალა იხ. Ad. Feriere-ს წიგნში „Le progrès spirituel“ (1927).

სათვის, როგორც არანაირი სხვა ძალა. სქესი სტანჯავს და აწვალებს ადამიანს, სქესის საშუალებით ყველაზე ადვილად უახლოვდება ადამიანს ცოდვა, და ამიტომაც სქესის ცხოვრების სწორად განსაზღვრას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს სული-ერი ცხოვრებისათვის. ერთ-ერთ მომდევნო თავში, სადაც ჩვენ დავახასიათებთ სულიერ ცხოვრებას ბავშვობაში, ყრმობასა და სიჭაბუკეში, ჩვენ კიდევ მოგვეცემა საშუალება, შევეხოთ ამ უმნიშვნელოვანებს თემას. აქ კი საჭიროა აღვნიშნოთ ის, თუ როგორ კავშირშია სქესის ცხოვრება და სქესობრივი ცხოვრება ადამიანში ბოროტებასთან.

სქესი – სულიერი და ამავე დროს ფსიქოფიზიკურია და შეუძლებელია რომელიმე მხარის ერთმანეთისგან გათიშვა. ეს ცეცხლოვანი ძალაა ადამიანში; ვნებელობით, უცნაურობებით, დააბულობით მას გამორჩეული აღგილი ჟკავია ადამიანის კონსტიტუციაში. მისი „ბნელი“ სტიქია განსაკუთრებით იმაში ვლინდება, რომ აქ ყველაზე მეტად ირღვევა ადამიანის მთლიანობა, იშლება მისი ერთობა. ერთოსისა და სექსუალობის ზეწოლა არის ჩვენი განვითარების გარკვეულ პერიოდში „ბუნებრივი სენი“<sup>26</sup>. ეს ზეწოლა გადაჭრით არღვევს ადამიანის „ქალწულებას“, აშიშვლებს და ამძაფრებს ადამიანის შინაგან არწყლობას, აძლიერებს ტყვეობას, რომელშიაც გამომწყველეულია სული. ყველაზე მეტად ამ ხაზით ვთარდება „სულისა“ და „ხორცის“ ის ურთიერთბრძოლა, რომელიც ასე მძაფრად დაგვიხატა მოციქულმა პავლემ. პირველმა ცოდვამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოშვა ჩვენი სულიერების გაორება, წარმოშვა ნათლისა და წყვდიადის პოლუსები სულში; სულისა და ხორცის ბრძოლის გამწვავება ნიშნავს ბნელი პოლუსის გაძლიერებას სულში, ვინაიდან ჩვენი ინტერპრეტაციის თანახმად, ხორცისაც აქვს სულიერი საწყისი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხორცის გაძლიერება, მისი გამარჯვება ნიშნავს ბნელი სულიერების გაძლიერებას. პირველი ნაბიჯი მის აღმოსაფხვრელად არის სქესის სტიქის დაძლევა; ხორმალური ცოდ-ქმრული ცხოვრების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება სულიერი ცხოვრების გაძლიერება.

<sup>26</sup> იხ. ჩემი ბროშურა „საუბარი ჭაბუკებთან სქესის საკითხებზე“ (1929).

ლებელია ამის დაძლევა, მაშინ სქესის ცხოვრება და სქესობრივი ცხოვრებაც ვერ აძლიერებს სულიერების ბნელ პოლუსს, არ მოაქვს ბოროტება. სიკეთის მომტანია ასევე მონაზენური თავშეკავება, როცა არ არის გაღიზიანებული სქესობრივი წარმოსახვა (რაც უკვე არის სექსუალურობისა და ეროსის დაძლევის სიმბოლი). თუმცა უბრალოდ სქესობრივი ცხოვრების არქონას, მაშინ როცა არსებობს სქესობრივი წარმოსახვები, ან წარუმატებელ ოჯახურ ცხოვრებას, როცა შეუძლებელია ქალწულების შენარჩუნება, ფატალური გარდაუვალობით მივყავართ ბნელი პოლუსის გაძლიერებისკენ ჩვენს სულში და ასეთ შემთხვევაში სქესი ხდება ბოროტების უძლეველი მეგზური... ეს იმის ნიშანია, რომ სქესის სტიქია თავისი სირთულით და ცეცხლოვანებით არის ადამიანში „საშიში“ სფერო, თუმცა სქესის ცოდვასთან გაიგივებისა და სქესის სფეროში ცოდვის წყაროს ძიების არავითარი საფუძველი არ არსებობს.

9. თუკი უკუვაგდებოთ ადამიანში ცოდვის შესახებ იმ სწავლებს, რომელიც უკავშირდება მის სხეულს თუ სქესობრივ ცხოვრებას, ვუბრუნდებით ცოდვის ისეთ გაგებას, რომელიც ახლოსაა სულიერ წესრიგთან. როგორც სულიერ მოვლენას, ცოდვას შეუძლია აამდვრიოს და შებოჭოს ჩვენი სული, – ცოდვის დროსაც კი ვრჩებით სულიერები, მხოლოდ ეს ის სულიერებაა, რომელსაც ჩვენ „ბნელი“ ვუწოდეთ. ადსანიშნავია ისიც, რომ ცოდვას აქვს თავისი წყარო არა მხოლოდ მგრძნობელობით გატაცებებში, რომელიც იპყრობენ ჩვენს სულს: შესაძლებელია ვიყოთ ძალიან „სუფთები“, ვნებებისგან თავისუფლები, მაგრამ ცოდვაში უკადურეს ზღვრამდე ვალწევთ. კველა ცოდვა თავისი არსით უკავშირდება დვოთისგან განდგომას („შენ მხოლოსა შეგცოდე“, ღმერთში ცხოვრების უარყოფას, იმ ძალის უდიერად უკუგდებას, რომელიც ჩვენში დვთის ხატებიდან მომდინარეობს. თუმცა ეს ნიშანები, რომ თუ ცოდვის გარსიდან ჩვენ მივაღწევთ იმ სიღრმეს, სადაც ასვენია დვთის ხატება, თუ შევეხბით სულიერი სფეროს ამ ხატიდს, მაშინ შესაძლებელია ისევ დავიბრუნოთ სიკეთე, ღმერთი; ჯვარცმული ავაზაკის მსგავსად „სულ ერთ საათში“ შეიძლება ცხონება. არასდროს არავის

შეუძლია და გერც უნდა გაბედოს, რომ სხვა ადამიანი სამუდა-  
მოდ წარსაწყმედელად მიიჩნიოს, არასდროს არავინ არ უნდა  
დაივიწყოს, რომ ადამიანში, თუმცა უმოქმედოდ, მაგრამ მაინც  
მოელი თავისი სისავსით ცხოვრობს დვთის ხატება. ადამიანი  
„ცოცხალია“ სწორედ ამ დვთის ხატების წყალობით, ვინაიდან  
ის მუდამ რჩება პიროვნებად, მაშინაც, როცა ვარდება უდიდეს  
ცოდვაში და სწირავს თავის სულს. ჩვენ ვერ ვხედავთ ადამი-  
ანებზე დვთის ხატების ბრწყინვალებას არა მხოლოდ იმიტომ,  
რომ ადამიანი ცოდვილია, არამედ იმიტომ, რომ იმდენად სუსტია  
ჩვენი სიყვარული სხვა ადამიანების მიმართ, რომ არ შეგვიძლია  
მისი დანახვა. და როცა ჩვენ, ბავშვებზე პედაგოგიური მზრუნ-  
ველობით დაკავებულები ვსვამთ კითხვას, როგორ უნდა „გავა-  
მართოლო“ ჩვენი რწმენა ბავშვის სულიერი სამყაროს მიმართ,  
მაშინ, როცა არსებობს ბოროტება, როცა სული სავსეა ცოდვუ-  
ბით, მაშინ, აქ განვითარებული იდეების საფუძველზე შეგვიძ-  
ლია ვთქვათ, რომ ბავშვის სულიერი სამყაროს მიმართ რწმენით  
ჩვენ ვეზიარებით სულისთვის ყვალაზე არსებითსა და მნიშ-  
ვნელოვანს. რწმენა ბავშვის სულიერი სამყაროსი არ არის  
პედაგოგიკის რაღაც „წანამძღვრები“, არამედ არის ის შთაგონე-  
ბა, რომლითაც მართლდება ბავშვებზე ხელმძღვანელობის უფლე-  
ბა და მათთვის გზის გადაღვა. ეს რწმენა არ ნიშნავს იმას, რომ  
არ უნდა დავინახოთ ბოროტება, რომ არ უნდა ვებრძოლოთ  
სულიერი წყვდიადის საწყისებს: ყველაფერი ეს საჭიროა, თუმ-  
ცა ყველაფერი ეს უნდა განვიხილოთ იმ მთავარი იდეის ჭრილ-  
ში, რომ ცოდვის წყარო – არის სულის შინაგან არეულობაში,  
რომ ცოდვასთან ჭიდილში უნდა ჩავრთოთ ის დადებითი მუხტი,  
რომელიც გაზრდის სინათლეს ჩვენში, ანუ ნაზიარები იქნება  
დვთაებრივ სულიერებას.

## მ ა რ თ ხ ე თ ა ვ ი

### ნატურალური და მაღლამოსილი პრეგითობა

1. პიროვნების პრობლემაში, რომელიც განისაზღვრება როგორც დვთის ხატების არსებობა ჩვენში, ცოდვის გამოცანის გარდა, რომელიც ჩრდილავს ჩვენში დვთის ხატების ძალას, არსებობს ასევე სხვა გამოცანაც, რომელიც გამოცნობას საჭიროებს. პიროვნება არის აბსოლუტის სხივი, რომელსაც შემოაქვს ადამიანის ბუნებაში თავისუფლების საწყისი, პოტენციური უსასრულობა და საკუთარი თავის ხედვის ნიჭი, რომელიც საკუთარ თავში კეტავს მას. ამავე დროს, ჩვენი პიროვნება ყველა თავისი გამოვლინებით, ყველა თავისი ფუნქციით ვერსად გაექცევა სოციალურ გარემოს, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია პიროვნების განვითარება და მისი ცხოვრება. როგორ დაგაპავშიროთ პიროვნების იდეა სოციალურ გარემოსთან? როგორ შეიძლება, რომ პიროვნების თვითშეგნება (რომელიც საკუთარ თავსავე უმტკიცებს თავის ყოფიერებას) განიმარტოს ცალკეული ადამიანის ამგვარი დამოკიდებულებით სოციალურ გარემოზე? ადწევს თუ არა სოციუმის ძალა ადამიანის სულიერი სამყაროს გულში და როგორ აიხსნება ეს?

თანამედროვე ფსიქოლოგიასა და სოციალურ ფსიქოლოგიაში სოციალურ ატომიზმთან დაკავშირებით მოხდა საბოლოო განხეთქილება, ეს განაპირობა იმის აღიარებამ, რომ მთელი სოციალური ცხოვრების ამოსავალ წერტილად ჩაითვალა ცალკე ადებული ადამიანი, რომელიც ამის შემდეგ ამყარებს სხვადასხვაგარ კავშირს სხვა ადამიანებთან. არც ისტორიულად, არც ფსიქოლოგიურად არ იქნება სწორი ცალკე ადებული ადამია-

ნის წინასწარი იზოლაციის ვარაუდის მიღება – პირიქით, ოვოთონ „გამოცალკეუბა“ ადამიანისა – შემეცნებითაც და სოციალური პირობებითაც – არის სოციალური განვითარების პროდუქტი: საზოგადოება და სოციუმი არის ცალკეული ადამიანის დასაბამი და საწყისი. ს.ლ. ფრანგის სრულიად მართებული გამონათქვამის თანახმად<sup>1</sup>, არც „მე“ და არც „ჩვენ“ არ ქმნის ინდივიდუალური და სოციალური განვითარების ამოსავალ საწყისს. ოდესდაც ბოლდვინმა შექმნა შესანიშნავი ჰიპოთეზა<sup>2</sup> იმის შესახებ, რომ ბავშვის თვითშეგნება იწყება ე.წ. „პროექტული“ ფაზით, რომელსაც ქმნის სოციალური გარემო. ის, რომ თვითშეგნების პრობლემა გაცილებით რთული და ღრმაა, რომ მას მხოლოდ ნაწილობრივ ეხება ეს ჰიპოთეზა, ამის შესახებ აქ არ გვექნება საუბარი. მაგრამ უდავოა ის, რომ ჩვენს თვითდახასიათებაში<sup>3</sup> სოციალურ მომენტს აქვს იმდენად დიდი და არსებითი მნიშვნელობა, რომ მის გარეშე შეუძლებელია ჩვენი შინაგანი სამყაროს გაგება.

მთელი სოციალური ფსიქოლოგიის საფუძველში უნდა იდოს ასეთი პრინციპი: „ადამიანი ადამიანის მიმართ არ არის გულგრილი“. ეს ელემენტარული სოციალური თანადგომა, ეს უმარტივესი და მთავარი სოციალური რეზონანსი ქმნის სოციალური ურთიერთობების (სუბიექტურ) შესაძლებლობას, აღებს ინდივიდუალური ფსიქიკის დახურული სისტემის „კარსა და სარკმლებს“ სხვის სოციალურ სამყაროში შესაძლებად, საკუთარი სამყაროს აღმოსახენად. არც მიბაძვის თეორიას (ტარდა), არც ჩანერგვის თეორიას (სიდისა და სხვები) არ შეუძლიათ განმარტონ ამ ფაქტისთვის ნიშანდობლივი სოციალური რეზონანსი, რომელიც არის უბრალო ფაქტი, არაწარმოებული, არამედ დასაბამიერი ფუნქცია ჩვენი არსებისა, რომელიც მოწმობს არა მარტო მთელი კაცობრიობის არსობრივ ნათესაობაზე, არამედ მასთან გარკვეულ შეზრდაზე, რომელიც ჩვენთვის არის უბრალო შედეგი „მისტიკური ერთარსობისა“ და ადამიანის ბუნების

<sup>1</sup> ფრანგი „საზოგადოების სულიერი საფუძვლები“. გვ. 83-97.

<sup>2</sup> იხ. მისი განხილვა ჩემს „ბავშვობის ფსიქოლოგიაში“. გვ. 38-58.

<sup>3</sup> იხ. „ბავშვობის ფსიქოლოგია“ (*ibid*).

სოფიურობისა. სოციალური კავშირი კი არ არის გამოცანა, არამედ ინდივიდუალობის საწყისი; ის გაცალკევებულობა, რომელიც სასრულს პოულობს ქმპირიულ თვითშეგნებაში, ის წარმოადგენს გამოცანას, რომლის ამოხსნაც შესაძლებელია მხოლოდ იმავე მიმართულებით, როგორც ჩვენ მოვიაზრებთ ღმერთში სამწინდა არსებას. ღმერთში სამი ჰიპოსტაზის არსობრივ ერთობას აქვს თავისი სახე კაცობრიობის ნატურალურ მრავალ-ჰიპოსტაზურ ერთარსობაში, რომელიც ქმპირიული ცნობიერებით არ აღიარებს თავის ერთარსობას.

სოციალური რეზონანსის საწყისი ფაქტიდან ვითარდება სოციალური ურთიერთქმედებები, შესაძლებელი ხდება მიბამვა, ჩანერგვა, და ყველა ის სოციალური პროცესი, რომელსაც მივყავართ სოციალური დაახლოებისა და შერწყმის სხვადასხვა ტიპთან. სოციალური გაერთიანების ყველაზე უბრალო, თუმცა უმნიშვნელოვანეს ფორმას წარმოადგენს ოჯახი, რომელიც მეტ-ნაკლებად მოიცავს თავის თავში მთელ კაცობრიობასთან ჩვენი სოფიური ერთობის საიდუმლოს; ხოლო შემდეგ ოჯახების გაერთიანებები, თემები, ან ისტორიული განვითარებისას ჩამოვალი-ბებული ეროვნული თუ სახელმწიფო მთლიანობები. ჩვეულებრივ არ გვაქს ხოლმე კაცობრიობის მთლიანობის შეგძნება, როგორც ერთობისა, უკეთეს შემთხვევაში შეიძლება შევიგრძნოთ ჩვენი ერთობა, მაგალითად, ევროპელ ხალხთან, რომელთა ისტორიული განვითარებაც ახლო და ნაცნობია ჩვენთვის, ძნელად წარმოვიდგენთ მთელი კაცობრიობის ცოცხალ ურთიერთკავშირს. თუმცა, ბოლო დროს, მიზეზთა გამო, სულ უფრო სშირად გვხვდებიან ადამიანები ამგვარი „მსოფლიო“ თვითშეგნებით. თუმცა ის რეალური მთლიანობა, რომელსაც ჩვენ ვუკავშირდებით მისტიკურად, გაცილებით ფართოა, ვიდრე მთელი კაცობრიობა, ვინაიდან მან არ იცის სივრცისა და დროის საზღვარი. კაცობრიობის სოფიური ერთიანობა გულისხმობს ადამიანთა ყველა თაობას და კაცობრიობის ძმურ ურთიერთობას, რაც გენიალურად გამოხატა ნ.ფ. ფიოდოროვმა – ის თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ აწმეოს, არამედ წარსულსაც<sup>4</sup>.

<sup>4</sup> იხ. ფიოდოროვოს „საერთო საქმის ფსიქოლოგია“.

2. კულტურის ისტორიამ გვიჩვენა, რომ ისტორიის განთიადზე ინდივიდუალობა იმდენად აზროვნებს სოციალური კატეგორიებით, ისე ნაკლებად აფასებს თავის ერთადერთობასა და განსაკუთრებულობას და იმდენად ნაკლებად ავლენს თავისებურ ხასიათს, რომ სოციალური მთლიანობის გარეშე ის ვერ იცოცხელებს. ინდივიდუალური თვითშეგნების დასაბამიერი განუვითარებულობის, ადამიანის სულის სოციალურობაში მეტისმეტი ჩაფლულობის გამო არ უნდა გავაკეთოთ ისეთი დასკვნა, რაც გააკეთა დიურკეემმა და მისმა სკოლამ, რომელმაც ინდივიდუალურ ცნობიერების სოციუმში ჩაფლულობის გამო უარყო ეწ.  
 „საღვთო“ კატეგორიები; არც ის დასკვნები უნდა მივიღოთ, რომლებიც გააკეთა ეწ. სოციოლოგის „ორგანულმა“ სკოლამ (სპეციალისტი და სხვებმა, შეად. ასევე დე-რობერტის ნაშრომები, რომელმაც სოციალურიდან გამოიყვანა ინდივიდუალური ცნობიერება). ნამდვილად, ისტორიის განთიადზე იწყება „ბრძოლა ინდივიდუალიზმისთვის“<sup>5</sup> და რაც უფრო შორს მიდის ისტორია, მით ნათელი და განსაზღვრული ხდება თვითშეგნების ინდივიდუალური პოლუსი. ზიმელმა თავის ნაშრომში „სოციალური დიფერენციაცია“ შესანიშნავად გვიჩვენა, რომ სოციალური ცხოვრების ზრდასთან და სოციალური ცოდნის განვითარებასთან ერთად პიროვნება სულ უფრო თავისუფლდება კოლექტიურობისგან. ამგვარად, ბუნებრივი სოციალურობის განვითარება არის ადამიანის ინდივიდუალურობისა და პიროვნული საწყისის განვითარების წინაპირობა.

ჯეიმსმა<sup>6</sup> პირველმა აღნიშნა, რომ სხვადასხვა სოციალურ პირობებში პიროვნება მოქმედებს სხვადასხვანაირად, ამა თუ იმ გარემო პირობებში ის ამჟღავნებს მისი ხასიათის სხვადასხვა თვისებას. ამით იქმნება ბუნებრივი სხვადასხვაგვარობა ადამიანთა „სოციალური სახეებისა“, და რაც უფრო ბევრ სოციალურ ჯგუფში ვართ ჩართულები, მით მეტია „სოციალური სახე“ ჩვენში, გარეგნულად მით უფრო სუსტდება ადამიანის მთლიანობა და მით დრმად იჭრება ის ქვეცნობიერის სიდრმეებში. „ინდი-

<sup>5</sup> ამ თვალსაზრისით საინტერესოა ნ.კ. მიხაილოვსკის შრომები.

<sup>6</sup> “Psychology”.

კიდუალობისთვის ბრძოლა“, როგორც ბრძოლა პიროვნების ერთობისა და მთლიანობისთვის რთულდება, თუმცა ასევე იკვებება ჩვენში სოციალური სახეების მრავალფეროვნებით. თვით განსხვავება ერთი სოციალური სახისა მეორისგან (ადამიანი სამსასურში, ოჯახში, ნაცნობ-მეგობრებში, ნადირობისას და ა.შ.) მდგომარეობს სხვადასხვა ემოციურ განწყობაში, რომლითაც ხდება მთელი ამ „ქცევების“ რეაქციის შეფერადება. თუმცა ეს სხვადასხვაგვარი ემოციური განწყობები, რომლებიც ფსიქიკური მოქმედებების ციკლს ერთგვარი „ტიხრით“ გამოყოფენ, „არ არის გამჭვირვალე“ მხოლოდ ფსიქიკურ პერიფერიებზე და ისინი იწმინდებიან სულის სიღრმეში გადანაცვლებასთან ერთად: აქ არ ირდვევა პიროვნების სულიერი საწყისის მთლიანობა. თუმცა შესაძლებელია შემთხვევები, როდესაც ამ ემოციური ტიხრების „გაუმჭვირვალობა“ ხდება ძალიან მნიშვნელოვანი. ეს მაშინ ხდება, როცა ისინი არდვევენ სულის მთელ ემპირიას ცნობიერების სფეროების შეუკავშირებელ მწკრივებად – ეს არის ცნობიერების რდვევა, მისი დანაწერება რამდენიმე „მე“-დ. შესანიშნავად აღნიშნა ესტერეიხმა თავის ნაშრომში<sup>7</sup>, რამდენიმე „მეს“ წარმოქმნა არის ადამიანის სულიერი მთლიანობის ფუნქცია: ichloze Zustande, ანუ შეუძლებელია, რომ განცდების ციკლი არ უკავშირდებოდეს „მეს“. ცალკეული „სფეროები“, რომლებზეც ნაწილდება პიროვნების ცხოვრება მისსავე ცნობიერებაში, არ კარგავენ თავიანთ კავშირებს პიროვნების ობიექტურ სულიერ საწყისთან, რაც არის იმის მიზეზი, რომ მეორეხარისხოვანი ხდება ამ ცალკეულ ციკლში „მეს“ მომენტი.

პიროვნული ცნობიერების ამ პათოლოგიაში, რომლის წესროც არის ადამიანში არსებული „სოციალური სახეების“ მეტის-მეტად ბევრი განცალკევებანი, იმალება პიროვნების დიალექტიკის და მისი სულიერი ცხოვრების დიალექტიკის ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი. ემპირიის მთელი ფსიქიკა, რომელიც ემორჩილება მთელ კაცობრიობას ჩვენი მისტიკური ერთარსებობის ძალას, იძლევა პიროვნებაში მისი სოციალურობის, მასში სოციალური ძალების ისეთ ურდვევ ერთიანობას მისი ინდივიდუ-

<sup>7</sup> Oesterreich “Phanemenologie des Ich”.

ალურობის გაცნობიერებით, რომ თვითონ პიროვნების დიალექტიკური და შინაგანი განვითარება გვაკავშირებს სოციალურ მთლიანობასთან. ის, რაც დევს პიროვნების სიღრმეში, როგორც მის ინდივიდუალურ თავისებურებათა საფუძველი, იხსნება მხოლოდ სოციალურ ცხოვრებასთან პიროვნების შინაგანი შენივთებით, და არასოდეს მის გარეშე. ეს კი იმის ნიშანია, რომ ჩვენი შინაგანი ცხოვრება არა მარტო ისრუტავს თავის თავში სოციალური გარემოს ყველა გავლენას, არამედ ის მთლიანად პოლარულია: სულიერი ცხოვრება იმდენადვეა გამოხატული პროცესებში, რომლებიც ახდენენ პიროვნების ინდივიდუალიზებას, რამდენადაც სულიერ სფეროში, ჩვენს „გულებში“ ჩვენი ერთმანეთთან ურთიერთობების ფესვები ადვილად ვლინდება იმის ანალიზით, თუ რამდენად დრმად არიან ისინი შექრილი ჩვენს სულიერ ცხოვრებაში; სულიერ სფეროში, ჩვენს „გულებში“ უნდა ვეძებოთ ჩვენი სოციალური გრძნობების, ჩანაფიქრების, მოქმედებების ფესვები. საერთოდ, პიროვნების სოციალურ-ფსიქიკური ცხოვრება ისევე მთლიანად სულიერია, როგორი სულიერიცაა თვითონ პიროვნების ცხოვრება. სხვაგარად რომ ვთქვათ, საკუთარი თავისა და სხვა ადამიანების სოციალური გარემოს მიმართ დამოკიდებულება ადამიანის უმთავრესი პოლარულობაა, თუმცა კი შესაძლოა გამოქდაგნდეს იგი ემპირიული კუთხით, თუმცა ფესვები მაინც ადამიანის სულიერ ნაწილში აქვს გადგმული. ადამიანს არა მხოლოდ ემპირიულად, არამედ შინაგანი სამყაროთიც კი არ შეუძლია თავისი თავის იზოლირება, განცალკევება; ნებისმიერი განცალკევებულობა არის სოციალურობის ნებატიური ფორმა და სხვა არაფერი. მთელი რეალობა არა მხოლოდ სხვა ადამიანებთან ემპირიული კავშირისა, არამედ მათთან მისტიური ერთიანობისა, სულიერი ცხოვრების სიღრმეებზე გაცილებით მკვეთრად და დრმად გამოიხატება, ვიდრე სულიერ პერიფერიებზე. ადამიანის გარეგნული და არა შინაგანი განვითარება დიალექტიკურად უკავშირდება სოციალურ ცხოვრებას, რომელსაც მიცემული აქვს არა მხოლოდ სულიერად შესათვისებელი უზარმაზარი მასალა, არა მხოლოდ აუცილებელი პირობა ჩვენი ცხოვრებისა, არამედ ადამიანის ერთ-

ერთი ყველაზე არსებითი მხარე. სულიერი მშვიდობის პრობლემა არის ინდივიდუალურისა და სოციალურობის სწორი შეფარდება ჩვენს სულ ში. იმას, რომ ჩვენში სოციალური სახეების სხვა-დასხვაობას შეუძლია ჩვენი სულიერი „წონასწორობის“ დარღვევა, აყენებს ადამიანში სოციალურობის საკითხის „მოგვარუ-ბის“ თქმას, როგორც „ჯანმრთელობის“ თქმას – და ეს უნდა ეხებოდეს სულიერ მხარესაც. სოციალური ფსიქიკა ჩვენში, როგორც ფსიქიკის არსებითი მხარე, იერარქიულადად დამორ-ჩილებული სულიერი ცხოვრების პრიმატს, როგორც ყველა სხვა მხარეები ჩვენში.

3. ბუნებრივი სოციალურობა ნიშნავს სოციალური „გაფ-ლენების“ პიროვნების შინაგან წვდომას. აქ „გარემოს“ თეო-რია იძენს გარკვეულ გამართლებას, რასაც სულაც არ დაჰყავს პიროვნება გარემოს გავლენების მარტივ სინთეზამდე, არამედ გულისხმობს სწორედ მათ შედწევადობას პიროვნებაში. არ არსებობს უფრო ღრმა სახე ბუნებრივი სოციალურობის დასა-ხასიათებლად, ვიდრე ის, რომელიც მოგვცა მაცხოვარმა ნათელ-საყოფად მისი მადლობისილი კავშირისა მორწმუნებთან: ჩვენ, როგორც ერთი ხის სხვადასხვა ტოტი, ვცხოვრობთ ხის ერ-თობლივი მთლიანი ცხოვრებით. ამ ორგანულ ერთობას შეიძ-ლება ჰქონდეს საფეხურები, შეიძლება იყოს სრული ან ნაწი-ლობრივი, ჯანსაღი ან სნეული, მაგრამ რადგან მას ფესვები გადგმული აქვს ჩვენს მისტიკურ ერთობაში კაცობრიობასთან, ამიტომ შეუძლებელია მისი აღმოფხვრა. სოციალური ცხოვ-რება იწყება ოჯახში, სადაც ვიზრდებით, და აქ მთელი ძალით პირველ პლანზე გამოდის ორგანული ფორმა ჩვენი სოციალუ-რი კავშირისა<sup>8</sup>. ნორმალურ ოჯახში, გარკვეული დოზით ხდე-

<sup>8</sup> სოციოლოგიაში პირველად სოციალური ურთიერთობების ორგა-ნულ და არაორგანულ ტიპებს შორის განსხვავება შემოიტანა ოგ. კონ-ტომ. ეს, რა თქმა უნდა, არ მომხდარა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ორგანული საწყისის იმ იდეების გავლენის გარეშე, რომელებიც ფრანგი მოაზროვნების ნაწილში განვითარდა, როგორც რეაქცია რევოლუციის წინააღმდეგ (ის განვითარდა ასევე გერმანიაშიც – ადამ მიულერთან და სხვებთან).

ბა პირადულისა და ოჯახურის ისეთი შეერთება, რომ აქ ნამდვილად მოქმედებს დევიზი – „უკელა ერთისათვის და ერთი ყველასათვის“.<sup>9</sup> სულიერი ბუნება ოჯახის სოციალურობისა<sup>10</sup> გამოიხატება იმაში, რომ სიმართლეც და ტქუილიც ოჯახურ ურთიერთობებში აუცილებლად აისახება ოჯახის წევრების სულიერ ცხოვრებაზე. ოჯახის გარეგნული და იურიდიული რეგულაციის ადგილს, ოჯახების პუმანიზაციისა და სპირიტუალიზაციის დოზით ქრისტიანი ხალხის ისტორიაში, იყავებს სუფთა სულიერი რეგულაცია<sup>10</sup> – აქ ნათელი ეფინება მოციქული პავლეს სიტყვებს ოჯახის „საიდუმლოს“ შესახებ (ეფეს. 5,32). თავისი მადლმოსილებით ოჯახის ამ „საიდუმლოს“, რომელიც წარმოჩნდება, როგორც ეკლესიის საიდუმლოც, როგორც ბუნებრივი „კრებითობის“ მოვლენას ადგილი აქვს ბუნებრივ ოჯახურ ცხოვრებაშიც. „კრებითობის“ გაგება აქ ნიშნავს სოციალური შეკავშირების ორგანულ ტიპს – მას უპირისპირდება „არაორგანული“ დაახლოება, სადაც არის სულიერი ერთობის ნაკლებობა. „ორგანული“ სოციალური გაერთიანებები ჯერ კიდევ არ გაზრდილან ნამდვილ კრებითობამდე, ანუ მაშინ, როდესაც ამგვარი გაერთიანებების თითოეული წევრი შესაძლებელია არის კიდეც სულიერი, ისინი ჯერ ვერ ამაღლდნენ კრებით სულიერებამდე. კრებითობა (ბუნებრივი) ნიშნავს რადაც ახალი რეალობის, ახალი კოლექტიური სულიერი საწყისის წარმოშობას. სოციოლოგიაში ჯერ კიდევ მიმდინარეობს დავა იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა „კოლექტიური ცნობიერება“, „კოლექტიური პიროვნება“; აქ სოციალური „რეალობა“ ისევე ადვილად ვარდება უკიდურესობაში, როგორც სოციალური „ნომინალიზმი“, თუმცა შეუძლებელია უარცვო ბუნებრივი კრებითობა, თუნდაც ოჯახში. მისტიკური ერთარსებობა აქ აღწევს ემპირიის გულში და ხდება ერთიანობის არსის შესაძლო ემპირიული გამოხატულების წინასახე, ერთარსი სამების მსგავსად. ოჯახის „საიდუმლო“ განისაზღვრება კრებითობის, როგორც სულიერი

<sup>9</sup> იხ. ჩემი გამოუქვეყნებელი წიგნი „ოჯახის მნიშვნელობა ბავშვის ცხოვრებაში“.

<sup>10</sup> იქვე.

ძალის, როგორც რეალობის „წარმოქმნით“, და ეს იმის ნიშანია, რომ ოჯახში ხდება იმის გამოვლენა, რომ სულიერ ცხოვრებაში ჩვენ არ განვსხვავდებით სხვებისგან. მაგრამ ის, რაც ჩვეულებრივ, გარეგნულ სოციალურ ურთიერთობებში მხოლოდ არასრულად, ნაწილობრივ წარმოაჩენს სულიერი ცხოვრების სოციალურ პოლუსს, (ნორმალურ) ოჯახურ ცხოვრებაში იძენს შეუზღუდავ, თავისუფალ განვითარებას.

4. ოჯახი არის ორგანული სოციალური კრებითობის პირველი, ბუნებრივი ფორმა. თუმცა ოჯახის გარეთაც არსებობენ სოციალური კრებითობის შემთხვევითი და ისტორიული ფორმები. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ ისტორიული და ინდივიდუალური განვითარება<sup>11</sup> – ფილოგენეზი და ონტოგენეზი – იწყება იმ სტადიიდან, რომელშიც (პიროვნებაში ინდივიდუალური საწყისის სუსტი განვითარების სახით) უკვე დომინირებს სოციალური კავშირები. ამ დროს ცნობიერება სრულად სოციალურია – თუმცა ისტორიის პროცესებში ხდება ამ „გულუბრყვილო“ (თუმცა მაინც სულიერი) კრებითობის მოშლა, ისევე როგორც ბავშვის გულუბრყვილო სულიერება ირდვევა მისი განვითარების პროცესში<sup>12</sup>. მოგვიანებით, როცა პიროვნების ინდივიდუალური ცნობიერება საკმარისად მომწიფებულია, ცალკეულ პიროვნებებთან „შერწყმას“ ახალ სოციალურ „ერთობად“, ახალი „კრებითობის“ ჩამოყალიბებას ის პოულობს მხოლოდ სიყვარულში. ამიტომაც არის ოჯახი კრებითობის ბუნებრივი ფორმა. ვლადიმერ სოლოვიოვმა თავის ნარკევეში „სიყვარულის არსის შესახებ“ გენიალურად გვიჩვენა, როგორ არბილებს და სხნის სიყვარული თავის თავში ჩაკეტილ ადამიანებს და კარს უდებს კრებითობას.

თუმცა ეს ჯერ კიდევ არის „ნატურალური“ კრებითობის სფერო. აქ უკვე ჩანს „საიდუმლო“, უკვე მოქმედებს კაცობრობასთან ჩვენი ურთიერთობის მისტიკური ერთიანობის ძალა. თუმცა ოჯახშიც და ნატურალური კრებითობის სხვა გამოხატუ-

<sup>11</sup> ამ საქითხში მე ვეთანხმები ბოლდვინის მსჯელობებს (იხ. ჩემი „ბავშვობის ფსიქოლოგია“).

<sup>12</sup> იხ. მომდევნო თავში.

ლებებშიც ძალიან ნათლად იკვეთება ჩვენთვის უკვე ნაცნობი ბუნებრივი სულიერების გაორებულობის ფაქტი. სიყვარული კრავს ადამიანებს ერთ ოჯახად, თუმცა ამ სიყვარულის ნიადაგზე, მისსავე ემოციურ ხედვასა და ტემობაზე მწიფდება ოჯახური ტრაგედიები და სირთულეები, კიდევ უფრო ხშირია და სხვადასხვა ფორმებით ვლინდება ის ბუნებრივი სოციალური კრებითობის დროს. ეს სირთულეები და ტრაგედიები ვლინდებიან ან როგორც პიროვნული კონფლიქტები, რომელგბიც შედიან სოციალურ ურთიერთობებში; ან როგორც პიროვნებისა და სოციუმის კონფლიქტები. ორივე შემთხვევაში, იქაც კი, სადაც მისი წარმოშობის მიზეზია სიყვარული, სოციალური ცხოვრება თვითონვე წარმოქმნის ამ კონფლიქტებს, რომლებიც დიალექტიკურად გამოხატავენ სოციალური სულიერების ბუნებრივ დისკომფორტს. ორგანულ სოციალურ კრებითობებში, ანუ იქ, სადაც არის საერთო (კოლექტიური) სულიერი ცხოვრება, არა როგორც ამ გაერთიანების ცალკეული წევრების სულიერი ცხოვრების უბრალო „ჯამი“, არამედ როგორც ახალი ძალა, – სწორედ აქ იქმნება იმის შესაძლებლობა, რომ განსაკუთრებული ძალით იჩინოს თავი ბოროტებამ. სამწუხაროდ, ბუნებრივი კრებითობა ისეთივე შესამიანია, როგორი მკვებავიცაა, – და შესამებს აქ გამოიმუშავებს საერთო ცხოვრების დიალექტიკა. ამიტომაც სოლოვიოვის მართებული შენიშვნის თანახმად, ისტორიული ცხოვრების მიხედვით სიყვარული იცვლება თავაზიანობით – და მთელი ტრაგიკული არსი ამ ეწ. პროგრესისა არის ის, რომ სიყვარულს დღეისათვის ისევე შეუძლია დანგრევა, როგორც ახლის შექმნა და შენება. ის შეიძლება იყოს ისეთივე დამანგრევები, როგორც შექმნელი. ბუნებრივი კრებითობა სულიერად მდგრადი არ არის, ის სულიერად ორსახაა; ჩვენთვის ნაცნობი ბუნებრივი სულიერების გაორება, მასში ნათელი და ბნელი საწყისის პოლარულობა ვლინდება სოციალურ ერთობაში ბუნებრივი კრებითობის ძალით, ის უცხოა არაორგანული სოციალური გაერთიანებებისთვის. ამიტომაც არის, რომ სულიერი წესრიგის სერიოზული კონფლიქტები ამოზრდილნი არიან სწორედ ოჯახის წიაღიდან, და რაც უფრო დრმად ხდება სოცია-

ლური პათოლოგიების (კრიმინოლოგია) შესწავლა, მით უფრო ნათელია, რომ სხვადასხვა გარყვნილებებს, სულიერ სხეულებს, დანაშაულებებს ფესვები გადგმული აქვს სწორედ ბავშვის სულიერი სამყაროს დათრგუნვაში, რომელსაც ჯერ კიდევ აღრეულ ასაკში ადგილი ჰქონდა ოჯახში.

რა თქმა უნდა, არ არის საჭირო „პიროვნებისა“ და „საზოგადოების“ კონფლიქტების უფრო მუქ ფერებში დახატვა – ეს არ ნიშნავს პრინციპულ შეუთავსებლობას, ამ თრი საწყისის დაპირისპირებას, თუმცა არც ლია ფერებში უნდა გამოვსახოთ ეს ყოველივე. თითოეული ჩვენგანის სულიერი ცხოვრების თქმა, ჩვენი ბედისა და ჯვრის თქმა ძალიან მჭიდრო კავშირშია სოციალურ ურთიერთობებთან, წარმატებებსა და წარუმატებლობასთან, სიძლიერებთან თუ უძლურებასთან, სოციალურ ტალანტთან თუ უნიჭობასთან, ჩვენს აღიარებასა თუ აუდიარებლობასთან, გაგებასთან, ადამიანის გარეგნულ ბიოგრაფიასთან, მისი ცხოვრების ლოგიკასთან. უნდა გვესმოდეს, რომ ამ ფაქტებში შეგვიძლია ვეძებოთ ის, რომ ნათელისა და ბნელის მთელი თავისი დასაბამიერი კავშირის, სულიერების გაორებულობა ჩვენში ვლინდება სწორედ ბუნებრივ სოციალურ ურთიერთობებში.

5. ბუნებრივი სოციალურობა, განსაკუთრებით როცა ის გამოხატულია ბუნებრივი კრებითობის ფორმით, რაც არის მიზეზი სულის წუხილისა და რომლის რეალიზაციასაც ცდილობს ის სოციალური ურთიერთობების ყველა ფორმით, თავის თავში მალავს მუდმივი კონფლიქტებისა და ტრაგედიების წყაროს. მხოლოდ ეკლესიაში, როგორც მადლობისილ კრებითობაში, სადაც ადამიანური სტიქია ერწყმის დვიურს, სადაც სულიწმინდის ნათლით იწმინდება და მადლით ივება კაცური ბუნება, ბუნებრივი კრებითობა განიცდის ფერისცვალებას. ყოველი ჩვენგანისთვის მხოლოდ ეკლესიის გზით, მხოლოდ ეკლესიის ძალითაა შესაძლებელი პიროვნების საწყისში ამ გაორებულობის გადალახვა. სულიერი ცხოვრების პრობლემა ამგვარად იძენს ახალ მნიშვნელობას – ის შეიძლება იყოს ფორმულირებული, როგორც ეკლესიასთან შეზრდის პრობლემა. პიროვნების ეკლესიასთან კავშირის საიდუმლო არის მისი სულიერი ზრდის საიდუმლო,

ვინაიდან „ინება უფალმა ყველას ერთად გადარჩენა“. აბბა დოროთეს შესანიშნავი განმარტების თანახმად (ლმერთი მოიაზრება წრის ცენტრად, რომლის პერიფერიებზე მყოფი ხალხის მოძრაობა მიმართულია რადიუსის გასწვრივ წრის ცენტრისკენ ისე, რომ რაც უფრო მეტად გუახლოვდებით ცენტრს, გუახლოვდებით ერთმანეთს), ამ თვალსაზრისით ჭეშმარიტი (ანუ ღმერთში) სულიერი ცხოვრება პარალელურად არის კრებითობის ზემიც, ანუ ეკლესიასთან კავშირიც. ნათლისდების საიდუმლო გვაქცევს ეკლესის წევრებად, ანუ ხელახლა ვიშვებით, ვითარცა ქრისტეს ყლორტები და ახლა უკვე სულიერი განვითარების მთელი ამოცანა გულისხმობს ყველა ბუნებრივი პირადი თუ სოციალური მოქმედებებისა და ურთიერთობების „გაეკლესიურებას“.

სულიერი ცხოვრების ჩვენთვის ცნობილ სიმაღლეებზე პიროვნების შეერთება ეკლესიასთან – რომელიც სხვაგვარად წარმოუდგენელია თუ არა ეკლესიურ ცხოვრებაში მონაწილეობით – ფარდას ხდის იმ ჭეშმარიტებას, რომელსაც ავითარებს დკონისმეტყველება: პიროვნების კავშირი ეკლესიასთან არის არა ფსიქოლოგიური, არამედ ონტოლოგიური. ეს კი იმას ნიშანავს, რომ ეკლესის საშუალებით, როცა ვხდებით ღმერთკაცის ცხოვრების თანაზიარნი, ჩვენ უკვე აღარ ვართ განცალკევებით, არამედ ვართ „ყლორტი“ ქრისტეს ვაზისა, რომელიც საერთო მარადიული ცხოვრების მომნიჭებელი ერთი ფესვიდან საზრდოობს. ეკლესია, როგორც მადლმოსილი კრებითობა, როგორც ღმერთკაცის სხეული, არის თავისუფლების შეცნობის ჭეშმარიტი სუბიექტი. ეს კი იმის ნიშანია, რომ ჭეშმარიტება ეძლევა ეკლესიას და არა ცალკეულ, გამორჩეულ პიროვნებას, შემეცნების ორგანო არის ეკლესია და არა პიროვნეული გონი. ვერასდროს ვაცნობიერებთ, თუ როგორ მოქმედებს ცალკეული ადამიანის გონებაზე ეკლესის გონის ძალა. და ამიტომაც იმ კითხვის პასუხად – თუ რომელი კრებითი გადაწყვეტილებაა „ჭეშმარიტი“, ანუ აღვსილი სულიწმინდის მადლით, მართლმადიდებლობა უპირატესობას ანიჭებს ეკლესიას და არა ცალკეულ პიროვნებას, რა იერარქიულ სიმაღლეზეც არ უნდა იდგეს. პაპის უცოდველობის დოგმატი, როცა ის ამბობს „ex kathedra“, მკვეთრად გან-

სხვავდება ეკლესიის გონების სწავლებისგან იმის შესახებ, რომ ეკლესია არის მთელი ეკლესიური საზოგადოების კრება, როგორც ცოცხალი, სულიწმინდით განწმენდილი მთლიანი კრებითობა. ეს ეკლესიის კრებითი ცნობიერების თეორია, რომელიც ერთადერთია, რომელიც წყვეტს გნოსეოლოგიის პრობლემას ცოდნის ობიექტურობისა და ყველასათვის აუცილებელობის შესახებ<sup>13</sup>, მიგვითითებს რომ შეცდომებისა და ცდუნებებისგან განთავისუფლება, ანუ სულიერი სიბრძმავისგან თავის დაღწევა შესაძლებელია მხოლოდ დვთის მადლმოსილი დახმარებით. არა კოლექტივისა, არამედ ეკლესიის, დმერთვაცის სხეული არის ჭეშმარიტების ჭურჭელი, ვინაიდან მხოლოდ ეკლესიის ერთგულებითაა შესაძლებელი ჩვენი დასაბამიერი სულიერი გაორების გადალახვა.

თუმცა ეკლესია არის ჭეშმარიტი თავისუფლების სუბიექტიც. თავისუფლებაში არის პირადული მომენტი, მას შეგვიძლია ვუწოდოთ თავისუფლების ფორმალური მომენტიც<sup>14</sup>, თუმცა ნამდვილი შემოქმედებითი თავისუფლება გვენიჭება მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ ვცხოვოთ ჭეშმარიტი ცხოვრებით, ანუ დვთის მიერ. თავისუფლების საიდუმლო მდგომარეობს ეკლესიის საშუალებით ჭეშმარიტებასთან შეერთებაში, ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია ჭეშმარიტების მოპოვება ინდივიდუალურად და განკერძოებულად; ინდივიდუალური არის თავისუფლების ნეგატიური მომენტი, ანუ თვითდამკვიდრებაზე, „ხორცის“ მეუფებაზე, საბუთარ თავში სულიერების ბნელი საწყისის გამოკვებაზე უარის თქმა. არ მინდა იმის თქმა, რომ ყველაფერი ინდივიდუალური ჩვენში სულიერების ბნელი საწყისით საზრდოობს და ნათელი სულიერების შეთვისება კი ანგრევს ყველაფერ ინდივიდუალურს პიროვნებაში. თუმცა ნამდვილად ინდივიდუალური ჩვენში ისევა შერწყმული სოციუმს, ზეინდივიდუალურს, რომ მხოლოდ ინდივიდუალურის განვითარება ჩვენში გამოიწვევს ადამიანის მთლიანობის რღვევას და ბოროტი ძალების გაძლიერებას. ამიტომაც ცხონება შეუძლებელია ეკლესიის სხვა ადა-

<sup>13</sup> იხ. ჩემი ეტიუდი ადამიანში დვთის ხატების შესახებ.

<sup>14</sup> იხ. ჩემი ნარკევი „თავისუფლების ნიჭი“.

მიანებთან კავშირის გარეშე; და ვისაც უნდა მხოლოდ თავისი სულის, მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენა, ის მაცხოვრის სიტყვების თანახმად – „წარიწყმედს მას. ასეთი „ტრანსცენდენტული ეგოიზმი“ - გამორჩეულად, სხვებისგან დამოუკიდებლად ცხონების განხორციელების იდეა არის დიდი სიყალბე ჩვენი ცხონების საქმეში. არავის შეუძლია გადარჩენა თავისი გამორჩეულობით; ჩვენ შეგვიძლია გამოსწორება, შეგვიძლია საკუთარ თავზე მუშაობა, ოღონდ არ შეგვიძლია მიზნად დავისახოთ მხოლოდ გადარჩენა. სხვებისგან და ეკლესისგან ასეთი განდგომა ონტოლოგიურად შეუძლებელი და მისტიკურადაც არასწორია. ანთროპოსოფიის ერთ-ერთი სიყალბე ისიც არის, რომ ის ტრანსცენდენტული ეგოიზმის პრინციპული აღიარებაა, რომელიც მხოლოდ საკუთარი თავითაა დაკავებული.

ცხონების საიდუმლოს ასეთი არასწორი გაგების მიზეზია ცხონებისა და შემოქმედობითობის გების მოჩვენებითი დამთხვევა. შემოქმედებაშიც ხომ ბევრი ადამიანი ხდება იმის მქადაგებელი, რასაც ხედავს ხალხის სულში; შემოქმედების ჭეშმარიტი სუბიექტი არის ხალხი, როგორც ბუნებრივი კრებითი ორგანიზმი. ამ ჭეშმარიტების მიღება ერთბაშად ძნელია, ვინაიდან ხელოვნებაში ჩვენ განსაკუთრებით შევიგრძნობთ საკუთარ თავს, როგორც პიროვნებას, ვაღიარებთ ჩვენს თავისუფლებას, ჩვენს განსხვავებულ ხედვასა და გზას. რა თქმა უნდა, ეს ჰველაფერი სწორია იმ მნიშვნელობით, რომ შემოქმედება არის პიროვნების აღორძინება, თუმცა ეს აღორძინება კიდევ უფრო გვაკავშირებს ხალხთან, კაცობრიობასთან, ვიდრე ორდინაციური ცხოვრება. შემოქმედებითი შთაგონების ზეინდივიდუალური ბუნება ძველთაგანვე ნათელია – პირველყოფილი ადამიანების ცნობიერებაშიც კი ის მოიაზრებოდა, როგორც ღვთაებრივი მოქმედება; პლატონმაც გაიზიარა ეს საერთო აზრი, როცა დაახასიათა შთაგონება, როგორც რაღაც „მანია“, ღვთიური შეკურობილობა (რაც პრინციპში ნიშნავს „ენთუზიაზმს“). მაგრამ შემოქმედებითი შთაგონების წყარო არის არა დმეურთი, არამედ ღვთაებრივი ძალა, რომელიც ცხოვრობს ადამიანში, ანუ ქმნილი სოფია. შთაგონების, როგორც ღმერთის უშეალო მოქმედების გაგება,

შეიძლება გაგამართლოთ მხოლოდ იქ, სადაც ეპლესია მასში დავანებული სულიწმინდის მადლით ამოიცნობს „ღვთით ზეგარდმო შთაგონებას“, ზეგარდმო გამოცხადებებს წინასწარმეტყველებისა და „წმინდა წერილის“ დამწერთა სახით. ჩვეულებრივი შთაგონება – პოეტური, მეცნიერული თუ სხვა გამონათებები, რომელსაც ჩვენ შევიგრძნობთ, როგორც „ზეგარდმო ბოძებულ მადლს“, არ მაღლდება ღმერთამდე, მაგრამ ინდივიდუალური სულისაა. თუმცა თუკი არც დვთისგანაა და არც ჩვენია – მაშ, საიდან მომდინარეობს ეს შთაგონება? ერთადერთი სიღრმისეული გაგება შემოქმედებითი შთაგონებისა უკავშირებს მას ქმნილი ყოფიერების იდეალურ ძალას, სამყაროში დვთის იმ ბრწყინვალებას, რომელსაც ჩვენ ქმნილ სოფიას ვუწოდებთ. ეს მისი მოქმედების შედეგია, როცა გვეხსნება შემოქმედებითი შთაგონება – და ამის გამო მას განვიცდით, როგორც პიროვნების გამოვლინებას და იმავდროულად, როგორც „ზეგარდმო“ გაბრწყინებას. და თუ შემოქმედება არის პიროვნებაზე ქმნილი სოფიის მოქმედება, მაშინ ის შეიძლება დავუპირისპიროთ ცხონების გზას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენს თავს დავუკავშირებთ ქმნილი სოფიის ბნელ, და არა ნათელ მხარეს. არსებობს ძალიან ბნელი შემოქმედება, არსებობს ცოდვისგან ნაკარნახევი გამონათებებიც, არსებობს სიღრმეები, რომლებიც ჩვენ წინაშე იხსნება ცოდვათა გამო ღმერთთან დაშორებით – და აქედან არის, დემონური შეპყრობილობის ის საწყისი, „ბოროტების ის ყვავილები“, რომლებიც საკმაოდ ბევრია ჩვენს ეპოქაში. როგორც არის შესაძლებელი „სოდომის სილამაზე“, რომელიც ანათებს ბნელი სოფიის სხივებით, ასევე შესაძლებელი დემონური შთაგონებაც. ასეთი შემოქმედება, რა თქმა უნდა, აცდენილია ცხონების გზას და ირჩევს დაღუპვისა და სიკვდილის გზას. მაგრამ იქ, სადაც შემოქმედება თავისუფალია ცოდვისგან, სადაც ის უბრალოდ „ნატურალურია“, ის არის ცხონებისკენ მიმავალი გზის ძლიერი მეგზური, ვინაიდან აგვაცილებს განცალკევების ცოდვას და გვაკავშირებს კრებითობის სინამდვილესთან. შემოქმედებითობა ისევე უნდა იყოს ცხონების თემა, როგორც მთელი ნატურალური ცხოვრება, ამიტომ არასწორია

ვიფიქროთ, რომ „სილამაზე გადაარჩენს სამყაროს“<sup>15</sup>, რომ ხელოვნება თუ მეცნიერული შემოქმედება, ან სოციალური აქტივობა არის გადარჩენის საწინდარი<sup>16</sup>. პიროვნების ცხონება არის სინათლისა და სიმართლის ზეიმი ქმნილ სოფიაში, არის სოფიის ამ ბნელი საწყისის გადალახვაში მონაწილეობა; იმიტომაც არის შემოქმედება გაცილებით დიდი, ვიდრე ჩვეულებრივი ცხოვრება, რომ ის უკავშირდება ცხონების თემას, და არ ეძლევა მხოლოდ შთაგონებას. ამას, როგორც შემდეგში დავინახავთ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს პედაგოგიკაში<sup>17</sup>.

6. ამგვარად, სულიერი ცხოვრების საიდუმლო არის პიროვნების ეკლესიასთან კავშირის საიდუმლო, პიროვნების იმ მადლმოსილი ძალით აღზრდა, რომელიც დაივანებს ეკლესიაში, ეს არის ეკლესიის მეშვეობით პიროვნების განწმენდისა და ფერისცვალების საიდუმლო. ამ კარდინალურ პუნქტში ჩვენ, მართლმადიდებლები, ძლიერ განვსხვავდებით სხვა ქრისტიანული აღმსარებლობებისგან. ჩვენ არ შეგვიძლია ეკლესიის, როგორც დმერთკაცის სხეულის მისტიკური არსის გამოყოფა მისი ისტორიული თუ სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტისგან (როგორც ეს არის პროტესტანტიზმში). ჩვენ არ შეგვიძლია ატომიზირება, ქრისტესთან თანაზიარების საიდუმლოს ვერ მოვაქცევთ მხოლოდ კონკრეტული ადამიანის ჩარჩოებში, ამ ურთიერთობაში ქრისტესთან იზრდება თქვენი ეკლესიურობა, ეკლესიურობის ზრდა ნიშნავს ქრისტესთან ურთიერთობის გამოცდილების მატებას. ამიტომაც ჩვენთვის ქრისტე და ეკლესია ერთმანეთისგან გაყოფილი არ არის, არამედ ეს არის ქრისტეს მისტიკური სხეული, რომელიც გვევლინება მისი ისტორიული სხეულით. აქვდან არსებობს არა ფსიქოლოგიური, არამედ ეკლესიასთან თანაზია-

<sup>15</sup> იხ. ჩემი ნარკევე „სილამაზის საკითხი დოსტოევსკის მსოფლმხედველობაში“ (გზა №37).

<sup>16</sup> აქ ჩემი და ნ.ა. ბერდიავის აზრები, რომელიც შემოქმედებაში ხედავს მხოლოდ დადებით მხარეს და არ გრძნობს შემოქმედებითი შთაგონების საფულევლში არსებულ გაორებას, სულ სხვადასხვა მხარეს იხრებიან.

<sup>17</sup> რაც მწერლებს შორის შემოქმედების განწმენდის პრობლემას ყველაზე მძაფრად გოგოლი გრძნობდა. იხ. ჩემი ნარკევე „ესთეტიკური უტოპიის რდვევა გოგოლთან“.

რების ონტოლოგიური აუცილებლობა, როგორც კრებით და მადლმოსილ სფეროსთან, რომელშიაც სხვებთან ერთად ვხდებით ქრისტესთან თანაზიარნი. რელიგიურად სწორედ აქ ხდება პიროვნების იმ არასწორი განვითარების დაძლევა, რომელმაც XV საუკუნიდან, უკროპულ კულტურაში იჩინა თავი, როგორც „ინდიდუალიზმა“. პიროვნული განვითარებით არ უნდა განვსხვავდებოდეთ სხვებისგან და არ უნდა ვშორდებოდეთ მათ, არამედ უნდა ვუახლოვდებოდეთ სხვებს – თუმცა ეს შესაძლებელი ხდება მხოლოდ ეკლესიაში, როგორც ღმერთკაცის მისტიკურ სხეულში.

თუმცა, იმის აღიარება, რომ სულიერად ჯანსაღი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ეკლესიაში, რომელიც გვახლოებს ეკლესიის კათოლიკურ გაგებასთან და მის ონტოლოგიასთან, იმავდროულად გვაშორებს თავისუფლების იმგვარი გაგმბისგან, რომელიც დამკვიდრებულია კათოლიკურ ეკლესიაში. პიროვნების შეერთება ეკლესიასთან ჩვენთვის უნდა იწყებოდეს არა ეკლესიის ავტორიტეტის დაქვემდებარებით, არამედ მის მიმართ სიყვარულით: ეკლესიის გონისაღმი დაქვემდებარება ნიშნავს ჩვენს კავშირს ეკლესიასთან, და ის არ წარმოადგენს ამის პირობას. ავტორიტეტის გამო ინდივიდუალური თავისუფლების დათმობით არ ხდება სულიერების ბნელი საწყისის დაძლევა, რაც არის ცოდვის გამარჯვება ჩვენზე, არამედ მხოლოდ თავისუფლების საშუალებით ხდება შესაძლებელი მისი გადაღახვა. ვინაიდან მისი არსი არის არა ცოდვის მხოლოდ გარეგნულ დათრგუნვაში, რაც იმის ნიშანი იქნებოდა, რომ ცოდვის სულიერი საფუძველი, რომლის „დათრგუნვა“ საერთოდ შეუძლებელია, აგრძელებს ცხოვრებას გარეგნული შევიწროებების იმ სიმძიმის ქვეშ, რომლითაც ვცდილობთ ცხონებას; გულის სიდრმეში და არა პერიფერიულში იწყებს მოქმედებას მაცხოვნებელი სინანული, სულის დვოისკენ ლოცვით მიმართვა. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს მორალისა და ასკეზის, როგორც სულიერი ზრდის გზების, უარყოფას; თუმცა ასკეზა და კეთილი „ქცევები“ ინსტრუმენტულია, და არა არსებითი. ასკეზითა და კეთილი საქმეებით ველოდებით ჩვენი გულის დვთისკენ შემობრუნებას,

თუმცა სანამ ეს შემობრუნება არ მოხდება მთელი ძალითა და სიღრმით ასკეზაც და კეთილი საქმეებიც ინარჩუნებენ პირობით და ინსტრუმენტულ მნიშვნელობას.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენთვის, მართლმადიდებლების-თვის, სულის ეკლესიასთან შეერთების საიდუმლო დაფარულია mysterium libertatis-ში. არა გარეგნულიდან შინაგანისკენ მივემართებით ჩვენ – ყველაფერი გარეგნული არის ბიძგი იმ სულიერების გაღვიძებისა, რაც არ არის გვირგვინი და დასასრული ჩვენი გარეგნული დვაწლისა, ის არის რაღაც ახალი დაბადება, თავისუფლების რაღაც მოძრაობა. სულიერი ცხოვრების დინამიკა – მისი მთავარი მომენტით, მისი ეკლესიასთან შენივთებით, ჩვენ სხვანაირად წარმოგვიდგენია, ვიდრე კათოლიკურ ცნობიერებას, და ამიტომაც არის, რომ ჩვენი სულიერი ზრდის პედაგოგიკა სულ სხვა მომენტებზე აკეთებს აქცენტებს, ვიდრე კათოლიკური პედაგოგიკა. პიროვნებამ უნდა შეიმეცნოს, რომ მისი თავისებურებების სიმართლისა და ძალის გამოვლენა მხოლოდ ეკლესიის საშუალებითაა შესაძლებელი, თუმცა ეს ცნობიერება არ იქნება არაფრისმომტანი, თუ ის არ იქნება ამოზრდილი მისი შინაგანი სამყაროდან, მისი გულის სიდრმიდან. მხოლოდ ცნობიერების საშუალებით, ან ჩვენი სურვილით არ დგება ცოცხალი კავშირი ეკლესიასთან, არ ნათდება სულის სიღრმე – აქ მთავარი არის ეკლესიისკენ გულის ლოცვით შემობრუნება. მნიშვნელოვანია არა ეკლესიის „ავტორიტეტი“, არამედ მისი სიმართლე, მისი სინათლე და მადლი, და თუ ეკლესიაში ამას გრძნობს გული, ის მისთვის „ავტორიტეტიც“ ხდება – თუმცა არასოდეს ხდება პირიქით! თუკი არის შემთხვევები, როცა ცნობიერების საშუალებით, ეკლესიის ავტორიტეტის გავლენით ხდება სულის გაბრწყინება მადლით, მაშინ ეს, რა თქმა უნდა, არ ხდება მხოლოდ ამ გარეგნული დაქვემდებარების მოქმედებით, არამედ ის ხდება ეკლესიის მადლმოსილი მოქმედებით, რომლის სუნთქვაც განწმენდს სულს მაშინაც, როდესაც ეკლესიისადმი არასწორი მიმართება გვაქვს.

7. ეკლესია არის მადლმოსილი კრებითობა, მის ნათელ საფუძველში არის ქმნილი სოფია, რომლის თავიც არის მაცხო-

ვარი, როგორც დმერთკაცი, რომელიც თავისუფალია ცოდვების-გან, ბნელი სულიერებისგან, – ამიტომ ხდება ეკლესიის საშუალებით ჰეშმარიტების შეცნობა (აქ საუბარია ჰეშმარიტების სისრულეზე, და არა პატარ-პატარა, ნაწილობრივ ჰეშმარიტებზე), ეს იმას ნიშნავს, რომ თავისუფლება ვლინდება ჰეშმარიტებასთან თანაზიარებით. ამიტომაც არის, რომ ისტორიულად შედეგიანი, ანუ მაცხოვნებელი მოქმედება შესაძლებელია მხოლოდ ეკლესიაში და ეკლესიის საშუალებით. ეკლესიის ცენტრალურობა არ ჩანს და აღარ გამოჩნდება მაცხოვრის მეორედ მოსვლამდე, რომელიც დღესაც ხილულია მხოლოდ მორწმუნეთათვის. თუმცა მხოლოდ რწმენით ხდება ნათელი, რომ ნამდვილ ისტორიულ შემოქმედებასთან, რეალურ ცხონებასთან არის წილნაური მხოლოდ ის, რაც ეკლესიიდან მომდინარეობს. ამით არ კნინდება და არ მცირდება ისტორიის ნატურალური მონაპოვარი, თუმცა ის იმიტომაც არ იყარება ისტორიაში, რომ არსებობს ეკლესია. „თავისთავად აღებული“ ეს ბუნებრივი მონაპოვარი უკალოდ დაიკარგებოდა და მის მიერ ისტორიის გამდიდრება მხოლოდ უტოპიად დარჩებოდა ეკლესიის გარეშე. უტოპიის არსი, რომელიც ასე უჩვეულოდ ამოიზარდა თავისი გავლენით ევროპული აზრიდან XVIII საუკუნის II ნახევარში, არის იმის მცდელობა, რომ ისტორიულმა შემოქმედებამ გვერდი აუაროს ეკლესიას. და სწორედ აქ, აღზრდა იქცევა რაღაც ბუნებრივ ბერკეტად, რომელსაც უტოპისტები იუნებენ ნატურალური, დმერთის მონაწილეობის გარეშე მიმდინარე ისტორიული შემოქმედების დასამტკიცებლად. საბჭოთა ფილოსოფიაც კი, რომელიც ეყრდნობოდა ისტორიულ (ეკონომიკურ) მატერიალიზმს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აღზრდას<sup>18</sup>. ამგვარად უტოპიზმის სისტემაში მთელი სიმკვეთრით დგება აღზრდის ბუნებრივი პროცესების საშუალებით ცხოვრების ფერისცვალების შესაძლებლობის საკითხი, ანუ ეკლესიის გვერდის ავლით.

არც კი დირს სოციალური უტოპიზმის ჩანაფიქრის უარყოფა ამ ფორმით. ცხოვრების ფერისცვალება სკოლის მეშვეობით შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სკოლა და ცხოვ-

<sup>18</sup> იხ. ჩემი ნარკვევი „XX საუკუნის რუსული პედაგოგიკა“.

რება საერთოდ არის ჩართული ისტორიის ფერისცვალების სისტემაში, ანუ ეკლესიაში. ეკლესიაში, რომელიც ასევე ეძებს ცხოვრების ფერისცვალების გზებს და სურს ბავშვის სულიერი აღზრდის საშუალებით გადარჩენა და მისი ფერისცვალება, – ეკლესიაში არ არსებობს უტოპიზმი და მისგან გამომდინარე წინააღმდეგობები და გულუბრყვილობა<sup>19</sup>. არც ისტორიის ბუნებრივ დიალექტიკას, რომელიც განადიდა „პროგრესის თეორიაშ“ და რომელსაც ახლა ასე უმოწყალოდ დასცინიან ირგვლივ ბარბაროსთა ახალი პლეიადა, არც საკუთარი თავის განდიდების მაგიას (ანთროპოსოფიაში), არც სოციალური აღზრდის მაგიას, როგორც ეს არის რიგ თანამედროვე სწავლებებში (G. Coe, Piaget, თავისებურად – საბჭოთა პედაგოგიკაშიც), არ შეუძლიათ ისტორიული გზის გაიგივება ცხონების გზასთან. ისტორიის ყველა ტრაგიკული კოლიზიები, მთელი უთანხმოება და სირთულეები არ შეიძლება სწორად იყოს გააზრებული კაცობრიობის ნატურალური კრებითობის, მისი მისტიკური ერთარსებობის, ანუ ქმნილი სოფიას შესახებ სწავლების გარეშე. სხვადასხვა ხალხის, შემოქმედებითი მიღწევები და ცალკეული ადამიანების სიმართლე – ეს ყველაფერი ნაწილობრივია და ამ ნაწილობრიობის კვალობაზე უნაყოფოც, ვინაიდან არ ემყნობა „სიცოცხლის ხეს“, მთელ კაცობრიობას, რომელიც მხოლოდ როგორც მთლიანობა შეიძლება იყოს ისტორიის სუბიექტი. აქ არ არის შესაფერისი ადგილი ისტორიოსოფიის საღვთო სიბრძნისეული გაგების გასავრცობად, – ჩვენთვის მნიშვნელოვანია სხვა რამ: პიროვნება არა ფსიქოლოგიურად, არა სოციალურად (ეს ყველაფერი არის დამხმარე მომენტები), არამედ ონტოლოგიურად უკავშირდება კაცობრიობას ნატურალური კრებითობით, და პიროვნების ცხონება შეუძლებელია ნატურალური კრებითობის მადლმოსილი ფერისცვალებით ჩანაცვლების გარეშე, ანუ შეუძლებელია ექლესიის გარეშე. სოციალური სიმართლე და სიკეთე ადამიანურ ურთიერთობებში არსებობს თავისთავად, ანუ ნატურალური

<sup>19</sup> ნებისმიერი უტოპიზმის ურთიერთგამომრიცხავი აზრების შესახებ კარგად წერდა პ.ი. ნოვგოროდცვი თავის წიგნში „საზოგადოებრივი იდეალის შესახებ“.

კრებითობის ფერისცვალების გარეშე ეკლესიაში ვერ შედგება ისტორიული თემების გადაჭრა, ვერ მიუახლოვდება იგი დასახრულს.

8. სწავლება მადლობოსილი კრებითობის შესახებ და ეკლესიაში პიროვნების ცხოვრების შესახებ ბოლომდე გვიმარტავს პიროვნების „საიდუმლოს“. პიროვნების საწყისი მისი საკუთარი თავის ხედვით, მისი თავისებურებებით და დვოთვებით ჯვრით, მისი თავისუფლებითა და თვითდამკვიდრების შესაძლებლობით, არის ქმნილი სამყაროს ნაწილი და აქ დევს პიროვნების შინაგანი დრამაც, რომელსაც, როგორც სულიერ არსებას, სწეურია უსასრულობა, და როგორც ქმნილი არსება, მიჯაჭვულია სასრულს. პიროვნება თავის წყურვილს იოკებს უსასრულო ცხოვრებით უფალში, და მაშინ დვოთის ხატება ბრწყინდება მასში, როგორც ძალა და შემოქმედება, როგორც შთაგონება და ნამდვილი თავისუფლება. პიროვნების სიღრმეში არასდროს არ ფერმკრთალდება დვოთის ხატება, თუმცა მისი რეალური ცხოვრება მიღრებილია ცოდვისკენ. პიროვნების საწყისი, რომელიც ისედაც დათრგუნულია იმით, რომ ის ქმნილი წესრიგის ნაწილია, კიდევ უფრო უძლურდება ცოდვით; პიროვნების ასეთივე „შევიწროება“ მისი შეზრდა სხვა ადამიანებთან, მისი განმსჭვალვა სხვადასხვა სოციალური კაგშირით, რომლებზეც იგი დამოკიდებულია ცხოვრებაშიც და მაშინაც, როცა აღმოაჩენს საკუთარ თავს.

რა რჩება პიროვნებაში, როგორც ღირებულება, როგორც გამართლება მისი თავისებურებისა, როგორც ამოცანა მისი შემოქმედებისა? რით შეიძლება კიდევ ბრწყინავდეს დვოთის ხატება ადამიანში, თუკი ის ყოველი მხრიდან დათრგუნული და დასუსტებულია? თუმცა პიროვნების სოციალური „შევიწროებულობა“ არის მისივე განვითარების მასაზრდოებელი წყარო, და თუ ნატურალური სოციალურობა განიწმინდება დვთაებრივი მადლით, თუ პიროვნება თავის ცხოვრებას უკავშირებს ეკლესიას, ცხოვრობს ეკლესიაში მაშინ მასში იშლება მისი მშვენიერება და სიმართლე. დვოთის ხატება იჩრდილება მხოლოდ ბუნებრივი სოციალურობის შემთხვევაში, ხოლო მადლობოსილ

სოციალურობაში ხდება ნათელი და გაბრტყინებული. ბუნებრივი სულიერება ისევე ზღუდავს ადამიანს, როგორც ცოდვა, ასე გრძელდება მანამ, სანამ პიროვნება დვოთის მეშვეობით და მისი ნების წინაშე მორჩილებით არ იწყებს სწრაფვას „ბუნებრივი“ გაორების დასაძლევად. შინაგანი ბრძოლა, რომელიც ზღუდავს პიროვნელ საწყისს, ღმერთობა ურთიერთობისას იქცევა აღმავალ კიბედ, რომელიც მიემართება პიროვნების უძლეველობისა და სიმართლისკენ. და ბოლოს, პიროვნების დასაზღვრულობა იმის გამო რომ ის ქმნილია, მისი გზის განსაზღვრულობა, მისი ჯვარი, რომლის ტარებითაც ის თავის თავს უძღვნის ღმერთს, იქცევა პიროვნელი ზრდის ნამდვილ წყაროდ. პიროვნების საწყისი ადამიანში შესვარული და დაკნინებულია, თუმცა ის არის მთელი ქმნილების სოფიური ცენტრი, ის თავის თავში ატარებს განდმრთობის შესაძლებლობას, როცა თავისუფალი ნებით ხდება მისი დამკვიდრება ჭეშმარიტებაში. თავს არ ვიტყუებთ, როცა გვჯერა, რომ სულისა და რწმენის მასაზრდოებელი არის – მასში დავანებული დვოთის ხატება, რომელსაც ვერ ამკრთალებს ცოდვა, რომელსაც ვერ ზღუდავს ბუნებასთან და კაცობრიობასთან კავშირი. დვოთის ხატება არის კურთხევა და ძღვენი – მისი წყალობით უნდა გვიხაროდეს ადამიანის გამო და უნდა გვჯეროდეს მისი.

# მ ა ხ უ თ ე თ ა ვ ი

## სულიერი ცხოვრება ბავშვობის სხვადასხვა პერიოდში

1. სწავლება ადამიანში სულიერი საწყისის პრიმატის შესახებ აუკანებს სულის ფენომენოლოგის საკითხს, ადამიანის ემპირიულ ცხოვრებაში მისი გამოვლინების სხვადასხვა საფეხურის, ანუ ბავშვის, ყრმისა და ჭაბუკის სულიერი ცხოვრების ფორმებისა და საფეხურების საკითხს. ბოლო დრომდე ბავშვის სულიერი ცხოვრების შესახებ სწავლება უკანა პლანზე იყო გადაწეული<sup>1</sup>, დღეისათვის ამ საკითხთან მიმართებაში მდგომარეობა რადიკალურად შეცვლილია. ჯერ კიდევ ჩემს ნაშრომში „ბავშვობის ფსიქოლოგია“ (რომელიც გამოიცა 1922 წელს) ვანვითარებდი სწავლებას იმის შესახებ, რომ ოვითონ ბავშვობის დაყოფა სხვადასხვა პერიოდებად უკავშირდება ბავშვის სულის სხვადასხვა მდგომარეობას. უახლესმა კვლევებმა, კერძოდ, ბავშვობის პერიოდებად დაყოფის სხვა მცდელობებმა (Ch. Bühler, Kroh.) ვერ შეარყიეს ჩემი მოსაზრებები<sup>2</sup>.

თუმცა არა მარტო ბავშვობის განვითარების სხვადასხვა საფეხურის საფუძველში დევს სხვადასხვა სულიერი მომენტი, არამედ ოვითონ სულის შემადგენლობაში უახლეს კვლევებს წინა პლანზე გამოაქვს სულიერების მომენტი (განსაკუთრებით შარლის, ბიულერისა და პიაჟეს შრომები). რა ოქმა უნდა, ბავშვობის ფსიქოლოგის დღვევანდელი მდგომარეობით არ არის იმის საშუალება, რომ შევძლოთ საჭირო სისრულით ბავშვობის ემპირიის დაკავშირება სულიერი მხარის განვითარებასთან, თუმცა

<sup>1</sup> იხ. ჩემი „ბავშვობის ფსიქოლოგია“.

<sup>2</sup> იხ. ჩემი მოხსენება ბავშვობის ფსიქოლოგიაში სლავურ კონფერენციაზე ბრნოში (1933). ხოლო მომავალში ის გამოქვეყნდება.

<sup>3</sup> Ch. Bühler. Piaget "Kindheit und jugend" (1928). "Le Jugement et le raisonnement chez l'enfant" (1927). "Le developpement morale de l'enfant" (1931) და სხვა შრომები.

დღეს უკვე შესაძლებელია მოვნიშნოთ ძირითადი მიმართულებები ბავშვობის სხვადასხვა პერიოდში სულიერი მომწიფების თვალსაზრისით.

რას ნიშნავს ბავშვობის „ბუნებრივი განვითარების“ ფაქტი? რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება ყველა სულიერი არსებისთვის ნიშანდობლივი „ენტელექტურობა“, რომლითაც elan vital განავითარებს ორგანიზმს, განსაზღვრავს მასში ფუნქციონალურ და მორფოლოგიურ დიფერენციაციას. ფერიერი სრულიად სამართლიანად უთმობს დიდ ადგილს ბავშვის განვითარებაში ენტელექტურობას, შემოაქვს აქ სულიერების მომენტი, წინა პლანზე გამოიაქვს elan vital spirituel-ის გაგება. ეს გაგება უმნიშვნელოვანესია, რათა ნათელი გავხადოთ ბავშვის განვითარების მამოძრავებელი ძალა, თუმცა ის ბოლომდე ამოუცნობი და განუსაზღვრელია. ქრისტიანული ანთროპოლოგიის შუქჩე ჩვენთვის ნათელი ხდება, რომ სულიერი საწყისი ბავშვში არის მასში დათვის ხატება, ანუ პიროვნების საწყისი, ფესვგადგმული დმერთში – აკავშირებს ბავშვს მთელ ქმნილ სოფიასთან, ანუ ქმნილი სამყაროს იდეალურ ცოცხალ საწყისთან. ამიტომაც ბავშვობის თემა არის პიროვნების საწყისის, მისი სულიერი ძალების – გონებისა და თავისუფლების, შემოქმედებისა და თვითრეგულაციის განვითარების თემა. თუმცა ბავშვი მთელ კაცობროობასთან თანაარსობით შემოდის ცხოვრებაში იმ გაორებული სულიერი ცხოვრებით, რომელიც ქმნის ცოდვისკენ მიდრევის საფუძველს; ის პგავს პირველქმნილ ადამიანს, არა ისეთს, როგორიც ის იყო სამოთხეში, არამედ ისეთს, როგორიც ის განდევნებს სამოთხიდან. ის იმავდროულად შინაგანად სოფიურად უკავშირდება მთელ კაცობრობას, და აუცილებლად ვითარდება სოციალური გარემოს გავლენით. ბავშვის განვითარება მიმდინარეობს ამ სამი მიმართულებით – თავისებურებების, ძირითადი ძალებისა და შემოქმედებითი საწყისის განვითარებით; მასში კეთილისა და ბოროტის ნამდვილი გაორების განვითარებითა და მასთან დაკავშირებული თავისუფლების საწყისის განვითარებით; სოციალურ გარემოსთან კავშირის განვითარებითა და ენის ათვისების მეშვეობით. ეს ყველაფერი არა

მხოლოდ „სულიერი განვითარებაა“, არამედ მთლიანი ცხოვრება, – დვთის ხატება, ემპირიული განვითარების გამასულიერებელი „დვთაებრივი ნაპერწყალი“, რომელსაც უკავშირდება ბედი, ჯვარი. სულიერი სფერო და ემპირიული პიროვნება ყოველთვის განუწყვეტლად და განუმეორებლად პიროვნულია; ცოცხალი და ღრმად პირადული კავშირით, ნამდვილი მთლიანობით – მათ აქვთ ერთობლივი ცხოვრება. სიმძიმის ცენტრი არა უბრალოდ ბაგჟის ემპირიის განვითარებაშია, არამედ მომწიფებული სულისა და მისი ემპირიის მთლიან, თანაფარდობით კავშირში. ადამიანის ამ ორი სფეროს არათანაბარ ურთიერთობაში დევს ბაგჟის განვითარების ფაზების განსხვავებულობის წერო, ხოლო ამ ფაზების თანმიმდევრულობა განისაზღვრება სულიერი საწყისის ენტეგლექტური სწრაფვით, რათა მან გამოხატულება პპოვოს ემპირიაში, სწორედ იმ მნიშვნელობით, რომ ის ექვემდებარება სულიერ გზებს, რომ მას აქვს ინსტრუმენტული მნიშვნელობა. იერარქიული კონსტიტუცია ყოველთვის დამახასიათებელია ადამიანისთვის, თუმცა სხვადასხვა პერიოდში ის სხვადასხვაგვარად გამოიხატება. ამ უმნიშვნელოვანესი პრინციპის გარკვევა ბაგჟობის გაგებისთვის, შეიძლება დავინახოთ ჩვენს აზროვნებაში, სადაც ადგილი აქვს პარალელურ მოვლენებს. აზროვნების აქტები, როგორც ეს დადგინდა თანამედროვე ფსიქოლოგიის მიერ, არის თავისთავადი, ანუ შეუძლებელია ისინი განმარტო გენეტიკურად – ადქმითა და სახეებით. ამ მნიშვნელობით ისინი უგრძნობელნიც არიან, თუმცა ისინი მუდამ საჭიროებენ თუნდაც სულ მცირე მოცულობით, გრძნობიერ მასალას (ადქმასა თუ სახეებს), რომელზე დაყრდნობითაც უნდა განვითარდეს „ცოდნის უგრძნობელი აქტების“ სისტემა, როგორც მას ფსიქოლოგიაში უწოდებენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცოდნის არაგრძნობიერი აქტები ეყრდნობიან მგრძნობელობით მასალას, თუმცა არ მომდინარეობენ, არ წარმოიქმნებიან მისგან<sup>4</sup>.

<sup>4</sup> აზროვნების ფსიქოლოგიაში ამ უმნიშვნელოვანესი თეზისის დამკვიდრება გერმანული ფსიქოლოგიის დამსახურებაა (ე.წ. ვიურბურგისა და ჰუსერლის სკოლის), თუმცა ფრანგულ ფსიქოლოგიასაც (ბერგსონის ნაშრომები) მიუძღვის წვლილი ამ თეზისის დამკვიდრებაში.

სწორედ ასეთივე ურთიერთობა გვესაჭიროება სულიერი ცხოვრებისა და ადამიანის ემპირიის კავშირის გასაგებად: სულიერი საწყისი არაწარმოებულია, ანუ არ წარმოიქმნება ემპირიული პროცესებით სულსა თუ სხეულში. თუმცა განვითარებისათვის ის მაინც საჭიროებს (ქმნილი არსებისთვის, როგორიც არის ადამიანი) ემპირიულ მასალას, რომელზეც დაშენდება სულიერი ცხოვრება. ეს არის ბავშვის ფსიქოლოგიის უმნიშვნელოვანესი თეორემა (და არა მხოლოდ ბავშვის), პადაგოგიკისთვისაც ის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან აზუსტებს სულიერ განვითარებაში ემპირიის ფუნქციას, ხაზს უსვამს მათ განსხვავებულობას, თუმცა იმავდროულად ხაზს უსვამს მათ ურთიერთდაქმდებარებულობას. როგორც ემპირიული საწყისი სულიერდება და გეზს იღებს სულიერი საწყისებან, ასევე საჭიროებს სულიერი განვითარება ემპირიას, რომელსაც ის ექრდნობა თავისი გამოვლინებებისას. მნიშვნელოვანია ერთი რამ: სულიერი ცხოვრება არ წარმოიქმნება ემპირიული განვითარებიდან, ემპირია არ ქმნის მას, ის მას მხოლოდ ექრდნობა, სწორედ ამ მნიშვნელობით ემპირიას სულიერი განვითარებისთვის აქვს ინსტრუმენტული მნიშვნელობა.

2. აქ, რა თქმა უნდა, არ ჩამოვთვლით ყველა ფაქტს, რომელიც ბავშვობის ფსიქოლოგიას<sup>5</sup> შეუგროვებია, ჩვენი ამოცანაა გავარკვიოთ სულის ფენომენოლოგია, ანუ სულიერი ცხოვრების საფეხურები და ფორმები ბავშვის ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში.

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ ადამიანის იერარქიული კონსტიტუცია ისევე ნიშანდობლივია ბავშვისთვის, როგორც დიდისთვის – თუმცა ფსიქიური ძალების თანაქმედება მასში სულ სხვაგვარად ნაწილდება, ვიდრე უფროსებში. ბავშვი ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ითვისებს თავის სხეულს, და ამგვარად იძენს ნებისყოფას, რომელიც მის წინაშე აღებს გზას თავისუფლებისა, რომელიც ასე მჟიდრო კავშირშია ნებისყოფის სფეროსთან. თუ ამ კუთხით მივუდგებით ბავშვის განვითარება არის თავისუფლების გზაზე დადგომის, მისი (თავისუფლების)

<sup>5</sup> იხ. ჩემი წიგნი „ბავშვობის ფსიქოლოგია“.

ნიჭის ათვისების გამუდმებული მცდელობა. თუმცა ასევე ნელნელა ითვისებს ბავშვის ინტელექტი თავის თქმას, როცა აგროვებს მასალას ცნობიერების განვითარებისათვის, ითვისებს აზროვნების სხვადასხვა ფორმებს, ეცნობა იმ უკიდეგანო კულტურულ მონაპოვარს, რომლის ცოდნაც აუცილებელია, რომ იქცეს დამოუკიდებელ ადამიანად, რომ იცხოვროს შემოქმედებითად. ეს ნების და ინტელექტის ზრდის ნელი პროცესი ემოციური სფეროსთვის უკავ თვითონვე ქმნის ბავშვებში უფრო მეტი განვითარებისა და მოქმედების პირობებს, ვიდრე უფროსებში. ბავშვები უფრო ექსპანსიურები და უშუალოები, უფრო ემოციურები არიან, ვიდრე უფროსები, ემოციების სიმდიდრე, მათი სიცხოველე და მოძრაობის უნარი, მათი ძალა და მგზნებარება თავის ბეჭდს ასვამს ბავშვის სულიერ სამყაროში მიმდინარე ყველა პროცესს. თვითონ ემოციები ფსიქიკური შინაარსით ჯერ კიდევ არასაკმარისად ავლენებ იდეურ, აზრობრივ დატვირთვას; ბავშვებს ჯერ კიდევ არ შეუძლიათ თავიანთი გრძნობების ფსიქიკური ფლობა, რადგანაც ის გრძნობა, რომელიც ეხმარება გრძნობების ფსიქიკური გამოხატვას (წარმოსახვა), ჯერ ისევ განვითარების პროცესშია. ყველასთვის ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვთან მუშაობისას წარმოსახვას – თვითონ სამყაროს შეცნობა, რომელიც, სულიერდება მსოფლმხედველობითი განწყობით, დიდად არის დამოკიდებული წარმოსახვის ფენომენთან; ამის შესახებ ქვემოთ ისევ გავაგრძელებთ საუბარს. წარმოსახვისა და სინამდვილის სფეროების, როგორც ორი განსხვავებული სფეროს შეცნობა, ბავშვის მიერ ხდება ადრეულ ასაკში, – თუმცა მათი კავშირი და ურთიერთ დაქვემდებარებულობა, მათი ერთმანეთთან დამოკიდებულება მისთვის ჯერ კიდევ ბინდითაა მოცული, მისი ამოხსნა უფროსებსაც კი უჭირს (ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი რამ, თუმცა ამაზე აქ ვერ ვისაუბრებთ). ამ საფუძ

<sup>6</sup> მთელი იმ სისტემისთვის, რომელსაც მე ვეყრდნობი ჩემი ფსიქოლოგიური ხედვისას, უმნიშვნელოვანებია წარმოსახვის, როგორც ემოციური სფეროს ფუნქციის, შესახებ შეხედულების ათვისება. იხ. ჩემი წიგნი „ფსიქიკური მიზეზობრიობის პრობლემა“. ნაწ. II, თავი III. №21 და „ბავშვობის ფსიქოლოგიის“ II თავი.

ველზე, მათ უსაზღვრო სიახლოესა და ერთიდან მეორეში ამოუცნობ გადასვლას ეფუძნება უაღრესად მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, ბავშვის სულის ცენტრალური მოვლენა, კონკრეტულად კი – თამაში. ბავშვების ძირითადი მეცადინეობა არის თამაში; ეს არის გროსის მიერ გამოკვლეული თეორია, რომელიც დღემდე ძალაში რჩება; თამაშით იქმნება იშვიათად სასიკეთო პირობები ბავშვის ყოველმხრივი განვითარებისთვის – თამაშის ობიექტი მხოლოდ ნაწილობრივ აიღება ნამდვილი სამყაროდან, ხოლო მთავარი ნაწილი იქმნება ბავშვის წარმოსახვით (რაც განაპირობებს ბავშვის უსაფრთხოებას და, ამავე დროს, ფართოდ იშლება სიკრცე ბავშვის წარმოსახვებისათვის, მისი სხვადასხვა ძალის გამოკლენისთვის, რომელიც არ არის შეზღუდული სინამდვილის არანაირი ჩარჩოთი). თამაშში ბავშვი ის-წრაფვის რეალობისქნ, თუმცა ამავე დროს ის თავისუფალია მისი ზეწოლისგან, და ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმიტომ, რომ გამოვლინდეს ბავშვის მზარდი ძალები, არამედ მნიშვნელოვანია იმისთვისაც, რომ ბავშვის მოღვაწეობა არ დაემსგავსოს შრომის პროცესს. თამაში არის თავისუფალი შემოქმედება, უმნიშვნელოვანესი გამოხატულება ადამიანში ესთეტიკური საწყისისა<sup>7</sup> – ამიტომაც თამაშში ყვალაზე მეტად იზრდება ბავშვის აქტიურობა, სამყაროსთან მისი შემოქმედებითი ურთიერთობის ჩვევები და შემეცნება. თამაშში პირველად ჩნდება თავისუფლების გამოცდილება – სიმართლე, რომელსაც ჯერ კიდევ აკლია მორალური ხასიათი, ვინაიდან თავისუფლების ის ტიპი, რომელიც ვლინდება თამაშის დროს, თუმცა ჯერ კიდევ არ არის დიუკრუნცირებული, მაინც უახლოვდება ესთეტიკურ თავისუფლებას<sup>8</sup>. ამას უკავშირდება ერთი უცნაური ფაქტი,

<sup>7</sup> ადამიანში ესთეტიკურ საწყისს გააჩნია წარმოსახვითი და გამომსახველობითი ფუნქცია; ესთეტიკური შემოქმედების პავშირი სილამაზის ობიექტურ სფეროსთან დგება და ის არ არის აპრიორული.

<sup>8</sup> თავისუფლების განცდისას ზრდასრულ ადამიანში აუცილებლად შეინიშნება მორალური და ესთეტიკური თავისუფლების ორი პოლუსი. მორალური თავისუფლება წარმოადგენს „სიმართლის“ ზემის „უსამართლობაზე“, სიკეთესა – ბოროტებაზე; ესთეტიკური თავისუფლება არ შეიცავს ასეთ დუალიზმს, ის უკავშირდება სულის შემოქმედებით აღმა-

რომელიც ნაკლებად ექვემდებარება განმარტებას – სულიერი ცხოვრების სხვა სფეროებთან შედარებით, ბავშვის ესთეტიკური ცხოვრების საოცარი განვითარება<sup>9</sup>. „დიდობა“ მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ აღარ ვთამაშობთ ისე, როგორც ვთამაშობდით ბავშვობაში, თუ განვიხილავთ ბავშვობას უფრო ფართო გაგმით, როგორც ზრდასრულ ასაკში გარდამავალ ფაზას, ანუ თუ ჩავრთავთ მასში ყრმობასაც, უნდა ვაღიაროთ, რომ თამაშს ბავშვობის ყველა პერიოდში უკავია დომინანტი ადგილი, თუმცა თავისი ფორმით თამაში განიცდის ცვლილებებს; თამაში წარმოადგენს იმ სხვადასხვა ეტაპის სიმპტომურ ასახვას, რომელსაც ჩვენ გავივლით ზრდასრულ ასაკამდე. თამაშობს უფროსი ადამიანიც, მაგრამ იგი ხასიათდება სინამდვილის ისეთი აღქმით, რომელიც აქცევს თამაშს მხოლოდ გართობად – მაშინ როცა ბავშვობასა და ყრმობაში თამაში, მაშინაც კი, როცა ის თავისი ხასიათით გართობაა, სრულებით არ იყო მხოლოდ გართობა, მისი არის არა გართობა, არამედ შემოქმედებითობაა (რომელიც, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ასაკისათვის სხვადასხვაგარია).

3. ბავშვის „ქცევის“ და თავისებურებების გარკვევის გასაღები დევს თამაშში, მაგრამ არასწორი და ცალმხრივი იქნებოდა, რომ განგვეხილა ბავშვობა, მხოლოდ თამაშის ფაქტიდან გამომდინარე. ბავშვობის ფსიქოლოგიის მეორე ძალიან მნიშვნელოვანი გასაღები არის აზრობრივი სფეროსკენ სწრაფვა, აზრების სფეროში შეღწევის მცდელობა, მათი ათვისება და ამ აზრებით ცხოვრება. სხვათა შორის, თამაში არა მარტო გამსჭვალულია ამ სწრაფვით, არამედ ის ემსახურება მათ, იმით რომ ის არის ერთ-ერთი ყველაზე მარტივი საშუალება აზრების სფეროში შეღწევისა. ის, რომ ფიზიკური და სოციალური სამყაროს გარეგნული გარსის მიღმა, ბავშვის სულიერი სამყაროსთვის არის საიდუმლო და მიმზიდველი აზრების სფერო, რომლის დაპყრობასაც ცდილობს ბავშვი; ის, რომ ბავშვის სული აღიგხება მხურვალე სურვილით,

---

ფრენას. თავისუფლების საიდუმლო ვლინდება იმ ორი მხარის ორგანულ მთლიანობაში, რომელთა პირადი და ისტორიული განვითარების დააღვესებიკა, შესაძლებელია, გამორიცხავდეს კიდეც ერთმანეთს.

<sup>9</sup> იხ. ჩემი „ბავშვობის ფსიქოლოგია“. IX თავი.

შეაღწიოს იმ წმინდა სფეროში, საიდან გამომავალი სხივებითაც მისთვის სამყარო ნათდება, – ის, რომ ბავშვი არა მხოლოდ ცხოვრობს სამყაროში არა მხოლოდ ორიენტირებს მასში და ეწვევა მას, არამედ უყვარს ის, ცხოვრობს მის მიმართ მხურვალე ინტერესით, რომელიც სტიმულს აძლევს ბავშვის მთელ ფსიქო-კურ ცხოვრებას – ეს არის დასტური იმისა, რომ ბავშვში მიმდინარეობს ნამდვილი სულიერი ცხოვრება, რომელიც აღავსებს მის სულს უსასრულობისკენ სწრაფვით. აზრობრივი სფეროს-კენ სწრაფვაში, სამყაროს უშუალო ინტუიციაში, გულუბრყვილო, მაგრამ ძალიან ცოცხალ და ღრმა, უშუალო რწმენაში, რომ ყველაფერს აქვს აზრი, აზრების სფეროსთან შეხებით ბავშვის მთელი ფსიქიკის ბიძგის მიმცემ იდუმალებასა და სუფთა სულიერებაში მოცემულია ბავშვის მთელი სულიერი ცხოვრების საწყისი წერტილი – გონებრივი, რელიგიური, მორალური, ესთეტიკური. უპირველესად ეს აისახება ბავშვის გონებრივ მონაცემებზე – რაც უფრო ვუდრმავდებით მას, მით უფრო ღრმად და ყოველმხრივ გვიპურობს ბავშვის აზრების კვლევა<sup>10</sup>, მით უფრო ნათელი ხდება, რა სწორად მსჯელობდა ბავშვობის შესახებ Sully (რომელმაც პირველმა მოგვცა ბავშვის სულის სრული სურათი), რომელიც ამბობდა, რომ ბავშვები „დიდი მეტაფიზიკოსები“ არიან. აქ არსებითია მსოფლმხედველობითი განწყობა, მისწრაფება იმისკენ, რომ სამყაროს შემეცნებით აღვიქვათ იგი, როგორც მთლიანობა: „მთლიანი სამყაროს“ ეს კატეგორია არის არა პროდუქტი, არამედ ბავშვის აზრის მუშაობის წანამძღვარი. ძალიან მნიშვნელოვანია ამის გაგება, რომ მთლიანობის ინტუიცია, როცა ის რჩება ბოლომდე შეუცნობელი, მიმართულებას აძლევს ბავშვის აზრს და არეგულირებს მას. აზროვნების ფორმები ელემენტარულია, ვინაიდან აზრები მოქმედებენ ანალოგიით<sup>11</sup> – აზრების უფრო მაღალი პროცესები, რომლებიც უკავშირდება მეტყველების განვითარებასა და სოციალურ ურთიერთობებს – ვითარდება გაცილებით გვიან. თუმცა

<sup>10</sup> ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა Piaget და ვენური სკოლის, რომელსაც ხელმძღვანელობს Ch. Bühler ნაშრომები.

<sup>11</sup> იხ. ჩემი „ბავშვობის ფსიქოლოგია“. თავი XIII.

ანალოგით აზროვნება არის ბიძგი ბავშვის გონებრივი მცდელობებისა, რომელიც ეძებს მთელ სამყაროში პარმონიასა და შეთანხმებულობას, მიღის სამყაროს იმ სურათის შედგენამდე, რომ სამყაროს ერთიანობა არის და უნდა იყოს ნათელი და გასაგები.

ემპირიული გამოვლინებების სიმწირითა და ბუნდოვანებით, გაცილებით ძნელია სულის რელიგიური ღვაწლის თვალსაზრისით ბავშვის სულიერი ცხოვრების განვითარების კონსტატირება. ვინც არ ეყრდნობა იმ პიპოთეზას, რომ სამყაროში ინტუიცია, (მთელი სინამდვილე იმისა, რაც ჩვენ ახლა ვნახეთ ნარკევზე შე ბავშვების გონებრივი განვითარების შესახებ, არის ბავშვის რელიგიური ცნობიერების საწყისი და მამოძრავებელი ძალა) – იმისთვის გაუგებარია ბავშვობის პერიოდის რელიგიური ფსიქოლოგიის სწავლებები<sup>12</sup>. სამყარო ბავშვისთვის არ არის შემთხვევითი და ცალკეული ფაქტების თავმოყრა, თუმცა ის მთლიანად სავსეა რაღაც წერტილიდან გამომავალი სხივებით. ეს უპირველესად არის რელიგიური განცდა და ამასთან ძირითადიც. ის, რომ სამყაროს საზრისი საფუძველი, არის ნათლის-მომფენელი გაცისკროვნების წყარო, არის არსება – უზენაესი და ყოვლადსახიერი – ამას ბავშვისთვის არ სჭირდება მტკიცებულება: აუცილებელია მხოლოდ იმის გარკვევა, თუ რა იმალება ამ ინტუიციაში. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ბავშვობის ფსიქოლოგია ქმნის რელიგიურ საფუძველს და ყოველგვარი შემუცნების რელიგიურ საზრისს. ცოტა ხნის წინათ პროფ. Bovet-ი ამტკიცებდა<sup>13</sup>, რომ რელიგიური ცნობიერება ვითარდება ბავშვში ოჯახური განცდების საფუძველზე, სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარადაა – რასაც ბავშვი განიცდის ოჯახში, ამით ბავშვის რელიგიურ ცნობიერებას ეძლევა მხოლოდ გარეგნული ფორმა. რელიგიური კატეგორიები დრმაა და იერარქიულად მდიდარი, რომ ბავშვის ცნობიერებისთვის არავითარი ძალიხმევა არ არის საჭირო მათი გაფორმებისთვის.

<sup>12</sup> იხ. ჩემი „ბავშვობის ფსიქოლოგია“, ასევე Grunwald “Pädagogische Psychologie”-ს რამდენიმე თავი; იხ. ასევე Vaissiere “Psychologie Pedagogique” (1926).

<sup>13</sup> Bovet. “Le sentiment religieux chez l’enfant”.

რა არის ღმერთი – ამას ბავშვი აცნობიერერებს ოჯახური გამოცდილებიდან და ტრადიციიდან (ხატები, ლოცვა, კულტი), მაგრამ არსებობს ღმერთი სამყაროში, როგორც შემოქმედი და ყოვლისმპერობელი, ვისგანაც გამომდინარეობს სამყაროს საზრისის პარმონია – ეს ბავშვებისთვის „თავისთავად ცნობილია“. ბავშვის რელიგიურობის უშუალობა და უბრალოება, სინათლე და სისადავე, მისი რელიგიური მოქმედებები ჩვენთვის, უფროსებისთვის არის იდეალი, რომელთან მიახლოებაც ასე ძნელია. არა ბავშვურ პრიმიტიულ და გულუბრყვილო მოქმედებებს ვეთაყვანებით, არამედ ღმერთთან ურთიერთობის იმ სამოთხისეულ უბრალოებას, რომელსაც ვკარგავთ ბავშვობასთან ერთად. ამიტომაც ვგრძნობთ, რომ ბავშვები გაცილებით ახლოს დგანან ღმერთთან, ვიდრე ჩვენ – არა მარტო მორალური სისპეციაკით და გულუბრყვილობით გვხიბლავენ, არამედ მათი სულიერებით, რომლის გაგება და აღქმა უფროსებს ასე ეძნელებათ, თუმცა რომლის დანახვაც ბავშვებში ასე უჩვილებს მათ გულს. უდავოდ, ეს უნდა იყოს ბავშვის სულის შესახებ სახარებისეული სწავლების ერთ-ერთი ასპექტი, რომელიც გვიხმობს ბავშვებთან მსგავსებისაკენ. რა თქმა უნდა, საქმე ეხება სულიერ სისპეციაკეს და ბავშვის სულის უბრალოებას და არა მათ წარმოდგენებს ღმერთის შესახებ.

4. აქ არ არის შესაფერისი ადგილი<sup>14</sup> ბავშვის რელიგიური ფსიქოლოგიის დაწვრილებით განხილვისთვის, – ჩვენ მას შევეხეთ მხოლოდ იმიტომ, რომ გავარკვით ადრეული ბავშვობის სულიერი ცხოვრება. ბავშვის სულის მიმართვა დვთისკენ, მისი სიწმინდე და უშუალობა იმის დასტურია, რომ ბავშვის სულიერი სუეროს დასაბამიერი გაორება ჯერ კიდევ ვერ აღწევს ცნობიერების სფეროს, რომ ცნობიერების სფეროდან ჯერ კიდევ არ გამოდის არაფერი, რაც გააძლიერებდა ან ხაზს გაუსვამდა მისი პიროვნების ზრდას თავისივე თავთან დაპირისპირებით, რაც გააღვივებდა მის დაპირისპირებულობას ღმრთისადმი. ბავშვის გულუბრყვილო ეგოცენტრიზმი ხელს არ უშლის მას არც ცოცხალი ინტერესის გაღვივებაში გარემო სამყაროს მიმართ, არც სულის

<sup>14</sup> იხ. ჩემი „ბავშვობის ფსიქოლოგია“. XI თავი.

დმერთისადმი მიმართვის უბრალოებასა და სერიოზულობაში. უკველივე ეს არ ნიშნავს, რომ ბავშვის სულიერი სამყარო არ არის დარღვეული და მის სიღრმეში არ არსებობს ბოროტისა და კეთილის გარჩევა. ბავშვის სულს (ადრეულ ბავშვობას) უკელაზე მეტად ქეხბა მაცხოვრის იგავი ხორბლისა და ლვარძლის შესახებ. სამწუხაროდ, ბავშვის სულში იზრდება ლვარძლიც, რომელიც ხშირად ჩვენთვის ისეთ გაუგებარ და უცნაურ მეზობლობაშია სიკეთესა და სიმართლესთან, რომ მნელია ადრეული ბავშვობის ამ მომენტის სწორად გაგება თვითონ სოფიურ საწყისში „პირველქმნილი“ ცოდვის შესახებ სწავლების გარეშე ბავშვი, რა თქმა უნდა, გულუბრყვილობის სიკეთეშიც და ბოროტებაშიც, მორალური ცნობიერება სულაც არ აკავშირებს ბოროტებისა და სიკეთის გზებს ნებასთან<sup>15</sup>, თავისუფალ გადაწყვეტილებასთან, მაგრამ ბოროტების გემო (უკვე გაცნობიერებული, როგორც ცუდი რამ, რომელიც არ გვაკავშირებს თავისუფლების გრძნობასთან) უკვე ყველასთვის ნათელია. აქ ვერ გავაანალიზებთ ნათლისა და წევდიადის ამ უცნაურ თამაშს, ეს არის ერთდროული მოძრაობა ბოროტებისა და სიკეთის გზებზე, ეს არის მოულოდნელი ლვარძლი, რომელიც ჩახდართულია ხორბალთან. ბავშვობის თავისებურება არ არის ბოროტებისადმი სწრაფვის არარსებობა, არც სულიერი გაორების არარსებობა, არამედ ის არის მისი ბუნდოვანება იმ ცნობიერებისთვის, რომელსაც აქვს შეფასების უნარი, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ორი გზის ობიექტურ (ზოლდვინის ტერმინით „პროექტულ“) შეცნობაში, ვერ გაცნობიერებაში იმისა, რომ აქვს მოვალეობა და უფლება აირჩიოს. ბავშვობის თავისებურება არის ჩვენი პიროვნების ძირითადი საიდუმლოს არასაკმარისად გარკვევა (იმ საიდუმლოსი, რომელსაც უხეშად უარყოფენ გარდასახვის თეორიის მომხრები), რომ ჩვენი ემპირიული „მე“, როგორსაც ჩვენ შევიცნობთ ჩვენი ცხოვრების ემპირიულ ვითარებაში, იგივე მეა, რაც დევს ჩვენი სულიერი ცხოვრების სიღრმეში. სიკეთისა და

<sup>15</sup> შესანიშნავად გვიმარტავს ამ „რეალიზმს“ (პლატონის თვალსაზრისით), ზეციდან ბოქტებული „წესების“ ძალას (სიკეთის გზებს) Piaget თავის „უკანასნელ ნაშრომში “Le développement moral chez l'enfant”.

ბოროტების გზები, სიკეთისა და ბოროტების გემო – ეს ყველაფერი უავე არის სულში, მაგრამ ჯერ კერ უკავშირდება თავისუფლების ცნებას. პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც ასე ადრე იღვიძებს ბავშვებში, ჯერჯერობით უკავშირდება ემპირიულ აქტივობას, ემპირიულ ავტორობას და არა „გულს“, არა ჩვენი სიკეთისა თუ ბოროტებისკენ გეზის მომცემ წყაროს. ბავშვს ესმის ცუდი საქციელისთვის დასჯის მიზეზი, თუმცა ის ვერ გაიგებს ბოროტი აზრის, ბოროტებისკენ სწრაფვის გამო დასჯის მიზეზს<sup>16</sup>. დვთის ხატება ბავშვში ბრწყინავს უფრო თავისუფლად, უფრო შესამჩნევად იმის გამო, რომ ბავშვის ემპირიული ცნობიერება ჯერ კიდევ არ გამხდარა თავისუფლების სუბიექტი. თავისუფლების საიდუმლო იხსნება მოგვიანებით, როცა ბავშვი შეიმეცნებს, რომ მისი სწრაფვა, სურვილები და აზრები მომდინარეობენ მისი პიროვნებისგან, როცა ის შეიტყობს (რა თქმა უნდა, უშუალო გამოცდილებით და არა ფორმულით, რომელიც მისთვის გაუგებარია მისივე აზრების პრიმიტულობის გამო), რომ მას აკისრია პასუხისმგებლობა თავისი სიღრმეების, გულის, აზრებისა და ფიქრების გამო. ბავშვში თავისუფლება არის, ფაქტობრივად, ის მის სიღრმეში აკეთებს არჩვანს სიკეთესა და ბოროტებას შორის<sup>17</sup>, თუმცა არ აღიარებს ამ თავისუფლებას, არ მიაწერს გულის ამ დრმა მოძრაობებს პიროვნების იმ ცენტრს, როგორიც ჯერჯერობით არის ემპირიული „მე“.

ადრეული ბავშვობის სულიერი ცხოვრება განმაციოფრებულია იმის გამო, რომ „ცოდვისმიერი“ მასში ჯერ კიდევ უმნიშვნელოდ მცირეა და წვრილმანი, არა თავისი მოცულობითა და მნიშვნელობით, არამედ პერიფერიულობით იმის მიმართ, როთაც არის აღვსილი მისი სულიერი ცხოვრება. ბავშვი იძირება „აზრების“ უსაზღვრო სამყაროში – ბუნებაში, ადამიანურ ურთიერთობებში, მასში, რაც ადამიანზე მაღლა დგას (რასაც ბავშვი

<sup>16</sup> ამიტომ არ იღებენ მონაწილეობას 7 წლამდე ბავშვები სინანულის საიდუმლოში, ანუ ადრეული ბავშვობის პერიოდში.

<sup>17</sup> ადრეულ ბავშვობაში სიკეთისა და ბოროტების თემა სპეციალურად დავამუშავე და ეს ეტიუდი გამოიცემა ბეჭდური სახით.

ბუნდოვნად, მაგრამ მტკიცედ შეიცნობს); ადრეული ბავშვობა სულიერად ცარიელი სულაც არაა, როგორც ეს შეიძლება მოგვეწვნოს ფსიქოფიზიკური ცხოვრების შექმნა, რომლის განვითარებაც ადრეულ ბავშვობაში ყველაზე თვალსაჩინოა. ბავშვი ისიხლხორცებს სულიერ სამყაროს, რომელიც თავისი ნათელი უსასრულობით მოიცავს მისსავე სულს. როგორც ძებუს პერიოდი სხეულებრივი განვითარებისას, ასევე ბავშვის ამ სულიერებაშიც (რაც გამოიხატება ყველაზე მეტად ინტელექტის განვითარებაში, ბავშვის კითხვებში და მსჯელობებში, თუმცა არ შემოიფარგლება მხოლოდ ინტელექტით) არის სულიერი „ძებუს პერიოდი“, როცა ბავშვი იკვებება დედის რძით და იწოვს სამყაროს დავთაებრივ ნათელს. ის ვერ გრძნობს ვერც აზრით, ვერც სიტყვით, რა მწიფდება მასში, ბავშვი ისუნთქვას ამ უსასრულობას – უბრალოდ, უდარდელად, გულუბრყვილოდ, თუმცა ღრმად და უშუალოდ. ის იმარაგებს მთელი დარჩენილი ცხოვრებისთვის უსიტყვო, თუმცა თავისი შინაგანი სულიერი ცხოვრების შემოქმედებითად მოქმედ ინტუიციას – და სულიერი ყოფის უსასრულო სამყაროში, რითაც საზრდოობს ბავშვი, ის თითქოს ისწორებს თავის ფრთხებს, მტკიცდება და იხსნება მასში, რასაც მის სულსა და სხეულზე ღრმა ფეხვები აქვს. ცნობიერება ნაკლებად უკავშირდება სულიერების ამ სამყაროს და სულ უფრო გადის გარე სამყაროში, თუმცა მაინც თავსდება გულუბრყვილო ეგოცენტრიზმის ფარგლებში, რომ შემდეგ ში ბოლომდე დაგტევებოს მას – ხოლო მის გვერდით კი ბავშვის სულიერ ცხოვრებაში მსუბუქად და მარტივად იშლება მადლობისილი უსასრულობა, უტყვი და უსახელო, თუმცა ნათელი და ახლობელი. ეს არის თავისებური ფარული დუალიზმის პერიოდი, Vorspiel – დრამატულ შინაგან ბრძოლაში ადამიანის ორ მკვებავ წყაროს შორის – მარადიულობასა და ქმნად ყოფიერებას შორის – თუმცა ამ პერიოდში ასეთი შინაგანი დუალიზმი, ცხოვრების ორი გზის თანაარსებობა ბავშვისთვის შეუმჩნეველი რჩება და ამიტომაც ის არ მაღავს თავის თავში სხვა ურთიერთ შემასუსტებელ საწყისს. როგორც თვალი და უური არ არის ერთმანეთის კონკურენტები, არამედ ავსებს ერთმანეთს, ასევეა სულიერი და

ფსიქიკური ცხოვრებაც, დიდი და მცირე, მარადიული და წარმავალი, ღმერთი და საკუთარი მომწიფების პატაწინა ამოცანა არ უშლის ერთმანეთს ხელს, არამედ ავსებს ერთმანეთს. თავისი არსით ბავშვობა უკვე იძლევა ოუმცა გულუბრყვილო, და ამის გამო არამდგრად, მაგრამ მაინც, ბავშვის პიროვნებაში ორი ცხოვრების ჩამოყალიბების საფუძველს, ოუმცა ისე, რომ ერთი ხელს არ უშლის მეორეს. მხოლოდ ამას უნდა აღნიშნავდეს სახარებისეული მითოება ბავშვობის ტიპის შესახებ, როგორც სულიერი ამოცანა უფროსებისთვის: შექმნილ სამყაროში მოსვლა და მისი სამსახურიც კი ოდნავადაც არ უნდა ასუსტებდეს ან ართულებდეს სულიერი ცხოვრების აღმაფრენას, ჩვენში სულიერი ძალების აყვავებას. ჩვენ არ შევგიძლია ისევ გავხდეთ ბავშვები და არავითარი ფასეულობა არ არის იმაში, რომ საჭიროა ორი ბავშვობა - გულუბრყვილობა და გაორებული ცხოვრების გაუცნობიერებლობა - ოუმცა ის გაწონასწორებულობა, რომელიც ბავშვში მერყევია და განვითარების სხვა პერიოდში პოულობს თავის ადგილს (ჩვენთვისაც კი, უფროსებისთვისაც სერიოზულ ამოცანას წარმოადგენს მყარი და „კრიტიკული“, ანუ გაცნობიერებული და გულუბრყვილობისგან თავისუფალი წონასწორობის შექმნა) - განსაზღვრავს ბავშვის სულიერ-ფსიქოლოგიურ სიმაღლეს. სახარება ადიდებს არა გულუბრყვილობას, არამედ ორი სიცოცხლის შინაგან პარმონიას, მათ შემოქმედებით და ცოცხალ წონასწორობას ბავშვში. შემდეგში ჩვენ დავინახავთ, რამდენად შეიძლება იყოს გამართლებული დიდწილად ჰიპოთეტური<sup>18</sup> ბავშვობის ეს ინტერპრეტაცია.

მოცემულ სქემაში არის ორი არსებითი მომენტი: ერთი მხრივ, ბავშვში სულიერი ცხოვრების არსებობა, მეორე მხრივ, ბავშვის სულის სამყაროსთან შეხების სინათლე და სიკეთე. სულიერი მხარის სიბეჭდები, რა თქმა უნდა, იღვრება ბავშვის სულში, ოუმცა ჩვეულებრივ ის ვერ უწევს მეტოქეობას ბავშვის

<sup>18</sup> ეს ჰიპოთეზა სულ სხვაგვარად დასტურდება ფაქტებთან მიმართუბაში, ასეთი რამ შესაძლებელია მხოლოდ ფსიქოლოგიის სისტემაში: ოუმცა არაერთგზის შეგვევდება მასალა, რომლითაც ის იქნება „გამართლებული“.

სულის „ბუნებრივ“ სიკეთეს. რეალურად ბავშვს უკვე მოცემული აქვს თავისუფლება, როგორც სულიერი ცხოვრების თანაარსი მომენტი, თუმცა თავისუფლების გაცნობიერება საჭიროებს გარკვეულ გამოცდილებას, რათა მან მთელი სისრულით აითვისოს თავისუფლება (ფიზიკური მოქმედებებიდან გულის სიღრმის ჩათვლით), რომელიც მიეცა ადამიანს. იმ ძალის გამოცდილებით გაცნობიერება („გადაწყვეტისა“ და „გაბედვის“ ძალა), რომელმაც უნდა „განკარგვოს“ თავისუფლება ჩვენში, ხდება ნელ-ნელა. ის, რომ ეკლესია ბავშვს არ აკისრებს „პასუხისმგებლობას“ შვიდ წლამდე ჩადენილი ცოდვებისთვის, არ ნიშნავს იმას, რომ ბავშვი არ საჭიროებს მონანიებას, რომ ის უცოდველია. ცოდვა ვერ ახერხებს ბავშვის სულიერი ნათლის ჩახშობას, თუმცა უკვე ახლოსაა ის გარდატეხა, ის ტრაგედია, რომლითაც სრულდება აღრეული ბავშვობა და ბავშვი ადგება სულ სხვა გზას. აღსანიშნავია ისიც, რომ ადრეული ბავშვობისას ბავშვი თავისუფალია, თუმცა ჯერ კიდევ არ აგებს პასუხს თავის საქციელზე – ეს არის ერთგვარი სიწმინდის წინასახე, რომელიც მუდამ თავისუფალია, თუმცა ის ვერ იღებს „ავტორობის“ უფლებას (და ამის გამო მას არ ეკისრება „პასუხისმგებლობაც“), რისი საშუალებითაც მას მიეცემოდა ბნელ ძალებზე (უკვე საბოლოო) გამარჯვების შესაძლებლობა და დმიერთონ ნამდვილი კავშირის დამყარება. ბავშვში უკვე არის ბნელიც; დასაბამიერი (ცოდვით დაცემის შედეგად შემზიდი) გაორებულობა სამყაროს სოფიურ საწყისში არის ბავშვის სულის კუთვნილებაც, მაგრამ თავისუფლების გამოცდილება, მისი ცალკეული ღოზა, რომელიც ბავშვს აძლევს არჩევანის საშუალებას, იწყებს „მოზაურობას“ ტანჯვის გზით, იწყებს კეთილისა და ბოროტის დრამატულ ბრძოლას არა ჩვენ გარეთ, არამედ ჩვენში. ამ ორი საწყისის ბრძოლით უკვე „აქტიურად“ შევაბიჯვებო ბავშვობის მეორე ეტაპში, თუმცა ჩვენს ადრეულ ბავშვობაში არის გაორებულობა, უფრო მეტიც – ბრძოლაც, მაგრამ „პასუხისმგებლობის“ ონტოლოგიური საფუძვლის გარეშე. ზემოთ მოტანილიან ნათელია, რომ ბავშვში ადრეული ბავშვობის მორალური პროცესი წარმოდგენილია მომავალი მორალური მომწიფების

პრელუდიის სახით. ეს, რა თქმა უნდა, არ არის „ანომია“<sup>19</sup>, ვინაიდან „ნომოსი“ ძალიან ადრე იღვიძებს ბავშვში, ამიტომაც მთელი ეს პროცესი უნდა მივიჩნიოთ „პეტერონომულად“<sup>20</sup>. ბავშვის მორალური დახასიათებისას ერთი რამ ნამდვილად ცხადია, რაც მოცემულია „ანომიის“ ცნებაში – ეს არის ის, რომ ადრეულ ბავშვობას, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ვერ დაგავისრებთ, პასუხისმგებლობის მომენტს.

5. ადრეული ბავშვობა<sup>21</sup> გვაძლევს სულიერი სიმდიდრისა და ემპირიული ფსიქიკის მზარდი ძალების შერწყმის პარადოქსულ სურათს. პიროვნების სულიერი ცენტრი ერთდროულად არის სულიერი გამოცდილების ცენტრიც, ნათელი და ნამდვილი ცხოვრებაც უფალში, სიკეთეში, – და ენტელექტური საწყისიც, რომელიც ამოძრავებს ბავშვის ფსიქოფიზიკური მხარის განვითარებას. ბავშვის ემპირიის მთლიანი სფერო ჯერ კიდევ ვერ ფლობს საკმაო „ძალას“ საიმისოდ, რომ გავლენა იქონიოს ბავშვის შინაგან სამყაროზე; მისი სულიერი სფერო თავისუფალია ემპირიის ზეწოლისგან, ხოლო სულიერი სფეროს დასაბამიერ გაორებას ჯერ კიდევ არ აქვს საყრდენი ცნობიერებაში და არ შეუძლია იმ შუქის გაფერმკრთალება, რომელიც ბავშვის სულში დავანებული ლეთის ხატებიდან გამოიდის. თუმცა დღება დრო, როცა ემპირიული ცნობიერება იძენს საკმაო ძალას, რათა იქცეს სულიერების დამოუკიდებელ ცენტრად; მას რასაც ვუწოდებთ „ხასიათს“, რაც არის მარგელირებელი ძალების ერთობლიობა, უკვე ისე ძლიერდება, რომ სულის შინაგანი სამყარო მნიშვნელოვნად კარგავს თავის გავლენას საკუთარი თავის უშუალო ხედვასა და თვითშეგრძნებაზე. ამასთან ერთად უკვე

<sup>19</sup> ნატორპის ეს იდეა ჩვენში შემოვიდა ს.ი. პესენის მიერ და საფუძვლად დაედო მის პედაგოგიკის წიგნის მცდარმა სქემამ საგრძნობლად დაამახინჯა ამ წიგნის ბევრი ფასეული აზრი.

<sup>20</sup> იხ. ჩემი „ბავშვობის ფსიოლოგიის“ IX თავი.

<sup>21</sup> მე ვარჩევ ბავშვობის განვითარების შემდეგ პერიოდებს: 1. ძუძუს პერიოდი; 2.. ადრეული ბავშვობა 5,5-დან 7 წლამდე; 3. მეორე ბავშვობა 5,5-7-დან 11,5-13 წლამდე (გოგონებში უფრო ადრე, ვიდრე ბიჭებში); 4. ყრმობა 11,5-13-დან 15-16,5 წლამდე, სიმწიფის პერიოდამდე. ასეთი დაყოფა შეგიძლიათ იხილოთ ჩემს „ბავშვობის ფსიქოლოგიაში“.

იწყება მეორე ბავშვობა, რომლის დაწყებისთანავე ქრება ბავშვის სულის გულუბრყევილო მთლიანობა. ემპირიული შემცნება ხდება სიცოცხლის მნიშვნელოვანი ფაქტორი, იქმნება „ცნობიერების ცენტურა“; ღრმა შინაგანი განცდებისა და იმ კვლაფრის სამყარო, რაც ვერ თავსდება ემპირიული ცნობიერების სფეროში, რჩება ცნობიერების საზღვრებს მიღმა, აქტიურ სფეროზე უშუალო გავლენის გარეშე. თვითონ სულიერ სფეროში, ემპირიული ცნობიერების მომეტებული ძალების გავლენით, იგრძნობა ადრინდელ სულიერებასთან დაშორება, სულიერი გადახვევა საერო ცხოვრებისკენ, მისკენ სწრაფვა, მასთან შერწყმა და მისი ათვისება. რა თქმა უნდა, ამ სულიერ გადახვევაში ლომის წილი აქვს იმ ფსიქო-ბიოლოგიურ მომწიფებას, რომლითაც შესაძლებელი და მიზიდველი ხდება სამყაროში დამოუკიდებელი შესვლა, თუმცა, მეორე მხრივ, ის არის ნიშანი „სულიერ პირველყოფაზე“ უარის თქმისა, გადახვევა იმ უშუალო, თუმცა ღრმა და მაღლმოსილი ცხოვრებიდან, რომელიც ნიშანდობლივი იყო ბავშვის ადრეული ასაკისთვის. აქ, რა თქმა უნდა, საუბარიც არ შეიძლება იყოს არა მარტო ნათელი სულიერი ცხოვრების უსასრულობასთან განშორების გაცნობიერებულობაზე (განზრას გაშორებაზე), არამედ იმის შეცნობაზეც კი, თუ რა ხდება მეორე ბავშვობის ზღურბლზე. ეს „დალატი“ ცნობიერებაზე ღრმაა – და ამიტომაც ცნობიერების სფეროში ჯერ კიდევ ცხოვრობს „ინერციით“ ის მოქმედებები, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ „სხვა სამყაროსთან“ შეხების ცოცხალი გამოძახილი იყო. როგორც ბავშვი, რომელიც ზურგს აქცევს დედას, სულაც არ უარყოფს მას და არ ფიქრობს, რომ დედა არ არის მის ახლოს – ასევე ბავშვის სულიერ ცხოვრებაშიც მისი სამყაროსკენ სრულად შებრუნებისას, არ ხდება არც ზეცის და არც იმ შემცნების უარყოფა, რომ ის სადღაც გაქრა. სულიერ ცხოვრებას მოხდევს ემპირიული მოქმედებები, მთავრდება მაღლმოსილი მთლიანობის პერიოდი, ბავშვური უმანკოება საბოლოოდ ქრება – ბავშვი ისწრაფის სამყაროსკენ. აქედანაა ის დამახასიათებელი თვისებები, რომელიც გეხვდება მეორე ბავშვობისას<sup>22</sup>

<sup>22</sup> დაწვრილებით იხ. ჩემს „ბავშვობის ფსიქოლოგიაში“.

– შეგუება სამყაროსა და ხალხთან, ბუნების წესრიგსა და კანონებთან და სოციალურ ცხოვრებასთან. ეს „უმეტესად არის „სწავლის“ წლები, წესრიგისა და უფროსების მიბაძვის წლები, სოციალური ჩვევების გამომუშავების წლები, ასევე ძალების გამოცდის წლები, ბაგშვური ცელქობისა და სიმამაცის, გმირული გატაცებების წლები, რომელიც გაფორმებულია სხვადასხვა ზღაპრული ან ისტორიული სახეებით. ყველაფერი ეს ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის სოციალური მომწიფებისთვის. ბაგშვის ინტერესი სულიერებიდან გადაინაცვლებს საერო ცნობიერებისაქნ და უკვე მივიწყებას ეძლევა ადრინდელი ბაგშვური ეგოცენტრიზმი; ბაგშვი რადაც დოზით რჩება ეგოცენტრული, საკუთარ თავზე კონცენტრირებული, თუმცა მისთვის უკვე შეუძლებელი ხდება ადრინდელი გულუბრყვილო, გაუაზრებელი ეგოცენტრულობა – პირიქით, ყველაფერში იგრძნობა სურვილი, შეევერტბოდეს შესაბამის ცხოვრებისეულ მოთხოვნებს, ან ზღაპრიდან, ისტორიიდან, ან სულაც რეალურ ცხოვრებიდან აღებულ „იდეალს“ „მოდელს“. დაქტა რეალიზმის, სიფხიზლის ქმი, დრო სამყაროსთან და ადამიანებთან შეგუებისა – და სულიერი ცხოვრება, რომელიც თითქმის უკვე სრულადაა ამ მხარისკენ ორიენტირებული, მაშინვე სუსტდება; და იკარგება უსასრულობის ის პერსპექტივა, საითაც სულ ცოტა ხნის წინ ის მთელი სულით ისწრაფვოდა. სულიერების შემცირების ეს ფაქტი, რომელიც მიმართულია სასრული და ქმნილი სამყაროსკენ, ქმნის იმ ტრაგიკულ განდგომას ბაგშვური შემოქმედებისგან, რომელიც ნიშანდობლივი იყო ადრეული ბაგშვობისთვის – შემოქმედებითობა შესაძლებელი ხდება მხოლოდ თავის „სასრულში“ – უკვე ცნობილ დიფერენცირებულ ხელოვნების ფორმებში, ვინაიდან ახლა ის არის გადაშლილი ბაგშვის წინაშე. ჯამში ბაგშვი მიმართულია ამქვეყნიური სასრული სამყაროსკენ, და ის წანამდვრები, რომლებიც იყო ადრეული ბაგშვობის კუთვნილება, ესთეტიკური ცხოვრების ეს საოცარი სიმდიდრე, უკვალოდ ქრება. ამის გამო მეორე ბაგშვობისას ესთეტიური ცხოვრება სუსტდება და იზღუდვება – შემოქმედებითი მისწრაფებების ნაკადი მიაღგება ნაპირს, ის სულ უფრო ვიწროვდება და მცირდება. სულიერი ცხოვრება

გაცილებით მკაფიო და ნათელი ნაკადით გაივლის მორალურ სფეროს – მეორე ბავშვობა არის კლასიკური დრო მორალური იდეების და წესების (რა თქმა უნდა, პეტერონომიული ხასიათის) ჩამოყალიბებისა. არა მხოლოდ ცხოვრებისეული სიფხოზლითა და რეალიზმით ხასიათდება მეორე ბავშვობა, არამედ მორალური სიფხოზლის „პრაქტიკული გონების“ ფორმირებითაც. მე არ უარვეულ იმ მნიშვნელოვან წვლილს ბავშვის მორალურ სამყაროში, რომელიც მოაქვს ადრეულ ბავშვობას, – სიფხოზლე, „კანონები“ და „წესები“, რომელიც ობიექტურად დგება ადამიანის წინაშე და ექვემდებარება შესრულებას, „ნორმისა“, და „ვალდებულების“ იდეა – მორალური ფსიქოლოგის ყველა ეს ტიპიური ნიშანი განისაზღვრება და ფორმირდება სწორებაც მეორე ბავშვობის დროს. ბავშვი ტიპობრივად „მორჩილია“ ამ ასაკში, ის სხვადასხვა კანონებსა და წესებს ინტერესით იდებს და ზოგადად „ეგუება“ არა მარტო ფიზიკური და სოციალური სამყაროს კანონებს, არამედ მორალურ კანონებსაც. მორალური ცხოვრების პეტერონომიულობას განსაზღვრავს არა მხოლოდ იმის არცოდნა, თუ როგორ უნდა მოხდეს საკუთარი მორალური იდეების ფორმირება და ტრადიციის მიღება, არამედ სწრაფვა, რომ შეიტყოს რისი „გაკეთებაა“ საჭირო ყოველივე ამის უმტკივნეულოდ და ტკბობით შეგუებისთვის. ეს არის არა შემოქმედების, არამედ თავმდაბლობისა და ავტორიტეტების მოსმენის მორალი, ეს არის იდეის სასარგებლოდ სიხარულით უარის თქმა საკუთარ შემთხვევით მორალურ მიგნებებზე, რომელიც ვლინდება ნათელ გმირულ სახეებში. ეს არის მიბაძვებისა და „გმირების“ განდიდების მორალი. ყველაფერი ეს ძალიან ფასეული და სასარგებლოა, თუმცა წინა პერიოდთან შედარებით ეს ყველაფერი – დარიბი, უმწეო და ფრთებშეკვეცილია.

რელიგიური ცხოვრებისთვის მეორე ბავშვობის ხანა ჯამში არც ისე სასიამოგნოა. ადრეული ბავშვობის საოცარი მისტიკიზმი, თავისი ინტუიციებითა და გონების განათებით ქრება, სულიერი მგრძნობელობა ამაღლებული სამყაროსკენ სუსტდება, სამაგიეროდ უფრო ახლობელი ხდება რელიგიის ცხოვრებისეული სახეები. ქრისტიანობა, რომელიც მოვითხოობს მაცხოვ-

რის და ლოთისმშობლის ცხოვრების შესახებ, წმინდანთა ცხოვრება და მათი გმირობები, განსაკუთრებულ საზრდოდ იქცევა და მნიშვნელოვანი ხდება სწორედ მიწიერი ცხოვრების კუთხით, რომელიც მგრძნობიარე და ღრმა, თუმცა მიწიერია. რელიგიური ცნობიერება იზრდება, თუმცა მცირდება კიდეც, როცა კარგავს თავის ინტუიციურ მგრძნობელობას, თუმცა სამაგიეროდ ის იქცევა მორალური ცხოვრების განმსაზღვრელ წყაროდ, ის ასაზრდოებს და ათბობს მორალურ სფეროს. ამ პერიოდში ბავშვები ძალიან უბრალოდ და ბუნებრივად გადადიან რელიგიურ აქტივობებზე – ტაძარში სიარული, განსაკუთრებით მასში მსახურება, წესების და ეკლესიური მოთხოვნების შესრულება მათვის ხდება ბუნებრივი და სასიამოვნო.

ბავშვის სულიერი სამყარო, რომელიც ცოცხლობს და ვთარდება, მაინც კარგავს ყველაზე არსებით თვისებას – სულის ცოცხალ მისწრავებას უსასრულობისკენ. ჩვენ უკვე საუბარი გვქონდა სხვა კავშირის შესახებ, რომ სწორედ ეს მისწრავება წარმოქმნის ყველაზე მთავარს და შემოქმედებითს სულიერ ცხოვრებაში – და ის, რომ მეორე ბავშვობას, მისი ამქვეყიური სამყაროსკენ მიღრეკილებით, თითქოს ადარ ესმის ზეციური მხმობელის ხმა, რომ ის უკვე ადარ ელტვის უსასრულობას, ხდება *terre a terre* – შესაძლოა იყოს ნაყოფიერი, მხოლოდ როგორც გარდამავალი პერიოდი, როგორც რეალიზმისა და სიფხიზლის ზრდის პერიოდი, მაგრამ ის რომ გრძელდებოდეს ხანგრძლივად, მთლიანად მოკლავდა სულიერი განათლების ძირითად წყაროებს. მეორე ბავშვობა სულიერად არასწორი, ცალმხრივია – და ამ პერიოდში ჩნდება ახალი საშიშროება, რომელიც რჩება ყველა პერიოდში – სულიერი დამახინჯების შესაძლებლობა. თავისუფლების პირველი დიდი აქტი, რომლითაც აღინიშნება მეორე ბავშვობის დასაწყისი არის ის, რომ ბავშვი ამქვეყნიურ და სასრულ ცხოვრებას ტყვედ გადაეცემა, ანუ ის იხრება იმისკენ, რომ უარს ამბობს თავის „სულიერ პირველყოფილებაზე“. ეს ტიპიურია არა მარტო მოცემული პერიოდისთვის, ჩვენი ყოფიერების მრავალ უბანზე თავისუფლება ხშირად რჩება ბნელ და გაუცნობიერებელ ძალად; და მეორე ბავშვობით იწყება გარყვნი-

ლების პერიოდი, რომლის მიღრეკილებები უკვე ჩანს 4–4,5 წლის ასაკიდან. ზოგიერთი თვალსაზრისით<sup>23</sup> მეორე ბავშვობა არის სულიერად ნაზი და დამყოლი, ვინაიდან ბავშვი უკვე ფლობს თავისუფლებას, თუმცა ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ აცნობიერებს მის აზრს, ძალაუფლებას და მოცულობას. ამ თვალსაზრისით მეორე ბავშვობა მოგვაგონებს მხედველობის განვითარების იმ დაწყებით სტადიებს, როცა ბავშვს აქვს თვალის ჩინი, მაგრამ ვერაფერს ამჩნევს (მისთვის მისაწვდომი „ხედვის“ მთელი მოცულობით), რადგან ვერ ფლობს თვალის უკველა კუნთს. ბავშვი ამ დროს უფრო ადგილად დაუშვებს თავისუფლების ჩაგვრას – თუმცა რეაქცია მოვა თავის დროზე კვერტად გამოხატული ჭაბუკობის ასაკის წინ და შენარჩუნდება მთელი ჭაბუკობის განმავლობაში.

თავისუფლებასთან ერთად, პირველად ამ სიტყვის საქმაოდ სერიოზული და ნამდვილი მნიშვნელობით, მეორე ბავშვობას უკვე გააჩნია „პიროვნების“ გაგება. ემპირიული თვითშემეცნება, საკუთარი ავტორობის და საკუთარი პასუხისმგებლობის, ინტერესის, მისწრაფების, გემოვნებისა და მოთხოვნების შემეცნება უკვე ლაგდება გარკვეული წესრიგით, ემპირიულ პიროვნებას სუსტად, თუმცა მაინც შეუძლია მათი მართვა. ორი ტიპის დუალიზმს, შინაგანი ცხოვრების ორ ფენას, რომელიც ჩვენ განვიხილეთ ადრეული ბავშვობის ხანაში, ჩაანაცვლებს გარკვეული არამდგრადი მთლიანობა, რომელიც, სამწუხაროდ, არის ის, რომ სულიერი ცხოვრების ნაწილი გადაინაცვლებს „იატაკქვეშეთში“ – რომელიც ჩვეულებრივ ამ პერიოდში ფორმირდება – და ის, რაც არ იმაღლება ამ იატაკქვეშეთში, ხდება ბავშვის ემპირიული ცხოვრების მოკავშირე, ბავშვი ექცევა მის ტევებაში, ცოცხლობს მისით, მას უძღვნის თავს. სულიერი და ემპირიული ცხოვრების სწორედ ეს შენივთება, რომელიც ჯერ კიდევ ახალი და სუსტია, საფუძველს უდებს „ხასიათს“, პიროვნების თვითრეგულაციას – რითაც სამუდამოდ წყდება კავშირი ადრეულ ბავშვობასთან, რომელიც ჩვენ ზევით მისი სულიერი სტატუსით დედის რძით საზრდოობის პერიოდს შევადარეთ. ბავშვი, რა

<sup>23</sup> ის. „ბავშვობის ფსიქოლოგია“, გვ. 72.

თქმა უნდა, იკვებება სულიერი სფეროთი, თუმცა უპვე „თავისით“, „თავისუფლად“ და თვითონვე განკარგავს საქუთარ თავს.

6. თუმცა ემპირიულ განვითარებას თვითონვე მიჰყავს ეს პერიოდი დასასრულისკენ იმით, რომ იწყება მასში ინტენსიური სქესობრივი მომწიფების ხანა – სიჭაბუქე. ცნობილია, რომ ეს ფაზა ხასიათდება გარკვეული სხეულებრივი და ფსიქიკური ჭრნობით – მეხსიერების, ყურადღების შესუსტებით, ადრინდელი ინტერესების დაჭვითოებით, განსაკუთრებით მკვეთრად გამოხატული ნეგატივიზმით (Ch. Bühler-ის ტერმინი) – ყველაფრის უარყოფით, რაც გარშემო მყოფებს სურთ. ისეთი ფუნქციებიც კი, როგორიც არის „გამოთქმები“ (Aussage), აქ არ არის საუბარი რთულ ფორმებზე, გვიჩვენებენ გოგონების დაცემას 11-11,5-12 წლის ასაკში, ბიჭებში კი – 12,5-13-13,5 წლის ასაკში. ამის შემდეგ კი იწყება ინტენსიური სქესობრივი მომწიფების აფორიაქებული, შფოთიანი და წინააღმდეგობრივი პერიოდი – სადაც ახალი ძალა (სქესი), რომელიც აქამდე ფარულად ან არასრულად მოქმედებდა, წინა პლანზე იწვევს. სქესის საბოლოო ფორმირება ხდება თავისი ხორციელი კუთხით, იგი ცვლის აღრინდელ, შედარებით „არადიფერენცირებულ“ ფაზას, და თავს იყრის ყოველთვის გენიტალიების ზონაში. ეს იწვევს მთელ რიგ არსებით ცვლილებებს ბიჭის (მეორადი სქესობრივი ნიშნები), და გოგონას (მენსტრუაცია) ცხოვრებაში, რომელიც დროებით აფერხებს სხეულის სხვადასხვა ორგანოების ზრდას. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვან, სხვადასხვაგვარ და სახიფათო სქესის გამოვლინებებს ადგილი აქვს ფსიქიკურ სფეროში. მათი გაგებისათვის საჭიროა ასეთი ფორმულირება მივცეთ სულიერ სამყაროში მიმდინარე პროცესებს: სიფხიზლისა და ბუნების „წესრიგში“ გარკვევის პერიოდის შემდეგ, სოციალურ და მორალურ ცხოვრებაში მოზარდი თავს გრძნობს მისთვის ახალი და უხილავი ძალის ტყვეობაში, რომელიც მოქმედებას იწყებს მისსავე სიდრმეში. ეს ძალა სწრაფად და ძლიერად განაგდებს ჩვევებს, ჩამოყალიბებულ გემოფენებებს, უბიძგებს მოზარდს სადღაც წინ, ამდვრევს და აღელვებს სულს, უბიძგებს მას ერთი უკიდურესობიდან მეორისკენ. შინაგანი აფორიაქებულობა, ურთიერთსაწინააღმდეგო

სურვილები, მოულოდნელი კაპრიზი, თვითნებობა, ხშირად სურვილი კანონებისა და საკუთარი ჩვევების საწინააღმდეგოდ მოქმედებისა, სიფიცხე და ახალგაზრდული ქედმაღლობა – ამ ყველაფრის მკვეთრი მონაცელეობა, ზოგადი მგზნებარება, რომელიც თავის პაროქსიზმებში დიდხანს არ გრძელდება, თუმცა ძალიან ძლიერი და ბობოქარია – ეს ყველაფრი გვიჩვენებს, რომ მოზარდის სული სრულიად გაშორდა სიცხიზღვესა და რეალიზმს, წესების მორჩილებასა და წესრიგის შეგუებას, – რომ ის, ახლა უფრო სხვაგარად, კვლავ უბრუნდება თავის თავს, თუმცა უკვე არა გულუბრყვილო, არამედ მეოცნებე ეგოცენტრიზმის ფორმით. „მეოცნებეობა“ არის ამ პერიოდის გასაღები და აი, რატომ - მხოლოდ ამ პერიოდიდან იწყება ნამდვილი თვითშემეცნება, გემო საკუთარი შინაგანი სამყაროსი და მისწრაფება მისკენ, მკვეთრი ხაზგასმა საკუთარი სურვილებისა და ბობოქარი შთაგონებისა. შინაგანი სამყარო, რომელიც აღმოჩნდება უსასრულო და უკიდეგანო, ირაციონალური და ჩაუწვდომელი თავად მოზარდისთვისაც, წინა პლანზე წამოსწევს სხვადასხვაგარ „ოცნებებს“ – გრძნობებს, სურვილებს, გეგმებს – ის სრულიად არ აქცევს ყურადღებას მას, თუ რამდენადაა ისინი რეალიზებადი. მკვეთრი და მტკიცე ირეალიზმი, რეალობის უგულებელყოფა, დაჯერებულობა საკუთარი სამყაროი ცხოვრებისა, აძლევს ყველა სურვილსა და ჩანაფიქრს ოცნების სახეს, რომელიც მოზარდს სოციალური სამყაროსგან იზოლაციაში ეხმარება. ამ პერიოდსაც ადრეულ და მეორე ბავშვობასთან კონტრასტში დაჰყვება ასოციალურობის გემო და სუნი, რომელსაც ახლავს მარტოობის გრძნობა, რომ მისი არავის ექმის, თავს ზედმეტად გრძნობს და ტანჯავს ყველასა და ყველაფრისგან მოწყვეტის ტრაგიკული შეგრძნება. ამ პერიოდის სულიერ ცხოვრებაში სულ სხვა სტილს ვამჩნევთ: სული ისევ გრძნობს თავს უსაზღვრობის, უსასრულობის წინაშე, რომელიც მის გარეთ კი არა, მასშია, მისივე სულის საიდუმლო სიღრმეებში. ეს პერსპექტივა ბნელი და ბუნდოვანია, მაგრამ მას ახლავს ისეთი გამონათებები, რომლებიც რაღაც უცნაური ძალით ამშვიდებს სულს. ეს ხანა არ არის მორალურად სრულიად ბნელი, ალბათ, უფრო მორა-

ლურად ორაზროვანია, ვინაიდან მასში არის მგზნებარე მისწრა-  
ფებების, თვითშეწირვისა და ასევე ყველაზე უხეში ეგოზმის  
საწყისებიც – თუმცა მას აქვს თავისი იმპერატივები, რომლის  
სხვებისთვის ახსნაც მოზარდს არ შეუძლია, მაგრამ რომელსაც  
ის ვერ უწევს წინააღმდეგობას და მიეცემა ამ გრძნობებს რადაც  
ტკბილი და მორცხვი მგზნებარებით. ეს გახდავთ ახალი მო-  
ტივების ცხოვრების ჩვეულ მოტივებთან გამუდმებული კონ-  
ფლიქტების მიზეზი და გარდაუვალობა ტრადიციული მორა-  
ლის მგზნებარე უარყოფისა, ამ ქმედებით მოზარდი შედის ნაწი-  
ლობრივი ან (უფრო იშვიათად) სრული ანომიზმის, სუბიექტი-  
ვიზმსა და იმპრესიონიზმის სტადიაში. ამ მორალური გარდა-  
ტების არსი არ მდგომარეობს ჰეტერონომიის (სხვისი ნების)  
უარყოფაში და საკუთარი ნების დემონსტრირებაში – ეს მომენ-  
ტი აქ არის წარმოებული და მეორადი; მთავარი აქ არის პრაქ-  
ტიკული გონის უარყოფა - როდესაც ჭაბუკი მიეცემა მოზღვა-  
ვებულ გატაცებებს - მორალის „ალოგიზმი“, იმპრესიონიზმი.  
თუ უფრო ჩაგულრმავდებით, ძნელი არ იქნება მორალური მის-  
ტიციზმის აღზევების დანახვაც, ანუ მისი საქციელი ნაკარნახე-  
ვია იმით, რაც მომდინარეობს საკუთარი მანათობელი ძალის-  
გან და არა გონებისა თუ ტრადიციისგან. ეს ძალიან მნიშვნე-  
ლოვანი, ძალიან შემოქმედებითი, თუმცა უკიდურესად ქაოტური  
ახალი სტილი მორალური ფსიქოლოგიისა ყველაზე უკეთ ახა-  
სიათებს სულიერ ცხოვრებას, რომელიც მოულოდნელად იძენს  
ფრთხებს – რომელიც ჯერ კიდევ ახალი და არასაიმედოა, თუმ-  
ცა შიგნიდანაა აღმოცენებული და „საკუთარი“ პგრნია. მთელი  
სულიერი განწყობის ირეალიზმი, რეალობისადმი დაუდევარი  
და აგდებული დამოკიდებულება, მეოცნებე ეგოცენტრიზმი არის  
ახალი მისტიკური ძალის მოდინების შედეგი, რომელსაც მოზარ-  
დი ყველაზე ნაკლებად აცნობიერებს სქესის აღზევების საი-  
დუმლოს ფონზე. თუკი ამ დროისათვის – შხამიანი გარემოს  
გავლენით – ყრმის წარმოსახვა უკვე გამდიდრებულია სექსუა-  
ლური სიუჟეტებით, მაშინ მის ცნობიერებაში ერთმანეთს შეიძ-  
ლება უკავშირდებოდეს მხოლოდ სხვადასხვა სხეულის სექსუა-  
ლური მოქმედები – რითაც გამოირჩევა ავადმყოფური, თუმცა

გარდაუვალი, შეიძლება ითქვას (მოზარდისთვის), ნორმალური განხევქილება სექსუალობასა და ეროტიკას შორის, რომელიც ჩვეულებრივ დაძლეულია „შეყვარებულობისას“<sup>24</sup>. თუმცა თუკი მოზარდი არ აღიარებს, რომ სქესის მომენტი დევს მასში იმ ახალი შეგრძნებების საფუძველში, რომელიც განუსაზღვრელი, თუმცა ბობოქარი და ვნებიანია, რომელიც ისწრაფვის, მისცეს მას საკუთარი თავის გამოვლენის შესაძლებლობა, - მაშინ ობიექტური ანალიზი ადვილად აღგენს კავშირს ამ ახალი შეგრძნებების, მეოცნებეობის, გამორჩეულობის, სქესის მომენტის მორალური იმპრესიონიზმისა, რომელსაც მიჰყავს მოზარდი შინაგანი უსასრულობისა და უფსკრულისკენ. უსასრულობის გაუაზრებელი შეგრძნება, იმ უფსკერობის შეგრძნება, რაც მასში ახლა ცხოვრობს, სულიერად განაშორებს რეალიზმის სიმწირეს, და უხმობს იმ უსასრულო, ბნელი და ბუნდოვანი, თუმცა ძლიერი და ტკბილი, სულის სიღრმის ამაფორიაქებელი სივრცისკენ.

მოზარდის სულიერი სამყარო ისევ ეგოცენტრულია, პიროვნებას კვლავ კრისტალიზაციის მყარ წერტილად წარმოუდგნია საკუთარი თავი, ყველაფერი მის გარშემო და მისთვის ტრიალებს – თუმცა ვიწრო სამყაროს მკვეთრად მოხაზულ საზღვრებს ეს „კველაფერი“ არღვევს და სცდება, ის არღვევს ყველა კანონსა და წესს; ოცნება და რეალობა ისევ ხდება ძნელად გასარჩევი. დგება იმის უცნაური რეციდივი, რაც იყო ადრეულ ბავშვობაში, სადაც თამაშები ცვლიდნენ რეალობას – მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ადრეულ ბავშვობაში თამაშისას საჭირო იყო თუნდაც „წვეთი“ რეალობისა – აქ რეალობის ყოველი „წვეთიც“ კი ხელის შემშლელია, აქ კველაფერი სუბიექტურია, რაც იძლევა რეალურის და გამოგონილის არევის თავისუფლებას. წარმოსახვა იკავებს სულში უზომოდ დიდ ადგილს, თუმცა როგორც ადრეულ ბავშვობაში, ის ფერს კი არ უცვლის, კი არ ასულიერებს რეალობას, არამედ პირიქით – უარყოფს რეალობას და ცვლის მას. ამის გამო ყოველგვარ შეყვარებულობას, რომელიც არის სქესობრივი ძიების „ობიექტი“, აქვს უზარმა-

<sup>24</sup> იხ. ჩემი ბროშურა „საუბრები ჭაბუქებთან სქესის საკითხებზე“.

ზარი მნიშვნელობა, როგორც მავნე სუბიექტივიზმის დაძლევას. თუმცა, ამ ობიექტზე შეიძლება მოზარდისთვის მომძლავრებულად ჩაერთოს მთელი რეალობა, და ყველაფერს მისი ელფერი მიეცეს – თუმცა მაინც სწორედ აქ არის გამოსავალი მავნე სუბიექტივიზმიდან.

ერთი ყველაზე არსებითი, თუმცა ჯერ უსარგებლო, მაგრამ მეტისმეტად „დამანგრეველი“ განცდა ამ დროს არის ახალი განცდა თავისუფლების უსასრულობის, გარკვეული უსაფუძვლებისა და სიღრმის განცდა; სწორედ თავისუფლების შეგრძნებაა მოზარდის არაფხიზელი და უგუნური მოქმედებების მიზეზი. რა ვუყოთ თავისუფლებას, რაშია მისი საზრისი და „საიდუმლო“, არსებობს თუ არა მისთვის საზღვრები – ეს ყველაფერი გაურკვეველია, თუმცა თვითონ თავისუფლების გაცნობიერება სულს ართმევს სიფხიზლეს – მოზარდს სურს დაუსრულებლად იხმიოს ამ წყაროდან, ამტკიცოს თავისი თავისუფლება, „უგუნურადაც კი – „გონების საწინააღმდეგოდ და სტიქიების საპირისპიროდ“. და ხასიათის განმტკიცების მთელი ის აღმშენებლობითი მუშაობა, თვითორეგულაციის ის გამოცდილება, რომელიც გროვდებოდა მეორე ბავშვობის ხანაში, აქ აღმოჩნდება ისეთი უბადრუკი, უფერული, შეიძლება ითქვას სუფთა ტექნიკური, რომელიც იძლევა საკუთარი თავის განკარგვის უფლებას, თუმცა არის ბრმა და უგუნური და არ იცის, როგორ და რისთვის გამოიყენოს ეს ძალაუფლება. პიროვნება ხდება ისევ მერყევი, შეუძლია ყველაფერს წაეტანოს, უარყოს გუშინდელი გადაწყვეტილება; თვითორეგულაციის მცირე გამოცდილებამ შეიძლება ის შეაკავოს, მაგალითად, სპორტით, თუმცა ეს ტექნიკური ფუნქცია შორსაა იმ მორალური აღტყინებისგან, რომელიც სულცოტა ხნის წინ იყო მის სულში.

საშინლად ჭრელი, განუსაზღვრელი, ურთიერთსაპირისპიროა ამ დროს რელიგიური სფერო. მეორე ბავშვობის ბოლოს მოზარდი კარგავს იმ ნათელი უსასრულობის ხედვის უნარს, რომელიც ყოველმხრივ მოეფინებოდა, ანათებდა, ეფერებოდა ბავშვის სულს ამ დრომდე. სიბძელე ისადგურებს მოზარდის ირგვლივ. უცებ ის „გადაწყვეტს“ – რომ დმერთი არ არსებობს და დარ-

წმუნებულია, რომ მას არა აქვს რწმენა, თუმცა ასევე „უცხბ, ინერციით იწყებს ჩვეულ ლოცვას – და დროებით დრმა მდელ-ვარება, მისტიკური აღტაცებები იპყრობს მის სულს. ეს მხო-ლოდ ცდუნებაა, ეს მოწვენებითი მადლია. რელიგიური სფერო თითქოს მთლიანად ნაჭუჭმია მოქცეული, ის ცოცხლობს წარსუ-ლით, სადღაც მიზანმიმართულად სულში იღვრება „სიოხე“ – თავისი არსით სიჭაბუკე რელიგიურად ცარიელი, თუმცა ძალიან მისტიკურია – მაგრამ ეს მისტიკა უფრო მიწიერია – ის ქძლევა მიწისქვეშა და არა ზეციურ მისტიკას. რელიგიური მსჯელობე-ბი, სადაც მიმდინარეობს იგივე თამაშები, როგორც ყველა ასაკ-ში ამ ასაკშიც შეიძლება იყოს ცარიელი ან სერიოზული, დრმა ან ზედაპირული, თუმცა, სამწუხაროდ, არარეალური. საშიში და არასასიამოვნო პერიოდია – ბინდი განთიადის წინ, რაღაც ბნე-ლი დამე მომავალი მზის ამოსვლის წინ.

მოზარდის სულიერი სახე განისაზღვრება იმით, რომ მისი სულიერება, რომელიც უკვე სამუდამოდ შეენივთა მისსავე უმპი-რიულ პიროვნებას, თავისუფლდება გარეგანი სამყაროს ტყვეო-ბისგან. მართალია, ის ახალ – ბილწ და საშინელ, თუმცა მაინც სქესის საიდუმლო ძალის შემოქმედებით ტყვეობაშია მოქცეუ-ლი, მასში დვივდება ის ცეცხლი, რომელიც ფეხს იკიდებს ჭა-ბუკის არსების ბნელ სიღრმეში, ეს ახალი ტყვეობა აკავშირებს პიროვნებას „მიწიერებასთან“, რომელიც თავისი ფესვებით უკავ-შირდება სამყაროს ოდინდელ, სოფიურ საფუძველს. პიროვნება მერყევია, თუმცა მასში უკვე სხვაგვარად იღვრება მიწიერების სურნელი, სქესის შემოქმედებითი ძალის ძლიერი ნაკადები ავსე-ბენ მას. რა ძალაა ეს, რა ამოცანებს აყენებს ის ჩვენ წინაშე – ეს ყველაფერი გაურკვეველია, მაგრამ ყრმობაში ხდება საიდუმ-ლო „დაბრუნება“ ანუ საიდუმლო შეერთება სამყაროსთან უსას-რულობაში, სოფიურ მარადიულობაში, თუმცა, სამწუხაროდ, სქე-სის ორაზროვანი ძალის მეშვეობით.

7. ფსიქოფიზიკური და სულიერი განვითარების დიალექ-ტიკა მიდის დასასრულისკენ, როცა დგება სიჭაბუკის ჟამი, რომელიც სინთეზურად აერთიანებს ყველა განვლილ პერიოდს, რათა დაეხმაროს პიროვნებას ახალ ფაზაში – სიმწიფეში –

შესასვლელად. ადრეული ბავშვობიდან სიჭაბუკეში ბრუნდება სამყაროსთან ურთიერთობის ესთეტიკური ტიპი – თუმცა მას ამჯერად სულ სხვა საფუძველი აქვს, ვიდრე ეს იყო ადრეულ ბავშვობაში, და მაინც ის შემოდის ნათელი უსასრულობის ცოცხალი და გამკაუებელი გრძნობით, რომელიც ისევ დია ჭაბუკი სულისათვის. მეორე ბავშვობიდან სიჭაბუკეში გადადის გარეგანი, სოციალური და მორალური სამყაროს კანონებისა და წესრიგის მიმართ უურადღება, თუმცა ეს უურადღება არავითარ კავშირში აღარ არის მორჩილებასა და კანონების შეგუბეასთან, პირიქით, ის სავსეა სამყაროს შემოქმედებითი შეცვლის ზრახვებით მისი წესებისადმი მორჩილების საშუალებით. და ბოლოს, ყრმობა ჭაბუკობას გადაულოცავს სქესის დაუმორჩილებელ ძალას, თუმცა თითქოს უფრო მოთვინიერებულსა და ნათელი ეროსით გასპეტაკებულს, რომელიც ჩვეულებრივ პოულობს თავის ობიექტს, ვისი შთაგონებული თაყვანისცემითაც ყვავილობს სულის ყველა საუკეთესო ძალა. სიჭაბუკე თავისი არსით არის ორგანული პერიოდი, შინაგანი ერთიანობისა და შემოქმედებითი მთლიანობის პერიოდი, გატაცებებისა და შთაგონებების ხანა, ენთუზიაზმის, ადამიანისა და სამყაროსადმი ნდობის ჟამი. სიჭაბუკე სავსეა ძალით, მდიდარია შემოქმედებითი აზრებით, გასაოცარია თავისი იდეალიზმით, ის მამაცი, შემართებული და სხვა სიკეთეებთან ერთად დიდბუნებოვანია. სიჭაბუკე მომხიბლავია იმიტომ, რომ ცხოვრების გზა, რომელიც თითქმის უკვე დია მისთვის, ჯერ კიდევ არაურით ზღუდავს და ტანჯავს მას – ეს არის ცხოვრების გზის არჩევის და გეგმების შედგენის დრო<sup>25</sup>, უპირატესად ის არის თავისუფლებისა და შემოქმედებითი დამოუკიდებლობის, დიდი ჩანაფიქრებისა და ნათელი უტოპიების, გმირული გადაწყვეტილებების ჟამი. სიჭაბუკის ფსიქოლოგიის გასაღები დევს მის სულიერ წყობაში – ადამიანის ემპირიასა და სულიერ სამყაროს შორის იმ ინტუიტიურად ნაპოვნ წონასწორობაში, რომელიც ჯერ კიდევ არ არის უკანასკნელი საზღვარი ამ „მისტიკური“ ამოცანის ამო-

<sup>25</sup> ეს განსაკუთრებით კარგად დაახასიათა Spranger-მა თავის “Psychologie des Jugendalters”.

სახესნელად<sup>26</sup>. თუმცა რომელიც უკვე აღარ ეფუძნება ადრეული ბავშვობის გულუბრყვილობებს. სიჭაბუკე იმითაა შესანიშნავი და მიმზიდველი, რომ მასში „ბუნებითად“ კიდევ ერთხელ წამო-წევს წინა პლანზე ერთმანეთის გვერდიგვერდ მდგომი სულიერი და ემპირიული მხარე ჩვენში – და მათი ურთიერთშეხება წარმოადგენს ნამდვილ მისტიკურ და ესთეტიკურ მიღწევას. აქ აღარ არის მომსიბლელი, თუმცა გულუბრყვილო და ამის გამო რდგე-ვისთვის განწირული, ადრეული ბავშვობისდროინდელი სიახ-ლოვე ორი სფეროს; სიჭაბუკიდან ყოველთვის უბერავს გენი-ალურობის სიო, ან თუნდაც მისი ანარეკლი, თუმცა ეს ხდება მხოლოდ ცალკეული გამონათებებისას – ვინაიდან აქ სინამდვი-ლის სულიერი სამყარო ასულდგმულებს და ათბობს ადამიანის ემპირიულ შემადგენლობას. აქ სულიერ სამყაროს ადგვს ცხოვ-რებისადმი „შეგუების“ ბორკილები, როგორც ეს არის მეორე ბავშვობის ხანაში, ის თავისუფალი და აღვსილია იმ უსასრუ-ლობის სუნთქვით, რომელიც ემპირიულად არასდროს გამოიხა-ტება ისე სრულად, ისე ნათლად და ისე მომსიბლელად, როგორც სიჭაბუკის ხანაში. სულიერი სიმწირისგან აღარაფერი რჩება, თუმცა სიჭაბუკე შეიცნობს სამყაროს, უყვარს იგი და უნდა მასზე ზემოქმედების მოხდენა, რომ შემოქმედებითად მასში გამოავლი-ნოს საკუთარი თავი. თუმცა ის უსასრულობა, რომელიც მთელი თავისი სისრულით იშლება პიროვნების წინაშე, არ არის მხო-ლოდ სქესის ბნელი უსასრულობა – სიჭაბუკე ამისგანაც თავის-უფალია. ისიც ცხოვრობს სქესის ცხოვრებით, ის სავსეა ცეცხლითა და ძიებებით, თუმცა ეს არ არის ის ყველაფერი, რითაც ცხოვ-რობს სიჭაბუკე – მის წინაშე ისევ იშლება ზეციური უკიდეგანო

<sup>26</sup> Delacroix-ი თავის ადრინდელ შესანიშნავ წიგნში “étude d’histoire et de psychologie du mysticism” გვაძლევს მისიტიკური განვითარების ისეთ სქემას, რომელიც იწყება „რელიგიური გაზაფხულიდან“: 1. ადამიანში სულიერი და ემპირიული სამყაროს ადრეული, წინასწარგანზრახული მთლიანობის ფაზა; 2. მათი განცალკევების ფაზა, რომელიც იწვევს მძაფრ და მტანჯველ შინაგან კონფლიქტებს; 3. მთელი შინაგანი სამყა-როთი და ნათელი მთლიანობით მათი სიმინდები საბოლოო შენივთუ-ბის ფაზა. თავისი არსით ჭაბუკობას, როცა ის ნორმალურად მიმდინარ-ეობს, გააჩნია „რელიგიური გაზაფხულის“ თვისებები.

სივრცე და ამიტომაც არის სიჭაბუქის ხანაში ამდენი ბუნებრივი დიდსულოვნება და კეთილშობილება, ამდენი სულიერი პირდაპირობა და სიკეთე. პიროვნება აღწევს თითქმის სრულ გაფურჩქნას, ჯერ კიდევ არ იკარგება ის მრავალფეროვნება, რომელიც მასშია, თუმცა ისე მსუბუქად და უდიერად ეპყრობა მას, თითქოს მასში არის გამოულეველი ძალა. სიჭაბუქე არ არის ანგარებიანი, თუმცა ზოგჯერ მასშიც მოქმედებს ცხოვრებისეული ჩვევების ინერცია, რომელიც სულში ბავშვობის მეორე პერიოდიდან მკვიდრობს, ის არ არის ანგარებიანი იმიტომ, რომ მდიდარია და არ უჭირს არაფრის გაცემა. ხშირად საკუთარი სიმდიდრის ასეთი უდიერი განკარგვის უკან დგას ნამდვილი ძალა და სწორედ ამ პერიოდში ცოცხალ და მგზნებარე მისწრავების უამს სიჭაბუქე თავს უძღვნის გმირობას, რომლის ერთგულიც შესაძლოა ის მთელი ცხოვრება დარჩეს. სიჭაბუქის შთაგონება არის არა ოცნება, არამედ ნამდვილი მხატვრული ჩანაფიქრი, რომელიც წინ უსწრებს შემოქმედებითი მუშაობის პერიოდს.

სიჭაბუქის ხანაში აღწევს სისრულეს თავისი სუბიექტური და ობიექტური სიმწიფით თავისუფლების ნიჭი. სიჭაბუქე უკვე აცნობიერებს უფლებას - იყოს თავისუფალი, აცნობიერებს თავისუფლების ძალას, შესაძლოა არა დანაწევრებულ ცნობიერებაში, არამედ უფრო ინტუიციურად, მაგრამ მაინც სრულად. მეორე მხრივ, პიროვნება უკვე ნამდვილად ფლობს თავისუფლების ნიჭს, ვინაიდან არც ფიზიკური, არც სოციალური, არც მორალური ძალა და ტრადიცია უკვე არ ეღობება მას თავისუფლების გზაზე. „მთელი ცხოვრების მანძილზე“ მხოლოდ ყრმობისასაა (მომწიფების ასაკამდე) შესაძლებელი ნამდვილი და არა მოწვენებითი გმირული გადაწყვეტილებები, მხოლოდ სიჭაბუქეშია შესაძლებელი სულის ანთება ერთხელ და სამუდამოდ, მერყეობისა და ცვლილებებისა, დალატისა და ჭრნობის გარეშე.

8. სწორი იქნებოდა, რომ სიჭაბუქე თავისი არსით დაგვეხასიათებინა, როგორც რელიგიური პერიოდი, ოდონდ არა სულიერი ცხოვრების მნიშვნელობით, არამედ რაღაც მიმსგავსებული ეტაპი. რელიგიური ცხოვრება ჩვენ გვაერთებს ლმერთოან, უსასრულობასთან და ჩვენ ქმნილ ყოფიერებას ავსებს მისწრაფე-

ბით, – და ეს არის ჩვენი საკუთრება სიჭაბუქისას, მაშინაც კი როცა ჭაბუქის არსების ცნობიერებისთვის უცხოა რელიგიური კატეგორია ან არადექვატურად აცნობიერებს მას. ეს უკანასკნელი უფრო ხშირია, ვიდრე მეორე, მეტ-ნაკლებად იშვიათი კი - პირველი (საკუთარი სიჭაბუქის „არსის“ გაცნობიერება), და ეს უკავშირდება არა მარტო ზოგად ინდივიდუალურ, არამედ ინდივიდუალურ მიზეზებს. ყველაზე ხშირად ჩვენ ვხვდებით რელიგიური ცნობიერების სრულ გამოცარიელებას, გაველურებას, ან დამახინჯებას, რომლის დროსაც თითქმის აღარ არსებობენ რელიგიური კატეგორიები, წარმოაჩენენ დმერთს არა მისი მიუწვდომელი, ყოველისმომცველი სიყვარულის და შემოქმედების ცეცხლით, არამედ, დამახინჯებული და შეზღუდული მსაჯულის, მოსამართლის სახით, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი მიწიერი და რომელიც შეუვალია თავის მოთხოვნებში. ჭაბუქობის რელიგიურობა – მისტიკურია, ის ცოცხლობს და ფეთქავს მარადიული მასაზრდოებელი ცეცხლით, ნათელი და მაღლმოსილი შემოქმედებითი ძალით, ღვთაებრივი სიყვარულით, რომელიც არის მარადიულად მოქმედი და მოწყალე. და თუ რელიგიური ცნობიერება დაითრგუნა, დაცარიელდა ან საერთოდ გაქრა – სული შეფარვით, თუმცა არა სრულად – ადრეული ბავშვობის გახსენებისას მისი განუმეორებელი უშუალობით, იხედება ღვთაებრივ უსასრულობაში, მისით კიაფობს და მისით სულდგმულობს. მაგრამ ის, რომ სიჭაბუქე თავისი არსით, მისი შემართებით ცოცხლობს მისტიკური რელიგიური ცხოვრებით, რა თქმა უნდა, არასრულია და არასაკმარისია: სიჭაბუქის და მისი უბედურებების წეარო სწორედ ის არის, რომ ის ადგევატური სისრულით იშვიათად აცნობიერებს იმის არსს, რაც ასკეტაკებს და ასულდგმულებს მის სულს. და აქ არა მხოლოდ შესაძლებელია ის, რომ მთელი რელიგიური ძალა ამ წვისა დარჩეს შეუცნობელი თავისი ნამდვილი არსით, არამედ შესაძლებელია, რომ სიჭაბუქე თავისი წვით და სუფთა ენთუზიაზმით მიეცეს სამყაროში რელიგიის ნგრევას. სიჭაბუქის შესანიშნავი ფაქტი არის სწორედ ეს დასაზღვრულობა – რელიგიური ძალების სიმდიდრე და ემპირიული ცნობიერებით იმ ნამდვილი აზრის შეუცნობელობა, რითაც

ცოცხლობს და არსებობს ის. გასაოცარი სულიერი სიმდიდრის პირობებში ასეთი სულიერი სიბრმავისას არა მხოლოდ აღმოჩნდება, რომ ჭაბუკობა შედის ბავშვობის საერთო სისტემაში, არამედ ვლინდება ადამიანის მთელი ტრაგიკული აფორიაქტულობა, ზოგადი მიღრუებილება ცოდვისკენ, რომელიც სამყაროშია. წმინდა ნათლობა სულს ათავისუფლებს პირველქმნილი ცოდვის სიმძიმისგან – და აქ უნდა ვეძებოთ გასაღები სიჭაბუკის ყველაზე ტრაგიკული და ყველაზე არსებითი ფაქტისა. სულიერი სიბრმავე (რომლის დაძლევა მხოლოდ ღვთისგან და მხოლოდ რჩეულებისთვისაა შესაძლებელი) ვერ დაიძლევა ვერანაირი „განათლებით“ და საერთოდ ინტელექტით; სიჭაბუკები შინაგანად უნდა დაინახოს თავისი თავი ღმერთში, გაიაზროს საკუთარი შემოქმედებითი ძალა, როგორც ძალა ღვთის წინაშე დგომისა. მხოლოდ შინაგანი წვის შედეგად იგებს ამას სული – მის გარეშე ის არის სულიერ წყვდიადში. რელიგიური განათლება აქ სულს ვერ უშველის – მას სჭირდება ცხონება, ვინაიდან სიჭაბუკის მთავარი თემა, რომელიც გრძელდება ზრდასრულობის საპასუხისმგებლო ასაკამდე არის ის, თუ როგორ ვიპოვნოთ საკუთარი თავი ღმერთში მაშინ, როდესაც უკვე ვმყოფობთ მასში. ცოდვის ეს პარადოქსი, რომელიც სამყაროს მოიცავს, სწორედ ის გახლავთ, რომ ჩვენ არსებითად მხოლოდ ღმერთში ვცოცხლობთ, მხოლოდ მისი მადლით ვარსებობთ – და ამასთანავე არ შეგვიძლია მისი პოვნა, თუმცა ის ჩვენ გვერდითაა. ეს ესება მათაც, ვინც რელიგიურია თავისი ცხობიერებით: სულში უნდა გაიხსნას შენოვის ის, რაც შესანიშნავად გამოთქვა ნეტარმა ავგუსტინემ: „შენოვის შეგვემნი, ღმერთო, და ვერ დამშვიდდება ჩვენი სული, სანამ არ გიპოვნის“. ეს კი არ უნდა გავიგოთ, არამედ სულის სიღრმეში უნდა შევიგრძნოთ.

ცხონების თემა თავისი არსით დგება აღზრდის წინაშე, სწორედ სიჭაბუკისთვის დამახასიათებელი პედაგოგიური აზროვნების წინაშე – რომელიც ესოდენ მდიდარი და სულიერად ესოდენ ბრძანა. ადრეული ბავშვობა, მეორე ბავშვობა, ყრმობა – ეს ჯერ ისევ Vorspiel, თუმცა მიმართულია მომავლისკენ, სიჭაბუკე, თითქმის უკვე სიმწიფეა. ერთი ფეხით ის სიმწიფეშია, და ამასთანავე ყველაფერი,

რაც მას ელოდება ზრდასრულ ასაკში, როგორც ტვირთი და სიცრულ, შინაგანად კავშირშია სიჭაბუქესთან. თავისუფლება უბეჭ ზემობს, თუმცა ის ისეთი ორაზროვანია, რომ საჭიროა მისი, როგორც ნიჭის, როგორც შემოქმედებითი და კეთილი ძალის გადარჩენა. პიროვნება უკვე დგას ფეხზე, თითქმის გამოვლინდა, – თუმცა ეს ხდება საკუთარი თავის ცოდვისმიერი გამოცალაკვების სრული ძალით, ცოდვილი ძალით, რომელსაც ინდივიდუალიზმს ვუწოდებთ. ორგანული სინთეზი, სულის მთლიანობა მიმზიდველობითა და მოულოდნელი აღმასვლით არის მოცემული, თუმცა იმავდროულად უკვე ჩანს, რომ შეუძლებელია ამ მთლიანობის შენარჩუნება და განხორციელება. სიჭაბუქის „წამები“ მშვენიერია, თუმცა შეუძლებელია მისი შეჩერება. არა სიჭაბუქის ცოდვები – (შესაძლოა ისინი არც იყოს), არამედ პიროვნების „არსებითი“ მიღრეკილება ცოდვისკენ – აყენებს ცხონების თემას და ვისაც შეუძლია ამის გაგება, შეუძლია ამ თემის მიღება, მას უკვე აღარ შეუძლია მისი დავიწყება. სიჭაბუქე რომ არ იყოს ასეთი მშვენიერი და მიმზიდველი, ის ასე მგვეთრად ვერ დააყენებდა აღნიშნულ თემას – მაგრამ ამ გაზაფხულის ფოზზე, ამ მოყვავილე ცხოვრების კეთილსურნელებაში, ვინც ხედავს სიჭაბუქის ცოდვისადმი მიღრეკილუბას, – ის უფრო აღვილად მარცხდება ამ ცოდვის მიერ.

9. პირველი და უმთავრესი, რაც ტიპობრივი და არსებითია სიჭაბუქისთვის – ეს არის არსებითი ცოდვიანობა მისი „გამორჩეულობის“ გამო. იმის ფოზზე, რაც ჩვენ წინაშე უკლესის საიდუმლოს წყალობით იშლება, როგორც მაღლმოსილი ერთობის საიდუმლოს საშუალებით, ნებისმიერი გამორჩეულობა, რომელიც თავისი არსით უკავშირდება პიროვნების გამოვლენას, არის ცოდვა. აქვე უნდა აღინიშნოს: ნათლისიდების საშუალებით ხდება ცოდვების მიტევება, რომელიც პიროვნულ საწყისში, თითოეული ჩვენგანის პიროვნულ პოლუსშია, მისით იწმინდება და სპეციალუბა პიროვნული ფუნქცია, თუმცა თითოეული ჩვენგანი მისტიკურადაა ფესვგადგმული მთელი სამყაროსა და კაცობრიობის კრებითობაში – და ეს, ასე ვთქვათ, „პიროვნების მიღმისული“ ჩვენში შეუძლებელია განიწმინდოს ნათლობით იმიტომ, რომ ის არსებითად ზოგადია მთელი სამყაროსათვის; სოფიური ადამიანში „ჰიპოსტა-

ზურზე ადრინდელი“ შეუძლებელია განიშვინდოს იმით, როთაც იშვინდება ჩვენში პიროვნული პოლუსი. და ის რომ პიროვნების განვითარებასთან ერთად იკარგება ერთობის უშეალო განცდა (რაც ნაწილობრივ ისევ გვიძრუნდება სიყვარულითა და ქორწინებით), ის, რომ პიროვნება განვითარებასთან ერთად აუცილებლად გამოაცალკევებს თავის თავს – ეს არ არის მისი ცოდვა, ეს არის მთელ სამყაროში არსებული სიცრუის შედეგი, ეს არის სამყაროს სოფიურ საფუძველში იმ გაორების ფუნქცია, საიდანაც მომდინარეობს ქმნილი სოფიას ორი სახე, რა თქმა უნდა, ფსიქომატერიალური სინამდვილე ხდება გამტარი და არა წყარო<sup>27</sup> ამ სულიერი გამორჩეულობისა, რომელიც „ფატალურად“ თან გვდევს ყველგან და ყველაფერში. სიჭაბუქის დროს, მიუხედავად მიმწდობი და მოსიყვარულე დამოკიდებულებისა ყველა ადამიანის მიმართ, სწორედ კონტრასტი ხდის თვალსაჩინოს იმას, რომ პიროვნება, როგორსაც ჩვენ ვხედავთ სამყაროში, თავის თავში ატარებს დამანგრეველ საწყისს საკუთარი სოციალური და სულიერი სიბრძანის, თავისი სინამდვილის შეუგრძნობლობის გამო, მას დახურული აქვს გული იმის გასაცნობიერებლად, რომ პიროვნება არის სხვა ადამიანების თანაარსი. ჩვენს ყველაზე საუკეთესო ქმედებებშიც კი სიჭაბუქში ჩვენ გვამოძრავებს ჩვენი „მე“ და მივემართებით გამორჩეულობისკენ – ასე ძალიან ადვილად ვწირავთ ყველაფერს – ადამიანებსა და ფასეულობებს. რაციონალიზმი და უკიდურესი რიგორიზმი, ისტორიის შეუგრძნობლობა და მისი ბრძა უკუგდება, ცოცხალი ადამიანების მიმართ სიყვარულის ნაცვლად იდეების ერთგულება, ყველაფრის ფანატიკური უკუგდება, რაც ხელს უშლის სიჭაბუქის რადიკალიზმს – უმთავრესად უცავშირდება საბჭდისწერო სოციალურ სიბრძანებს. მისტიკური ერთობის ფაქტი – და არა მხოლოდ „სოლიდარობის“, არამედ ერთარსებობისაც (რაც კარგად ესმოდა შოპენპაუერს, რომელიც პირველმა ახალ ფილოსოფიაში მიაგნო თავის ეთიკასა და მეტაფიზიკას, განსაკუთრებით კი, აქედან მომდინარე მუსიკის ფილოსოფიაში მიეახლა შემოქმედი

<sup>27</sup> აქ მე რადიკალურად ვუპირისპირდები ნ.ო. ლოსგის აზრს, რომელიც გამოხატა პირადი განკურმოებულობის ბუნებისა და წყაროს მისეულ სწავლებაში.

ერთარსების პრობლემას) რჩება გაუხსნელი და შესაძლებელია მხოლოდ განკერძოებულიად, და არა ცხოვრებისეულიად მისტიკურად გაეხსნას პიროვნულ ცნობიერებას. ისტორიის მთელი სიცრუე ისე ღრმად და არსებითად უკავშირდება პიროვნების ანტინომიას (ყველაფერი შემოქმედებითი მოდის პიროვნების სიღრმიდან და ყველაფერი პიროვნული გამოარჩევს მას, ანგრევს უკანასკნელ ნარჩენებს ცოცხალი, თუმცა ნაწილობრივი ერთარსებობისა), რომ თითქოს წინასწარგანსაზღვრული იყოს ის. აუცილებელია პიროვნება ავარიდოთ საკუთარ თავში არასწორ ჩაღრმავებას, საკუთარი თავის ფატალურ გამორჩეულობას – მაგრამ არა ისე, როგორც ამას ფიქრობდა ტოლსტიო, რომელიც საბოლოოდ მივიდა იმ აზრამდე, რომ საჭიროა პიროვნება დაითრგუნოს იმისათვის, რომ მასში გამოვლინდეს სიკეთე, არამედ ისე, როგორც ამას გვასწავლის ეკლესია. პიროვნების გაეკლესიურება – ეს უკვე ნიშნავს მის სხსნას, რაც ასევე არის მთავარი პედაგოგიური პრობლემაც. ეკლესიაში ნელ-ნელა, შინაგან პროცესებთან ერთად და ეკლესიასთან მაღლმოსილი კავშირით, მის საიდუმლოებებთან ზიარებითა და ლოცვით, ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ შევიცნობთ დასაბამიერ ერთარსობას, რომლის რეალიზაცია თავდაპირველიად მხოლოდ ეკლესიაშია შესაძლებელი. მთელი რთული შრომა საკუთარ თავზე, როგორც ეს მიმდინარეობს ეკლესიის დახმარებით, ჩვენ გვიბრუნებს ამ ერთარსებობას, რომელიც უკვე აღორძინდება ჩვენში გაეკლესიურებასთან ერთად, მაგრამ ჩვენთვის დამახასიათებლად – „ჩვენეულად“ მარტოოდენ ცხოვრებისეული გამოცდილებით ხდება, – და აი, ასე თანდათანობით ხდება ჩვენი თავის დაღწევა გამორჩეულობისგან. და ჩვენ უფროსებს არ შეგვიძლია ჭაბუკებისთვის ამის მიცემა – არც საუბრებით, არც პირდაპირი ბრძანებებით, ის მხოლოდ მიუწვდენელი გაეკლესიურების პროცესის წყალობით ხდება შესაძლებელი, რაშიც მდგომარეობს მთელი პედაგოგიური პროცესის არსი. ჩვენ არ შეგვიძლია დაველიოდოთ, სანამ ბავშვები გაიზრდებიან, რათა მერე ისინი თვითონ მიხვდნენ, რომ მათი გზა ეკლესისკენ მიდის – ვინაიდან მათ შეიძლება ეს ვერც გაიგონ, შეიძლება გაუხემდნენ, ეკლესიის გზა მათვის შეიძლება სამუდამოდ დაიკეტოს. ეკლესიაში ბავშვები ადრეული ასაკიდანვე უნდა

მივიყვანოთ – თუმცა პიროვნების გაეკლესიურების პროცესი თავისი არსით შეიძლება დაიწყოს მხოლოდ სიჭაბუქის პერიოდში. პიროვნებისგან განცალკევების საწყისისა და სოციალური სიბრძავის დაძლევა, რომელზეც ახლა გვაქვს საუბარი, უნდა დაიწყოს სწორედ სიჭაბუქის პერიოდში, როგორც ცხოვრების დაგალება და გზა, როგორც იმ აღმასვლისა და მისწრაფების შინაარსი, რომელიც ასე მგზნებარებს ჭაბუქ სულში, როგორც მმართველი იმ მისტიკური საუნჯისა, რომელიც განსაკუთრებული ხარისხით სწორედ სიჭაბუქის ასაკისთვისაა ნიშანდობლივი. ამიტომაც არა სიჭაბუქის ჟამს, არამედ უფრო ადრე უნდა დაიწყოს ბავშვის საზრდოობა ეკლესიის მადლომოსილი ძალით, რომ არ დაიხუროს ჭაბუქის გული, როცა მოვა შემოქმედებითი ძიებების დრო. აღზრდის მთელი სისტემა ამ ასპექტში განისაზღვრება სწორედ პიროვნების გაეკლესიურების თემით. აქ არის ცენტრალური წერტილი, აღზრდის ხერხემალი.

თუმცა სიჭაბუქის ჟამს ცოდვისკენ მიღრეკილება არ ძევს მხოლოდ სოციალურ გამორჩეულობაში. მას კიდევ ორი ასპექტი ახასიათებს – ესაა მისი ბუნებასთან და ღმერთთან მიმართება. ადამიანებში, ჩვენი პიროვნული ზრდისას, არა მარტო „ბუნებრივად“ ვერ „ვამჩნევთ“ ჩვენს ერთარსებობას ღმერთთან – არამედ ჩვენ აუცილებლად ვუპირისპირებო ჩვენს თავს და მთელ ბუნებას. ჩვენ მის მიმართ ან უტილიტარულად ტექნიკურები, ან უდარდელად ესთეტურ დამოკიდებულებაში ვართ – ჩვენ ვერ ვმაღლდებით იმ ძმურ ურთიერთობამდე, რომელიც თვალს აგვიხელდა ბუნებასთან სწორი დამოკიდებულებებისთვის. როგორც სოციალური სიბრძავიდან ჩვენს სულიერ სამყაროში ბუნებრივად შემოდის მორალური ცნობიერების დამახინჯება და იზრდება ბუნებრივი, თუმცა საბედისწერო ინდივიდუალიზმი, ასევე ჩვენი ბუნებასთან ნათესაობის დაფიცებებით ჩვენი კოსმოსური სიბრძავიდან ჩვენს პიროვნულ ცნობიერებაში შემოდის მნიშვნელოვანი დამახინჯებები. შემეცნებითი და ესთეტური შემოქმედება, თუმცა იქცევა სასიხარულო და ძვირფას საქმედ, ჩვენ მასში ვერ შევიგრძნობთ, რომ ამ საშუალებით ბუნების ცხოვრების თანამონაწილენი ვართ. თვით ცნობიერებაში ბრიყვული ირეალიზმი,

რომელიც გვაშორებს სამყაროსგან, და ქმნის სოლიპსიზმის საბუდისწერო მირაჟებს, ონგოლოგიური მომენტის შეცნობის დაკარგვა ხელოვნებასა და ცოდნაში – ყველაფერი ეს გვაახლოებს შემცნებით და მხატვრულ პროცესთან, თამაშთან ამ სიტყვის ცუდი გაძებით. ჩვენს დროს საკმაო ცოდნა გააჩნია იმის შესახებ, თუ რა შეამიანი ყვავილები იზრდება პიროვნების ამ ცოდვით დაცემულ ნიადაგზე: თანამედროვე პულტურის ყველა სიმახინჯე უკავშირდება ბუნებასთან სწორი ურთიერთობის დაკარგვის, ჩვენი მოვალეობების დავიწყებას ბუნების მიმართ.

თუმცა თავის აპოგეას ცოდვითი მიღრეკილება, რომლითაც ხასიათდება პიროვნების ბუნებრივი ზრდა, აღწევს ღმერთობა მიმართებაში. „ძებობის“ იდეა, უშუალო და ცხოვრებისეული გაცნობიერება იმისა, რომ ჩვენ დვოთის შვილები ვართ, არა განყენებული, არამედ ცხოვრებისეულად მისტიკური რეალობა ჩვენი დვოთისშვილობისა ხდება უცხო სწორედ სიჭაბუკის ხანაში, იმ მიზეზით, რომ ის მთლიანად მიღრეკილია ამქვეყნიური ყოფისკენ. სიჭაბუკის ეგრეთ წოდებული „ბუნებრივი წარმართობა“ სწორედ ამაში მდგომარეობს. სულიერების ტიპით სიჭაბუკე უპირატესად არის რელიგიური ფაზა (ვინაიდან ორივე საწყისი – ღმერთიც და სამყაროც – უკვე სრულად გახსნილია), თუმცა სიჭაბუკის ეს მისტიკურობა, სიჭაბუკის ეს რელიგიურობა, რელიგიური ცხობიერების განვითარებიდანაც რომ მომდინარეობდეს, თავისი სულიერი სიბრმავით ვერ აცნობიერებს იმას, რომ ის სწორედ ღმერთში პოულობს მთელ თავის ძალობრივებას. სიჭაბუკე თავისი რელიგიური ცხოვრებით ანტინომიურია სწორედ ამ შინაგანი ცხოვრების რელიგიური სტილისა და თავისი სულიერი სიბრმავის შერწყმით. სამყაროსადმი რელიგიური მიმართება – აი, რა ახასიათებს სიჭაბუკეს, და მაშინაც კი, როცა ჭაბუკის რელიგიური ცხობიერება გალესიურია, როცა ის ნათლითაა მოსილი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მაინც რჩება ამასოფლის ტყვეობაში: ჭაბუკი სულის სიღრმეში კი (ყრმობის ამ „მონაპოვრის-გან“ ჩვენ მხოლოდ ხელ-ხელა ვთავისუფლდებით) არის სამყარო, ის გარედან კი არ ზემოქმედებს, არამედ შიგნიდან პყავს „მომწყვდეული“ და ავიწროებს ჭაბუკის სულს. შეუძლია თუ არა,

რომ ადამიანის სულის ბუნებითმა განვითარებამ მისცეს უფრო  
მეტი პიროვნებას, კიდრე ამას ახერხებს ნათელი, შთაგონებული  
და შემოქმედებითი სიჭაბუკე – რომელიც მაინც დაბრმავებუ-  
ლია? ზრდასრულის ცხოვრება იმდენად მძიმდება ცხოვრები-  
სეული ზრუნვით, რომ ჩვეულებრივ მისი შთაგონება არ მიდის  
იმაზე შორს, რაც სიჭაბუკეში ჰქონდა. სიჭაბუკეში ვლინდება არა  
მხოლოდ ჭაბუკის ცოდვები, არამედ მთელი კაცობრიობის ცოდ-  
ვითი მიღრეკილებანი, და თვალსაჩინო ხდება ის ბნელი წინააღ-  
მდეგობები, რომელიც ადამიანსა და ღმერთს შორისაა, რომელიც  
აღმოცენდა ცოდვის შედეგად და რომლის გადალახვაც ადამი-  
ანს საკუთარი ძალებით არ შეუძლია. მოწიფული ადამიანი ბეჭრს  
აკეთებს ამქვეყნიური არსებობისათვის, მაგრამ ისიც შეპყრო-  
ბილია საბედისწერო მარწუხებით, რომელიც ბოროტის ძალითაა  
აღბეჭდილი – ის უფრო მკვეთრად და პირდაპირ აყენებს გადარჩე-  
ნისა და ცალკეული ადამიანისა და მთლიანად კაცობრიობის  
სხის საკითხის. და თუკი მოწიფული ადამიანის ცხოვრებას  
მხოლოდ მაცხოვრის ხარებით შეუძლია არა მხოლოდ შევბის,  
არამედ დახმარების პოვნაც; როცა ჭაბუკებს შეგცექით მიწი-  
ერი ადამიანის თვალებით, ვამჩნევთ, რისი შემჩნევაც თავად არ  
შეუძლიათ – მთელი სიმძაფრით ვხედავთ, რომ მეტად რთულია  
ცხონების გზას შეუდგე სიჭაბუკეში, სწორედ სიჭაბუკეში, როდე-  
საც სული გამდნარი ლითონის მსგავსად რბილია და იღებს იმ  
ფორმას, როგორსაც მას მივცემთ. მოწიფულმა ადამიანმა, რომელიც  
უამე მისულია იმ ცნობიერებამდე, რომ ჩვენ ცოდვის ტყვეები  
ვართ და რომელსაც შეუტყვია მრავალი ამბავი ცხონების შესა-  
ხებ და იცნობს თვით ცხონების გზასაც – შეუძლებელია ვერ  
დაინახოს ადრეული წლებიდან სიჭაბუკემდე ბუნებრივი ყოფის  
ყველა ანტინომია, რომლებიც უკავშირდება დასაბამიერ ფაქტს –  
პირველქმნილ ცოდვას, რომელმაც შემოიტანა ქმნილ სოფიაში  
საბედისწერო გაორება. და აღხრდის გზა, რომელიც არის ცხო-  
ნების თემის ნაწილი, უკვე შეუძლებელია დაიხატოს მხოლოდ  
საკუთარ თავზე მუშაობის ჯუთხით. აღხრდა იკავებს თავის კანონი-  
ერ ადგილს, იღებს თავის აზრსა და მირითად იღებს სწორედ  
ცხონების თემიდან.

## მ ე მ გ ს ს ი თ ა ვ ი

### რა და რომორ უნდა აღვხარდოთ

1. წიგნში – იქსო ზირაქის ძის სიბრძნე – ვკითხულობთ ასეთ სტრიქონებს: „რადგან ჯერ მრუდე გზებით მას და ივლის მასთან ერთად, შიშსა და ძრწოლაში ეყოლება, გასტანჯავს მას თვისი წვრთნით, ვიდრე არ დარწმუნდება მასში და თავის მცნებათა განსაცდელში არ გაატარებს. კვლავ მოიქცევა სიწრფე-ლით მისკენ და გაახარებს მას. განუცხადებს თავის საიდუმლოს. თუ შეცდება, მიატოვებს მის მამხობელს ჩაუგდებს ხელ-ში“ (ზირ. IV, 17-21). ძველი აღთქმისეული ბრძენის ამ სიტყვებში შესანიშნავადაა აღწერილი სულიერი ცხოვრების მთელი დრა-მატიზმი, განსაკუთრებული სირთულეები, რომლებიც ნიშან-დობლივია მისი საწყისი პერიოდისთვის. წინარე სიტყვებში, რა თქმა უნდა, იგულისხმება დათის სიბრძნეებთან მიახლება, ანუ არა ზოგადად სულიერი ცხოვრება, არამედ მისი ნათელი მხარე. სულიერი განვითარება იმიტომ მიედინება „მიხვეულ-მოხვეუ-ლი“ გზებით, იმიტომაც არის სავსე ტანჯვითა და წამებით, რომ თვით სულიერ საწყისში, როგორც ის ვლინდება ჩვენში, არის გაორება. სულიერი ცხოვრების ტანჯვა და მისი „დახლართუ-ლი“ გზები თავისი სიღრმითა და არსით უკავშირდება ამ გაორების, რომელიც ჩვენი სულიერი ცხოვრებისთვისაა ნიშანდობლივი – არა მისი ქმნადობის გამო, არამედ პირველქმნილი ცოდვის გამო. სიკეთისა და სინათლის ზრდასთან ერთად იზრდება ბოროტებაც და სულის სიბრძნეეც, ისევე როგორც ხორბლის გვერდით (იგავის თანახმად) იზრდება დვარძლი. ნათლისა და ბნელის ამგვარი შეწყობა სულში ამოუცნობია იმითაც, რომ ბრძოლები და ცდუნებები, რომლებიც ახლავს სულიერი განვი-

თარების ყველა საფეხურს, ჩვენს სულიერ განვითარებასთან ერთად მცირდება და სულ უფრო ნაკლებად შესამჩნევი ხდება; რომ დაცემის შესაძლებლობა არ ტოვებს ადამიანს მაშინაც კი, როცა ის სულიერების მწვერვალზეა. ამის გამო მთელი სულიერი ცხოვრება, მის სიმაღლებზეც კი, წარმოადგენს გარკვეულ უხილავ „ბრძოლას“; სადაც მცირდება შინაგანი ბრძოლა, იქ იმკვიდრებს სულიერი მიძინება<sup>1</sup>.

გაორების მტანჯველი რეალობის გამო დგება შინაგანი მთლიანობის განსაკუთრებული მოთხოვნილება, - და ეს მოთხოვნილება წარმოადგენს სულიერი განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანებს ფაქტს. თუმცა თვითონ ამ მოთხოვნილებაში, ამ შინაგან გაორებაზე გამარჯვების სურვილში იმალება საფრთხე, ვინაიდან მთლიანობის ძიება არ არის ფესვგადგმული ობიექტურ, ტრანსცენდენტულ რეალობაში. შინაგანი მთლიანობის ძიებისას ადგილად შეიძლება შემოვიყარგლოთ მირაჟებითა და სუროგატებით, ვიპოვნოთ ჩვენი შინაგანი გაორების არა სულიერი, არამედ სუფთა ფსიქოლოგიური მიზეზი. ამიტომაც არის საჭირო სულიერი განვითარებისას გამოცდილი მოძღვარი (როგორებიც არიან მართლმადიდებელი ხუცესები<sup>2</sup>), ვინაიდან მარტო ადამიანისთვის ძნელი გასარკვევია ის, თუ რამდენად თავისუფალია ის თავისი ძიებების სწორად განხორციელებაში. აქ ჩვენ ვუახლოვდებით იმავე პრობლემას, რომელსაც არაერთხელ შევეხეთ, ეს არის – სულიერი ცნობიერების „ორაზროვნების“ პრობლება. სულიერი ცხოვრების სუბიექტური მხარე არ გულისხმობს იმას, რომ მისი მიმართულება სწორადაა განსაზღვრული. უთვალითი მაგალითი იმისა, რომ „ბუნებრივ“ სულიერ ცხოვრებას სულაც არ მიჰყავს ადამიანი ცხონებამდე, არამედ ხშირად აშორებს კიდეც დმურთოან, ნათლად მოწმობს მისი ობიექტური დარეგულირების აუცილებლობის შესახებ, რომლის მიღწევაც მხოლოდ ეკლესიაშია შესაძლებელი. „სულიერებამ“ რომელიც უკავშირდება გულის განწმენდას, საკუთარ

<sup>1</sup> ამის პედაგოგიური მნიშვნელობის შესახებ განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავდა ნ.ი. პიროვნოვა.

<sup>2</sup> იხ. ჩეტვერიკოვის შრომები მართლმადიდებელი ხუცესების შესახებ.

თავზე ასკეტურმა მუშაობამ, მოულოდნელად შეიძლება გააძლიეროს სულიერების ბნელი საწყისი – და მხოლოდ სულიერ ცხოვრებაში გამოცდილი, ბრძენი მოძღვრის შემწეობითა და დვოაებრივი ძალის პირდაპირი დახმარებითაა შესაძლებელი გამრუდებული სულიერი ცხოვრების გამოსწორება. ამიტომაც სწავლება სულიერი განვითარების „ფაქტორების“ შესახებ, მისი ყველა სუბიექტური ნიშნის გათვალისწინებით, უნდა ითვალისწინებდეს შინაგანი თვითრეგულაციის არასაკმარისობას და არასისაცხეს, უნდა გვათავისუფლებდეს თვითგაბობისა და თვითგანდიდებისგან. იმ მდუმარებას, რომელსაც შინაგანად განვიცდით, როგორც მოწმობას შინაგან სიმართლეზე, შეიძლება აღმოჩნდეს ცრუ მიღწევა, სუფთა ფსიქოლოგიური და არა ობიექტური მოლიანობა.

2. მოლიანობის ადდგენა გულისხმობს ყველა ძალისა და ადამიანის ყველა მიმართულების განვითარებას, თუმცა არა მათ „ჰარმონიულ“ განვითარებას, რომელიც არ პასუხობს არც ადამიანის შინაგან სტრუქტურას, არც მისი მოწიფების პირობებს, არამედ ისეთ განვითარებას, რომელიც იცავს ადამიანის კონსტიტუციის იერარქიულ პრინციპს. ქრისტიანული ანთროპოლოგიის შუქზე ეს იერარქიული პრინციპი ითხოვს ადამიანის ისეთ „განვითარებას“, რომლის დროსაც დვოთის ხატებას შესაძლებლობა აქვს მოელი თავისი ძალით, მოელი სისრულით წარმოჩნდეს. ამ გზაზე ჩვენ ვაწყდებით ადამიანის სულიერ საწყისში არსებითი გაორების ფაქტს, პიროვნების ნათელ და ბნელ პოლუსებს. მოლიანობის ადდგენა არ არის არც პერიფერიული და არც ადამიანის შედგენილობის სხვა რომელიმე უფრო დრმა „ჰარმონიზაცია“, ის არ არის უბრალოდ სულიერი საწყისის ზეიმი, ის არის ჩვენში ამ სულიერების განკურნება. ნატურალიზმი არც თავისი ზედამირული ემპირიული ფორმით, რომელიც ასე გავრცელებულია თანამედროვე პედაგოგიკაში, არც ანთროპოსოფიური ანთროპოლოგიის ფორმით, არ ეხება აღზრდის ძირითად თემას. ის არ მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ გავექცეთ სხვადასხვანაირ კონფლიქტს, შინაგან დისონანსექს, რომელიც ტანჯავს თანამედროვე ადამიანს – ვინაიდან ყველა

ემპირიული კონფლიქტი და დისონანსი, როგორც ხდება მათი კონსტატაცია თანამედროვე ფსიქოპათიის მიერ ჩვენი იატაპქმუშეთის ანალიზით, არის დასაბამიერი რღვვეის გამოვლინება თვითონ ადამიანის „არსში“, მის სოფიურ საწყისში. თუმცა აღზრდის პრობლემა არც ის არის, თუ როგორ დავამარცხოთ ემპირია და გავხსნათ სივრცე ადამიანის სულიერი საწყისის განვითარებისათვის, ვასწავლოთ მას „ბუნებრივი“ სულიერი აღმავლობის გზა, ვაზიაროთ „უზენაეს“ ცხოვრებას, ვინაიდან სულიერი ზრდა, რომელიც განამტკიცებს ადამიანის სულიერ ძალას, თუ მას თან არ ახლავს სიმდაბლე, ხელს უწყობს მასში სულიერების ბნელი საწყისის აღზევებას, აძლევს ცოდვას უფრო დახვეწილ და საშიშ ფორმას. აღზრდის თემა არის სულიერი საწყისის განკურნება, რომელიც ცხოვრობს ჩვენში, – თუმცა ეს განკურნება თავისი არსით, არ შეიძლება იყოს მხოლოდ აღზრდის თემა, არც თვითორეგულაციის შედეგი. აღზრდა, როგორც სულიერების საწყისის გაჯანსაღების საკითხი, სწორად დაისმის მხოლოდ მაშინ, როცა მისი მთავარი საკითხებია ხსნა და გამოსყიდვა. მხოლოდ საკითხის ამგვარად დასმისას აღზრდის თემა, როგორც უკვე ამქვეჭნად მზადება მარადიული ცხოვრებისათვის, იმენს თავის სათანადო მნიშვნელობას. ეს არის ადამიანის მთლიანობის აღდგენის გზა, რომლის არსიც არ არის ადამიანის ძალების უბრალოდ „გაპარმონიულება“, არც „ბუნებრივი“ წევით სულიერი საწყისის ზეიმი.

იმდენად ვიწრო და ინტიმურია სულიერი ცენტრისა და მისი ემპირიის თანაშეფარდება, რომ შეუძლებელია მეტაფიზიკურად ამ ორი სფეროს გახლება, როგორც ეს არის გარდასახვის თეორიაში – მაგრამ ინტიმურობა და სიღრმე სულიერი კავშირისა, თუნდაც ადამიანის მხოლოდ ემპირიისა, არ ნიშნავს სულიერი ცხოვრების ემპირიაზე გენეტიკურ დამოკიდებულებას. სულიერი ცხოვრება არ იქმნება ემპირიის აღზევებით, ის მხოლოდ „აღვიძებს“ და ემყარება მას, ძლიერი ემპირიისგან ის იდეებს ძალასა და სიღრმეს, რომელიც მისთვის არსებითად საჭიროა. შეუძლებელია სულიერი ზრდა ფსიქიკური ძალების განვითარების საშუალებით – ინტელექტით, ნებით ან გრძნობე-

ბით, თუმცა სულიერი ცხოვრება ეყრდნობა სულიერი პერიფერიის განვითარებას. ადამიანის „გული“, რა თქმა უნდა, უკავშირდება პერიფერიას; მას შეუძლია იყოს მის ტყვეობაში, დაადგეს გარევნილების გზას ემპირიული ცხოვრების წყალობით – მაგრამ მას შემდეგ, რაც დაიწევება ემპირიული პიროვნების განვითარება, სულიერი საწყისი უკვე განუწყვეტელ კავშირშია მასთან. და მაინც სულიერი ცხოვრება (ნათელიც და ბეჭდიც) არ არის ემპირიული სფეროს პროდუქტი, ის ემორჩილება მხოლოდ საკუთარ კანონებს. უდიდესი შეცდომა იმ პედაგოგებისა, რომლებიც ფერიერის მსგავსად აღიარებენ ადამიანში სულიერ საწყისის არსებობას, იმაში მდგომარეობს, რომ ისინი დგებიან პედაგოგიური სენსუალიზმის გზაზე<sup>3</sup>, ანუ ფსიქიკური პერიფერიის განვითარებას მიიჩნევენ ადამიანში სულიერი ცხოვრების განვითარების წინაპირობად. ანთროპოსოფიული პედაგოგიკა ამ მიმართებით ბევრად მაღლა დგას იმ გაგებით, რომ სულიერი ცხოვრება არაწარმოებულია. ამ შენიშვნებით არ მინდა ადამიანის „ხასიათისა“ და სულიერი პერიფერიების მნიშვნელობის უგულებელყოფა, არამედ ვსაუბრობ ადამიანში სულიერი ცხოვრების არაწარმოებულობის შესახებ, რომელიც ეყრდნობა ემპირიას, თუმცა არ წარმოშობს და არ აღიარებს მას.

3. თუ აღზრდის თემას მივცემთ იმავე ფორმულირებას, რასაც ხსნის თემას, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ამით შემოგვაქვს ესქატოლოგიური მომენტი აღზრდის საკითხში? ამის კი არ უნდა გვეშინოდეს, პირიქით, უნდა ვეძებოთ ის. აღზრდა მიმართულია კონკრეტული პიროვნებისადმი, რომლის ბედი მდგომარეობს ესქატოლოგიურ პერსპექტივაში, რომელსაც ჩვენ უველანი ვეზიარებით სიკვდილის შედეგად. არ შეიძლება იცხოვრო ისე, თითქოს არ არსებობდეს სიკვდილი; არც აღზრდა შეიძლება ისე, თითქოს არ არსებობდეს სიკვდილი. ესქატოლოგიური თემა დგას უველა პიროვნების წინაშე, როგორც მისი თემა – და მხოლოდ ამ შუქჩე იშლება ცხოვრების პრობლემების მთელი სიღრმე,

<sup>3</sup> პედაგოგიური სენსუალიზმის ყველაზე მძაფრი ფორმა ჩვენ გვხვდება რელიგიური აღზრდის იმ სისტემაში, რომელიც ბოლო პერიოდში განვითარა მონტესორიმ.

სირთულე. თუკი აღზრდა უნდა შეეხოს ყველაზე მნიშვნელოვანსა და ღრმას ადამიანში, მას არ შეუძლია მთელი სერიოზულობით არ შეეხოს ჯვრის პრობლემას, ადამიანთა საბოლოო ხვედრს. თუმცა ეს ადამიანის საბოლოო ხვედრი სწორედაც რომ „საბოლოოა“, ის გულისხმობს მთელ რეალურ ცხოვრებას. აღზრდა უახლოვდება ხსნის თემას არა ემპირიული ცხოვრებისგან დამოუკიდებლად, არამედ სწორედ მასთან ერთად – ემპირიულ განვითარებასთან ერთად, მის პრობლემებთან და სირთულეებთან ერთად, ის უახლოვდება სულის ხსნისა და გაჯანსაღების გზას. ამიტომ ემპირიული პიროვნების აღზრდა აქ იძენს პირველხარისხოვან, თუმცა ინსტრუმენტულ მნიშვნელობას; მასში და მასთან ერთად აღზრდა ექცებს ადამიანში სიმრთელის აღდგენას – მის განკურნებას ცოდვისგან, დგომის მადლმოსილ დახმარებას, „ბუნებრივი“ სულიერი ცხოვრების არსებითი გაორჟბისგან განთავისუფლების საშუალებით.

ამ მდგომარეობებს ჩვენთვის ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს – ისინი წარმოაჩენენ პიროვნებაში ემპირიული მხარის სწორ აღზრდას, თუმცა მუდამ ხედავენ ამაში მხოლოდ პიროვნების სულიერი განვითარების, სულიერი გაჯანსაღების საშუალებებს. აღზრდის გზებში ჩვენ არ ვხვდებით ღირებულებათა სწორხაზოვან რიგს, თუმცა აქაც უნდა დაგვასახოთ იერარქიული პრინციპი. პიროვნებაში ემპირიული მხარის განვითარება არის ნაძღვილი, თუმცა (თავისი ფუნქციების ინსტრუმენტალობით) მაინც ფარდობითი ღირებულება, – ხოლო სულიერი სფეროს განვითარება არის მისი თანაფარდი, და არა ფარდობითი ღირებულება: არ შეიძლება პიროვნების ემპირიის გამოყოფა მისი სულიერი ცხოვრებისგან, ასევე არ შეიძლება არც პედაგოგიკურ ემპირიზმში და არც პედაგოგიკურ იდეალიზმში გადავარდნა – ორივე უკიდურესობა მიუღებელია თავისი რადიკალურობით – ჭეშმარიტება დევს მთლიანი პიროვნების სრული იერარქიული სტრუქტურის აღზრდაში. არასწორია სუფთა ნატურალიზმი, მაგრამ ასევე არასწორია სუფთა სუპრანატურალიზმიც; არასწორია „უზენაესი“ ცხოვრების გამოყოფა და განხილვა მისი აღმასვლის საფეხურების განხილვის გარეშე, ასევე არასწორია „უზე-

ნაესი“ ცხოვრების ემპირიულისგან მოწყვეტა.

4. ჩვენ დავისახეთ კონკრეტული პედაგოგიკის განვითარების ძირითადი კრიტერიუმები. ჩვენთვის აუცილებელია ამ კრიტერიუმის გამოყენება აღზრდის ფაქტორების სწავლებისას, რათა მივიღეთ აღზრდის პრიციპების ფორმულირებასთან ქრისტიანული ანთროპოლოგიის შექმნე.

უპირველესად შევვხებით მორალური აზღრდის საკითხებს. მთლიანობის აღდგენის პრობლემა წინა პლანზე წამოსწევს ადამიანის მორალურ სფეროს, როგორც იმ ნაწილს, რომელშიც უნდა მოხდეს ადამიანის გაჯანსაღება. სულიერი სამყაროს გაორების არსი უკავშირდება ცოდვის საწყისის გაჩენას. ამიტომაც ხომ არ არის საჭირო სულიერი განვითარების მთელი პროცესი გავუტოლოთ მორალურ გავითარებას, საკუთარ თავთან მორალურ მუშაობას?

ეს ნაწილობრივ სწორი, ნაწილობრივ კი - არასწორია. ასეთი მორალური განმარტებისას არასწორი ის არის, რომ თვითონ მორალური ცხოვრების განმარტებაც ნაწილობრივია, რის გამოც ჩვენი მორალური მხარე აღმოჩნდება სუსტი და არასრულად შეკრული მთლიანობასთან, რომელსაც ჩვენ ვეძებთ. ჩვენში მორალური მხარე უნდა იყოს უფრო ღრმა და სულიერი, რათა ის იქცეს მთლიანობის ფუნქციად, ის უნდა აღმოცენდეს მის მისტიკურ ფესვზე. ეს მომენტი უნდა განვმარტოთ მარტივად, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ვინაიდან მის გარეშე შეუძლებელია მოწიფების შინაგანი დინამიკის ათვისება.

მორალური ცხოვრება არის, რა თქმა უნდა, შრომა; და მორალური ცხოვრების ეს ხასიათი განსხვავდება სულიერი ცხოვრების სხვა სფეროებისგან, რომელთა არსებიც არ დევს შრომა. მორალური ცხოვრების შრომითი ხასიათი არის ის, რასაც კანტმა დიდი წარმატებით „იმპერატიულობა“ უწოდა. მას, რასაც ჩვენ ვუწოდეთ სიკეთეს, ჩვენს ცხოვრებაზე უნდა აისახოს როგორც სიმართლე – ეს არის შეფასების და მოქმედების მტკიცე ერთობა. თუმცა მორალური სფეროს იმპერატიულობა, „მოთხოვნა“, რომელიც დგება სულის წინაშე, სიკეთის გაცნობიერების შემდეგ ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ სული აინთება ვალდებულებ-

ბის შეგრძნებით და ცხოვრებაში განახორციელებს მორალურ იმპერატივს. თუკი მორალური ცნობიერება იმპერატიულობის შეფასებებში მოწმობს ქცევის შეფასებისა და მისი გზის დაუნაწევრებელ ერთობაზე, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ „სინდისი“ (მორალური ცნობიერება) რჩება სულიერი სფეროს დასაბამიერი გაორების მიღმა – ოდონდ მხოლოდ სინდისი და არა სულის მთელი მორალური სფერო. ჩვენი სინდისი, თუკი ის არ არის ჩახშობილი ბილწი ცხოვრებით, სულიერი სიზარმაცით, მართლაც მოუსყიდავია, მასში არის „ღვთის ჭეშმარიტი ხმა“, ანუ ღვთის იმ ხატების ხმა, რომელიც ყოველ ადამიანში ცოცხლობს. ის რომ ეპოქები სხვადასხვა ხალხის ტრადიციებს, ყოფას, ჩვევებს ამახინჯებენ და ადარიბებენ სინდისს, და ამართლებენ მას, რაც შეუძლებელია იყოს გამართლებული, არ ასუსტებს თვითონ ამ ფაქტს, რომელიც ზოგადი და საქმაოდ ფუნდამენტურია – მისი დასაბამიერი იმპერატიულობის ფაქტს, რომელიც მოითხოვს სიმართლის აღსრულებას. თუმცა მორალური ცხოვრება განისაზღვრება არა მხოლოდ სიმართლისა და მოვალეობის შემცნებით – არამედ თავისი დინამიკით და იმ მოტივებით, რომლებიც აუცილებელია იმისთვის, რომ ჩვენ ცხოვრებაში გაცნობიერებულად ვაკეთოთ სიკეთე. მორალური მოქმედებების მოტივებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ სულიერი შედეგების გამოღება, როცა ისინი მისტიკურია, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მხოლოდ რელიგიურ მორალს შეუძლია ადამიანისთვის ნამდვილი სულიერი სიმუშიდის მოტანა. ახლა არ განვიხილავთ ამ საკითხს დაწვრილებით, მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ მორალურ მოქმედებათა სხვადასხვაგვარი ფსიქიკური მოტივები (სიამოვნებისა და სარგებლობის ძებნა, სიმპათიები, თანაგრძობა და ა.შ.) არაფერს ვნებს სულს, მაგრამ ოდნავ მაინც ეხება ჩვენს სულიერ სფეროს. ეს უმეტესად განსაზღვრავს ჩვენს მოქმედებებს, აქმაყოფილებს სულის მოთხოვნებს, თუმცა სრულებითაც არ გადაწყვეტს იმ საკითხს, რომელსაც უკავშირდება სულის ძირეული გაორება – ეს არის დმერთოან ერთად თუ მის გარეშე ცხოვრების საკითხი.

უფრო ღრმაა „პრაქტიკული გონის“ ეთიკა, რომელიც პოუ-

ლობს მორალურ გონებაში მორალური ქცევების „სუფთა“ მოტივებს, როგორც ამას ამბობდა კანტი და უფრო ადრე კი პლატონი – ანუ ისეთი მოტივების, რომლებიც არ აკმაყოფილებენ სულის, სურვილების, გრძნობების არანაირ ინტერესებს, არამედ მომდინარეობენ იმ სიმართლის, იმ კანონის ნამდვილი პატივის-ცემიდან, რომელიც გვქონდა მორალურ გონებაში. ასეთი „აფტონომიური“ ეთიკა თავისუფალია ემპირიული მორალის „პერიუერიულობისგან“, ის ნამდვილად არის სულიერი. თავისი სულიერებით ის გვერდს უვლის ძირეული გაორების დაძლევის იმ ამოცანას, რომლის შესახებაც ხშირად ვსაუბრობთ. ისევე როგორც მთელი ტრანსცენდენტალიზმი, ასევე კანტისა და მისი მიმდევრების მთელი მორალი, ექცებს იმ „უპირობოს“, თუმცა იდვწის აქციოს ემპირიული სუბიექტი „უპირობოს“ მსახურად, მაგრამ ეს „უპირობო“ ამ შემთხვევაში არ არის განმსჭვალული რელიგიური ცნობიერებით, არამედ პირიქით, კანტის მიხედვით, ის თვითონ ქმნის რელიგიურ ცხოვრებას. აქ წარმოჩნდება მთელი სიძლიერით ყოველგვარი ტრანსცენდენტალიზმის ტიპიური ორაზროვნება, როგორც არ უნდა იყოს ის აგებული. ერთის მხრივ, იმის აღიარება, რომ მორალური ცხოვრება გვაკავშირებს „უპირობოსთან“ არის გენიალური აღმოჩენა მორალური ცხოვრების მისტიკური, მიღმიური ფესვებისა<sup>4</sup>. თუმცა აქვე აღმოჩნდება, რომ ეს მიღმიური და მისტიკური „უპირობო“ გვეძლევა მხოლოდ მორალური ცნობიერების საშუალებით. რელიგიური ცნობიერება კანტის მიხედვით თვითონ არის დაფუძნებული მორალურ სფეროში უპირობოს ამ გამოცხადებაზე და ამიტომაც ვერ ამბობს უარს იმ ინსტანციაზე, რომელსაც უფლება აქვს რელიგიურად განმარტოს ეს გამოცხადებები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მორალურ სფეროში „უპირობოს“ ტრანსცენდენტალური მოცემულობით შეუძლებელია პირდაპირი გადასვლა აბსოლუტურსა და უპირობოზე; ტრანსცენდენტალური არ გულისხმობს ტრანსცენდენტულს.

<sup>4</sup> კანტმა ეს შესანიშნავი აღმოჩენა გადმოსცა თავის „სუფთა გონების კრიტიკაში“ („ტრანსცენდენტალური დიალექტიკის“ განყოფილებაში).

<sup>5</sup> იხ. ჩემი ნარკვევი „ავტონომია და თეონომია“ (გზა №3).

ავტონომიური მორალის უკმარისობა<sup>5</sup> იმაში კი არ მდგომარეობს, რომ გულისხმობს მორალური გონების საფეხურს (თუმცა მხოლოდ ის „ზღუდავს მორალში ავტონომიზმის მნიშვნელობას), არამედ ის, რომ მისი უკანასკნელი საფუძველი, როგორც ამას გონება ხსნის, არის ის „უპირობო“, რომელიც მოჩანს შეფასებათა იმპერატიულობაში, – გაუხსნელი რჩება თავისი მნიშვნელობითა და საფუძვლით. უნდა გვესმოდეს, რომ „უპირობო“, როგორც ის მორალურ ცნობიურებაში გვესახება, არის გამოსხივება ერთი და მთლიანი უპირობოსი, აბსოლუტისა, ანუ ღმერთის. უნდა გვესმოდეს, რომ მორალური იმპერატივები ჩვენში არის ღმერთის ხმა, არის ღვთის მოწოდება ჩვენდამი. მორალური შემოქმედება მხოლოდ მაშინ იმარჯვებს სულიერი სფეროს ძირულ გაორებაზე, როცა ის ჩვენ წინაშე იშლება, როგორც ღმერთთან ერთობა, რითაც უნდა გადაწყვდეს, როგორც უკვე არაერთხელ ითქა, სულიერი ცხოვრების მთავარი პრობლემა. ამის გამო მორალური ცხოვრება ხდება სულიერი მოწესრიგების ფაქტორი, მხოლოდ ის უნდა იყოს გაგებული, როგორც რელიგიური ცხოვრება, რომელიც გაცისკროვნებულია რელიგიური ცხოვრების ყველა სხივით. და სწორედ რელიგიური ცხოვრების შუქჩე, ზემოთ მოტანილი ფორმულის თანახმად, ახლებურად აღიქმება სიმართლე, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სულიერი ზრდისთვის მორალურ ქმედებებს. თუკი კეცდებით, რომ სულიერი განვითარების საფუძველში ჩაიდოს მორალური ქმედებები რელიგიური საზრისის გარეშე, როგორც ამას ჩვენ ვხედავთ სულიერი განვითარების შესახებ თეოსოფიურ და ანთროპოსოფიურ სწავლებებში, ამოუსხელელი დარჩება სულიერი სფეროს ძირითადი გაორება და ეს ხელს შეუწყობს, როგორც აღვნიშნეთ, მის გაღრმავდებას. „ბუნებრივი“ სულიერება, ვინაიდან ის მწიფდება რელიგიური ცხოვრების მიღმა, დავთოსადმი ლოცვისა და ღვთისგან მადლმოსილი წყალობის სიმდაბ-

<sup>6</sup> პედაგოგიკური პრობლემებისთვის სულიერი მომწიფების საფუძვლად ავტონომიური მორალის იდეის დაღვებას შეეცადა პროფ. პესენი. იხ. მისი „პედაგოგიკის საფუძვლები“. (იხ. ჩემი შეფასება ნარკვეში „XX საუკუნის რუსული პედაგოგიკა“).

ლით გამოთხოვნის გარეშე, თავისი განვითარებით გარდაუგ-ლად აძლიერებს ბნელ სულიერებას, ანუ გვაშორებს ლვოისგან. მორალური მოქმედებების არანაირი მაგია არ ასაზრდოებს ადამიანის სულიერ ცხოვრებას.

5. აქ უადგილო არ იქნებოდა, რომ რამდენიმე სიტყვა გვე-თქვა დისციპლინის აღმზრდელობითი ფუნქციისა და ბავშვის „ხასიათის“ ჩამოყალიბებაზე მუშაობის შესახებ. უპირველესად უნდა ვადიაროთ დისციპლინის, როგორც სულიერი აღზრდის ინსტრუმენტული მომენტის, ჩვენთვის უკვე ნაცნობი ძალა და ფასი. გარდა იმისა, რომ დისციპლინა ამშვიდებს გატაცებათა ბობოქრობას და იმპრესიონიზმის ქაოსს, გარდა იმისა, რომ გვეხმა-რება საკუთარი თავის ფლობაში და ქმნის იმის შესაძლებლო-ბას, რომ ჩვენი მთავარი ჩანაფიქრები განვახორციელოთ ცხოვ-რებაში, – იგი ზოგადად ამყარებს სწორ დამოკიდებულებას პიროვნების სულიერ ბირთვება და მის აქტივობას, მის ქცევებს შორის. თუმცა პედაგოგიკის დისციპლინის წინაშე დგას სერიო-ზული საშიშროება, რომელიც უკავშირდება პედაგოგის უურად-დების შეჩერებას ქცევაზე. დისციპლინა შეფასებულია, როგორც სულიერი აღზრდის ფაქტორი, რომელიც აქ მოიაზრება, როგორც ქცევების ორგანიზაციებიდან გენეტიკურად აღმოცენებული. სწორი დაკვირვება, რომ ასკეტიკას და მათ შორის გარეგნულ დისციპლინასაც გააჩნია თავისი სულიერი შედეგები, მივყა-ვართ შაბდონით – post hoc ergo propter hoc – იმ აზრთან, თითქოს სულიერი აღზრდის საფუძველი იყოს დისციპლინა, მაშინ როცა ის მისი მხოლოდ საშუალებაა. თუკი დისციპლინა მართლა იწვევს სულიერ ცვლილებებს, და საერთოდ სულიერად „მა-საზრდოებელია“, ის საჭიროა იყოს პედაგოგიკურადაც გამარ-თლებული, მაგრამ საქმე ის არის, როგორ აისახება იგი სულიერ ცხოვრებაზე. დისციპლინის ეს ინსტრუმენტული გაგება ათა-ვისუფლებს არა მხოლოდ დისციპლინის აბსოლუტურობისგან, რომელიც არცოუ იშვიათია პედაგოგიკაში, არამედ დისციპლი-ნის დაკავშირებასთან აღზრდისადმი განყენებულ მორალის-ტურ მიღვომასთან. არ შეიძლება ჩვენთვის ნაცნობი შინაგანი ლოგიკის უარყოფა დისციპლინაში, რომელიც მოითხოვს მის

გამოყენებას ყველგან, სადაც ვხედავთ ნორმისგან გადახვევას, თუმცა დისციპლინის არსი არ არის განყენებული მორალური საწყისების ერთგულება, არამედ – სულიერი ცხოვრების რეგულაცია. დისციპლინა არ არის თვითქმარი დირექტულება, ის არ ცდილობს არც განყენებული პრინციპების შენარჩუნებას: ის არ უნდა ახმობდეს სულიერ ცხოვრებას, როცა ეს უკანასკნელი იდებს არითმიულ ხასიათს, ვინაიდან არავითარი ფასეულობა არ არის იმაში, რომ იზეიმოს განყენებულმა მორალმა. მნიშვნელოვანია არა ქცევები, არამედ შინაგანი ცხოვრება, არა განყენებული პრინციპების ერთგულება, არამედ კონკრეტული ცხოვრების სიმართლე. არ შეიძლება მორალური საწყისების აბსოლუტირება, და მათი ერთგულება აქციო სიმართლის სინონიმად. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ სათხოება, რომელიც შეიგნიდან არ იწვის ღვთის სიყვარულით, მოკლებულია სულიერი ზრდის შესაძლებლობას – მორჩილებას ღვთის წინაშე. სულიერი ცხოვრების პარადოქსი ის არის, რომ ცოდვის შედეგად უფრო ადგილად განიცდის სული სინანულს, უფრო ადგილად მიდის უფალთან და ითხოვს პატივებას და ამგვარად უკავშირდება მას – ვიდრე სათხოებების შემთხვევაში. მთელი მორალური ცხოვრება, მთელი მორალური აღზრდა დგას ამ პარადოქსზე, რომლის სიმართლეც ის გახლავთ, რომ მხოლოდ მისტიკურად დრმა მორალური ცხოვრებაა ნაყოფიერი სულიერი ცხოვრების კონკრეტულ შემთხვევებში. პედაგოგიკის დისციპლინას განსაკუთრებით უნდა ახსოვდეს დისციპლინის ინსტრუმენტული აზრი, მისი ფუნქცია, როგორც სულიერი ცხოვრების გამოღვიძების, ღვთისა და სიკეთისკენ შემობრუნების ფაქტორი.

6. აქ ახალი კუთხით ისევ ვუბრუნდებით „გულის განწმენდის პრობლემას“. მორალური შემოქმედებისთვის აუცილებელ მოტივებს (რომელსაც ძალუბს შეეწიოს ჩვენს სულიერ მოწესრიგებას) ვპოულობთ მხოლოდ რელიგიურ შთაგონებაში, რომელიც ამის გამო არის კიდეც სულიერი განათლების, სულიერი მოწესრიგების მთავარი ფაქტორი. არც გარეგნულ ქცევებში (რითაც, რა თქმა უნდა, არ ხდება ქცევების მნიშვნელობის უარყოფა), არც მორალური გონების ჩამოყალიბებაში, არამედ მხო-

ლოდ გულის რელიგიურ შთაგონებებში უნდა ვეძებოთ სულიერი ზრდის მთავარი ფაქტორი. მარტოოდენ რელიგიური გასულიერება კრავს სუბიექტურ და ობიექტურ მომენტებს ჩვენში სულიერი მთლიანობის ჩამოყალიბებისას. ღმერთთან ურთიერთობით ის პირდაპირ და განსაზღვრულად აღადგენს ჩვენში სულის ერთობას, აღმოფენის და ასუსტებს სულიერების ბნელ საწყისს, მაგრამ ამავე დროს, როგორც „გასულიერება“, ის მთელ სულს მოიცავს ერთიანი მხერვალე და ქმედითი მისწრაფებებით და ქმნის სუბიექტურ მთლიანობას. სულიერი განვითარების პროცესი შეიძლება დავიყვანოთ ამ განვითარების ფაქტორების საკითხებამდე, იმ საკითხამდე, თუ როგორ შევძლოთ ბავშვების რელიგიური შთაგონებით განმსჭვალვა. მას, რასაც ლოცვა უწოდებს „გულქვა უგრძნობელობას“ სხვა არაფერია თუ არა რელიგიური შთაგონების უქონლობა, სულში ცოცხალი და შემოქმედებითი ცეცხლისა და ღვთისადმი ცოცხალი მიმართების უქონლობა. შეიძლება სული მივმართოთ კიდეც ღვთისკენ, მაგრამ თუკი იგი არ არის ღვთაებრივი ცეცხლით გამთბარი, მაშინ ღვთისადმი ასეთ ცივ მიმართებას არ აქვს შემოქმედებითი ძალა, მიმართულებას ვერ აძლევს ჩვენს სულიერ მომწიფვაბას, ვერ ამარცხებს სულში ბუნებრივ გაორებას.

რელიგიური შთაგონება იდუმალია თავისი ფესვებით და არითმიული თავის გამოვლინებებით. ის დიდხანს მოძრაობს „მიხვეულ-მოხვეული გზით“, იქნო ზირაქის მის ბრძნული სიტმების თანახმად, ის დიდხანს აწვალებს ადამიანს თავისი წინამდლოლობით. ხომ არ არის ეს წმინდა მადლომოსილი მდგომარეობა, რომელიც გვებოდა ზეგარდო და ჩვენ არ ძალგვიძს მისი რეგულირება? ნაწილობრივ ასეა, – და აქ დევს მხილება პედაგორიკური ნატურალიზმის არასაკმარისობისა და სიცრუის. სულიერი განვითარების ყველაზე მთავარი და შემოქმედებითი, ყველაზე არსებითი ფაქტორის ფლობა „დამოუკიდებლად“ მხოლოდ ნაწილობრივ შეგვიძლია. ბავშვის სულთან ურთიერთობისას პედაგოგს ძალიან სჭირდება ღვთის დახმარება, ზეგარდო მადლი – ეს დასტურია პედაგოგიკაში სუპრანატურალიზმის აუცილებლობისა, ანუ იმის გარდაუვალობისა, რომ უნდა ვეძებოთ დახ-

მარება დგოისგან და არ დაგეურდნოთ აღზრდის მხოლოდ „ბუნებრივ“ მეთოდებს. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, „მეთოდები“ თავიანთი მნიშვნელობით შეუთავსებელია სულიერ ცხოვრებასთან, იმიტომ რომ ის მთლიანად არ არის ჩვენზე დამოკიდებული, მისი მოგვარება დამოკიდებულია არა მარტო ჩვენზე, არამედ დგოთავის ძალებზე. ამიტომ სულიერი აღზრდა არ შეიძლება იყოს მთლიანად „ტექნიკური“, არ შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი რაიმე „მეთოდით“.

თუმცა თუ გავითვალისწინებთ მთელი ზეგარდმო მადლის არსებით მნიშვნელობას ბავშვის სულთან ჩვენს პედაგოგიკურ მიდგომაში, არ შეგვიძლია უარვეოთ ის „ბუნებრივი“ მეთოდები, რომლებიც გზას უხსნიან „მეთოდებს“, განმაზოგადებელ იდეებსა და წესებს. უფრო მეტის თქმაც შეიძლება: დგოის შემწეობა გვეძლევა ყოველთვის, როცა ნამდვილად ვეძებთ მას. არა მექანიკურად, არამედ ორგანულად; არა გარეგნულად, არამედ შინაგანად გვეძლევა შემოქმედებითი დგაწლის მადლი, ვინაიდან ზეციური დახმარება გულს ადანთებს, ის არ შეიცავს მაგიურ ქმედებებს. ცხოვრების გამოცდილება იძლევა ისეთი „წესების“ გამოყენების საფუძველს, რომელთა დაცვის შემთხვევაში, თუკი სული ჭეშმარიტად მიმართულია დგოისკენ, ჩვენ შემოქმედებას დგოაებრივი მადლის სხივები აღანთებს.

თავისი არსით ყველა ამ თვალსაზრისით ყველა დაკვირვება და განზოგადება ეხება იმას, თუ როგორ იქნებს სული თავისუფლებას. ის, რისკენაც ჩვენ უნდა ვისწრავვოდეთ ბავშვთან პედაგოგიური ურთიერთობისას, არის ბავშვის გულის მოგება, და თავისუფალი მოქმედებებით ამ გულის შემობრუნება იმ მხარეს, საითაც ჩვენ გვსურს რომ მივმართოთ. თავისუფლების მთელი საიდუმლო (mysterium) არის ის, რომ თავისუფლების აქტი თავისი არსით არის თავისუფალი, ანუ არ არის დამოკიდებული სულის გამოვლინების მიზეზობრიობის კანონზე. საკითხი, რომელსაც ვიკვლევთ, გახლავთ – თუ როგორ შეიძლება რელიგიური შთაგონების „გამოწვევა“ ბავშვის სულში, ანუ რა პირობებია უფრო მეტად სასიკეთო იმისათვის, რომ ეს წარმოიშვას სულში. საქმე გვაქვს არა მარტო „მეტად სასიკეთო პირობებთან“ ვი-

ნაიდან აქ არ გვაქვს ერთმნიშვნელოვანი მიზეზობრიობა და  
 არც შეიძლება გაქონდეს: ბავშვის სული შეიძლება აღმოჩნდეს  
 მდუმარე და დახურული, თუმცა ჩვენი მხრიდან გაკეთდა გველა-  
 ფერი, რომ ბავშვის სული რელიგიურად ამაღლებულიყო. ისიც  
 უნდა ადინიშნოს, რომ რელიგიური შთაგონება, რომლის მიღწე-  
 ვასაც ჩვენ ვცდილობთ, შეიძლება სულაც არ ატარებდეს იმ  
 რელიგიურ შინაარსს, რისკენაც მიიღვწის სული. რელიგიურ  
 შთაგონებას შეუძლია სულის ავსება განწმენდილი ცეცხლით,  
 თავისი შემოქმედებითი ძალით მაშინაც, როცა ჩვენ ვეწევით  
 ინტელექტუალურ შრომას, ესთეტურ შემოქმედებას, სოციალურ  
 საქმიანობას, უბრალო ფიზიკურ შრომას და სხვ. „დვოის ხსოვ-  
 ნა“, სულის დვოისკენ მიმართვა, რომელიც არის დასტური სულიერ  
 სამყაროში რელიგიური ცეცხლის ქმედითობისა, არ შეიძლება  
 იყოს მეხსიერების ფუნქცია, ის არის გულის გარკვეული მდგო-  
 მარება. არსებობს საშიშროება, რომ ის სწორი და ღრმა „რჩევები“  
 და „მითითებები“ გადაიქცეს განყენებულ რიტორიკად, რომე-  
 ლიც ოდნავადაც არ ეხება ჩვენს გულს, არ აფართოებს მის  
 ხედვას. შთაგონება ყოველთვის არის საშუალება, მომდინარე-  
 ობს იგი გარედან თუ შიგნიდან, მაგრამ როგორც თავისუფალი  
 აქტი ის არ მქემდებარება რეგულაციას, ამაშია ადზრდის მთვ-  
 ლი სირთულე, მთელი მისი უძლეურება. აქ, რა თქმა უნდა, არაფერ-  
 შუაშია ჩვენი იატაკქვეშეთის წინააღმდეგობანი, საითაც მივყა-  
 ვართ ბევრ მპალევარს ამ იდუმალი თემის განხილვისას, მაგ,  
 ვიშესლავცევის საინტერესო კვლევა effort converti-ის<sup>7</sup> შესახებ.  
 მთაგონება არ არის ქვეცნობიერის ფუნქცია, როგორც ემპირიის  
 იატაკქვეშეთი მხოლოდ ამის შესახებაა საუბარი effort converti-  
 ის კანონში, არამედ ის არის ფუნქცია სულისა და გულის  
 თავისუფალი ცხოვრების. ამის გამო ჩვენ წინაშე სრულიად  
 კანონიერად დგება საკითხი – შეიძლება თუ არა ადზრდისას  
 დავეურდნოთ ისეთ ძალას, როგორიცაა შთაგონება, თუკი ის არ  
 ემორჩილება რეგულაციას? გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ად-  
 ზრდა შემოქდებით ძალას ფლობს სწორედ მაშინ, როცა მას  
 შეუძლია ადანთოს გულები. ყოველ შემთხვევაში უნდა უკუ-

<sup>7</sup> ბ.პ. ვიშესლავცევი. „სახეცვლილი ეროსის ეთიკა“.

ვაგდოთ ის ილუზიები, რომლითაც ასე იმშვიდებს თავს დღევანდელი პედაგოგიკა. ერთი ილუზიის შესახებ – მორალური აღზრდის ან დისციპლინის საშუალებით გულის შთაგონების რეგულაციის შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ; ახლა მივმართოთ სხვა უფრო გავრცელებულ ილუზიას – რომ გულის შთაგონება მოიპოვება სიმართლის „გაცნობიერებით“, სიმართლის ინტელექტუალური დანახვით.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რაც ხდება ზოგჯერ სინათლის-გან, რომელიც შემოაქვს რომელიმე ზოგად ან კერძო ჰეშმარიტების წვდომას, სული შეიძლება აინთოს ისეთი სრული და უსაზღვრო ერთგულებით ღვთისა და სიკეთის მიმართ, რომ გვეჩვენება, მიზეზი ამისა არის სწორედ ის, რომ სულმა თითქოს ყველაფერს „მიაგნო“. თუმცა მსგავსი შემთხვევები მხოლოდ იმის ნიშანია, რომ რაიმე ჰეშმარიტების შეცნობამ მხოლოდ დაასრულა „სიბრძნის“ შეთვისების პროცესი, რომ სულის მიმართება ღვთისა და სიკეთისკენ კარგა ხანია საჭიროებდა ცნობიერების გამძაფრებას, რათა გაზრდილიყო სულის საბოლოო გამოდვიძებაში და აწ უკვე ღვთაებრივი ცეცხლით აღენთო სული. ყოველ შემთხვევაში, არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ ვიფიქროთ, თითქოს ნამდვილი შთაგონების წეარო არის ინტელექტი. პედაგოგიკური ინტელექტუალიზმის სიცრუე<sup>8</sup> სწორედ ის გახდავთ, რომ მას განმარტებებით, საუბრით, აღწერით, დირექტულებებში დარწმუნებით შესაძლებლად მიაჩნია სულიერი წინსვლა. რამდენჯერაც არ უნდა აგვისხნან და განგვიმარტონ რელიგიური შთაგონების სიმართლე, მშვენიერება და ფასეულობა, მხოლოდ ამით შეუძლებელია ადამიანის სულში რელიგიის გაღვიძება. სული უბრალოდ დუმს ამგვარი საუბრების პასუხად, ხანდახან მხოლოდ ასოციაციურად ცოცხალი გრძნობებით კი არ ეპასუხება მას, არამედ ემოციურად შეფერადგებული მოგონებებით. უბრალოდ უნდა უარვეოთ ის აზრი, რომ ინტელექტუალური საშუალებებით შეიძლება სულიერი შთაგონების, რელიგიური ან მორალური შთაგონების გამოწვევა.

<sup>8</sup> იხ. ჩემი ნარკვევი „პედაგოგიკური ინტელექტუალიზმის შესახებ“ (რუსული სკოლა საზღვარგარეთ, №4).

განა ასეთი უძლურია ჩვენი სიტყვები, ასე უმოქმედოა ინტელექტუალური საშუალებები სულთან მიმართებაში? განა ცოტა ისეთი ფაქტები, როცა სიტყვის შედეგად ანთებულა და შთაგონებულა განსაკუთრებით ახალგაზრდა სული? რა თქმა უნდა, ასეთი ფაქტები შესაძლებელია, თუმცა მათი საიდუმლო არ მდგომარეობს ინტელექტში; სიტყვები მოქმედებენ, როცა ადამიანში უკვე არის ნაპერწყალი, ისინი მოქმედებენ, როცა დამრიგებული თვითონ არის მაღალსულიერი, მგზნებარე და შთაგონებული ამავე ცეცხლით. მისი მთელი სული, მთელი შინაგანი ძალა ავსებს სიტყვებს, და მაშინ მათგან გამოდის ცეცხლოვანი ძალა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ იმათ, ვინც ისმენენ თუნდაც ასეთ სიტყვებს, გული უნდა გაუღონ, უნდა მიიღონ იგი ყოველგვარი ირონის, დაცინვისა და უხეშობის გარეშე. საჭიროა წინასწარი სოციალური „კონსონანსი“, საჭიროა, არსებობდეს რადაც სულიერ-ემოციური თანხმობა და მაშინ სულ უბრალო სიტყვებიც კი (თუმცა მაღალფარდოვანი საუბარიც ასევე მოქმედებს, როცა ის არის გუწრფელი) ცეცხლივით იპყრობს მსმენელის გულს. ამ სულიერ-ემოციურ შერწყმულობაში არის ჩვენი „გავლენის“ მთელი საიდუმლო. ის არის პრეტენზიული, ნაზი, ის თავისუფალი და არითმულია, თუმცა მხოლოდ ამ დროს აღწევს ჩვენი სიტყვები სხვათა სულებში, ადვოქტებენ მასში საპასუხო მოქმედებებს, ეპასუხებიან მას. ხშირად უკეთაზე მუცურვალე საუბრებისა და გულწრფელი მოწოდებების უშედეგობა აიხსნება სწორედ ამ სულიერ-ემოციური თანხვედრის უკმარისობით ან მოსაუბრის სიტყვების მიმართ ნეგატიური (ასევე სულიერ-ემოციური) დამოკიდებულების არსებობით. ჩვენ პედაგოგები, ძალიან ხშირად ვერ ვამჩნევთ, რომ ბავშვები არ გვიგდებენ ყურს – აქ ლაპარაკია არა გარეგნული, არამედ შინაგანი ყურადღების შესახებ; როცა ჩვენ გართული ვართ ასეთი მაღალფარდოვანი საუბრით ბავშვების უყურადღებობისას, მაშინ ჩვენი სიტყვები ეღერს ლიტონ რიტორიკად.

7. სულიერებისა და უმოციურობის შეთანხმებული ქმედებები არის წინასწარი პირობა იმისა, რომ ჩვენი „გავლენიანობა“ ამოქმედდეს. მაგრამ როგორ უნდა მივაღწიოთ ამ თანხმობას?

აქ შეუძლებელია არ გავიხსენოთ სხვადასხვა ტიპის ადამიანების (რაც დამახასიათებელია ბავშვებისთვისაც), არსებობა. ა ტიპის ადამიანებს არასდროს ძალუმთ თანაგრძნობით უსმინონ და დაეთანხმებიან **B** ტიპის ადამიანების შეგონებებს, თუმცა წინასწარ სჯერათ ყველაფრის, რასაც მათ ეტყვიან **G** ტიპის ადამიანები. ნაკლები ნდობით არიან ისინი განმსჭვალულები **D** ტიპის ადამიანების მიმართ, თუმცა არ უარყოფენ მათ ნათქვამს და ა.შ. ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი სოციალურ-სულიერი ტიპოლოგია<sup>9</sup>, არ ხდება ფილოსოფიური ანთროპოლოგიის იმ ბაზის დამუშავება, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდებოდა სხვადასხვა ტიპის ადამიანის შესწავლა. პრაქტიკულად ჩვენ ძალიან კარგად ვამჩნევთ, (რა თქმა უნდა, არა საკუთარ თავზე, არამედ სხვა ადამიანებზე), რომ რომელიმე ორი ადამიანი ვერასოდეს დაეთანხმება ერთმანეთს, ვინაიდან მათ ერთმანეთის ყველაფერი აღიზიანებთ, რითაც საფუძველშივე არის აღმოფხვრილი ერთმანეთთან თანხმობის შესაძლებლობა.

ეს ფაქტი კარგად უნდა იქნას შესწავლილი, რათა ჩვენ შევძლოთ მისი გამოყენება, რათა თავიდან ავიცილოთ ის მტან-ჯავი კოლიზიები, რომლებიც ასე ხშირია ცხოვრებაში და პედაგოგიურ ურთიერთობებში. ეს სოციალური და სულიერი წინააღმდეგობები, რომლებიც წარმოიქმნებიან ადამიანებში სწორედ ამ ტიპების სხვადასხვაგვარობის გამო, ეს ინტუიციური სიმპათია-ანტიპათიები არ მიმაჩნია რადაც საბედისწერო და გადაულახავ მოქნებად. ორივე მხარეს შეუძლია ერთმანეთთან შეეუძა, შეუძლიათ „გამოიმუშაონ“ შესაბამისი „ტონი“; მოთმინებითა და სიმტკიცით, სიმშვიდითა და სიბეჯითის გამოჩენით შესაძლებელია ორი სხვადასხვა ტიპის ადამიანის ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაუმჯობებსება. და მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ სოციალური ურთიერთობები, როგორიც არიან ისინი თავისი

<sup>9</sup> დღეისათვის დიდი ადიარებით სარგებლობს იუნგის წიგნი „ფსიქოლოგიური ტიპები“. ეს წიგნი, რომელიც ეძღვნება ამ თემას, თავისთვალისწილი და ფასეულია, მაგრამ „ინტროვერსული“ და „ექსტრავერსული“ ტიპების ძირითადი განსხვავების აღმოფხვრა, რა თქმა უნდა, მაინც შეუძლებელია.

„ბუნებრივი“ განვითარებისას, სავსეა ბუნებრივი და მნელად გადასალახი სიძნელეებითა და წინააღმდებობებით. ისიც უნდა ვადიაროთ, რომ შეგვიძლია ამ ბუნებრივ სოციალურ და სულიერ პრობლემებზე ამაღლება, თუკი (თუნდაც უმეცრად და წარუმატებლად) ვივლით სიკეთის გზით. სიკეთებთან შეხვედრა, როცა სიკეთე სრულიად გუწრფელად განსაზღვრავს ჩვენს ურთიერთობებს ადამიანებთან, ბავშვებთან, როცა ჩვენ არ გვამოძრავებს ვნებები, ყოველთვის აისახება სხვის სულზე; განსაკუთრებით მგრძნობიარენი ნამდვილი სიკეთის მიმართ ბავშვები არიან, რომლებიც ადვილად ახერხებენ, რომ მკაცრი გარეგნობისა და პედაგნიზმის მიღმა ამოიცნონ სიკეთე. საერთოდ კი დარწმუნებულები უნდა ვიყოთ, რომ ბავშვის სულიერი სამყარო ძალიან მგრძნობიარეა ზრდასრულ ადამიანებში ყოველგვარი ჭეშმარიტისა და კეთილის მიმართ. მათ შეუძლიათ არ გამოგვეხმაურონ, უფრო მეტიც, შეუძლიათ დაგვცინონ ან გაბრაზდნენ, მაგრამ სულის სიღრმეში მაინც ისრუტავენ სიკეთის სხივებს, და ადრე თუ გვიან ეს აუცილებლად აისახება მათზე.

8. უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე არაერთგზის გამოითქვა აზრი იმ უზარმაზარი დინამიკური ძალის შესახებ, რომელიც ესთეტურ საწყისს გააჩნია. შილერიდან დაწყებული დღევანდელ დღემდე ხშირად ისმის აზრი, რომ სილამაზესა და მშვენიერებაში იმაღლება უდიდესი ძალა, რომელსაც შეუძლია ადამიანის ფერისცვალება. სილამაზე გიზიდავს თავისკენ, გამაღლებს, თითქოს ადამაღლებს სულის რადაც ცხოველ ძალებს, თითქოს გეუბნება საოცარ სიტყვას - „წინ“, რომელსაც, გოგოლის აზრით, ყოველი სული ელოდება, რომელიც მზად არის უპასუხოს ამ მოწოდებას და ფერი იცვალოს. ამგვარი ესთეტური აღმასვლის ღირებულება, სულის ამგვარი ფრთაშესხმის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც ასეთ დროს წარმოიქმნება და რომელსაც შეუძლია ზანგი და ანემიური ადამიანებიც კი შემოქმედებითი და გმირული საქციელისთვის განაწყოს - ეს ყველაფერი დიდი ხანია იპყრობს ჩვენს ყურადღებას. იმ სულიერი აღმასვლის არსის უარყოფა, რომელიც ნაკარნახევია სულის ესთეტური მოქმედებების მიერ, შეუძლებელია არ-

სებობდეს ხელოვნების ყველა დარგს შორის. განსაკუთრებული დინამიურობით ხასიათდება მუსიკა, რომლის შესახებაც ოდესდაც შესანიშნავად დაწერა გოგოლმა, რომ მისი დიდი და დამატებებელი მოქმედება განსაკუთრებით საჭიროა ჩვენს უმნიშვნელო და მერკანტინულ დროში... განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მოწიწების გრძნობის პედაგოგიკური დირექტულება. ამ გრძნობაში სულიერად შეკავშირებულია პატივისცემა, ერთგულება, შთაგონება, სერიოზულობა. მოწიწების გრძნობაში იმაღლება სტიმულირების დიდი ძალა, გაკეთილშობილებისა და სულის განწმენდის უდიდესი ძალა.

არც ისე დიდი ხნის წინათ პროფესორი ვიშესლავცევი თავის საინტერესო წიგნში „ფერშეცვლილი ეროსის ეთიკა“, ზოგიერთ თანამედროვე ფსიქოლოგიურ თეორიაზე დაყრდნობით (უპირატესად ბოლუენიზე დაყრდნობით) მშვენიერი სახეების მოქმედებით შეეცადა ჩამოყეალიბებინა სულის ფერისცვალების თეორია. ეს ამაღლება (სუბლიმაცია) ხდება ეროსის სფეროში, რომელსაც ვიშესლავცევი განმარტავს პლატონის მსგავსად. ეროსის ფერისცვალება, როგორც მას პროფესორი ვიშესლავცევი გვიხატავს, ესთეტიკური წესრიგის შემოქმედებით ძალაზე აქცენტირებით, რომელიც ცდილობს ადამიანის მხოლოდ განწმენდასა და ფერისცვალებას, პედაგოგიკის წინაშე წარმოაჩენს ახალ პერსპექტივებს. ვიშესლავცევის მიხედვით სულიერი ზრდის მთელი გზა იხატება როგორც ეროსის საწყისით ადმასევლის გზა: ამ კონსტრუქციის მიხედვით, ეროსის სფეროში უნდა მოხდეს სულიერი მთლიანობის აღდგენა. მთელი ამ დებულებების მიხედვით, რომლის შესახებაც უფრო დაწვრილებით მკითხველი გაეცნობა ამ წიგნში, არსებობს მთავარი და პედაგოგიკისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დეფექტი: ის უცხოა რეალური ცხოვრებისათვის, ის გამსჭვალულია უტოპიზმის სულით. სულიერი ესთეტიკა ნამდვილად ძალიან ღრმა და ქმედითია; მას შეუძლია ეროსის ფერისცვალებისას ახალი ძალების მინიჭება, შეუძლია ადამიანის შეცვლა და ფერისცვალება. თუმცა ეს აღმასვლები ხდება თავისთავად, ეს ფერისცვალება, რომლის საფუძველია სუბლიმაცია, ზედაპირული და არასაიმუ-

დოა: სამწუხაროდ, სიკეთისა და სიმართლის გზა განისაზღვრება არა მსგავსი შთაგონებებით, არც ეროსის ფერისცვალებით, არამედ იმით, რომ სული ქედს იხრის სიმართლის და არა სილამაზის წინაშე. ის არ უარყოფს იმას, რომ ესთეტური ფრთხების შესხმაც შეიძლება შეუერთდეს ამ მორალურ შთაგონებას და გააძლიეროს ის. უნდა ვადიაროთ, რომ გულის ნამდვილი ფერისცვალების განმსაზღვრელი არის არა ესთეტური, არამედ სულის რელიგიური და მორალური ქმედებები. სწორედ ეროსის სტიქიასთან ესთეტური ქმედებების მახსობლად იმალება ამ ზედაპირულობის მიზეზი: ისინი იძლევიან სულის ცრუ, მირაჟულ მთლიანობას, იძლევიან მის მხოლოდ ზედაპირულ ჰარმონიას, და სულაც ვერ ერვიან სულის შინაგან დისონანსებს. მე სულ სხვა მიზეზით მომიხდა ასეთი აზრის გამოთქმა<sup>10</sup> – სილამაზე კი არ გადაგვარჩენს, არამედ სილამაზე საჭიროებს გადარჩენას. მთელი უპედურება ისაა, რომ ჩვენს გულში არსებული ბნელი საწყისი არ ნათდება ესთეტური შთაგონების შედეგად, პირიქით, ის საზრდოობს მისით. ესთეტური სფეროს საშუალებით არ ხდება ცოდვის გადაჭრით აღმოფხვრა, ვინაიდან ბოროტის კატეგორია არ თავსდება ესთეტურ პერსპექტივებში. ოდესდაც ლევ ტოლსტოის სილამაზის სიკეთისადმი ამ „გულგრილობისთვის“ ხელოვნების ოსტრაკიზმით ცდილობდა დამუქრებოდა ყველაფერს, რასაც არ მიჰყავს სული სიკეთისკენ. მაგრამ ხელოვნების ასეთი მკაცრი განაჩენი, ესთეტური მოძრაობები არ შეიძლება იყოს გამართლებული, თუმცა ასევე არ შეიძლება იმ უტოპიური მოლოდინის გამართლება, რომ ესთეტური აღმასვლის ძალით მოხდება სულის ნამდვილი ფერიცვალება.

შილერმა, რომელიც პირველი მიუდება მთელი სერიოზულობით ადამიანის სულიერი მთლიანობის პრობლემას, გამოთქვა ასეთი მოსაზრება: ადამიანი სრულყოფილია მხოლოდ მაშინ, როცა ის „თამაშობს“. ამ ფორმულაში, რომელიც ძალიან ორაზროვნად ქდერს, დევს ძალიან მნიშვნელოვანი იდეა. შილერის აზრით, მხოლოდ „თამაში“, როგორც ესთეტური აქტივობის ტიპი,

<sup>10</sup> იხ. ჩემი ეტიუდი „სილამაზის პრობლემები დოსტოევსკის მსოფლმხედველობაში“ (გზა №37).

ბოლომდე და მთლიანად არის თავისუფალი და ის მოკლებულია ყოველგვარ ფსიქიურ თუ სხვა ხასიათის (მორალურ, ლოგიკურ) იძულებებს, რომლებიც აკნინებს თავისუფლებას, ხან კი უბრალოდ ზღუდავს მას. თავისუფალი და მთლიანი, არა იძულებით „სუფთა“ შემოქმედება, მთლიანი და სულისშემძვრული თვითგაცემა მის მიმართ, რაც მას ატყვევებს, ჰეშმარიტად აახლოებს მთლიანობის იდეალთან, ხდის კიდევ უფრო თავისუფალს. ეს სწორია, თუმცა მხოლოდ ფსიქოლოგიურად, თავისუფლების განცდისას და არა სხვა შემთხვევაში. შესაძლოა, რომ ადამიანი დარჩეს დასაბამიერი გაორებულობის ტყვეობაში, გააძლიეროს სულიერი სფეროს „ბნელი“ საწყისი, ამაგროვულად მთლიანად და მხერვალედ მიეცეს „შთაგონებას“, რომელიც სულაც არ განახორციელებს ჩვენი გულის მთლიანობის რეალიზაციას და მთელი თავისი სისრულით არ გახდება ჩვენი თავისუფლების საწინდარი. თავისუფლება და მთლიანობა უნდა განიხილებოდეს მათი დაფარული მეტაფიზიკური კუთხით. სულში ესთეტური შთაგონების ორაზროვნება იმაში მდგომარეობს, რომ ის თავისი არსით გვერდს უვლის ადამიანის შინაგან დრამას, მშვიდდება და ივსება თავისუფლებისა და მთლიანობის სუფთა პერიფერიული განცდით. ესთეტური ქმედებები შეიძლება იქცეს ნამდვილ მეგზურად ადამიანის ჰეშმარიტი ფერისცვალებისკენ, თუმცა მათ თავისთავად არ იციან იმის კრიტერიუმები, ჰეშმარიტია თუ ფსიქოლოგიური ის მდგომარეობა, რომელთა გამოწვევაც ხდება მათ მიერ. უზარმაზარი დინამიური ძალა, რომელიც ნიშანდობლივია ესთეტური ცხოვრებისათვის, შეიძლება ადმოწნდეს ბრმა და დამდუშველიც კი; რომ გათავისუფლდენ ამ საბედისწერო ორაზროვნებისგან, უნდა მოხდეს მათი შინაგანი გასხივოსნება აბსოლუტისკენ სწრაფვით. მხოლოდ ასე შეიძლება იყოს დაძლეული ესთეტიკური აღმასვლის ორაზროვანი ჯადოსნობა, ამგვარად გადაილახება პიროვნებისკენ მიმართული საბედისწერო ძალა. ეს სულის რელიგიური განათლება უნდა იყოს იმაგდროულად დრმა და თავისუფალი.

9. არსებობს სულიერი მდგომარეობა – რომელიც ადვილად მჟღავნდება ბავშვობასა და სიჭაბუკეში – როცა სული დვთის

მოწოდების საპასუხოდ ცოცხალი და მხიარული შთაგონებით ივსება. სულის ეს მოქმედებები გვათავისუფლებენ ცალკეული ვიწრო გრძნობების სიცრუისგან, რომლებიც ფლობენ ჩვენს არსებას, ჩვენი არსებობის „უძლურებას“, მის დასაზღვრულობასა და უმწოდებას – ეს არის სულის ნამდვილი მადლმოსილი გაბრწყინება, რომელიც მოდის მოულოდნელად, ხშირად ჩვენი სულის წინარე მდგომარეობის საპირისპიროდ. ხანდახან ეს სიხარულისა და სულიერი ნათლის, სიმსუბუქისა და შემოჭმედებითი აღმასვლის, სისპეტაკისა და სულიერი სიფხიზლის მდგომარეობა გვეწვევა, როცა თავს დავაღწევთ ქალაქის სულის-შემხუთველ პირობებში ცხოვრებას და ვაბრუნდებით ბუნებას. ბუნებაში – მთებსა და ტყეებში, ზღვასა და ზეცაში, ამწვანებულ მინდვრებსა და უსაზღვრო სივრცეში – სულს ეწვევა იდუმალი ძალა, რომელიც გვაბრუნებს ბავშვურ სისუფთავეში და სული ხარობს და მდერის გაზაფხულის ჩვეული ხმებით. ღვთაებრივი, სოფიური საწყისი ბუნებაში; იდუმალი, თუმცა სულის შემძვრელი სილამაზე ბუნებისა სულს აკეთილშობილებს ფერისცვალებით, და ავსებს იდუმალი ნეტარებით, ღვთის ტკბილი შეგრძნებით... ნუ ვუწოდებთ ამ მოქენტებს სულის „ნატურალურ“ მდგომარეობას – აქ ღვთაებრივი მადლით, ზეგარდმო მოედინება შინაგანი ერთობა და შემოქმედებითი ძალები. ოდონდ არ უნდა გავაღარიბოთ ამგვარი მდგომარეობები, ოდონდაც უნდა შევძლოთ ბუნების მუსიკაში ღმერთის ხმის გაგონება... სამწუხაროდ, ეს ინტუიციები, ბუნების ეს იდუმალი მელოდია ხშირად გაივლის სულს ისე, როგორც წყალი გაივლის საცერს, და ის დარჩება უტყვია აღმოჩენად, რომელიც ვერ დარჩება სულში ჯეროვანი აპერცეპციების უქონლობის გამო.

კოსმოსური „სხივები“, რომლებიც სულს სიხარულითა და შემოქმედებითი ძალებით ავსებს, თავისი არსით არის ეკლესიური. არ დავიწყებთ ახლა ამის მტკიცებას, მხოლოდ განვმარტავთ მას. ეკლესია, როგორც ქრისტეს სხეული, როგორც ღმერთის თავმოყრა, არის კოსმოსური ცენტრი, რომელიც სიყვარულით იკრავს გულში მთელ სამყაროს და ელის მის დაბრუნებას. ეკლესია

მოგვმართავს ბუნების სილამაზისა და სიმართლის ქნით, ეს მისი სულიერი ძალა გვიხმობს, შთაგვაგონებს და ფრთხებს გვასხამს. ეკლესია არის ცოცხალი თავმოყრა, ცოცხალი გული ქმნილი სოფიას ნათელი საწყისის; ჩვენ რომ ბავშვებივით ვემორჩილებოდეთ მის მოწოდებებს, მივაღწევდით ფერიცვალებას. მაგრამ არ ვართ ბავშვები, ხელს გვიშლის ჩვენი ცნობიერება – ხელს გვიშლის იმით, რომ ის ხშირად არასწორად აფორმებს ბუნების ცოცხალ მელოდიებს. აუცილებელია იმ შთაგონების ეკლესიური გაფორმება, ეკლესიური განცდა, რომელიც მოდის ბუნებიდან, რომ მათი ძალა არ დაიშრიტოს და არ გაქრეს. ეკლესია ჩვენ გარეთ და ეკლესია ჩვენში (რომელიც მოქმედებს ჩვენს ეკლესიურ ცნობიერებაში), მხოლოდ მას შეუძლია სულის მადლით განათება, რომლითაც მიიღწევა თავისუფალი ერთიანი, სრულფასოვანი ცხოვრება ნამდვილად, და არა ისეთი, რომელიც მხოლოდ ფსიქოლოგიურად გვათავისუფლებს შინაგანი გაორებისგან. მხოლოდ ეკლესიაში ხდება სულიერად ნაყოფიერი ბუნების, ადამიანების, ჩვენი საკუთარი ცხოვრების გავლენები.

10. ეკლესიაში არის ის მადლმოსილი გარემო, რომლითაც და რომლის საშუალებითაც შეიძლება იმოქმედო სულიერ ცხოვრებაზე, შეიძლება ნამდვილად დაეხმარო მას განვითარებაში. რა თქმა უნდა, ჩვენთვის ეკლესიის რეალობა შემოფარგლული არ უნდა იყოს მხოლოდ სატაძრო, სადვოთისმსახურო ცხოვრებით – ეკლესიის რეალობა უფრო ფართოა, ვიღრე მხოლოდ ტაძარი და ღვთისმსახურება. როგორც ქრისტეს სხეული, როგორც მისტიკური ორგანიზმი, ეკლესია თავის თავში მოიცავს არა მარტო ლოცვას, რომელიც მოდის მოწმუნებისგან, თუმცა მოეფინება მთელ ინდივიდუალურ და სოციალურ ცხოვრებას; ის არის ისტორიულიც და კოსმოსურიც, და ეკლესიურ ცხოვრებაში მონაწილეობით გხდებით თანამონაწილე ეკლესიის ცოცხალი და მადლმოსილი მთელი რეალობისა. ჩვენი მზერისთვის დაფარულია სად და როგორ პულსირებს ეკლესიის ძალა; ჩვენ ვერ ვხვდებით და ვერ ვგრძნობთ, ვერ ვფლობთ იმ ყველაფერს, რაც ღვთისგან ჩვენში იღვრება ეკლესიის ცხოვრებაში მონაწილეობით. ცალკეული ადამიანის ეკლესიასთან შეერთების საი-

დუმლო, ბოლომდე საიდუმლოდ რჩება – მხოლოდ უშუალო გრძნობით ვისმენთ ეკლესიის მოწოდებას, თუმცა გონებით ვერ ვწვდებით, თუ საით გვიხმობს უფალი. მნიშვნელოვანია ერთი რამ – შევინარჩუნოთ ეკლესიასთან სულიერი შენიგობის საიდუმლო. მაშინაც კი, როცა ეკლესიური ცნობიერება არ სცილდება „საერთო იდეას“, თუ ამ „საერთო იდეით“ განათებულია ჩვენი ცნობიერება, თუკი „გვჯერა“ ეკლესიის, მაშინ მრწამსის თანახმად, ჩვენი რწმენით ეკლესიის მიმართ მისი ძალები იწყებენ ჩვენში მოქმედებას. ეს იმას ნიშანავს, რომ ჩვენს სულიერ ცხოვრებას არ სჭირდება ეკლესიის განყენებული იდეა, რომელიც ჩვენთვისაც იქნება განყენებული, არამედ სჭირდება ეკლესიის კონკრეტული შეგრძნება, კონკრეტული შემობრუნება მისკენ, რასაც ეწოდება რწმენა. ამგვარად, სულიერი განვითარების საშუალებით ხდება ეკლესიის გრძნობის გაღვივება და გაღრმავება; უშუალო, კონკრეტული ხედვა ეკლესიისა და მის მიმართ რწმენისა.

რითო მტკიცდება და საზრდოობს ეს გრძნობა? რა თქმა უნდა, ეკლესიის იდუმალი ძალის ცხოვრები გრძნობით. ამ საიდუმლოს ძალა, რომელიც აღესრულება ეკლესიაში არის ჩვენი სულიერი ზრდის მთავარი ძალა. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეპქარისტიის საიდუმლოს. ძნელი, უცნაური და საშიშია ამ საიდუმლოს „პედაგოგიური“ გაცნობიერება, ჩვენდა უნებურად ნატურალური ხდება ჩვენი პედაგოგიური ჩარევა ბავშვის ცხოვრებაში, უნებურად ვივიწყებთ მისს შესახებ, რა შემოდის ჩვენი საშუალებით, და არა ჩვენგან, ბავშვის ცხოვრებაში.

ეკლესია წარმოგვიდგება განსაკუთრებული (ხშირად შეუწეველი) ასპექტით – ცოდვების მიზანებით. უკვე აღსარება ამზადებს ჩვენი სულის სიღრმეში ცოდვის მიტევების შესაძლებლობას: აღსარებისას ჩვენ „ვინანიებთ“, ანუ ვაცნობიერებთ სულის ამა თუ იმ მოქმედების ცოდვით მიღრეკილებას. ცოდვის ეს გაცნობიერება, თუკი ადამიანი მას განიცდის ღრმად და გულწრფელად, გაივლის მთელ სულს და იმარჯვებს ცოდვაზე; სიძიდაბლითა და წუხილით ჩვენ განვეშორებით სულიერების ბნელ საწყისს და შიშით ვდგებით დვთის წინაშე. თუმცა ეს შველაფერი ჯერ კიდევ სუბიექტურია, ყველაფერი ჯერ კიდევ

ჩვენშია და ჩვენგანაა და ამიტომაც აუცილებლად ფსიქოლოგიური და არამდგრადია. მაგრამ როცა მოძღვრის შუამავლობით უფალი შეგვინდობს ცოდვებს, მაშინ სუბიექტური იქცევა ონტოლოგიურად, ჩვენ რეალურად და ნამდვილად ვთავისუფლდებით ცოდვისგან, კხდებით თავისუფლები დმერთში და დმერთთან ერთად. სწორედ ამ დროს, ამ სიხარულისა და თავისუფლების განცდისას ჩვენ ვმტკიცდებით დმერთში, ვივსებით დვოის მადლით. ცოდვათა მიტევების საოცარი ძალა თავის თავში მოიცავს ისეთ ქმედებას, სულის ისეთ ფერისცვალებასა და ფრთაშესხმას, რომ აქედან არაერთგზის გაჩენილა მაცდუნებელი რწმენა ცოდვის „ფასდაუდებელი სარგებლის“ შესახებ (“felix culpa”), რომლისგან განთავისუფლებაც ასე განმაცხოველებლად მოქმედებს სულზე. გაწონასწორებული, კეთილმოღვაწე ცხოვრება გვეჩვნება მოსაწყენი და უფერული, უინგერესო და მდორე; ცოდვის შემეცნება, რომელიც სინაწელის შედეგად აღანთებს სულს, ცოდვის მიტევების სიხარული, თავისუფლების ძალა და სინამდვილე დმერთთან სულიერი შეერთებისას – ეს უკელაფერი აძლევს სულს ახალ ენერგიასა და შთაგონებას... ამ სოფისტური ცნებებით თამაშში სწორია უკელაფერი, რაც ნათქვამია სინაწელისა და ცოდვების მიტევებაზე, მაგრამ უკლაფერი სიცრუეა, რაც სათხოებებზეა ნათქვამი; ეს უკანასკნელი მდგომარეობს არა ქცევებში, არამედ სულის გასხივოსნებაში; და თუ სათხოება არის მოსაწყენი და ერთფეროვანი, და აქვავებს გულს, ეს იმას ნიშნავს, რომ ის შეეხო მხოლოდ გარეგნულ ქცევებს და სულიერ პერიფერიებს და არ შეხებია გულს და მის სიღრმეებს..

ევქარისტიის მადლობისი მოქმედება სწორედ გარეგნულად, მაგიურად უნდა აღიქმებოდეს. ევქარისტიის საშუალებით საშინეული საიდუმლო იპყრობს ჩვენს სულს, ვინაიდან მაცხოვრის სიტყვებით რომ ვთქვათ, ვინც იხმევს მაცხოვრის სისხლსა და ხორცს, ის „დაივანებს უფალთან და უფალი დაივანებს მასში“. ამაო იქნებოდა გაგვეზომა მხოლოდ ცნობიერებით, რომელსაც შეუძლია მხოლოდ იმის დანახვა, რაც ხდება სულის ზედაპირზე, წმინდა ევქარისტიის მოქმედება სულზე. ეს მოქმედება მიმდინარეობს სულის სიღრმეში, ის იდუმალი და მიუწვდომელია,

მაგრამ სწორედ მისი საშუალებით საზრდოობს ჩვენი სულიერი ცხოვრება.

11. რელიგიური შთაგონების საეკლესიო წყარო საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ სიმართლე და სიცრუე „Conversion mouvement“ (რომელიც დღეს ცოცხლობს Oxford group Mouvement – მართალია, მან განიცადა ძალიან მნიშვნელოვანი და არსებითი ცვლილებები), რომელიც განვითარდა პროტესტანტიზმში – განსაკუთრებით ამერიკულ პროტესტანტიზმში<sup>11</sup>. ბუნებრივია, რომ სწორედ ის გადაიტანეს აღმზრდელობით სფეროში და მოპქონდა თავისი შედეგები. მსგავსი მოძრაობები პერიოდულად იჩენენ თავს პროტესტანტიზმში, როგორც მოთხოვნილება ინდივიდუალური, საკრამენტალური შთაგონებისა, რაც აქ ენაცვლება იმას, რასაც საიდუმლო ანიჭებს მორწმუნებებს მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიებში. დამერთის უშუალო მოქმედების, მისი მოწოდების მოლოდინი, იძლევა სულიერი „აღორძინების“ შეგრძნების საშუალებას, რითაც იწყება ახალი ცხოვრება, ცხოვრების ახალი მიმართვა მასულდგმულებელი ქრისტეს გარშემო<sup>12</sup>. პედაგოგიური კუთხით ამ მოქმედებას ექნებოდა ის მნიშვნელობა, რაც გააკეთებდა აქცენტს სულიერ მხარეზე, რაც მორალური და რელიგიური აღზრდისას გამოგვიყვანდა შაბლონური ნატურალიზმის საზღვრებიდან, დააკავშირებდა სულიერი ცხოვრების აღმოჩენას დვოაებრივ შთაგონებასთან. ესეც იყო „რელიგიური შთაგონების“ პედაგოგიკა, თუმცა მისი განსხვავება ამ მოქმედის ეკლესიური გაგებისგამ ის არის, რომ მას რელიგიური შთაგონება მიაჩნდა უშუალო დვოის გაცხადებად. ეკლესიურ ცნობიერებაზი ონგროლოგიური მოქმედის უქონლობისას, სხვანაირად როგორ გამოვლინდებოდა რელიგიური შთაგონება?<sup>13</sup> თუმცა რელიგიური ცხოვრების ასეთი ატომიზაცია, პიროვნების განკერძოება სხვა მორწმუნებებისგან მისი სუფთა ინდივიდუალური ხილვის მოლო-

<sup>11</sup> იბ. W.A. Viesser Thooft “The background of the social Gospel in America” (1928). Chapt V.

<sup>12</sup> იბ. მაგ. ჯემსი. „რელიგიური გამოცდილების მრავალფეროვნება“.

<sup>13</sup> იბ. Rufus Jones-ის წიგნი. „New studies in mystical Religion“ (1928); იბ. თავი „Mysticism and religious Education“.

დინით არა უბრალოდ უცხოა ჩვენთვის, მართლმადიდებლების-თვის, არამედ ობიექტურად დოგმატური კუთხით აბსოლუტურად გაუმართლებელია, ვინაიდან ის გვერდს უვლის მთელი კაცობრიობის მისტიკურ ერთარსებობას. ღმერთის მადლმოსილი მოქმედება შეიძლება კიდევ, რომ იყოს ინდივიდუალური, მაგრამ არსებობს ეკლესის ერთობლივი მადლმოსილი კრებითობა, რომელიც შეიკვრება საეკლესიო საიდუმლოებების მეშვეობით. ჩვენთვის რელიგიური შთაგონება მოაქვს ეკლესიას, როგორც ქრისტეს მისტიკურ სხეულს: ეკლესიაში კი ყოველთვის მოქმედებს დვოაებრივი სული, და მისი მოქმედება თავისთავად აეკლესიურებს ადამიანს.

მადლმოსილ კრებითობასთან მიახლება შეიძლება დავინახოთ ეწ. „ბუკმანიზმში“, რომელსაც სხვაგვარად ეწოდება „Oxford group Mouvement“ – აქაც ემებენ რელიგიურ შთაგონებას „გარდატებაში“ (change) – რაც მოიპოვება სათხო, კეთილი ცხოვრებით. თუმცა აქ ინდივიდუალური გარდატება უნდა შეავსოს „მეგობრების“ ჯგუფში მონაწილეობამ, და ამგვარი სულიერი გარემოს შექმნა აქ ძალიან მნიშვნელოვანია. მხოლოდ ეს კრებითობა, თუმცა ისიც გამსჭვალულია სიმართლის ძიებით, არ არის ეკლესია (და არც აქვს სურვილი რომ იყოს). ჩვენთვის, მართლმადიდებლებისთვის, ნათელია, რომ სულიერი აღზევებისა და რელიგიური შთაგონების მასაზრდოებელია ეკლესია თავისი საიდუმლოებებითა და მადლით.

12. თუკი აღზრდის ამოცანაა სულიერი სიმშვიდის მოპოვება, მაშინ აღზრდის ძირითადი საშუალებები უნდა უკავშირდებოდეს ბავშვის სულიერ მხარეს. სასკოლო, სკოლისგარეშე, სკოლამდელი თუ ოჯახური აღზრდა – ეს ყველაფერი „ინსტრუმენტულია“, ანუ ყველაფერი – სხეულის განვითარება, სოციალურობა, ინტელექტი, მორალური, ესთეტიკური, რელიგიური სფეროები – მოიაზრება სულიერ საწყისთან მიმართებაში. ამით ჩვენ ვუახლოვდებით პედაგოგიკის კონკრეტულ პრობლემებს, მაგრამ მის გადაჭრამდე, აუცილებელი იყო აღზრდის საერთო პრინციპების ფორმულირება ისე, როგორც ჩვენ ისინი ჩამოვაყალიბეთ, როგორც განიხილავენ მას მართლმადიდებლობის შუქჩე.

## მართლმადიდებლური პედაგოგიკის პრინციპები

ახლა შევაჯამოთ ყველაფერი, რაზეც წინა თავებში იყო საუბარი და ჩამოვაყალიბოთ მართლმადიდებლური სულიო გაუძენთილი ქრისტიანული აღზრდის პრინციპები. ჩვენ შეგვიძლია მათი საერთო მდგომარეობის განსაზღვრა. აღზრდის კონკრეტული პრობლემების სხვადასხვაგვარი ფორმით განხილვას შემოგთავაზებთ ჩვენი კვლევის მეორე ნაწილში.

1. პედაგოგიკის სისტემის ჩამოყალიბებისას, რომელიც მართლმადიდებლობის კუთხით იქნება განხილული, უნდა ვეცადოთ გამოვიყენოთ მთელი პედაგოგიკური იდეების მონაპოვარი, რომელიც შეიმუშავა როგორც რელიგიურმა, ასევე ლაიჩესკის ევროპულმა და ამერიკულმა პედაგოგიკამ. ვეძებთ ორგანულ სინთეზს ყოველივე ლირებულისა, რაც გააქს თანამედროვე პედაგოგიკაში და ვამტკიცებთ, რომ ამ ორგანული სინთეზის გადმოცემა აქტუალური პრობლემების მთელი სისრულით და სირთულით შესაძლებელია მხოლოდ ქრისტიანულ ანთროპოლოგიაზე დაყრდნობით, ისე როგორც მას განმარტავს მართლმადიდებლური ცნობიერება.

2. ლაიჩესკის თანამედროვე პედაგოგიკა მიუხედავად იმისა, რომ მდიდარია მთელი თავისი შემოქმედებითი ძიებებით, მაინც შეზღუდულია პედაგოგიკური ნატურალიზმის ვიწრო ჩარჩოებით, რომელიც უარყოფს ადამიანის განვითარებაში უზენაესი სამყაროს მონაწილეობას. ვინაიდან პედაგოგიკური ნატურალიზმი მჭიდრო კავშირშია განათლების მოძველებულ ფილოსოფიასთან, რომელიც ამოზრდილია სეკულარული კულტურის პედაგოგიკის „ავტონომიურობის“ იდეის ატმოსფეროში, ამდენად პედაგოგიკური ნატურალიზმის დაძლევა ხდება რელიგიური კულტურისკენ თანამედროვეობის შემობრუნებით. აუცილებელია პედაგოგიკური ნატურალიზმისგან განთავისუფლება, არა

მხოლოდ აღზრდის გზებისა და საშუალებების გაგებისას, არამედ მისი მიზნების ფორმულირების დროსაც. არ შეიძლება აღზრდის მთელი სისტემის განსაზღვრა მხოლოდ იმით, რომ დავებმაროთ ბავშვებს, გაატარონ ჯანმრთელი და ძლიერი, კეთილი და შემოქმედებითი ცხოვრება: ვალდებულები ვართ მოვამზადოთ ბავშვები, როგორც მიწიერი, ასევე ზეციური ცხოვრებისთვის. მარადიული ცხოვრება, ანუ ცხოვრება უსასრულობაში არის ჩვენი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი; როგორც სიცოცხლე და სიკვდილი არიან ერთმანეთთან უწყვეტ კავშირში, ასევე დრო და მარადიულობაც შეუდლებულია ერთმანეთთან. აღზრდა გვერდს ვერ აუკლის ადამიანის მარადიულ ცხოვრებაში მონაწილეობის საკითხს და ვერ იცხოვრებს ზედაპირულად. ეს წარმოადგენს აღზრდის რელიგიურ საფუძველს, ამ კუთხით დაისმის მთელი თავისი სიძლიერით ადამიანში ნატურალურისა და სუპერნატურალურის ურთიერთობისა და, შესაბამისად, ამოცანებისა და აღზრდის საშუალებების საკითხი. ეს წამოწევს წინა პლანზე ადამიანის ბუნების შინაგანი გასხივოსნებისა და მისი განვითარების დინამიკას, როგორსაც გვთავაზობს ქრისტიანული ანთროპოლოგია.

3. ქრისტიანული ანთროპოლოგიის შუქზე ადამიანის ბუნება განიხილება სხვაგვარად, ვიდრე მისი ნატურალისტური გაგებისას. თუმცა ადამიანის შემსწავლელი მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლები აღიარებენ ადამიანში სულიერი ცხოვრების არსებობას, როგორც მისი არსების საფუძველს (მაგ. ფერიერი სწავლება elan vital spirituel-ის შესახებ), ამ საწყისის განმარტებისას მას უკავშირებენ პანთეიზმს. ადამიანის სულიერი საწყისი არა მარტო არ გამომდინარეობს ბუნებრივი ევოლუციიდან და არა მხოლოდ უშვებს მის ზეინდივიდუალურ, სუპერნატურალურ საფუძველს, არამედ თავისი არსით მოწმობს იმას შესახებ, რომ ის მჭიდრო კავშირშია აბსოლუტთან. ადამიანის სულიერი ცხოვრება ნიშნავს მის მიერ უსასრულობის გამუდმებულ და დაუდალავ ძიებას და სწორედ ამ ნიშნის გამო ის ანიჭებს ადამიანს იმ elan spirituel-ს, რომელიც ღვთისკენ შემოაბრუნებს მას. ჯერ კიდევ უმოქმედო, „ქვენა“ ძალის ტყვეობაში

მყოფი სულიერი საწყისი გამსჭვალავს („ზეგარდმო“) ადამიანის მთელ არსებას, მის ემპირიულ ხასიათს, მის ფსიქიკურ ცხოვრებას. სულიერი ძალებისა და ემპირიული საწყისის ურთიერთ-კავშირი ავლენს იმ არსებით მთლიანობას, რომელიც ადამიანში არსებობს მაშინაც, როცა იგი გრძნობების ტყვევა. ამიტომ, როცა სულიერი საწყისის არაწარმოებულობა განაპირობებს ადამიანის იერარქიულ კონსტიტუციას, მაშინ ეს იერარქიული კონსტიტუცია უნდა განიმარტებოდეს ონტოლოგიური და არა მორალური მნიშვნელობით. წარმოუდგენელია ადამიანში მოიაზრებოდეს სულისა და ემპირიის ურთიერთობა არსობრივად ერთ-მანეთისგან გამოცალკევებულად, რაც უარყოფს შტაინერის მიერ განვითარებულ ანთროპოლოგიას, უარყოფს გარდასახვის ონტოლოგიურ შესაძლებლობას. ადამიანის სულიერი საწყისი არის წყარო და საფუძველი მისი ინდივიდუალიზმისა, წყარო მისი განუმეორებლობისა, ადამიანის შემადგენლობაში ცოცხალი მთლიანობისა. ეს ყოველივე შესაძლებელია იყოს სწორად გაგმბული მარტოოდენ ქრისტიანული ანთროპოლოგიის სწავლებით ადამიანში დვოის ხატების შესახებ.

4. დვოის ხატება ადამიანში არ არის მხოლოდ მისი „ბუნება“, თუმცა ის ხდება მისი ბუნების ნაწილი და აძლევს მას პიროვნების იმ საწყისს, რომელიც ქმნად სამყაროში მხოლოდ ადამიანს აქვს მინიჭებული. პიროვნების საწყისი არის დვოის ხატება ადამიანში, რომელიც მაღლდება ქმნად ყოფიერებაზე, ეს საწყისი არის დაკნინებული, მოკლებულია თვითყოფადობას, ის მხოლოდ სახეა აბსოლუტური ყოფიერებისა, თუმცა ის არ არის თავისთავად აბსოლუტი. პიროვნების საწყისი იქცევა ადამიანის ბუნების ცენტრად, რომელშიაც ამის გამო ყველაფერი პიროვნულია, ანუ ადამიანში ყველაფერი მაღლდება სულიერებამდე. ადამიანის ცხოვრების მთელი ეს თანაფარდობა სულიერ საწყისთან, მის „ბულთან“ სულიერი თვითხედვის წიაღში ბადებს ემპირიულ ცნობიერებას, ქმნის პიროვნებაში ემპირიული ცენტრის (ემპირიულ მეს) ჩამოყალიბების პირობებს და ისევ პოულობს ადამიანში სულიერი და ემპირიული მხარეების ონტოლოგიურ მთლიანობას. თუმცა სწორედ ამგვარად იქმნება ადამიანში თავისუფ-

ლების შესაძლებლობა, ანუ მისი შინაგანი სამყაროდან საკუთარი თავის განსაზღვრის შესაძლებლობა. ადამიანის თავისუფლება გაცილებით ღრმაა, ვიდრე ცხოვრების შიგნიდან რეგულირება, მასში არის „საიდუმლო“ – მისი შემოქმედებითი გახსნა შესაძლებელია მხოლოდ ჰეშმარიტებასთან თანაზიარებით, მხოლოდ ღმერთში ცხოვრებით. ამის გარეშე თავისუფლება ინარჩუნებს შინაგანი სამყაროდან საკუთარი ცხოვრების განსაზღვრის უნარს, მას არ აქვს შემოქმედებითი ძალა, არამედ პირიქით, ის არის ქაოსისა და უნაფოფობის წყარო. ის უზომოა ასეთ შემთხვევებში თავისი ძიებებისას, თუმცა დასაზღვრულია მისი მიღწევები. ასე ხდება შესაძლებელი ცოდვა თავისუფლების წიაღში.

5. ქრისტიანული სწავლება პირველქმნილი ცოდვის შესახებ ემყარება პიროვნებისა და მთელი კაცობრიობის მისტიკური ერთობის დოქტრინას. პირველქმნილი ცოდვისას მოხდა ადამიანის სულიერების გაორება, რომელიც ვერ აქრობს ღვთის ბრწყინვალებასა და ღმერთობასთან თანაზიარების დაუძლეველ სურვილს, თუმცა ამიერიდან ადამიანის გვერდით მუდამ არსებობს ცოდვის აჩრდილი. სულიერი ცხოვრება მისი „ბუნებით“ – ცოდვით დაცემის შემდეგ ატარებს ამ გაორების ტვირთს. ის ბუნებრივად ეძებს ღმერთს და ასევე ბუნებრივად შეუძლია მასთან განშორება. სულიერი უმოქმედობისას ერთმანეთში გადაიხლართბა სულიერი ცხოვრების ბნელი და ნათელი საწყისები, რომლებიც განურჩევლად ასაზრდოებენ ერთმანეთს. სულიერი ცხოვრება საჭიროებს გადარჩენას, რომელიც მდგომარეობს სულიერი ცხოვრების ერთობის ადდგენაში, ანუ ადამიანის „ბუნების“ მადლობის ფერისცვალებაში. მადლის მოქმედების გარეშე არა მხოლოდ შეუძლებელია სულიერი ცხოვრებიდან გაორების აღმოფხვრა, არამედ მისი ულმობელი ლოგიკით სული მიდის სულიერების ბნელი საწყისის გაძლიერებისაკენ. ამით არის უარყოფილი „სულიერი მოქმედების მთელი მაგია“ და სულიერი სიმაღლეების დაპყრობა ადამიანურ ძალებზე დაყრდნობით: ცხონება შესაძლებელია მხოლოდ ღვთის მადლობისილი დახმარებით, რომელიც გულისხმობს სიმდაბლესა და საკუთარი უძლურების გაცნობიერებას.

6. ცოდვა, რომელიც შემოვიდა ადამიანში, მის ყოფიერებაში უკელა ადამიანის მისტიკური ერთარსებობის საშუალებით, შემოვიდა ასევე მთელ ქმნილ სამყაროში. ქრისტიანული ანთროპოლოგიის ეს პუნქტი მოითხოვს სოფიურ განმარტებას, ანუ სამყაროს, როგორც ქმნილი სოფიის სწავლებას. ამ სწავლების მიხედვით დავთის ხატება ადამიანში არის ნათლისა და სიმართლის, ერთობისა და მარადიულობის (შემოქმედი) ძალა მთელ ბუნებაში. მაგრამ ბუნებაში ადამიანის მიერ ცენტრალური აღგილის დაკავება ბუნებასაც ხდის ცოდვის ტყვეობის თანამონაწილედ – და ადამიანის ნათელი და ბნელი პოლუსის გაორება წარმოაჩენს ამ გაორების მთელ სიღრმეს ქმნად სამყაროში, სადაც კოსმოსი და ქაოსი, კანონზომიერება და შემთხვევითობა, აღმასვლისა და დაცემის სული ურდვევი კავშირით თანაცხოვრობს ერთად.

7. ადამიანის ბუნების სოფიური განმარტება აკავშირებს ადამიანს არა მარტო მთელ სამყაროსთან, არამედ კაცობრიობის მისტიკური ერთარსებობის სწავლების თანახმად, მისი საშუალებით ხდება ნათელი უკელა პიროვნების კაცობრიობასთან ერთობა, პიროვნების ინდივიდუალურისა და განსაკუთრებულის კავშირი სოციალურთან. მაგრამ კაცობრიობის ნატურალურ „პრებითობას“ არ შესწევს ძალა იმისათვის, რომ განაგდოს ცოდვა, განცალკევებისა და მტრობის სული; როგორც ცალკეულ ადამიანში, ასევე მთელ კაცობრიობაში სიმართლისა და სიცრუის გაორება დაიძლევა მხოლოდ დავთის მადლით. მადლმოსილ კრებითობას გვაძლევს ეკლესია, რითაც აიხსნება მთავარი მიზეზი ეკლესიაში და ეკლესის საშუალებით ცხონებისა; ამით ეყრება საფუძველი აღზრდის რელიგიურად დრმა გაგებას – როგორც პიროვნების „გაეკლესიურებას“ ეკლესიასთან ურთიერთობით, საეკლესიო საიდუმლოებებით მიღებულ მადლმოსილ სისავსეს.

8. ქრისტიანული ანთროპოლოგიის ეს ძირითადი დებულებები, როგორსაც ავითარებს მართლმადიდებლური ცნობიერება, რომელიც კათოლიკური და განსაკუთრებით კი პროტესტანტული დოგმატიკისგან განსხვავებით თავისუფალია ანთროპოლოგიური შეცდომებისგან, იძლევა მყარ საფუძველს მართლმადიდებლური პედაგოგიკის სისტემის ჩამოყალიბებისათვის.

9. მართლმადიდებლური აღზრდის მიზანია - დვოის მადლის მიღების საშუალებით, რომელიც მხოლოდ ეკლესიაში მოპოვება, ბავშვის დახმარება ცოდვასთან გასამკლავებლად და საკუთარ თავში დვოის ხატების აღმოსაჩენად. სხვაგვარი ფორმულირებით – მარადიული ცხოვრების გზის აღმოჩენა, მარადიულ ცხოვრებასთან თანაზიარება ემპირიულ ცხოვრებაში. სწორი სწავლება ადამიანის სულიერი და ემპირიული მხარეების ურთიერთობისა გვიდასტურებს ემპირიული განვითარების არსებით მნიშვნელობას, თუმცა გვერდს უვლის იმ შეცდომას, რომელიც ემპირიაში ხედავს სულიერი ცხოვრების ამაღლორძინებელ ძალას. სულიერი ცხოვრება საჭიროებს ემპირიულ განვითარებას, როგორც საყრდენ საწყისს, თუმცა ის არ ვითარდება ემპირიული სფეროდან. ეს ერთი მხრივ, ადასტურებს ემპირიული განვითარების არსებითობასა და ნამდვილ ღირებულებას, მეორე მხრივ კი, ამ უკანასკნელის აზრს განმარტავს, როგორც საყრდენს, როგორც პიროვნების სწორი განვითარებისთვის მის ინსტრუმენტული მნიშვნელობის ქვეშ საგანს.

10. ის, რომ კანონიერი, გამართლებული და მნიშვნელოვნად ღირებულია ემპირიული განვითარება, რომელიც უნდა გავიგოთ, როგორც სულიერი ცხოვრების საყრდენი საწყისი, ადამიანის ოწმებაში გასაძლიერებლად და სულიერ სფეროში ნამდვილი გაორების აღმოსაფხვრელად, მივყავართ იმის გაგებასთან, თუ რას ნიშნავს ბავშვში ემპირიული პიროვნების განვითარება, რაშია მისი არსი, მისი ფუნქციები. ეს განვითარება, რომელიც განხილულია სულიერი საწყისის სწავლების შუქჩე, რომლის წყალობითაც ადამიანში ყველაფერი ერთმანეთთან იერარქიულ კავშირშია, უნდა ემსახურებოდეს პიროვნების ცხონებას ემპირიული ბუნების განწმენდისა და ფერისცვალების საშუალებით.

11. ადამიანის მთლიანი „პიროვნების“ პირიციპის არსებობა გვეხმარება ბავშვის აღზრდის ამოცანის ფორმულირებაში, როგორც მისი პიროვნების გამოვლინებაში, მხოლოდ არა მისი ბუნების გ.წ. „პარმონიულ“ განვითარებაში, არამედ ადამიანის შინაგანი იერარქიულობის განვითარებაში. ადამიანში არა მხოლოდ ყველაფერი პიროვნულია, არამედ პიროვნება ცხოვრობს

„ქველაფრით“ – ამიტომაც არ შეიძლება პიროვნების განვითარება გამოვყოთ მისი ფიზიკური, ფსიქიკური, სოციალური ცხოვრებისგან. მხოლოდ უნდა გვახსოვდეს პიროვნებაში ყველა ამ ნაწილის იერარქიული ურთიერთკავშირი და მათი ინსტრუმენტული მნიშვნელობა ძირითადი საწყისის – სულიერი ცხოვრების – განვითარებისათვის.

12. ფიზიკური აღზრდა არა მარტო „გამართლებულია“, არამედ აუცილებელიც კი; უფრო მეტიც – ის უკავშირდება სხეულის განვითარებას. ეს პრინციპი იძლევა ფიზიკური აღზრდის პროცესების სწორად გაგების საფუძველს, კერძოდ, ის განსაზღვრავს სპორტისა და ფიზიკური აღზრდის სხვა ფორმების მნიშვნელობას.

13. ფსიქიკური განვითარება შორს უნდა იდგეს იმ ფსიქიკური კონფლიქტების პროცესირებისგან, რომლისგანაც ასე იტანჯება თანამედროვე ადამიანი. აქ განსაკუთრებული ძალით წარმოჩნდება თავისუფლების ნიჭის გამოვლენის პროცესში; ავტორიტეტის ფურის გდება, რომელსაც შეუძლება ამ უკანასკნელის (თავისუფლების ნიჭის) სწორი განმარტებით, იყოს სულიერი განვითარების მეგზური, მისი არასწორი განმარტებისას, ის მხოლოდ გააძლიერებს ადამიანის სულის ტრაგიკული გაორების პროცესს.

14. „ხასიათის“ აღზრდას, - როგორც შემოქმედებითი და სოციალური მოქმედებების ძალების ერთობას, როგორც ფსიქოფიზიკურ სიმტკიცეს, როგორც საკუთარი თავის ფლობასა და შემოქმედებით ცხოვრებას, ისევე როგორც ემპირიული აღზრდის სხვა საკითხებს, – აქვს ინსტრუმენტალური მნიშვნელობა. გაგმებული, როგორც თვითდაკმაყოფილების ამოცანა, მას არა უბრალოდ ზედაპირულად ესმის ადამიანის ყოფიერების დრამა, არამედ ხშირად კიდევ უფრო აძლიერებს ადამიანის სულიერ აფორიაქებულობას, როგორც ღმერთში ცხოვრებას, როგორც ყოფიერების მთავარი არსის წყაროს ჩაანაცვლებს ახლომხედველი და უტილიტარული ცნებებით და აქედან გამომდინარე ცხოვრების მიზნის ორაზროვნებით.

15. ამის გამო აღზრდისას დისციპლინის მთელი პრობლემა უნდა უკავშირდებოდეს „ქცევის“, როგორც საშუალების, ფუნქციის სწავლებას და ადამიანის შინაგანი განვითარების მთელ

ემპირიულ ცხოვრებას. „დისციპლინის“ ძირითადი არსი, როგორც იმის კერძო გამოხატულება, რომ ჩვენ გვევალება ბაგშვების „წინამდღვრობა“ და მათი „დახმარება“, მდგომარეობს თავისუფლების ნიჭის განვითარებაში, შემთხვევითი და ზედაპირული შთაგონებების ტყვეობისგან ბაგშვის თანდათანობით გათავისუფლებაში. თავისუფლების ნიჭის განვითარებასთან მიმართებაში დისციპლინა ცხოველმოქმედი შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მას განსაზღვრავს „ავტორიტეტული“ პირი<sup>1</sup>.

16. ემპირიული პიროვნების განვითარებაში სექსუალური პრობლემები იძენენ ერთობ სერიოზულ მნიშვნელობას. თუკი სქესის საწყისი არ არის სულიერი აფორიაქებულობის წყარო, თუკი უდავოა, რომ სქესის ენერგიის სუბლიმაცია (მისი სქესის ენერგიად გარდაქმნამდე) აფართოებს ადამიანის შემოქმედებით შესაძლებლობებს, მაშინ თანამედროვე ფსიქოპათოლოგიის მონაცემები გვარწმუნებენ იმაში, რომ სქესის საწყისის მოწესრიგებას აქვს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა პიროვნების ემპირიული და სულიერი გაჯანსაღების საქმეში.

17. სოციალური აღზრდა უნდა უკავშირდებოდეს ეკლესიის, როგორც მადლობისილი კრებითობის იდეას. სწორედ ასევე, ნაციონალური აღზრდა, რომელიც აღრმავებს და აძლიერებს პიროვნების კავშირს საკუთარ ხალხთან, უნდა უკავშირდებოდეს ღვთის წინაშე ზენაციონალურ იდეას, რომელსაც ვერ წაშლის ვერანაირი ისტორიული კონფლიქტები სხვადასხვა ერების ურთიერთობებში.

18. მორალური აღზრდის საფუძველი უნდა იყოს მისტიკური მორალი, რომელსაც გვასწავლის ქრისტიანობა. ვერც კეთილგონიერების, ვერც გონების (ავტონომიური მორალი) მორალი ვერ სძლევს ცოდვის საწყისს, ვინაიდან არ აკავშირებენ სიკეთის მსახურებას და ვთის ერთგულებასთან. ნამდვილი მორალური თავისუფლება არის არა სიკეთის საპასუხოდ გაკეთებული სიკეთქ, არამედ თავისუფლებაში თვითდამკვიდრება, ღმერთოთან რეალური

<sup>1</sup> ავტორიტეტის შესახებ სწავლების კათოლიკური და პროტესტანტული განმარტებებისგან განსხვავებულ განხილვას თქვენ ნახავთ ჩვენი ნაშრომის მეორე ნაწილში.

ერთობის აღგენა. ამიტომ უნდა უარვეოთ ნებისმიერი „კეთილი საქმეების მაგია“, სიკეთის პირფერული მსახურება თვითგანწმენ-დის მიზნით. სინაცვლი და ცოდვისგან გათავისუფლება სინა-ცვლის საიდუმლოს საშუალებით, არის მორალური ძალისა და სულიერი სხეულებებისგან განკურნების ჭეშმარიტი მეგზური.

19. სულიერ განვითარებაში უზარმაზარი და ზოგ შემთხვევ-ვაში იშვიათი მნიშვნელობის მქონეა ჩვენი ესთეტიკური სფე-რო. ესთეტიკური ძალის გამოყენება სულიერი ცხოვრების გაძ-ლიერების მიზნით იმიტომ არის უფრო მნიშვნელოვანი, რომ თანამედროვე ცხოვრება გამსჯვალულია ესთეტიკით (თუნდაც არასწორად მიმართული).

ესთეტიკური ადგზრდა უნდა ისახავდეს ორ მიზანს: უფრო მცირეს, რომელიც ემსახურება „გართობებისა“ და „თამაშების“ ამოცანებს; და მაღალს, რომელიც ემსახურება სულიერი საზ-რდოს მიღებას სულიერ მშვენიერებასთან ზიარებით. თუმცა ესთეტიკური შთაგონება, ფერისცვალების მომცემი ძალა უნდა იყოს გამყარებული სულიერი ღვაწლით – რის გარეშეც ესთეტი-კურმა შთაგონებამ შეიძლება დაასუსტოს სული, უფრო უპასუ-სისმგებლო გახადოს იგი და მიანიჭოს მას განსაკუთრებული (ესთეტიკურად შეფერადებული) სიმსუბუქე.

ესთეტიკური ადგზრდის დაბალი ფუნქცია არ უნდა დაგუჭ-ვემდებაროთ მის მაღალ უუნქციას (და პირიქით) – ისინი ორივე საჭიროებენ ერთმანეთს, როცა ადამიანის სულიერ განვითარე-ბაში პოულობენ ადგილს მათი რელიგიურ ცხოვრებასთან კავში-რის საშუალებით. ესთეტიკური განვითარების ერთი რომელიმე დაბალი ფუნქციის განვითარებასაც კი მივყავართ უნაყოფო და ცარიელი ესთეტიკური პედონიზმისკენ, რომლის დროსაც არ მოქმედებს ესთეტიკური შთაგონების მასაზრდოებელი ძალა, ხოლო ერთი რომელიმე მაღალი ფუნქციის განვითარებას (ამა-შია ესთეტიკური ადგზრდის პარადოქსი) მივყავართ ადამიანში ცოცხალი მთლიანობის გახლებასთან და ძალიან ადგილად ეთმობა ადგილი იმ ესთეტიკურ სიფაქიზეს, რომელიც საერთოდ წყვეტს კავშირს ესთეტიკურ სფეროსა და სულიერ პრობლე-მებს შორის.

20. ინტელექტუალური განვითარება, რომელიც გონიერაში ავითარებს ინიციატივას, შემოქმედებით ძალას, ინტეიციას, უნდა ავითარებდეს და აკმაყოფილებდეს მთელი მსოფლმხედველობის მოთხოვნებს.

21. რელიგიური აღზრდისას მთავარ ადგილს უნდა იკავებდეს რელიგიური „შთაგონების“ განვითარება, სულის ცოცხალი, თავისუფალი და სრული ჩაბმით ეკლესიურ ცხოვრებაში. ეკლესიის ლიტურგიკულ ცხოვრებაში მონაწილეობა, შინაგანი ცხოვრების განვითარება, სიმართლის ძიება შეადგენს რელიგიური აღზრდის ხერხემალს. თუმცა სულიერი ცხოვრების განვითარება შეუძლებელია რელიგიური ცნობიერების დოგმატური ჭეშმარიტების წვდომის გარეშე, ეკლესიის გონებასთან წარსულთან და ახლანდელთან ცოცხალი შერთვის გარეშე.

ვითვალისწინებო აღზრდის იმ პრინციპებს, როგორც ეს ესმის ქრისტიანული სულით აღვსილ ანთროპოლოგიას, როგორც მას განმარტავს მართლმადიდებლური ცნობიერება და სწორედ მის შესაბამისად განვიხილავთ თვითონ აღზრდის პროცესს. აღზრდისას ჩვენ ვართ ბავშვის მეგზური, „გეხმარებით“ მას ისეთი პიროვნული სიმტკიცის მოპოვებაში, რომლის დროსაც ის თავისუფლად შეძლებს საკუთარ თავში თავისუფლების საიდუმლოს ფლობას; აღზრდა ნაყოფიერია მხოლოდ მაშინ, როცა ის ხდება ზომიერად, როცა ის მისდევს სულიერ ცხოვრებას, როცა განიმსჭვალება დვთაებრივი ძალის რწმენით, როცა ასეიგოსნებს ადამიანს, როგორც დვთის ხატებას, როცა მას შესწევს ძალა, რომ გაადვივოს ბავშვის სულში სიკეთის სიყვარული და სამართლიანობა. აღზრდის არსი ის არის, რომ მან ხილული უნდა გახადოს ცხონების გზა, შეაკავშიროს ბავშვი ეკლესიასთან და აღბეჭდოს იგი იმ დვთაებრივი ნიჭით, რომელიც დავანებულია ეკლესიაში. აღზრდის პრობლემისა და გადარჩენის თქმის ერთმანეთთან შეკავშირება ნიშნავს, რომ ნათელი მოვფინოთ აღზრდის არსს.

## დ ა ნ ა რ თ ი

### ეკლესია და სკოლა<sup>1</sup>

საეკლესიო კულტურის იდეასთან დაბრუნება, ქრისტიანული თვალით მსოფლმხედველობის საფუძვლების გადახედვა აყენებს ეკლესიისა და სკოლის ურთიერთობების საკითხს. სასკოლო პრობლემებიდან ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია სწორედ ამ საკითხის გამოყოფა მისი პრინციპული მნიშვნელობის გამო. სკოლაში კიდევ უფრო ღრმად, ვიდრე კულტურის რომელიმე სხვა სფეროში, ვუძრუნდებით ცხოვრებისა და ეკლესიის ერთობის უმნიშვნელოვანეს იდეას, ვინაიდან სიცოცხლის შეხვედრა ეპლესიასთან და მისი ფერისცვალება ამ კუთხით უნდა იწყებოდეს უკვე სკოლაში. ეს, რა თქმა უნდა, არ უნდა გავიგოთ ზედაპირულად, თითქოს საუბარი იყოს იმაზე, რომ სკოლაში გაძლიერდეს რელიგიური სწავლება, ან სკოლის ადმინისტრაციული ორგანოები დაექვემდებაროს სასულიერო პირებს. აქ საუბარია ეკლესიისა და სკოლის არა გარეგნულ, არამედ შინაგან კავშირზე.

საკითხის მთავარი სირთულე ახალი ტიპის სკოლის ჩამოყალიბების, მისი რელიგიური მოწყობის შესახებ იგივეა, რაც საეკლესიო კულტურის იდეის სირთულე. ეკლესიისა და კულტურის ერთმანეთისგან დაცილება თავის დროზე ხდებოდა თავისუფლების სახელით. დღემდე თავისუფლების საკითხი უწინდებურად დგას საეკლესიო კულტურის მთელი პრობლემატიკის ცენტრში. სკოლისთვის, რომელიც ცოცხლობს ბავშვის პიროვნების თავისუფლების აღმოჩენის იდეით, რელიგიური აღზრდის სირთულე ყოველთვის იყო სურვილი, რომ გაქცეოდა ნებისმიერ იძულებასა და ბავშვისთვის რელიგიური ცხოვრების თავს მოხვევას – აქედანაა თავისუფალი, სეკულარიზებული სკოლის იდეა. ეს იდეალი მეფობდა XIX საუკუნის პედაგოგიკაში, ძლიერია

<sup>1</sup> ეტიუდი „ეკლესიისა და სკოლის შესახებ“ თავდაპირველად დაიბჭდა კრებულში რელიგიური აღზრდისა და განათლების საკითხები“. I გამ. (პედ. კაბინეტის რედაქციით).

მისი ხიბლი დღესაც, და ამ ხიბლის ძალა ის არის, რომ იგი იცავს ბავშვის თავისუფლებას ნებისმიერი იძულებისგან და პირფერობისგან იმ ადგილას, სადაც უნდა იყოს ნამდვილი თავისუფლება. თუმცა სეკულარიზებული სკოლის ეს იდეალი უპჩე გვაქვს ამერიკის შეერთებულ შტატებში – და აი, რას გვაძლევს მისი გამოცდილება:

სკოლისა და ეპლესის ერთმანეთისგან გამიჯვნა გამოწვია არა უდმერთობის ზეიმმა, არამედ კონფესიების სიმრავლემ. სხვადასხვა პროტესტანტული აღმსარებლობების სიმრავლემ და სიჭრელემ. ამერიკელები, რომლებმაც საჭიროდ მიიჩნიეს ერთი რომელიმე აღმსარებლობის ბავშვის სხვა რელიგიური გავლენისგან დაცვა, დიდი ხნის წინათ მივიღენ იმ აზრამდე, რომ სკოლა თავისუფალი უნდა იყოს რელიგიური სწავლებისგან, რომელმაც, ამგვარად, მთლიანად გადაინაცვლა ეკლესიასა და ოჯახში. მანამდე არასდროს მიგვიღია ასეთი მოცულობით ასეთ სასურველ პირობებში (ვინაიდან ამერიკა იყო და დღემდე რჩება დრმად რელიგიურ ქვეყნად) არარელიგიური სკოლის ისეთი გამოცდილება, როგორც ეს მივიღეთ შეერთებულ შტატებში, ამიტომაც მით უფრო მნიშვნელოვანი და ბევრის მომცემია ასეთი გამოცდილების შედეგები. ძალიან მნიშვნელოვან და ობიექტურ წიგნში Teacsing Work of the Church, რომელიც გამოიცა ამერიკის პროტესტანტული ეკლესიების ფედერალური კავშირის მიერ, ძალიან ნათლადაა აღწერილი თუ რა შედეგების მომტანია არარელიგიური სკოლა<sup>2</sup>, ადამიანის რელიგიური გაუხეშება და გულის გაქვავება; მერყევი სულიერი საწყისი სკოლის მორალური ქმედებების საფუძველში ნათლად მოწმობს ამ სისტემის დამღუპებელი შედეგების შესახებ, რომელიც დამღუპებელია როგორც სკოლის, ასევე ეკლესიისთვის. ამერიკის შეერთებულ შტატებში ბავშვების უმრავლესობა იზრდება ყოველგვარი რელიგიური გავლენის გარეშე, ისინი უხეშდებიან და ხდებიან გულქვა ადამიანები, მეორე მხრივ კი, სკოლის სულიერი გარემო სელოვნურად აღმოფხვრის ბავშვში მის რელიგიურ მოთხოვნილებებს, ხელოვნურად ხლებს ბავშვის სულიერ სამყაროს, მისი

<sup>2</sup> “The teaching Work of the Church” (New-York. 1923).

სულიერი სამყაროდან ხელოგნურად აღმოფხვრის რელიგიურობას, უდროოდ ასუსტებს და აკნინებს ბავშვის სულში რელიგიურ ძალებს. ასეთ „თავისუფალ“ სკოლაში (რომელიც თავისუფალია რელიგიისგან) ბავშვები სულაც არ იზრდებიან ნამდვილ თავისუფლებაში, ვინაიდან ეკალაზე მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, სულის ცენტრალური ძალა, როგორიც არის რელიგიური სფერო, არის დამალული, ხელოვნურად აღმოფხვრილი და წაშლილი. შეგვიძლია თუ არა იმის თქმა, რომ რელიგიური თავისუფლება მიიღწევა სეკულარიზებულ სკოლაში? არ უარვეოფთ იმას, რომ თავისუფლება მიუღწეველი რჩება ხშირად იმ სკოლებშიც კი, რომელსაც კავშირი აქვს ეკლესიასთან, უბრალოდ ხაზს ვუსვამთ, რომ სკოლის ეკლესიისგან გამოყოფა აუცილებლად აისახება ბავშვის რელიგიურ სამყაროზე, ასუსტებს და აკნინებს რელიგიურ მოქმედებებს. ბუნებრივია, რომ თავისუფლება ბავშვის რელიგიური სამყაროსი არ უნდა უკავშირდებოდეს სკოლისა და ეკლესიის ურთიერთობის საკითხს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სეკულარიზებული სკოლის იდეის დაცვა რელიგიური თავისუფლების პირობებში შეუძლებელია.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ რელიგიური თავისუფლების პირველსარისხოვნება მორწმუნე ადამიანისთვის და არა უწმუნო ცნობიერებისთვის. რელიგიური თავისუფლების გზა ლია და აღიარებულია ქრისტიანების მიერ, რომლებიც მიმართავენ არა გარეგნულს, არამედ შინაგანს, რომელიც აფასებს ადამიანს შინაგანი ცხოვრების მიხედვით, რაც განსაზღვრავს მის ქმედებებს, არ კმაყოფილდება მხოლოდ კანონების დაცვით, არამედ ითხოვს დმერთთან მიმართვის გულწრფელობასა და შინაგანი სამყაროს სისპერიაკეს. ქრისტიანულად ღირებულია დმერთთან თავისუფალი მიმართება, ასე რომ რელიგიური აღზრდის ერთერთი ამოცანა „თავისუფლების ნიჭის“ აღმოჩენა და გაძლიერებაა, როგორც ამას მოციქული პავლე გვიანდება, რომელიც მოგვიწოდებს „თავისუფლებაში დამკვიდრებისკენ“. თუმცა სულის რელიგიური ცხოვრების თავისუფალი გახსნა არავთარ შემთხვევაში არ ნიშნავს ბავშვის სულის ბედის ანაბარა მიგოვებას, არ გულისხმობს უფროსების ხელოვნურად გაჩუმებას

რელიგიურ სფეროსთან მიმართებაში. რელიგიური აღზრდის თავისუფლება ნიშნავს ბავშვებისთვის რელიგიური მოქმედებების იძულებით თავს მოხვევის გამორიცხვას, იძულების მომენტის ან სუფთა გარეგნული დისციპლინის ნაკლებობას იქ, სადაც საქმე ეხება სულიერი ცხოვრების თავისუფალ გამოვლინებას; და კიდევ უფრო მეტად აღნიშნავს სულიერად თავისუფალ აღზრდას, ანუ იმ სულიერ მომწიფებას, რომლის დროსაც ადამიანი მთელი სიღრმით გრძნობს მთელ სულიერ პასუხისმგებლობას მის მიერ არჩეული გზის გამო, აცნობიერებს დათის წინაშე წარდგომას. რელიგიური თავისუფლება, რა თქმა უნდა, რელიგიური ცნობიერების განვითარების ნაცნობ საფეხურს, ნაცნობ სულიერ სიმწიფესაც გულისხმობს, როგორც სხეულის (ფიზიკური) თავისუფლება გულისხმობს განვითარებულ სხეულს, რომელიც მზად არის დამოუკიდებელი მოქმედებისათვის. ბავშვის დაცინვა იქნებოდა, რომ ჩვენ თავისუფლების სახელით არ დავხმარებოდით მას სხეულის განვითარებაში იმ წლებში, როცა ის უმწეო იყო და ჩვენი დახმარება სჭირდებოდა. თავისუფლების გაგების დამახინჯებაა ასევე ის მდგომარეობა, როცა ბავშვს შეატოვებენ თავის რელიგიურ განვითარებას და უარს ამბობენ მის დახმარებაზე, ამით მას სელოვნურად იზოლირებულს ხდიან მთელი სულიერი ცხოვრებისგან, რომელიც ვითარდება უფროსების აქტიური დახმარების შედეგად.

რელიგიური თავისუფლების მოგივი, რომელსაც ასე ხშირად იშველიებენ სკოლისაგან ეკლესიის გამიჯვნის მომხრები, როგორც ვხედავთ, არ ზრუნავს ბავშვების ნამდვილ სულიერ სიჯანსაღეზე, არამედ ზრუნავს სულ სხვა რამეზე. ჩემი ფიქრით, ასეთი პედაგოგიკური აზრის ფესვები გადგმულია სწორედ განათლებაში, ბავშვის ნამდვილი ღირებულებისა და გონიერების რწმენაში რელიგიური სფეროსგან დამოუკიდებლად; რწმენაში, რომ აღზრდისას ყველაფერი ჩვენს ხელთაა, რომ ღმერთი აქ არაფერშეაშია. მოაზროვნე პედაგოგებისთვის მით უფრო არსებითი მნიშვნელობა აქვს ამერიკის გამოცდილებას, სადაც უგულებელყოფილი იყო საგანმანათლებლო განწყობილებები, სადაც სკოლისგან ეკლესიის გამიჯვნა ხდებოდა მაქსიმალუ-

რად ჯანსაღ რელიგიურ ატმოსფეროში, სადაც პედაგოგიური ცნობიერება მხოლოდ უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე დაშორდა რელიგიურ მსოფლმხედველობას. ამერიკული გამოცდილების შედეგები სავალალო აღმოჩნდა და არა მარტო ეკლესიისთვის – ისინი კიდევ უფრო სავალალოა მთელი ამერიკის სულიერი ატმოსფეროსთვის, სადაც დღითი დღე ძლიერდება მატერიალიზმი (იქ სადაც სუსტდება, ან საერთოდ აღმოიფხვრება რელიგიური ცხოვრება), ამორალურობა და სუფთა ნიჭილიზმიც კი. სულიერ დაცარიელებას, რომელიც მოაქვს თანამედროვე ცხოვრებაში ტექნიკის განვითარებას, გარეგნულ ცივილიზაციას და სულიერი ცხოვრების უარყოფას, არავითარი წინააღმდეგობა არ ხვდება სკოლაში – და იმ წლებში, როცა ხდება ბავშვის ფორმირება, როცა ის განსაკუთრებით საჭიროებს უფროსების დახმარებას, რომ სულიერად გაძლიერდეს და განვითარდეს – სკოლა მასში მხოლოდ გონიერებას, სოციალურ ჩვევებს განავითარებს და ხელს უშლის ბავშვის სულიერ ძიებებს.

ვფიქრობ, გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ რელიგიური თავისუფლების იდეალი არის იმ ფორმაში, როგორსაც გვთავაზობს პედაგოგიკა და როგორიც მაღლდება განათლების ზოგად (არარელიგიურ) იდეოლოგიამდე, რომელიც დღეისათვის სულ უფრო მეტად ააშკარავებს თავის შინააგან ნათესაობას ურწმუნობასთან. ცხოვრება ისე მძაფრად აყენებს რელიგიასთან ურთიერთობის საკითხს, რომ სკოლებს, რომლებიც უარყოფენ რელიგიის სწავლებას, აუცილებლად მიჰყავს ბავშვი ურწმუნოებამდე. ყველა ის უმეცარი მოქმედებები, რასაც ამ მიმართულებით ახორციელებს მთავრობა სკოლასთან მიმართებაში, თავისი არსით მხოლოდ ამძაფრებს და აუხეშებს იმას, რასაც პედაგოგიკური აზრი შეიცავდა მანამდე. შემიძლია უფრო მკაცრად და უხეშად თქმაც: თუ სერიოზულად დავადგებით განმანათლებლობის პოზიციას და შევქმნით არარელიგიური კულტურის იდეალს, მაშინ სრულიად ლოგიკური და გონივრული იქნება სკოლაში რელიგიური გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლა და ბავშვების რელიგიური მოთხოვნების დათრგუნვა. რელიგიების ის ნახევრად უარყოფა, რომელიც არსებობდა გან-

მანათლებლობაში, შეუძლებელია არ გადავიდეს მის ნამდვილ უარყოფაში. რელიგია არ მიეკუთვნება წერილმანი საგნების რიცხვს, მას უდიდესი გავლენა აქვს სულიერი ცხოვრების მთელ შემაღვენლობაზე, და თუ რელიგია არის სიყალბე, მაშინ რელიგიასთან ბრძოლა პედაგოგიკურ პრაქტიკაში კანონიერი და გასაგები ყოფილა. საბჭოთა სკოლამ ამ მიმართებით დაასრულა მუშაობა და გამოავლინა ის, რასაც განსხვავებული, თუმცა არც ისე უცნობი ფორმით დიდი ხანია ავლენს, მაგალითად, საფრანგეთის მთავრობა.

თუ აქამდე პედაგოგიკური აზრი იდგა რელიგიის ნახევრად უარყოფის პოზიციაზე, იმ სკოლებშიც კი, სადაც საღვთო სჯულის სწავლება მიმდინარეობდა, ეს ფაქტი ქმნიდა ძალიან დრმა და პედაგოგიკურად სახიფათო დუალიზმს. ამას აშკარად ვხედავ, როცა ვისხენებ ჩემი გიმნაზიის წლებს, როცა რამდენიმე წლიან ურწმუნოებაში ჩავვარდი. ძალიან კარგად გვასწავლიდნენ საღვთო სჯულს, ყველანი დავდიოდით ეკლესიაში და გიმნაზიაში ყოფნის პირველ წლებში დავრჩი ერთგული იმ რელიგიური შთაგონებისა, რომელიც მომყებოდა ბავშვობიდან. და როცა 15 წლის ასაკში ურწმუნოებაში ჩავვარდი, ამის მიზეზი, როგორც ახლა ვხვდები, გახდლათ ის გაორება, რომლის სულიერი გარუმოცვაც იყო სკოლაში, თუმცა არ გაღიარებდი ამას. ოფიციალურად სკოლა რელიგიის ერთგული რჩებოდა, თუმცა, არსებითად, რასაც ვიდებდი სკოლაში, მას სული მიჰყავდა არარელიგიურობის მსოფლებელისთან. სკოლა კი არ ქმნიდა ამ დუალიზმს, რომლითაც გამსჭვალულია ახალი დროის მთელი სულიერი ცხოვრება, არამედ ბავშვებისთვის სკოლა იყო ძლიერი მეზური ამ დუალიზმისკენ და ამით, რა თქმა უნდა, იგი არყევდა რელიგიური ცხოვრების ფესვებს. ის, რაც სკოლამ მოახერხა რამდენიმე წლის განმავლობაში, ამის განკურნებას დიდხანს მოვუნდი და ახლა გარკვევით გადიარებ, რომ სწორედ სკოლის პერიოდშია განსაკუთრებით აუტანელი და დამდუპველი განხეთქილება სკოლასა და ეკლესიას, რელიგიასა და ცხოვრებას შორის. მართალია, მაშინ (და ხშირად ახლაც) ჩვენი სკოლა ოფიციალურად არათუ იყო ეკლესიასთან უთანხმოებაში, არამედ ძალიან საფუძვლი-

ანად გვაკავშირებდა ეკლესიას, რაც მით უფრო სახიფათო იყო სულისთვის. იმავე დროს სკოლის, წიგნებისა და მთელი კულტურის საშუალებით ჩვენ წინაშე იშლებოდა სულ სხვა პერსპექტივა, რომელიც გვიზიდავდა და მთლიანად გვავსებდა. აქ კი აუცილებელია გარკვევით და მთელი სერიოზულობით ითქვას, რომ სკოლა არ შეიძლება არსებობდეს ცხოვრებისგან იზოლირებულად, რომ ის უნებურად, თუმცა აუცილებლად არის იმ იდეებისა და განწყობილებების მეგზური, რომელიც მოცემულ დროს საზოგადოებაში ცხოვრობს.

რელიგიური აღზრდის მთელი არანორმალურობა უკანასკნელ დრომდე იყო ის, რომ იგი უკავშირდებოდა ცხოვრების იმ არარელიგიურ და, ხშირ შემთხვევაში, ანტირელიგიურ გაგებას, რომლითაც გამსჭვალულია უახლესი კულტურა. აქედან მომდინარეობს სულიერი აგრძოსფეროს მძაფრი წინააღმდეგობები, რომელიც ბატონობდა სკოლაში. არა ეკლესიაში სიარული იყო ჩვენთვის აუცილებელი, ეს „აუცილებლობა“ იდო მთელი სააღმზრდელო სისტემის ხასიათში; ბავშვები ბევრ რამეს აკეთებდნენ „აუცილებლად“ – და მათ მაინც არასოდეს აღიზიანებდათ ეს, ყოველ შემთხვევაში არ ცხრებოდა ჩვენი ინტერესი ლიტერატურისა და მეცნიერების მიმართ. როცა გალესიაში სიარულის აუცილებლობა ასე ხშირად სახელდება ადრინდელი აღზრდის ძირითად ცოდვად, მაშინ სამართლიანობა მოითხოვს იმის აღიარებას, რომ გულგრილობა და მტრობა გალესის მიმართ ყალიბდებოდა არა ეკლესიაში სიარულის იმულების გამო, არამედ ის მომდინარეობდა თანამედროვე კულტურის ძირითადი წანამძღვრებისგან, რომლის ატმოსფეროშიც დღეს უხდებათ ცხოვრება ჩვენს შვილებს. რელიგიური განათლება ამიტომაა ხან ასე უძლური და ხშირ შემთხვევაში ანტირელიგიური განწყობის ხელშემწყობი, რომ ეს განწყობილებები ამოზრდილია თვითონ სკოლიდან, ამით არიან ნასაზრდოები და აქვთ მისი მხარდაჭერა. როცა ვფიქრობ ამ ყველაფრის შესახებ, ამ შემაძრწუნებელი ოფიციალური სიცრუის შესახებ, რომელიც იყო სკოლაში და რომლის გამოც ასე ითრგუნებოდა ბავშვების რელიგიური ცხოვრება, მე არ შემიძლია არ გამოვ-

ხატო სიხარული იმის გამო, რომ ახლა უკვე თვითონ დრომ გააშიშვლა მთელი სიყალბე, მთელი წინააღმდეგობა იმ სულიერი ატფოსფეროსი, რომელშიც ჩვენს სკოლას უხდებოდა ცხოვრება. სკოლა გარეგნულად მჰქიდრო კავშირში იყო ეკლესიასთან, შინაგანად კი ისე შორს იყო მისგან! და თვითონ გარეგნობა ამ კავშირისა, მისი ოფიციალურობა და სიმყარე წარმოადგენდა ახალი გაღიზიანების წყაროს, რომლის დაღი დღესაც ადევს უფროს თაობას. სკოლისა და ეკლესიის გათიშვა, რომელიც განახორციელდა საბჭოთა მთავრობამ, არ არის ბოლშევკიების მოგონილი, ის არსებობდა და დრმავდებოდა დიდი ხნის წინათ, რაც იყო ეკლესიისა და სკოლის გარეგნული კავშირის შედევე.

ახალი დროის კულტურა თავის თავში ატარებს გაორებულობას: ერთი მხრივ, მასში სულაც არ ჩამქრალა, არამედ კიდევ უფრო გაძლიერდა და გაიზარდა ქრისტიანული ძალები და იმავდროულად მასში ღრმად გაიდგა ფესვები არაქრისტიანულმა და ანტიქრისტიანულმა მისწრაფებებმა. ფილოსოფიური მიმდინარეობა - „Происвященство“ - მაღავდა ამ არსებით დუალიზმს, ახლა კი ის საქმაოდ გაშიშვლებულია. ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, როცა მორწმუნე ადამიანი შინაგანად უნდა გაემიჯნოს თანამედროვე კულტურას, რათა ჩამოიცილოს ყველაფური, რაც არ უკავშირდება რწმენას და უცხოა მისთვის. ეველაზე ნაკლებ უნდა ვეცადოთ, იძულებით გავატაროთ ის ღონისძიებები, რაც მორმუნეთა თვალსაზრისით საჭიროა თანამედროვე კულტურის გასაჯანსაღებლად. ჩვენ შეგვიძლია გავემიჯნოთ ამ კულტურას და უნდა მოვიმოქმედოთ ეს ჩვენთვისაც და ასევე მათთვის, ვინც აცნობიერებს თანამედროვეობის გაორებას და ცდოლობს გაემიჯნოს მას, რათა შექმნას მთლიანი სულიერი აგმოსფერო. ჩვენ გვჭირდება ეკლესიური კულტურა, გვჭირდება ის, რომ ეკლესიას დაუბრუნდეს ცენტრალური ადგილი კულტურული შემოქმედების სისტემაში, რომ ცხოვრების მთელი სისტემა იყოს შინაგანად თავისუფალი და ნამდვილად დაკავშირებული მასთან, რითაც ყოველთვის ცოცხლობდა და ცოცხლობს ეკლესია. თუმცა არ უნდა ჩაგქოლოთ ქვებით ის, ვისაც სურს ხელი შეუწყოს თანამედროვე გაორებულობას, გარეგნულად დაუკავზ-

შიროს ეკლესიის ჭეშმარიტი ერთგულება თანამედროვე კულტურის მთელ სისტემას, ვინაიდან ჩვენც გვინდა ეკლესიისა და კულტურის ერთმანეთთან შეკავშირება, ეს კავშირი მართლაც ნამდვილი და ორგანული უნდა იყოს. ჩვენთვის მიუღებელია თანამედროვე კულტურა იმიტომ, რომ არ შეგვიძლია ვაღიაროთ მისი ურელიგიო და ანტირელიგიური შეხედულებები და ვაცნობიერებთ, რომ მეცნიერება და სელოვნება, ეკონომიკა და სოციალური ცხოვრება, კერძო და საზოგადო ცხოვრება, რომელიც არ კარგავს თავისუფლებას, არამედ განამტკიცებს მას, შეუძლიათ და უნდა გასულიერდნენ დვთის რწმენით, შეუძლიათ უფრო შორს წასვლა იმ კულტურული გაორების გზით, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობით, უკვე შეუძლებელია ორივე მხარისთვის; განსაკუთრებით მორწმუნე ადამიანისათვის დადგა დრო, უარყოს მითი კულტურის ნეიტრალიტეტის შესახებ და აღიაროს მისთვის რელიგიის სფეროს აუცილებლობა. კულტურა შინაგანად უნდა უკავშირდებოდეს ეკლესიას, ვინაიდან სურს მის გარეთ დგომა, რაც აუცილებლად გააშიშვლებს მის ანტირელიგიურ განწყობას. ჩვენ არ უნდა ხელყვოთ იმათი თავისუფლება, ვისაც უყვარს და აფასებს კულტურას ეკლესიის გარეშე, მაგრამ საკუთარი თავისთვისაც გვსურს თავისუფლება, სრულყოფილი კულტურა, რათა აღვადგინოთ მისი დაპარგული ერთობა რწმენასთან.

სწორედ ამ საშუალებით დაფარული გულუბრყვილო კულტურული გაორების ეპოქიდან გადავდივართ კულტურული დუალიზმის ღია სისტემაში. ვუხმობთ მორწმუნე მართლმადიდებელ ადამიანებს, რომლებიც ჩართულები არიან კულტურულ ცხოვრებაში - გაერთიანდნენ იმისთვის, რომ ერთიანი ძალებით ააშენონ მთლიანი კულტურული სისტემა ყველა მიმართულებით, რომელიც შინაგანად თავისუფლად იქნება შეკრული ეკლესიასთან და რომელიც იქნება მასში განწმენდის მაძიებელი. ვაცნობიერებთ, რომ შესაძლებელია კიდევ დიდხანს გაგრძელდეს უდიო მეცნიერების, კულტურის, ფილოსოფიის, საზოგადო და ყოფილი შემოქმედების განვითარება, ხელოვნურად არ უნდა შევუშალოთ ხელი მათი ამ ფორმით განვითარებას, ჩვენთვის უნდა

ვეძებოთ სხვა გზები, ვეძებოთ მეცნიერება, რომელიც გამოვა იქიდან, რომ ღმერთი არსებობს, და შევიმეცნოთ ღმერთის მიერ შექმნილი სამყარო, ვეძებოთ ხელოვნება, რომელიც შინაგანად იქნება განათებული და გასულიერებული ეკლესიიდან გამომავალი ცხოველმყოფელი სხვივებით. თანამედროვეობაში უნდა შევქმნათ თანამედროვე კულტურის თანისები, რომელიც მოგვაგონებს გაველურებულ მინდვრებს, სადაც სარეველების გვერდით ხარობს კულტურული მცენარეები. ჩვენთვის, ისე რომ არავის მოვახვიოთ თავს, უნდა ვეძებოთ ჭეშმარიტი და არა გარეგნული კავშირი ეკლესიისა და სამყაროსი, ეკლესიისა და კულტურის. ეს უცილობლად იქნება დაკავშირებული თანამედროვეობისგან გამიჯვნასთან, მტკიცედ უნდა გავემიჯნოთ მასში ქაოტურად არეულ ფასეულობებს – სიღრმისეულსა და წვრილმანს, ნამდვილსა და გაუქალმართებულს, ჭეშმარიტსა და ცრუს – და ეს გამიჯვნა ჩვენ გარკვეული კულტურული „სალოსობის“ პოზიციაში გვაყენებს. წინასწარ არავის შეუძლია ისტორიის გზების განსაზღვრა, მაგრამ, როცა ქმი საეკლესიო კულტურას, არ შეიძლება არ გააცნობიერო, რომ ეს არის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის საქმე. საკუთარი თავისთვის უნდა ვეძებოთ გზა, ვინაიდან არ შეიძლება ჩვენთვის სხვაგარად ცხოვრება, თუმცა არ შეიძლება არ ვაღიაროთ ისიც, რომ ჩვენი ამოცანა ამავე დროს არის ჩვენი ეპოქის უდიდესი თემაც – რომ როცა ჩვენთვის ვეძებთ ცხოვრების განწმენდას, ჩვენ ამით ვახდებოთ თანამედროვეობის ტრაგიკული პრობლემების გადაწყვეტას, რაც სწორედ ეკლესიისა და კულტურის ერთმანეთისგან გამიჯვნის ნიადაგზე აღმოცენდა.

ამ საკითხებს იმიტომ შევეხე, რომ ეს მჭიდრო კავშირშია სკოლაში რელიგიური აღზრდისა და განათლების პრობლემასთან. სკოლა არ შეიძლება იყოს ცხოვრებისგან იზოლირებული და თუ ის შეინარჩუნებთ თანამედროვე სულიერ ატმოსფეროს, მაშინ, რაც არ უნდა მაღალ დონეზე დაყენოს სკოლაში რელიგიური სწავლების და აღზრდის საკითხი, თუ ის მიიღებს მას მოლინად, და არ ჩაუდრმავდება კონკრეტულ საკითხებს – ვერ გაუწევს წინააღმდეგობას ცხოვრების გავლენებს. არსებითი

გაორებულობა, რომელიც აქ იჩნეს თავს, არა მარტო ასუსტებს რელიგიური მოქმედების ძალებს, არამედ ხშირ შემთხვევაში მივყავართ იქითკენ, რომ თვითონ რელიგიური აღზრდისა და განათლების ქონა აძლიერებს ბავშვებს ჰორის მტრულ დამოკიდებულებას და ამგვარად აუარესებს მდგომარეობას. ხშირად ცხოვრება ქმნის ასეთ პარადოქსსაც, რომ რელიგიური აღზრდისა და განათლების უქონლობა ზოგჯერ ნაკლებად სახიფათოა, ვიდრე მისი არსებობა თანამედროვე სკოლისა და ცხოვრების პირობებში. პირველ შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ რელიგიურ გაუხეშებას და გაველურებას, თუმცა ადგილი არ აქვს სულის რელიგიური სფეროს არავითარ სერიოზულ შეზღუდულობას; მეორე შემთხვევაში კი სახეზეა სულის ისეთი რელიგიური შეზღუდულობა, რომელსაც მივყავართ ცინიზმისა და სკეპტიციზმისკენ, მკრეხელობასა და მებრძოლი ურწმუნოებისკენ. შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენს სასულიერო სასწავლებლებში რელიგიურობის ყველაზე კეთილი და მაღალი გამოვლინებების გვერდით, გვხვდება ისეთი უხეში უარყოფა ეკლესიისა, რომელიც შემდეგში ხშირად გადაზრდილა აულაგმავ, თავდაუზოგავ ბრძოლაში ეკლესიისა და ღმერთის წინააღმდეგ. ეს ფაქტი, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს იგი, იმსახურებს სერიოზულ ყურადღებას, ვინაიდან ნათლად მეტყველებს იმის შესახებ, რომ არ შეიძლება სკოლის იზოლირება ცხოვრებისგან, რომ საჭიროა სკოლის რეფორმა ცხოვრების რეფორმას დაუკავშირო.

როცა ვებრძვით სკოლის სეკულარიზაციის იდეას, რომელიც წინა პლანზე წამოსწევს საეკლესიო სკოლის იდეალს, დიდი ყურადღებით უნდა განვიხილოთ ამ საკითხის ორი მხარე – შინაგანი და გარეგნული. არსებობს ორი სეკულარიზაცია, უფრო სწორად, მისი ორი მხარე: სკოლის ეკლესიისგან გარეგნული გამოყოფის გარდა, შესაძლოა სკოლის შინაგანი სეკულარიზაციაც, რომლის მიღმაც ვგულისხმობთ მის სულიერ განშორებას ეკლესიისგან, რომელიც შესაძლებელია მაშინაც კი, როცა სკოლა რჩება ეკლესიასთან გარეგნულ კავშირში. სწორედ ეს შინაგანი სეკულარიზაციაა გაბატონებული ყველან (თუმცა გარეგნული სეკულარიზაცია ნაკლებადაა გავრ-

ცელებული), სწორედ ის თავისი ფესვებით უკავშირდება ფილო-სოფიურ მიმდინარეობას „პროსვეული“ რომლის იდეოლო-გიასა და ფსიქოლოგიაშიც მან იპოვა თავისი დადებითი შინა-არსი. სანამ არ დავუბრუნდებით რელიგიურ კულტურას, ეს ფილოსოფიური მიმდინარეობა დარჩება პედაგოგიკური აზრისა და ცხოვრების ერთადერთ სერიოზულ საფუძვლად. ამ მიმდი-ნარეობის ფილოსოფიური და ზოგადი კულტურული კრიზისი იმიტომაც ვერ შეეხო სკოლას, რომ თანამედროვე სკოლა სწორედ მას ეყრდნობა. განშორება ამ მიმდინარეობასთან, რომლითაც განმსჭვალულია ჩვენი სასკოლო ცხოვრება და პედაგოგიკური აზრი შესაძლებელია მაშინ, როცა გგაქს ცხოვრების სხვა სისტემა – და სანამ საეკლესიო კულტურის იდეა ჯერ ისევ რჩება იდეად და არ იხსება სრულად, სკოლას სხვა გზა აღარ რჩება. აღნიშნული ფილოსოფიური მიდინარეობა იმიტომ რჩება სკო-ლაში, რომ თვითონ სკოლა ეყრდობა მას სულიერად. სეკულარ-იზებული კულტურის სისტემის მარტოოდენ იდეური დაძლევა ვერ დაეხმარება სკოლას: ის არყვას თანამედროვე პედაგოგიკური შემოქმედების იდეოლოგიურ საფუძველს, თუმცა არ შეუძლია ფსიქოლოგიურად მისი საზღვრებიდან გამოყვანა. სკოლა ელო-დება ახალ ცხოვრებას, მთლიანი ცხოვრების იმ მონაკვეთებს, სადაც ადგილი არ ექნება სხვადასხვა სფეროს თანამედროვე გახლებას – და მხოლოდ მაშინ გაიხსება პედაგოგიკური შე-მოქმედებისთვის სხვა რეალური გზა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ პედაგოგიკური აზრი ეხოდენ დრმად არის დაკავშირებული პედაგოგიკურ პრაქტიკასთან, როგორც არც ერთი სფერო კულტურული შემოქმედებისა. ამიტომაც ეკლესიისაგან სკო-ლის შინაგანი სეკულარიზაციის დაძლევა უნდა ხდებოდეს არა მარტო სკოლაში, არა მარტო პედაგოგიკურ ცნობიერებაში – ის მოიცავს რელიგიური კულტურის პროცესებს, ერთიანი ცხოვრების საწყისებს, გაცნობიერებულ და გეგმაზომიერ გამიჯვნას თანამედროვე სულიერ ატმოსფეროსთან, რომელშიც აღრეულია ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ისტორიული მოძრაობა.

სკოლისა და ეკლესიის შინაგანი სეკულარიზაცია არის ახალი ისტორიის ზოგადი ფაქტი, რომელმაც მოიცვა რესული

ცხოვრებაც, თუმცა მართლმადიდებლობის ნიადაგზე ნაკლებად იყო ამის ისეთი ისტორიული წინამძღვრები, როგორც დასავლეთში. თუმცა ამ საკითხში მაინც გავიზიარეთ დასავლეთის ბედი, როცა შევითვისეთ დასავლეთის სულიერი ცხოვრების დრმა ტრაგიული გაორების გამოცდილება. მართლმადიდებლობისთვის, რომელიც რელიგიურად თავისუფალი იყო ქოველივე იმისგან, რაც განაპირობებდა დასავლეთის ისტორიულ გზას, ეს იყო უცხო, და მხოლოდ იმ სულიერი დაწლის შედეგად, რომელიც დააწვა XIX - XX საუკუნეების რესულ ცნობიერებას, ჩვენ დღეს ვუბრუნდებით მართლმადიდებლობას და ვაღიარებთ მის ისტორიულ და კულტურულ შემოქმედებით ძლიერებას. გვეხსნება პრინციპული შესაძლებლობა ჩვენთვის უცხო თავისი არსით სეპულარიზებული კულტურული სისტემის დაძლევისა – და ამ გზებზე სკოლისა და ეკლესიის ურთიერთობის საკითხებს აქვს უველაზე აქტუალური და სერიოზული მნიშვნელობა.

იმ სულის დაძლევა, რომლითაც გამსჭვალულია თანამედროვე სკოლა, რომელიც მოდის ჩვენი თანამედროვეობიდან, შეადგენს საეკლესიო სკოლის მთავარ ამოცანას. მაგრამ სანამ ამ საკითხის განხილვაზე გადავიდოდეთ, კიდევ რამდენიმე სიტყვით უნდა დავახასიათოთ გარეგნული სეპულარიზაცია. არ გვეშინოდეს ამ საკითხის დასმა, თამამად და უშიშრად უნდა მივადგეთ მას და ვკითხოთ საკუთარ თავს: იქნებ, ეკლესიისგან სკოლის გარეგნული გამოყოფა შესაძლებელია იყოს დაცული შინაგანი სეპულარიზაციის გამიჯვნითაც კი, იქნებ, ზოგადი რელიგიური სული, თუკი ის შემოადწევს სკოლაში, უზრუნველყოფს ბავშვის რელიგიურ ზრდას, მისთვის საღმრთო სჯულის საგანგებოდ სწავლების გარეშეც. საკითხის ასეთ დასმაში იმიტომ ადარ არის არაფერი უცხო, რომ, როგორც დავინახეთ, სკოლის გარეგნული სეპულარიზაცია დღემდე მოქმედებს ქვეყანაში, სადაც მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში შესუსტდა ეკლესიის მნიშვნელობა კულტურის მთელ სისტემაში – მხედველობაში მაქვს ჩრდილოეთ ამერიკა.

თუმცა ამერიკული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ეკლესიისა და სკოლის გარეგნული გამიჯვნა არ შეიძლება იყოს

პარალიზებული იშვიათი და განუმეორებელი ძალისხმევით, იმ პირობებშიც კი, როგორშიც ეს ამერიკაში მოხდა, რაც გამიზნული იყო ეკლესიისა და ოჯახის მხრიდან ბავშვების რელიგიური აღზრდისათვის. გარდა ამისა, სამართლიანობა მოითხოვს ისიც აღინიშნოს, რომ სადაც გვხვდება სკოლის გარეგნული სეკულარიზაცია (განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს საფრანგეთის მაგალითზე), იქ საზოგადოება უფრო მეტადაა მონდომებული აღზარდოს ბავშვი რელიგიურად. ცხოვრების ეს პარადოქსი სულაც არ არბილებს სეკულარიზაციის სიყალებს, თუმცა ამის პარალელურად ის აძლიერებს სულიერი ძალების მობილიზაციას, რომელიც გამოწვეულია გარეგნული სეკულარიზაციით. სკოლებში, რომლებიც არ წევეტენ ეკლესიასთან გარეგნულ კავშირს, ზოგჯერ საქმე სულ სხვაგვარადაა, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ სეკულარიზებული სკოლის საშიშროება ამ შემთხვევაში ნაკლებია, ვიდრე საშიშროება იმ გარეგნულად არა სეკულარიზებული სკოლისა, რომელიც იმავდროულად სინამდვილეში შინაგანად ღრმად სეკულარიზებულია. არა მარტო ჩვენთან, არამედ მთელ მსოფლიოში, სკოლის გარეგნული კავშირი ეკლესიასთან ამ გაორებულობის პირობებში (ქრისტიანობასთან მიმართებაში), რომელიც განასხვავებს თანამედროვე კულტურას, ხშირად ხდებოდა რელიგიური ორაზროვნების მიზეზი და ამდენად საშიში ბავშვების სულიერი ჯანმრთელობისთვის და მათი რელიგიური განვითარებისათვის. ასეთი წესრიგის შედეგები რელიგიის სახელით, რელიგიური სიჯანსაღის გამო, არა-ერთხელ გამხდარა მიზეზი იმისა, რომ ხმა აგვემაღლებინა იმის გამო, რომ რელიგიური აღზრდა და სწავლება ამოღებულიყო სასკოლო პროგრამიდან. რელიგიური ცხოვრების ნაზ უკავილს უჭირს თანამედროვე ატმოსფეროს სიცივეში უვავილობა, რომლითაც გაფართოდა სკოლა. ამის გამო არაერთხელ გაჩენილა აზრი იმის შესახებ, რომ თანამედროვე კულტურის პირობებში, რომელიც გამსჭვალულია ურელიგიობის და ანტირელიგიურობის სტიქით, რელიგიური განვითარება გაცილებით უკეთესადაა შესაძლებელი ოჯახსა და ეკლესიაში. ამიტომაც ძალიან დიდი სიყალე იყო იმაში, როგორც აყენებდნენ უწინ სკოლაში

რელიგიური აღზრდის ამოცანებს. ჩვენი საღვთო სჯულის მასწავლებლები ღრმად და მწარედ განიცდიდნენ ამას.

მაგრამ სკოლისა და ეკლესიის გარეგნული გამიჯვნის მხარეს დგომა სრულებით დაუშვებელია, როგორც პედაგოგიური, ასევე რელიგიური თვალსაზრისით, რომელიც განსაკუთრებით ძლიერია ჩვენთვის, მართლმადიდებლებისთვის. ერთი მხრივ, სრულიად ნათელია, რომ ბავშვის სულიერი ცხოვრებიდან რელიგიური სფეროს ხელოვნური ამოღება შეუძლებელია და დამდუპეველია არა მარტო ბავშვის რელიგიური სამყაროსთვის, არამედ მთელი სულიერი ცხოვრებისთვის. ნებისმიერი სულიერი სფეროს შეზღუდვა ან დათრგუნვა იწვევს ფსიქიკური წონას-წორობის დარღვევას, ფსიქიკური ძალების იერარქიულობის დარღვევას. ბავშვი წარმოადგენს მთლიანობას (თუმცა ეს მთლიანობა ჯერ ისევ გულუბრყვილო, მაგრამ მაინც ღრმა და ძლიერია) და ნებისმიერი წყვეტა სულის რომელიმე უბანზე უცილობლად მძიმე შედეგის მომტანია. თუმცა გარდა ამ საერთო თვალსაზრისისა, აյ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ბავშვის რელიგიური ცხოვრების მაღალი აღმზრდელობითი მნიშვნელობის შესახებ, რომლის უარყოფაზე ათეისტებიც კი უარს ამბობენ. ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის სულიერი სამყაროს რელიგიური სფეროს ნორმალური განვითარება სხვა სფეროების სულიერი სიჯანსაღისთვის. ბავშვი საჭიროებს ისეთ მსოფლიგაბებას, რომლის მიხედვითაც მისთვის ყველაფერს ეძლევა აზრი, ყველაფერი მიემართება სამყაროს შემოქმედს და მამაზეციერს; ბავშვის სულის რელიგიური სახეები უბიძგებენ ბავშვს მისივე სულისთვის სასიკეთო მოქმედებებისაკენ, შიგნიდან ათბობენ და ანათებენ მას. სკოლა, რომელსაც არ სურს ჰქონდეს საერთო ბავშვის რელიგიურ სფეროსთან, რომელიც ხელოვნურად გვერდს უვლის ამ სფეროს, უარს ამბობს უდიდეს შემოქმედებით ძალაზე და იძულებულია იგი ჩანაცვლოს სუროგატებითა და სხვა შემცვლელებით. თუკი ჩვენ წინა პლანზე გამოგვაჭვს პიროვნების ყოველმხრივი განვითარების იდეალი, მისი თავისუფალი გახსნა, მაშ რატომ არ გვინდა მიკეთო თავისუფლება ბავშვის რელიგიურ გამოვლინებებს, რატომ კცდილობთ სულის ამ სფეროს ჩახშო-

ბას, ან სხვა სფეროებისგან მის ხელოვნურად გამოყოფას? სკოლის ეკლესიისგან გამიჯვნა, რელიგიური ოლტრდისა და განათლების სკოლის ამოცანებიდან გამორიცხვა სულაც არ ნიშნავს ცხოვრების მიერ შექმნილი არანორმალური მდგომარეობის დაძლევას, ვინაიდან ეს გამოყოფა პედაგოგიურად ყალბია და მისი გამართლება შეიძლება მხოლოდ იმ აგრესიული ათეიზმის პირობებში, რომელიც იყო საბჭოთა რუსეთის წლებში. რელიგიური გულგრილობის პირობებშიც კი არ შეიძლება ეკლესიისა და სკოლის ერთმანეთისგან გამოჯვნის გამართლება, ვინაიდან გულგრილობა გულისხმობს ეკლესიის მიმართ ისეთ დამოკიდებულებას, რომლის დროსაც თანაბრად უმნიშვნელოა ეკლესიასთან კავშირის არქონაც და მასთან მჭიდრო კავშირიც. რელიგიურად გულგრილი ადამიანებისთვის რწმენა არის ნულის ტოლფასი, ეს ათავისუფლებს მათ ყოველგვარი ქრისტიანული დამოკიდებულებისგან რწმენის მიმართ და ხაზს უსვამს მათთვის იმ ელემენტარულ ფაქტს, რომ ურელიგიურობა ფსიქოლოგიურად შესაძლებელია მხოლოდ სულიერი ცხოვრების ჩვენთვის უკავე ნაცნობ საფეხურზე. მათთვის ეს არის ჯანსაღი მდგომარეობა, ჩვენთვის – სნეულება, მაგრამ ადრეულ ბავშვობაში არარელიგიურობა შეიძლება იყოს მხოლოდ ხელოვნური, ან ნაძალადევი; ჩვეულებრივ ის სულაც არ არის შესაბამისი გაფლენების ბუნებრივი პროდუქტი, არამედ ჩვენთვის უკავე ნაცნობი სულის გახევება და გაუხეშება.

სკოლისა და ეკლესიის გამიჯვნა ჩვენთვის სწორედ რელიგიური მოტივებითაა მიუღებელი. ეკლესიის და სამყაროს, ეკლესიისა და კულტურის (შემოქმედებითობისა და ღვაწლის სამყაროში და სამყაროსთვის) დაპირისპირება უცხოა ქრისტიანებისთვის, მათი ძირითადი დოგმატების ღვთის განხორციელების, მისი სამყაროს ხსნის რწმენის, მისი „განდმრთობის“ იდეალის გამო, როგორც ამას ამბობდა წმინდა ათანასე დიდი. ქრისტიანობა არა მხოლოდ განამტკიცებს მშვიდობას, არამედ ის იდგწის სამყაროს გადარჩენისთვის, მისი „მოწესრიგებისთვის“, ადადგენს სამყაროში ძალების სწორ იერარქიას. ასკეტიკა არის გზა პიროვნების მოწესრიგებისკენ და მისი საშუალებით კი

მთელი სამყაროს მოწესრიგებისკენ. ქრისტიანობის ეს ძირითადი ჭეშმარიტება დამახინჯდა შუასაკუნეების კათოლიკებში. და მხოლოდ კათოლიკური სამყაროს სიღრმეში, მისი არაპრინციპული, მაგრამ ამის გამო არანაკლებად სამყაროს ღრმა ფსიქოლოგიური უარყოფით (უფრო სწორად, მკვეთრი დაპირისპირებით ნატურალურისა და მადლმოსილისადმი) შეიქმნა თეოკრატიული სისტემა, რომლის არსიც არის არა მხოლოდ სამყაროს გაეკლესიურების იდეალი (რაც ჩვენთვისაც ძვირფასია), არამედ ამ მიზნის მისაღწევად გარეშე ძალების – ძალაუფლების გზის გამოყენება. სეპულარიზაციის სისტემა, რომელიც ამ ნიადაგზე შეიქმნა დასავლეთ ევროპაში, არა მხოლოდ ისტორიულად არის ჩვენ მიერ გაკიცეული, არამედ თავისი არსით ჩვენთვის სრულიად მიუღებელია. ამიტომ სკოლისა და ეკლესიის გამიჯვნა ჩვენთვის ნიშნავს პედაგოგიკურ სფეროში ქრისტიანობის ყველაზე მთავარ საწყისზე უარის თქმას. ეს ისე უდავოა, რომ არ მოითხოვს განვრცობას. მაგრამ მით უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის ის საკითხი, თუ როგორ უნდა მოვიაზროთ კონკრეტულად ეკლესიისა და სკოლის ურთიერთობის საკითხი, თუკი ჩვენ მათი გამიჯვნის წინააღმდეგნი ვართ?

ევროპული სკოლის ისტორია გვეუბნება, რომ ის ყოველთვის მჭიდრო კავშირში იყო ეკლესიასთან, რომ ის დაიბადა მის წიაღში. ძველი ტიპის საეკლესიო სკოლა, რა თქმა უნდა, შინაგანად შეესაბამებოდა მთელი კულტურის საერთო ხასიათს, რომელიც ასევე მჭიდრო კავშირში იყო ეკლესიასთან. ელიტარული სკოლის, კერძოდ, სახელმწიფო სკოლის წარმოქმნას არ გაუნადგურებია საეკლესიო სკოლა, თუმცა შეძლებისდაგვარად გადასწია იგი დაბალ საფეხურზე. მთელი ახალი ისტორიის მანძილზე ვხედავთ საეკლესიო სკოლის უმაღლეს ტიპსაც, რომელიც ემსახურებოდა არა მხოლოდ სუფთა ეკლესიურ, არამედ საერთო საჭიროებებსაც. განსაკუთრებით საყურადღებოა საეკლესიო სკოლის დაბალი, საშუალო და უმაღლესი ტიპები ამჟრიკაში, სადაც ეკლესიური თემები ხშირად დღემდე ამ სკოლების მესაკუთრეები არიან. რუსეთში საეკლესიო სკოლები არსებობდა ყოველთვის, თუმცა მხოლოდ სახალხო საეკლესიო სკოლების

ბი ემსახურებოდა მოსახლეობის ზოგად საჭიროებებს, ხოლო საშუალო და უმაღლესი სკოლა იყო სპეციალური, ის ამზადებდა მოძღვრებს. მხოლოდ ქალთა ეპარქიული სასწავლებლები იყო ჩვენში საშუალო საეკლესიო სკოლები, რომელიც იძლეოდა ზოგად განათლებას.

საეკლესიო სკოლის იდეამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში განიცადა ახალი ნაყოფიერი ბიძგი ს. ა. რაჩინსკის წყალობით, რომელიც იყო საეკლესიო სკოლის შთაგონებული და მიზანმიმართული დამცველი. თუმცა, როცა საეკლესიო სკოლის იდეა წამოაყენა კ. პ. პობედონოსცევმა, როგორც ხალხის რევოლუციური იდეებისგან დაცვის საშუალება, და საერთოდ, როცა ეს იდეა გამოიყენებოდა პოლიტიკური მიზნებით, მაშინ ის რუსული საზოგადოების ფართო წრეებში კეთდებოდა დისკრედიტაციის მიზნით. სამართლიანობა მოითხოვს, ისიც ვთქვათ, რომ საეკლესიო-სამრევლო და საეკლესიო სკოლები ხშირად იღენენ ძალიან მაღლა, თუმცა რუსულმა საზოგადოებამ საეკლესიო სკოლის იდეაზე გადაიტანა მთელი ის ანტიპათია, რომელიც გამოიწვია პობედონოსცევის პიროვნებამ. ასე შემოვიდა რუსულ ცნობიერებაში ელიტარული სკოლის ევროპული იდეა, რომელიც გამიჯნული იყო ეკლესიას, საეკლესიო სკოლის ჩვენს კრიტიკას – და ამ შემოსვლამ გააძლიერა ორივე მხარე. რუსული საზოგადოებისთვის, რომელმაც ძლიერად განიცადა ეკლესიის წიაღში დაბრუნება, საეკლესიო სკოლის პრობლემა იყო სწორი – და ისიც პირობითად – მხოლოდ სახალხო სკოლის ფორმით. თვითონ ტერმინიც კი „საეკლესიო სკოლა“ ჩვეულებრივ იწვევს უსიამოვნო ასოციაციებს, მას უყურებენ უნდობლად, ისე რომ, არც კი სურო უფრო ღრმად იმის გაგება, თუ რა იგულისხმება საეკლესიო სკოლის ცნებაში.

და მაინც ჩვენ ვდგავართ საეკლესიო სკოლის შექმნის ზღურბლზე – ამ სიტყვის სრული, სერიოზული მნიშვნელობით. საქმე სულაც არ ეხება იმას, რომ სკოლები – საშუალო, სახალხო, ქალაქის და ა.შ. – შედიოდნენ გაკლესიური თემების ზედამხედველობისა თუ მმართველობის გამგებლობაში. ეს, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, თუმცა ეს არ წარმოადგენს საეკლესიო სკოლის

არსება და მნიშვნელობას. არც ის არის მნიშვნელოვანი, რომ სკოლა იყოს მღვდლების მეთვალყურეობის ქვეშ. და არც ის, რომ სკოლაში საღვთო სჯულის სწავლებას ეთმობოდეს ბევრი საათი. ყველაფერი ეს შესაძლებელია იყოს და შესაძლებელია არც იყოს – ეს არ არის საექსენო სკოლის იდეა. მისი არსი არის ის, რომ სკოლა გამსჭვალული იყოს რელიგიური საწყისით, რომ მან თავისი სულით მიიყვანოს ბავშვი ეკლესიაში და არ განაშოროს მას, ის უნდა ძძლიერებდეს და აღვივებდეს ბავშვის რელიგიურ მოთხოვნილებებს და არ კლავდეს მას. რელიგიურ სფეროს აქვს ცენტრალური მნიშვნელობა მშვინვიერი ძალების იერარქიაში და რელიგიური სფეროს მასაზრდოებლად არ არსებობს არავითარი ფსიქოლოგიური აუცილებლობა, რომ მათ ეძლეოდეს რაც შეიძლება ბევრი სუფთა რელიგიური მასალა. სკოლასა და ცხოვრებაში ყველაფერს, აბსოლუტურად ყველაფერს შეუძლია ჩვენი რელიგიური ძალების გაძლიერება – ეს დამოკიდებულია სულიერ მდგომარეობაზე, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სულითაა განმსჭვალული სკოლა; როგორ შეუძლიათ ეს ცალკეულ ადამიანებს მხოლოდ თავიანთი პიროვნებით, მხოლოდ მათი სულიერი სწრაფვით მარადიული სიმართლისკენ მიიყვანონ ადამიანი დმერთან, ისე რომ სიტყვაც არ ასეხონ მის შესახებ, მსგავსად სკოლასაც შეუძლია ბავშვის დმერთან მიყვანა არა იმით, თუ რას მოუყვაბა იგი მას ღვთის შესახებ, არამედ იმით, თუ სულიერად რომელ მხარეს მიმართავს მის სულიერ მოქმედებებს, რით აანთებს და გაასულიერებს ბავშვის გულს. რელიგიური სკოლის პრობლემა არის მის სულიერ აგრძოსფეროში, ნამდვილობაში, გულწრფლობაში და მისი რელიგიური წესების მთლიანობაში, და არა საღვთო სჯულის სწავლების მოცულობაში, არა რელიგიური აღზრდის სპეციალურ ზომებში. რწმენის ცეცხლი ინთება ისევ მხოლოდ ცეცხლისგან სხვა სულში და ინტელექტისა და განათლების როლი აქ არის მეორადი, თუმცა ძალიან არსებითი უდავოა, რომ მთავარი ნიადაგი, რომელზედაც შეიძლება აღმოცენდეს რელიგიური ჟღვები, არის არა ინტელექტუალური სირთულეები, არამედ ყველაფერი ის, რაც წამლავს და ამძიმებს

ბავშვის სულს. არ უნდა ვზრდიდეთ ბავშვებს შემინულ ხუფში, საობურის ხელოვნურ გარემოში, არ უნდა დავმალოთ ბავშვის-გან დანარჩენი ცხოვრება მისი წარუმატებლობებითა და წუხილით; რათა გავაძლიეროთ და განვავითაროთ ბავშვის სულის რელიგიური მოქმედებები, უპირველესად საჭიროა სულიერი თავისუფლებისა და რელიგიური გასულიერების ატმოსფერო; საჭიროა, რომ ბავშვს უყვარდეს ეკლესია, უყვარდეს მთელი სულით, გულწრფელად და თავისუფლად, ვინაიდან ჩვენი გული ვერ ეგუება ვერანაირ იძულებას, მას სტულს ისიც, ვინც რამეს აიძულებს და ისიც – რასაც აიძულებენ. ეკლესია ისე სავსეა სიმართლითა და მშვენიერებით, რომ არ საჭიროებს ვინმეს იძულებას – არამედ ყოველმა სულმა თავისი ძიებებისა და მოთხოვნილებების პასუხს ეკლესიის წიაღში თავად უნდა მიაგნოს, შეიცნოს ეკლესიის ძალა და სიმართლე. საეკლესიო სკოლის ძირითადი წინაპირობა და ძირითადი სირთულე სწორედ ეს არის – თავისუფალი, სრული, უსაზღვრო სიყვარულის ატმოსფეროს შექმნა. რა თქმა უნდა, თავისუფლება ჩვენ უნდა ვასწავლოთ ბავშვს, თავისუფლება არავის ეძლევა სიცოცხლის ადრეულ საფეხურზე, უფრო სწორად, ცნობიერებას ჯერ კიდევ არ შეუძლია მისი ფლობა, თუმცა თავისუფლება ისწავლება მხოლოდ თავისუფალ გარემოში. ამ უკლების არაფერი ასახავს ისე, როგორც ეკლესიაში სიარულის აუცილებლობა.

ნორმალურ პირობებში არ არის მისი საჭიროება, რომ ბავშვებს ეკლესიაში სიარული – ისინი თვითონვე სიხარულით დადიან იქ, იმ შემთხვევაში, როცა მათთან ერთად უფროსებიც არიან. ამით სულაც არ მინდა პედაგოგიკური პრაქტიკის რთული შემთხვევების უარყოფა, მაგრამ არც ერთ რთულ შემთხვევაში მთავარი უბედურება ჩვეულებრივ არ არის ის, რომ ბავშვები უარს ამბობენ ეკლესიაში სიარულზე. მშობლები და პედაგოგები უნდა დაფიქრდნენ სულ სხვა რამეზე – იმ სულიერ ცვლილებზე, რომლებიც დგას ამის უკან. და ძალიან სახიფათო და ზოგ შემთხვევაში დამდუპველიც კია მოზარდის რელიგიური ცხოვრებისათვის (სწორედ მოზარდებში ხდება ეს ყველაზე ხშირად), როცა რთული სულიერი დვაწლისას, აფორი-

აქებული სულის ძიების პერიოდში, მშობლები და სკოლა ფიქრობენ არა იმაზე, რომ შევიდნენ მოზარდის მდგომარეობაში, არამედ აიძულებენ ბავშვს, იაროს ეკლესიაში. ასეთი ზომების გამოყენებით მხოლოდ ორპირობას და ბოროტებას ვაღვივებთ ბავშვში რელიგიური ცხოვრების მიმართ.

საეკლესიო სკოლის ნომერ პირველი პრობლემა სწორედ ის არის, რომ ეკლესიის მიმართ სიყვარული იყოს თავისუფალი, და პირიქით – თავისუფლებამ ასაზრდოოს ეკლესიის სიყვარული. სულიერი ცხოვრების გზები, როგორც უფროს თაობაში, ასევე პატარებში ხშირად ისეთი მიხევულ-მოხვეულია, ისეთი დაძაბული და მძაფრია, რომ ერთ არასწორ ნაბიჯსაც კი შეუძლია სულის დაღუპვა. არ არის სულიერი სიჯანსადე არც იქ, როცა მოზარდი ეკლესიაში სიარულს არჩევს წიგნების კოთხვას, მეგობართან საუბარს და ა.შ. ხომ აქვს სულს უნაყოფობის, უგრძნობელობისა და შინაგანი უმოძრაობის პერიოდები? განა რელიგიურ გრძნობებს არ აქვთ მოქმედებებისა და უმოქმედობის ჟამი? უნდა შეგვეძლოს სულის ამ ზიგზაგების გათანაბრება, არ უნდა გადავაჭარბოთ და არ უნდა გავამუქოთ ის, რაც მასში დროებითა, რაც მომენტალურად ითრევს სულს და რამაც შეიძლება გაიაროს თავისთვავად. სინანულის ფსიქოლოგია წარმოადგენს ნამდვილ შინაგან მოვლენას, ის მკურნალი და შემოქმედებითად ნაყოფიერია მხოლოდ მაშინ, როცა თავისუფალია; ნებისმიერი იძულება მხოლოდ განდევნის მას. ეს ეხება ჩვენში რელიგიური მოქმედებების სხვა გამოვლინებებსაც. რელიგიური აღზრდის ამოცანა უნდა იქნას გაგებული სწორედ მისი დადებითი და არა უარყოფითი შინაარსით, არა როგორც გარეგნული იძულებების სისტემა, არამედ როგორც სულის საუკეთესო ქმედებების აყვავებისა და აღმოჩენის თანაქმედება.

მაგრამ აქ თავს იჩენს საეკლესიო სკოლის მეორე მთავარი პრობლემა. თუკი რელიგიური აღზრდის ჭეშმარიტი გზა უკავშირდება ბავშვების ეკლესიის მიმართ თავისუფალ სიყვარულს, მაშინ როგორ ჩავახშოთ ის დამაუძლეურებელი და სულის გამყინავი მოქმედება, როგორიც არის ჩვენი ცხოვრება მისი სიყალბითა და სიცრუით, მისი ნატურალიზმითა და აქტიური ურწმუ-

ნოებითაც კი? ჩვენი დრო ხასიათდება ისეთი სულიერი სიდა-  
ტაპით, სიცივით, ირგვლივ იმდენი დაფარული თუ და სიცრუეა,  
რომ ბავშვის სული, როგორც რკინა ქანგით, ისე იფარება ამ  
ტყუილის, სიყალბისა და ბოროტების შხამიანი ნალექით. ყვე-  
ლაფერი ამის შემდეგ ბავშვის სულიერი სამყაროს თავისუფ-  
ლებაზე ლაპარაკი გულუბრყვილობა და სიყალბეა. და ამის  
უარყოფა შეუძლებელია, ვინაიდან ასეთია ჩვენს დროში რელი-  
გიური აღზრდის ანგინომია, ასეთია მისი ძირითადი სირთულე.  
არ შეიძლება სულმა განიცადოს რელიგიური შთაგონება თავი-  
სუფლების გარეშე, განმასულიერებელი აღმასვლის გარეშე, მე-  
ორე მხრივ კი სიყალბის, ბოროტების შხამიანი სუნთქვა, მომხიბ-  
ლავი ცდუნებით შემოდის სულში, წამლავს ყველაფერს და  
ნელ-ნელა მიჰყავს ის დამავალი, არასწორი გზით.

ოჯახური თუ სასკოლო აღზრდის წინაშე თანაბარი დაუი-  
ნებულობით დგება ერთი და იგივე პრობლემა – მთლიანი  
რელიგიური კულტურის ოზისების შექმნის საკითხი. აქ საუბარი  
არ არის შეუძლებელი სიწმინდის უტოპიაზე, არამედ მხოლოდ  
დევისკენ ნამდვილი, თავისუფალი და შემოქმედებითი სწრაფვის  
შესახებ. ჩვენი ცოდვები არ აცბუნებს ბავშვის სულს, თუმცა  
ავსებს მას წუხილით – ოდონდაც ის უნდა ხედავდეს არა  
მარტო ცოდვებს, არამედ სინანულს მათ გამო. ბავშვები ისეთი  
მგრძნობიარები არიან, რომ მათ უსიტყვოდ, გარეგნული მოქმე-  
დების გარეშეც შეუძლიათ უფროსების სულიერი სამყაროს  
ამოცნობა. და როცა ისინი ცხოვრობენ გულწრფელი რელი-  
გიური ცხოვრების პირობებში, ძალიან თავისუფლად და ადვი-  
ლად ინთება მათი სული დათისადმი რწმენით! ბავშვის სულის-  
თვის ისეთი ბუნებრივია ეკლესიური ცხოვრება და ისე სჭირ-  
დება მას ის, რომ როცა ის მას ხედავს, ყოველგვარი ძალდა-  
ტანების გარეშე ეძლევა მას. თუმცა ამისთვის საჭიროა ჯანსა-  
დი სულიერი აგმოსფერო, აუცილებელია, რომ ის მთელი ცხოვ-  
რება ეძებდეს განწმენდას ეკლესიაში. ეს განწმენდა ჯერ კიდევ  
არ იძლევა სიწმინდეს, ის მხოლოდ აერთებს ცხოვრებას ექ-  
ლესის მადლმოსილ ძალებთან, ის ჩვენ გვინათებს, როგორც  
დამით შუქურა, რომ არ აებნეს გზა მეზღვაურებს. რელიგიური

ადზრდისთვის აუცილებელია სულიერად ჯანსაღი ოჯახი, აუცილებელია რელიგიური სულიო გამსტკალული სკოლა, კიდევ უფრო საჭიროა სულიერად ჯანსაღი კულტურული ატმოსფერო. სკოლა ვერ გააკეთებს თავის საქმეებს თვით ცხოვრების დახმარების გარეშე, მას არ შეუძლია ბავშვის ცხოვრებისგან, მისი „სუნთქვისგან“ იზოლირება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საეკლესიო სკოლას თავისი ამოცანების შესრულება შეუძლია მხოლოდ სულიერად ჯანსაღ კულტურულ ატმოსფეროში. საჭიროა საეკლესიო კულტურის შექმნა, საჭიროა, მორწმუნე ადამიანები უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს და მხოლოდ მაშინ იქნება სკოლა არა დამდუაველი, არამედ ბავშვების რელიგიური ზრდის ამაღლობინებელი ძალა. სკოლას ცხოვრების გარდაქმნა კი არ შეუძლია, არამედ პირიქით – ჯანსაღი ცხოვრებისა და საეკლესიო კულტურის პატარ-პატარ „კუნძულების“ შექმნით, ჩვენ შეგვიძლია აღმოვაჩინოთ სკოლისთვის ბავშვებზე ნაყოფიერი გავლენის შესაძლებლობა.

საეკლესიო სკოლა, ჩემი აზრით, არ მოიაზრება სახელმწიფო სკოლის მოცულობით. დაე, აღორძინებულმა ქვეყანამ განავითაროს სკოლის ესა თუ ის ტიპი, მაგრამ საეკლესიო სკოლა უნდა იქმნებოდეს ეკლესიური თემების მიერ, რომელიც არა მარტო ბავშვებისთვის, არამედ საკუთარი თავისთვისაც ექვებს სწორ ცხოვრებას. საეკლესიო სკოლა უნდა იყოს საეკლესიო კულტურის შექმნის საერთო პროგრამის ერთი ნაწილი – ამის გარეშე ის წარმოუდგენელია. საუბარია არა სკოლისა და ეკლესიის გარეგნულ კავშირზე, არამედ მათ დრმა შინაგან დაახლოებაზე, მისი შექმნა კი მხოლოდ სკოლაში შეუძლებელია, საეკლესიო კულტურა უნდა იქმნებოდეს ჩვენს სამყაროში ცხოვრების ეველა უბანზე. მნელი და რთულია ეს, – მაგრამ დიდი და ნამდვილი განა შეიძლება იყოს ადგილი? ოდონდ საჭიროა სწორ გზაზე დგომა, და ის, თუ რამდენის გავლა მოგვიწევს ამ გზით, ეს არა ჩვენზე, არამედ დვთის ნებაზეა დამოკიდებული.

## ჩ ვ ე ნ ი ე პ ო ძ ა

პარიზის მართლმადიდებლურ-საღვთისმეტყველო  
ინსტიტუტთან არსებული რელიგიურ-პედაგოგიკური  
კაბინეტის გამოცემა, 1952 წ.

რელიგიურ-პედაგოგიკური კაბინეტის მეცნიერებისა და თა-  
ნამშრომლების ჯგუფმა ჩაიფიქრა ნარკვევების სერიის გამოცე-  
მა საერთო სახელწოდებით „მართლმადიდებლობა და თანამედ-  
როვეობა“. რელიგიურ-პედაგოგიკური კაბინეტი სიხარულით შე-  
უდგა ამ ახალ წამოწყებას იმის ღრმა რწმენით, რომ საეკლესიო  
ცხოვრების საერთო პრობლემები, რომელიც ასე მნიშვნელოვა-  
ნია ახალგაზრდობასთან რელიგიური მუშაობის სწორად წარმარ-  
თვისათვის, ამ ნარკვევებში ყოველმხრივ გაშუქდება.

რელიგიურ-პედაგოგიკური კაბინეტის  
ხელმძღვანელი დეკ. გ. ზენკოვსკი

წინამდებარე ეტიუდი ეძღვნება თანამედროვე კულტურის  
ანალიზს, იმ ღრმა, ნაწილობრივ უკვე დაუძლეველ, ყველა შემთხვევ-  
გაში ტრაგიკულ კონფლიქტებს, რომლითაც სავსეა ჩვენი ეპოქა.  
ახლა უკვე გასაგებია, რომ ეს კონფლიქტები სულაც არ არის  
დროებითი ან შემთხვევითი. ისევე უდავო ის, რომ ორი მსოფ-  
ლიო ომის საშინელებები, საბჭოთა სახელმწიფოს გაუგონარი  
ტერორი და გერმანიის სოციალისტურ-ნაციონალისტური რეჟი-  
მის მძღინვარება საშიშ კავშირშია იმ სულიერ ხრწნასთან, რომე-  
ლიც ასე ახასიათებს მთელ ჩვენს ეპოქას. ამჟამად მთელი მსოფ-  
ლიო გადის ბარბარიზაციის საშიშ პერიოდს, მიუხედავად მეც-  
ნიერებისა და ტექნიკის მრწყინვალე მონაპოვრისა, მიუხედა-  
ვად სოციალური პირობების უდავო გაუმჯობესებისა. ჩვენი  
ეპოქა ისეთი ძლიერი სენიორა დაავადებული, რომ ეს დაავადება

თითქმის უკვე უკურნებელია; ჩვენმა ეპოქამ დღეისათვის მიაღწია თავის „ბუნებრივ“ აღსასრულს, ამოწურა მთელი თავისი სულიერი შესაძლებლობები. მართალია, შემოქმედება ჯერ კიდევ არის თანამედროვეობის ღირსება, მასში ჯერ კიდევ ბევრი დინამიზმია – გამუდმებით ჩნდება ახალი გეგმები, წარმოიშვება ახალი უტოპიები, მაგრამ იმ ჩინიდან, რომელშიც ჩვენი ეპოქაა, გამოსავალი პრაქტიკულად არ არსებობს. სხვა მხოლოდ ერთ რამეში უნდა ვემებოთ: თანამედროვეობის ძირითად სიყალბეს-თან, მის დექრისტიანიზაციასთან კავშირის რადიკალურ გაწყვეტაში.

არ ვიციო, როგორ განვითარდება მსოფლიო ისტორია, ამიტომ აზრი არ აქვს ამაზე ფიქრსა და ვარაუდის გამოოქმას. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია და უნდა გავარკვიოთ კიდეც თუ რა არის ჩვენი ეპოქის ძირითადი სენი, რომ ამის გათვალისწინებით ვეძიოთ ცხოვრების ახალი გზები. ეს გზები ჩვენთვის გაიხსნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოედ ჩვენს მცდელობებს მივმართავთ თვითგამორკვევისაკენ – ავტორი სწორედ ამ კუთხით გვთავაზობს თავის მსჯელობებს.

ჩვენი დასკვნების გამოსატანად განზრას არ ვუპირისპირებთ ერთმანეთს ქრისტიანულ დასავლეთსა და ქრისტიანულ აღმოსავლეთს, თუმცა ჩვენი ანალიზი მაინც გამომდინარეობს იმ ჭვრებათაგან, რომელიც ნაკარნახევია მართლმადიდებლური ცნობიერების მიერ, მომდინარეობს მისი ინტუიციებიდან და იმპერატივებიდან, იმ ცოცხალი გადმოცემიდან, რომლის შუქჩეც ჩვენ, მართლმადიდებლები, უნდა მივუდგეთ ჩვენი დროის პრობლემებს.

## I

სშირად ამბობენ, რომ ჩვენი ეპოქის მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი ნიშანი, ყოველ შემთხვევაში ბოლო პერიოდში, სოციალური ცხოვრების სიმწვავეა, რომელიც გამუდმებით ახლავს თან ამა თუ იმ, კერძო თუ საერთო კრიზისს. ეს, რა თქმა უნდა, მართალია, გარკვეულ საფეხურზე, მაგრამ მხოლოდ ცალმხრი-

ვად – სოციალური სფეროს მოუწესრიგებლობის მიღმა ხშირად ვერ ამჩნევენ ცხოვრებაში უფრო მეტ უწესრიგობას ყველა სხვა სფეროში. განსაკუთრებით საჭიროა დავფიქრდეთ თანამედროვების იმ მკვეთრ კონტრასტზე ჩვენი ეპოქის განუმეორებელ სიმდიდრესა (სხვადასხვა სფეროში) და იმ სულიერ სიბრძლეზე, რომელშიც იმყოფება თანამედროვე ადამიანი. თუ მდიდარია ჩვენი დროის კულტურა, თუ შეუდარებელია მისი შემოქმედებითი მონაპოვრის სივრცე; თანამედროვე ადამიანი, პირიქით, – სუსტი, დაბრუელი, თითქოს შებოჭილია ჩვენი ეპოქის რთული ცხოვრებით, საერთოდაც ის თანამედროვე კულტურაზე დაბლა დგას. უნებურად გვიჩნდება აზრი, რომ თანამედროვე კულტურა ისე განვითარდა, რომ ის უკვე ცხოვრობს საკუთარი ცხოვრებით, ნაკლებადაა დამოკიდებული ადამიანებზე და მის შემქმნელებზე. ის თითქოს მიღის საკუთარი დიალექტიკით, მიუხედავად იმისა, რამდენად ფლობს მას თანამედროვე ადამიანი, – და თუკი იგი მის მიერ დათრგუნულია, თუ მისი სული მერყევია, ეს სულაც არ აფერებს კულტურის წინსვლას. ჯერ კიდევ დოსტოევსკიმ გამოთქა აზრი („მწერლის დღიურებში“ 1877 წ.), რომ თანამედროვე კაცობრიობის უბედურება არის ის, რომ „ეპოქის ყველა ძღვენს აკლია გენიოსი, რომ განკარგოს ეს საუნჯე“. მაგრამ რომელ გენიოსს ძალუმს დაიტიოს თანამედროვე კულტურის მთელი მრავალფეროვნება და სისრულე და დაეპატრონოს მის „ძღვენს“? ის ისეთი მრავალფეროვანი და რთულია, რომ მხოლოდ ეს წინააღმდეგობაც საკმარისია იმისათვის, რომ გაუჭირდეს „ამ სიმდიდრის განკარგვა“. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი აქ არის სხვა რამ – ჩვენს კულტურას არ გააჩნია ერთობა, მისი სხვადასხვა სფეროები უბრალოდ კი არ ჩამომორდნენ ერთმანეთს, არამედ მათ უკვე გაწყვიტეს ერთმანეთთან შემაკავშირებელი ყველა ძაფი, გარდა იმ ერთისა, რომლის მიხედვითაც ამ სხვადასხვა სფეროს სუბიექტი არის ერთი და იგივე ადამიანი, რომლის ფორმალურ კუთვნილებაშიც არიან ისინი. კულტურის „ფლობა“ ამიტომაც არის „ნაწილობრივი“; თვითონ გვნიალურობაც, როგორც შემოქმედების ძალა, დღეისათვის ემორჩილება ამ „ნაწილობრიობის“ კანონს. როგორც გარკვეული

მთლიანობა, ჩვენი დროის კულტურა, ადამიანისგან დამოუკიდებლად ვითარდება, სცილდება მას, მიედინება საკუთარი ძალებით. ის, ვინც ერთ რომელიმე უბანზე არის სრულუფლებიანი მეპატრონე, მისი ნამდვილი შემქმნელი – ის სხვა დარგებში არარა და უძლეურია, არაფერი ესმის მისი.

სწორედ ეს არის ადამიანის სულის დანაწევრების, დაბნეულობისა და აფორიაქებულობის წყარო. და თუ ვიტყვით, რომ კულტურის ცალკეული სფეროს განსაკუთრებულობა არის მისი სიმწიფის ნიშანი, ამით არაფერი იცვლება, ვინაიდან ამით კიდევ უფრო ძლიერად შიშვლდება ადამიანის სულში გამაერთიანებელი ძალის არსებობა. განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ მხოლოდ ამგვარი ძალით, რომელიც აერთიანებს სულის სხვადასხვა სფეროს, შესაძლებელია რელიგიური რწმენა? რა თქმა უნდა, აქ საუბარი არ არის მხოლოდ რწმენის ფსიქოლოგიის შესახებ, არამედ იმაზე, საითკენაა ის მიმართული (მის „ინტეციებზე“, თანამედროვე ფსიქოლოგიურ ენაზე რომ ვთქვათ): ერთობის საწყისი დევს არა ჩვენს განცდებში, არამედ ღმერთში, როგორც აბსოლუტში, როგორც ყოველგვარი მრავალფეროვნების წყაროში. ღვთისადმი, როგორც აბსოლუტისადმი მიმართვა ამაღლებს ჩვენს რელიგიურ ცნობიერებას მთელ ფსიქიკურ სამყაროზე და რწმენას გადასცემს იმის ძალას, რომ მან შეძლოს ყველა სულიერი მოძრაობის „შემოკრება“.

თუმცა რწმენის ბედი ჩვენს ღროში უკიდურესად სავალალოა. ჩვენ არც იმის თქმა შეგვიძლია, რომ რწმენა ბოლომდე ჩაქრა თანამედროვე (ქრისტიან) ადამიანში, - ნუ ჩავვარდებით იმ ცდუნებაში, რომელშიც ოდესალაც ჩავარდა წინასწარმეტველი ილია, რომელიც შეაშფოთა ისრაელში გაბატონებულმა გაცხადებულმა უკეთურებამ. არა, ნამდვილი ცოცხალი რწმენა ჯერ კიდევ არის სამყაროში, შესაძლოა ახლა, ორი მსოფლიო ომის საშინელების შემდეგ, უფრო მეტადაც, ვიდრე ეს იყო ადრე, მაგრამ უბედურება ის არის, რომ თვითონ რწმენა თითქმის სრულად ჩამოშორდა კულტურას, დაჩრდილულია სულის შემოქმედებითი ცხოვრებით, თითქოს მიმწყვდებულია სულის ბნელ კუნძულში და არ შეუძლია თავისი გამამთლიანებელი ძალის

გამოვლენა. კულტურის ე.წ. ავტონომია, ანუ მისი პრინციპული „თავისუფლება“ რელიგიური აღმსარებლობებისგან, მისი რწმენისგან, ეკლესიისგან დამოუკიდებლობა, რწმენას უძლურს ხდის. კულტურული შემოქმედებისთვის რწმენა აღარ არის საჭირო, ის მისთვის არის ერთგვარი დამატებითი ფუფუნება, რომლის გარეშე კულტურა მშენივრად გაძლებს და რომლის მიმართაც მან დაკარგა ინტერესი. კულტურაში ყველაფრისთვის არის სივრცე, მაგრამ არა რწმენისთვის – მისთვის ადამიანის სულში განსაკუთრებული ადგილია დათმობილი, საიდანაც მას უჭირს ცხოვრებაში გამოდწევა. ერთი მოაზროვნის (ზიმელის) აზრით, ჩვენი დროის რელიგიური ცხოვრება შეიძლება იყოს „მხოლოდ მუსიკალური“; ამ სიტყვებით მას იმის ხაზგასმა სურს, რომ რელიგია ვედარ გამოხატავს თავის თავს კულტურაში სხვაგვარად, ის მას გამოხატავს მხოლოდ ბგერაში, ის ვედარ ხედავს თავის თავს კულტურაში. გასაკვირი არ არის, რომ ასეთ პირობებში რელიგიურმა ცხოვრებამ გადაინაცვლა სულის ინტიმურ სიღრმეებში, თითქოს დაამწყვდიეს „იატაკქეშეთში“, და მისი მაცხონებელი ძალა, მისი შემოქმედებითი შთაგონება და მადლმოსილი დახმარება რჩება მხოლოდ მორწმუნე პიროვნების ფარგლებში, მას არ ძალუს ეპოქის შეცვლა, მისი სნეულებებისა და სიყალის განკურნება. ამიტომაც არ იქნება გადაჭარბებით ნათქვამი, თუ ვიტყვით, რომ ჩვენი ეპოქა დღეს ურელიგიო ეპოქაა. ამით სულაც არ ხდება რელიგიური აღორძინების ფაქტის უარყოფა, უბრალოდ ამ აღორძინების ყვავილების სუსტი დეროები ჯერ კიდევ დაფარულია „დვარძლით“, მაცხოვრის იგავის თანახმად, ისინი ხომ იზრდებიან პურის თავთავების გვერდით, თუმცა პურის თავთავის დვარძლით გადაფარვის საშიშროება ნათელზე ნათელია. იგავის თანახმად, მხოლოდ „ბოლო ჟამს“ იქნება შესაძლებელი მათი ერთმანეთისგან გამორჩევა, მაგრამ „ამა სოფლის დასასრულია“, თუ ჯერ კიდევ არ დამდგარა, უპავ ძალიან ახლოსაა, – და თუკი ჩვენს ბრწყინვალე, მაგრამ ადამიანის სულის დამტანჯველ ეპოქას შეცვლის „ახალი ეონი“, მას წინ ხომ არ უნდა უსწრებდეს ხორბლისა და ლვარძლის გამორჩევა?

## II

ჩვენი ეპოქის ყველაზე საბედისწერო და მტკიცნეული ფაქტი – ეს არის კულტურის „ნეიტრალურობის“ პრინციპი, მისი არსებითი დამოუკიდებლობა ეკლესიისა და რწმენისგან. ეს პოზიცია არ გახლავთ მხოლოდ თეოკრატიული თვალსაზრისი – ის დიდი ხანია იქცა შემოქმედებითი ქმედებების სათავედ, „თავისთავად ცხად“ ჰემარიტებად, რომელმაც შეისისხლხორცა, ცნობიერსა და ქვეცნობიერში თანამედროვე ადამიანის შეჭრა. კულტურის „ნეიტრალურობის“ მთელ საბედისწერო აზრს წარმოადგენს ის, რომ დაბეჯითებით ხდება იმ პრინციპის გატარება, რომ კულტურა როგორც კაცობრიობის შემოქმედებითი ქმედებების ერთობა, არაფრით არ უკავშირდება რელიგიურ სამყაროს. მეცნიერებისა და ფილოსოფიის კვლევა უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს და თითქოს ბევრი გარეგნული თვალსაზრისი მიღწევაც აქვს, თუმცა ყოფიერების საიდუმლო არ განიხილება რელიგიურ რწმენასთან მიმართებაში, ანუ სამყაროს შემცნებისადმი იმგვარი მიღვომაა, თითქოს ღმერთი არ არსებოდეს, თითქოს ყოფიერება განიმარტებოდეს თავისი თავიდან გამომდინარე. თანამედროვე ცნობიერებისთვის ღმერთის იდეა „უსარგებლო“ გახდა, ის არაფერს იძლევა ყოფიერების საიდუმლოს გახსნაში, პირიქით, უფრო აბუნდოვნებს ჩვენს აზრებს. საზოგადო პრობლემები, პოლიტიკური და სოციალური საკითხები, მორალი და პედაგოგიკა – ეს ყველაფერი გამომდინარებს ადამიანის თვისებების, მისი „ბუნების“ შესწავლიდან, მისი მოთხოვნილებებიდან და ასეთი ანალიზისას არ შეიცავს რელიგიურ მოქნებს. ხელოვნებაც კი, რომელიც არ ამბობს უარს რელიგიური ხასიათის სიუჟეტებზე, მათიც ძალიან ცდილობს იყოს რაც შეიძლება მიწიერი, „რეალისტური“. არსებობს კი დღეისათვის სადმე კულტურული შემოქმედების რომელიმე სფერო, რომელიც თავისი შემოქმედებითი პროდუქციის წარმოებისას უარს არ იტყოდა დაყრდნობოდა ქრისტიანულ სწავლებას, ეკლესიას? ცალკეული

ლი მეცნიერები, მუსიკოსები, მწერლები, შესაძლოა, არიან კიდევ დრმად რელიგიურები, ინარჩუნებენ ეკლესიასთან კავშირს, ან უბრუნდებიან მის წიაღს, მაგრამ ეს ხდება პერსონალურად, ისინი იძლევიან მაღალი კეთილშობილების და „უბედობის“ სულისკენ ნამდვილი მისწრაფების მაგალითს, ეს შეიძლება ახასიათებდეს ცალკეულ პიროვნებებს და არა შემოქმედებას. კულტურული შემოქმედების ეკლესიასთან, მის მაღლმოსილ ძალებთან, დაკავშირების ცალკეული მცდელობები, რჩებიან გავლენიანობას მოკლებულ და იზოლირებულ ძალებად. ყოფიერების ესთეტიკისა და სოციალური ურთიერთობების გარდა ქმნით დაწყებული სამეცნიერო, ფილოსოფიური, მხატვრული შემოქმედებით, უმაღლესი ფორმით დამთავრებული კულტურული აქტივობის ყველა სფერო გახდა რელიგიურად „ნეიტრალური“, „დამოუკიდებელი“, „ავტონომიური“. ახლა უკვე აღარავინ იცავს „ავტონომიის“ პრინციპს – მას უბრალოდ განახოციელებენ, მისით ცხოვრობენ. არ აღიქმება ქრისტიანობის ისტორიის, ანუ ქრისტიანი ხალხის ისტორიის გზა ღვთის სასუფევლისკენ მიმავალ გზად, სამყაროს სხნის გზად, ის უკვე აღარ არის ჩვენთვის ქრისტიანული პრინციპების ცხოვრებაში განხორციელების გზა – ის იქცა უბრალოდ ხალხის „ბუნებრივ“ ისტორიად, რომელსაც ჯერ არ დაუკარგავს ეკლესიასთან კავშირი, თუმცა ის აღარ ცდილობს ცხოვრების საფუძვლად გაიხადოს ეკლესიის შეგონები.

ეს არის ჩვენი საუკუნის, ჩვენი ეპოქის მთავარი სწერულება – და დღითი დღე უფრო და უფრო სცილდება შემოქმედებითი გზები ქრისტიანულ რწმენას, ეკლესიას. სწერულება დღითი დღე მძიმდება, ის ითრევს ადამიანთა სულის სულ ახალ-ახალ სიღრმეებს და ხშირად მივდივართ იმ აზრთან, რომ სხვა გზით სიარული ისტორიას უკვე აღარ შეუძლია, რომ გულუბრყვილობაა ისტორიის მსვლელობაში სერიოზული ცვლილებების მოლოდინი.

და მაინც, უნდა ითქვას, რომ მიუხედავად რელიგიური საფუძვლებიდან ძირეული გადახვევისა, ჩვენს ეპოქას სწყურია რელიგიური სიახლეები, ის მათ გამაღებულ ძებნაშია. მართა-

ლია, ის ემებს იმ გზებზე, სადაც უფრო მწვავდება სულიერი სწეულებები და ამგარად უფრო ღრმავდება ეპოქის ტრაგე- დიები. და მართლაც, დღეისათვის კულტურის ყველა სფეროში ხდება ყოველგვარი ტრანსცენდენტულის აღმოფხვრა, იმ ყვე- ლაფრის აღმოფხვრა, რასაც სული მიჰყავს აბსოლუტის, როგორც პირველეალობის, შემცნებისკენ, რამაც უნდა დაგვაკავშიროს მასთან. მაგრამ ვინაიდან თვით „აბსოლუტურობის“ კატეგორია, ასე ვთქვათ, ჩვენი სულის ნაწილია და არ შეიძლება მისი აღმოფხვრა – ვინაიდან ამ ტენდენციას (ყოველგვარი ტრანს- ცენდენტულის აღმოფხვრა, ანუ შეჩერება იმანენტურსა და ამ- ქვეყნიურზე) მიჰყავართ იქითკენ, რომ შეიძლება გარდაუვალი აღმოჩნდეს საწინააღმდეგო პროცესი – შეფარდებითის, გარ- დამავლისა და იმანენტურის აბსოლუტიზაცია. ეს უკავშირდება იმას, რომ ორივე კატეგორია – „აბსოლუტურიც“ და „ფარ- დობითიც“ – ბოლომდე აღმოუფხვრელი რჩება ჩვენი შემცნე- ბიდან; და ჩვენი აზრების მთელი ამოცანა ის გახლავთ, რომ მოგვეძებოთ ყველა კატეგორიას მისი შესაბამისი განმარტება. თუკი წინასწარ აღმოიფხვრება აბსოლუტური, ჩვენთვის ტრანს- ცენდენტული ყოფიერება, მაშინ აბსოლუტურის კატეგორია, რომელიც ახასიათებს ჩვენ სულს, ბუნებრივად გადავა ფარ- დობით, მიმდინარე, იმანენტურ ყოფიერებაში. აი, საიდან მოდის ასეთ პირობებში რელიგიური ცხოვრების დაუოკებელი წყურ- ვილი, რომელსაც არ შესწევს ძალა მისი ნამდვილი დარწყულე- ბისთვის; სულის რელიგიური ძიების საპასუხოდ ის აზრი, რომელ- მაც დაკარგა აბსოლუტთან ნამდვილი კავშირი, ისწრაფვის მისი ადგილი რაიმე სუროგაზე ჩანაცვლოს, რომელიც მისი მოთხოვ- ნილებების მოჩენებითი დაკმაყოფილებით იქნება დაკავებუ- ლი. კულტურული შემოქმედება უცნაურ მოთოლოგიურ ნისლ- შია გახეული, და ამ მითოლოგიებში (მნელია მისთვის სხვა სახელის შერჩევა) სულის რელიგიური მხარე ცდილობს საკუ- თარი თავის გამოვლენას. ჩვენი ეპოქის მთელი პარადოქსი სწორედ ეს ჩიხია, რომლის წინაშეც ის დგას: მასში ცოცხლობს რელიგიური სფერო, თუმცა რელიგიური იდეები და რწმენა დაცემულია; მასში ჩახშობილი რელიგიური მოთხოვნილება

ცდილობს ზედაპირზე ამოსვლას, თუმცა მის დასაქმაყოფილუბლად ჩვენი ეპოქა ადამიანს ათასგვარ სუროგატს სთავაზობს – ვინაიდან ყველანაირი მითი (რომელიც ამ მიწნით არის მოხმობილი) არის ოდენ საკუთარი თავის მოტყუება, სიყალბე და სუროგატი. შეიძლება უფრო შორს წასვლა და იმის თქმაც, რომ ქრისტიანობა ცხოვრობს სახარებისეული სწავლებებით, თუმცა ის ექებს ამას ქრისტეს, ეკლესიისა და მისი საიდუმლოებების გარეშე. ეს არის სწორედ ჩვენი ეპოქის ის ტრაგიკული ჩიხი – ვინაიდან ქრისტიანი ადამიანი გულით ჯერ კიდევ არ განშორებია ქრისტეს, თუმცა მისი გონება თავისუფალია მისგან. „ქრისტეს უღელის სიტყბო“ ცხოვრობს თანამედროვეთა სულებში, მათ ცნობიერებაში კი აღარ რჩება ადგილი ქრისტიანული პრინციპებისთვის. ეს მტკიცნეული განხეთქილება, ერთი მხრივ, როთიც ცხოვრობს, რასაც ექებს თავის სიღრმეში სული, და მეორე მხრივ, რაც ავსებს თანამედროვე ცნობიერებას, რა თქმაუნდა, არის ქრისტეს მიმართ ჩვენი ცნობიერების პირდაპირი დალატი, ეს არის ჩვენი განდგომა ქრისტესგან. და ერთადერთი, რასაც ჩვენი სულის განკურნება შეუძლია არის მხოლოდ გონების ნამდვილი და ძლიერი „განახლება“, როგორც ამას მოციქული პავლე გვასწავლის (რომ. 12,20), – იდეოლოგიური გადახვევის გარეშე და თანამედროვე ცნობიერების ფერისცვალების გარეშე, ჩვენი ახლანდელი აზრების უარყოფის გარეშე ჩვენი ეპოქა ვერ შეძლებს იმ ბორკილების დამსხვრევას, რომელიც მან თვითონვე დაადო საკუთარ თავს.

რომ დაგარდვით ამ იდეების ფაქიზი ქსელები, სულის ბობოქრობის საიდუმლო თუ აშკარა ამბოხი, უნდა გავიგოთ, როგორ მოხდა ის, რომ სულის ქრისტიანული განწყობის ნათელი და განსაზღვრული საფუძვლები ჩვენთვის გაეხვა თავისებურ მითოლოგიურ ნისლში.

### III

მითოლოგიური შინაარსითა და პასაუებით ხასიათდებოდა ქრისტიანობამდელი წარმართული ისტორია – ის იყო რელიგიური ცნობიერების მცდელობა, რომელსაც არ ჰქონდა გამოცხადება, არ შეეძლო ყოფიერების საიდუმლოს წვდომა, არ შეეძლო იმ „უხილავ ღმერთობა“ დაკავშირება, რომელსაც კარგად გრძნობდა წარმართობა, თუმცა ვერ პოულობდა მასთან საერთოს. ამიტომაც უწინდელი სამყაროს მითოლოგია არ იყო პოეტური შთაგონების უბრალო გამოვლინება – ის ამოზრდილი იყო რელიგიური ფიქრებიდან, მისტერიული განცდებიდან (ერთი მკვლევარის გამოთქმის თანახმად – „მითები – მისტერიების შესამოხსელია“), რომლებიც სავსე იყო რელიგიური შინაარსით. ამიტომ მათში არა მხოლოდ პოეტური, არამედ რელიგიური გამჭრიახობა ჩანდა, რაც ეხმარებოდა სულს „ზევით“ სწრაფვაში, მიღმიერ რეალობასთან მიახლოებაში. მიუხედავად ამისა, წარმართობამ არ იცოდა გამოცხადება, ანუ მას არ ჰქონდა პირდაპირი კავშირი ღმერთობა – ის მაინც სულდგმულობდა იმ ნათლით, რომლითაც ქრისტე „ანათლებს ყოველ კაცს, მომავალს ამ სოფლად“ (იოან. 1.9), – იმ ნათლით, რომლითაც ის აღწევდა გონებაში („გონების ბუნებრივი ნათელი“) და გულში („სინდისის“), როგორც „გულში დაწერილი კანონი“. თუ დაგუბრუნდებით იმას, რასაც ჩვენ ვუწოდებოთ ჩვენი დროის მითებს, ისინი, რა თქმა უნდა, თავიანთი სტრუქტურითა და საზრისით ატარებენ სულ სხვა ხასიათს. ესენიც შეადგენენ იდეების, რწმენის, გრძნობების კომპლექსებს, მაგრამ ისინი სახეობრივად არ არიან საინტერესონი და ამიტომაც პოეტურად ცარიელები და უფერულები არიან. თუ გნებავთ, ეს არის გარკვეული „სქემები“ და ისინი არიან ემოციური ფიქრების ფონზე აგებული სქემები – ისინი პირველ რიგში პასუხობენ გრძნობათა მოთხოვნებს და ამიტომაც ავლენენ თავიანთი ნამდვილობის ძალას. ასეთი მითები დღეს უამრავია (ამის მიზეზად შეიძლება დასახელდეს თანა-

მედროვე სოციალური ცხოვრების პირობები), მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა და განსაკუთრებული „მაგიური“ ძალა აქვთ იმ მითოლოგების, რომლებიც წარმოადგენენ რელიგიური მოლოდინის, რელიგიური განცდების გამოვლინებას. საკმარისია აღნიშნოთ (XVII საუკუნის დასასრულიდან) განსაკუთრებული გავრცელება ყოველგვარი უტოპიისა, რომელიც ამა თუ იმ ფორმით მითებად იყენებს სახარებისეულ სწავლებას დვოის სასუფევლის შესახებ. „უტოპიზმის სული“ ნელ-ნელა აღწევს შემოქმედების ყველა სფეროში. ეს, რა თქმა უნდა, უკავშირდება კულტურის სხვა ანალოგიურ პროცესებს, ანუ სახარებისეული სწავლების იმ დამახინჯებებსა და სახეცვლილებებს, რომლითაც სავსეა ჩვენი ეპოქა.

არა მხოლოდ უტოპიური მსჯელობები, არამედ სხვა მითოლოგებიც, რომლებიც რელიგიური მოლოდინიდან და გრძნობებიდანაა ამოზრდილი, დღეისათვის მოწოდებულნი არიან ნამდვილი რელიგიური აზრის ჩასანაცვლებლად. ასეთია მათი ურთიერთსაპირისპირო დაგალება – ისინი, ერთი მხრივ, ცდილობენ გამოხატონ რელიგიური განცდები, მეორე მხრივ კი – არ მისცენ ჩვენს სულს ამქვეყნიურ რეალობაზე ამაღლების საშუალება, რომ მან შეითვისოს მიღმიური რეალობა. „იმანენტური რელიგიურობის“ გარკვეული ჩანაფიქრი (რომელიც დასასრულა ფოიერბახმა მხოლოდ XIX საუკუნეში, და ამის შემდეგ უართოდ გავრცელდა) თავიდან ბუნდოვნად, შემდეგ კი უფრო მეტი განსაზღვრულობით შემოქმნდათ სულიერი ცხოვრების სხვადასხვა ბელადებს – ევროპის სულიერი ცხოვრების ბოლო სამი საუკუნის მთელ ისტორიას შეადგენს ამ „იმანენტური რელიგიურობის“ სხვადასხვა ფორმით შემოტანა და გააზრება. მისტიკოსებს, ფილოსოფოსებს, პოეტებს ყველას შეტანილი აქვს თავისი წვლილი ამ პარადოქსული და თავისი არსით ანტირელიგიური დაგალების შესრულებაში, რომლის არსიც ნამდვილად ის არის, რომ პასუხი გასცეს სულის რელიგიურ მოთხოვნებს, ჩააწყინაროს რელიგიური შფორთი არარელიგიური იდეებისა და არარელიგიური ინტუიციების მეშვეობით, ანუ ამ საშუალებით გონების მთელი მუშაობა უნდა კონცენტრირდეს იმაზე, რაც

„არის ამ მხარეს“, და რასაც ვერ გაჰყავს ადამიანი იმანენტური სამყაროს ჩარჩოებიდან და არ წინამდღვრობს ადამიანს აბსოლუტის უსაზღვრო სივრცეების დასაპყრობად.

თანამედროვე ადამიანის სული, როგორის ფორმირებასაც ცდილობს და აყალიბებს ჩვენი ეპოქა, მთლიანად დაკავებულია მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებით, ჰუმანიზმის (არარელიგიური) კეთილშობილებით, პიროვნების კულტით (ინდივიდუალიზმი და პერსონალიზმი), მაგრამ განსაკუთრებით ძლიერია მისი სწრაფვა პიროვნების კულტისკენ, რომელიც მუდამ მოიაზრებოდა, როგორც დასაბამიერი სულიერი ძალა, როგორც ჩვენი ადამიანურობის მთავარი წყარო. ამ გზებზე, ამ მიმართულებებით ქმნიდა ჩვენი ეპოქა თავის მითებს, აღმოფხვრიდა რა გონებიდან იმ უსასრულოს, რომლისკენაც უნდა ისწრაფოდეს სული.

ჩვენი ეპოქის მთავარ სტილს აყალიბებდა უპირველესად ის, რაც იქმნებოდა ჩვენი მეცნიერების მიერ, რაშიც იპოვნა თავისი თავი ჩვენმა გონებამ – აქედან იწყება სწორედ ადამიანის უმთავრესი „დაცემა“, უმთავრესი დალატი ქრისტეს მიმართ. ეს, რა თქმა უნდა, ერთბაშად არ მომხდარა, ნელ-ნელა მიდიოდა სული აქეთკენ, მაგრამ, როცა შეირყა ცნობიერების ძირითადი ნაწილი, ჟავალაფერი განვითარდა რაღაც საბედისწერო ძალით. უკანასკნელი საუკუნის მეცნიერების თავბრუდამხვევი წარმატებები, მეცნიერული მიღწევების საფუძველზე ტექნიკის უსწრაფესი ტემპით განვითარება – ამ ჟავალაფრის ტკიცებაშია დღვევანდელი ადამიანის სული. ამასთან ერთად მეცნიერული ცოდნის იმპონირება ხდება არა მხოლოდ შესწავლილი მასალის სიმდიდრისა და იდეების სიმრავლის საფუძველზე ფართო განხილვებით – არამედ სიძლიერის იმ გრძნობით, საკუთარ თავში დაჯერებულობით, გონების ნამდვილი სიმწიფის გაცნობიერებით, რომლებიც მეცნიერებიდან ასხივებენ და ცხოვრობენ მთელ ეპოქაში. არც დრო და არც სივრცე არ ზღუდავს უბეჭ ადამიანთა შემოქმედებას, არ მალაგს მისგან ყოფიერების საიდუმლოს, – არამედ თანდათან ჟავალაფერი შემოდის ჩვენი გონების დაქვემდებარებაში. და, რა თქმა უნდა, ჟაველა აღიარებს, რომ მეცნიერების წარმატებები არ არის უბრალო ისტორიული წარმატება ან

შემთხვევითობა – რომ გონება დღითი დღე უმორჩილებს ადამიანს ბუნების სტიქიებს, აშიშვლებს ბუნების დაფარულ ძალებს (რადიოაქტიულობა), აღწევს რეალობის ვიწრო სტრუქტურაში (ატომის დაშლა) – ეს ნამდვილად არის ის, რაც თავბრუს ახვევს ადამიანს. ტელეგრაფის, ტელეფონის, ტელეგადაცემების, ინტერნეტის საშუალებით ადამიანს არ უჭირს უზარმაზარი სივრცის დაძლევა, – ხოლო ჩანაწერებში (ფონოგრამა) საუბრისა და მუსიკის, კინემატოგრაფიით, ტელეგადაცემებით დაძლევლია დრო: ის, რაც იყო ერთი დღის, კვირის, თვის თუ წლის წინათ, ისევ ცოცხლდება ჩვენ წინაშე. განა ბუნების კიდევ ბევრი საიდუმლო დაგვრჩა შეუსწავლელი? რა არის კიდევ მისი კუთვნილება, რასაც ადამიანი ვერ აკონტროლებს? განა არ უნდა გვქონდეს იმედი, რომ სულ მალე განიკურნება ყველაზე საშიში დაავადებები, შესუსტება დადველების მნიშვნელობა? შესაძლოა, რომ უპავ ძალიან ახლოა ის დრო, როცა შესაძლებელი გახდება პლანეტებს შორის მიმოწერა?

სწორედ ცოდნის ასეთი დღესასწაული, თანამედროვე ადამიანის ასეთი თავდაჯერებულობა და მისი ძალაუფლების შეგრძნება ბუნების ბრძა მოვლენებზე – ყველაფერი ეს მიაჯაჭვავს ადამიანის ცნობიერებას ხილულ და გრძნობისმიერ სამყაროსთან. მეცნიერების განვითარების უსაზღვრობა, შესანიშნავი ტექნიკური პროგრესი, აქედან გამომდინარე, უკვე უსარგებლოს ხდის მიღმიერი რეალობისკენ ყველა სწრაფვას და თითქოს აუქმებს კიდევ მას. ის, რაც დღეს დაუძლეველია, ის, რაც გადის ბუნების წესრიგის საზღვრებიდან, ხვალ ხომ არ იქნება უკვე მისაწვდომი მეცნიერებისათვის? ყველაფერი ტრანსცენზული ხომ არ ხდება ნელ-ნელა იმანენტური, და „აბსოლუტური საწყისის“ იდეაც ხომ არ იქცევა ნელ-ნელა ჩვენი გონების უბრალო კატეგორიად, ანუ ხომ არ არის ის ჩვენი გონების ნაყოფი, და არა რაღაც ობიექტური, ჩვენზე აღმატებული?

ჩვენი „სეულარული“ ეპოქისთვის ეს ყველაფერი ძალიან სახასიათოა – ის ცხოვრობს სამყაროთი, როგორიც მოგვეცა ჩვენ და ამ სამყაროთი ტპბობისას ის ყველაზე მეტად დაკავებულია იმით, რომ მასში უფრო მოხერხებულად და კომფორტუ-

ლად ვიცხოვროთ; მეცნიერების და ტექნიკის განვითარება არა მხოლოდ მხარს უბამს მას, არამედ თავისებურად ასაბუთებს და ამტკიცებს ჩვენი ეპოქის ამ კუთხით განვითარებას. უბედურება მხოლოდ ის არის, რომ თუკი გონება მიწიერს მიგვაჯაჭვავს, გული ისევ ძველებურად გაიწევს ზეცისკენ; თუ მეცნიერების განვითარება გვარწმუნებს საკუთარ თავში, გვინერგავს პრმა ბუნებაზე მეუფების შეგრძნებას, გული კვლავ იცხოვრებს მარა-დიულობის წინაშე თრთოლვით, გული ისწავის უკვდავებისკენ, მას სჭირდება მარადიული ცხოვრება. გულს სჭირდება ღმერთი, ისევე როგორც სიყვარული და სიმართლე, სჭირდება ღვთის სასუფეველი – და ყველაფერი, რისი მოცემაც მეცნიერებასა და ტექნიკას შეუძლია, არ გვაახლოებს არც ღმერთოან და არც სასუფეველთან. მეცნიერებისა და ტექნიკის გზები ერთი მხრივ ეკლესიის გზებიცაა, მეორე მხრივ კი – ისინი სცილდებიან ერთმანეთს – და, რაც უფრო შორს მიდიან, მით უფრო შორდებიან ერთმანეთს.

დიახ, ამით ცხოვრობს ჩვენი ეპოქა და მისი უბედურებაც ის არის, რომ მასში ერთმანეთისგან დაშორებულია ცოდნა და რწმენა, მეცნიერული კვლევა და ღვთის ძიება. მათოვის, ვინც აცნობიერებს ამ მდგომარეობის ტრაგიზმს, ეს წარმოუდგებათ ნამდვილ რეალობად, რომელმაც ბოლოს და ბოლოს გაიშიშვლა საკუთარი თავი და წარსდგა მთელი ტრაგიზმით. „ჩვენი უბედურება ის არის“, რასაც ამბობს ჩვენი დროის ერთი ყველაზე დიდი უდმერთო, - „რომ ღმერთი ნამდვილად არ არსებობს“. ასეთია ადამიანთა უმრავლესობის აზრი.

როგორ უნდა მომხდარიყო გონების ასეთი დაბნელება? რატომ და როგორ შეწყვიტა გონებამ იმ ნათლით არსებობა, რომელიც მთელი სისრულით გარდამოვიდა მიწაზე ქრისტეს მოსვლით? რომ ჩავწვდეთ თანამედროვე სულის ტრაგედიის საწყისებს, ამაში უფრო კარგად უნდა გაგერჩევთ.

## IV

უკვე ადრეული ქრისტიანობა ნათლად აცნობიერებდა, რომ ქრისტეს მოსკლით სამყაროში გადმოსული ნათელი შეგვაძლებინებს, ადგასრულოთ მოწოდება: „...გარდაიქმენით ოქვენ გონების საშუალებით“ (რომ. 12,2). ქრისტეს სიმართლის ეს შინაგანი მოქმედება მიმართულია „...რათა იყვნენ ისინიც განწმენდილი ჰეშმარიტებით“, რომლის შესახებაც მაცხოვარი გვამცნობდა თავის საუბარში (იოან. 17,19). ჰეშმარიტების ძიება და მსახურება არის ნამდვილი ქრისტიანული გზა. სხვაგვარად რომ ვთქვაო, იმ გზის ნათელი, რომელიც ქრისტემ გაუხსნა სამყაროს ხსნის-თვის, მუდამ უნდა გვინათებდეს, როგორც სრული და ერთადერთი ჰეშმარიტება. ჩვენი შინაგანი არსების განათლებისა და ფერისცვალების შედეგად ვმაღლდებით ჩვენსავე „ბუნებით“ გონებაზე, რომელსაც მოციქული უწოდებს „ხორციელს“ (კოლას. 2,18), პირველად ვმაღლდებით „გონებაგახრწნილ კაცებზე“ (ტიმ. I. 6-5).

ადრეული ქრისტიანების ამ შეგონებით განისაზღვრება მათი დამოკიდებულება მთელ კულტურასთან, შემოქმედების ყველა სფეროსთან, - უპირველესად ეს გამოიხატა ანტიკურ კულტურასთან მიმართებაში, რომელიც ადრექრისტიანულ პერიოდში ჯერ კიდევ ცოცხალი და მოქმედი იყო. გალესიის დიდი მამები – წმინდა ბასილი დიდი, გრიგოლ დვორისმეტყველი და გრიგოლ ნოსელი – რომელთა სწავლებებიც ასე მნიშვნელოვანია დოგ-მატების ფორმულირების სიზუსტისათვის, ფართოდ იყენებდნენ ანტიკური კულტურის მემკვიდრეობას. თავიანთი წერილებით მათ გზა გაუხსნეს სწავლებათა ქრისტიანულ რეცეპციებს, რომლებიც განვითარებული იყო ქრისტიანობის მიღმა სივრცეში. და ეს იყო არა უბრალოდ მნიშვნელოვანი, არამედ გადამწყვეტიც კი აზრებისა და სწავლებების ქრისტიანული ფორმულირებებისთვის. გალესიის დიდი მამები თავისუფლად და თამამად იღებდნენ ანტიკური კულტურიდან იმას, რაშიც ისინი ხედავდნენ ჰეშმარიტებას. და ეს არ იყო „ცენზურა“, არც გარეგნული

მორგება ანტიკური კულტურისა ქრისტიანობისადმი, არამედ ეს იყო მათი განათლება, გასხვოსნება. ანტიკური იდეების ქრისტიანული რეცეპციის ყველაზე კარგ მაგალითად შეიძლება დასახელდეს წმინდა მამების პლატონიზმი, კერძოდ ის, თუ როგორ გამოიყენეს მათ იგი ყოვლადწმინდა სამების დოგმატის დამტკიცებისთვის. წმინდა სამების საიდუმლო ჭეშმარიტება, განმარტებული იდეათა დიალექტიკით (პლატონის მიხედვით), თავად იქცა სინათლის წყაროდ და ფარდა ახადა იმის ობიექტურ და ნამდვილ არსეს, რასაც ანტიკური ცნობიერება აღიქვამდა რაღაც ადამიანურ მოსაზრებად.

ქრისტეს ნათლის მეშვეობით „ბუნებითი გონების“ კვლევების გადამუშავების ეს გზა არის ვიწრო და ძნელი გზა, და პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს გზა (დასავლეთში) მალე ჩანაცვლდა სხვა გზით - „ბუნებითი ცოდნისა“ და რწმენის სფეროების ერთმანეთისგან გამიჯვნით. „ქრისტიანული რეცეპციის“ ნაცვლად, რომელიც მოგვცა მეცნიერებამ და ფილოსოფიამ, ფაქტობრივად გამოვიდა „გონების განახლებაზე“ უარის თქმა, რომლისეკნაც მოგვიწოდებდა მოციქული პავლე; ამ გადაწყვეტილების შედეგად, რომელიც ქრისტიანული თვალსაზრისით მომაკვდინებელია მეცნიერების განვითარებისთვის, შედეგად მივიღეთ ცოდნასა და რწმენას შორის მერყევი მოჩვენებითი „სამყარო“. მორწმუნე ცნობიერება „ბუნებრივი გონის“ წინაშე ამ დროს უკან იხევს, - კი არ ამარცებს, კი არ გადალახავს მის შეზღუდულობას, არამედ მორჩილად იხრის ქედს მის წინაშე. სწორედ ამგვარად განვითარდა ამ ნიადაგზე ბუნებრითი გონების „ავტონომიის“ იდეა, საიდანაც შემდეგში ამოიზარდა ნეიტრალური კულტურის მთელი სისტემა, მთელი თავისი მომაკვდინებელი შედეგებით.

რომ კარგად გავერკვეთ ამაში, უნდა ჩავუდრმავდეთ იმ ისტორიას, თუ როგორ მოხდა მორწმუნე გონის ეს საბედისწერო ქედის მოხრა „ბუნებითი“ გონების წინაშე, სხვაგვარად ვერ გავხსნით ამ კარგად გაბმულ ობობას ქსელს.

ეს ყველაფერი მოხდა დასავლეთში. ანტიკური კულტურის ქრისტიანული რეცეპციის გზები დაიბინდა უკვე ნეტარ ავგუს-

ტინქსთან მისი ორი „ქალაქის“ რადიკალური გამიჯვნით<sup>1</sup>, შემდეგ კი ისინი დავიწყებას მიეცა. როგორც კი ანტიკური კულტურის მიერ ჩაგდებული თესლი მოხვდა ჯერ არაბულ, შემდეგ კი შეა საუკუნეების ებრაული ფილოსოფიის ნიადაგზე, მათი ამ მდიდარი და ნაყოფიერი მოსავლით, ანტიკური იდეების არაქრისტიანულმა სახეცვლილებამ შეაღწია ქრისტიანულ დასავლეთში და დიდი გავლენა იქონია მასზე. XII–XIII საუკუნეებში დასავლეთი უკვე ცხოვრობს ინტენსიური სამეცნიერო ინტერესებით, ის იწვის მეცნიერების შეთვისების სურვილით; თუმცა, სამწუხაროდ, ანტიკური მემკვიდრეობიდან ყველაზე მეტად დირქბული ქრისტიანული დასავლეთისთვის მხოლოდ არისტოტელეს მეცნიერულ-ფილოსოფიური მსჯელობები აღმოჩნდა. ქრისტიანული აღმოსავლეთიც ძალიან აფასებდა არისტოტელეს, მაგრამ გონიერი ცოდნისა და უმაღლესი სამყაროს გასხივოსნების საკითხში აღმოსავლეთი უპირატესობას პლატონს ანიჭებდა. ამიტომ აქ არისტოტელეს გავლენას ცვლიდა პლატონის გავლენა – და მხოლოდ ერთი საყვედური გვეთქმის აღმოსავლეთან – მეცნიერულ-ფილოსოფიური შემოქმედების სუსტი განვითარების გამო. მთელი შემოქმედებითი ენერგია დაიხსარჯა სადგომისმეტყველო ძიებებისთვის (არ უნდა დავიწყოთ, რომ მთელი ურთულესი სამუშაო დოგმატების დადგენის საქმეში თავის თავზე აიღო აღმოსავლეთმა), და კოსმოსისა და ადამიანის შესასწავლად და სხვა საკითხებისთვის მას თითქოს აღარ ეყო არც ინტერესი და არც ძალა. თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია ერთი გარემოების გათვალისწინება, რომელმაც მეტი თავისუფლება მისცა მეცნიერულ კალევებს – ის, რომ აღმოსავლეთში არასოდეს ყოფილა და დღესაც არ არის ტენდენცია რათა შემუშავდეს მორწმუნებისთვის აუცილებელი კოსმოსისა და ადამიანის განმარტებები; აღმოსავლეთში არასოდეს ჩამქრალა თავისუფლების სული.

<sup>1</sup> ნეტარი ავგუსტინე წარმართო კეთილ საქმეებს „თვალისმომჭრელ საცდურად“ აღიქვამდა. ეს უცხო იყო აღრეული ქრისტიანობისთვის, რომელიც ადიარებდა, რომ „ყველა ხალხში მისი მოშიში და სიმართლის მოქმედი სათხოა მისთვის“ (მოც. საქ. 10,35)

დასავლეთში ყველაფერი სხვაგვარად განვითარდა. დასავლეთი დიდხანს ანიჭებდა საქმაო თავისუფლებას სამეცნიერო და ფილოსოფიურ მეცნიერებებს, თუმცა XII საუკუნიდან, როცა დასავლეთში შეაღწია არისტოტელეს შრომებმა (ლათინურმა თარგმანმა) და გაიზარდა არისტოტელეს გავლენა ისე, რომ მისი ქრისტიანული რეცეპციის ამოცანა გარდაუვლად დადგა დღის წესრიგში, მაშინ, როცა დასავლეთი ვერ გაუმკლავდა ამ ამოცანას. სწორედ ამ დროიდან იწყება ქრისტიანული კოსმოლოგიის საფუძვლებიდან საბედისწერო გადახვევა – ვითარდება და მწიფდება მეცნიერების ის სტილი, სამეცნიერო კვლევების მიმართ ის მიდგომა, რომელმაც მოვციანებით მიგვიყვანა მეცნიერების „ავტონომიასთან“, ანუ მთლიანად გაწყვიტა კავშირი ქრისტიანულ საწყისებთან.

რომ ჩავწერეთ ამ პროცესის არსეს, რომელიც ისტორიულად ჩახლართული და როულია, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ არისტოტელეს თავდაპირველი ათვისება (განსაკუთრებით არაბი ფილოსოფოსების მიერ) დაიწყო მისი სწავლებით სამყაროს დაუსაბამობის შესახებ, რის გამოც ქმნილების გაგება მთლიანად დაიკარგა<sup>2</sup>. როცა არისტოტელეს ეს უკიდურესად გადაჭარბებული სწავლება გასცდა ყოველგვარ საზღვრებს (მოიცვა ყველაფერი), მაშინ საეკლესიო ხელისუფლებამ, რომელმაც არ იცოდა რა მოემოქმედა, უბრალოდ აკრძალა მისი კოსმოლოგიის სწავლება. დასავლეთის კლეისიაში ქრისტიანული რეცეპციის საკითხი, ანუ არისტოტელეს სწავლების ქრისტიანულად გადამუშავების საკითხი ამ დროისთვის მაინც დადგა, და ალბერტ დიდმა დიდი შრომა გაწია ამ მიმართულებით. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ამ კუთხით იყო თომა აქვინელის შრომა, რომელიც გამოირჩეოდა სისტემატიზაციის იშვიათი ნიჭით. ნამდვილი დვთისმეტყველების გვერდის ავლით, რომელსაც მანამდე ავთარებდა თომა აქვინელი (რომლისთვისაც არისტოტელეს მოძღვრების მხოლოდ რამდენიმე პუნქტი იყო მნიშვნელოვანი), მან დააყენა მხოლოდ კოსმოლოგიისა და ანთროპოლოგიის

<sup>2</sup> შეგახსენებთ, რომ პლატონს აქვს სწავლება სამყაროს შექმნის შესახებ (დემიტრის მიერ), რომელიც განიხილა დიალოგში „ტიმეი“.

საკითხები; აქ ჩვენ აუცილებლად უნდა ვაღიაროთ, რომ ის არა უბრალოდ ვერ ჩაწედა არისტოტელეს ქრისტიანული რეცეპციის საკითხს (რისი მიღწევაც შეუძლებელიც არის ამ ნაწილში), არამედ მოექცა მისი აზრების ტყვეობაში, რითაც დიდად დააზარალა დასავლეთის საეკლესიო სწავლება. თუკი ინდივიდუალური უკვდავების საკითხის განხილვისას (რაშიც არისტოტელეს სწავლება, როგორც ვიცით, ორაზროვანია და თომა აქვინელის განმარტებამდე მას იგებდნენ, როგორც ინდივიდუალური უკვდავების უარყოფას) თომა აქვინელი იყო შეუდარებელი, ქრისტიანული მეტაფიზიკის გადამწყვეტ საკითხში, სამყაროს შექმნის ანუ მისი დაუსაბამობის საკითხში თომა აქვინელმა ვერ შეძლო ქრისტიანული პოზიციის გამოვლენა. მართალია, ის რწმენის თვალსაზრისით მერყეობის გარეშე იდებს სამყაროს შექმნის იდეას, თუმცა ყოფიერების რაციონალური ანალიზის თვალსაზრისით ის უეცრად აღიარებს, რომ ფილოსოფიურად შეუძლებელია სამყაროს დაუსაბამობის სწავლების უარყოფა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თომა აქვინელმა ვერ შეძლო ფილოსოფიურად გამოეყენებინა და გაეაზრებინა იდეა სამყაროს შექმნისა, რომელიც ქრისტიანულ მეტაფიზიკაში არის ფუძემდებლური, – და გადაუხვია „ბუნებითი გონებისგან“, რომლის მწვერვალსაც ის სწორედ არისტოტელეში ხედავდა. ეს არც საღვთისმეტყველო და არც ფილოსოფიური კუთხით არ იყო გამართდებული, ეს იყო „ბუნებითი“ გონების წინაშე მორწმუნე გონის კაპიტულაცია (როგორც ის წარმოედგინა თომა აქვინელს), - რაც იყო ჩანასახი რწმენისა და ცოდნის სფეროების იმ პრინციპულაციას, რომელიც საფუძვლად დაედო მთელ „ნეიტრალურ“ კულტურას, რომელიც მიემართებოდა „ბუნებრივი“ ხაზით, და არა ქრისტეს ნათლით შემოსილი ცნობიერებით. აქვინელის მტკიცება, რომ ფილოსოფიურად შეუძლებელია სამყაროს დაუსაბამობის სწავლების უარყოფა, რომლის პარალელურადაც ის რწმენით აღიარებდა ქმნად სამყაროს, ხომ არ ნიშნავს, რომ მისთვის ბუნებითი გონება თავის თავშია ჩაკეტილი და მასში არ აღწევს ის ნათელი, რომელიც სულში რწმენის საშუალებით გროვდება. ეს არ იყო თომა აქვინელის პირადი უძლურების

გამოხატულება, ის გადაიქცა ბუნებითი გონების თავის თავში დასრულებულობის პრინციპულ აღიარებად, რწმენისგან დამოუკიდებელი პრინციპის განმტკიცებად. თომა აქვინელმა არა მხოლოდ დიდი ხნით არია საღვთისმეტყველო კვლევები (რათა დავრწმუნდეთ ამაში, აუცილებელია გავეცნოთ იმას, თუ რა ბედი ეწია ქმნილების იდეას ნეოატომიზმში, განსაკუთრებით სახასიათოა აქ წიგნი შერილლანგეს, ერთ-ერთი ცნობილი ნეოატომისტისა – რომლის სათაურია „*L idée de la creation et ses retentissements philosophiques*“), არამედ ისტორიულად მისგან უნდა განვარიდოთ უახლესი რაციონალიზმის ის მიმართულება, რომლის პირველი წარმომადგენელიც იყო დეკარტი.

აი, რატომ არის სხვადასხვაგვარი აღმოსავლეთისა და დასაცლეთის ანტიკური ფილოსოფიისა და მეცნიერების ქრისტიანული რეცეპციები. რა თქმა უნდა, დასაცლეთში იყო ბევრი სხვა რამ – საკმარისია გავიხსენოთ თომა აქვინელის თანამედროვე – ბონავენტურა, რომელიც ნეტარი ავგუსტინეს გავლენით იხრებოდა პლატონიზმისკენ, თუმცა ბონავენტურას არ მოუხდენია გავლენა დასაცლეთის ეკლესიის აზრის ძირითად მიმდინარეობებზე, ის მოახდინა თომა აქვინელმა. მისი წყალობით შეითვისა დასაცლეთმა ფილოსოფიისა და სამეცნიერო კვლევების ისეთი მოტივები, რომელიც აბსოლუტურად უცხო იყო ქრისტიანობისათვის – შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანობამ ამ საკითხში ზურგი აქცია „ბუნებით გონებას“. ამიტომაც არ არის გასაკვირი ის, რომ ფილოსოფია და მეცნიერება დასაცლეთში განვითარდა ისეთი გზით, რომელსაც ცოტა რამ ჰქონდა საერთო ქრისტიანობასთან; ცალმხრივი უგუნური რაციონალიზმი, რომელიც პრინციპულად უარყოფს გამოცხადებას, მალე გადავიდა სასწაულების უარყოფაშიც კი. უბეჭ XVII საუკუნეში ნიუტონი, რომელმაც მოგვცა მექანიკის სისტემა, იცავს დეიზმს, რომელიც უარყოფს სამყაროს ცხოვრებაში ღმერთის ყოველგვარ მონაწილეობას – და თანდაოთან ფილოსოფიასა და მეცნიერებაში უფრო მკვეთრად ისმოდა სამყაროს ცხოვრებაში ღმერთის ჩაურევლობის, სასწაულის მიუღებლობის იდეა, რითაც არსობრივად უარყოფილი იყო სამყაროს რელიგიური გაგება. სასწაულის უარ-

ყოფა თანდათანობით იქცა მეცნიერულ აქსიომად – და დღემდე ძალიან ხშირად რომელიმე თეორიის წინააღმდეგ მეცნიერულ არგუმენტად იყენებენ მას, რომ „წინააღმდეგ შემთხვევაში მოუწევდათ სასწაულის აღიარება<sup>3</sup>. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეცნიერული ემპირიზმი პრინციპულად არ უარყოფს სასწაულს, მისთვის ეს არის ფაქტის და არა პრინციპის საკითხი, – თუმცა რაციონალიზმის ელემენტები (განსაკუთხებით დეკარტის შემდგებ), მით უფრო დოგმატური რაციონალიზმისა (ანუ არა კრიტიკული რაციონალიზმის), დღემდე უზარმაზარი გავლენით სარგებლობს მეცნიერებაში.

## V

ახლა ჩვენთვის გასაგებია, თუ რატომ აიღო დასავლეთში მეცნიერების განვითარებამ რელიგიური იდეების უარყოფის გეზი. გასაგებია ისიც, რომ სულის რელიგიური მოთხოვნილებების საპასუხოდ, რომლის ბოლომდე ჩახშობაც შეუძლებელია, მეცნიერულ-ფილოსოფიური აზრი თავის არგუმენტში ცდოლობდა უპუებდო ქრისტიანული სწავლება სამყაროსა და ადამიანის შესახებ. მაგრამ რა გამოვიდა საბოლოოდ? უახლესი ცნობიერების დამახასიათებელი მოვლენა, რომელიც დღემდე ძლიერია, არის ე.წ. სციენტიზმი (ლათ. სიტყვიდან scientia – ცოდნა), რომელიც არ ნიშნავს მეცნიერების მიერ მიღებული გამოცდილების უბრალოდ გაგებას და აღიარებას, არამედ არის ბრმა რწმენა მთელი თავისი სექტანტური თავისებურებებით – ფიცხი, მგზნებარე და შეუწყნარებელი ანუ ფანატიკური რწმენა, რომელიც არავის აძლევს წინააღმდეგობის, მით უფრო, ეჭვის შეტანის საშუალებას. ცხადია, რწმენის საგანი, არის არა თავისთავად ფაქტი (ის მას არც კი საჭიროებს), რწმენის საგანი არის ის ფართო განზოგადებები, რომლებიც აგებულია ფაქტებზე, ის მიზნიდველი პერსპექტივები, რომლებიც თითქოს მეცნიერების

<sup>3</sup> ამგვარი არგუმენტაციის უამრავი მაგალითიდან მე დავასახელებ ვუნდტის ბრძოლას ფსიქოლოგიური პარალელიზმის თეორიისთვის (სულისა და ხორცის ურთიერთქმედების თეორიის საპირისპიროდ).

მიერაა აღმოჩენილი. თუმცა ზუსტი და ნამდვილი მეცნიერება უოველთვის მოკრძალებულია და არასოდეს აცხადებს პრეტენზიას იმაზე, რომ მისთვის მისაწვდომია ყოფის ყველა საიდუმლო; ამაზე პრეტენზიას აცხადებენ ისეთი მიმართულებები, როგორიცაა მატერიალიზმი, პოზიტივიზმი, ევოლუციონიზმი და ა.შ. საჭიროა ძალიან კარგად გავაცნობიეროთ განსხვავება მეცნიერებებსა და იმ მიმდინარეობებს შორის, რომელიც წარმოიშვა არა მეცნიერებებისგან, ეს მეცნიერების ბრალი არ არის, – მათი წარმოშობის მიზეზია არამეცნიერული მოტივები, კერძოდ, რელიგიური მოთხოვნები, ვინაიდან სადაც წამოყენებულია რაიმე აბსოლუტური პრინციპები, იქ უკვე საჭმე გვაქვს რელიგიასთან. ამ თვალსაზრისით თანმიმდევრული მატერიალიზმიც კი არის რაღაც სახით „სარწმუნოებრივი მოძღვრება“, ვინაიდან მატერია იქ გაშუქებულია, როგორც რაღაც აბსოლუტური. ლოპატინი არ ტყუდა, როცა გვეუბნებოდა, რომ მატერიალიზმი თავის სწავლებებს ასაბუთებს არა მატერიის სწავლებით, - ის მთლიანად ეფუძნება რწმენას, რომელიც არის მატერიის ნაწილი, ანუ ის ეფუძნება იმ აბსოლუტური მნიშვნელობის შეთვისებას, რომელის მფლობელი ის არასდროს ყოფილა. ეს არის ტიპური აბსოლუტირება იმ მიმდინარე, ფარდობითი ყოფიერებისა, რომელიც არავითარ კავშირში არაა არანაირ ფაქტობა და ბუნების წესრიგთან. ფარდობითი ყოფიერების მსგავსი ტიპის აბსოლუტურობის აზრი უფრო გასაგები იქნება, თუკი ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ ის იყავებს სამყაროს რელიგიური აღქმის საკითხის ადგილს.

მეცნიერება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია არ იყოს თავისუფალი და მას უფლება აქვს წამოაყენოს ნებისმიერი პიპოთეზა თუ დასაბუთება, რომელიც მისთვის საჭირო იქნება. მატერიალიზმის ცნობილი ისტორიკოსის ლანგეს მცდარი გამონათქვამის მიხედვით რომ ვთქვათ, მას უფლება აქვს მიმართოს „ცნებების პოეზიას“, გონების თავისებურ თამაშს. თუმცა არაფერი ისე არ აშიშვლებს მის ნამდვილ არსეს და მტკიცებულებების ჭეშმარიტ ამოცანას, როგორც ის, რომ ისინი ძალიან ადგილად ხვდებიან სამყაროსა და ადამიანის რელიგიური განმარტების წინააღ-

მდეგ მიმართულ იარაღად. მათი ისე სწამთ, როგორც უნდა სწამდეთ ნამდვილი გამოცხადების; ეთავგანებიან, როგორც აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, ანუ ანიჭებენ მას ისეთ მნიშვნელობას, როგორიც მხოლოდ რელიგიურ რწმენებს შეიძლება პქონდეს. პიპოთეზების ეს ახალი ფუნქცია და „მეცნიერულ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობა“ მათგან ქმნის რაღაც მითოლოგებას, რომელიც არსობრივად მოწოდებულია სამყაროს რელიგიური არსის ჩასანაცვლებლად. ეს რელიგიური თაყვანისცემა მეცნიერულობისა, „მეცნიერულ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობისა“, არის მეცნიერულობის ნამდვილი „ცრურწმენა“, ჩვენი სულიერი გადატაკების paupertatis testimonium, - და პასკალი, რომელმაც რელიგიური კრიზისის გადატანის შემდეგ ნათლად გააცნობიერა ყოფიერებასთან რელიგიური და მეცნიერული მიდგომების სხვადასხვაგარობა, ადმონიდა მარტო როგორც მეცნიერების, ასევე ფილოსოფიის ისტორიაში. უკანასკნელი წლების განმავლობაში მეცნიერული და ფილოსოფიური ცხოვრება მიზანმიმართულად თუ გაუცნობიერულად, აშკარად თუ შეფარვით მიმართულია იქით, რომ შეიცვალოს ყოფიერების რელიგიური გაგება სხვა, თითქოს უფრო „ზუსტ მონაცემებზე“ დაფუძნებული გაგებით, რომელიც სინამდვილეში არის თავისუფალი მტკიცებულება, რომელიც მიზნად ისახავს რელიგიური იდეებისგან ადამიანების „ცნობიერების გაწმენდას“.

აქ, რა თქმა უნდა, მოქმედებს ჩვენი გონების ბუნებრივი თვისება – მსჯელობებში მონიშმისკენ სწრაფვა. ეს თვისება თავისთავად კანონიერია და ის არის გონების შემოქმედებითი ძალების წყარო, თუმცა როცა მისი ერთობა ცალმხრივი და არასრულია, მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია მისი დაკინება, ის აუცილებლად მოვა წინააღმდეგობაში გამოცხადების მარადიულ ჭეშმარიტებებთან, ქრისტიანულ პრინციპებთან. და თუკი ადამიანები წინასწარვე განეწყობიან იმის უსიტყვო აღიარების-თვის, რასაც გვაწვდის მეცნიერებისა და „მეცნიერულ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობის“ მოღვაწეები, მაშინ მიზეზი ამ predilection უნდა ვეძებოთ კაცობრიობის ზოგად რწმენაში, გონების ავტონომიის პრინციპში, რომელიც აკნინებს სამყაროს რელი-

გიურ აღქმას. უკვე დიდი ხანია არსებობს აზრი, რომ ჩვენი გონება არ ემორჩილება არაფერს, რომ ის ემორჩილება მხოლოდ საკუთარ თავს და უფრო მეტიც, მას ემორჩილება ყველაფერი (რაც არის „გონების ავტონომიურობის პრინციპი“). ამ აზრის ავტორებს არ ახსოვთ, რომ ყოფიერების რაციონალურობის სფერო (რაციონალური ანუ ჩვენი გონების პრინციპების შესაბამისი) არ წარმოადგენს მთელ ყოფიერებას. ჯერ კიდევ გოეთე ამბობდა, რომ – „ბუნება არ იყოფა გონებაზე ნაშთის გარეშე“, ანუ ბუნებაშიც არის რადაც ირაციონალური, ეს აზრი განსაკუთრებით გამართლებულია ადამიანთან, მის აქტიურობასთან, მის ისტორიულ გზასთან მიმართებაში.

მითოლოგიური ბურუსი, რომელიც მოსავს მსჯელობებს „მეცნიერულ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობით“, თანამედროვე ახლომხედველი ადამიანებისგან მთლიანად ფარავს მიღმიერისა და მიუწვდომელის უსასრულობის სფეროს; მეცნიერების ირგვლივ უკვე დიდი ხანია ყალიბდება მისთვის შეუფერგებელი რელიგიური მსჯელობები, ყალიბდება ფიცხი და მგზნებარე „ახალი რწმენა“. მეცნიერული მსჯელობების ასეთი აბსოლუტირება, რომლებიც ხშირ შემთხვევაში მაღე კვდება და ძალიან მაღე უჩნდება-ხოლმე შემცვლელი, ამახინჯებს თვით ცოდნის ბუნებას, და მას უკვე აღარ შესწევს ძალა აბსოლუტური ყოფიერების შესათვისებლად, არ შესწევს ძალა, გასცდეს ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთი წარმომადგენლის წარმატებული გამოოქმის თანახმად, „ფენომენალურ ველს“.

ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ მითოლოგიური ბურუსი, რომელიც მოსავს მეცნიერულ და ფილოსოფიურ მსჯელობებს, არის სულის რელიგიური ძალების ნამდვილი პროდუქტი, რომელიც ისტრაფის შეუერთდეს აბსოლუტურ საწყისს, თუმცა ვერ აღწევს ამას იმის გამო, რომ ცდილობს რელიგიური მსოფლმხედველობის დაკნინებას. ასეთია ჩვენი დროის ძირითადი მოვლენა, რომელიც უკავშირდება ჩვენი გონების აბსოლუტირებას, მისი ბუნებრივი სიძლიერის უსაზღვრო რწმენას. ეს არის ის ამოსავალი შეცდომა, რომელმაც მიგვიყვანა გონებისა და რწმენის უკანონო და არასწორ დაპირისპირებამდე.

რა შეიძლება ითქვას იმის საპასუხოდ, რომ ჩვენი „ბუნებითი“ გონება აცხადებს პრეტენზიას „ავტონომიურობაზე“, „თვითდაჯერებულობასა“ და იმაზე, რომ ის არ საჭიროებს იმ ნათელს, რომელიც მომდინარეობს რწმენისგან? უპირველესად, უნდა აღვნიშნოთ ჩვენი გონების დასაზღვრულობა – და ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი გონებისა და რწმენის ურთიერთობების გასარკვევად. ჩვენი გონების დასაზღვრულობა მრავალგვარია და დაგჭირდება ამ ყველაფრის მოკლე მიმოხილვა, რათა გავხსნათ აქ წარმოქმნილი კვანძი.

ჩვენი გონებრივი შეზღუდულობის მიზეზია, ის „ფაქტები“, რომლებიც შეუძლებელია ან უარყოთ, ან შევარბილოთ. აქვე უნდა აღვნიშნოთ თვითონ „ფაქტის“ გაგებაში ჩადებული გარკვეული ბუნდოვანება, რომელიც ერთი შეხედვით გასაგები გვხვდენება. ჯერ კიდევ გორემე შენიშნა, რომ ის, რასაც ვაღიარებთ „ფაქტად“ „სანახევროდ არის თეორია“, – ანუ ფაქტების შინაარსში ბევრი რამ არის ჩვენ მიერ დამატებული. აქედან ამოიზარდა „ნამდვილი ფაქტების“ ის კვლევა, რომელიც დაწყებული აეგნარიუსიდან (მისი „სუფთა გამოცდილების კრიტიკა“), დასრულებული ფენომენოლოგიური სკოლით, დაკავებულია „ფაქტებში“ იმის გამიჯვნით, რაც ნამდვილად „გვეძლევა“ და რაც ჩვენ მიერ არის დამატებული მასში.

თუმცა გონების დასაზღვრულობა – არა მხოლოდ იმაშია, რაც მოგვეცა, არამედ ის არის თვითონ გონების სტრუქტურა-შიც, და აქ უპრიანი იქნება გაგებესენებინა კანგის მიერ გონების ანტინომიის აღმოჩენა. უკვე არაერთხელ აღინიშნა იმის შესახებ, რომ ჩვენს გონებაში გაცილებით მეტია ანტინომია, ვიდრე ეს კანგმა აღიარა; არიან მოაზროვნები, რომლებიც ცდილობენ ჩვენი გონების თვისებას მიაწერონ ანტინომიურობა (ფლორენსკი, ნაწილობრივ ბულგაკოვი), თუმცა ჩვენს გონებაში ანტინომიის არსებობა, იმისდა მიუხედავად რა დოზითაა, უკვე მოწმობს ჩვენი გონების დასაზღვრულობას. აქ შეუძლებელია არ გავისხმოთ ინტელექტის კრიტიკის შესახებ, რომელსაც ავითარებდნენ ლოსკი, ბერგსონი, შესტოვი. თუმცა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რაც ნათლად დაგვანახა ფრანკმა (წიგნში

„ცოდნის საგანი“), კერძოდ ის, რომ გონებრივი მსჯელობები, მიუჟედავად იმისა, რომ ისინი მიეკუთვნებიან რეალობის რაღაც სფეროს, არ მიეკუთვნებიან რეალობის მთელ სისრულესა და ერთობას. გონებრივი მსჯელობები ჩვენ წინაშე ნამდვილად გადაგვიშლიან ყოფიერების მხოლოდ იდეალურ სფეროს, მის იდეალურ ჩონჩხს: ყოფის იდეალური ნაწილი არ არის ჩვენი გონების წარმოსახვა, არამედ ის არის ჩვენი გონების თანაზიარება იდეის სფეროსთან, რომელიც არსებობს კონკრეტულ ყოფიერებაში. და როგორც „ემპირიული“ რეალობა არ წარმოადგენს სრულ რეალობას და არის მხოლოდ „ფენომენალური ველი“, ასევე იდეალური სფეროც არ წარმოადგენს სრულ რეალობას. რეალობა სრულად და არსობრივად დგას ფაქტებზე და იდეის სფეროზე მაღლა. ნამდვილი რეალობა, ფრანკის წარმატებული გამოთქმის თანახმად, არის „მეტალოგიური ერთობა“, ანუ ერთობა, რომელიც არ შეგვიძლია მოვიცვათ ლოგიკურად გონების ძალით; ეს არის ყოფის მიუწვდომელი ნაწილი. ეს მიუწვდომელი, რომელიც დავს ყოფიერების სიღრმეში, რა თქმა უნდა, მოქმედებს ემპირიული სინამდვილის ფაქტებზე; მისი გახსნა ნაწილობრივ ჩვენს იდეებშიც ხდება, თუმცა მთელი სისრულით მისი აღქმა ზელოგიკურია და მისი მიგნება მხოლოდ ინტუიციურადაა შესაძლებელი.

ჩვენი გონების საზღვრები უკავშირდება იმასაც, რომ გონების ძალა არის მთლიანად ჩვენი სულის ფუნქცია და როცა ის შორდება სულიერ ცხოვრებას, აუცილებლად იწვევს გონების დასუსტებას. რა თქმა უნდა, გონების მუშაობა არ არის კავშირში, მაგალითად, ადამიანის მორალურ სფეროსთან – და ის, ვინც ვარდება ცინიზმში, დასცინის სიკეთეს, მიზანმიმართულად ამორალურია, ის იმავდროულად შესაძლებელია იყოს „მახვილგონიერი“ ადამიანიც. ეს, რა თქმა უნდა, ასეა, თუმცა გარკვეულ საფეხურამდე, ვინაიდან ერთი რომელიმე სფეროს დაცემა და ხრწნა, აუცილებლად იწვევს სხვა სფეროს დაცემასაც. გონებრივი ხედვის ძალა არ ამოიწურება მხოლოდ ლოგიკური მსჯელობებითა და შეპირისპირებებით, მისი ძირითადი შემოქმედებითი ამოცანაა „გონებრივი ჭვრება“, ანუ საგნების არსის

ჭვრება, იდეების სფეროს დიალექტიკური შეპირისპირებების ფლობა, საგნების ზედაპირის მიღმა მათი დაფარული სიღრმის წვდომა. გონების ამ მჯვრეტელობით უნარს არ განსაზღვრავს მხოლოდ ლოგიკური ოპერაციების ან სიტყვიერი ფორმულირების სიზუსტე – ის არ მიიღწევა შემოქმედებითი მუშაობის დაწყებისთანავე, არამედ მას განსაზღვრავს საერთო სულიერი ცხოვრება, სულის მთელი შინაგანი წვა. გონების ასეთ შრომაში მუდამ მონაწილეობს რელიგიური მომენტი – შიშით ძიება ჭეშმარიტებისა, საკუთარი თავის უანგარო მიძღვნა ყოფიერების საიდუმლოსადმი. მეცნიერებს არაერთხელ დაუხასიათებიათ გონებრივი შრომა, როგორც ერთგვარი სამდვდელო მსახურება, როგორც სულის „საღვთისმსახურ“ მდგომარეობა. და სწორედ ამიტომაც, ჭეშმარიტების ძიება თავისი არსით არ არის მხოლოდ გონების საქმე, არამედ ის არის მთელი ჩვენი სულიერი მხარის მცდელობა ნამდვილი რეალობის შესაცნობად.

შრომის ეს დამოკიდებულება საერთო სულიერ მდგომარეობაზე არის შემუცნების ქრისტიანული სწავლების ერთ-ერთი ძირითადი მომენტი. აქ უადგილო იქნებოდა ამ სწავლების შესახებ საუბარი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის სრულად ფორმულირებული, მხოლოდ მისი ფრაგმენტული ისტორია გვაქვს მოცემული. ახლა მნიშვნელოვანია იმ სწავლების განხილვა, რომელსაც ავითარებდა ასკეტური ლიტერატურა – მხედველობაში მაქვს ჩვენს სულიერ სამყაროში „გონებრივი ხედვისა“ და „გულისმიერი ხედვის“ შეუთავსებლობა. პასკალმა, რომელიც თავისი შინაგანი გამოცდილებით მიადგა ამ პრობლემას, მიიჩნია გულისა და გონების „ბუნებრივი“ (ჩვენი პირველქნილი ცოდვის ტყვეობის გამო) შეუკავშირებლობა მათ პრინციპულ შეუთავსებლობად მიიღო, რაც მართებული არ არის. ერთ-ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ამოცანის ფორმულირება, რომელიც ჩვენ უნდა ამოქსნათ საკუთარი სულიერი ცხოვრებით, არის გულისა და გონების ერთობის ძიება – ჭეშმარიტების მიღწევის ამ ორი, ჩვენს მდგომარეობაში, ერთმანეთისგან დაშორიშორებული წყაროს ერთობის ძიება. უფრო მეტიც: გონებრივი ძალების ზრდას, როცა მას თან არ ახლავს შინაგანი

ძალების, ანუ გულისმიერი ძალების ზრდა, ადვილად შეუძლია ადამიანის გონების დაბნელება. და ეს ხდება არა მხოლოდ მაშინ, როცა გულში ისადგურებს ხრწნა, არამედ მაშინაც, როცა ის ვერ ხედავს, არ იზრდება და რჩება გაყინული გარკვეული ინფანტილურობაში, მაშინ ის თითქოს ხედავს და ვერც ხედავს, ესმის და არც ესმის. გავიხსენოთ, ქრისტეგმ თავის ორ მოწაფეს-თან საუბარში ემაუსის გზაზე როგორ უსაყვედურა მათ „უგუნურნო და გულით მძიმენ“ – და ეს ნიშნავს სწორედ იმას, რომ „მძიმე“ გული არ აძლევს გასაქანს გონებას იმის გამოსახა-ტავად, რაც უკვე ცხოვრობს გულში.

გონების შრომის ეს დაქვემდებარება სულიერი ცხოვრების სიღრმესა და სისუფთავისადმი, თავის თავში ინახავს უფრო დიდ და მნიშვნელოვან ჭეშმარიტებას, რომლის ახსნასაც აქ არ შევუდგებით და მხოლოდ იმას ვიტვით, რომ ჩვენთვის მისაწვდომი ჭეშმარიტება გამოდის დამატებრივი ლოგოსიდან – ქრისტეგსან, და შესაბამისად მასთან მიმყვანებელია მხოლოდ ეკლესია, რომელ-საც ეძლევა სრული ჭეშმარიტების ფლობა. ინდივიდუალურ გონს მხოლოდ ინდივიდუალური (ტრანსცენდენტული) საწყი-სის ზოგადი ზემოქმედებით შეუძლია აზროვნება, ამიტომ მარ-თალი იყო ს. ტრუბეცკო, როცა წამოაყენა სწავლება ჩვენი აზრის „ძრებითი“ ბუნების შესახებ. პრინციპში ეს არის იმის ახალი ფორმულირება, რასაც პირველად მიაგნო კანტმა (მანამ-დე კი პლატონმა – ის. მისი დიალოგი „ფეონი“, აქ შეუდარე-ბელი სიღრმითად გადმოცემული ემპირიული და არაემპირიუ-ლი მასალის თანაფარდობა ცნობიერებაში) იმის შესახებ, რომ ცოდნის პროცესები არ არის მთლიანად ინდივიდუალური, არ-სებით მომენტებში მათ განსაზღვრავს ზეინდივიდუალური (ტრან-სცენდენტული) ფუნქციები. თუმცა ჩვენი კრებითი აზროვნების ბუნება ბოლომდე შეიძლება განვმარტოთ საეკლესიო ტერ-მინებით: სამყაროში ჭეშმარიტების მეგზური არის ეკლესია, რომელიც არის შემეცნების ტრანსცენდენტული ფუნქციის ჭეშ-მარიტი სუბიექტი. ჭეშმარიტება მისაწვდომია არა ცალკეული ცნობიერებისთვის, მით უფრო კოლექტივისთვის (ანუ მას არ განსაზღვრავს ხმების სიმრავლე), არამედ ის მისაწვდომია ეკლე-

სიის წევრებისთვის. საუკუნეების მანძილზე ძალაშია ის ფორმულა, რომელიც მიიღეს პირველ საექლესიო კრებაზე ჯერ კიდევ მოციქულთა პერიოდში: „ინგბა სულიწმინდამ და ჩვენ“.  
ეს არის „სინერგიზმი“, რომელიც არსებითია შემეცნების ონტოლოგიისთვის – ჰეშმარიტება ეძლევათ ადამიანებს, როცა ისინი ცხოვრობენ სულიწმინდით.

ადარ განვავრცობთ ამ მოსაზრებებს, მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან დასკვნას გამოვიტანთ აქედან: ჩვენი გონების ხედვის უნარი არ არის ყოველთვის ერთნაირი, ის დამოკიდებულია იმ სიღრმესა და შესაძლებლობაზე, თუ როგორ ვეუფლებით ჩვენი სულიერი ცხოვრების არსს. ეს არის ის უმთავრესი, რისი თქმაც შეგვიძლია რაციონალურის წინააღმდეგ: ის რაც, ახლა მიუწვდომელია ჩვენთვის, ვერ თავსდება ჩვენი რაციონალურობის საზღვრებში, სხვა პირობებში ის შეიძლება გახდეს მისაწვდომი და რაციონალური. ასეთი ხედვის ძალის უდიდესი ზრდის მაგალითს გვიჩვენებს ყოვლადწმინდა სამების ღოგმატის ისტორია: რაციონალისტური ახლომხედველი ხედვით უბრალოდ მიუდებელია (როგორც ეს განსაკუთრებით პრიმიტიულად გამოხატა ლევ ტოლსტოიმ თავის „ღოგმატური ღვთისმეტყველების კრიტიკაში“), თუმცა ჰეშმარიტების ეპლესიური ძიება, მისი ძიება ეპლესიის ერთობით და სისავსით გვებობა სულიერი ზრდის შედეგად და ეკლესიის დიდ მოძღვრებს ვუწოდებთ მათ, ვინც ღრმა ჰალესიური ცხოვრებით გახდა ჰეშმარიტების მაუწყებლები (წმ. ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, გრიგოლ ნოსელი).

ამგვარად, ჩვენი გონების დასაზღვრულობა დაიძლევა სულიერი ზრდით – თუმცა როგორც ბრმა ვერ არჩევს სინათლესა და სიბნელეს, ასევე შეზღუდულ გონებას არ შეუძლია იმის დატევა, რისი დატევაც შეუძლია მხოლოდ სულიწმინდით განათებულ გონებას.

იმ ყველაფრის შემდეგ, რაც ითქვა, მგონი ადარ არის საჭირო არაფრის დამატება, რომ გავიგოთ სციენტიზმის სიყალბე, ანუ იმ მითოლოგების სიყალბე, რომელიც უკავშირდება მეცნიერების კულტს. არსობრივად აქ საქმე გვაქვს უკვე ნახსენებ „პოეზიის წარმოდგენებთან“, გონების თამაშთან, წამოსახვის სფეროსთან,

და არა ჭეშმარიტების ფლობასთან. არავის შეუძლია ადამიანისთვის იმის დაშლა, რომ შეთხას პოეტური თუ არაპოეტური მითოლოგები, მაგრამ, როცა მეცნიერულ-ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას ამოფარებულნი გვთავაზობენ ბუნების აბსოლუტირებას (ანუ, როცა ხდება იმის უარყოფა, რომ ის არის არა თავისთავად, არამედ შექმნელისგან), ან პირიქით, ხდება აბსოლუტურის რელატივირება<sup>4</sup> (როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს სიტყვათა ასეთი შეთანხმება), ანუ, როცა ხდება საერთო უარყოფა აბსოლუტური საწყისისა, მაშინ იქმნება ზღაპრები სამყაროს მარადიულობის შესახებ, ნაცვლად იმისა, რომ მივიღოთ ღრმა სწავლებები სამყაროს შექმნის შესახებ – როცა ამ მითოლოგებს დაბეჯითებით გვაწვდიან, როგორც სერიოზული მეცნიერული კვლევების შედეგებს, მაშინ გონების მთვლი ეს თამაში ხდება ტრაგიკული, ვინაიდან აქ არის ადგილი „ერთობისთვის“, – ანუ დავთისკენ, როგორც სიცოცხლისა და ჭეშმარიტების წყაროსკენ შემობრუნებისთვის.

## VI

მეცნიერების და ბუნებითი გონების ძალების მიმართ რწმენა, გონის ავტონომიურობის პრინციპი და მისი რწმენისგან და ეკლესიისგან დამოუკიდებლობა, არის პირველი და უმთავრესი მრწამსი, რომლითაც ცხოვრობს ჩვენი ეპოქა. მას არა უბრალოდ უყვარს მეცნიერება და ამაყობს მისით, არამედ მასზე ამყარებს მთელ იმედებს. თუმცა არა მხოლოდ ეს აცოცხლებს ჩვენს ეპოქას, არა მხოლოდ ამით განისაზღვრება მისი ძირითადი თვისებები – მასში ცოცხლობს სხვა მოთხოვნილებაც – ეს არის იდეალით ცხოვრება, მოთხოვნილება იმისა, რომ გაიაზრო მთელი აქტივობა, როგორც უმაღლესი ამოცანა. ჩვენი ეპოქა ამ თვალსაზრისით მჭიდრო კავშირშია ქრისტიანობასთან, დავთის სასუფლებლის შესახებ სწავლებასთან, მის ქადაგებებთან სიყვა-

<sup>4</sup> რასაც ჩვენ ხშირად ვხვდებით, მაგალითად, რელიგიური განცდების სუფთა ფსიქოლოგიური განხილვისას.

რულისა და მმობის შესახებ. თუმცა ამ თვალსაზრისით ჩვენი ეპოქა არ არის ქრისტეს ერთგული: ის, რამაც ერთმანეთისგან გამიჯნა ჭეშმარიტების ძიება და ეკლესიის ერთგულება, მანვე გამიჯნა ერთმანეთისგან ქრისტესმიერი მორალური ძიება და ეკლესია და ბიძგი მისცა „დამოუკიდებელი“, „ავტონომიური“, „ურელიგიო მორალის ჩალიან რთულ პროცესს.

ჯერ ვისაუბროთ იმის შესახებ, თუ როგორ მოიაზრებს ქრისტიანობა ადამიანის მორალურ სფეროს. ყველაზე მნიშვნელოვანი აქ არის ის, რომ ქრისტიანული მორალური სწავლება არის მისტიკური, ვინაიდან ის მთლიანად ექრძნობა სულის დვთისკენ შემობრუნებას. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქრისტიანობა არ აღიარებს ადამიანის მორალს მისი ქრისტესთან და ეკლესიასთან კავშირის გარეშე. პავლე მოციქულის სიტყვების თანამხმად ის გვასწავლის, რომ „სჯულის საქმე გულის ფიცარზე უწერიათ, რასაც მოწმობენ მათი სინდისი და მათი აზრები“ (რომ. 2,15). ხოლო მოციქული იოანე დვთისმეტყველი წერს თავის პირველ ეპისტოლეში „...თუ არ უყვარს თავისი ქმა, რომელსაც ხედავს, როგორდა შეიყვარებს დმირთს, რომელსაც ვერ ხედავს?“ (იოან. I. 4,20). ეს ყველაფერი მოწმობს ქრისტიანობაში მორალის „ბუნებრივი“ საფუძვლის შესახებ, რომელიც ყველა ადამიანის თვისებაა. თუმცა მის ჭეშმარიტ საზრისს, მისი ბუნებრივი არსებობის შინაგან სიმართლეს ბოლომდე მხოლოდ ქრისტიანობა განმარტავს ადამიანთა შორის ქმობის, ჩვენი დვთისშეიღობისა და დვთის სასუფევლის სწავლებებში. სწავლება ადამიანების ქმობის შესახებ, რომელიც დასტურდება მაცხოვრის შემდეგი სიტყვებით - „რაც გაუჟეოთ ერთს ამ ჩემს ქმათაგან მცირეს, მე გამიკეთო“ (მათ. 25,40), მდგომარეობს მაცხოვრის მიერ ადამიანების საკუთარ თავთან გაიგივებაში. ქრისტეში და ქრისტეს საშუალებით ჩვენ ყველანი ერთმანეთის ქმები ვართ, და ჩვენი ქმობა, სიყვარული ადამიანების, როგორც ქმების მიმართ, ნიშნავს ქრისტეს სიყვარულს. მხოლოდ ქრისტეში შეიძლება იმის შემეცნება, რომ ადამიანები ერთმანეთის ქმებია, ვინაიდან ამის გარეშე შეუძლებელია ყველა ადამიანის სიყვარული, შეუძლებელია ყველა ადამიანის ქმად მიღება.

ამავე სწავლების გამოხატულებაა სწავლება ჩვენი დვთის-შვილობის შესახებ, რომელიც ასევე მხოლოდ ქრისტეში და ქრისტეს საშუალებითაა შესაძლებელი. „ხოლო რომლებმაც შეიწყნარეს იგი, მისცა მათ ხელმწიფება ყოფილიყვნენ დვთის შვილები“ (იოან.1,12). ყველა ადამიანს ეძლევა შესაძლებლობა „დვთის შვილობის“, თუმცა მხოლოდ ქრისტეში, რომლის გარე შეც ვერავინ იწოდება ძედ დვთისად; ჩვენი მმობა ხორციელდება არა „ბუნებრივი სიყვარულის“, არამედ დვთის შვილობის საშუალებით. ის ახალი მცნება, რომელიც უფალმა მისცა თავის მოწაფებს, და მათი საშუალებით კი ყველა ჩვენგანს: „გიყვარდეთ ერთმანეთი“ სრულებით არ თავხდება ჩვენს „ბუნებაში“, ჩვენს ხასიათში, მას აქვს შეზღუდული შესაძლებლობები, არ შეუძლია გულში ბევრი ადამიანის დატევა, მისი რეალიზაცია არ ხდება ჩვენი „ბუნებრივი“ ვნებებით (შური, ეგოიზმი და ა.შ.). მხოლოდ ქრისტესა და მის ეკლესიაში ცხოვრება ცვლის ჩვენს გულებს, ათავისუფლებს მას ამ ვნებებისგან, უკიდეგანოს ხდის მას, ანუ მისი ძალისხმევით შესაძლებელი ხდება ყველას სიყვარული, ვისაც კი ვიცნობთ. ძმობის იდეის კიდევ ერთი აზრი უფრო ნათელი ხდება დვთის სასუფევლის შესახებ სწავლებაში: ამ უწყების საშუალებით, რომელიც ქრისტიანობაში იკავებს ცენტრალურ ადგილს, ჩვენ საშუალება გვეძლევა შევიცნოთ ვერისცვალებისა და განდმრთობის საიდუმლო, რომელიც თითოეული ჩვენგანისთვის უკვე აქ იწყება, თუმცა მთელი თავისი ძალითა და დიდებით გამოვლინდება მაცხოვრის მეორედ მოსვლის ჟამს. დვთის სასუფეველში არ არსებობს „არც ელინი, არც იუდეველი, არც მონა, არც თავისუფალი“, მასში იქნება სამოთხისეული სიხარული, ვინაიდან აქ იქნება ნათელი და სიმართლე, ჭეშმარიტება და სილამაზე, რომელიც ყველას და ყველაფერს მოიცავს. დვთის სასუფეველში არ იქნებიან არც შეურაცხყოფილები, არც მათი შეურაცხმყოფელები, არც ამაყები, არც მათგან დამცირებულები, არ იქნება არც შერი, არც ეჭვი – ვინაიდან ცათა სასუფეველი წარმოადგენს მთელი კოსმოსის ფერისცვალების სისრულეს. ამ ხარებაში პოულობს გამოხატულებას და სწორ გააზრებას უსასრულო ცხოვრების ის დაუოკე

ბელი წყურვილი, რომელიც დგვს ჩვენი სულიერი ყოფის საფუძვლში, და თუ ახლა ცოდვით შესვარული ბუნება გამუდმებით „ერთობლივად გმინავს და წვალობს“ (რომ. 8,22), ცათა სასუფეველში იქნება მხოლოდ უსასრულო სიხარული.

დვთის სასუფევლის ხარება აგვირგვინებს და ნათელს ჰყენს ადამიანთა მმობის სიმართლეს და ჩვენს დვთის შვილობას, ვინაიდან დვთის სასუფევლი არის რეალური განხორციელება ძმობისა და დვთის შვილობის. ჩვენს ახლანდელ ცხოვრებაში დვთის სასუფევლი „ჩვენს შიგნითაა“, ის მიიღწევა სულიერი ცხოვრების ძალისხმევით, და ის ხდება მარადიული ყველა ადამიანისათვის. თითოეული ადამიანის ჭეშმარიტება მდგომარეობს არა მის ხასიათში, არა მის ქცევაში ან გრძნობებში, გეგმებსა და აზრებში, ჭეშმარიტება თითოეული ადამიანის შესახებ უკავშირდება მისსავე სულიერ ცხოვრებას, მას, თუ რამდენად „იმსახურებს“ ის ცათა სასუფევლის საკუთარი ძალისხმევით.

ამგვარად, ქრისტიანის მორალური ცხოვრებისათვის მისი მთავარი შთაგონება უკავშირდება დვთის სასუფევლისკენ სწრაფვას; ამ სწრაფვის კვალობაზე სუსტდება ყველაფერი ბიწიერი, რაც მანამდე ავსებდა ჩვენს სულებს, და სიმართლისა და სიყვარულის კანონი უკვე გარედან კი აღარ გვიხმობს, არამედ ამოზრდება ჩვენივე სულიერი ცხოვრების წიაღიდან. ამგვარად სულიერი ცხოვრებით ხორციელდება ჩვენი თავისუფლებისა და დვთის მადლის შეერთება. როგორც ბავშვები გრძნობენ თავს თავისუფლად სწორედ მაშინ, როცა ისინი მშობლების გვერდით არიან, და არა მაშინ, როცა მათ შორდებიან, ასევე ჩვენც უფრო თავისუფლები ვართ, როცა ვცხოვრობთ დმერთან. ჩვენი ინდივიდუალურობის საიდუმლო და მთელი ჩვენი „ბედი“ იხსნება ჩვენში თავისუფლებისა და დვთის მადლის შენივთებით: მხოლოდ ეკლესიაში, ეკლესიასთან და ეკლესის საშუალებით, მის საიდუმლოებებში მონაწილეობით ჩვენ შეგვიძლია ჩვენივე თავის აღმოჩენა და თავისებურებების მთელი სისრულით გამოვლენა. დმერთან მიახლების გზა („იყავით სრულნი, როგორც სრულია მამა თქვენი ზეცათაი“) არის გზა უსასრულობისა, და რაც უფრო ახლოს ვართ დმერთან, მით

მეტად სრულად იხსნება ჩვენი პიროვნება, მით უფრო მეტად აბსოლუტურები ვხდებით.

ასეთია ქრისტიანობის მორალური საფუძვლები; მთელი მორალური ცხოვრება ქრისტოცენტრულია და ამ მნიშვნელობით ის ახალია, ის არ იცოდნება ქრისტეს მოსვლამდე. აქ არ არის მთავარი მხოლოდ მოწოდებები სიყვარულის, მოწყალებისა თუ სრულყოფილებისკან, რაც ქრისტიანობის გარეშეც ხშირად გვხვდება, არამედ მთავარია მორალური სფეროს ქრისტეცენტრულობა, მთავარია მორალური სფეროს განუყოფლობა ქრისტეჯსა და მისი კალებისგან.

როგორც ცოდნის თვემასთან ქრისტიანული მიღებობის საფუძველი ჩვენს დროში ჩაანაცვლა რწმენისა და ცოდნის სფეროების გამიჯვნამ, ამის პარალელურად მორალური ცნობიერების სფეროში დაიწყო მორალური ქრისტიანული ხედვის დამახინჯება. ეს დაიწყო ასკეტიზმის დისკრედიტაციით, რომლის ადგილიც დაიკავა სწავლებამ იმის შესახებ, რომ, რაც „ბუნებრივია“ ის არის მორალურიც. ბუნებაზე ამ მკაცრმა (ნეტარი ავგუსტინეს თანახმად) შეხედულებამ ეჭვის ქვეშ დააყენა სულის ყველაზე სპეციალი მოძრაობები, ხოლო მორალის ქრისტიანული გაგების დამახინჯებით დაიწყო ადამიანის ბუნების „რებილიტაცია“. ვინაიდან ჩვენ ბუნებითად დაგვევა შებრალების, სირცხვილის, მოვალეობის და ა.შ. გრძნობები, ვინაიდან ადამიანის სინდის ბუნებითად აქვს მინიჭებული სიკეთის კანონი, მაშინ რაღა საჭიროა რაღაც თვისებების ასკეტური დვაწლით დათრგუნვა? ახლადჩასახული მორალური ცნობიერებისთვის, რომელიც არ იზიარებდა მკაცრ, ასკეტურ შეხედულებას ადამიანის ბუნებაზე, ძვირფასი იყო მორალური იდეალი; და რაც მეტად სუსტდებოდა (სხვადასხვა მიზეზის გამო) დასაგლერული რელიგიური ცეკვები, მით უფრო წინა პლანზე იწევდა ბუნებრივი კეთილშობილების, იდეალის ბუნებრივი ძიების, რელიგიისა და საეკლესიო ტრადიციისგან დამოუკიდებლად სამართლიანობის სიკეთურულის მნიშვნელობა. ჯორდანო ბრუნოს „ჰეროიკული მორალი“ (XVII), როგორც საყრდენი თვითშემეცნებისა, როგორც საფუძველი საგუთარი თავის პატივისცემისა, საგუთარი თავის რწმენისა, -

არის ცხოვრების ამ ახალი ფუნქციის ტიპური ასახვა. როცა სუსტდება და ქრება რწმენა, ადამიანი ჯერ კიდევ არ ეცემა ამის გამო: მასში რჩება მოთხოვნილება იდეალის მსახურებისა, მზა-დყოფნა მსხვერპლის გაღებისა, მასში ჯერ კიდევ ყვავილობს მორალური იდეალიზმი, როგორც უარყოფა რელიგიური გასული-ერებისა, თუმცა იმავდროულად ის მისი თითქმის ადეკვატური შემცვლელია. მორალი, როგორც ადამიანის სულის ბუნებრივი ფუნქცია, კიდევ უფრო მეტად ფასეული ხდება, რაც განსაკუთრებით ნათლად ჩანს XVII – XVIII საუკუნის ინგლისელ მორალის-ტებთან. კანტმა ბოლომდე მიიყვანა მორალური ცნობიერების ავტონომიის შესწავლა, ფილოსოფიურად დაასაბუთა მორალის არარელიგიური გაგება – მასთან მორალი გახდა ონტოლოგიური საფუძველი რელიგიური ცხოვრებისა. ეს არის 180 გრადუსით შემობრუნება! აქედან არც ისე შორსაა მორალური ფილოსოფიის იმ მიმდინარეობამდე, რომელიც სხვებზე გარკვევით და დამა-ჯერებლად გამოხატა რუსომ თავის სწავლებაში ადამიანის ნატურის „რადიკალური სიკეთის“ შესახებ: ყველაფერი ცუდი და ყველა ცოდვა მოაქვს სიცრუეს და ცივილიზაციის ხელოვნურობას, თავისთავად ადამიანის ბუნება (natura pura) კეთილია, ისევე, როგორც სულის ყველა ბუნებრივი მოქმედება, როცა მათ არ რყვნის ცივილიზაცია.

სწორედ აქ არის ადამიანის მიმართ იმ რწმენის წყარო, რომელიც საფუძვლად დაედო ამავე დროს შექმნილ პროგრესის თეორიას. აქ არის ძირითადი სტიმულები უტოპიური ცნობიერებისა, რომელსაც სურს პასუხი გასცეს გულში დაგანებულ დვთის სასუფელის მოლოდინს. თუმცა უტოპიებში არ არის დვთის დახმარების მოლოდინი, აქ ყველაფერი ხდება ადამიანის ძალისხმევით. და შემთხვევითი არ არის, რომ უტოპიზმის სულ-მა განსაკუთრებულ აღზევებას მიაღწია სწორედ XVIII – XIX საუკუნეებში, – ეს არის დასტური იმისა, რომ დვთის სასუფელის ძიება, ანუ მაღალი იდეალებით ცხოვრება გრძელდება ადამიანთა გულებში. როცა ცნობიერება არ იდებს ქრისტიანულ სწავლებას, მაშინ ადამიანები უტოპიაში პოულობენ, თუმცა ყალბ და სუროგატ, მაგრამ მაინც პასუხს კითხვაზე – თუ

როგორ დაიუნჯონ ცათა სასუფეველი ქრისტეს გარეშე. ამ უტოპიებს შეუძლიათ მასების დაპყრობა და შთაგონება, მისკენ ისწრაფვიან დაღლილ-დაქანცული სულები და ხშირად ამ უტოპიებით მოხიბლული ადამიანები მიღიან დიდ მსხვერპლზე იმისათვის, რომ მომავალმა თაობამ მაინც იგემოს უტოპიების მიერ დაპირებული სიხარული.

უტოპიზმი ღვთის სასუფეველს მიჯნავს ქრისტიანობისა და ეკლესიისგან, მისთვის ის მთლიანად იმანენტური და ამქვეყნიურია, – და ეს არის მისი პასუხი ყოველგარი ტრანსცენდენტულის უარყოფაზე და ამის პარალელურად ის ასაზრდოებს გულს, რომელსაც სწურია საქმის კეთება. უტოპიის მითოლოგიური ხასიათი არსად არ არის ისე ხათლად გამოხატული, როგორც იმ სენტიმენტალურ ფერადოვნებაში, რომლითაც გამოისახება „ნახტომი აუცილებლობის სამეუფოდან თავისუფლების სამეფოში“.

თუმცა არა მხოლოდ უტოპიზმში პოულობს გამოხატულებას „ახალი მორალი“ – ის კიდევ უფრო დიდი მონდომებით ეძებს მას „ჰუმანიზმში“, რომელიც გამსჭვალულია ადამიანის მიმართ სიყვარულით, სავსეა ჩაგრულთა, ავადმყოფთა, დამნაშავეთა თანაგრძობით. თუმცა ეს ურელიგიო ჰუმანიზმი, რომელსაც არ სურს რელიგიური დასაბუთება და არც საჭიროებს მას, თავის საყრდენს ეძებს ადამიანის სულის „ბუნებრივ კეთილშობილებაში“ და ზოგადად სულის ბუნებაში. აქედან მოდის უსასრულო, გულუბრყვილო, ცარიელი, გნებავთ ამაღელვებული მცდელობა მორალის „პოზიტიური“ ან „ევოლუციური“ მორალის მსჯელობების, „უტილიტარიზმის“ და ა.შ. დასაბუთებისა. მორალის მეცნიერული დასაბუთების ყველა ეს განწირული მცდელობა ყველაზე უკეთ მეტყველებს ადრინდელი ანუ მორალის რელიგიური საფუძვლის დაკარგვის შესახებ. ჰუმანიზმი და სოციალური იდეალიზმი აგრძელებენ ცხოვრებას ქრისტიანულ საზოგადოებაში, მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ისინი ცდი-

---

<sup>5</sup> ძალიან დამაჯერებლად და სულიშემმვრელად აქვს ეს გამოხატული მაგ. Guayu-ს თავის ცნობილ წიგნში „La morale sans obligation ni sanction“.

ლობენ ქრისტიანული სარწმუნოების, ეკლესიისა და ქრისტეს  
მიმართ რწმენის ჩანაცვლებას, ის უნდა დასაბუთდეს რელიგიური  
რწმენის გარეშე, ვინაიდან გულში ისევ აგრძელებს ცხოვრებას  
ქრისტიანობა, ცოცხლობს სულის ის შემართებები, რომლებსაც  
წარმოშობს ქრისტიანობა, – მათ შორის, იდეალით ცხოვრების  
მოთხოვნილებაც, სიკეთის მსახურებაც. ადამიანის სულისთვის  
მართლაც ბუნებრივია სიკეთით ცხოვრება და სიკეთის მსახუ-  
რება, თუმცა ეს მსახურება არ უნდა იყოს გაუაზრებელი და  
დაუსაბუთებელი. აქედან მომდინარეობს დაუსრულებელი მცდე-  
ლობები „პოზიტიური“, ევოლუციური“ და მეცნიერული მსჯელო-  
ბების დასასაბუთებლად. თუმცა ეს ყველაფერი კი არ ასაბუთებს  
მორალურ აქტიურობას, არამედ პირიქით – კიდევ უფრო ნა-  
თელს ხდის ამ ცნობიერების უსაფუძვლობას. ამიტომაც აღარ  
არის გასაკვირი, რომ XVII საუკუნის ბოლოდან უკვე იწყება  
მორალური ცნობიერების საზოგადო რდგვევა, რისგანაც უკვე  
ვეღარ იხსნი დექრისტიანიზებულ კაცობრიობას. როდესაც, მაგა-  
ლითად, ცდილობენ მორალის გამოყვანას ეგოიზმისა და საკუ-  
თარი თავის სიყვარულიდან, როცა ამტკიცებენ, რომ სიკეთის  
გზა უფრო „მომგებიანია“, ვიდრე ბოროტებისა და რომ ბუნების  
განვითარების გზა ისეთია, რომ მასში შემოქმედებითობა მუდამ  
ზეიმობს ნგრევაზე, – მაშინ რატომაა ეს ყველაფერი აუცილებე-  
ლი ადამიანისთვის? თუ სიკეთეს არ გააჩნია ობიექტური საფუძ-  
ვლი, მაშინ აუცილებლად დგება სიკეთის „გამართლების“ საკითხი,  
ვინაიდან სიკეთე მიიჩნევა ცხოვრების ჰეშმარიტ გზად, რომე-  
ლიც ბოროტებას ანიჭებს მეტ შემოქმედებითობას, ვიდრე სიმარ-  
თლეს, რისი ძალიან სწორი ფორმულირებაც გააკეთა ვ. სო-  
ლოვოვმა. ასე ჩნდება ამორალიზმის მოტივები, რომლებიც  
დღითი დღე მტკიცდებიან ევროპულ ცნობიერებაში, რომელიც  
დღეისათვის სშირად მიდის (მაგალითად, ეგზისტენციალიზმის  
ფილოსოფიაში) სასოწარკვეთილებამდე, რაც ნათლად ჩანს გან-  
საკუთრებით სარტყობან. მართალია, სარტყო გვასწავლის, რომ  
ეგზისტენციალიზმი არის ნამდვილი ჰუმანიზმი, მაგრამ ვის  
დაარწმუნებს იგი? ჩვენს ეპოქაში თავგამოდებული ურწმუნო-  
ბისა და სასოწარკვეთის, ამაყი თვითდამკვიდრებისა და „ბედის“

(„ბრმა ბედისწერა“ ეს ანტიკური ცნება აუცილებლად უბრუნდება მათ სულებს, ვისაც უქრება ლვოის განგებულების რწმენა) ადამიანში თავისუფლების აბსოლუტირების და მისი შემთხვევითობაზე უმწეო დამოკიდებულების, სიმართლისა და სიკეთის (თუნდაც მხოლოდ საკუთარი თავისთვის) დაუკებელი წყურვილისა და სხვადასხვა ფანატიკურ უტოპიებში ადამიანთა სიცოცხლით არაადამიანური თამაშების არსებობა – ეს ყველაფერი ამხელს ეპოქის სწერების ღრმა ფესვებს, მის ტრაგიკულ გარდაუგალობას!

ჰუმანიზმი მუდამ იყო და რჩება თანამედროვე დექრისტიანიზებული ცნობიერების ციტადელად, – ის ხომ კვებაგს სულის იმ საუკეთესო მოთხოვნებს, რომლებსაც გულში ბადებს სახარებისეული სიმართლე. ჰუმანიზმს ეყრდნობოდა და ეყრდნობა ეკროპა, ვინაიდან ის ბოლომდე არ დაქვემდებარებულა გაბარბაროსებას (ეს თითქოს შემთხვევითია, სინამდვილეში კი გარდაუვალად უკავშირდება ევროპელი ხალხის დექრისტიანიზაციას). ამ მნიშვნელობით ჰუმანიზმი არის იმ ადამიანების გულის გადასაყოლებელი რამ, რომლებიც სულს დაფავენ ბუნების მექანიკური განმარტებით, დექრისტიანიზებული („ნეიტრალური“) კულტურით. ჰუმანიზმი მხარს უჭერს იმედს, რომ ოდესმე იქნება რეალური მმობა, ხორცს შეისხამს რეალური და შემოქმედებითი თავისუფლება – და ამ უტოპიურ პერსპექტივას რაღაცნაირი მგზნებარებით უყურებს თანამედროვე ადამიანი. დედამიწაზე სიმართლის ეს ძიება – ლვოის, ქრისტესა და მისი ეკლესიისადმი ურწმუნოების პირობებში – ხდება სულ უფრო მგზნებარე და ფანატიკური. აი, რა მოიტანა ამ ყველაფერმა: ამაღლებული იდეალიზმი, სოციალური სიმართლის (მმობის, თანასწორობის, რეალური თავისუფლების) ამ გზით ძიებით გადასვლა მის ფანატიკურ ერთგულებაში, ვინც თითქოს აფერხებს უტოპიის განხორციელებას, ვინც აწარმოებს დაუნდობელ ბრძოლას მოჩვენებით მტრებთან, ანუ ხალხის ხოცვას, უდანაშაულო ბაგშვების მკვლელობის ჩათვლით. ბოლო დროის გაუგონარი სისახსტიკის მიზეზია სხვადასხვა სახის ფსიქოპათოლოგიები, მაგრამ არის ასევე იმ სულის გაუხეშება, რომელიც ცხოვრობს ამ

უტოპიით და აცნობიერებს მისი განხორციელების შეუძლებლობას.

ასეთია თანამედროვე გზააბნეული მორალური ცნობიერების საშიში დიალექტიკა, რომელიც გაემიჯნა ქრისტეს, მასში და მის ეკლესიაში მორალურ ცხოვრებას. თუმცა თანამედროვეობას გააჩნია ჰუმანიზმის კიდევ ერთი ფორმა, ცოტასთვის ხელმისაწვდომი სიმართლე, რომელიც თითქოს ცდილობს დაკარგული მორალის კ.წ. ესთეტიკური ჰუმანიზმით ჩანაცვლებას, რომლის ანალიზსაც ახლა შემოგთავაზებთ.

## VII

ესთეტიკური ჰუმანიზმის დახასიათებისას უპირველესად უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ეპოქის დასაწყისში ხელოვნება (მისი ყველა ფორმით) იძებს ახალ მნიშვნელობას, ახალ ფუნქციას, ეს, რა თქმა უნდა, იქ, სადაც ესთეტიკური მოთხოვნები პრიმიტიულია და ხელოვნების სიყვარული რჩება ესთეტიკური ჰედონიზმის საზღვრებში, ანუ სულის დაკმაყოფილება ხდება უბრალო ესთეტიკური სიამოვნებით. აქ, სადაც ხელოვნებას აქვს ადამიანის სულიერი ძიებების დაკმაყოფილების მნიშვნელობა, მისი ახალი ფუნქცია სილამაზის განცდით (რომელიც ყოველთვის წარმოადგენს იდეალური საწყისის გამოხატულებას, გრძნობითი ფორმის იდეას) დააყოვნოს სული ამ სამყაროში, ამქვეყნიურ, იმანენტურ სფეროში, ხელოვნების ეს ახალი ფუნქცია მოქმედებს არც ისე მკაფიოდ. ეს თავისი არსით არის ხელოვნების წინასწარმეტყველური ფუნქცია, ეს არის ერთგვარი უწყება ღვთის სასუფევლისა, რომელიც „მოვალს დიდებით და ძლიერებით“... თუმცა სეკულარული კულტურის პირობებში, რომელიც ავიწყებს ადამიანს ზეცას, პირველრეალობას, ხელოვნების სწორედ ეს უბანი მოქმედებს სეკულარული კულტურის „სასარგებლოდ“.

ესთეტიკური ჰუმანიზმი დაკავებულია ადამიანის „ბუნებრივი კეთილშობილების“ ესთეტიკური გააზრებითა და განხილვით – როგორც ცალკე მიმდინარეობა, ის წარმოიშვა

XVIII საუკუნის გერმანიაში – მისი ძირითადი წარმომადგენლები იყვნენ ჰუმბოლდტი და შილერი. ამ მიმდინარეობის წარმოშობა, რომელიც უკვე გულისხმობდა სეულარული კულტურის გამძლე სისტემას, უკავშირდება იმ როულ და შთამბეჭდავ ცხოვრებას, რომლითაც ცხოვრობდა XVIII საუკუნის გერმანია, რომელიც ცამეტწლიანი მძიმე ომის შემდეგ ნელ-ნელა დგებოდა ინტენსიური შემოქმედებითი ცხოვრების რელსებზე. თუმცა ის, რაც ხდებოდა გერმანიაში, ასახავდა მთელი ეპოქის ცხოვრებას, ეს იყო *fine fleur*, ნეიტრალური კულტურის აღორძინება. ესთეტიკური ჰუმანიზმის საფარქვეშ იმ დროიდან მოყოლებული ჩვენს დრომდე, ყოველთვის ისმოდა რელიგიური ცხოვრების არა ჩახშობილი, არამედ მიყრუებული გულისცემა. ამიტომაა, რომ XVIII საუკუნის უდიდესი პოეტური ქმნილება – გოეთეს „*ფაუსტი*“ – სიმბოლურად გამოხატავს ევროპაში ქრისტიანობის საწყისს, იმ მნიშვნელობით, რომ ევროპელი ადამიანი ვერ დამშვიდდა სასრულ სამყაროში, ის ეძებს მარადიულს – რაც სწორად აღნიშნა ჸპენგლერმა. ეს ნამდვილად ასეა, თუმცა აქ უსასრულობის წყურვილი მიმდინარეობს იმანენტური, ამ-ქვეყნიური სამყაროს ჩარჩოებში. რელიგიური მოთხოვნები ხშირად ესთეტიკურ ჰუმანიზმშიაც კი პოულობენ, რელიგიური განცდებისა და მოლოდინის რადაც სუროგატს, სწორედ ამაში მდგომარეობდა და მდგომარეობს ამ მითოლოგების ამოცანა. ესთეტიკურ ჰუმანიზმში მეტი სიახლოვეა რელიგიურ სფეროსთან, ვიდრე სუფთა ესთეტიზმთან, ან სუფთა მორალიზმთან, ამის მშვენიერ მაგალითს წარმოადგენს იგივე გერმანული რომანტიზმი (ნოვალისი, ფრ. შლეგელი). თუმცა რომანტიკულ რელიგიურობას არ აქვს ღრმა ფეხები, შეგახსენებო რელიგიური სფეროს იმ „*ფსიქოლოგიურ*“ ინტერპრეტაციას, რომელიც მოგვცა შლაიერმახერმა, რომელსაც ნამდვილად ჰქონდა დამდუპველი გავლენა გერმანულ პროტესტანტიზმზე. უკვე სენტიმენტალიზმში, რომლის ფეხები რელიგიურ სფეროშია გადგმული<sup>6</sup>, ადგილი ჰქონდა ამ „*ფსიქოლოგიზაციას*“, მისი გაგრძელება იყო პიეტიზმი, მოგვიანებით რომანტიზმი. და მაინც რელიგიური

<sup>6</sup> იხ. Wieser'ას საინტერესო შრომა: *Der sentimentale Mensch.*

ცხოვრების მაჯისცემა, თუმცა შესუსტებული, აქ მაინც საგძნობია, და ამ კუთხით ესთეტიკური ჰუმანიზმი აღმოჩნდა ამ ახალ ტონალურ რელიგიურ ცხოვრებასთან შესაბამისობაში.

ესთეტიკური ჰუმანიზმის ძირითადი ცნება განსაკუთრებული ძალით განავითარა შილერმა თავის ნაშრომში – „წერილუბი ესთეტიკური აღზრდის შესახებ“ – სადაც მკაფიოდ გამოხატა არარელიგიური განმარტება ადამიანური „ბუნებისა“. შემეცნებისა და მორალური სფერო, შილერის მიხედვით, იძლევა ადამიანის სულიერი ცხოვრების, მისი შემოქმედებითი აქტივობის ახალ განმარტებას. თუმცა შილერისთვის დამახასიათებელია მისი სწავლება schöne Seele ადამიანში მორალური და ესთეტიკური სფეროს შინაგანი ერთობის შესახებ; მეორეს მხრივ, ამავე ეპოქაში ვითარდება „გრძნობების ფილოსოფია“, „უშუალობის“ კულტი (იაკობი), თავისებური ფსიქოლოგიური „რუსოიზმი“, ანუ ნამდვილი „ბუნებრიობის“ უზენაესი ფასეულობისადმი რწმენა, რომელიც არ არის ჩახშობილი და დამახინჯებული სხვა ფსიქოლოგიური ძიებებით<sup>7</sup>.

რომ განვსაზღვროთ ამ ახალი მითოლოგების აზრი და მნიშვნელობა, რომელიც მოწოდებულია ისეთი კულტურის დამკითხულებისთვის, რომელიც მოწყვეტილი იქნება ყოველგვარ ტრანსცენდენტალურს, უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ადამიანის ესთეტიკურ სფეროს უფრო ღრმად, ქვეცნობიერში აქვს გადგმული ფუნქციი, ვიდრე სულიერი ცხოვრების ფორმებს. ესთეტიკური განცდების მამოძრავებელ ძალას ვუწოდებთ „შთაგონებას“ (ბერძნები მას უწოდებდნენ „ენთუზიაზმს“, ამ სიტყვას საფუძვლად უდევს Theos – ღვთაება), ამით თითქოს ხაზს ვუსვამთ იმას, რომ ჩვენი ესთეტიკური მხარე ემპირიულზე უფრო ღრმაა. და ამიტომაც ესთეტიკური განცდები, რომლებიც არ ემორჩილება გონების პირდაპირ კონტროლს, განსაკუთრებით ადვილად ემორჩილება სეკულარულ ტონებში ხელახალ გადა-

<sup>7</sup> იხ. ვ.ა. კოშევნიკოვის შესანიშნავი, თუმცა, სამწუხაროდ, დაუხრულებელი წიგნი „XVIII საუკუნის გრძნობებისა და რწმენის ფილოსოფია“ (რომლის მხრივ პირველი ტომია გამოცემული), ასევე Obernauer-ის წიგნი “Der astetische Mensch in deutsch Literatur”.

სინჯვას და სხვაგვარ განმარტებას. XVI განსაკუთრებით XVII საუკუნეში უპერ მიუღებელი იქნებოდა დანტე, მისი თემები, მისი მიღომა საკითხებთან, ის მიუღებელი იქნებოდა სეკულარიზ-მის ზოგადი სულიერი მითითებებისთვის. აქვე უნდა აღინიშ-ნოს „თავისუფლების“ ის განსაკუთრებული გაბება, რომელიც თან ახლავს ესთეტიკურ განცდებს, – თავისუფლების ესთე-ტიკური გაგების თავისებურება არის ის, რომ აქ ყველაფერს განსაზღვრავს „შთაგონება“, რომელმაც არ იცის არც მორალური, არც რაციონალური შეზღუდვები, ამიტომაც ადვილად შეუძლია ჩვენი მოწყვეტა, როგორც მორალურობის, ასევე გონიერებისგა-ნაც. უკვე იტალიური რენესანსის დროიდან ეს იგრძნობოდა საქმაო ძალით – და მისი მცდელობები (ჯერ ინგლისში, შემდეგ გერმანიაში), გამოვლინდა მორალური და ესთეტიკური სფერ-ობის შინაგანი ერთობის სწავლების გავრცელებაში. ამ მიმარ-თებით შილერის აზრი „Schöne Seele“ იყო უმაღლესი წერტილი.

ამით აიხსნება ესთეტიკური პუმანიზმის წარმოშობა, და რაც მთავარია – მისი მნიშვნელობა, როგორც რელიგიური ფიქტუ-რიის სურვეაგრისა, როგორც ახალი მითოლოგიასა, რომელიც მოწოდებულია სულის ადრინდელი რელიგიური მისწრაფებების ჩასანაცვლებლად. ესთეტიკურ პუმანიზმს შეიძლება ვუ-წოდოთ რელიგიური ცხოვრების ყველაზე წარმატებული სურ-გატი, ვინაიდან მასში ნამდვილად ხდება ესთეტიკური და მორა-ლური სფეროების დაახლოება, ვინაიდან მასში ერწყმიან ერთ-მანეთს მორალური და ესთეტიკური იდეალიზმი და ამაში პოუ-ლობს გამოხატულებას ადამიანის სულიერი ძიებები. თუმცა ეს კონცეფცია არის ძალიან უსუსური და მისი მტკიცებულებები ვერ უძლებენ ვერავითარ კრიტიკას, უპირველეს ყოვლისა კი მასში ფერმკრთალდება სწორედ მორალური მხარე. ესთეტიკური პუმანიზმიდან ხშირად ხელში შეგვრჩება მხოლოდ „სუფთა“ ესთეტიზმი, შემდეგ კი – ესთეტიკური ამორალიზმი, ის, რასაც ლეონტიევმა დიდი წარმატებით უწოდა „დახვეწილი უზნეობის პოეზია“. უკვე XVIII საუკუნის შუა ხანებში გერმანულ ირაცი-ონალიზმში, ე.წ. Sturm und Grand Periode-ში ეს აისახა საქმაოდ მკაფიოდ, დროული იქნება აქ შილერის „ავაზაკების“ გახსენე-

ბაც, რომელსაც თავის დროზე დიდი წარმატება ხვდა წილად. ესთეტიკური ჰუმანიზმი დღემდე არსებობს, და ხშირად იპყრობს ძიებაში მყოფი სულების ყურადღებას. თუმცა მისი დახვეწილობის უკან იმალება საშინელი მორალური სიცარიელე, და ეს დასტურია ესთეტიკური ჰუმანიზმის მოჩვენებითობისა და არარეალურობის. ის გვთავაზობს რაღაც მითს, სასურველ, თუმცა არა ნამდვილ რეალობას – და თუ ესთეტიკური ჰუმანიზმი გვხვდება დღესაც, ეს მხოლოდ იმიტომ რომ, სულს რელიგიური ცხოვრების მხედველობაში მიღებისას სჭირდება ცხოვრების იმ ნათელი გზის რწმენა, რომლისკენაც ისწრაფის გული, თუმცა რომლისთვისაც უკვე არ არსებობს რელიგიური საფუძველი. სწორედ ამიტომაც ესთეტიკური ჰუმანიზმი გვხვდება ისეთ ადამიანებში, როგორიც იყო, მაგალითად, გერცენი, რომელშიაც თანაბარი ძალით გვხვდებოდა მორალური იდეალიზმიც და მშვენიერების ძიებაც, ან გლებ უსპენსკი, რომელმაც თავის შესანიშნავ მოთხოვნაში სახელწოდებით „Выпрямила“ (სერიიდან „ტიაპუშკინის წერილები“) შესანიშნავად აღწერა მხატვრული შთაგონების განმაახლებელი ზემოქმედება. თუმცა რუსულ ლიტერატურაშივე ვპოულობო მთელი ესთეტიკური ჰუმანიზმის სიცრუისა და სიყალბის მკაცრ და სამართლიან მხილებას. მე აქ მხედველობაში მაქვს გოგოლიც (იხ. მისი „ნევის პროსპექტი“, სადაც გადმოცემულია მხატვრის დრამა, რომელიც ცხოვრობდა მშვენიერებისა და სიკეთის ერთობის რწმენით და რომელმაც ვერ გაუძლო, რომ ისინი ფაქტობრივად არ ემთხვეოდნენ ერთმანეთს) და ტოლსტოიც („სილამაზესა და სიკეთეს არაფერი აქვთ საერთო“ წერდა ის ტრაქტატში „რა არის ხელოვნება“), ბოლოს, დოსტოევსკიც (დიმიტრი კარამაზოვის სიტყვებში იმ თემაზე რომ „სილამაზე საშიში რამ არის... აქ ყველა ნაპირი მსგავსია“). ესთეტიკურ სფეროს ნამდვილად აქვს არა მარტო ჩავარდნები და სიმახინჯები, ის არა მარტო ადგილად ბინძურდება ამორალური მოქმედებებით, არამედ მას საერთოდ არ გააჩნია არაფითარი შემაჩერებელი, მაკონტროლებელი საწყისი, გარდა უშუალო „ალდოსი“. სუფთა ესთეტიზმის ეს სიბრმავე გვეუბნება, რომ სულიერი ცხოვრების არც ერთი სფერო ისე არ

საჭიროებს მუდმივ კურთხევასა და განათლებას, როგორც ესთგ-ტიკის სფერო. ესთეტიკური სფეროს სულის რელიგიურ ცხოვ-რებასთან დაკავშირება არსებითად მას უფრო მეტად სჭირდება, ვიდრე სულიერი ცხოვრების ნებისმიერ სხვა სფეროს, თუმცა არ უნდა დაკიფიქოთ არც ის, რომ ესთეტიკურ სფეროზე ეპ-ლესის მაკურთხებელი მოქმედება მიმდინარეობს ცნობიერების საზღვრებს მიღმა და ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ შედეგების, მხოლოდ ბოლო მოქმედებების გაკონტროლება.

საერთოდ სულის არც ერთი უბანი არ არის ისე მგრძნობი-არე კულტურის საერთო ტონალობის მიმართ, როგორც ესთგ-ტიკური სფერო, და შემოქმედების არც ერთი სფერო ისე არ იჩაგრება სეკულარიზმით, ეკლესიისა და კულტურის ერთმანეთის-გან გამიჯვნით, როგორც ხელოვნება. თავს უფლებას მივცემ და მივუთითებ მყითხველს ვ. ვ. ვერდლის „შესანიშნავ წიგნს „ხელოვ-ნების კვდომა“, სადაც ნაჩვენებია ეს ყველაფერი უზარმაზარ მასალაზე დაყრდნობით. თანამედროვე ხელოვნება, რომელიც მოწყდა იმ ერთობას, რომელიც მხოლოდ დმერთში იხსნება, უარს ამბობს თავის ქმნილებებში წარმოაჩინოს ადამიანისა და ბუნე-ბის ერთობა. მეორე მხრივ, მხოლოდ ლამაზი ფორმების ძებნით ხდება ხელოვნების გადაგვარება, ანუ ის მიღის ესთეტიკური ჰედონიზმის გზით, ხდება უძლური საიმისოდ, რომ მხატვრულად აღიქვას ყოფიერების „საზრისი“ ადამიანისა და ბუნების „არსი“, ვინაიდან ის იქცევა ტრაგიკული მსოფლშეგრძნების მეგზურად, დაკავებულია მხოლოდ ზედაპირული ყოფიერების ასახვით, და არ შესწევს ძალა „მარადიული ცხოვრების ხმის“ გასაგონად.

თუკი ესთეტიკურ ჰუმანიზმს დავარქმევთ რელიგიური ცხოვ-რების „მეტ-ნაკლებად წარმატებულ“ სუროგატს (ვინაიდან მას-ში ყალიბდება სულის საუკეთესო თვისებები), ის მაინც დარჩე-ბა სუროგატად. მას არ აქვს ცოცხალი შეხება მიღმიურ რეალო-ბასთან, არ აქვს ღმერთის ის განცდა, რომელსაც შეუძლია სუ-ლის ავსება, სრული დაქმაყოფილება. გარდა ამისა, ის თავისთა-ვადაც ადგილად განიცდის რდვევას, ვინაიდან იძლევა იმ ამოცანის მოჩვენებით გადაწყვეტას, რომელიც დგას რელიგიისგან განდგო-მილი სულის წინაშე. ეს გადაწყვეტა მოჩვენებითა იმიტომ,

რომ თუკი ესთეტიკური და მორალური გზები არ არის გამყარებული რელიგიით, ისინი მკვეთრად ემიჯნებიან და ავიწროებენ კიდევ ერთმანეთს. ერთობის ის საწყისი, რომელიც ატყვევებს ესთეტიკური პუმანიზმის განზრახვას, უნდა ვეძებოთ მხოლოდ მორალური და ესთეტიკური სფეროს მიღმა. და თუ ჩვენი ეპოქა ასე ეჭიდება ესთეტიკას, სილამაზის კულტს, ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ვერც სუფთა მორალიზმით და ვერც სუფთა „სციუნიზმით“ ის ვერ კმაყოფილდება. თუმცა ესთეტიკასთან სულიერი ცხოვრების სხვა ფორმების შეკავშირება ესთეტიკურ პუმანიზმს არ შეუძლია – ის არის ცნობიერების ოცნება, და არა ცოცხალი რეალობა, პროგრამა, რომლის განხორციელებაც ძნელია. ესთეტიკური პუმანიზმი არის მხოლოდ ახალი ვარიანტი იმ მითოლოგიებისა, რომელსაც გვთავაზობს თანამედროვე კულტურა, რომელიც სულის რელიგიური მოთხოვნების პასუხს ეძებს რელიგიის მიღმა.

## VIII

მორალური ძიების წყარო, რომელიც ვითარდებოდა „ახალი ცნობიერების“ პირობებში, ანუ ეკლესიისგან გამიჯვნის პირობებში, იყო ადამიანის შინაგანი სამყაროს სულიერი მოთხოვნები. როცა მორალური ცხოვრების მისტიკური დასაბუთება აღარ მოქმედებდა, ადამიანის სულის სიღრმეში მაინც აგრძელებდა ცხოვრებას „სიკეთის შთაგონება“ (ვლ. სოლოვიოვის გამოთქმის თანახმად). სულის სიკეთისადმი მისწრაფების წყარო იყო სახარებისეული სწავლება, რომლის დავიწყება სულს არასდროს არ შეუძლია. კერძოდ, აქ მხედველობაში გვაქვს სახარებისეული უწყება ადგიომის შესახებ, რომელიც რეალურად ადებს ადამიანის წინაშე მარადისობის კარს, ამაღლებს მას ბუნებაზე. ამის შუქზე პიროვნება არ არის უბრალო „ჯამი“ ამათუ იმ სულიერი თუ ხორციელი თვისებებისა, – სახარებისეული სწავლების თანახმად, ის დავთის მიერ მარადიული ცხოვრებისთვისა მოწოდებული. სახარება, ნამდვილად მოიცავს თავის

თავში, პეტრე მოციქულის გამოთქმის თანახმად, „მარადიული ცხოვრების დაღადს“ – რომელიც ყოველი ადამიანისთვის ახლობელი და ძვირფასია. ის არის ჩვენი სულის ძალიან ღრმა ძიებების გამოხატულება – აბსოლუტურის სფეროში დამკვიდრების წყურვილი. დათისკენ სულის ეს სწრაფვა პიროვნებას მატებს უსასრულობის ძიების სურვილს და ამით აცოცხლებს ჩვენს სულიერ ცხოვრებას.

ასეთია სულის რელიგიური მოქმედებების მუდმივი იმპერატივები. თუმცა ცნობიერების დექრისტიანიზაციის, სეკულარული კულტურის პირობებში ამ იმპერატივებს უნდა ეპოვნათ ისეთი ფორმა, რომელიც ადამიანს არ დაუბრუქებდა დამერთს, არამედ დატოვებდა მას საკუთარ თავთან. ეს ყველაფერი გამოიხატა ჯერ ინდივიდუალიზმის, მოგვიანებით კი – პერსონალიზმის იდეოლოგიაში, და ის მითოლოგიური ბურუსი, რომელიც აქ გარდაუვალია (პიროვნების საიდუმლოს არარელიგიური გააზრების შემთხვევაში, თუმცა პიროვნების ინტეიცია მთლიანად გამსჭვალულია „მარადიული ცხოვრების დაღადის“ ნათლით) არის ცოცხალ კავშირში ხელოვნების „ავტონომიის“ საერთო მითოლოგიასთან.

ისტორიული ინდივიდუალიზმი, როგორც ის პირველად გამოვლინდა იტალიურ რენესანსში (საიდანაც გავრცელდა მთელ ევროპაში), რა თქმა უნდა, პასუხობდა დასავლეთის ხალხის – ცხოვრების „მშენებელთა“ – საერთო მდგომარეობას. დასავლეთის მთელი ისტორია, მთელი თავისი ურიცხვი პატარა თუ დიდი პოლიტიკური, სავაჭრო თუ კულტურული ცენტრებით, ხელს უწყობდა ძლიერი, დამოუკიდებელი, ამაყი, თავდაჯერებული პიროვნებების ჩამოყალიბებას, თუმცა, რა თქმა უნდა, ყოველგვარი ინდივიდუალიზმის „იდეოლოგიის“ გარეშე. ინდივიდუალიზმის იდეოლოგიური გაფორმება ხდებოდა რომის სამართლის გავლენით, პიროვნების მისეული იურიდიული განმარტებით, განსაკუთრებით ე.წ. „ბუნებრივი სამართლის“ ხაზით. ეს ჩვენი ეპოქის ფორმირების უმნიშვნელოვანესი მომენტია; ადამიანის „ბუნებრივი სამართლის“ მითან ერთად აღორძინდა (და დღემდე ცოცხლობს) ის ანტიკური იურიდიული დადგენი-

ლება, რომელიც არსობრივად უცხოა ქრისტიანობისათვის. ადამიანის ქრისტიანული გაგების თვალსაზრისით ყველაფერი ონტოლოგიურადაც და ეგზისტენციალურადაც ქრისტოცენტრულია, ჩვენში ყველაფერი ქრისტესგანაა, როგორც ამას გვეუბნება პირველი ჟამის ლოცვა, სადაც ნათქვამია, რომ ქრისტე „განანათლებს და განწმენდს ყოველთა“. ჩვენი ადამიანობის საფუძველი ქრისტეშია, და არა ქრისტეს გარეშე აღებულ „ბუნებაში“. როგორც ვიციო, ადამიანის „ბუნებრივი სამართლის“ მითოლოგია (ამ მითოლოგიაში, ისევე, როგორც ყველა სხვა მითოლოგიაში არის ჭეშმარიტების წილი, თუმცა ჭეშმარიტების ამ წილს ემატება ბევრი სხვა რამ, რაც მიჯნავს ჩვენს „ბუნებას“, ჩვენს ადამიანობას ქრისტესგან) ცოცხალია დღესაც, მაშინ როცა პიროვნების ყოფიერების ფილოსოფიაში ჭეშმარიტი იდეოლოგიური საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ სახარებისეული უწყება აღდგომის შესახებ. პიროვნების საწყისის მხოლოდ მარადიულობაში დამკვიდრებით, ანუ მხოლოდ მისი მეტაფიზიკის საშუალებითაა შესაძლებელი პიროვნების თემის განხილვა.

თუმცა მთელი ჩვენი ეპოქა ცხოვრობდა და ცხოვრობს სულ სხვა რამით – პიროვნების ქრისტიანობამდელი და არაქრისტიანული საფუძვლით (რაც არის მისი „ავტონომია“). ჯორდანო ბრუნოს „ჰეროიკული მორალი“ (XVI საუკუნის ბოლო) ძალიან სწორ ფორმულირებას აძლევს ამ ახალ თვითშეგნებას – თავისთავად ადამიანის მთელი „ბუნება“, ანუ მიუხედავად იმისა არის თუ არ ის ეკლესიასთან კავშირში, გაგებულია როგორც ფასეულობა. მოვიანებით, როცა კანტმა წამოაყენა პიროვნების აბსოლუტური ფასეულობის შესახებ სწავლება („პიროვნება არასდროს არ შეიძლება იყოს საშუალება, ის არის მიზანი“), – ამით მხოლოდ ბოლომდე მიიყვანა ინდივიდუალიზმის იდეოლოგია. ამ იდეოლოგიის თანახმად, პიროვნება თავის თავში არის სამართლისა და თავისუფლების მატარებელი, მას არა მხოლოდ შეუძლია, არამედ ვალდებულია აღმოაჩინოს საკუთარი თავი, მაგრამ ის თავისთავად, ანუ მისი ეკლესიასთან კავშირის გარეშე, წარმოადგენს სამყაროში არსებულ უმაღლეს ღირებულებას. პიროვნების პრინციპის ეს უმაღლესი შეფასება,

რომელიც ამ დროისთვის უკვე უკაგშირდებოდა ლიბერალიზმის დოქტრინას, მიეკუთვნება არა მის რეალურ გამოვლენას (რომელიც შეიძლება იყოს მწირი, მახინჯი და განუვითარებელი), არამედ თვითონ პიროვნების პრინციპს – აქ ნათლად იგრძნობა იურიდიული აქცენტი.

ინდივიდუალიზმა იდეოლოგიურად გამოვლინა თავი არა მხოლოდ ლიბერალიზმის დოქტრინაში – ის იქცა თავისუფალი შემოქმედების ლოზუნგად, პიროვნების მიერ ინდივიდუალური გზის თავისუფალ აღმოჩენად. ინდივიდუალიზმა იპოვნა თავისი გამოხატულება არა მხოლოდ პოეზიაში, არა მხოლოდ იდეოლოგიურ შემოქმედებაში, არამედ დასავლეთის რელიგიურ მოძრაობებშიც (რეფორმაციის დროიდან, რომელმაც დიდი ბიძგი მისცა რელიგიური ინდივიდუალიზმის განვითარებას).

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ინდივიდუალიზმი ისევ რჩება სეკულარიზებული აზრის ბაზად, იგი მდიდრდება იმ ახალი სოციალური ცნობიერების გავლენით, რომელიც განვითარდა თანამედროვე სოციალური ცხოვრების რთულ თემებთან ერთად. ამიტომაც ინდივიდუალიზმში თანდათანობით იდეოლოგიურად ქრება ის პოლუსი, რომელიც ადგილად გადადის ეგოცენტრიზმში, superiority complex-ით და სიძულვილით „ბრძოსადმი“, პირიქით, უფრო მეტად ვითარდება მისი სხვა პოლუსი, რომელიც მიმართულია საზოგადოებისკენ, განსაკუთრებით მათგან, ვინც უსწავლელი, ავადმყოფი და უპოვრია. ინდივიდუალიზმი გადაიზარდა პერსონალიზმში, სადაც პიროვნება განიხილება უფრო სულიერ შტრიხებში, განთავისუფლებულია ეგოცენტრიზმისგან, პიროვნების საკუთარ თავში ჩაკეტილობისგან. პერსონალიზმი იქცა მთელი ფილოსოფიური მიმდინარეობის ლოზუნგადაც კი, რომელიც სხვადასხვა ფორმით ცდილობს დასასაბუთოს პიროვნების არსიდან, მისივე მეტაფიზიკური საფუძვლიდან გამომდინარე პრეტენზიები. იშვიათი გამონაკლისის გარდა, პერსონალიზმი სეკულარული კულტურის საზით ფორმულირებას აძლევს თავის იმედებსა და პრეტენზიებს; ხოლო პერსონალიზმის უახლესი ვარიანტი, რომელიც ცნობილია ეგზისტენციალიზმის სახელით, სარტრის საშუალებით

აცხადებს, რომ სწორედ ის არის ჭეშმარიტი ჰუმანიზმი, ადამიანის ჭეშმარიტი ფილოსოფია, რადგან მას არაფრის ცოდნა არ სურს დმერთის შესახებ და უარყოფს ადამიანის ეკლესიასთან და საერთოდ მიღმიერ სფეროსთან კავშირს.

ინდივიდუალიზმი და პერსონალიზმი სხვადასხვა ფორმით განსაკუთრებული ძალით გამოხატავენ სეკულარული კულტურის მთავარ იდეას და პიროვნებას დიდ სივრცეს უხსნიან შემოქმედებისათვის. თუმცა ადამიანის ეკლესიისგან და ლვოსგან მოწყვეტით ინდივიდუალიზმს სამყარო მაჟყავს ტრაგიკული და მტანჯველი მარტოობისკენ, რომლის ბოლო სიდრმეა ლვოსგან მიტოვებულობის განცდა. ინდივიდუალიზმის იდეოლოგიის თანახმად, პიროვნება არის ყველაზე ძვირფასი რამ სამყაროში, თუმცა ის ყველაზე უმწეოც არის, ის ყოველი მხრიდან განიცდის შევიწროებას: „ქვემოდან“ – ბუნების მიერ, მისი ბრძან ძალების თამაშის სახით; ადამიანური თვალსაზრისით – ის შევიწროებულია ადამიანებთან ბრძოლით, მათი ვნებებით, „უთანხმოვებებით და ტრაგიკული გაუგებრობების გარდაუვალობით, რომელიც შლის ყველა ნათელ წერტილს ადამიანთა ურთიერთობებში. პიროვნება შევიწროებულია ასევე „ზემოდანაც“ – ცხოვრების იმ ირაციონალური მომენტებით, საიდანაც ანტიკურ მითოლოგიაში წარმოიშვა „ბედის“, „ბედისწერის“ გაგება (რაც ქრისტიანობაში ჩაანაცვლა „ჯვრის“ იდეამ ადამიანის ცხოვრებაში). ადამიანის მთელი პრეტენზიები განეკუთვნება ყველა ამ შევიწროებას, და რაც მეტი მოლოდინი აქვს პიროვნებას, მით უფრო სასტიკია მისი იმედგაცრუება. უსასრულო ცხოვრების, სისავსის შეგრძნებისა და შემოქმედების წყურვილი უფრო მეტად ტანჯაებს ადამიანს, ვიდრე ავსებს, ვინაიდან მათი მზერა მიქცევულია იმ უსასრულობისკენ, რომელიც სეკულარული ცნობიერებისთვის არ არის ცოცხალი რეალობა, არ არის პირადი ლვთაება, ის არის რადაც მიუწვდომელი, თავისი არსით ყოველი ადამიანის ბედის მიმართ გულგრილი პერსპექტივა. ინდივიდუალიზმსა და პერსონალიზმს აქვს პრეტენზია იყოს „იდეოლოგია“, ფაქტობრივად ისინი დიდი ხანია მითოლოგიები არიან, ვინაიდან გვიხატავენ მიმზიდველ, თუმცა ცხოვრების არარეალურ გზას, ქმნიან

რაღაც მითს ცხოვრების თავისუფალი, ნათელი, შემოქმედებითი, ბედნიერი გზის შესახებ. ჩვენს დროში უპყე ვისი მისამართით ადარ შეიძლება აპოკალიფსის სიტყვების გამოყენება: „რადგანაც ამბობ: მდიდარი ვარო, გავმდიდრდი და აღარაფერი მჭირდებაო, და ის კი არ იცი, რომ „უბადრუკი ხარ და საწყალობელი, გლახაკი, ბრმა და შიშველი“ (გამოცხ 3,17).

ნამდვილად არაფერია იმაზე მწარე და ნადვლიანი, ვიდრე ინდივიდუალიზმის მითოლოგიის დაპირისპირება პიროვნების რეალურ ცხოვრებასთან, – არსად ისე სასტიკად არ სჯის ცხოვრება ადამიანებს პიროვნების შესახებ ქრისტიანული სწავლების დაკარგვის გამო, როგორც ამ უმძიმეს რეალობაში, მის მწარე ხვედრში.

ის, რასაც გულისხმობდა ქრისტიანობა პიროვნებასთან მიმართებაში, რაც დღესაც ცოცხლობს თითოეული ქრისტიანის გულში, გვიხმობდა და დღესაც გვიხმობს ცხოვრების სულ სხვა გზისკენ. ქრისტიანული ცნობიერებისთვის პიროვნება ქრისტეს ეკლესიასთან პირდაპირი კავშირის გარეშე – არაფერია. პიროვნების ქრისტოცენტრული განმარტება იმას ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია „საკუთარი თავის პოვნა“, ცხოვრებასა და ისტორიაში შემოქმედებითი გზით სიარული მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ ვიცხოვრებთ ქრისტეში, მის ეკლესიაში, თუ ვსაზრდოობთ სულიწმინდის მადლით. ადამიანში პიროვნება არის დვთის ხატება, ხატება აბსოლუტური პიროვნებისა, – ადამიანის პიროვნება დმერთოან კავშირის გარეშე წარმოადგენს მრავალფეროვანი ყოფიერების მხოლოდ ფორმალურ ცენტრს, რომელიც მასშივეა მოქცეული. პიროვნება სულაც არ არის ამ ყოფიერების პატონი ან მესაკუთრე – ჩვენ რომ ეს გველიარებინა, ჩავვარდებოდით მეტაფიზიკურ პლურალიზმში, ჩვენი ყოფიერების აბსოლუტიზაციაში. ჩვენი ნებით ხომ არ მოვდივართ ამ სამყაროში; „გადაწყვეტილებებში“ ჩვენ თანდათან აღმოვაჩენთ თავისუფლების ნიჭს, „გადაწყვეტილების მიღების“ შესაძლებლობას, სხვადასხვა გზებს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას. თავისუფლების ამ აქტებში ჩვენი ცნობიერების წინაშე წარმოდგება პიროვნების საწყისის მთელი მნიშვნელობა – შეიძლება ითქვას, რომ

ჩვენ მით უფრო მეტად ვართ პიროვნებები, რაც უფრო მეტად ძგერს ჩვენში თავისუფლების მაჯისცემა, რაც მეტად „ვიდებთ გადაწყვეტილებებს“, რომლის აქტებშიც რეალიზდება ჩვენი თავისუფლება. რა თქმა უნდა, ჩვენი თავისუფლება სულაც არაა ილუზია, ადამიანის თავისუფლება მოიცავს რაღაც საიდუმლოს, რომლის ამოხსნაც შესაძლებელია მხოლოდ ეკლესიური ცხოვრებით. ბოლომდე რომ გავიგოთ ადამიანში პიროვნების საწყისის საზრისი და საზღვრები და რომ გავათავისუფლოთ ჩვენი აზრები იმ მითოლოგიისგან, რომელიც შემოაქვს აქ ინდივიდუალიზმის თუ პერსონალიზმის ტენდენციებს (როგორიცაა ეგზისტენციალიზმი, რომელიც ასევე წარმოადგენს თავისუფლების ერთგვარ ფილოსოფიას), ჩვენი ყურადღება უნდა შევაჩეროთ იმ არასწორ სწავლებებზე, რომლებიც ჩახლართულია თავისუფლების თემაში და რომლებიც ჩრდილში აქცევენ ქრისტეს უწყებებს პიროვნებაში ნების თავისუფლების შესახებ.

ქრისტოცენტრიზმს ადამიანის გაგებაში აქვს ისეთი ასპექტი, რომელსაც ვერ ვაცნობიერებთ, როგორც ქრისტესთან დაკავშირებულს და ამიტომაც ის შეიძლება ჩვენ მიერ აღიქმებოდეს, როგორც უბრალოდ ადამიანის „ბუნება“. ასეთია ადამიანის „ბუნებითი გონება“ (*lumen naturale rationis*) – ისიც ქრისტესგანაა (ვინაიდან ქრისტე, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, „განანათლებს ყოველსა კაცსა მომავალსა სოფლად“), თუმცა მას არ აქვს ქრისტესთან კავშირის შეგრძნება. იგივე უნდა ითქვას თავისუფლების შესახებაც – ისიც ქრისტესგანაა ჩვენში; და სწორედ ამიტომაც თავისუფლების საიდუმლოს ჩვენ აღმოვაჩენთ სწორედ ქრისტესთან და ქრისტეში. თუმცა აქ საქმე უფრო რთულდაა, *lumen naturale libertatis* გვინათებს ისე, რომ სულაც არ გვიჩვენებს თავის შინაგან დიალექტიკას. უბრალო „სპონტანურობაშიც“ კი (რომელიც ნიშანდობლივი იყო ჯერ კიდევ ადამიანამდელი ბუნებისთვის) არის თავისუფლების შეგრძნება; თავისუფლების პირველი ასპექტი, მისი პირველი საფეხური იმის ნიშანია, რომ ჩვენ თავისუფლები ვართ მაშინ, როცა წინააღმდეგობების გარეშე შეგვიძლია ჩვენი სურვილების, გეგმების, მისწრაფებების რეალიზაცია. თუმცა ჩვენს სურვილებში, გეგმებსა თუ მისწრაფებებში ჩვენ

ჯერ კიდევ არ ვართ თავისუფლები – ყველა ჩვენი მისწრაფება ჩვენ უბრალოდ გვეძლევა, ისინი ამოზრდილი არიან ჩვენი არსების სიღრმიდან. უბრალო სპონტანურობა ჯერ კიდევ არ არის თავისუფლება თავისი ნამდვილი და ჭეშმარიტი მნიშვნელობით.

გაცილებით რთულად ხდება თავისუფლების გამოვლენა სოციალურ სფეროსთან დამოკიდებულებაში, რომელიც წინააღმდეგობებს უქმნის ჩვენს „სპონტანურობას“<sup>8</sup>. თუმცა კიდევ უფრო მეტი სირთულე შემოაქვს თავისუფლებისთვის მორალურ საწყისს, რისგანაც ჩვენი მისწრაფები და სურვილები განიცდიან შინაგან ზეწოლას, – აქ კიდევ უფრო ძლიერად, ვიდრე თავისუფლების სოციალურ ასაკებელში, წინა პლანზე გამოდის ჩვენი თავისუფლების დრამა, – მისი უძლეურება. ამ „უძლეურების“ უკან, რომლის არსიც არ უკავშირდება მხოლოდ პირველქმნილ ცოდვას, ჩვენ წინაშე პირველად იმდება რაღაც „ნაკლოვანება“, თავისუფლების ნიჭის „ფრთამოტეხილობა“, გადაწყვეტილებები, რომლებიც ვერ ხორციელდება და ვერ ავლენს თავისუფლების ნიჭს, მხოლოდ ოცნებები, გეგმები და ამოცანებია – რაც ქმნის უკვე არა დრამას, არამედ თავისუფლების ტრაგედიას. მართლაც, თავისუფლება, რომელსაც უკვე ზიანი მოაქვს ადამიანისთვის, გადადის მეოცნებობაში, უნაყოფო ქცევებში (გეგლები მაღლმოსილი მისწრაფები, თუმცა არ შეგვიძლია მათი აღსრულება), მივყავართ მხოლოდ საკუთარი თავის მოშეამგამდე, შემოქმედებით ტანჯვამდე – ამ დროს ადამიანის სული ისევე იტანჯება, როგორც ჩიტი გალიაში, ან მთლად გადართულია მცირე აქტივობებზე. მუდამ განვიცდით თავისუფლების უსაზღვრობას, თუმცა ამას, სამწუხაროდ, ვიქენებთ არა შემოქმედებისთვის, არამედ ნგრევისთვის. თავისუფლება ჩვენში რეალურიც არის და უძლეურიც; თავისუფლება გვიზიდავს, გვეძახის, თუმცა გვტანჯავს კიდევ; მუდამ ვპოულობთ და გვარგავთ მას; ის გვშორდება, ხდება მიუწვდომელი და ირაციონალური.

<sup>8</sup> სოციალური (და პოლიტიკური) შევიწროებებისგან პიროვნების თაფდაცვით თავისუფლება იძენს პრაქტიკულად უკიდურესად მნიშვნელოვან შინაარსს, თუმცა თავისთავად ამგვარი თავისუფლება გარებანი შევიწროების გამო ახლოსაც კი არ დგას ადამიანის ჭეშმარიტ თავისუფლებასთან.

თავისუფლების საიდუმლო თვით უფალმა გაგვიმხილა „შემდეგ სიტყვებში: „შეიცნობთ ჰეშმარიტებას და ჰეშმარიტება განგათავისუფლებო თქვენ“ (იოან. 8,32). ასევე მნიშვნელოვანია მაცხოვრის მომდევნო სიტყვები: „თუ ძე განგათავისუფლებო, თქვენ ნამდვილად თავისუფლები იქნებით“ (იოან. 8,36). ეს კი იმას ნიშავს, რომ თავისუფლება მეღავნდება ჩვენში მხოლოდ ჰეშმარიტებასთან თანაზიარებით; ქრისტესა და ეკლესიის გარეშე ის რჩება მიუღწეველი. აქედან გამოგყავს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფორმულა: თავისუფლება თუმცა არის ჩვენი თავისებური ინდივიდუალიზმის წყარო და გამოხატულება, მაგრამ მისი ჰეშმარიტი სუბიექტი მაინც არის ეკლესია – თავისუფლება „ჰეშმარიტად“ ეძლევა არა ცალკეულ ადამიანს, არამედ ეკლესიას<sup>9</sup>. ჩვენ იძენად ვართ თავისუფლები, რამდენადაც ვართ ეკლესიის წევრები. ამიტომაც არის სწორი ხამიაკოვის, კირევასკისა და სამარინის იდეა იმის შესახებ, რომ მხოლოდ ეკლესიაშია შესაძლებელი საკუთარი თავის პოვნა.

თავისუფლების ღვთისმეტველება უკიდურესად გართულებულია პირველქმნილი ცოდვის იდეით – მადლისა და „ბუნებითობის“ თანაფარდობა აქ იძენს მეტისმეტად არეულ ხასიათს, რის გამოც წინა პლანზე გამოდის ადამიანის თავისუფლების პრობლემის ორი სხვადასხვა უკიდურესობა და ორივე პრობლემის ერთნაირად არასწორი გადაწყვეტა. პირველი გადაწყვეტილება აველაზე უფრო მწვავედ გამოხატა ნეტარმა ავგუსტინემ, რომელმაც პირველმა წამოაეცნა პირველქმნილი ცოდვის დოქტრინა; მეორე გადაწყვეტილება, რომელსაც საფუძველი დაედო ნეტარი ავგუსტინეს დროიდან და პლატონის დროს გადაიზარდა თავისუფლების ფილოსოფიაში, ვინაიდან ის მკვიდრდებოდა სეკულარიზმის მთავარი ტენდენციების შესაბამისად. პირველი გადაწყვეტილება გახდა გამო ჩვენი

---

<sup>9</sup> ის სირთულე, რომელიც აქ აშკარად იწევს წინა პლანზე პიროვნების მეტაფიზიკის გამო, უნდა გადაიჭრას „კაცობრიობის ერთარსებობის“ ცნების საშუალებით. იხ. ჩემი ეტიუდი (გერმანულად) Das Bild d. Menschen in Ostkirche. Die Grundlagen d. Orthodoxen Antropologie. „ერთარსებობის“ ამ იდეაში უნდა ექმიოთ პიროვნების ცნების ჰეშმარიტი დასაბუთება.

თავისუფლება მიმართულია ბოროტებისკენ<sup>10</sup>. შესაბამისად, შემოქმედებითი თავისუფლება მთლიანად უნდა იყოს მიმართული მადლისკენ, რაც არსობრივად თავისუფლების უარყოფას ნიშნავს. ამ აზრს თავისუფლების შესახებ იზიარებს ის სწავლება, რომელსაც ავითარებს ტრანსცენდენტალიზმი – მას მხარს უჭერს როგორც კანტი, ასევე მისი მიმდევრებიც: აქ თავისუფლება მოიაზრება მხოლოდ ტრანსცენდენტული კუთხით – კანტის მიხედვით, ჩვენ თავისუფლები ვართ მაშინ, როცა ჩვენში იწყებს მოქმედებას „სუფთა ნება“, რომელიც არ მოიცავს თავის თავში არავითარ ემპირიულ მოტივებს, თუმცა ასეთი თავისუფლება არ შეიძლება წარმოადგენდეს ემპირიული სუბიექტის თავისუფლებას. ის, რაც საღვთისმეტყველო ენაზე ნეტარ ავგუსტინესთან განხილული იყო როგორც მადლი, – აქ მიეკუთვნება რადაც მითიურ ტრანსცენდენტულ სუბიექტს, ანუ არავითარ კავშირში არ არის ემპირიულ სუბიექტთან.

მეორე გადაწყვეტილება კი, რომელიც ასე დამახასიათებელი და მნიშვნელოვანია სეკულარული კულტურისთვის, მთელ თავისუფლებას და მის საიდეუმლოს აკავშირებს ემპირიულ პიროვნებასთან; ის გვასწავლის, რომ თავისუფლება, როგორც ჩვენი სულის „ბუნებრივი“ ძალა, არ საჭიროებს არც მადლმოსილ დახმარებას და არც ემპირიული პიროვნების „ტრანსცენდენტულ“ განწმენდას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ თავისუფლება აღიარებულია მთელი სულიერი ცხოვრების საფუძვლად, იგი არ წარმოადგენს სულიერი ცხოვრების ნაყოფსა და ყვავილს. თავისუფლების სწორედ ასეთი ფილოსოფია შინაგანად ენათესავება კულტურის სეკულარულ გაგებას, უფრო მეტიც, ის არის არარელიგიური კულტურის სული და გული. რელიგიური ცხოვრება, როგორც რაღაც „მეზონინი“, „ზედნაშენი“ შეიძლება იყოს,

<sup>10</sup> ამ იდეას, რომელიც განსხვავებულია მისი ადრინდელი მსჯელობებისგან, ჩვენში ავითარებდა ვლად. სოლოვიოვი – წიგნში „სიკეთის გამართლება“. თუმცა სიმართლის ის წილი, რომელიც გამოხატულია აქ მდგრმარეობს მხოლოდ იმის კონსტატაციაში, რომ „უსაზღვრობა“, რომელიც ნიშანდობლივია თავისუფლების საწყისისთვის, ქრისტეს გარეშე ვლინდება არა შემოქმედებითობაში, არამედ ნგრევაში. ამ მინიშნების გარდა სოლოვიოვთან ჩვენ ვერაფერს ვნახავთ.

შეიძლება არც იყოს – ის თვითონ წარმოადგენს აქ თავისუფლების ფუნქციას (რაც წინააღმდეგობაში მოდის ქრისტიანულ გაგებასთან, სადაც თავისუფლება არის რელიგიური ცხოვრების ფუნქცია).

თავისუფლება თავისი ფესვებით არის ინდივიდუალობის ფუნქცია – უფრო სწორად, ეს ორი რამ განუყოფელია თავიანთი ფესვებით. დოსტოევსკის „ადამიანი იატაკქვეშეოდან“ სრულიად მართებულიად გამოხატავს თავისუფლების საწყის არსეს, რომ მას „სურს თავისი ბრიყვული ნებით ცხოვრება“, – საკუთარი თავის თავისუფლად გამოვლენაში მდგომარეობს ჩვენი უდიდესი მოთხოვნილება, ვინაიდან ეს უკავშირდება პიროვნების, როგორც განსაკუთრებულ ყოფიერებას. მაგრამ საქმეც ის არის, რომ როცა ვიცხოვრებოთ საკუთარი „ბრიყვული ნებით“ ანუ თუ არ დავაკავშირებოთ ერთმანეთთან თავისუფლებასა და ჭეშმარიტებას, მაშინ საქმე გვაქს ყალბ თავისუფლებასთან. ის რეალურად შეიძლება გახდეს მხოლოდ დამანგრეველი; მაგრამ ის რომ იქცეს პიროვნების კეთილ ნაყოფად, აუცილებლად უნდა აიგხოს მადლომოსილი ძალით. თავისუფლების მთელი საიდუმლოც ის არის, რომ ის ყველა ადამიანში ინდივიდუალურია, და ამავე დროს სულ ში ხარობს არა მაშინ, როცა ვართ საკუთარ თავთან, არამედ მაშინ, როცა ვართ ქრისტესთან. მართლაც, ქრისტიანული უწყება თავისუფლების შესახებ, რომლისთვისაც ჩვენ ვართ მოწოდებულნი, გვეკუთვნის როგორც „ახალ ქმნილებებს“, ვინაიდან ვცხოვრობთ ქრისტეში და ქრისტესთან და ვცდილობთ მივიღოთ „დვთის შვილებად“ წოდების შესაძლებლობა. თავისუფლების ნიჭი ჩვენში იბადება კლესის საშუალებით, მისი განმწმენდელი ძალით, ხოლო კლესის გარეშე ჩვენ უფრო სუსტები ვართ, არაქრისტიანებზე დაბლა ვეშვებით, ვინაიდან, როცა ჩვენ არ ვცხოვრობთ კლესიაში, ჩვენში (ჩვენს გულებში) მაინც ცოცხლობს თავისუფლების უწყება, რომელიც გვიხმობს და გვაცოცხლებს, თუმცა იმ ძალის გარეშე, რომელიც ამ უწყებას აქცვეს რეალობად. ჩვენ გვაქვს პრეტენზია თავისუფლებაზე, თუმცა მისი ძალის გარეშე (რომელიც გვეძლევა ქრისტეში), გვაქვს იმედები და მიების სურვილი, თუმ-

ცა შემოქმედებითი ნიადაგის გარეშე. ამიტომაც გვეუბნება მო-  
ციქული პავლე (გალ. 5,1), რომ თავისუფლებისათვის გაგვათა-  
ვისუფლა: „მაშ, მტკიცედ იდექით თავისუფლებით, რომლითაც  
ქრისტემ გაგვათავისუფლა, და კვლავ წედა დაიღვამთ მონბის  
უდელს“, ვინაიდან როგორც კი გაგემიჯნებით ქრისტესა და  
ეკლესიას, ჩვენ ვკარგავთ თავისუფლებას, რომლის მოპოვებაც  
ასე ძნელია.

სეკულარული კულტურის სისტემაში დაკარგულია იმის  
გაგება, რომ თავისუფლების საიდუმლო იხსნება ეკლესიასთან  
კავშირში, რამაც დაუდო საფუძველი ყოველგვარი „ბუნებრი-  
ვის“ გამართლებას. უფრო სწორად, აქ თვითონ თავისუფლება  
გააზრებულია უფრო ღრმად, ვიდრე რელიგიური სფერო – და  
თავისუფლების ის ფილოსოფია, რომელსაც ავითარებს ბემე,  
რომელიც ადამიანის თავისუფლებაში ხედავს სწორედ ამ Undr-  
und-ის რდვეებას, სადაც არის ღმერთი, – თავისი არსით ეხმიანება  
მთელ ეპოქას. მითი თავისუფლების შესახებ, როგორც ადამია-  
ნის სულის საწყისი თვისების შესახებ, რომელიც ონგროლოგი-  
ურად წინ უსწრებს მის რელიგიურ ცხოვრებას, ძვირფასი იყო  
სეკულარული კულტურის მქონე ადამიანებისთვის, ვინაიდან  
სწორედ თავისუფლების აქტების თვალსაზრისით ისინი აღია-  
რებენ საკუთარ თავს დვთის გარეშე. XIX საუკუნეში ბაკუნინმა  
აქედან გააკეთა დასკვნა უღმერთობის დასაცავად: „თუკი არსე-  
ბობს ღმერთი – ამბობდა ის, – ესე იგი მე არ ვარ თავისუფალი.  
მე ვარ თავისუფალი იმ შემთხვევაში, თუკი ღმერთი არ არსე-  
ბობს“. ეს ყველაფერი ძალიან შორს იყო იმ ქრისტიანული  
სწავლებისგან, რომ თავისუფლება ვლინდება მხოლოდ ღმერთ-  
თან და ღმერთში. ქრისტიანული სწავლება თავისუფლების  
შესახებ აქ ჩანაცვლებულია ცრუ თავისუფლებით (ანუ თავისუფ-  
ლებით, რომელსაც არ მივყავართ რეალობამდე); რეალური  
თავისუფლების ნაცვლად, აქ საქმე გვაქს მხოლოდ თავისუფ-  
ლებაზე ოცნებასთან.

მითი თავისუფლების შესახებ – თითქოს თავისუფლება  
ენიჭება ადამიანს იმის მიუხედავად, არის თუ არა ის ეკლესიის  
წევრი, დევს ჩვენი ეპოქის კულტურული ცხოვრების საფუძველ-

ში. სწორედ ეს ოცნება თავისუფლების შესახებ, ეს შეგრძნება იმ უსასრულო პერსპექტივისა, რომელიც ვლინდება პირველივე თავისუფალ მოქმედებაში, ანიჭებს ადამიანს ბუნებაზე ბატონობის შეგრძნებას. სიტყვები - „ადამიანი - ქდერს ამაყად“ - ისევე კარგად გამოხატავს ამ შეგრძნებას, როგორც ოცნება „ზეადამიანის“ შესახებ. თავისუფლების პირველ მოქმედებებში, იმ აქტებში, რომლის მხოლოდ ჩანაფიქრი გვაქვს და არა გადაწყვეტა, ადამიანი ნამდვილად დგას უზარმაზარი შესაძლებლობების ზღურბლზე, ის თითქმის უკვე სუნთქვავს მთის მწვერვალიდან მონაბერ პაერს, რომელიც უკვე ხილულია გონებრივი ხედვის-თვის, უკვე ინთება მისი გრძნობები, და ისინი უკვე არიან იმ ზღურბლზე, რომ იქცნებ მისი მოქმედებების „მოტივებად“, თუმცა ეს ყველაფერი რჩება ოცნებად. ისტორიულად ჭეშმარიტი არის მხოლოდ ის, რაც ნათელმოსილია ქრისტესმიერი სიმართლით, რასაც შეუძლია ეკლესიიდან მომდინარე მადლობელი სხივების შემოკრება – სხვა ყველაფერი გაივლის ისე, რომ უტოვებს ადამიანს განუხორციელებელი ოცნების ტკივილს, წუხილს იმის გამო, რომ მან ვერ შეძლო სულის დანაყრება – ეს არ არის და აღარც იქნება. მითი თავისუფლების შესახებ, თითქოს ადამიანს ეკლესიის გარეთაც შეუძლია თავისუფლების მოპოვება, არის ადამიანის შესახებ მითოლოგების ძირითადი ნაწილი, რომლითაც ცოცხლობს თანამედროვე („ნეიტრალური“) კულტურა. თავისუფლება – გაგებული, როგორც სულის ბუნებრივი თვისება, რომლის განკარგვაც შეუძლია ადამიანს და რომლის მფლობელიც ის არის, – ადამიანისთვის ხდება არა უბრალოდ მიუღწეველი, არამედ ყალბიც, და ის მას ესახება, როგორც მიუღწეველი იდეალი. მიზომაც ადამიანები რეაგირებენ იმაზე, რომ თავისუფლება ზღუდავთ მათ. და აქაც ისინი მართლები არიან, ვინაიდან საქმე ეხება თავისუფლების გარეგნულ შეზღუდულობას; თუმცა ფიზიკური და სოციალური თავისუფლება თავის სრულ მნიშვნელობას იძენს მხოლოდ, როგორც სულის თავისუფლების გამოვლინება. სულის თავისუფლების, როგორც შემოქმედებითი შთაგონების გამოვლინება, შეუძლებელია ქრისტეს გარეშე.

თავისუფლებისთვის ბრძოლით ცხოვრობს ახალი ისტორია - და დღემდე ბევრი ხედავს ამ ბრძოლაში ჩვენი ეპოქის გასაღებს. სოციალური, პოლიტიკური და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა ჩვენს დროში, ნამდვილად წარმოადგენს ისტორიის შინაარსს. თუმცა რადაც უცნაური სახით თავისუფლების ეს პათოსი ყოველთვის მიმართულია იმ გარეგნული ძალების დასაძლევად, რომლებიც ზღუდავენ ჩვენს თავისუფლებას. თუ გადავხედავთ ადამიანების შინაგან ცხოვრებას, ძალიან სამართლიანი მოგვეჩვენება ის, რასაც წერდა დოსტოევსკი „დიდი ინკვიზიტორის ლეგენდაში“: თავისუფლება (შინაგანი) ადამიანებისთვის არის ტრირთი, რომელიც ხშირად სრულიად აუტანელია. და ეს სულაც არ არის რადაც შემთხვევითი – აյ პარადოქსულად ვლინდება ქრისტიანული სამყაროს თავისუფლების ტრაგედია. საქმე ის გახლავთ, რომ თავისუფლების აქტებს განუშორებლად ახლავს პასუხისმგებლობის განცდა. ჩვენ პასუხისმგებლიანები ვართ იმდენად, რამდენადაც ვართ თავისუფალნი – და ამ გრძნობის აღმოფხვრა და უარყოფა შესაძლებელია მხოლოდ თავისუფლებაზე უარის თქმის შემთხვევაში. რა თქმა უნდა, როცა საქმე ეხება „პატარა“ ანუ ფიზიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ თავისუფლებას, ადამიანები ლრმად განიცდიან ასეთი თავისუფლების საჭიროებას და იბრძვიან მის-თვის. თუმცა ისინი სწორედ ამ პასუხისმგებლობის გრძნობის გამო გაურბიან „დიდ“ თავისუფლებას და ეშინიათ მისი. ამიტომაც არის, რომ ადამიანთა უმეტესობა ეძებს მას, ვისაც გადააბარებს თავის თავისუფლებას, ვისაც აღიარებს თავის „ბელადად“ და ვინც იქნება მისი ავტორიტეტი. როგორც ჩანს, სწორედ ეს „დიდი“ თავისუფლება წარმოადგენს ადამიანთა უმრავლესობისთვის აუტანელ ტვირთს, ვინაიდან ის გულისხმობს სულიერ ცხოვრებას, საკუთარ თავში ყოველგვარი წვრილმანისა და უმნიშვნელოს წინადმდებ ბრძოლას. და ამისთვის არ კმარა მხოლოდ გამბედაობა და სითამამე, აյ საჭიროა შრომა, საკუთარ თავზე მუშაობა, ასკეზა. ქრისტიანული გზის შემადგენელი ნაწილია „უხილავი ბრძოლები“, ის მოიხსენიეროთ განსაზღვრულობას, – და „მხოლოდ ძალისხმევითაა შესაძლებელი ცათა სასუფეზ-

ლის მოპოვება“.<sup>1</sup> სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავისუფლების დიალექტიკით მისივე რეალიზაციისათვის აუცილებელია ეს ძალის ხმევა. აქ საქმე არ ეხება მხოლოდ კეთილსა და ბოროტს შორის არჩევანის გაკეთებას – ეს არის მხოლოდ მორალური ტრანსკრიპცია, რომელიც არასრულად და არა სიღრმისუფლად გამოხატავს აზრსა და შინაარს იმ უკანასკნელი არჩევანისა, რომლის გაკეთებაც ჩვენ გვიწევს: დმერთოან, თუ მის წინააღმდეგ? ყველამ, ვისაც შეუძლია საკუთარი სიღრმის წვდომა და პასუხისმგებლობა ამ არჩევანის გამო, რასაც სულის სიღრმეში ვაკეთებთ, იცის, რომ საქმე სწორედ ამას ეხება, მათთანაც კი, ვისი ცნობიერებაც ათეისტურია. ჩვენ ვდგივართ აბსოლუტის სფეროს წინაშე და მხოლოდ თავისუფლების საშუალებით ვუახლოვდებით მას ნამდვილად და ცოცხლად. არც თეორიული, გონიერივი თანაზიარება, არც სულის სუფთა მორალური განწყობა არ გვაყენებს ჩვენ აბსოლუტის პირისპირ. მხოლოდ თავისუფლების აქტების აღსრულებით, ამა თუ იმ თავისუფალი გადაწყვეტილებით ვუახლოვდებით აბსოლუტს და ვდგებით იმის ზღურბლზე, ვიყოთ მასთან, თუ, პირიქით, განვეშოროთ მას. შევნიშნავთ, რომ სწორედ ამ სიღრმეებში სინდისის ხმა გვაყენებს დავთის წინაშე. და თუ ჩვენ განზრას ან სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ვაცნობიერებთ, რომ ვდგავართ დავთის წინაშე, ადრე თუ გვიან მაინც მივხვდებით – თუ რა ხდებოდა ჩვენს სულში ამ არჩევანის გაკეთების დროს – და მაშინ ჩვენთვის (ცოდვის ჩადენის შემთხვევაში) სულის უკანასკნელ სიღრმეს მისწვდება დავით მეფესალმუნის სიტყვები:

„შენ მხოლოსა შეგცოდე...“

რა თქმა უნდა, არსებობს თავისუფლების გაცნობიერების ზრდის საფეხურები – ჩვილობის, ყრმობის, მოწიფულობის ასაკი; არსებობს ზოგადად საფეხურები საკუთარი თავისუფლების შეცნობის ფლობაში. ნეტარმა ავგუსტინებ თავის Confessiones-ში კარგად თქვა, რომ ჯერ კიდევ ბავშვობაში ჩადენილ ცუდ საქციელს ახდავს იმის განცდა, რომ ვდგავართ დავთისა და მისი სიმართლის წინაშე. თავისუფლების მთელი საიდუმლო უკავშირდება მას – თუ რამდენად ვაცნობიერებთ ჩვენ დავთის წინაშე

დგომას, და ამიტომაც ყველაზე მეტად მაშინ ვართ თავისუფლები, როცა ვნათლდებით სულიწმინდის მადლმოსილი სხივებით. ამიტომაც არის, რომ თავისუფლების საიდუმლო ესმით მხოლოდ მათ, ვინც ცხოვრობს ღმერთში, ღმერთთან ურთიერთობის გარეშე ჩვენ თავისუფლები ვერ გავხდებით. ამიტომაც არის ყალბი და მაცდუნებელი „თავისუფალი სულის ფილოსოფია“, რომელიც ცდილობს თავისუფლების დათისგან გამიჯვნას, მიაწერს მას ჩვენი ყოფიერების მეტაფიზიკას, ანუ ვერ აკავშირებს ერთმანეთთან თავისუფლებასა და ღმერთთან ცოცხალ (დადგბით ან უარყოფით) ურთიერთობებს. და აქ ჩვენ წინაშე დგება თავისუფლების ყველა ფილოსოფიის საშიში სიმართლე, რომელსაც სურს ის ღმერთის გარეშე გაიაზროს მეტაფიზიკურად (ან გნოსეოლოგიურად). ეს არის საკუთარი თავის მოტყუების სურვილი – „დაგემალოთ“ ღმერთს და დავარწმუნოთ საკუთარი თავი, რომ თავისუფლება არის ყოფიერების დასაბამიერი, სუფთა ადამიანური საწყისი. თავისუფლების იმ პათოსის მოელი არსი, რომლითაც დღეს ცხოვრობს კაცობრიობა, ნამდვილად უკავშირდება დათისგან განდგომის სურვილს, ანუ (ხილული ამბოხის გარეშე) მისგან წასვლას. არაფერი ისე არ ამხელს ჩვენი დექრისტიანიზებული კულტურის შინაგან სიყალბეს, როგორც თავისუფლების ეს ფილოსოფია (გამოხატული უხეში თუ ფაქიზი ფორმით – ამას უკვე არავითარი მნიშვნელობა არ აქვს), რომელმაც შექმნა მითი ადამიანის დათისგან დამოუკიდებლობის, მისი თვითმყოფადობის შესახებ, მაშინ, როცა თავისუფლება არის ღმერთთან მიახლების არსი (როცა ის არის შემოქმედებითი და არა დამანგრეველი). ამიტომაც მაცხოვრის სიტკვა „ნამდვილი თავისუფლების შესახებ“ აკავშირებს თავისუფლებას ღმერთთან („თუ ძე განგათავისუფლებთ, ნამდვილად თავისუფლები იქნებით“).

თავისუფლების პრობლემა უკავშირდება ჩვენი ეპოქის უკანასკნელ არსეს, მის ძალასა თუ უძლეურებას. თავისუფლების ხარება შემოდის ადამიანთა გულებში და უხმობს მათ ღმერთში თავისუფლების მოსაპოვებლად, ათავისუფლებს მათ გარეგნული კანონებისგან. თუმცა გარეგნული კანონებისგან გათავისუფ-

ლება, რომელშიც იხსნება ადამიანის სიღრმე, წარმოადგენს თავისუფლების ნიჭს და მეტყველებს იმის შესახებ, რომ თუკი არც მადლი გვმოსავს (ანუ არ ვართ „ახალი ქმნილება“) და არც კანონებს ვექვემდებარებით (ვინაიდან უკვე მოცემული გვაქვს უწყება ქრისტიანული თავისუფლების შესახებ), მაშინ სიცარიელეში ვიმყოფებით. ეს კი იმის ნიშანია, რომ ჩვენი ცნობიერება მოცულია მითოლოგიური ნისლით, რაც სწორედ იმისთვის გვჭირდება, რომ ვერ დავინახოთ სიმართლე ჩვენივე თავის შესახებ.

## IX

აქ შეიძლება შევჩერდეთ და ვჩერდებით კიდეც ისე, რომ ადარ ვაკეთებთ ჩვენი ეპოქის უფრო ღრმა ანალიზს. ის გამუდმებით გაორებულია ჩვენ წინაშე, ვინაიდან ცხოვრობს გაორებული ცხოვრებით – გულით ის ჯერ კიდევ არ გამიჯვნია ქრისტეს და ვერც გაემიჯნება, მას არ შეუძლია განაგდოს სახარებისეული სწავლება, ის მხოლოდ მისით ცოცხლობს, ისწრაფის დვთის სასუფევლისკენ, როგორც ბოლო იდეალისა და სრული სიხარულისკენ, იშვებს საერთო ქმნით, თუმცა მისი გონება და იდეები შორსაა ქრისტეს სიყვარულისგან. ასეთი გაორებული ცხოვრების, გულისა და გონების ერთმანეთისგან გამიჯვნის, ბრიყეულის და მიზანსწრაფულის ბრძოლისა და თვითკმარი რაციონალიზმის პირობებში, სულის პირველრეალობისკენ მიმართვა არა მარტო ასუსტებს სულიერ ძალებს, არა მარტო ანაწევრებს მათ, არამედ ამის გამო სული აუცილებლად ბოროტდება, ან სასოწარკვეთილებაში ვარდება. ჰეშმარიტად გვეუბნება პოეტი:

„И любим мы любовью раздробленной,

И ничего мы вместе не сольём“.

ქრისტეს ხარების უარყოფის უფლებას გული არ გვაძლევს, რომელმაც შეიცნო მთელი ბედნიერება და სახარებისეული აღთქმის შემოქმედებითი მნიშვნელობა, – ქრისტეს მიღება კი ნიშნავს ეპლესის მიღებას, ეპლესიაში დაბრუნებას და ცხოვ-

რების ახალი გზების ძიებას, სეპულარული კულტურის სრულ უარყოფას. არა მხოლოდ ჩვენმა გულმა, ჩვენმა გონებამაც კი იცის, რომ არაფერი ნამდვილი და ჭეშმარიტი არ დაიკარგება, არ ჩაქრება ქრისტეში, რომ ჩვენი პიროვნება არა მარტო გამდიდრდება, არამედ გაიშლება კულესის საშუალებით და თავისუფლების ნიჭიც მხოლოდ მაშინ გამოვლინდება მთელი ძალითა და სისრულით. ჩვენმა გონებამ ისიც იცის, რომ „ცათა სასუფეველი იძულებით მიიღწევა და ვინც აიძულებს თავს, მიიტაცებს მას“ და რომ ქრისტიანული მორალური ცნობიერება დაგვემარება ამა სოფლის ზრუნვისა და ამაოების დაძლევაში, რომ ჩვენ ყველამ მწარე სინაულით უნდა შევძლოთ სულის განწმენდა. ჩვენმა გონებამ ისიც იცის, რომ შემცნებითი ძალები, რომლებიც გამობარია დვოისგან ქმნილი, მისივე მოწყობილი და მისებან დაცული სამყაროს სიკარულით, ამგვარად მხოლოდ გაძლიერდება. თუმცა ძნელია თანამედროვე ადამიანისთვის ამის კეთება.

ჩვენი ეპოქა ვერ ივიწყებს (დასავლეთის) ეკლესის მიერ მოყენებულ ზიანს – ისინი დრომ სულის დრმა კუნძულში გადასწია, მაგრამ მისი შხამი სამუდამოდ რჩება სულში. ამის გამოა, რომ ძიებაში მყოფი სულები შორდებიან სულიერს. ნაწილი იწყებს სამეცნიერო მუშაობას, ნაწილი – სოციალურ სამსახურს, ნაწილი კი – პირადი საქმეების მოგვარებას. თუმცა, რაც მეტად ვითარდება მეცნიერება და ტექნიკა, მით უფრო რთულდება სოციალური პრობლემები; და რაც ნაკლებია ცხოვრებაში სიკეთე და მეტია ბოროტება, მით უფრო სჭირდება ადამიანს ღმერთი. ჩვენთვის მისაწვდომი ფიზიკური ყოფიერების უსაზღვრობა (რომლის აღქმაც გამყინვავი ძრწოლით აღავსებდა პასკალს) უკან იხევს სულიერი ცხოვრების უსაზღვრობის წინაშე, რომლის სრული აღქმა გენიოსების მიერაც კი შეუძლებელია. თუ ამას კარგად ვაცნობიერებთ, შეუძლებელია არ ვიყოთ ამით დათორგუნულები და დაბნეულები – გულუბრყვილო პრიმიტიულობაში წასვლა იქნებოდა ცხოვრების დაცარიელება, მისი კვდომა. უსაზღვრო და უსასრულო ფიზიკური სამყარო, თუმცა ეს მხოლოდ იმ მეცნიერებს აღელვებთ, რომლებიც იმეცნებენ მას, თუმცა თითოეულ ჩვენგანში თვით ცხოვრება

აშიშვლებს მთელ სამყაროს, რომელიც სულის კუნძულშია მიძინებული, – და ყველგან ვხედავთ გაუგებრობებს, კონფლიქტებს, მმიმე დაავადებებს, წუხილს მოლოდინის გაცრუების გამო. მცირე დრამები და დიდი ტრაგედიები თრგუნავენ სულს, აზარალებენ ადამიანს. როზანოვი ჩვენს ეპოქს უწოდებდა „გაფერმკრთალუბულ ცივილიზაციას“ – და ის მართალი იყო, რადგან მმიმედ, მოწყენილად და მარტოსულად გრძნობს თავს ადამიანი, რომლის წიაღშიც ცოცხლობს კვლავ იგივე იმედი ცხოვრების სისავსისა, ცოცხლობს გულის სიღრმისეული მოთხოვნილებები. სხვა უნდა იყოს მხოლოდ რწმენაში – რომელიც ცოცხლობს ეკლესიის სისავსით, საზრდოობს მისი საიდუმლოებებით, ნათელ და ღრმა რწმენაში. უბადრუკ მითოლოგებებს არ შეუძლიათ სულიერი ძიებების დაკმაყოფილება, ვინაიდან ჩვენ არ შეგვიძლია იმ ხილვების დავიწყება, რომლებიც ანათებს გულს, როცა ის ადიჭვამს სახარებისეულ უწყებებს. მაგრამ თუკი ჩვენი გონება არ აძლევს გასაქანს გულის ძიებებს, მაშინ ჩნდება ის ნაღვლიანი და მტაჯველი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, რომელიც ასე ნიშანდობლივია ჩვენი ეპოქისთვის.

თანამედროვე ადამიანის უმწეობის, მისი აფორიაქებულობის დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ რელიგიური ცხოვრების, „სულიერი დვაწლის“ გზით – და ყოველ სულს ევალება დვთისკენ მიმავალი თავისი ინდივიდუალური გზის ძებნა. თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ეკლესიაში ინდივიდუალური დაბრუნება და პირადი სულიერი ზრდა ვერ გადაარჩენს და ვერ განაახლებს ეპოქას, რომლის შხამიანი სუნთქვა კვლავაც განაგრძობს ჭაბუკთა სულების მოშხამვას. საჭიროა ეპოქალური გარდატეხა, და ჩვენ ყველამ, ვინც დავბრუნდით მამის სახლში მსგავსად „უძღვები შვილისა“, „შორეული ქვეყნიდან“, უნდა ვიფიქროთ ამ ამოცანაზეც. თვითონ ცოდნა ამ ამოცანისა, ამ თემაზე ფიქრი არ შეიძლება იყოს უნაყოფო, არ შეიძლება ის გაქრეს – და ეს გვაიმედებს, რომ დადგება აღორძინების ჟამიც, თუკი ჩვენ არ ვიქცევით „უხმარ მონებად“.

## X

თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ არა მარტო ქვემოდან, არამედ ზემოდანაც უნდა მოღიოდეს დახმარება, რომ გადაილახოს ეკლესიისა და ცხოვრების, რწმენისა და კულტურის ერთმანეთისგან გათიშვა. ეს არ არის ადვილი მათვის, ვინც „ქვემოთაა“, მაგრამ არის კი ადვილი ეს მათვის, ვინც „ზემოთაა“? უკვე მივუახლოვდით ჩვენი მსჯელობის ბოლო თემას – ეკლესიისა და თანამედროვეობასთან მისი ურთიერთობის თემას.

არ შევეხები არც კათოლიკურ და არც პროტესტანტულ სამყაროს, ორივე აღმსარებლობაში არის ბევრი თავისებურება, რომელთა რადიკალური გადამუშავების გარეშე ეკლესიას არ შეუძლია თანამედროვეობისთვის საჭირო დახმარების აღმოჩენა „ეპოქალური გარდატექნის“ ამოცანის გადაჭრაში. ეს ზემოთაღნიშნული სამყაროების შინაგანი პროცესების პრობლემაა და ჩვენი საქმე არ არის მათში ჩარევა, მით უფრო, როცა ჩვენი ეკლესიაც დაავადებულია უამრავი მძიმე სენით. რათა დავისახოთ საერთო მიზნები ჩვენი ეკლესიის გაჯანსაღებისათვის, შეგახსენებო „სიმფონიის“ იმ გაგებას, რომელიც შეიმუშავა ბიზანტიამ ეკლესიისა და სახელმწიფოს შორის სწორი ურთიერთობების დასამყარებლად. თუმცა ეს გაგება თავისი მნიშვნელობით გაცილებით ფართოა, ის ეხება ეკლესიისა და კულტურის უკველა ურთიერთობას. „სიმფონიის“ იდეალის ძირითადი საზრისი (რა თქმა უნდა, ლაპარაკია იდეალზე, პრინციპზე და არა ჩვენი ეკლესიის რეალურ სინამდვილეზე) მდგომარეობს ორი სხვადასხვა საწევისის თავისუფალ შეკავშირებაში, მათ ერთობაში ერთისგან მეორის დათრგუნვის გარეშე. „სიმფონიის“ იდეალის თანახმად, სახელმწიფოც და კულტურული პროცესიც თავისი შინაგანი დიალექტიკით რჩება თავისუფალი, თუმცა ორივე ეძებს საკუთარი „ბუნების“ ეკლესიურ ნათლით შემოსვასა და ფერისცვალებას, ამიტომაცაა, რომ ქრისტიანული აღმოსავლეთისთვის მიუდევბელია აზრი, რომელმაც ბევრი ზიანი მიაუქნა ქრისტიანულ დასავლეთს – ეს არის ეკლესიის ჩარევა პოლიტიკურ და ისტორიულ ცხოვრებაში. დასავლეთის ქრისტიანობაში ჯერ

კიდევ არ არის აღმოფხვრილი ისტორიასა და პოლიტიკაში „როლის თამაშის“ აქვიატებული იდეა, თუმცა კარგა ხანია ნათელი გახდა, რომ ეს ისტორიას კი არ ამაღლებს ქრისტიანულ საწყისამდე, არამედ ეკლესიას დასცემს ამქვეყნიური ცხოვრების აფორიქებულობამდე. ეს ყველაფერი სამწუხაროზე მეტია, ეს ტრაგიკულია. თუმცა უნდა დავიჯეროთ ისიც, რომ დასავლეთში ოდენობებს იზეიმებს სიმფონიური პრინციპის სიმართლე.

თუმცა, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ქრისტიანული აღმოსავლეთისთვის სიმფონიის პრინციპი მხოლოდ პრინციპად დარჩა და არ იქცა რეალობად. მე აქ არ ვისაუბრებ სერვილიზმსა და მთავრობასთან მიმართებაში მაამებლობაზეც კი, რის გამოც აღმოსავლეთის ეკლესიამ ვერ შეინარჩუნა ამასოფლისადმი თავისუფალი ურთიერთობა. სერვილიზმი არის სისუსტე (რომელიც ხშირად გადაიზრდება-ხოლმე ცოდვაში), მაგრამ არა სიმფონიის იდეალის შებილწვა. გაცილებით სახიფათოა სხვა რამ – ქრისტეს სამყაროსა და „კეისრის“ სამყაროს შორის განსხვავების დაკარგვა. „კეისრის“ სამყაროს განწმენდის აუცილებლობა არის სიმფონიის პრინციპის შემოქმედებითი საწყისი. ეკლესია უნდა შედიოდეს ერში, ცხოვრობდეს მისი ტკივილითა და სირთულეებით, თუმცა, ამავე დროს, ის უნდა იდგეს ერის, მთავრობის, კულტურის სიმართლის სადარაჯოზე, უნდა იყოს ქრისტესთან მიმავალი გზის წინამძღვალი, უნდა მიჰყავდეს იგი ცოდვების სინაზღლისა და საერო სტიქიის შემოქმედებითი ცხოვრების ფერისცვალებისქნ. ეს არის სამყაროს გაეკლესიურების ამოცანა. ქრისტიანობის ისტორიაში მონაწილეობის მთელი არსი სწორედ ამაში მდგომარეობს. ეს არის ეკლესიის თეოკრატიული ამოცანა – თეოკრატიული და არა „კლიროკრატიული“, რასაც ადგილი აქვს ქრისტიანულ დასავლეთში.

„სიმფონიური“ პრინციპის შუქზე პირველად ხდება ნათელი ფაქტი, რომლის ნამდვილი მნიშვნელობის გარკვევა ძალიან ძნელია – კერძოდ კი, კულტურისა და ცხოვრების გამიჯვნა ეკლესიისგან (რომელიც აღმოსავლეთშიც არანაკლებად ძლიერია როგორც დასავლეთში, თუმცა სხვაგვარად) – არის თვით ეკლესიის სენი, ანუ ეს სენი არსებობს ეკლესიის წიაღში და

არა მის გარეთ. აქ დევს თანამედროვე ისტორიის მთავარი სირთულე, ვინაიდან ეკლესიას ემიჯნებიან მისი უწინდელი შვილები – და ოოგორც „უძღები შვილი“ მიუხედავად თავისი ცოდვებისა, რჩებოდა დევთის „შვილად“ (თუმცა არ თვლიდა თავს ამ წოდების დირსად), ასევე ყოველი ნათელდებულის სხვადასხვა სახით ეკლესიისგან გამიჯვნა, არის ეკლესიის შინაგანი ორგანიზმის ტკივილი. ისტორიული პროცესები და ქრისტეს გარშემო სამყაროს შემოკრება, რითაც დაპავებულია ეკლესია, უნდა იყოს თავისუფალი, და არა იძულებითი, შინაგანი და არა გარეგნული. „სიმფონიურმა“ პრინციპმა აღმოსავლეთში შემოგვინახა ქრისტესმიერი თავისუფლების სული, თუმცა აქ იყო და დღესაც არის შინაგანი საცდურები, რომლებსაც მუდამ მივყვარო ეკლესიის და სამყაროს ნამდვილი ურთიერთობების შელახვისკენ. ეკლესიას არ შეუძლია ყველა უძღები შვილის ნაბიჯების განხილვა, თუმცა პასუხიმგებლობა მათზე მას ისევ ეკისრება (მიუხედავად იმისა, რომ ისინი გაემიჯნენ მას); ეკლესია აქტიურად უნდა ეპასუხებოდეს ამ კუთხით მომდინარე პრობლემებს, ის არ უნდა ელოდებოდეს პასიურად, როდის დაუბრუნდებიან მას გზააბნეული შვილები. სიმფონიის პრინციპი ნელ-ნელა გადადის მისიონერულ ამოცანაში, რომელიც გამსჭვალულია ადამიანური თავისუფლების სიმართლის რწმენით, ქრისტიანული ხარების განმაცხოველებელი ძალით, რომელიც ისევ ცოცხლობს გზააბნეული შვილების გულებში. თუმცა უნდა გავექცეთ „ნომინალიზმს“; ქრისტიანული საწყისების ნომინალურ და არა რეალურ ზეიმს. მთავარი სირთულე უძღებ შვილთა მამისეულ სახლში დაბრუნებისა ჩეკნს დროში არის ეკლესიური პროგნიციალიზმი, რომელიც დიდად რაცხავს მცირეს, ფარდობითს – აბსოლუტურად, ეროვნულ სტიქიას, რომელიც თავისთავად დირებულია, აქცევს უმაღლეს და უზენაეს საწყისად (რა დირსებაც ეროვნულ საწყისს არ გააჩნია). „წეს-ჩვეულებების რწმენა“, „ყოფა-ცხოვრებითი აღმსარებლობა“; საეკლესიო ნაციონალიზმის ცოდვა არ არის მხოლოდ ის, რომ ისინი აბსოლუტურ კატეგორიებად რაცხენ მას, რაც არ არის აბსოლუტური, არა მარტო იმით, რომ აქ იკარგება ორი სფეროს

(ეკლესიისა და სამყაროს) თავისუფალი ურთიერთობა, რის გამოც ეკლესიის ცხოვრება ნაგვიანდება მისთვის უცხო საწყისებით, არამედ კიდევ უფრო მეტად სცოდავენ იმით, რომ ეკლესიაში ამის გამო იკარგება ან სუსტდება მაცხოვნებელი ძალა და მას უპჩე აღარ შეუძლია თავის უძღებ შვილებს გაშლილი ხელუბით მიეგებოს. იმის გამო, თუ როგორ განვითარდა ქრისტიანი ხალხის ისტორია (დასავლეთსა თუ აღმოსავლეთში) უპირველეს ყოვლისა პასუხისმგებელია ეკლესია. მარტოდენ თავისი გულციფობის, ფარისევლობის, გულქვაობის გამო სინაწყლით ეკლესიის ადამიანებს შეუძლიათ ეკლესიის დახსნა იმისგან, რამაც ეკლესიის ორგანიზმი დააავადა.

თუმცა ეს სულ სხვა თემაა, რომელიც ცალკე განხილვას მოითხოვს და ჩვენი ეტიუდის საზღვრებს სცილდება.

## დ ა ს ა ს რ ჟ ლ 0

## შ ი ნ ა ა რ ს ი

შინაგამისი ტექნიკა.....	3
შესაბამის პერიოდის რელიგიური დასაბუთების საკითხი.....	5
პირველი თავი. აღზრდის ძირითადი პროცესები.....	30
მეორე თავი. ქრისტიანული ანთროპოლოგიის საფუძვლები.....	51
მესპურსი. ადამიანის შესახებ ანთროპოსოფული სწავლების..	
კრიტიკა .....	86
მესამე თავი. ქრისტიანული ანთროპოლოგიის საფუძვლები (პირობების პროცესები ადამიანში).....	97
მეორე თავი. ნატურალური და მადლმოსილი კრებითობა.....	125
მესამე თავი. სულიერი ცხოვრება ბავშვობის სხვადასხვა კერიოდში.....	147
მემკვეთი თავი. რა და როგორ უნდა აღვზარდოთ.....	185
მემკვეთი თავი. მართლმადიდებლური პედაგოგიკის პრინციპები.....	213
დანართი. ეკლესია და სკოლა.....	223
ჩვენი მარძა (ნარკვევების სერია).....	246
I.....	247
II.....	251
III.....	255
IV.....	260
V.....	266
VI.....	275
VII.....	284
VIII.....	290
IX.....	306
X.....	309

დეკანოზი ვასილი ზენკოვსკი

**აღზრდის პროგლემები ძრისტიანული  
ათოროვოლობის შუალე**

რუსულიდან თარგმნა,  
ნათია რომოცამებ

რედაქტორი: გარიაშ გაბრა

რევიზიუნტ-კონსულტანტი:  
დეკანოზი მაჩიმე ჭანტურია

კორექტორი: ნანი მაკალუა  
ტექნ.რედ.: ნინო ძეგურია

“სალი ივარონი”  
თბილისი  
2012

## საეკლესიო ბამომცემლობაშ

“ახალი ივარობი”

“საეკლესიო ბიბლიოთეკის”

სერიით ბამოსცა 15 ტომი:

- I ბველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა
- II წმ. ოთანე სინელის „კლემაქსი ანუ კიბე“
- III ლოცვანი და დაუჯდომელი ღვთისმშობლისა
- IV ფსალმუნი
- V „სათნოებათმოყვარეობა“
- VI „მწირის გულახდილი საუბრები სულიერ მოძღვართან“
- VII ექსები კესარიელის „საეკლესიო ისტორია“
- VIII ელდარ ბუბულაშვილის „საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები“
- IX მიტროპოლიტ იეროთეოს ვლახოსის „მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია“
- X თეოდორიტე კვირელის „საეკლესიო ისტორია“
- XI ვასილი ბოლოტოვის „ეკლესიის ისტორია მსოფლიო კრებების პერიოდში“
- XII წმ. ამბროსი თპეტიონელის ცხოვრება
- XIII წმ. აბბა დოროთე. „სულის სასარგებლო სწავლანი“
- XIV წმ. პალადი ჰელენოპოლელის „ლავსაიკონი“
- XV სოკრატე სქოლასციკოსის „საეკლესიო ისტორია“

აგრეთვე: „დიდი კურთხევანი“ (I ტომი)

მიტროპოლიტ იეროთეოს ვლახოსის  
„თვალსაჩინოებითი კატეხიზმო“

სერია „ძველი ქართული თარგმანები“,

I ტომი - „გელათის ბიბლიის კატენები“,  
სერია „მამული ენა სარწმუნოება“,

„ქართლის ცხოვრება“ (ახალქართული თარგმანი)

I ტომი - ლეონტი მროველი, ჯუანშერი

II ტომი - მაციანე ქართლისა, ცხოვრება წმინდა  
მეფე დავით აღმაშენებლისა

**“ახალი ივერონის” მიერ  
შახლოეს მომავალში გამოიცემა:**

ა. პ. ლებედევის „მსოფლიო საეკლესიო კრებების ისტორია“. წმ. ნიკოლოზ მთაწმინდელის „უხილავი ბრძოლა“. პერმიას სოძომენქს „საეკლესიო ისტორია“ „ქართლის ცხოვრება“ (ახალქართული თარგმანი, III გომი )

**ბამოსაცემად მზადდება:**

ნემქესიოს ემქელის „ადამიანის ბუნების შესახებ“. ე. ბუბულაშვილის „საქართველოს ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში“ არქიმანდრიიგ ქიპრიანე კერნის „სამოძღვრო ღვთისმეტყველება“ მღვდელ-მონაშონი დამასკინის „მამა სერაფიმ როუზის ცხოვრება“ მიგროპოლიგ იეროთეოს ვლახოსის „ერთი ღამე ათონის მთაბე“ „ღიდი კურთხევანი“ (II გომი).